კ. მარქსი

ფ. ენგელსი

ვ. ლენინი

რელიგიის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების
სამინისტროს მიერ დამტკიცებულია დამხმარე სახელმძღვანელოდ უმაღლესი
სასწავლებლების სტუდენტებისათვის

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა

თბილისი 1988

86
ბ 35

წიგნში წარმოდგენილია მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ძირითადი დებულებები რელიგიისა და ათეიზმის თეორიისა და ისტორიის შესახებ. კრებული შედგენილია მეცნიერული ათეიზმის მოქმედი სასწავლო პროგრამის მიხედვით. იგი გათვალისწინებულია სტუდენტების, პროპაგანდისტებისა და მეცნიერული ათეიზმის საკითხებით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის.

შემდგენელი ზ. ფორაქიშვილი

რედაქტორი ო. გაბიძაშვილი
რეკენზენტები: ა. გელაშვილი
თ. ყანდარელი

© თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1988

0400000000
О ——————
М 608(06)-88

ISBN 5—511—00022—

შემდგენელისაგან

კრებული „კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ვ. ლენინი რელიგიის შესახებ" ქართულ ენაზე პირველად გამოდის.

კ. მარქსის, ფ. ენგელსის და ვ. ი. ლენინის აზრებს რელიგიის, ათეიზმის, ეკლესიის და სხვადასხვა რელიგიური დაჯგუფებების შესახებ უდიდესი მნიშვნელობა აქვს რელიგიის ისტორიისა, მისი არსის, კომუნისტურ საზოგადოებაში რელიგიის თანდათანობით კვდომის პრობლემატიკის შესწავლაში, ათეისტური აღზრდის თეორიის ათვისებაში.

ქ. მოსკოვში 1986 წლის უმაღლეს სასწავლებლების საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრათა გამგეების საკავშირო თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის გამოსვლასა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ე. კ. ლიგაჩოვის მოხსენებაში კიდევ ერთხელ იქნა გამახვილებული ყურადღება ათეისტური აღზრდის მნიშვნელობაზე საბჭოთა ადამიანის მეცნიერული მსოფლმხედველობის, სულიერი ღირებულებებისა და აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბების საქმეში.

მხოლოდ ათეიზმის და რელიგიის ისტორიისა და თეორიის ღრმა შესწავლით შეიძლება ქმედითი, ნაყოფიერი მეცნიერულ ათეისტური აღზრდისა და პროპაგანდის განხორციელება. მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა გამოთქმები რელიგიისა და ათეიზმის შესახებ, რელიგიის გნოსეოლოგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური ფესვების, მისი წარმოშობის სოციალური და კლასობრივი არსის, მასთან ბრძოლისა და მისი დაძლევის შესახებ წარმოადგენენ იმ თეორიულ საფუძველს, რომელსაც ეყრდნობიან კომუნისტური პარტია და საბჭოთა სახელმწიფო თავიანთ დამოკიდებულებაში რელიგიის, ეკლესიის და მორწმუნეთა მიმართ. კრებულის გამოცემა აქტუალურია აგრეთვე რელიგიის შესახებ მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების დამახინჯების მიზნით ბურჟუაზიულ-კლერიკალური ფალსიფიკატორების მცდელობის გამოაშკარავებისათვის.

წინამდებარე თემატური კრებული დიდ დახმარებას გაუწევს მოსწავლე ახალგაზრდობას, პროპაგანდისტებს, პარტიულ და საბჭოთა მუშაკებს, რელიგიისა და ათეიზმის საკითხებით დაინტერესებულ პი-

რებს მარქსისტულ-ლენინური ათეიზმის საფუძვლების ღრმად დაუფ-ლებაში.

უახლოეს დროში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერულ ათეისტური კვლევისა და პროპაგანდის რესპუბლიკურ ცენტრს განზრახული აქვს გამოსაცემად მოამზადოს აგრეთვე კრებული „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს დამოკიდებულება. რელიგიისა და ეკლესიის მიმართ".

ზ. ი. ფორაქიშვილი

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ათეისტური მემკვიდრეობა

ას წელზე მეტია, რაც მარქსიზმი მსოფლიოს მილიონობით ადამიანისათვის პოლიტიკური, ეკონომიკური თუ სულიერი თავისუფლების სიმბოლოდ იქცა. ეს მოძღვრება ევროპის, აზიის, ამერიკის, აფრიკის ჩაგრულ ხალხთა განთავისუფლების მძლავრი ძალა გახდა. ამ მოძღვრებამ სოციალიზმი უტოპიიდან მეცნიერებად აქცია და ადამიანებს ბედნიერების რეალური გზა უჩვენა.

როცა მარქსი, ენგელსი, ლენინი ადამიანის ექსპლოატაციისა და ჩაგვრის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ისინი განსაკუთრებულ ადგილს უთმობდნენ იმ იდეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლას, რომელიც ამართლებს და ამაგრებს ექსპლოატაციისა და ჩაგვრის ყოველგვარ ფორმას. ასეთი იდეოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე მოხერხებულ ფორმად მათ რელიგია მიაჩნდათ და, ბუნებრივია, მარქსიზმის კლასიკოსთა მდიდარ ფილოსოფიურ მემკვიდრეობაში რელიგიისა და მეცნიერულ-ათეისტური თეორიის საკითხებმა მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა.

ათეისტურ აზროვნებას მრავალსაუკუნოვანი ისტორია აქვს. ძველ ეგვიპტესა და ბაბილონში, ჩინეთსა და ინდოეთში, საბერძნეთსა და რომში, აღორძინების ეპოქასა და ახალ დროში ბევრმა გამოჩენილმა, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანმა წამოაყენა უაღრესად საყურადღებო დებულებები რელიგიის არსის, მისი წარმოშობისა და განვითარების, მისი სოციალური ფუნქციის შესახებ, რომლებმაც საკაცობრიო აზროვნების ისტორიაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. მარქსიზმი მემკვიდრეა ყოველივე იმ საუკეთესოსი, რაც ამ მიმართულებით გაკეთდა, მაგრამ მარქსისტული ათეიზმი სრულიად ახალი საფეხურია ათეისტური აზროვნების ისტორიაში. მარქსისტული ათეიზმი ემყარება წარსულის მდიდარ ათეისტურ მემკვიდრეობას, მეცნიერულად ხსნის რელიგიის აღმოცენების, მისი განვითარების, სოციალური როლისა და დაძლევის კარდინალურ საკითხებს, რითაც მან უდიდესი ისტორიული როლი შეასრულა მშრომელთა სულიერ განთავისუფლებაში.

მარქსისტული ათეიზმი, როგორც ათეიზმის ახალი, უმაღლესი ფორმა წარმოიშვა გასული საუკუნის 40-იან წლებში და იგი განსა-

ზღვრა გარკვეულმა სოციალურ-ეკონომიკურმა პირობებმა. XIX საუკუნის პირველ ნახევარში დასავლეთ ევროპის მთელ რიგ წამყვან ქვეყნებში სწრაფად განვითარდა კაპიტალისტური წარმოების წესი, რამაც, თავის მხრივ, კლასობრივ წინააღმდეგობათა გამწვავება გამოიწვია. ასპარეზზე გამოვიდა ყველაზე უფრო ჩაგრული და რევოლუციური კლასი — პროლეტარიატი, რომელმაც კაპიტალიზმის „მესაფლავის" მისია იკისრა. ჩაგრული კლასის ინტერესები, სურვილები, მოთხოვნილებანი ყველაზე უფრო რევოლუციური, მეცნიერული იდეების სახით გაფორმდა. წარმოიშვა სრულიად ახალი ფილოსოფია — მარქსიზმი, რომელმაც მიზნად დაისახა სამყაროს არა მხოლოდ ახსნა, არამედ მისი რევოლუციურად გარდაქმნის აუცილებლობა. მარქსისტული ფილოსოფიის ერთ-ერთი აუცილებელი, განუყოფელი ნაწილია მეცნიერულ-ათეისტური მსოფლმხედველობა და მისი სპეციფიკა ისაა, რომ თუკი ადრე, მარქსამდელი ათეისტები ცდილობდნენ აეხსნათ რელიგია, მარქსიზმმა უჩვენა რელიგიის დაძლევის რეალური გზები.

მარქსისტული ათეიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ იგი არაა რელიგიის უბრალო უარყოფა. მარქსიზმი, რა თქმა უნდა, აკრიტიკებს რელიგიას, უჩვენებს მის ილუზორულ ხასიათს, რითაც ათავისუფლებს ადამიანს სინამდვილეზე არასწორი შეხედულებებისაგან, მაგრამ ზებუნებრივის, ღმერთის უარყოფა მარქსიზმისათვის თვითმიზანი როდია. რელიგიის უარყოფით მარქსიზმი ადამიანს აძლევს რეალური ცხოვრების რწმენას და მას ნამდვილი ბედნიერების მიღწევის გზას უსახავს. იგი ადამიანის დიდ ძალასა და ენერგიას ათავისუფლებს რელიგიური ბორკილებისაგან და მას სინამდვილის შემეცნების, გარდაქმნისა და ათვისებისათვის იყენებს. არ შეიძლება ამასთან დაკავშირებით არ მოვიგონოთ კ. მარქსის ცნობილი დებულება: „ათეიზმი არის ღმერთის უარყოფა და სწორედ ამ უარყოფით ადამიანის ნამდვილი ყოფიერების დადგენა". — ამ დებულებაში ნათლად ჩანს მარქსისტული ათეიზმის, როგორც ცხოვრების დამამკვიდრებელი მსოფლმხედველობის ხასიათი.

მარქსიზმის კლასიკოსებმა, პირველებმა, მეცნიერულად ახსნეს რელიგია, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა და აღმოაჩინეს მისი ნამდვილი ფესვები. როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, „ყოველი რელიგია ხომ სხვა არ არის რა, თუ არა მხოლოდ იმ გარეგანი ძალების ფანტასტიკური ანარეკლი ადამიანების თავში, რომლებიც ადამიანების ყოველდღიურ არსებობაზე ბატონობენ; ესაა ანარეკლი, რომელშიც მიწიერი ძალები არამიწიერი ძალების სახეს ღებულობენ". ფ. ენგელსის ამ განსაზღვრებაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ რელიგია არის ასახვა, რომ რელიგიური ასახვის თავისებურება მის ფანტასტიკურობაშია, რომ რელიგიური ასახვის

მიზეზი ესაა გარეშე ძალების ბატონობა ადამიანებზე, რომ რელიგიური ასახვის დროს მიწიერი ძალები არამიწიერი ძალების სახეს ღებულობენ. აქ ჩვენ რელიგიის, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმის სრულ, ყოველმხრივ დახასიათებასთან გვაქვს საქმე.

მარქსიზმის კლასიკოსებმა წამოაყენეს პრინციპულად საყურადღებო აზრები რელიგიის კავშირზე ადამიანთა მიწიერ ცხოვრებასთან. ბურჟუაზიული სოციოლოგებისაგან განსხვავებით ისინი რელიგიის ძირებს ეძებდნენ არა მოჩვენებით, მიღმურ სამყაროში, ან ცალკეული ადამიანის ფსიქიკურ მოვლენებში, არამედ იმ საზოგადოებრივ ურთიერთობებში, რომლებიც ადამიანში რელიგიურ მოთხოვნილებებს წარმოშობენ. ყურადღებას ამახვილებდა რა რელიგიის ამ მხარეზე, კ. მარქსი წერდა: „ეს სახელმწიფო, ეს საზოგადოება ქმნის რელიგიას, სამყაროს უკუღმართ ცნობიერებას, იმიტომ, რომ ისინი უკუღმართ სამყაროს წარმოადგენენ. რელიგია არის ზოგადი თეორია ამ სამყაროსი, მისი ენციკლოპედიური კომპენტიუმი, მისი ლოგიკა პოპულარული ფორმით. ეს არის ადამიანის არსების ფანტასტიკური განხორციელება. რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა არაპირდაპირ არის იმ სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა, რომლის სულიერი სურნელება რელიგია არის“. ამიტომ მარქსის მიხედვით სანამ არსებობს „უკუღმართი სამყარო“, მანამ რჩება ამ სინამდვილის რელიგიურ ფორმაში ასახვის შესაძლებლობა.

რელიგიის ბურჟუაზიული სოციოლოგიის წარმომადგენლები რელიგიის ანალიზის დროს მართალია მიუთითებდნენ მის მიწიერ წარმოშობაზე, მაგრამ უძლურნი იყვნენ აეხსნათ რელიგიის ნამდვილი ბუნება, რადგან ისინი ახდენდნენ რელიგიის როლისა და ადგილის გაზვიადებას, მას საზოგადოების განუყოფელ ერთეულად აცხადებდნენ. კ. მარქსი რელიგიის ანალიზის დროს განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მის მჭიდრო კავშირს საზოგადოებრივ წარმოებასთან და ამით აჩვენებდა მას, როგორც ისტორიულად გარდამავალ მოვლენას. რელიგიის ამ მხარეზე უაღრესად საინტერესო მასალას ვხვდებით კ. მარქსის „კაპიტალში“. კ. მარქსი ათეისტური ფილოსოფიის მთავარ ამოცანას იმაში ხედავდა, რომ ეჩვენებინა, როგორი გარეშე ძალები როგორ რელიგიურ შეხედულებებში აისახება, როგორია ამ ასახვის კონკრეტული ფორმები და რატომ საჭიროებს ამქვეყნიური ცხოვრება რელიგიურ „შევსებას“. ამასთან დაკავშირებით კ. მარქსი წერდა:

„სინამდვილეში ბევრად უფრო ადვილია ანალიზის საშუალებით ბუნდოვან რელიგიურ წარმოდგენებში მიწიერი რაობა დაინახო, ვიდრე, პირიქით, — რეალური ცხოვრების არსებული ურთიერთობიდან მისი შესაბამისი რელიგიური ფორმები გამოიყვანო. უკანასკნელი მე-

თოდი ერთადერთი მატერიალისტური და, მაშასადამე, მეცნიერული მეთოდია“.

კ. მარქსის ამ ფუძემდებლურ დებულებას უდიდესი თეორიული მნიშვნელობა აქვს დღესაც, როცა რელიგიის სოციალური ფუნქციის, საზოგადოებაში მისი ადგილის, რელიგიური ცნობიერებისა და ორგანიზაციის სტრუქტურის, ინდივიდთა რელიგიურობის ხარისხის პრობლემებმა ფართოდ მიიპყრო ეკლესიის ყურადღება, რაც განაპირობა რელიგიის საყოველთაო კრიზისმა მსოფლიოში. თანამედროვე ბურჟუაზიული სოციოლოგები და თეოლოგები ცდილობენ დაასაბუთონ რელიგიის მარადიულობა და მისი განსაკუთრებული დადებითი როლი ყველა საზოგადოებაში. ისინი რელიგიური ფენომენის ანალიზის დროს ყურადღებას ამახვილებენ მეორად, სრულიად უმნიშვნელო ნიშნებზე და ცდილობენ, რელიგიის შინაარსი მოსწყვიტონ მის მასაზრდოებელ რეალობას, იმ სოციალურ-ისტორიულ ურთიერთობებს, რომლებშიც რელიგია ყალიბდება.

„კაპიტალში“ და სხვა ნაშრომებში კ. მარქსი საინტერესო მასალებზე დაყრდნობით გვიჩვენებს რელიგიის ისტორიულობას. რელიგიური რწმენა ჩაისახა პირველყოფილი საზოგადოების განვითარების განსაზღვრულ საფეხურზე, როგორც ბუნების წინაშე ადამიანის უძლურების გამოხატულება. ამიტომ პირველყოფილი თემური წყობილების რელიგია, მარქსის თქვით, იყო „ბუნების გაღმერთება“. ეს იყო ბუნების დამახინჯებული გააზრება. რომელიც თავიდან ადამიანს უპირისპირდება როგორც სრულიად უცხო და მიუწვდომელი ძალა. ეს რეალური შეზღუდულობა იდეალურად აისახება ძველ ნატურალურსა და ხალხურ რელიგიებში. მარქსი აკეთებს რელიგიების შედარებით ანალიზს და გვიჩვენებს მათ შორის წინააღმდეგობას, განსხვავებული სოციალური ბაზების დახასიათების საფუძველზე. პირველყოფილი რელიგია შეცვალა პოლითეიზმმა, რომელიც თემური წყობილების რღვევამ და კლასების წარმოშობამ განაპირობა. კლასობრივ დაყოფას, სოციალური უთანასწორობის გაჩენას შედეგად მოსდევს საეკლესიო ინსტიტუტის ჩამოყალიბება, რომელიც გაბატონებული კლასის სამსახურში დგება. როგორც კ. მარქსი მიუთითებს, ოქროსა და ვერცხლის დაგროვება თავდაპირველად ქურუმთა და მეფეთა პრივილეგია გახდა. ამიტომ მალე ბუნების გაღმერთების გვერდით ადამიანებმა გაბატონებული, მქონებელი ხელისუფლების გაღმერთება დაიწყეს. ძველი აზიური და ანტიკური წარმოების წესის შეცვლამ სასაქონლო წარმოებით, ძველი რელიგიების გაუქმება და ახალი მონოთეისტური რელიგიების ჩამოყალიბება გამოიწვია. კ. მარქსი სანიმუშოდ ახასიათებს ქრისტიანულ რელიგიას და მიუთითებს, რომ ეკონომიკური ცხოვრების სფეროში მიმდინარე ევოლუციამ მიგვიყვანა

ქრისტიანულ მონოთეიზმამდე მისი აბსტრაქტული ღვთაებით.

ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობებთან რელიგიის კავშირი ფორმულირებულ იქნა კ. მარქსის ცნობილ დებულებაში, რომელსაც ვ. ლენინმა რელიგიის გაგების ქვაკუთხედი უწოდა. კ. მარქსი წერს: „რელიგია არის ჩაგრულ ქმნილებათა ამოოხვრა, უგულო ქვეყნის სული და გულია, ისე როგორც იგი არის სული უსულო მდგომარეობათა. ის ოპიუმია ხალხისა". თანამედროვე პირობებში კ. მარქსის ამ დებულებას განსაკუთრებული ეღერადობა აქვს, როცა სხვადასხვა ჯურის რევიზიონისტები ეპვის ქვეშ აყენებენ მარქსიზმის ფუძემდებლურ დებულებებს. მათი აზრით, მარქსიზმის მთელი რიგი დებულებები შეესაბამებოდა გარკვეულ ისტორიულ პირობებს, მაგრამ დღეისათვის ისინი ახლებურად უნდა იქნეს გააზრებული. მათ მხედველობიდან რჩებათ ის უბრალო გარემოება, რომ რელიგია რეაქციულია მაშინაც, როცა იგი ექსპლოატატორულ კლასებს ემსახურება და მაშინაც, როცა იგი დროებით, პროგრესული, სოციალური მოძრაობის გარეგნული მხარდაჭერის როლში გამოდის.

მარქსიზმის კლასიკოსებმა მოგვცეს რელიგიის ფესვების და სოციალური ფუნქციის მეცნიერული დასაბუთება. მათი აზრით, რელიგიის მთავარი ფესვი სოციალურია და იგი, უპირველეს ყოვლისა, ბუნების წინაშე ადამიანის უძლურებაში გამოიხატება. მაგრამ განვითარების შემდგომ საფეხურზე, კლასობრივი საზოგადოების წარმოშობის პერიოდში ბუნების სტიქიური ძალების წინაშე ადამიანის უძლურებას ემატება საზოგადოების სტიქიური ძალების წინაშე უძლურება. ამასთან დაკავშირებით ვ. ლენინი მიუთითებს: „რელიგია ერთ-ერთი სახეა სულიერი ჩაგვრისა, რომელიც ყველგან და ყოველ ადგილას ლოდად აწევს მუდამ სხვებისათვის მუშაობით, გაჭირვებითა და მარტოობით დათრგუნვილ ხალხის მასებს. ექსპლოატატორულ კლასთა უძლურება ექსპლოატატორებთან ბრძოლაში ისევე გარდუვალად წარმოშობს უკეთესი საიქიო ცხოვრების რწმენას, როგორც ველურის უძლურება ბუნებასთან ბრძოლაში წარმოშობს ღმერთთა, ეშმაკთა, სასწაულთა და სხვათა რწმენას".

რელიგიის, როგორც სოციალური მოვლენის ანალიზის დროს მარქსიზმის კლასიკოსები ყოველთვის ხელმძღვანელობდნენ ისტორიის პრინციპით. მათი აზრით, რელიგია აღმოცენდა გარკვეულ ისტორიულ საფეხურზე, განიცადა სერიოზული ევოლუცია და როცა გაქრება მისი განსაზღვრული მიზეზები, იგი ბუნებრივად გაქრება. „რელიგია რომ გაიგო, ამისათვის საჭიროა შეგეძლოს განმარტო მისი წარმოშობა და მისი განვითარება იმ ისტორიული პირობებიდან, რომლებშიც იგი აღმოცენდა და მიაღწია ბატონობას".

მარქსიზმის კლასიკოსებს თავიანთ ნაშრომებში დამუშავებული

აქვთ თანამედროვე რელიგიების წარმოშობისა და ევოლუციის მთელი რიგი საკითხები. ამ მხრივ განსაკუთრებით საინტერესო მოსაზრებებს ვხვდებით ფ. ენგელსის ნაშრომებში, რომელმაც სპეციალურად შეისწავლა განსაკუთრებით ქრისტიანული რელიგია, ფართოდ მიმოიხილა ადრინდელი ქრისტიანობის ისტორია, მოახდინა ახალი აღთქმის მეცნიერულ-კრიტიკული ანალიზი, დაადგინა აპოკალიფსის დაწერის ზუსტი დრო. კ. მარქსი სპეციალურად ეხება ქრისტიანული რელიგიის სოციალურ პრინციპებს და წერს: „ქრისტიანობის სოციალური პრინციპები ამართლებდა ანტიკურ მონობას, განადიდებდა შუასაუკუნეობრივ ბატონყმობას და შეუძლია ასევე, საჭიროების შემთხვევაში, დაიცვას, თუმცა საცოდავი მანქვა-გრეხით პროლეტარიატის ჩაგვრაო". ვ. ი. ლენინმა რუსული მართლმადიდებლური ეკლესიის მაგალითზე აჩვენა მისი რეაქციული როლი, ამავე დროს რუსეთში სექტანტური რელიგიის მაგალითზე გამოააშკარავა მეფის ხელისუფლება, რომელიც უხეშად არღვევდა რელიგიური რწმენის, ე. ი. სინდისის თავისუფლების პრინციპს, როცა სექტანტური რელიგიის მიმდევართ მთელი სისასტიკით უსწორდებოდა.

მარქსიზმის კლასიკოსები უდიდეს შეფასებას აძლევდნენ წარსულის ათეისტურ მემკვიდრეობას, ამასთან ერთად უჩვენებდნენ მის ნაკლოვანებებს და შეზღუდულობას.

მარქსიზმის კლასიკოსებმა დამაჯერებლად დაასაბუთეს მეცნიერული და რელიგიური შეხედულებების დაპირისპირებულობის ძირითადი მომენტები და აჩვენეს, რომ რელიგიის მთელი ისტორია მეცნიერულ აზრთან მისი ბრძოლის ისტორიაა. ეკლესია საუკუნეების მანძილზე გაშმაგებით გამოდიოდა ჯანსაღი მეცნიერული აზრის წინააღმდეგ, მაგრამ რელიგიისადმი დამოკიდებულებებში მარქსიზმის კლასიკოსები მუდამ ხელმძღვანელობდნენ სინდისის თავისუფლების ჰუმანური პრინციპებით. კ. მარქსი გადაჭრით გამოდიოდა ბლანკისტებისა და სხვათა ცდების წინააღმდეგ — ებრძოლათ რელიგიის წინააღმდეგ იძულებითი გზით. ის მიუთითებდა, რომ რელიგიის აკრძალვა ან დევნა არა თუ არ ანელებს, არამედ აძლიერებს რელიგიურ გრძნობას და რომ რელიგიის დაძლევა შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა საბოლოოდ მოისპობა ის სოციალური მიზეზები, რომლებიც რელიგიას ამაგრებენ. „გოთას პროგრამის კრიტიკაში" კ. მარქსი მოურიდებლად გამოდის გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ოპორტუნისტების წინააღმდეგ რელიგიისადმი პარტიის დამოკიდებულებების საკითხში. როგორც ცნობილია, გოთას პროგრამის ავტორები არაფერს ამბობდნენ იმაზე, რომ მუშათა პარტიისათვის რელიგია არაა კერძო საქმე და რომ, მათ თავის ამოცანად რელიგიის წინააღმდეგ შეურიგებელი იდეური ბრძოლა მიაჩნია. მარქსი წერს:

„ბურჟუაზიული „სინდისის თავისუფლება“ არაფერს წარმოადგენს იმაზე მეტს, თუ არა მოთმინებას სინდისის რელიგიური თავისუფლების ყველა შესაძლო სახის მიმართ, ხოლო ის, მუშათა პარტია, პირიქით, მიისწრაფვის გაათავისუფლოს სინდისი რელიგიური ბანგისაგან“.

მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიის დაძლევისათვის გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს იმ ობიექტური საზოგადოებრივი მიზეზების აღმოჩენას, რომლებიც სინამდვილის რელიგიური რეგულირების პირობაა და რელიგიის დაძლევას უკავშირებს იმ დროს, როცა ადამიანთა პრაქტიკული, ყოველდღიური ურთიერთობანი ერთმანეთსა და ბუნებას შორის გონიერი კავშირების სახით გამოიხატება. კ. მარქსმა სრულიად ახლებურად დააყენა რელიგიური „გაუცხოების“ პრობლემა, რომელიც ჰეგელის მიერ იქნა წამოყენებული და რომელმაც თავისებური „ანთროპოლოგიური“ სახე მიიღო ფოიერბახთან. მაგრამ თუ ჰეგელისათვის რელიგიური გაუცხოება მთლიანად სულის მოღვაწეობის სფეროს მიეკუთვნება, ფოიერბახი მას ადამიანთა „მიწიერ“ „გრძნობად“ ურთიერთობამდე დაიყვანს. მარქსისათვის კი მთავარი იყო იმ მიწიერი საფუძვლების წინააღმდეგობრივი ხასიათის ანალიზი, რომლებიც ადამიანებზე რელიგიის ბატონობას ემსახურებოდნენ. მარქსი მოითხოვდა რელიგიის არა თეორიულ უარყოფას, არამედ რევოლუციურ მოღვაწეობას, რომელიც ძირფესვიანად ანგრევს ყოველგვარი რელიგიის საფუძვლებს.

„ამ ფრაზების ნამდვილი, პრაქტიკული მოსპობა, ადამიანთა ცნობიერებაში ამ წარმოდგენების გადალახვა მიიღწევა პირობების შეცვლით და არა დედუქციებით“.

ძველი ათეისტებისაგან განსხვავებით, მარქსიზმის კლასიკოსები ასაბუთებენ, რომ რელიგიის დაძლევისათვის არ კმარა მხოლოდ უმეცრების წინააღმდეგ ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა იმ საზოგადოებრივი წყობილების გარდაქმნა, რომელიც რელიგიას ბადებს.

„ფილოსოფოსები მხოლოდ სხვადასხვანაირად განმარტავდნენ სამყაროს, მაგრამ საქმე ისაა, რომ იგი შეცვლილ იქნეს“.

მარქსის ეს უნიკალური ფორმულა გასაღებია არა მხოლოდ რელიგიისა, არამედ ყველა სხვა ცხოვრებისეული პრობლემის გადაწყვეტისათვის.

ჩვენს საუკუნეში, როცა კ. მარქსის იდეებმა მსოფლიოს მილიონობით მშრომელი ადამიანის ღრმა სიმპათია დაიმსახურა, როცა ეს იდეები ღრმა სოციალური ძვრების, ადამიანთა თავისუფლებისა და ბედნიერების მძლავრი ძალა გახდა, მშვიდობის, პროგრესის, სოციალიზმის მტრები ცდილობენ მარქსის მოძღვრების წინააღმდეგ გამოიყენონ რელიგია, რათა დააჩლუნგონ ადამიანთა გონება, ხელი შეუ-

შალონ მათი თვითშეგნების განვითარებას. ისინი მიისწრაფვიან, გააქტიურონ კლერიკალური, პარტიებისა და ორგანიზაციების საქმიანობა, ყოველნაირად დაეხმარონ ეკლესიასთან დაკავშირებული მრავალრიცხოვანი პროპაგანდისტული ცენტრების გამოცოცხლებას. ამასთან, რელიგიური ორგანიზაციები შეცვლილი ისტორიული პირობების გამო აშკარად ველარ ესხმიან თავს მარქსისტულ-ლენინურ თეორიასა და პრაქტიკას, თავს „კომუნიზმის სპეციალისტებად" ასაღებენ და ქმნიან ე. წ. „მარქსოლოგიურ" და „სოვეტოლოგიურ" თეორიებს.

მარქსისტული ფილოსოფიის მიმართ თავიანთ უარყოფით დამოკიდებულებას თეოლოგები და თანამედროვე რევიზიონისტები იმით ამართლებენ, რომ იგი ათეისტური ხასიათისაა, ხოლო ათეისტური ფილოსოფია, მათი აზრით, ანტიჰუმანური მოძღვრებაა.

თანამედროვე თეოლოგები მიზნად ისახავენ აჩვენონ რელიგიის უპირატესობანი ყველა სხვა, განსაკუთრებით კი კომუნისტურ სისტემასთან შედარებით. ისინი რელიგიას განიხილავენ, არა როგორც ისტორიულ მოვლენას, არამედ ამ ცნებაში მათ ესმით ადამიანის შინაგანი, თანდაყოლილი განწყობილება, რომლის საფუძველი, მათი აზრით, არის ცნობიერებისათვის მიუღწეველი პირველი მიზეზი ღვთიური საწყისის სახით.

ღვთისმეტყველთა მტკიცებით, ადამიანის პრობლემა, შესაძლებელია, დადებითად გადაწყდეს მხოლოდ რელიგიური მოძღვრების საფუძველზე. ეს პოზიცია ნათლად გამოიკვეთა ვატიკანის II საეკლესიო კრებაზე, სადაც თომა აკვინელის ფილოსოფია დაედო საფუძვლად ცნობილ კონსტიტუციას — „ეკლესიის შესახებ თანამედროვე მსოფლიოში". ამ კონსტიტუციის არსი რელიგიური მოძღვრების ჭეშმარიტების დასაბუთებასა და ყოველი სხვა იდეოლოგიის, მათ შორის, განსაკუთრებით, კომუნისტური იდეის უარყოფაშია.

თუმცა უნდა აღინიშნოს ის, რომ ანტიკომუნიზმის ძველებური საეკლესიო კურსი უკანასკნელ პერიოდში შეცვალა კომუნისტური მოძღვრებისადმი ლოიალური დამოკიდებულების კურსმა, რაც არაერთხელ ფიგურირებს საეკლესიო კრებების გადაწყვეტილებებსა და ეკლესიის მამათა გამოსვლებში. ეს შემთხვევითი არაა, — იგი მარქსისტული იდეის საყოველთაო ავტორიტეტმა განსაზღვრა. ვატიკანის მეორე კრების ერთ-ერთ სქემაში კი ნათქვამია, რომ ყველა ადამიანი —მორწმუნე და არამორწმუნე, უნდა აშენებდეს იმ ქვეყანას, რომელშიც ისინი ცხოვრობენ.

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელ პერიოდში ეკლესიამ გადააფასა ძველი პოზიციები, პაპობა და მსოფლიო ეპისკოპატი სრულებითაც არ იღებს ხელს კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე. მაგრამ

ძალადობის პოზიციებიდან ისინი გადადიან დიალოგის პოზიციაზე, იდეათა ბრძოლის პოზიციაზე. კლერიკალური წრეების მარქსიზმთან დიალოგში ხედავენ მარქსიზმის იდეოლოგიური განიარაღების საშუალებას.

უნდა აღინიშნოს, რომ საზღვარგარეთ გამოსული ნაშრომების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი კომუნისტური და რელიგიური მსოფლმხედველობის ურთიერთობის გარკვევას ისახავს მიზნად და ამ ნაშრომთა ბევრი ავტორი კომუნიზმისა და რელიგიის ახლო კავშირის დასაბუთებას ცდილობს. უნდა დავადასტუროთ, როგორც ფაქტი, რომ ზოგიერთი მათგანი ამ მოღვაწეობაში გულწრფელი მოსაზრებებით ხელმძღვანელობს, ღრმად სჯერა თავისი შეხედულებების ჭეშმარიტება და კეთილშობილურ მიზნებს ისახავს. მაგრამ მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც ამ ორი იდეის შეთანხმების აღიარებით, პრიორიტეტს რელიგიურ იდეას ანიჭებენ, მის მომავალზე ფიქრობენ.

თანამედროვე თეოლოგები მარქსიზმს ხშირად აიგივებენ ვულგარული მატერიალიზმის ყველაზე უხეშ ნაირსახეობასთან და მას უპირისპირებენ რელიგიას. ცდილობენ, საქმე ისე წარმოადგინონ თითქოს მარქსიზმის მიხედვით, საბოლოო მიზნის მიღწევა არაა დამოკიდებული ადამიანის მოღვაწეობაზე, მაშინ როცა სწორედ მარქსიზმი აკისრებს ადამიანს სამყაროს ახსნისა და მისი რევოლუციურად გარდაქმნის დიად მისიას, რადგან მარქსიზმი განუყოფელია მეცნიერებისაგან.

მარქსიზმის კლასიკოსთა ათეისტურმა მემკვიდრეობამ უდიდესი ისტორიული მისია შეასრულა, მაგრამ იგი ისტორიული საკუთრება როდია. იგი დღესაც ყველაზე სანდო იარაღია ყოველგვარი დრომოჭმული, რეაქციული, თეოლოგიური და რევიზიონისტული იდეოლოგიის წინააღმდეგ. იგი ყოვლადძლიერია, რადგან სწორია. ამ მდიდარ თეორიულ მემკვიდრეობას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში მეცნიერულ-ათეისტური აღზრდის სისტემის სწორი, მეცნიერული ორგანიზაციის საქმეშიც. ეს მოძღვრება ყოველგვარი რელიგიური, მისტიკური თეორიების საწინააღმდეგოდ ადამიანში განამტკიცებს ამქვეყნიური, უმაღლესი იდეალებისადმი რწმენას, რომელიც დიადი, საკაცობრიო საქმეების პრაქტიკულად განხორციელებას უწყობს ხელს.

მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიური შეხედულებების დაძლევას უშუალოდ უკავშირდება იმ საზოგადოებრივ წყობილებას, რომელიც რელიგიას კვებავს. ამიტომ იგი რელიგიის კრიტიკის სიტყვიერი ფორმიდან ნამდვილ პრაქტიკულ მოქმედებას მოითხოვდა.

მარქსისტულ-ლენინური ათეისტური მოძღვრება განსაკუთრებით უნდა გამოვიყენოთ დღეს, როცა ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმ-

დეგენი ფართოდ ავრცელებენ შეხედულებას ჩვენს ქვეყანაში ეგრეთ წოდებულ „რელიგიურ რენესანსზე“, რომელმაც თითქოს მოიცვა საბჭოთა ხალხი. ეკლესიის მსახურნი რელიგიის საყოველთაო, გლობალური კრიზისის ვითარებაში ცდილობენ მოახდინონ ტრადიციულ რელიგიურ შეხედულებათა მოდერნიზაცია, თანამედროვეობას შეუთავსონ საკულტო პრაქტიკა, დაასაბუთონ რელიგიის დადებითი როლი ისტორიულ პროცესში, მისი განსაკუთრებული ზნეობრივი შინაარსი, ნაციონალურ და კულტურულ ტრადიციათა ერთადერთი დამცველის ფუნქცია. კულტის მსახურნი ყველა ღონეს ხმარობენ, რათა ადამიანები ეკლესიისაკენ შემოაბრუნონ, ამისათვის ისინი იყენებენ ოფიციალურ ქადაგებებს, საუბრებს, ინფორმაციის ხელმისაწვდომ საშუალებებს, მიდიან გარკვეულ კომპრომისზე. ეკლესიებში იქმნება სპეციალური ინსტრუქციები ადამიანთა სულიერი დამუშავებისათვის. სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად, ამის შედეგიცაა, რომ მშრომელთა მცირე, მაგრამ გარკვეული ნაწილი რელიგიური რწმენის ანდა ცრუმორწმუნეობის ტყვეობაშია. ჩვენს ქვეყანაში ჩატარებული სოციოლოგიური გამოკვლევები გვიჩვენებს, რომ მშრომელთა აბსოლუტური უმრავლესობა თავისუფალია რელიგიური რწმენისაგან, მაგრამ, ამასთან ერთად, ასევე გარკვეული ნაწილი იჩენს მსოფლმხედველობრივ ინდიფერენტიზმს რელიგიისა და ათეიზმისადმი.

მშრომელთა მეცნიერულ-ათეისტური აღზრდისა და ათეისტური პროპაგანდის გაუმჯობესების საქმეში მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ათეისტური მემკვიდრეობის გაცნობას, რომელიც წინამდებარე ქრესტომათიის სახით გამოდის, უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ამგვარი ქრესტომათია პირველად მომზადდა ქართულ ენაზე, ამიტომ იგი არ იქნება სრული და დაზღვეული ხარვეზებისაგან, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ ამ სახითაც დიდი დახმარების გაწევა შეუძლია პროპაგანდისტების, სტუდენტებისა და მეცნიერული ათეიზმის საკითხებით დაინტერესებული ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

ო. გაბიძაშვილი

I თავი

რელიგია — როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა

1. რელიგია — ადამიანის გონებაში ბუნებისა და საზოგადოების სტიქიური ძალების ფანტასტიკური ასახვა

მაგრამ ყოველი რელიგია ხომ სხვა არ არის რა, თუ არა მხოლოდ იმ გარეგანი ძალების ფანტასტიკური ანარეკლი ადამიანების თავში, რომლებიც ადამიანების ყოველდღიურ არსებობაზე ბატონობენ; ესაა ანარეკლი, რომელშიც მიწიერი ძალები არამიწიერი ძალების სახეს ღებულობენ. ისტორიის დასაწყისში ამ ანარეკლის ობიექტები, უპირველეს ყოვლისა, ბუნების ძალები იყვნენ, რომლებიც სხვადასხვა ხალხის შემდგომ განვითარებაში მრავალგვარ და მრავალფერად განპირობებას პოულობენ. ეს თავდაპირველი პროცესი, ყოველ შემთხვევაში ინდოევროპული ხალხებისათვის, შედარებითი მითოლოგიის შემწეობით მიკვლეულია მის წარმოშობამდე ინდურ „ვედებში", ხოლო მისი შემდგომი განვითარება დეტალურად გამოკვლეულია ინდოელებში, სპარსელებში, ბერძნებში, რომაელებსა და გერმანელებში, ხოლო რამდენადაც მასალა სწვდება, ავრეთვე კელტებში, ლიტოველებსა და სლავიანებში. მაგრამ ჩქარა ბუნების ძალების გვერდით მოქმედებას იწყებენ საზოგადოებრივი ძალებიც, რომლებიც ისევე უცხო და თავდაპირველად გამოუცნობი არიან ადამიანისათვის, ისევე უპირისპირდებიან მას, ისეთივე მოჩვენებითი ბუნებრივი აუცილებლობით ბატონობენ მასზე, როგორც თვით ბუნების ძალები. ფანტასტიკური სახეები, რომლებშიც თავდაპირველად მხოლოდ ბუნების საიდუმლოებით აღსავსე ძალები ისახებოდნენ, ახლა საზოგადოებრივ ატრიბუტებსაც იძენენ, ისტორიული ძალების წარმომადგენლები ხდე-

ბიან [1]. განვითარების შემდგომ საფეხურზე მრავალი ღმერთის ყველა ბუნებრივი და საზოგადოებრივი ატრიბუტი გადაიტანეს ერთ ყოველისშემძლე ღმერთზე, რომელიც თავის მხრივ თვით აბსტრაქტული ადამიანის ანარეკლია. ასე წარმოსდგა მონოთეიზმი, რომელიც ისტორიულად უფრო გვიანდელი ეპოქის ბერძნული ვულგარული ფილოსოფიის უკანასკნელი პროდუქტი იყო და იუდეველთა, განსაკუთრებით ეროვნულ ღმერთში — იეჰოვაში ჰპოვა თავისი განხორციელება. ამ გამოსაყენებლად მარჯვე და ყველაფრის ადვილად შემგუებელ სახეში რელიგიამ შეიძლება თავისი არსებობა განაგრძოს როგორც ადამიანთა უშუალო, ე. ი. გრძნობიერმა დამოკიდებულებამ მათზე გაბატონებული უცხო, ბუნებრივი და საზოგადოებრივი ძალებისადმი, სანამ ადამიანები ფაქტიურად ასეთი ძალების ბატონობის ქვეშ იმყოფებიან.

მაშასადამე, ისტორიის ეს გაგება მდგომარეობს იმაში, რომ მან, სახელდობრ უშუალო ცხოვრების მატერიალური წარმოებიდან გამოსულმა, ახსნას წარმოების ნამდვილი პროცესი და წარმოების ამ წესთან დაკავშირებული და მის მიერ წარმოშობილი ფორმა კავშირურთიერთობისა, მაშასადამე, სამოქალაქო საზოგადოება მის სხვადასხვა საფეხურზე გაიგოს როგორც საფუძველი მთელი ისტორიისა და დახატოს იგი მის მოქმედებაში როგორც სახელმწიფო და აგრეთვე ახსნას მისგან ცნობიერების ყველა სხვადასხვა თეორიული წარმონაშობი და ფორმა, რელიგია, ფილოსოფია, მორალი და სხვ., გამოიკვლიოს ამ სხვადასხვა საფეხურიდან მათი წარმოშობის პროცესი, რის წყალობითაც. რასაკვირველია, შეიძლება გამოხატულ იქნეს აგრეთვე საგანი მის ტოტალობაში (და ამიტომ აგრეთვე მის სხვადასხვა მხარეთა ურთიერთქმედობაც). ისტორიის ეს გაგება არაა იძულებული ეძიოს ყოველ პერიოდში, ისე როგორც ამას ისტორიის იდეალისტური გაგება სჩადის, რაიმე კატეგორია, არამედ იგი რჩება მუდმივად ნამდვილი ისტორიის ნიადაგზე, არ ხსნის პრაქტიკას იდეით, არაქედ იდეურ ფორმაციებს ხსნის მატერიალური პრაქტიკით და ამის

---

[1] ეს უფრო გვიან ჩამოყალიბებული ორმაგი ხასიათი ღმერთების სახეებისა ვერ შეამჩნია შედარებითმა მითოლოგიამ, რომელიც მათ ცალმხრივად ახასიათებს როგორც ბუნებრივი ძალების ანარეკლთ, და ამან შემდეგ დიდი არევ-დარევა გამოიწვია მითოლოგიებში. ასე, მაგალითად, ზოგიერთ გერმანულ ტომში ომის ღმერთს ძველ სკანდინავიურად ტირი ჰქვია, ძველ ზემო-გერმანულად ციო, მაშასადამე, იგი შეესაბამება ბერძნულ ზევსს, ლათინურ იუპიტერს, ნაცვლად დიუ-პიტერისა; სხვა ტომებში იმავე ღმერთს ერ, ეორ ჰქვია, მაშასადამე შეესაბამება ბერძნულ არესს, ლათინურ მარსს. [ენგელსის შენიშვნა].

ფ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 378—379, სახელგამი, 1952.

შესაბამისად მიდის იმ შედეგამდე, რომ ცნობიერების ყველა ფორმა და პროდუქტი შეიძლება მოსპობილ იქნას არა სულიერი კრიტიკით, არა „თვითცნობიერებაში“ მათი განზავებით ანდა „მოჩვენებად“, „აჩრდილად“, „უცნაურობად“ და სხვ. გადაქცევით, არამედ იმ რეალურ საზოგადოებრივ ურთიერთობათა პრაქტიკული დამხობით, რომლებიდანაც მთელი ეს იდეალისტური ჩმახვა წარმოსდგა, — იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ისტორიის, აგრეთვე რელიგიის, ფილოსოფიის და ყოველი სხვა თეორიის მამოძრავებელი ძალა არის არა კრიტიკა, არამედ რევოლუცია. იგი გვიჩვენებს, რომ ისტორია არ თავდება იმით, რომ გაიხსნება „თვითცნობიერებაში“ როგორც „სული სულისაგან“, არამედ გვიჩვენებს იმას, რომ ისტორიაში მოცემულია ყოველ საფეხურზე ერთგვარი მატერიალური შედეგი, საწარმოო ძალთა განსაზღვრული ჯამი, ერთგვარი ისტორიულად შექმნილი დამოკიდებულება ბუნებისადმი და ინდივიდებისა ერთიმეორისადმი, რაც ყოველ თაობას წინამავალი თაობის მიერ გადაეცემა ხოლმე, მოცემულია საწარმოო ძალთა, კაპიტალთა და გარემოებათა განსაზღვრული მასა, რომელიც, ერთი მხრით, ახალი თაობის ხელში სახეს იცვლის, მაგრამ, მეორე მხრით, ამ თაობას უწესებს მის საკუთარ საარსებო პირობებს და მას გარკვეულ განვითარებასა და სპეციალურ ხასიათს აძლევს; იგი გვიჩვენებს, მაშასადამე, რომ გარემოებანი იმდენადვე ჰქმნიან ადამიანებს, რამდენადაც ადამიანები ჰქმნიან გარემოებებს. საწარმოო ძალთა, კაპიტალთა და კავშირურთიერთობის სოციალური ფორმების ეს ჯამი, რომელსაც ყოველი ინდივიდი და ყოველი თაობა პოულობს როგორც რაიმე მოცემულს, რეალური საფუძველია იმისა, რაც ფილოსოფოსებს წარმოედგინათ „სუბსტანციის“ სახით და „ადამიანის არსის“ სახით, რასაც ისინი აღმერთებდნენ და რასაც ებრძოდნენ, — რეალური საფუძველი, რომლის მოქმედებასა და გავლენასაც ადამიანთა განვითარებაზე სრულიადაც არ უშლის ხელს ის გარემოება, რომ ეს ფილოსოფოსები ჯანყდებიან მის წინააღმდეგ როგორც „თვითცნობიერება“ და „ერთადერთნი“[1]. ცხოვრების ეს პირობები, რომელთაც სხვადასხვა თაობანი მზად ნახულობენ, სწყვეტენ აგრეთვე იმასაც, იქნება თუ არა რევოლუციური შენძრევა, რომელიც პერიოდულად მეორდება ისტორიაში, საკმაოდ ძლიერი იმისათვის, რომ დაანგრიოს ყოველივე არსებულის საფუძველი; და თუ არ იქნება მოცემული მთლიანი გადატრიალების ეს მატერიალური ელემენტები, სახელდობრ, ერთი მხრით, არსებული საწარმოო ძალე-

ბი, ხოლო, მეორე მხრით, შექმნა რევოლუციური მასისა, რომელიც ჯანყდება აქამდე არსებული საზოგადოების არა მარტო ცალკეული მხარეების წინააღმდეგ, არამედ თვით დღემდე არსებული „ცხოვრების წარმოების“ წინააღმდეგაც, იმ „მთელი მოქმედების“ წინააღმდეგ, რომელზედაც იგი დაფუძნებული იყო, — თუ ეს მატერიალური ელემენტები არაა, მაშინ, როგორც ამას კომუნიზმის ისტორია ამტკიცებს, პრაქტიკული განვითარებისათვის სრულიად უმნიშვნელოა, ამ გადატრიალების ი დ ე ა უკვე ასჯერ იყო გამოთქმული, თუ არა.

ისტორიის მთელი წინანდელი გაგება ან სრულიად უყურადღებოდ სტოვებდა ისტორიის ამ ნამდვილ საფუძველს, ანდა განიხილავდა მას როგორც მეორეხარისხოვან საქმეს, რომელსაც სრულიად არა აქვს კავშირი ისტორიულ პროცესთან. ამიტომ ისტორია მუდამ უნდა ეწერათ მის გარეშე მდებარე მასშტაბის მიხედვით; ცხოვრების ნამდვილი წარმოება გვეელინება როგორც წინაისტორიული რამ, მაშინ როდესაც ისტორიული როგორც ჩვეულებრივი ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, განსაკუთრებულად ზექვეყნიური რამ. ამით ისტორიიდან გამორიცხული ხდება ადამიანთა დამოკიდებულება ბუნებისადმი, რაც ბუნებისა და ისტორიის დაპირისპირებას წარმოშობს. ამიტომ ასეთ გაგებას შეეძლო ისტორიაში დაენახა მხოლოდ მთავარი სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მოქმედებანი და რელიგიური და საერთოდ თეორიული ბრძოლები და იძულებული იყო სპეციალურად ყოველ ისტორიულ ეპოქაში ამ ე პ ო ქ ი ს ი ლ უ ზ ი ე ბ ი გ ა ე ზ ი ა რ ე ბ ი ნ ა. ასე, მაგალითად, თუ რომელიმე ეპოქა წარმოიდგენს, რომ იგი განისაზღვრება წმინდა „პოლიტიკური“ ან „რელიგიური“ მოტივებით, თუმცა „რელიგია“ და „პოლიტიკა“ მისი ნამდვილი მოტივების მხოლოდ ფორმებია, — მაშინ მისი ისტორიკოსი აღიარებს ამ შეხედულებას. ამ განსაზღვრულ ადამიანთა „წარმოსახვა“, „წარმოდგენა“ მათი ნამდვილი პრაქტიკის შესახებ გადაიქცევა ერთადერთ განმსაზღვრელ და აქტიურ ძალად, რომელიც ბატონობს ამ ადამიანთა პრაქტიკაზე და განსაზღვრავს მას. თუ პრიმიტიული ფორმა, რომელშიც ინდოელებთან და ეგვიპტელებთან შრომის დანაწილება ხდება, კასტურ წყობილებას იცავს ამ ხალხთა სახელმწიფოსა და რელიგიაში, მაშინ ისტორიკოსი ფიქრობს, რომ კასტური წყობილება არის ის ძალა, რომელმაც ეს პრიმიტიული საზოგადოებრივი ფორმა წარმოშვა. მაშინ როდესაც ფრანგები და ინგლისელები ხელს სჭიდებენ, ყოველ შემთხვევაში პოლიტიკურ ილუზიას, რომელიც სინამდვილესთან მაინც ყველაზე ახლოსაა, გერმანელები „წმინდა სულის“ სფეროში ტრიალებენ და რელიგიურ ილუზიას ისტორიის მამოძრავებელ ძალად აქცევენ. ისტორიის ჰეგელიანური ფილოსოფია, — ეს არის უკანასკნელი, თავის „წმინდა გამოხატულებამდე“ მიყვანილი დასკვნა ამ მთელი

გერმანული ისტორიოგრაფიისა, რომლისთვისაც მთელი საქმე მდგომარეობს არა ნამდვილ, არა თვით პოლიტიკურ ინტერესებშიც კი, არამედ წმინდა აზრებში, რომლებიც შემდეგში წმინდა ბრუნოსაც წარმოუდგება მთელი რიგი „აზრების“ სახით, რომელთაგან ერთი მეორეს ნთქავს და ბოლოს „თვით ცნობიერებაში“ ჰქრება[2]. კიდევ უფრო თანმიმდევრულია ეს მდგომარეობა წმინდა მაქს შტირნერთან, რომელმაც სრულიად არაფერი იცის ნამდვილი ისტორიის შესახებ, და რომელსაც ეს ისტორიული პროცესი უნდა მოსჩვენებოდა უბრალოდ „რაინდების“, ყაჩაღებისა, და აჩრდილთა ისტორიად, რომლის მოჩვენებათაგან მას, რასაკვირველია, თავის შველა მხოლოდ „უღვთოობის“ საშუალებით შეუძლია. ეს გაგება მართლა რელიგიურია, იგი რელიგიურ ადამიანს გულისხმობს პირველადამიანად, რომლიდანაც მომდინარეობს ყოველი ისტორია, და თავის წარმოდგენაში ცხოვრების საშუალებებისა და თვით ცხოვრების ნამდვილი წარმოების ადგილზე ფანტაზიათა რელიგიური წარმოება გამოჰყავს. ისტორიის მთელი ეს გაგება მთელი თავისი დაშლით და აქედან გამომდინარე ეჭვებითა და ყოყმანით მხოლოდ გერმანელთა ნ ა ც ი ო ნ ა ლ უ რ ი საქმეა და მას მხოლოდ ლ ო კ ა ლ უ რ ი ინტერესი აქვს გერმანიისათვის; ასეთია, მაგალითად, მნიშვნელოვანი, უკანასკნელ დროს არაერთხელ განხილული საკითხი: როგორ შეიძლება, სწორედ რომ ვთქვათ, „ღმერთის სამეფოდან ადამიანთა სამეფოში მოხვედრა“, თითქოს ამ „ღმერთის სამეფოს“ ეარსებნოს ოდესმე სხვაგან და არა წარმოსახვაში, ხოლო „სწავლულ“ ვაუბატონებს არ ეცხოვროთ მუდამ — თვითონაც არ იცოდნენ რა ამის შესახებ — „ადამიანთა სამეფოში“, რომლისკენაც ახლა ეძებენ ისინი გზას, და თითქოს მეცნიერული გართობა, — ვინაიდან ეს სხვა არაფერია, თუ არ გართობა, რომელსაც მიზნად აქვს ახსნას თეორიულ ბურუსთა ამ შექმნის კურიოზულობა, — არ მდგომარეობდეს, პირიქით, სწორედ იმაში, რომ დაამტკიცოს მათი წარმოშობა ნამდვილი ამქვეყნიური ურთიერთობებიდან. საერთოდ ამ გერმანელებისათვის საკითხი მუდამ იმაში მდგომარეობს, რომ არსებული უაზრობა რაიმე სხვა უცნაურობად გადააქციონ, ე. ი. იგულისხმონ, რომ მთელ ამ უაზრობას საერთოდ აქვს რაღაც განსაკუთრებული ა ზ რ ი, რომელიც უნდა გამოიძებნოს, მაშინ როდესაც მთელი საქმე მხოლოდ იმას ეხება, რომ ეს თეორიული ფრაზები ახსნილ იქნას არსებული ნამდვილი ურთიერთობებიდან. ამ ფრაზების ნამდვილი, პრაქტიკული მოსპობა, ამ წარმოდგენათა აღმოფხვრა ადამიანთა ცნობიერებიდან ხდება, როგორც უკვე ითქვა,

---

[2] მარქსის კიდურშენიშვნა: „ეგრეთწოდებული ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ისტორიოგრაფია მდგომარეობდა სწორედ იმაში, რომ ისტორიული ურთიერთობანი მოქმედებისაგან გამოთიშულად განეხილათ. რეაქციული ხასიათი“ რ ე დ.

გარემოებათა შეცვლით და არა თეორიულ დედუქციათა მეოხებით. ადამიანთა მასისათვის ე. ი. პროლეტარიატისათვის, ეს თეორიული წარმოდგენანი არ არსებობენ, მაშასადამე, არც საჭიროებენ მის მიმართ მოსპობას, ხოლო თუ ამ მასას ოდესმე ჰქონდა რაიმე თეორიული წარმოდგენანი, მაგალითად, რელიგია, ისინი უკვე დიდიხანია მოსპობილი არიან გარემოებებით.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. გერმანული იდეოლოგია. გვ. 41—46.

2. რელიგია — ხალხის ოპიუმი

გერმანიისათვის რელიგიის კრიტიკა არსებითად დამთავრებულია, ხოლო რელიგიის კრიტიკა ყველა კრიტიკის წინამძღვარია.

ცთომილების ამქვეყნიური არსებობა სახელგატეხილია, მას შემდეგ რაც მისი ზეციური oratio proaris es focis[3] უკუგდებულია. ადამიანს, რომელმაც ზეცის ფანტასტიკურ სინამდვილეში, სადაც ის ზეკაცს ეძებდა, მხოლოდ თავისი თავის ანარეკლი იპოვა, მიდრეკილება აღარ ექნება მხოლოდ თავისი თავის მოჩვენება, მხოლოდ ურჩხული იპოვოს იქ, სადაც ის თავის ჭეშმარიტ სინამდვილეს ეძებს და უნდა ეძებოს.

არარელიგიური კრიტიკის საფუძველია: ადამიანი ქმნის რელიგიას, რელიგია არ ქმნის ადამიანს. სახელდობრ, რელიგია არის თვითცნობიერება და თვითგრძნობა ადამიანისა, რომელსაც თავისი თავი ან ჯერ კიდევ არ მოუპოვებია, ანდა იგი კვლავ დაუკარგავს. მაგრამ ადამიანი — ეს აბსტრაქტული, ქვეყნის გარეთ მსუფევი არსება როდია. ადამიანი, ეს არის სამყარო ადამიანისა, სახელმწიფო, საზოგადოება. ეს სახელმწიფო, ეს საზოგადოება ქმნის რელიგიას, სამყაროს უკუღმართ ცნობიერებას, იმიტომ რომ ისინი უკუღმართ სამყაროს წარმოადგენენ. რელიგია არის ზოგადი თეორია ამ სამყაროსი, მისი ენციკლოპედიური კომპენდიუმი, მისი ლოგიკა პოპულარული ფორმით, მისი სპირიტუალისტური point d'honneur[4], მისი ენთუზიაზმი, მისი მორალური სანქცია, მისი საზეიმო დაგვირგვინება, მისი ნუგეშისა და გამართლების საყოველთაო საფუძველი. ის არის ადამიანის არსების ფანტასტიკური განხორციელება, რადგან ადამიანის არსებას არავითარი ჭეშმარიტი სინამდვილე არ გააჩნია. მაშასა-

---

[3] სიტყვა საკურთხევლისა და კერის დასაცავად.

[4] პატიოსნების საკითხი.

დამე, რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლა არაპირდაპირ იმ სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაა, რომლის სულიერი სურნელება რელიგია არის.

რელიგიური სიღატაკე ერთსა და იმავე დროს არის გამოხატულება ნამდვილი სიღატაკისა და პროტესტი ნამდვილი სიღატაკის წინააღმდეგ. რელიგია არის ჩაგრულ ქმნილებათა ამოოხვერა, უგულო ქვეყნის სული და გულია; ისე როგორც იგი არის სული უსულო მდგომარეობათა. ის ოპიუმია ხალხისა.

გაუქმება რელიგიისა, როგორც ხალხის ილუზორული ბედნიერებისა, ამ ხალხის ნამდვილი ბედნიერების მოთხოვნაა, მოთხოვნა თავის მდგომარეობის შესახებ არსებულ ილუზიებზე ხელის აღებისა, ესაა მოთხოვნა ისეთ მდგომარეობაზე ხელის აღებისა, რომელიც ილუზიებს საჭიროებს. რელიგიის კრიტიკა, მაშასადამე, ჩანასახში კრიტიკაა გლოვის ველისა, რომლის წმინდა შარავანდედი რელიგიაა.

კრიტიკამ ბორკილებს წარმოსახვითი ყვავილები იმისათვის კი არ ჩამოაგლიჯა, რომ ადამიანმა უფანტაზიო, უნუგეშო ბორკილები ატაროს, არამედ იმისთვის, რომ მან ბორკილები მოიხსნას და ცოცხალი ყვავილი მოსწყვიტოს. რელიგიის კრიტიკა გულს უტეხავს ადამიანს, რათა მან იაზროვნოს, იმოქმედოს, თავისი სინამდვილე გააფორმოს როგორც გულგატეხილმა, გონს მოსულმა ადამიანმა, რათა მან თვით თავისი თავისა და თავისი ნამდვილი მზის ირგვლივ იმოძრაოს. რელიგია მხოლოდ ილუზორული მზეა, რომელიც ადამიანის გარშემო მოძრაობს მანამდე, სანამ იგი თავის თავის გარშემო მოძრაობას დაიწყებდეს.

მაშასადამე, ისტორიის ამოცანაა, მას შემდეგ რაც ჭეშმარიტების იმქვეყნიურობა გაქრა, ამქვეყნიურობის ჭეშმარიტება დაამყაროს. უწინარეს ყოვლისა ისტორიის სამსახურში მყოფი ფილოსოფიის ამოცანაა, მას შემდეგ რაც ადამიანის თვითგანრიდების წმინდა სახე გამომჟღავნებულია, თვითგანრიდება მის უწმინდურ სახეებში გამოამჟღავნოს. ამით ზეცის კრიტიკა მიწის კრიტიკად იქცევა. რელიგიის კრიტიკა — სამართლის კრიტიკად, თეოლოგიის კრიტიკა — პოლიტიკის კრიტიკად.

კ. მარქსი. ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი. გვ. 3—5.

3. რელიგიური გაუცხოვების სოციალური ბუნება

ფოიერბახი გამოდის რელიგიური თვითგასხვისების, ქვეყნიერების გაორების ფაქტიდან რელიგიურ, წარმოდგენაში არსებულ ქვეყნად და ნამდვილ ქვეყნად. მისი მუშაობა იქითაა მიმართული, რომ რელიგიური ქვეყნიერება მის მიწიერ საფუძველზე დაიყვანოს. იგი ვერ ამჩნევს, რომ ამ მუშაობის შესრულების შემდეგ მთავარი საქმე მაინც გასაკეთებელი რჩება. სახელდობრ, ის გარემოება, რომ მიწიერი საფუძველი თავის თავს შორდება და დამოუკიდებელი სამეფოს სახით ღრუბლებში მყარდება, შეიძლება აიხსნას სწორედ ამ მიწიერი საფუძვლის თვითგათიშვითა და თვითწინააღმდეგობით. ამრიგად, ეს უკანასკნელი, ერთი მხრივ, თვით უნდა იქნეს გაგებული მის თვითწინააღმდეგობაში, ხოლო შემდეგ პრაქტიკულად გარევოლუციურებულ იქნეს ამ წინააღმდეგობის აცილების გზით. მაშასადამე, მას შემდეგ, რაც, მაგალითად, ამქვეყნიურ ოჯახში აღმოვაჩინეთ წმინდა ოჯახის საიდუმლოება, იგი, ე. ი. ამქვეყნიური ოჯახი, თეორიულად უნდა გავაკრიტიკოთ და პრაქტიკულად რევოლუციურად გარდავქმნათ.

...ფოიერბახს რელიგური არსება ა დ ა მ ი ა ნ უ რ არსებაზე დაჰყავს. მაგრამ ადამიანური არსება როდია აბსტრაქტი, რომელიც ცალკე ინდივიდში ცხოვრობს. თავის სინამდვილეში იგი საზოგადოებრივი ურთიერთობების ერთობლიობაა.

ამიტომ ფოიერბახი, რომელიც ამ ნამდვილი არსების კრიტიკას არ აწარმოებს, იძულებულია:

1. განყენება მოახდინოს ისტორიული მსვლელობისაგან, ფიქსაცია უყოს რელიგიურ გრძნობას (Gemüt) თავისთავად და ადამიანური ინდივიდი იგულისხმოს აბსტრაქტულად, ი ზ ო ლ ი რ ე ბ უ ლ ა დ.

2. ამიტომ ადამიანური არსება, მისი აზრით, შეიძლება გაგებულ იქნეს მხოლოდ როგორც „მოდგმა", როგორც შინაგანი, მუნჯი ერთობლიობა, რომელიც მხოლოდ ბ უ ნ ე ბ რ ი ვ ა დ აკავშირებს მრავალ ინდივიდს.

...ამიტომ ფოიერბახი ვერ ხედავს, რომ თვით „რელიგიური გრძნობა" ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი პ რ ო დ უ ქ ტ ი ა და რომ განყენებული პიროვნება, რომელსაც იგი ანალიზს უკეთებს, სინამდვილეში საზოგადოების განსაზღვრულ ფორმას ეკუთვნის.

კ. მ ა რ ქ ს ი, თეზისები ფოიერბახის შესახებ, რჩ. ნაწ. II ტ.
კ. მ ა რ ქ ს ი ს და ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი ს, რჩ. ნაწ., II ტ. გვ. 485—486, თბ., 1950.

4. რელიგიის ფესვები და სოციალური ფუნქცია

მთელი თანამედროვე საზოგადოება აგებულია მუშათა კლასის უდიდესი მასების ექსპლოატაციაზე მოსახლეობის სულ უმნიშვნელო უმცირესობის მიერ, რომელიც მიწათმფლობელთა და კაპიტალისტთა კლასს ეკუთვნის. ეს საზოგადოება მონათმფლობელურია, ვინაიდან კაპიტალისათვის მთელ სიცოცხლეში მომუშავე „თავისუფალ“ მუშებს „უფლება აქვთ“ მხოლოდ ისეთ საარსებო საშუალებებზე, რაც აუცილებელია მოგების შემქმნელი მონების შესანახად, კაპიტალისტური მონობის უზრუნველყოფისა და მარადისობისათვის.

მუშების ეკონომიური ჩაგვრა უცილობლად იწვევს და წარმოშობს ყოველგვარი სახის პოლიტიკურ ჩაგვრას, სოციალურ დაბეჩავებას, მასების სულიერი და ზნეობრივი ცხოვრების გატლანქებასა და დაჩნელებას. მუშებს შეუძლიათ მეტ-ნაკლები პოლიტიკური თავისუფლება მოიპოვონ თავიანთი ეკონომიური განთავისუფლებისათვის საბრძოლველად, მაგრამ ვერავითარი თავისუფლება ვერ იხსნის მათ სიღატაკისა, უმუშევრობისა და ჩაგვრისაგან, სანამ კაპიტალის პატრონობას არ დაამხობენ. რელიგია ერთ-ერთი სახეა სულიერი ჩაგვრისა, რომელიც ყველგან და ყოველ ადგილას ლოდად აწევს შუდამ სხვებისთვის მუშაობით, გაჭირვებითა და მარტოობით დათრგუნული ხალხის მასებს. ექსპლოატირებულ კლასთა უძლურება ექსპლოატატორებთან ბრძოლაში ისევე გარდუვალად წარმოშობს უკეთესი საიქიო ცხოვრების რწმენას, როგორც ველურის უძლურება ბუნებასთან ბრძოლაში წარმოშობს ღმერთთა, ეშმაკთა, სასწაულთა და სხვათა რწმენას. იმას, ვინც მთელ სიცოცხლეში მუშაობს და გაჭირვებულია, რელიგია ასწავლის მორჩილებას და მოთმინებას სააქაო ცხოვრებაში და ანუგეშებს ზეციური ჯილდოს იმედით. ხოლო იმათ, ვინც სხვისი შრომით ცხოვრობს, რელიგია სააქაო ცხოვრებაში ქველმოქმედებას ასწავლის, მთელი მათი ექსპლოატატორული არსებობის გასამართლებლად ძალიან იაფ საშუალებას აწვდის და ხელსაყრელ ფასად აძლევს ზეციური კეთილდღეობის ბილეთებს. რელიგია ხალხის ბანგია. რელიგია სულიერი მათრობელასმაგვარი რამაა, რომელშიც ახრჩობენ კაპიტალის მონები თავიანთ ადამიანურ სახეს, ადამიანის რაოდენადმე ღირსი ცხოვრების მოთხოვნებს.

მაგრამ მონა, რომელსაც თავისი მონობა შეუგნია და თავისი განთავისუფლებისათვის ბრძოლა დაუწყია, სანახევროდ უკვე მონა აღარაა. თანამედროვე შეგნებული მუშა, მსხვილი საფაბრიკო მრეწველობის მიერ აღზრდილი, ქალაქის ცხოვრებით განათლებული, ზიზღით უკუაგდებს რელიგიურ ცრურწმენას; იგი ზეცას ხუცებისა და ბურჟუაზიული მუზმუზელების განკარგულებაში სტოვებს, ხოლო

თვითონ უკეთესი ცხოვრების მოსაპოვებლად იბრძვის აქვე, დედამიწაზე. თანამედროვე პროლეტარიატი სოციალიზმის მხარეზე დგება, სოციალიზმი კი მეცნიერებას იშველიებს რელიგიურ ბურუსთან საბრძოლველად და მუშას საიქიო ცხოვრების რწმენისაგან ათავისუფლებს იმით, რომ რაზმავს მას ამქვეყნიური უკეთესი ცხოვრებისათვის ნამდვილად საბრძოლველად.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. სოციალიზმი და რელიგია. თხ. ტ. 10, გვ. 83—84.

კაუცკიმ მარქსიზმი გაუგონარ გათახსირებამდე მიიყვანა; იგი ნამდვილ ხუცესად გადაიქცა. ხუცესი ა რ ი გ ე ბ ს კაპიტალისტებს გადავიდნენ მშვიდობიან დემოკრატიაზე — და ამას დიალექტიკას უწოდებს: თუ თავდაპირველად იყო თავისუფალი ვაჭრობა, ხოლო შემდეგ მონოპოლიები და იმპერიალიზმი, რატომ არ შეიძლება იყოს „ულტრაიმპერიალიზმი“ და კვლავ თავისუფალი ვაჭრობაო? ხუცესი ა ნ უ გ ე შ ე ბ ს ჩაგრულ მასებს, უხატავს მათ ამ „ულტრაიმპერიალიზმის“ სიკეთეს, თუმცა ეს ხუცესი იმის თქმასაც კი ვერ კისრულობს, „შეიძლება თუ არა განხორციელდეს“ ასეთი რამ! სამართლიანად მიუთითებდა ფეიერბახი ნუგეშის რეაქციულ მნიშვნელობაზე იმათ, ვინც რელიგიას იცავდა იმ საბუთით, რომ რელიგია კაცს ანუგეშებსო: ვინც მონას ანუგეშებს, ნაცვლად იმისა, რომ ააჯანყოს იგი მონობის წინააღმდეგ, ის მონათმფლობელებს ეხმარება.

ყველა და ყოველ მჩაგვრელ კლასს თავისი ბატონობის დასაცავად სჭირდება ორი სოციალური ფუნქცია: ჯალათის ფუნქცია და ხუცესის ფუნქცია. ჯალათმა უნდა ჩაახშოს ჩაგრულთა პროტესტი და აღშფოთება. ხუცესმა უნდა ანუგეშოს ჩაგრულნი, დაუხატოს მათ კლასობრივი ბატონობის შენარჩუნების დროს გაჭირვებისა და მსხვერპლის შემსუბუქების პერსპექტივები (ამის გაკეთება მეტადრე მოსახერხებელია, თუ არ კისრულობ ასეთი პერსპექტივების „განხორციელების შესაძლებლობას“) და ამით შეარიგოს ისინი ამ ბატონობასთან, მოაშლევინოს მათ რევოლუციური მოქმედება, შეარყიოს მათი რევოლუციური განწყობილება, გატეხოს მათი რევოლუციური გამბედაობა. კაუცკიმ მარქსიზმი გადააქცია ყოვლად საზიზღარ და ბრიყვულ კონტრრევოლუციურ თეორიად, ყოვლად ბინძურ ხუცობად.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. II ინტერნაციონალის კრახი. თხ. ტ. 21, გვ. 272.

ომმა არ შეიძლება არ გამოიწვიოს მასებში გრძნობათა ქარიშხალი, რომელიც არღვევს მძინარა ფსიქიკის ჩვეულებრივ მდგომარეობას. და თუ ამ ახალ გრძნობათა ქარიშხალს არ შეესაბამება, ისე შ ე უ ძ ლ ე ბ ე ლ ი ა რევოლუციური ტაქტიკა.

როგორია ამ გრძნობათა მღელვარების მთავარი ნაკადები? 1) ძრწოლა და სასოწარკვეთილება, აქედან — რელიგიის გაძლიერება. ეკლესიები კვლავ გაივსოო — ზეიმობენ რეაქციონერები. „სადაც ტანჯვაა, იქ რელიგიაც არისო", — ამბობს არქირეაქციონერი ბარესი, და ის მართალია. 2) სიძულვილი „მტრისადმი" — გრძნობა, რასაც აღვივებს საგანგებოდ ბურჟუაზია (არა იმდენად ხუცები) და რაც მხოლოდ მისთვისაა ხელსაყრელი ეკონომიურად და პოლიტიკურად. 3) სიძულვილი თ ა ვ ი ს ი მთავრობისადმი და თ ა ვ ი ს ი ბურჟუაზიისადმი — გრძნობა ყველა შეგნებული მუშისა, რომლებსაც, ერთი მხრივ, ესმით, რომ ომი არის იმპერიალიზმის „პოლიტიკის განგრძობა", და რომლებიც მას უპასუხებენ თავიანთი კლასობრივი მტრისადმი თავიანთი სიძულვილის „განგრძობით", ხოლო მეორე მხრივ, ესმით, რომ „ომი ომს" არის უგვანო ფრაზა თ ა ვ ი ს ი მთავრობის წინააღმდეგ რევოლუციის მოუხდენლად.

ვ. ლ ე ნ ი ნ ი. „თავისი მთავრობის დამარცხებაზე იმპერიალისტურ ომში" ტ. 21, გვ. 336—337.

5. რელიგიის სოციალური ფესვების მოსპობა მისი დაძლევის პირობა

რეალური სამყაროს რელიგიური ასახულობა შეიძლება საერთოდ მხოლოდ მაშინ გაქრეს, როცა ადამიანთა პრაქტიკული საყოველდღეო ცხოვრების ურთიერთობა გამოხატული იქნება განუწყვეტლივ როგორც გამჭვირვალე და გონივრული დამოკიდებულება ადამიანებისა ერთიმეორესთან და ბუნებასთან. საზოგადოებრივი ცხოვრების პროცესის, ე. ი. მატერიალური წარმოებითი პროცესის, სახე მხოლოდ მაშინ მოიხსნის თავის მისტიკურ ბურუსიან საბურველს, როცა იგი საზოგადოებრივ კავშირში თავისუფლად გაერთიანებულ ადამიანთა პროდუქტი გახდება და მათს შეგნებულ გეგმაზომიერ კონტროლს დაექვემდებარება. მაგრამ ამისთვის აუცილებელია საზოგადოების მატერიალური საფუძველი ანუ მისი არსებობის მთელი რიგი მატერიალური პირობები, რომელნიც თავის მხრივ ხანგრძლივი და ტანჯვით აღსავსე ისტორიული განვითარების ბუნებრივად აღმოცენებულ შედეგს წარმოადგენენ.

კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი. ტ. I. გვ. 105—106, თბ., 1954.

მაგრამ ჩვენ მრავალჯერ დავინახეთ, რომ თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებაში ადამიანებზე მათ მიერვე შექმნილი ეკონომიური ურთიერთობანი, მათ მიერვე წარმოებული საწარმოო ძალები

ბატონობენ როგორც რაღაც უცხო ძალები. მაშასადამე, არსებობას განაგრძობს რელიგიის როგორც ანარეკლის იდეოლოგიური პროცესის ფაქტიური საფუძველი და ამ საფუძველთან ერთად არსებობას განაგრძობს აგრეთვე მისი ანარეკლი რელიგიაში. და თუ ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიაც კი ნაწილობრივ იძლევა ამ უცხო ძალთა ბატონობის მიზეზობრივი კავშირის გაგებას, ეს არაფერს ცვლის საქმის ვითარებაში. ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას არ შეუძლია არც კრიზისების თავიდან აცილება საზოგადოდ, არც ცალკე კაპიტალისტების დაცვა ზარალისა, უიმედო ვალებისა და გაკოტრებისაგან, არც ცალკეული მუშების ხსნა უმუშევრობისა და სიღატაკისაგან. დღესაც ამბობენ ხოლმე წინანდებურად: კაცი ბჭობდა, ღმერთი (ე. ი. წარმოების კაპიტალისტური წესის უცხო ბატონობა) განაგებდაო. მარტოოდენ შემეცნება, თუნდაც იგი უფრო ფართო და ღრმა იყოს, ვიდრე ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის შემეცნება, საკმაო არ არის იმისთვის, რომ საზოგადოებრივი ძალები საზოგადოების ბატონობას დაემორჩილონ. ამისათვის, უწინარეს ყოვლისა, საზოგადოებრივი მოქმედებაა საჭირო. და როცა ეს მოქმედება შესრულდება, როცა საზოგადოება, მთელი საწარმოო საშუალებების დაპატრონებისა და გეგმაშეფარდებული გამოყენების შემწეობით თავისთავსა და ყველა თავის წევრს იმ მონობისაგან გაანთავისუფლებს, რომელშიც ისინი ამჟამად იმყოფებიან მათ მიერვე წარმოებულ საწარმოო საშუალებათა წყალობით, რომლებიც მას უპირისპირდებიან როგორც უძლეველი უცხო ძალა, მაშასადამე, როცა ადამიანი არა მარტო იაზროვნებს, არამედ აგრეთვე კიდეც განაგებს, მხოლოდ მაშინ გაქრება უკანასკნელი უცხო ძალა, რომელიც დღემდე კიდევ ასახვას პოულობს რელიგიაში და ამასთანავე გაქრება თვით ეს რელიგიური ასახვაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მაშინ აღარაფერი დარჩება ასასახველი.

ფრ. ენგელსი, ანტი-დიურინგი, გვ. 379—380, თბ., 1952.

ნაწილი II

რელიგიის წარმოშობა და მისი ადრეული ფორმები

1. რელიგიის ისტორიისადმი მეცნიერულ-მატერიალისტური მიდგომა

საერთოდ ტექნოლოგიის კრიტიკული ისტორია დაგვიმტკიცებდა, თუ რაოდენ ნაკლებად ეკუთვნის ერთ რომელსამე ცალკეულ პიროვნებას მე-18 საუკუნის ესა თუ ის გამოგონება. მაგრამ დღემდე ასეთი შრომა არ არსებობს. დარვინმა ყურადღება მიაპყრო ბუნებრივი ტექნოლოგიის ისტორიას, ე. ი. მცენარეთა და ცხოველთა იმ ორგანოების წარმოქმნას, რომლებიც მათი სიცოცხლისათვის წარმოების ორგანოების როლს ასრულებენ. განა ასეთივე ყურადღების ღირსი არ არის საზოგადოებრივი ადამიანის მწარმოებლური ორგანოების შექმნის ისტორია, ყოველი განსაკუთრებული საზოგადოებრივი ორგანიზაციის ამ მატერიალური ბაზისის შექმნის ისტორია? და განა ასეთი ისტორიის დაწერა უფრო ადვილი არ იქნებოდა, ვინაიდან, როგორც ვიკო ამბობს, კაცობრიობის ისტორია იმით განირჩევა ბუნების ისტორიისაგან, რომ პირველი შექმნილია ჩვენ მიერ და მეორე კი — არა? ტექნოლოგია ამჟღავნებს ადამიანის აქტიურ დამოკიდებულებას ბუნებისადმი, მისი ცხოვრების უშუალო წარმოების პროცესს და ამით მისი ცხოვრების საზოგადოებრივ ურთიერთობათა და მათგან გამომდინარე გონებრივ წარმოდგენათა წარმოების პროცესსაც. რელიგიის ყოველი ისტორიაც კი, რომელიც აბსტრაჰირებულია ამ მატერიალური ბაზისისაგან, — უკრიტიკოა. სინამდვილეში ბევრად უფრო ადვილია ანალიზის საშუალებით ბუნდოვან რელიგიურ წარმოდგენებში მიწიერი რაობა დაინახო, ვიდრე, პირიქით, — რეალური ცხოვრების არსებული ურთიერთობიდან მისი შესაბამისი რელიგიური ფორმები გამოიყვანო. უკანასკნელი მეთოდი ერთადერთი მატერიალისტური და, მაშასადამე, მეცნიერული მეთოდია. ნაკლი აბსტრაქტული ბუნებისმეცნიერული მატერიალიზმისა, რომელიც ისტორიულ პროცესს გამორიცხავს, უკვე გამოსჩვიეის მის მიმდევართა აბსტრაქტულ და იდეოლოგიურ წარმოდგენებში, როგორც კი ისინი თავიანთი სპეციალობის საზღვრებს სცილდებიან.

კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 471—472, თბ., 1954.

მაშასადამე, ცნობიერება იმთავითვე უკვე საზოგადოებრივი პროდუქტია და ასეთად რჩება, სანამ საერთოდ ადამიანები არსებობენ. ცნობიერება, რასაკვირველია, უწინარეს ყოვლისა არის მხოლოდ შეცნობა უახლოესი გრძნობადი გარემოსი და შეცნობა შეზღუ-

დული კავშირისა იმ ინდივიდის გარეთმყოფ სხვა პირებთან და ნივთებთან, რომელიც თავისი თავის შეცნობას იწყებს; იმავე დროს ეს არის შეცნობა ბუნებისა, რომელიც თავდაპირველად ადამიანებს უპირისპირდება როგორც სრულიად უცხო, ყოვლისშემძლე, მიუწვდომელი ძალა, რომელსაც ადამიანები ეპყრობიან წმინდა ცხოველურად და რომლის წინაშეც ისინი ისევე უმწეონი არიან როგორც პირუტყვი; მაშასადამე, ეს არის წმინდა ცხოველური შეცნობა ბუნებისა (ბუნების რელიგია). აქ ერთბაშად ჩანს, რომ ეს ბუნებრივი რელიგია ანუ ეს განსაზღვრული დამოკიდებულება ბუნებისადმი განპირობებულია საზოგადოებრივი ფორმით, და პირიქით. აქ, ისე როგორც ყველგან, ბუნებისა და ადამიანის იგივეობა მჟღავნდება აგრეთვე იმაში, რომ ადამიანთა შეზღუდული დამოკიდებულება ბუნებისადმი განაპირობებს მათ შეზღუდულ დამოკიდებულებას ერთმანეთისადმი, ხოლო მათი შეზღუდული დამოკიდებულება ერთმანეთისადმი განაპირობებს მათს შეზღუდულ დამოკიდებულებას ბუნებისადმი; ეს სწორედ იმიტომ ხდება, რომ ბუნება ჯერ კიდევ ძლივს თუ არის ისტორიულად გარდაქმნილი, მეორე მხრით კი ჩნდება შეგნება იმისა, რომ აუცილებელია ირგვლივ მყოფ ინდივიდებთან ურთიერთობის დამყარება, დასაწყისი იმის შეგნებისა, რომ ადამიანი საერთოდ საზოგადოებაში ცხოვრობს. ეს დასაწყისი ისევე ცხოველურია, როგორც თვით საზოგადოებრივი ცხოვრება ამ საფეხურზე, იგი წმინდა ჯოგური ცნობიერებაა და ადამიანი განსხვავდება აქ ცხვრისაგან მხოლოდ იმით, რომ ცნობიერება მას ინსტინქტის მაგიერობას უწევს, ანდა მისი ინსტინქტი შეცნობილია. ეს ცხვრისებური ან ტომობრივი ცნობიერება თავის შემდგომ განვითარებასა და სრულყოფილობას პოულობს გადიდებული პროდუქტიულობის, მოთხოვნილებათა ზრდისა და მოსახლეობის იმ გამრავლების წყალობით, რომელიც პირველსაც და მეორესაც საფუძვლად უდევს. ამით ვითარდება შრომის დანაწილება, რომელიც თავდაპირველად იყო მხოლოდ შრომის დანაწილება სქესობრივ აქტში, შემდეგ კი — შრომის დანაწილება, რომელიც ბუნებრივ მიდრეკილებათა (მაგალითად, სხეულის ძალა), მოთხოვნილებათა, შემთხვევათა და სხვ. მეოხებით თავისთავად ანუ „ბუნებრივად" მყარდება. შრომის დანაწილება ნამდვილ დანაწილებად ხდება იმ მომენტიდან, როცა მატერიალური და სულიერი შრომის დანაწილება ჩნდება[1]. ამ მომენტიდან ცნობიერებას შ ე უ ძ ლ ი ა მართლა

---

[1] მარქსის კიდურშენიშვნა: „იდეოლოგთა პირველი ფორმა, ხ უ ც ე ბ ი, ემთხვევა". რ ე დ.

წარმოიდგინოს, რომ იგი სხვა რაიმეა, ვიდრე ცნობიერება არსებული პრაქტიკისა, რომ მას შეუძლია ნამდვილად წარმოიდგინოს რაღაც, რაიმე ნამდვილის წარმოუდგენლად, — ამ მომენტიდან ცნობიერებას ძალუძს განთავისუფლდეს სამყაროსაგან და გადავიდეს „წმინდა" თეორიის, თეოლოგიის, ფილოსოფიის, მორალისა და სხვ. შექმნაზე. მაგრამ თუნდაც რომ ეს თეორია, თეოლოგია, ფილოსოფია, მორალი და სხვ. წინააღმდეგობაში ვარდებოდნენ არსებულ ურთიერთობებთან, ეს შეიძლება მოხდეს მხოლოდ იმის მეოხებით, რომ არსებული საზოგადოებრივი ურთიერთობანი არსებულ საწარმოო ძალასთან წინააღმდეგობაში მოექცა.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, „გერმანული იდეოლოგია", გვ. 31—32.

2. რელიგიური ცნობიერება — ისტორიულად განსაზღვრული საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტი

რელიგია მეტად ადრინდელ, პირველყოფილ ხანაში წარმოიშვა ადამიანის უვიცური, ველური წარმოდგენებიდან თავის თავისა და გარეგანი ბუნების შესახებ. მაგრამ ყოველი იდეოლოგია, რაკი იგი უკვე წარმოშობილია, არსებულ წარმოდგენათა მასალის გამოყენებით ვითარდება და თავის მხრივ მის შემდგომ დამუშავებას იწვევს; უამისოდ იგი არ იქნებოდა იდეოლოგია, ე. ი. მას საქმე არ ექნებოდა აზრებთან როგორც დამოუკიდებელ არსებებთან, რომელნიც დამოუკიდებლად ვითარდებიან და მხოლოდ თავიანთ საკუთარ კანონებს ემორჩილებიან. ადამიანებს შეცნობილი როდი აქვთ, რომ მათ თავში წარმოებული აზროვნების პროცესს ბოლოს ცხოვრების მატერიალური პირობები განსაზღვრავენ. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველ იდეოლოგიას ბოლო მოეღებოდა. ეს პირვანდელი რელიგიური წარმოდგენანი, რომელნიც უმეტეს შემთხვევაში ერთნაირნი არიან მონათესავე ხალხების ჯგუფში, ჯგუფის დაყოფის შემდეგ თვითეულ ხალხში, ცხოვრების პირობების მიხედვით, თავისებურად ვითარდებიან. ეს პროცესი ხალხთა ერთი ჯგუფისთვის, სახელდობრ, არიელებისათვის (ე. წ. ინდოევროპიელებისთვის) შედარებითი მითოლოგიის მიერ დაწვრილებითაა გამოკვლეული. თვითეული ხალხის მიერ შემუშავებული ღმერთები ეროვნული ღმერთები იყვნენ, მათი მეუფება არ სცილდებოდა მათ მიერ დასაცავი ეროვნული ტერიტორიის საზღვრებს, რომ-

ლის იქით სხვა ღმერთების ბრძანებლობა იწყებოდა. ეს ღმერთები ერის წარმოდგენაში არსებობდნენ, სანამ თვით ერი ცხოვრობდა; ისინი ემხობოდნენ ერების დამხობასთან ერთად. ძველი ერების ასეთი დამხობა გამოიწვია რომის მსოფლიო იმპერიამ, რომლის წარმოშობის ეკონომიურ პირობებს აქ ვერ განვიხილავთ. ძველი ნაციონალური ღმერთები ჩამოქვეითდნენ, ეს ბედი არ ასცდა თვით რომაულ ღმერთებს, რომელნიც ქალაქ რომის ვიწრო ზომაზე იყვნენ ვამოჭრილი. მსოფლიო იმპერიის შევსების საჭიროება მსოფლიო რელიგიით აშკარად ჩანს იმაში, რომ რომი შეეცადა შინაური ღმერთების გვერდით ყველა, ცოტად თუ ბევრად პატივსადები უცხო ღმერთის თაყვანისცემა შემოეღო და საკურთხეველი აეგო. მაგრამ იმპერატორების დეკრეტებით შეუძლებელია ახალი მსოფლიო სარწმუნოების შექმნა.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რაკი რელიგია ერთხელ აღმოცენდება, მუდამ შეიცავს წარსულის მიერ ნაანდერძევ მასალას, რადგან იდეოლოგიის ყოველ დარგში ტრადიცია დიდ კონსერვატიულ ძალას წარმოადგენს. მაგრამ ამ მასალაში მომხდარი ცვლილებები გამომდინარეობდნენ იმ ადამიანების კლასობრივი, ე. ი. ეკონომიკური ურთიერთობიდან, რომელნიც ამ ცვლილებებს ახდენენ. აქ ამით დავკმაყოფილდებით.

ფრ. ენგელსი. ლუდვიგ ფოერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრული, გვ. 478—479, 481.
კ. მარქსი, ფრ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტ. II, თბ., 1950.

მაშასადამე, ფაქტი ასეთია: განსაზღვრული ინდივიდები, რომელნიც განსაზღვრული წესის მიხედვით პროდუქტიულად მოქმედებენ, განსაზღვრულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ურთიერთობაში შედიან. ემპირიულმა დაკვირვებამ უნდა გვიჩვენოს ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საზოგადოებრივი და პოლიტიკური წყობილების კავშირი წარმოებასთან ემპირიულად და ყოველი მისტიფიკაციისა და სპეკულაციის გარეშე. საზოგადოებრივი წყობილება და სახელმწიფო მუდამ წარმოიშვება განსაზღვრულ ინდივიდთა საარსებო პროცესიდან; მაგრამ ეს ინდივიდებია არა ისეთები, როგორადაც ისინი შეიძლება მოგვეჩვენონ საკუთარი ან სხვისი წარმოდგენით, არამედ ისეთნი, როგორიც ნამდვილად არიან, ე. ი. იმ სახით, როგორც ისინი მოქმედებენ, მატერიალურად აწარმოებენ, მაშასადამე, როგორც ისინი

განსაზღვრულ მატერიალურ, მათი ნებისაგან დამოუკიდებელ ზღუდეებსა, წანამძღვრებსა და პირობებში მოღვაწეობენ [2].

იდეების, წარმოდგენების, ცნობიერების წარმოება უწინარეს ყოვლისა უშუალოდ შეწნულია ადამიანთა მატერიალურ მოღვაწეობაში და მატერიალურ ურთიერთობაში, რეალური ცხოვრების ენაში. ადამიანთა წარმოდგენა, აზროვნება, სულიერი ურთიერთობა გვეჩვენება აქ ჯერ კიდევ მათი მატერიალური საქმიანობის პირდაპირ ნაყოფად. იგივე ითქმის სულიერ წარმოებაზე, როგორადაც იგი ამა თუ იმ ხალხის პოლიტიკის, კანონების, მორალის, რელიგიის, მეტაფიზიკის და სხვ. ენაში გამოიხატება. ადამიანები არიან თავიანთი წარმოდგენების, იდეების და სხვ. მწარმოებელნი, მაგრამ ნამდვილი, მოქმედი ადამიანები, როგორც ისინი განპირობებულნი არიან თავიანთი საწარმოო ძალებისა და მათი შესაბამისი ურთიერთობის — მის უაღრესად შორეულ ფორმაციებამდე — განსაზღვრული განვითარებით. ცნობიერება (Bewusstsein) არასდროს არ შეიძლება სხვა რამე იყოს, თუ არ შეცნობილი ყოფიერება (das bewusste Sein), ადამიანთა ყოფიერება კი არის მათი ცხოვრების რეალური პროცესი. თუ მთელს იდეოლოგიაში ადამიანები და მათი ურთიერთობანი, როგორც Camera obscura-ში, თავდაყირა დაყენებული გვეჩვენება, ეს მოვლენაც სწორედ ისევე გამომდინარეობს მათი ცხოვრების ისტორიული პროცესიდან, როგორც საგანთა უკუღმა გამოხატულება ბადურაზე მათი ცხოვრების უშუალოდ ფიზიკური პროცესიდან გამომდინარეობს.

სრულიად წინააღმდეგ გერმანული ფილოსოფიისა, რომელიც ციდან მიწაზე ეშვება, ჩვენ აქ მიწიდან ცაში ავდივართ, ე. ი. ჩვენ არ გამოვდივართ იქიდან, რასაც ადამიანები ამბობენ, რაც მათ აზრად მოსდით, რაც მათ წარმოუდგენიათ, ასევე ჩვენ არ გამოვდივართ არც სიტყვიერი, გააზრებული წარმოსახული, წარმოდგენაში არსებული ადამიანებიდან, რათა აქედან ნამდვილ ადამიანებთან მივიდეთ; ჩვენ

---

[2] წაშლილია: „წარმოდგენანი, რომლებსაც ეს ინდივიდები ჰქმნიან, ეს არის, წარმოდგენანი ან ბუნებისადმი მათ დამოკიდებულებაზე, ან ერთმანეთს შორის დამოკიდებულებაზე, ანდა მათს საკუთარ მდგომარეობაზე. ნათელია, რომ ყველა ამ შემთხვევაში ეს წარმოდგენანი მათი ნამდვილი ურთიერთობისა და მოქმედების, მათი წარმოების, მათი კავშირის, მათი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ორგანიზაციის ნამდვილი ან ილუზორული, შეგნებული გამოხატულებაა. წინააღმდეგის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ნამდვილი, მატერიალურად განპირობებული ინდივიდების სულს გარდა კიდევ სხვა რაღაც განსაკუთრებულ სულს ვიგულისხმებთ. თუ ამ ინდივიდების ნამდვილ ურთიერთობათა შეგნებული გამოხატულება ილუზორულია, თუ ისინი თავიანთ წარმოდგენაში თავიანთ სინამდვილეს თავდაყირა აყენებენ, ეს კვლავ მათი მატერიალური მოქმედების წესის შეზღუდულობისა და აქედან გამომდინარე მათი შეზღუდული საზოგადოებრივი ურთიერთობის შედეგია“. რ ე დ.

გამოვდივართ ნამდვილად მოქმედი ადამიანებიდან და მათი ცხოვრების ნამდვილი პროცესიდან გამოგვყავს ამ ცხოვრების პროცესის იდეოლოგიურ ანარეკლთა და გამოძახილთა განვითარებაც. ასევე ბუნდოვანი წარმოქმნანი ადამიანთა ტვინში აუცილებელი სუბლიმატებია (პროდუქტები) მათი მატერიალური საარსებო პროცესისა, რომელიც შეიძლება დადგენილ იქნეს ემპირიულად და რომელიც დაკავშირებულია მატერიალურ წანამძღვრებთან. ამრიგად, მორალი, რელიგია, მეტაფიზიკა და სხვა იდეოლოგია და მათი შესაბამისი ფორმები ცნობიერებისა ჰკარგავენ ამით დამოუკიდებლობის მოჩვენებითობას. მათ არა აქვთ ისტორია, არა აქვთ განვითარება, არამედ ადამიანები, რომელნიც ანვითარებენ თავიანთ მატერიალურ წარმოებას და თავიანთ მატერიალურ ურთიერთობას, ამ თავიანთ სინამდვილესთან ერთად სცვლიან აგრეთვე თავიანთ აზროვნებას და თავიანთი აზროვნების პროდუქტებს. ცნობიერება კი არ განსაზღვრავს ცხოვრებას, არამედ ცხოვრება განსაზღვრავს ცნობიერებას. განხილვის პირველი წესის დროს გამოდიან ცნობიერებიდან როგორც ცოცხალი ინდივიდიდან, მეორე წესის განხილვისას კი, რომელიც ნამდვილ ცხოვრებას შეეფერება, გამოდიან თვით ნამდვილი ცოცხალი ინდივიდებიდან და განიხილავენ ცნობიერებას მხოლოდ როგორც მ ა თ ს ცნობიერებას.

კ. მ ა რ ქ ს ი და ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი, გერმანული იდეოლოგია. გვ. 23—24—25.

ჯერ შრომა, ხოლო მის შემდეგ და მერე კი მასთან ერთად ენა — ეი ის ორი ყველაზე უფრო არსებითი სტიმული, რომელთა ზეგავლენითაც მაიმუნის ტვინი თანდათან იქცა ადამიანის ტვინად, რომელიც მაიმუნის ტვინთან მთელი მსგავსების მიუხედავად, გაცილებით უფრო დიდია და უფრო სრულქმნილი. მაგრამ ტვინის შემდგომ განვითარებასთან ხელიხელჩაკიდებული ხდებოდა მისი უახლოესი იარაღების, გრძნობათა ორგანოების შემდგომი განვითარებაც. ისე, როგორც მეტყველების თანდათანობით განვითარებას აუცილებლად თან სდევს სმენის ორგანოს სათანადო დახვეწა-გაფაქიზება, ასევე ტვინის განვითარებას საერთოდ თან ახლავს ერთობლივ ყველა გრძნობის გაუმჯობესება. არწივი ბევრად უფრო შორს ხედავს, ვიდრე ადამიანი, მაგრამ ადამიანის თვალი ნივთებში გაცილებით მეტს ამჩნევს, ვიდრე არწივის თვალი. ძაღლს გაცილებით უფრო ფაქიზი ყნოსვა აქვს, ვიდრე ადამიანს, მაგრამ იგი ვერ არჩევს იმ სუნთა მეასედ ნაწილსაც კი, რომლებიც ადამიანისათვის სხვადასხვა ნივთის გარკვეულ ნიშნებს წარმოადგენენ. ხოლო შეხების გრძნობა, რომელიც მაიმუნს ძლივს მოეპოვება ყველაზე უფრო უხეში, ჩანასახოვანი ფორმით,

მხოლოდ თვით ადამიანის ხელის განვითარებასთან ერთად, შრომის წყალობით, გამომუშავდა.

ტვინისა და მისდამი დაქვემდებარებული გრძნობების განვითარების, სულ უფრო და უფრო ნათელქმნილი ცნობიერების, აბსტრაქციისა და დასკვნის უნარის განვითარების უკუზეგავლენა შრომასა და ენაზე, ორივეს სულ ახალ-ახალ ბიძგს აძლევდა შემდგომი განვითარებისათვის, რომელიც არამც თუ არ დასრულდა მას შემდეგ, რაც ადამიანი საბოლოოდ მაიმუნს გამოეყო, არამედ მას შემდეგ საერთოდ და მთლიანად მძლავრი ნაბიჯით წავიდა წინ სხვადასხვა ხალხებსა და სხვადასხვა ეპოქაში სხვადასხვა ხარისხითა და მიმართულებით, თუმცა შიგადაშიგ ზოგჯერ წყდებოდა ხოლმე ეს შემდგომი განვითარება ადგილობრივ და დროებით უკუსვლათა გამო; ერთი მხრივ, ამ განვითარებამ მიიღო ახალი მძლავრი ბიძგი, ხოლო, მეორე მხრივ, უფრო გარკვეული მიმართულებით წარიმართა იმის მეოხებით, რომ უკვე დასრულებული ადამიანის გაჩენასთან ერთად წარმოიშვა კიდევ ახალი ელემენტი — ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა.

შრომა იარაღების დამზადებით იწყება. და რას წარმოადგენენ უძველესი იარაღები, რომელთაც ჩვენ ვპოულობთ? — უძველესი იარაღები, თუ ვიმსჯელებთ წინაისტორიულ ადამიანთა მიერ მემკვიდრეობით დატოვებული და ჩვენს მიერ ნახული ნივთების მიხედვით და ყველაზე უფრო ადრინდელი ისტორიული ხალხების, ისევე როგორც ახლანდელი ყველაზე პრიმიტიული ველურების ცხოვრების წესის მიხედვით? ესენი ნადირობისა და მეთევზეობის იარაღებია; პირველნი ამავე დროს საომარი იარაღებიცაა. მაგრამ ნადირობა და თევზის ჭერა მარტოოდენ მცენარეულით საზრდოობიდან ხორცის ჭამაზე გადასვლასაც გულისხმობს; ეს კი კვლავ არსებითი ნაბიჯია ადამიანად გარდაქმნისაკენ. ხ ო რ ც ე უ ლ ი ს ს ა ჭ მ ე ლ ი თითქმის მზა სახით შეიცავდა ყველაზე არსებით მასალას, რომელსაც სხეული საჭიროებს თავის ნივთიერებათა ცვლისათვის; ხორცეულის საჭმელმა მონელებასთან ერთად შეამოკლა სხვა ვეგეტატური, მცენარეული ცხოვრების შესაბამისი პროცესების ხანგრძლივობა სხეულში და ამით უფრო მეტი დრო, მეტი მასალა და ხალისი შეიძინა საკუთრივ ცხოველური (ანიმალური) ცხოვრების აქტიური გამოვლენისათვის. და რამდენადაც უფრო შორდებოდა ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ადამიანი მცენარეს, იმდენად უფრო მეტად მაღლდებოდა იგი ცხოველზედაც. ისე, როგორც ხორცთან ერთად მცენარეულ საჭმელზე მიჩვევამ გარეული კატები და ძაღლები ადამიანის მსახურებად აქცია, ასევე მცენარეულ საჭმელთან ერთად ხორცეულის საჭმელზე მიჩვევამ არსებითად ხელი შეუწყო იმას, რომ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ადამიანს ფიზიკური ძალა და დამოუკიდებლობა მისცემოდა. მაგრამ ყველაზე უფ-

რო არსებითი იყო ხორცეულის საჭმელის გავლენა ტვინზე, რომელ-ნაც ამის გამო ახლა თავის გამოკვებისა და განვითარებისათვის საჭირო მასალა ბევრად უფრო უხვად მიიღო, ვიდრე უწინ იღებდა, და რომელსაც ამიტომ შეეძლო თაობიდან თაობამდე უფრო ჩქარა და უფრო სრულქმნილად განვითარებულიყო. ნება გვიბოძონ ბატონ ვეგეტარიანელებმა განვაცხადოთ, რომ ადამიანი ადამიანად ვერ იქცეოდა ხორცეული საჭმელის გარეშე, და თუ ხორცის ჭამას ჩვენთვის ცნობილ ყველა ხალხში ამა თუ იმ პერიოდში ერთხანს კაციჭამიობაც კი მოჰყვა (ბერლინელების წინაპრები, ველეტაბები ანუ ვილცები, ჯერ კიდევ X საუკუნეში თავიანთ მშობლებს სჭამდნენ), დღეს ამას ჩვენთვის უკვე აღარ შეიძლება რაიმე მნიშვნელობა ჰქონდეს.

ხორცეულის საკვებს მოჰყვა ორი ახალი გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე წინსვლა: ცეცხლის გამოყენება და ცხოველთა მოშინაურება. პირველმა კიდევ უფრო შეამოკლა საჭმლის მონელების პროცესი, ვინაიდან იგი საჭმელს, ასე ვთქვათ, ნახევრად მონელებული სახით აწვდიდა პირს; მეორემ კი ხორცეულის საჭმლის მარაგი კიდევ უფრო გაამდიდრა, ვინაიდან ნადირობის გვერდით მან აღმოაჩინა ახალი წყარო, საიდანაც ამ საჭმლის მიღება უფრო რეგულარულად შეიძლებოდა, და, გარდა ამისა, რძისა და მის ნაწარმების სახით ნივთიერებათა შემადგენლობით ყოველ შემთხვევაში ხორცის ტოლფასი საზრდო-საშუალება მისცა. ამრიგად, ორივე ეს მონაპოვარი უკვე უშუალოდ გადაიქცა ადამიანისათვის ემანსიპაციის ახალ საშუალებად; მათი არაპირდაპირი შედეგების დაწვრილებით განხილვა აქ ძალიან შორს წაგვიყვანდა და მათზე ვერ შევჩერდებით, რაგინდ დიდად მნიშვნელოვანი ყოფილიყვნენ ისინი ადამიანისა და საზოგადოების განვითარებისათვის.

ისევე, როგორც ადამიანმა ყოველივე საჭმელად ვარგისი საკვების ჭამა ისწავლა, ასევე ისწავლა და შეეჩვია იგი ყოველგვარ ჰავაში ცხოვრებასაც. იგი მოედო საცხოვრებლად გამოსადეგ მთელ დედამიწას; ის ერთადერთი ცხოველი იყო, რომელსაც საამისოდ თვით შესწევდა სრული ძალა. სხვა ცხოველებმა, რომლებიც ყოველნაირ ჰავას შეეჩვივნენ, ეს თვითონ კი არ შეითვისეს დამოუკიდებლად, არამედ მხოლოდ ადამიანთან თანხლებით: ასეთები არიან შინაური ცხოველები და პარაზიტი მწერები. ხოლო თავდაპირველი სამშობლოს თანაბრად ცხელი ჰავიდან უფრო ცივ მხარეებში გადასვლამ, სადაც წელიწადი ზამთრად და ზაფხულად იყოფოდა, ახალი საჭიროებანი წარმოშვა: ბინისა და ტანსაცმლის სიცივისა და სინესტისაგან დასაფარავად, მაშასადამე, წარმოიშვა შრომის ახალი დარგები და ამით საქმიანობის ახალი სახეები, რაც კიდევ უფრო აშორებდა ადამიანს ცხოველისაგან.

ხელის, მეტყველების ორგანოებისა და ტვინის ერთობლივი მოქმედებით არა მარტო ცალ-ცალკე, არამედ საზოგადოებაშიც, ადამიანებმა შეიძინეს სულ უფრო და უფრო რთული ოპერაციების შესრულების, უფრო მაღალი მიზნების დასახვისა და მათი მიღწევის უნარი. თვით შრომა თაობიდან თაობამდე სხვანაირი, უფრო სრულქმნილი, უფრო მრავალმხრივი ხდებოდა. ნადირობასა და მესაქონლეობას მიემატა მიწათმოქმედება, ამ უკანასკნელს რთვა და ქსოვა, ლითონის დამუშავება, მეთუნეობა, ნაოსნობა. ვაჭრობისა და ხელოსნობის გვერდით გაჩნდა ბოლოს ხელოვნება და მეცნიერება, ტომებიდან განვითარდნენ ერები და სახელმწიფოები. განვითარდა სამართალი და პოლიტიკა და მათთან ერთად ადამიანური ყოფის ფანტასტიკური ასახვა ადამიანის თავში: რელიგია. ყველა ამ წარმონაქმნის წინაშე, რომელნიც უპირველეს ყოვლისა ადამიანის თავის პროდუქტებს წარმოადგენდნენ და რომელნიც თითქოს ადამიანთა საზოგადოებებზე გაბატონებულად მოჩანდნენ, მომუშავე ხელის უფრო სადა ნაწარმოებნი უკანა რიგში დადგნენ; და სახელდობრ უფრო იმიტომ, რომ შრომის დამგეგმავ თავს საზოგადოების განვითარების ჯერ კიდევ ძალიან ადრინდელ საფეხურზე (მაგალითად, უკვე პირველყოფილ ოჯახში) შეეძლო სხვისი ხელები და არა თავისი აეძულებინა მის მიერ დაგეგმილი სამუშაო შეესრულებინათ. თავს, ტვინის განვითარებასა და მოღვაწეობას მიაწერდნენ სწრაფად წინმავალი ცივილიზაციის ყველა დამსახურებას; ადამიანები მიეჩვივნენ იმას, რომ თავიანთი მოქმედება თავიანთი აზროვნებით აეხსნათ, ნაცვლად იმისა, რომ აეხსნათ ის თავიანთი მოთხოვნილებებით (რომლებიც ამასთანავე, რასაკვირველია, თავში აისახებიან, შეიცნობიან) — და ამრიგად წარმოიშვა დროთა განმავლობაში ის იდეალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც სახელდობრ ანტიკური ქვეყნის დაღუპვის დღიდან დაეუფლა ადამიანთა გონებას. ის ჯერ კიდევ იმდენად ბატონობს, რომ დარვინის სკოლის თვით ყველაზე უფრო მატერიალისტ ბუნებისმკვლევართაც ჯერ კიდევ ვერ შეუდგენიათ ნათელი წარმოდგენა ადამიანის წარმოშობაზე, ვინაიდან ზემოაღნიშნული იდეალისტური ზეგავლენის გამო ვერ გაუგიათ ის როლი, რომელსაც მასში შრომა ასრულებდა.

და მართლაც, ჩვენ ყოველდღიურად ვსწავლობთ ბუნების კანონების სულ უფრო და უფრო სწორ გაგებას და ბუნების ჩვეულებრივ მსვლელობაში ჩვენი აქტიური ჩარევის როგორც უახლოესი, ისე უფრო შორეული შედეგების შემეცნებას. განსაკუთრებით ამ საუკუნეში ბუნებისმეცნიერების უდიდეს წარმატებათა დღიდან სულ უფრო და უფრო მეტი საშუალება გვეძლევა, რომ ვისწავლოთ აგრეთვე ყოველ შემთხვევაში ჩვენი ყველაზე ჩვეულებრივი საწარმოო მოქმედებების უფრო შორეული ბუნებრივი შედეგების გაგება და ამით მათი დაუფ-

ლებაც. მაგრამ რაც უფრო მეტად მოხდება ეს, მით უფრო ადამიანები არამც თუ მეტად იგრძნობენ კვლავ ბუნებასთან ერთიანობას, არამედ შეიგნებენ და ეცოდინებათ ეს თავიანთი ერთიანობა ბუნებასთან, და მით უფრო შეუძლებელი გახდება ის უაზრო და ბუნების საწინააღმდეგო წარმოდგენა, რაღაც დაპირისპირებაზე გონსა და მატერიას, ადამიანსა და ბუნებას, სულსა და სხეულს შორის, რომელიც ევროპაში კლასიკური ანტიკურობის დაცემის დღიდან გაჩნდა და რომელმაც ქრისტიანობაში უმაღლეს განვითარებას მიაღწია.

ფრ. ენგელსი, „ბუნების დიალექტიკა“: გვ. 178, 180—181—182, 185—186.

8. რელიგიის ადრეული ფორმები

ძველი აზიური, ანტიკური და სხვ. წარმოების წესების დროს შრომის პროდუქტის საქონლად გადაქცევა და, მაშასადამე, ადამიანთა არსებობაც საქონელმწარმოებელთა სახით, დაქვემდებარებულ როლს ასრულებს, მაგრამ ეს როლი მით უფრო მნიშვნელოვანი ხდება, რაც უფრო ძლიერდება თემური წყობილების რღვევის პროცესი. მოვაჭრე ხალხები, ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, არსებობენ მხოლოდ ძველი ქვეყნის ნაპრალებში[1], როგორც ეპიკურეს ღმერთები, ან როგორც ებრაელები პოლონური საზოგადოების სვრეტებში. ეს ძველი საზოგადოებრივი საწარმოო ორგანიზმები გაცილებით უფრო მარტივია და ცხადი, ვიდრე ბურჟუაზიული, მაგრამ ისინი დამყარებული არიან ან მოუმწიფებლობაზე ინდივიდუალური ადამიანისა, რომელსაც ჯერ კიდევ არ გაუწყვეტია სხვებთან ბუნებრივ-გვაროვნული კავშირის ჭიპლარი, ანდა დამყარებული არიან უშუალო ბატონობისა და დამონების ურთიერთობაზე. მათი არსებობა გაპირობებულია შრომის მწარმოებლურ ძალთა განვითარების დაბალი საფეხურით და ადამიანთა სათანადოდ შეზღუდული ურთიერთობით მათი მატერიალური ცხოვრების შექმნის პროცესში, მაშასადამე, შეზღუდული ურთიერთობით ერთიმეორესთან და ბუნებასთან. ეს რეალური შეზღუდულობა იდეალურად აისახება ძველ ნატურალურ და ხალხურ რელიგიებში.

კ. მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I, გვ. 105, თბ., 1954.

რაც შეეხება იმ იდეოლოგიურ სფეროებს, რომლებიც კიდევ უფრო მაღლა არიან ჰაერში გამოკიდებული, — რელიგიას, ფილოსოფიას და ა. შ., მათ აქვთ წინაისტორიული შინაარსი, ისტორიული პერიოდის მიერ ნახული და შეთვისებული შინაარსი, რასაც ჩვენ ახლა

უაზრობას ვუწოდებდით. ამ სხვადასხვა ყალბ წარმოდგენებს ბუნებაზე, თვით ადამიანის არსებაზე, სულებზე, ჯადოსნურ ძალებზე და ა. შ. უმეტეს წილად მხოლოდ უარყოფითი ეკონომიური საფუძველი უდევთ; წინაისტორიული პერიოდის დაბალ ეკონომიურ განვითარებას თავისი დამატების, ხანდახან პირობისა და თვით მიზეზის სახითაც კი შემცდარი წარმოდგენები ჰქონდა ბუნების შესახებ. თუმცა ეკონომიური მოთხოვნილება მთავარი მამოძრავებელი ზამბარა იყო ბუნების პროგრესიული შემეცნებისა და დროის განმავლობაში სულ უფრო მეტად და მეტად ხდებოდა იგი მთავარ მამოძრავებელ ზამბარად, მაინც პედანტობა იქნებოდა, რომ ყველა ამ პირველყოფილ უაზრობათათვის ეკონომიური მიზეზები ვეძებოთ. მეცნიერების ისტორია ამ უაზრობის თანდათანობითი მოშორების ისტორიაა, ანუ მისი ახალი, მაგრამ მაინც ნაკლებ აბსურდული უაზრობით შეცვლის ისტორიაა.

ფრ. ენგელსი — კ. შმიდტს, 1890 წ. 27 ოქტომბერი.
კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. რჩ. ნაწ. ტ. II, გვ. 600—601.

ყოველი ფილოსოფიის, განსაკუთრებით უახლესი ფილოსოფიის, უდიდეს ძირითად საკითხს აზროვნების და ყოფიერების ურთიერთობის საკითხი წარმოადგენს. ჯერ კიდევ იმ მეტად შორეული დროიდან, როცა ადამიანს არავითარი ცოდნა არ ჰქონდა თავისი საკუთარი სხეულის აგებულების შესახებ, სიზმრების[3] ზეგავლენით მან ის წარმოდგენა შეიმუშავა, რომ მისი აზროვნება და შეგრძნება მისი სხეულის მოქმედებით კი არაა გამოწვეული, არამედ განსაკუთრებული, ამ სხეულში მობინადრე სულით, რომელიც სიკვდილის შემდეგ მას სტოვებსო; ამ დროიდან ადამიანი უნდა დაფიქრებულიყო ამ სულისა და გარეგანი ქვეყნიერების ურთიერთობაზე. თუ სული სიკვდილის დროს სხეულს ეთიშება და სიცოცხლეს განაგრძობს, საჭირო აღარ არის მისთვის განსაკუთრებული სიკვდილის გამოგონება; ასე წარმოიშვა წარმოდგენა სულის უკვდავებაზე, რაც განვითარების იმ საფეხურზე სანუგეშოს არაფერს შეიცავდა, არამედ უფრო ბედისწერას ჰგავდა, რის წინააღმდეგ არაფრის გაკეთება არ შეიძლება და რაც სა-

[3] დღესაც ველურებსა და დაბალ საფეხურზე მდგომ ბარბაროსებს შორის საყოველთაოდ გავრცელებულია წარმოდგენა: სიზმარში ნახული ადამიანთა სახეები სულები არიან, რომელნიც სხეულს სტოვებენ დროებითო; ამიტომ ნამდვილ ადამიანს პასუხისმგებლად ხდიან იმ მოქმედებისათვის, რომელნიც სიზმარში ნახულმა ადამიანმა მძინარის მიმართ ჩაიდინა. ეს შეამჩნია მაგ., ი მ ტ ურ ნ მ ა 1884 წ. გვიანინის ინდიელებს შორის. (ენ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა).

კმაოდ ხშირად, მაგალითად, ბერძნებში, ნამდვილ უბედურებად ითვლებოდა. პირადი უკვდავების მოსაწყენი წარმოდგენა გამოიწვია არა რელიგიური ნუგეშის მოთხოვნილებამ, არამედ იმ გარემოებამ რომ ადამიანმა, აღიარა რა სულის არსებობა, საერთო შეზღუდულობის გამო ვერ შეესძლო აეხსნა, რა მოსდიოდა სულს სპეულის სიკვდილის შემდეგ.

ფ. ენგელსი. ლუდვიგ ფოიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრული.
კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. რჩ. ნაწ. ტ. II, გვ. 443—444.

მაინც ხახუნის გზით ცეცხლის მიღებით პირველად მოახერხეს ადამიანებმა ბუნების უსიცოცხლო ძალის თავის სამსახურში ჩაყენება. თუ რა ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ადამიანთა გრძნობა-გონებაზე ამ თითქმის განუზომელი მნიშვნელობის ბუმბერაზულმა წინსვლამ, ამას გვიჩვენებენ ჯერ კიდევ ხალხის დღევანდელი ცრუმორწმუნეობანი. ქვის დანის, ამ პირველი იარაღის აღმოჩენას, ბრინჯაოს და რკინის შემოღების შემდეგაც ადამიანები კიდევ დიდხანს დღესასწაულობდნენ, ასე რომ ყველა რელიგიური მსხვერპლშეწირვა ქვის დანით[2] ხდებოდა. იუდეველთა გადმოცემით, იესუ ნავინმა უბრძანათ, რომ უდაბნოში დაბადებულ მამაკაცთა წინადაცვეთა ქვის დანით მოეხდინათ; კელტები და გერმანელები ადამიანთა მსხვერპლად შეწირვის დროს მხოლოდ ქვის დანებს ხმარობდნენ. ყველაფერი ეს დიდი ხანია გაჰქრა. სულ სხვა ვითარებაა ხახუნით მიღებული ცეცხლის მიმართ. მას შემდეგაც, რაც უკვე ცეცხლის გაჩენის სხვა წესებიც იცოდნენ. ჯერ კიდევ დიდხანს ყოველგვარი წმინდა ცეცხლი უმეტეს ხალხებში ხახუნით უნდა გაჩენილიყო, მაგრამ დღემდეც ევროპის უმეტეს ქვეყნებში არსებობს ხალხის ცრუმორწმუნეობა, რომ სასწაულთმოქმედი ცეცხლი (მაგალითად, ჩვენი გერმანული ცრუმორწმუნეობრივი ადათი პირუტყვის ცეცხლზე გადახტუნებისა საქონლის სენის ასაცილებლად) შეიძლება დანთებული იქნეს მხოლოდ ხახუნით, ასე რომ ჩვენს დრომდე ჯერ კიდევ ცოცხლობს სანახევროდ არაცნობიერად ხალხის ცრუმორწმუნეობაში, მსოფლიოს უგანათლებულესი ხალხების წარმართულ-მითოლოგიურ მოგონებათა ნაშთებში მადლიერი ხსოვნა ადამიანის პირველი დიდი გამარჯვებისა ბუნებაზე.

ფრ. ენგელსი „ბუნების დიალექტიკა", გვ. 105.

უკვე ბუნების სწორი ასახვა უაღრესად ძნელია, ხანგრძლივი ისტორიული გამოცდილების პროდუქტია. ბუნების ძალები პირველყოფილი ადამიანისათვის რაღაც უცხო, იდუმალებით მოცული, აღ-

მატებული რამ არის. გარკვეულ საფეხურზე, რომელსაც ყველა კულტურული ხალხი გადის, იგი მას შეეგუება განსახიერების გზით. სწორედ ამ განსახიერებისადმი მისწრაფებამ შეჰქმნა ყველგან ღმერთები, და censens gentim[1], რომელსაც ემყარება ღმერთის არსებობის დამტკიცება, ამტკიცებს სწორედ და მხოლოდ ამ განსახიერებისადმი მისწრაფების როგორც აუცილებელი გარდამავალი საფეხურის, — მაშასადამე, აგრეთვე რელიგიის, საყოველთაობას.

ფრ. ენგელსი. ნაწყვეტები „ანტი-დიურინგის" მოსამზადებელი სამუშაოებიდან. გვ. 414.

სრულიად ამგვარადვე[3], ბუნებრივი ძალების გაპიროვნების გზით, წარმოიშვნენ პირველი ღმერთები, რომლებმაც რელიგიათა შემდგომ განვითარებაში სულ უფრო და უფრო არაამქვეყნიური სახე მიიღეს; ბოლოს აბსტრაქციის პროცესის — კინაღამ ვთქვი დესტილაციის პროცესის მეთქი — შემწეობით, რაც სრულიად ბუნებრივია გონებრივი განვითარების მსვლელობაში, ადამიანების თავში მრავალი, მეტად თუ ნაკლებად შეზღუდული, და ერთიმეორის შემზღუდავი ღმერთებისაგან წარმოიშვა წარმოდგენა მონოთეისტური რელიგიების ერთადერთი ღმერთის შესახებ.

ფრ. ენგელსი. ლუდვიგ ფოიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრული.
კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. რჩ. ნაწ. ტ. II, გვ. 444.

საერთო რელიგიური წარმოდგენანი (მითოლოგია) და კულტის წესჩვეულებანი. „ინდიელები თავიანთ ბარბაროსულ ყაიდაზე მორწმუნე ხალხი იყო"[4]. მათი მითოლოგია ჯერ კიდევ სრულიადაც არაა კრიტიკულად შესწავლილი; თავიანთი რელიგიური წარმოდგენების — ყოველგვარი სულების — განსახიერება მათ უკვე ადამიანის სახით ეხატებოდათ, მაგრამ ბარბაროსობის დაბალი საფეხური, რომელზედაც ისინი იმყოფებოდნენ, ჯერ კიდევ არ იცნობს ხატოვან გამოსახულებებს, ეგრეთწოდებულ კერპებს. ეს იყო ბუნებისა და სტიქიის კულტი, რომელიც მრავალღმერთიანობისაკენ მიმავალი გზით ვითარდებოდა. სხვადასხვა ტომს თავისი რეგულარული დღესასწაულები ჰქონდა, კულტის გარკვეული ფორმებით, სახელდობრ, ცეკვითა და თამაშით; განსაკუთრებით ცეკვა ყველა რელიგიური დღესასწაულის არსებითი შემადგენელი ნაწილი იყო; ყოველი ტომი თავის დღესასწაულებს ცალკე აწყობდა.

ფრ. ენგელსი, „ოჯახი, კერძო საკუთრება და სახელმწიფოს წარმოშობა. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. რჩ. ნაწ. ტ. II, 292.

მაშინ როდესაც იულიუს კეისრის დროს გერმანელებს ნაწილობრივ მხოლოდ ახლახან ჰქონდათ დაკავებული მკვიდრი საცხოვრებელი ტერიტორია, ნაწილობრივ კი ასეთ ტერიტორიას ეძებდნენ, ტაციტის დროს ისინი უკვე მთელი საუკუნით ადრე მკვიდრი მობინადრენი იყვნენ; ამის შესაბამისად უეჭველია, რომ ადგილი ჰქონდა გარკვეულ პროგრესს საარსებო საშუალებათა წარმოებაში...

ის, რასაც ბახოფენი გვიხატავს როგორც გამოსყიდვას ღმერთების ძველი მცნებების დარღვევისათვის, — გამოსყიდვას, რომლითაც დედაკაცი უბიწობის უფლებას იძენს, — სინამდვილეში მხოლოდ მისტიკური გამოხატულებაა იმ გამოსყიდვისა, რომლითაც დედაკაცი თავს იხსნის ძველად არსებული ქმრების ერთობისაგან და უფლებას იძენს მხოლოდ ერთ მამაკაცს დანებდეს. ეს გამოსყიდვა იმაში მდგომარეობს, რომ დედაკაცი განსაზღვრულ დროს უნდა დანებდეს მამაკაცს: ბაბილონელი ქალები წელიწადში ერთხელ უნდა დანებებოდნენ მამაკაცებს მილიტას ტაძარში; წინააზიის სხვა ხალხები თავიანთ ქალწულებს მთელი წლობით გზავნიდნენ ანაიტისის ტაძარში, სადაც ისინი თავისუფალ სიყვარულს ეძლეოდნენ არჩეულ ვაჟებთან ერთად, სანამ გათხოვების უფლებას მიიღებდნენ. ასეთი ზნე-ჩვეულებანი, რელიგიურ საბურველში გახვეული, საერთო მოვლენაა თითქმის ყველა აზიელი ხალხებისათვის, რომელნიც ხმელთაშუა ზღვასა და განგს შორის ცხოვრობენ. გამოსახსნელი მსხვერპლი, რომელიც გამოსყიდვის როლს ასრულებს, დროთა მსვლელობაში თანდათან ადვილდება, როგორც ამას უკვე ბახოფენი აღნიშნავს: „ყოველწლიურად განმეორებული მსხვერპლის მიტანა ადგილს უთმობს ერთჯერად ბუგარას, მატრონების ჰეტერიზმს მოსდევს ქალწულების ჰეტერიზმი, ქორწინების დროს განქალწულებას წინ უძღვის ქორწინებამდე განქალწულება; იმის მაგივრად, რომ ქალები განურჩევლად ყველა მამაკაცს დანებდნენ, ისინი მხოლოდ გარკვეულ პირებს ნებდებიან („დედის უფლება“ გვ. XIX). სხვა ხალხებში რელიგიური საბურველი არ არსებობს: ძველი დროის ზოგიერთ ხალხში — თრაკიელებში, კელტებში და სხვ., ინდოეთის ბევრ მკვიდრ მცხოვრებლებში, მალაელ ხალხებში, წყნარი ოკეანის კუნძულების მცხოვრებლებში და სხვა მრავალ ამერიკელ ინდიელებში დღესაც კიდევ ქალიშვილები გათხოვებამდე უდიდესი სქესობრივი თავისუფლებით სარგებლობენ. განსაკუთრებით ასეთი მდგომარეობაა თითქმის ყველგან სამხრეთ ამერიკაში, რის დამოწმებაც ყველას შეუძლია, ვინც ცოტათი ამ ქვეყნის სიღრმეში შეჭრილა.

ფრ. ენგელსი. „ოჯახი, კერძო საკუთრება და სახელმწიფოს წარმოშობა“. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. რჩ. ნაწ. ტ. II, გვ. 244—245.

იროკეზებში[5] უცხოელის ზეიმით მიღება გვარში ტომის საბჭოს საჯარო სხდომაზე ხდებოდა, რის გამოც ეს ზეიმი ფაქტიურად რელიგიური ცერემონიის ხასიათს ღებულობდა.

ძნელი დასადგენია, რომ ინდიელ გვარებს განსაკუთრებული რელიგიური დღესასწაულები ჰქონოდეთ; მაგრამ ინდიელების რელიგიური ცერემონიები მეტნაკლებად დაკავშირებულია გვარებთან. იროკეზების ყოველწლიური ექვსი რელიგიური დღესასწაულის დროს ცალკეული გვარების სახემებსა[6] და სარდლებს თავიანთი თანამდებობის მიხედვით „სარწმუნოების მცველთა" რიცხვს მიაკუთვნებდნენ ხოლმე და ისინი ქურუმთა ფუნქციებს ასრულებდნენ.

გვარს საერთო სასაფლაო აქვს. ნიუ-იორკის შტატის ოროკეზებს, რომელნიც თეთრკანიანების მიერ ყოველი მხრიდან შევიწროებულნი არიან, ეს საერთო სასაფლაო ამჟამად აღარა აქვთ, მაგრამ წინათ ჰქონიათ. დანარჩენ ინდიელებს დღესაც კიდევ შენარჩუნებული აქვთ ასეთი საერთო სასაფლაო, როგორც, მაგალითად, იროკეზების ახლო მონათესავე ტუსკაროორელებს, რომელთაც, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ქრისტიანები არიან, სასაფლაოზე თვითეული გვარისათვის განსაკუთრებული ადგილი აქვთ, ასე რომ შვილების გვერდით ასაფლავებენ დედას, მაგრამ არა მამას. იროკეზებშიც მიცვალებულის დაკრძალვაში მთელი გვარი მონაწილეობს, ზრუნავს საფლავისათვის, საფლავზე წარმოსათქმელი სიტყვებისათვის და ა. შ.

წინათ იროკეზებს განსაკუთრებული რელიგიური მისტერიები ჰქონდათ, რომელთაც თეთრები medicine-lodges[1] უწოდებდნენ. ამ მისტერიებს სენეკას ტომში ორი რელიგიური ამხანაგობა აწყობდა; ეს ამხანაგობანი ახალი წევრების მიღებას კურთხევის საგანგებო ცერემონიალით აწყობდნენ. ორი ფრატრიიდან თვითეულს ერთი ასეთი ამხანაგობა უწევდა.

ფრ. ენგელსი. „ოჯახი, კერძო საკუთრება და სახელმწიფოს წარმოშობა". კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტ. II, 287—288. 290.

გროტეს საბერძნეთის ისტორიის მიხედვით, ათენურ გვარს, კერძოდ, აკავშირებდა შემდეგი საფუძველი:

1. საერთო რელიგიური დღესასწაულები და ქურუმების განსაკუთრებული უფლება — შეესრულებინათ საღმრთო წესჩვეულებანი იმ გარკვეული ღმერთის — გვარის ნავარაუდევი მამამთავრის — პატივსაცემად, რომელიც, როგორც ასეთი, საგანგებო მეტსახელს ატარებდა.

2. საერთო სასაფლაო (შეად. დემოსთენეს[7] „ევბულიდები").

3. საურთიერთო მემკვიდრეობის უფლება.

4. ძალადობის შემთხვევაში ერთმანეთისათვის დახმარების, დაცვისა და მხარდაჭერის ურთიერთ ვალდებულება.

5. საურთიერთო უფლება და მოვალეობა გარკვეულ შემთხვევებში მეგვარესთან დაქორწინებისა, განსაკუთრებით როცა საქმე ობოლ ქალიშვილებს ან მემკვიდრე ქალებს შეეხებოდა.

6. მფლობელობა, ზოგიერთ შემთხვევაში მაინც, საერთო საკუთრებისა, საკუთარი არქონტით (გამგებლით) და მოლარით.

შემდეგ რამდენიმე გვარი ერთიანდებოდა ფრატრიად, თუმცა მათი დაკავშირება ნაკლებად მჭიდრო იყო; მაგრამ აქაც ჩვენ ვხედავთ მსგავსივე სახის საურთიერთო უფლებებსა და მოვალეობებს, განსაკუთრებით გარკვეული რელიგიური ცერემონიების ერთობლივ შესრულებას და დევნის უფლებას ფრატრიის წევრის მკვლელობის შემთხვევაში. ერთ ტომში შემავალ ყველა ფრატრიას, თავის მხრივ, საერთო საღმრთო დღესასწაულები ჰქონდა, რომლებიც რეგულარულად მეორდებოდა; ეს დღესასწაულები ტარდებოდა კეთილშობილთა (ევპატრიდთა) წრიდან არჩეული ფილობასილევსის (ტომის უხუცესის) თავმჯდომარეობით.

ასე ლაპარაკობს გროტე. მარქსი კი უმატებს: „მაგრამ ბერძნულ გვარშიც აშკარად გამოიყურება ველური (მაგალითად, იროკეზი)“ [8]. მას კიდევ უფრო ნათლად დავინახავთ, თუ ჩვენს გამოკვლევას განვაგრძობთ.

სახელდობრ, ბერძნული გვარის დამახასიათებელია კიდევ შემდეგი ნიშნები:

7. წარმოშობა ითვლება მამის უფლების მიხედვით.

8. დაქორწინების აკრძალვა გვარის შიგნით, გარდა იმ შემთხვევისა, როცა დასაქორწინებელი ქალი მემკვიდრეა. ეს გამონაკლისი და მისი ფორმულირება კანონის სახით ადასტურებს, რომ ძველი წესი ჯერ კიდევ ძალაში იყო. ეს გამომდინარეობს აგრეთვე იმ საყოველთაოდ სავალდებულო წესიდან, რომ ქალი, როცა თხოვდებოდა, უარს ამბობდა თავისი გვარის რელიგიურ წეს-ჩვეულებებზე და გადადიოდა თავისი ქმრის რელიგიურ წეს-ჩვეულებებზე, რომლის ფრატრიაშიც იგი ეწერებოდა. ამის მიხედვით, და ასევე დიკეარქუსის [9] ერთი ცნობილი ადგილის თანახმად, შეუღლება სხვა გვარის წევრებთან ჩვეულებრივი წესი იყო, ხოლო ბეკერი „ხარიკლში“ პირდაპირ ამბობს, არავის ჰქონდა უფლება თავისი გვარის წევრებს შეუღლებოდაო.

9. უფლება გვარის მიერ უცხო პირის შვილად აყვანისა: ეს უფლება ხორციელდებოდა იმ გზით, რომ ამ პირს ოჯახი იშვილებდა ხოლმე, მაგრამ საჯარო ფორმალობათა დაცვით და მხოლოდ გამონაკლისის სახით.

10. უხუცესთა არჩევისა და გადაყენების უფლება. ყოველ გვარს რომ თავისი არქონტი ჰყავდა, ეს ჩვენთვის ცნობილია. იმის შესახებ კი, რომ ეს თანამდებობა გარკვეულ ოჯახებში მემკვიდრეობით გადადიოდაო, არსად არაფერია ნათქვამი. მუდამ უნდა ვივარაუდოთ, რომ ბარბაროსობის ეპოქის დასასრულამდე არ იყო მტკიცედ დაცული თანამდებობათა მემკვიდრეობით გადაცემა, რომელიც სრულიად შეუთავსებელია იმ წესწყობილებასთან, როცა მდიდრებსა და ღარიბებს გვარის ფარგლებში სრულიად თანასწორი უფლებები ჰქონდათ.

ფრ. ენგელსი. „ოჯახი, კერძო საკუთრება და სახელმწიფოს წარმოშობა". კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. რჩ. ნაწ. ტ. II, გვ. 301—302.

ფრატრია, ისევე როგორც ამერიკელებში, წარმოადგენდა დედაგვარს, რომელიც დანაწევრებული იყო მრავალ ქალიშვილისეულ გვარებად, რომელიც აერთიანებდა მათ და რომელსაც ყველა ისინი ხშირად ჯერ კიდევ საერთო მამამთავრისაგან გამოჰყავდა. ასე, მაგალითად, გროტეს მიხედვით, „ჰეკატეოსის ყველა წევრი — ასაკით ტოლნი — მეთექვსმეტე მუხლში ერთსა და იმავე ღმერთს აღიარებდა თავის მამამთავრად"; მაშასადამე, ამ ფრატრიის გვარები ყველანი ძმისეული გვარები იყვნენ ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. ფრატრია ჯერ კიდევ ჰომეროსს ჰყავს გამოყვანილი სამხედრო ერთეულის სახით იმ ცნობილ ადგილას, სადაც ნესტორი აგამემნონს ურჩევს: „დააწყვე ადამიანები ტომებად და ფრატრიებად ისე, რომ ფრატრია ფრატრიას მიეშველოს, ტომი კი — ტომსო" [10]. ფრატრიას, გარდა ამისა, უფლება ჰქონდა და ვალდებულიც იყო შური ეძია ფრატრიის წევრის მკვლელობისათვის, მაშასადამე, უფრო ადრინდელ ხანაში მას სისხლის აღების ვალდებულებაც ეკისრებოდა. შემდეგ, მას ჰქონდა საერთო საკურთხევლები და დღესასწაულები, და საერთოდ მთელი ბერძნული მითოლოგიის განვითარება ბუნების ძველარიული კულტიდან, რაც მან თან მოიტანა, არსებითად გაპირობებული იყო გვარებითა და ფრატრიებით და ამ უკანასკნელთა ფარგლებში ხდებოდა.

ფრ. ენგელსი. „ოჯახი, კერძო საკუთრება და სახელმწიფოს წარმოშობა". კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. რჩ. ნაწ. ტ. II, გვ. 305.

ფულის გულისათვის სხეულის დანებება თავდაპირველად რელიგიური აქტი იყო; იგი სიყვარულის ქალღმერთის ტაძარში ხდებოდა და ფული თავდაპირველად ტაძრის სალაროში მიდიოდა. ანაიტისის ჰიეროდულები [11] სომხეთში, აფროდიტესი კორინთოში, ისევე როგორც ტაძრებში მყოფი რელიგიური მოცეკვავე ქალები ინდოეთში,

ე. წ. ბაიადერები (დამახინჯებული პორტუგალური სიტყვა bailadeira — მოცეკვავე ქალი) პირველი მეძავები იყვნენ. ეს სხეულის შეწირვა თავდაპირველად ყოველი ქალის მოვალეობა იყო, შემდეგში კი მას მხოლოდ ეს მოგვი ქალები ასრულებდნენ — როგორც ყველა დანარჩენი დედაკაცის წარმომადგენელნი.

ფრ. ენგელსი. „ოჯახი, კერძო საკუთრება და სახელმწიფოს წარმოშობა". კ. მარქსი და ფ. ენგელსი. რჩ. ნაწ. ტ. II, გვ. 262.

III ნაწილი

ქრისტიანობა

1. ქრისტიანობა — ანტიკური საზოგადოების დაცემის პროდუქტი

ისეთ შეხედულებას, რომლის თანახმად ყველა რელიგია და მასთან ერთად ქრისტიანობაც გამოგონილია მატყუარების მიერ, — შეხედულებას, რომელიც გაბატონებული იყო საშუალო საუკუნეების თავისუფლად მოაზროვნეთა დროიდან XVIII საუკუნის განმანათლებლებამდე, უკანასკნელთა ჩათვლით, — უკვე აღარავის დაკმაყოფილება აღარ შეეძლო მას შემდეგ, რაც ჰეგელმა ფილოსოფიას ამოცანად დაუსახა ეჩვენებინა რაციონალური განვითარება მსოფლიო ისტორიაში.

სავსებით გასაგებია, რომ თუ პირველყოფილი რელიგიები, როგორც ფეტიშთა თაყვანისცემა ზანგებს შორის, ან საერთო პირველყოფილი რელიგია არიელებს [1] შორის, სიცრუის რაიმე მონაწილეობის გარეშე წარმოიშობა, შემდგომ განვითარებაში ძალიან მალე გარდუვალი ხდება ხუცური სიცრუე. რელიგიებს კი, რომლებშიც როლს თამაშობს ხელოვნება, მთელ მათ გულწრფელ აღტაცებულობასთან ერთად, არ შეუძლიათ თავის წარმოშობისთანავე არ მიმართონ სიცრუეს და ისტორიული ფაქტების დამახინჯებას; ქრისტიანობამ თავიდანვე მოგვცა ამგვარი სახის საკმაოდ კარგი ნიმუშები, როგორც ეს ბაუერმა ძველი აღთქმის კრიტიკაში გვიჩვენა. მაგრამ ეს მხოლოდ ზოგად მოვლენას არკვევს, და არ განმარტავს სწორედ იმ კონკრეტულ შემთხვევას, რაზედაც აქ ლაპარაკია [2].

რელიგია, რომელმაც რომის მსოფლიო იმპერია მოიცვა და რომელიც 1.880 წელიწადი ბატონობდა ცივილიზებული კაცობრიობის ფრიად მნიშვნელოვან ნაწილზე, არ შეიძლება გააქარწყლო მარტო იმის განცხადებით, რომ იგი მატყუარების მიერ შეთხზული უაზრობაა. რელიგია რომ გაიგო, ამისათვის საჭიროა შეგეძლოს განმარტო მისი წარმოშობა და მისი განვითარება იმ ისტორიული პირობებიდან, რომლებშიც იგი აღმოცენდა და მიაღწია ბატონობას. ეს განსაკუთრებით ეხება ქრისტიანობას. აქ ხომ საჭიროა გადაიჭრას საკითხი, თუ როგორ მოხდა, რომ რომის იმპერიის ხალხთა მასებმა ყველა

სხვა რელიგიას ამჯობინეს ეს უაზრობა, რომელსაც ამასთან მონები და ჩაგრულნი ქადაგებდნენ, ასე რომ, ბოლოსდაბოლოს, პატივმოყვარე კონსტანტინე დარწმუნდა რომ ამ უაზრო რელიგიის მიღება წარმოადგენდა საუკეთესო საშუალებას, რათა იგი რომის სამყაროს თვითმპყრობელის მდგომარეობამდე ამაღლებულიყო[3].

ფრ. ენგელსი. „ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა". გვ. 3—4.

საქონელმწარმოებელთა საზოგადოებისათვის, რომლის საყოველთაო საზოგადოებრივი წარმოებითი ურთიერთობა იმაში მდგომარეობს, რომ მწარმოებელნი თავიანთ პროდუქტებს ეპყრობიან როგორც საქონელს, მაშასადამე, როგორც ღირებულებას, და ამ ნივთობრივ ფორმაში თავიანთ კერძო შრომას ერთიმეორეს უფარდებენ როგორც ადამიანის ერთნაირ შრომას, — ასეთი საზოგადოებისათვის ქრისტიანობა, მისი აბსტრაქტული ადამიანის კულტით, განსაკუთრებით მისი განვითარების ბურჟუაზიულ საფეხურზე, პროტესტანტიზმით, დეიზმით და სხვ.,

კ. მარქსი. კაპიტალი. ტ. I, გვ. 105.

ბაუერს აგრეთვე მეტად ძვირფასი მონაცემები მოეპოვება იმ მიზეზთა შესახებ, რომლებიც დაეხმარა ქრისტიანობას — გამარჯვება მოეპოვებინა და მსოფლიო ბატონობისათვის მიეღწია. მაგრამ აქ მისთვის დაბრკოლებას წარმოადგენს გერმანელი ფილოსოფოსისათვის დამახასიათებელი იდეალიზმი, იგი ხელს უშლის მას ნათლად დანახვასა და მკვეთრად ფორმულირებაში. ხშირად იგი გადამწყვეტ შემთხვევაში საქმის არსებას ფრაზით სცვლის. ამიტომ ჩვენ ბაუერის შეხედულებათა დეტალებს არ გამოვუდგებით და ვარჩევთ ჩამოვაყალიბოთ ამ საკითხის ჩვენი საკუთარი გაგება, დამყარებული არა მარტო ბაუერის ნაშრომებზე, არამედ დამოუკიდებელ შესწავლაზედაც.

რომის მიერ დაპყრობამ ყველა დამორჩილებულ ქვეყანაში უწინარეს ყოვლისა პირდაპირ დაანგრია წინანდელი პოლიტიკური წყობილება, შემდეგ კი არაპირდაპირ ცხოვრების ძველი საზოგადოებრივი პირობებიც. დაანგრია, ჯერ ერთი, იმით, რომ წინანდელი წოდებრივი დაყოფის ნაცვლად (მონობაზე რომ აღარაფერი ვთქვათ) მან შეჰქმნა უბრალო განსხვავება, ერთი მხრივ, რომის მოქალაქეთა და მეორე მხრივ, არამოქალაქეთა ანუ სახელმწიფოს ქვეშევრდომთა შორის; მეორე, და უმთავრესად, რომის სახელმწიფოს სახელით დაწესებული გადასახადებით. თუ იმპერიის დროს სახელმწიფოს ინტერესების სასარგებლოდ ცდილობდნენ, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო,

საზღვარი დაედვათ პროვინციათა მმართველების გაშმაგებული წყურვილისათვის — გამდიდრებულიყვნენ, სამაგიეროდ გაჩნდა სახელმწიფო ხაზინის სასარგებლოდ შემოღებული გადასახადის მუხრუჭები, რაც სულ უფროდაუფრო ძლიერად მოქმედებდა და უფროდაუფრო მწვავე ხასიათს იღებდა — სახსრების გამოწოვა, რაც საშინელი გამანადგურებელი ძალით მოქმედებდა. ბოლოს, მესამე, რომის მოსამართლეებს თავისი გადაწყვეტილებანი ყველგან რომის სამართლის საფუძველზე გამოჰქონდათ, ადგილობრივი საზოგადოებრივი წესები კი ამით ძალადაკარგულად ცხადდებოდა, რამდენადაც ისინი არ ემთხვეოდნენ რომის უფლებრივ წყობილებას. ამ სამ ბერკეტს უდიდესი ძალით უნდა ემოქმედნა და ყველაფერი ერთ დონემდე უნდა დაეყვანა, განსაკუთრებით თუ ამ ბერკეტებს დაახლოებით ორი საუკუნის განმავლობაში იყენებდნენ იმ ეროვნებათა მიმართ, რომელთა უძლიერესი წარმომადგენელნი უკვე ტყვედ იყვნენ წაყვანილნი და იმ ბრძოლებში განადგურებულნი, რაც წინ უსწრებდა დაპყრობას, თან სდევდა მას, ხოლო ხშირად შედეგადაც მოსდევდა. საზოგადოებრივი ურთიერთობა პროვინციებში უფროდაუფრო უახლოვდებოდა დედაქალაქსა და იტალიაში არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობას. მოსახლეობა უფროდაუფრო იყოფოდა სამ კლასად, რომლებიც სულ სხვადასხვაგვარი ელემენტებისა და ეროვნებებისაგან შედგებოდა: მდიდრები, რომელთა შორის ცოტა როდი იყო თავდახსნილი მონა (იხ. პეტრონიუსი)[4], მსხვილი მიწათმფლობელები, მევაჭრეები ან ერთიცა და მეორეც ერთსადაიმავე დროს, ქრისტიანობის ბიძის სენეკას მსგავსად; ღარიბი თავისუფალი პირები — რომში მათ ჰკვებავდა და ართობდა სახელმწიფო, პროვინციებში კი მათ თვითონ უნდა ეზრუნათ საკუთარი თავისათვის; დასჯრულ, უამრავი მონები. სახელმწიფოს, ე. ი. იმპერატორის მიმართ, ორივე პირველი კლასი ისევე უუფლებო იყო, როგორც მონები თავიანთი ბატონების მიმართ. მეტადრე ტიბერიუსიდან ნერონამდე[5] განვლილ პერიოდში ჩვეულებრივ მოვლენად გახდა ის, რომ მდიდარ რომაელებს სიკვდილს მიუსჯიდნენ ხოლმე, რათა ხელში ჩაეგდოთ მათი ქონება. მთავრობის მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ დასაყრდენს წარმოადგენდა ჯარი, რომელიც გაცილებით უფრო ჰგავდა უკვე ლანდსკნეხტთა[6] არმიას, ვიდრე ძველ რომაულ გლეხურ ჯარს, მ ო რ ა ლ უ რ დასაყრდენს კი — საყოველთაო რწმენა, რომ ამ მდგომარეობიდან გამოსავალი არ არსებობს, რომ თუ ერთი ან მეორე იმპერატორი არა, ყოველ შემთხვევაში სამხედრო ბატონობაზე დამყარებული იმპერატორული ხელისუფლება მაინც, გარდუვალ აუცილებლობას წარმოადგენს. აქ უადგილოა სიტყვის გაგრძელება იმის შესახებ, თუ რაგვარ წმინდა მატერიალურ ფაქტებს ეყრდნობოდა ეს რწმენა.

საყოველთაო უუფლებობას და იმ იმედის დაკარგვას, რომ შეესაძლებელია უკეთესი წყობილება, შეესაბამებოდა საყოველთაო აპატია და დემორალიზაცია. ჯერ კიდევ ცოცხლად დარჩენილ ძველი-რომაული პატრიციული ყაიდის და პატრიციული აზრების მქონე ადამიანთა მცირე რაოდენობა თავიდან იქნა მოშორებული ან გადაშენდა: მათი უკანასკნელი წარმომადგენელი ტაციტი იყო. დანარჩენები მოხარულნი იყვნენ, თუ შეეძლოთ სრულიად განზე გასდგომოდნენ საზოგადოებრივ ცხოვრებას. მათი არსებობის მთელ შინაარსს შეადგენდა გამდიდრება, სიმდიდრით, კერძო ჭორებითა და კერძო ინტრიგებით დატკბობა. ღარიბი თავისუფალი პირნი, რომლებიც რომში სახელმწიფოს პენსიონერები იყვნენ, პროვინციებში. პირიქით. მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. მათ უნდა ემუშავნათ და ამასთან კონკურენცია გაეწიათ მონური შრომისათვის. მაგრამ ისინი მარტო ქალაქებში იყვნენ. მათთან ერთად პროვინციებში იყვნენ კიდევ გლეხები — თავისუფალი მიწათმოქმედნი (ზოგან თემური მიწათმფლობელობითაც კი) ან, როგორც გალიაში, გლეხები, რომლებიც მსხვილ მიწათმფლობელთა კაბალაში იმყოფებოდნენ. საზოგადოებრივი გადატრიალება ყველაზე უფრო ამ კლასს შეეხო, იგი რელიგიურ გადატრიალებასაც ყველაზე დიდხანს უწევდა წინააღმდეგობას. დასასრულ, მონები, უუფლებონი და თავისუფლებას მოკლებულნი, რომელთაც, როგორც ეს სპარტაკის[7] დამარცხებამ ცხადჰყო, არ შეეძლოთ განთავისუფლება; მაგრამ ამასთან მათი უმრავლესობა ოდესღაც თავისუფალი ან დაბადებით თავისუფალ ადამიანთა შვილები იყვნენ. მათ შორის ჯერ კიდევ უნდა დარჩენილიყო მეტწილად მწვავე, თუმცა გარეშე სამყაროს მიმართ უძლური, სიძულვილი მათი არსებობის პირობების წინააღმდეგ.

ასეთი იყო მატერიალური და მორალური მდგომარეობა. აწმყო აუტანელია; მომავალი, შეიძლება ითქვას, კიდევ უფრო მრისხანეა. არავითარი გამოსავალი. სასოწარკვეთილება ანდა ხსნა უაღრესად უგვანო ხორციელ სიტკბოებაში, ყოველ შემთხვევაში ი მ ა თ თ ვ ი ს, ვისაც ამის საშუალება ჰქონდა, მაგრამ ასეთები სრულიად უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენდნენ. დანარჩენებისათვის აღარაფერი აღარ რჩებოდა, გარდა სრული მორჩილებისა გარდუვალის წინაშე.

მაგრამ ყველა კლასში უნდა ყოფილიყო ისეთ პირთა გარკვეული რაოდენობა, რომელნიც, დაჰკარგეს რა მატერიალური განთავისუფლების იმედი, მის ნაცვლად ეძებდნენ სულიერ განთავისუფლებას, ნუგეშის პოვნას შეგნებაში, რაც მათ სრული სასოწარკვეთილებიდან იხსნიდა. ამ ნუგეშის მიცემა არ შეეძლო არც სტოიკურ ფილოსოფიას[6], არც ეპიკურეს სკოლას, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ეს იყო ფილოსოფიური სისტემები, რომლებიც, მაშასადამე, ჩვეულებრივი შე-

გხებისათვის როდი იყო გათვალისწინებული, ხოლო მეორე, იმიტომ, რომ მათი მომხრეების ცხოვრება უნდობლობას იწვევდა ამ სკოლათა მოძღვრებისადმი. იმისათვის, რომ ნუგეში მიგეცა, საჭირო იყო არა დაკარგული ფილოსოფიის, არამედ დაკარგული რელიგიის შეცვლა. ნუგეში უნდა წარმოსახულიყო სწორედ რელიგიური ფორმით, ისევე როგორც ყველაფერი ის, რასაც უნდა გაეტაცნა მასები, — ეს ასე იყო იმ ეპოქაში და ასე გრძელდებოდა XVII საუკუნემდე.

არა მგონია საჭირო იყოს იმის აღნიშვნა, რომ იმ ადამიანთა შორის, რომელნიც მგზნებარედ ისწრაფვოდნენ ამ იდეალური ნუგეშისაკენ, ამ ლტოლვისაკენ გარეშე სამყაროდან შინაგან სამყაროში, უმრავლესობა ბ ო ნ ე ბ ი უნდა ყოფილიყო.

სწორედ ამ საყოველთაო ეკონომიური, პოლიტიკური, გონებრივი და მორალური დაშლის დროს გამოვიდა ქრისტიანობა. მან გადაჭრით გაილაშქრა მანამდე არსებული ყველა რელიგიის წინააღმდეგ.

ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი. „ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა". გვ. 9—12, 14—15.

2. ქრისტიანობის ფილოსოფიური და რელიგიური წყაროები

თუ საიდან აღმოცენდებიან წარმოდგენები და იდეები, რომლებიც ქრისტიანობაში ერთგვარ სისტემად ჩამოყალიბდა, და როგორ მიაღწიეს მათ მსოფლიო ბატონობას.

ბაუერი ამ საკითხზე მუშაობდა თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე. მისმა გამოკვლევებმა იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ალექსანდრიელი ებრაელი ფ ი ლ ო ნ ი, რომელიც უკვე ღრმად მოხუცებული ჩვენი წელთაღრიცხვის ჯერ კიდევ მე-40 წელს ცხოვრობდა, ქრისტიანობის ნამდვილი მამა იყო, ხოლო რომაელი სტოიკოსი ს ე ნ ე კ ა, ასე ვთქვათ, მისი ბიძა, ჩვენამდე მოღწეული მრავალი თხზულება, რომელსაც ფილონს მიაწერენ, ფაქტიურად წარმოიშვა ალეგორიულად და რაციონალისტურად გაგებული ებრაული ტრადიციების. შეერთებიდან ბერძნულ, სახელდობრ სტოიკურ, ფილოსოფიასთან[9]. დასავლურ და აღმოსავლურ შეხედულებათა ეს შერიგება არსებითად უკვე შეიცავს ყველა ქრისტიანულ წარმოდგენას: ადამიანის თანდაყოლილ ცოდვიანობას; ლოგოსს, — სიტყვას, — რომელიც აქვს ღმერთს, და თვით არის ღმერთი, რომელიც ხდება შუამავლად ღმერთსა და ადამიანს შორის; მონანიებას არა ცხოველთა მსხვერპლად მიტანის გზით, არამედ ღვთისათვის თავისი საკუთარი გულის მიძღვნით; ბოლოს, იმ არსებით მხარესაც, რომ რელიგიის ახალი ფი-

ლოსოფია ყირამალა აყენებს მთელ წინანდელ წესებს, როცა თავის მოწაფეებს ღარიბთა, მაშვრალთა, მონათა და განკიცხულთა შორის აგროვებს, ხოლო მდიდრები, ძლიერნი, პრივილეგირებულნი ეზიზღება და ამით ყველა ამქვეყნიური სიტკბოებისადმი ზიზღსა და სხეულის მოკვდინებას ჰნერგავს.

მეორე მხრით, უკვე ავგუსტემ იზრუნა იმაზე, რომ არა მარტო ღმერთკაცი, არამედ ეგრეთწოდებული უბიწო ჩასახვაც სახელმწიფოს მიერ დაწესებულ ფორმულებად გამხდარიყო. იგი არა მარტო მოითხოვდა, რომ კეისარსა და თვით მას ღვთაებრივი პატივით მოპყრობოდნენ, არამედ გასცა აგრეთვე განკარგულება ყველგან გაევრცელებინათ, რომ იგი, ავგუსტე კეისარი „Divus" (ღვთაებრივი) თავისი მამის — ადამიანის შვილი კი არ არის, არამედ დედის მიერ ჩასახულია ღმერთ აპოლონისაგან. ოღონდ საკითხავია, ეს აპოლონ ღმერთი იმის ნათესავი ხომ არ ყოფილა, რომელსაც ჰაინემ[10] ხოტბა შეასხა?

როგორც ვხედავთ, შენობას მხოლოდ უკანასკნელი აგური-ღა აკლია, — და მთელი ქრისტიანობა მის ძირითად ხაზებში უკვე მზად იქნებოდა; აკლია ადამიანად ქცეული ლოგოსის განსახიერება გარკვეულ პიროვნებად და მისი მოსანანებელი მსხვერპლი ჯვარზე — ცოდვიანი კაცობრიობის გამოსახსნელად.

თუ როგორ იქნა ისტორიულად ჩართული ეს უკანასკნელი აგური სტოიკურ-ფილოსოფიურ თეორიებში, ამის საკვლევით სარწმუნო წყაროები ჩვენ არ მოგვეპოვება. მაგრამ ერთი რამ უეჭველია: იგი არ ჩაურთავთ ფილოსოფოსებს, ფილონის ან სტოის მოწაფეებს. რელიგიას ჰქმნიან ადამიანები, რომლებიც თვითონ განიცდიან რელიგიურ მოთხოვნილებას და ესმით მასების რელიგიური მოთხოვნილებანი, ხოლო სწორედ ასეთი რამ არ მოეპოვებათ ჩვეულებრივად ფილოსოფიური განათლების მქონე ადამიანებს. პირიქით, საყოველთაო დაშლის ხანაში,—როგორც, მაგალითად ჩვენს ხანაშიც—ყველგან ვხედებით ფილოსოფიისა და რელიგიური დოგმატიკის ფართოდ გავრცელებას გაუგვანოებული, გავულგარებული ფორმით. თუ კლასიკურ ბერძნულ ფილოსოფიას თავისი უკანასკნელი ფორმებით, განსაკუთრებით ეპიკურეული სკოლის სახით, ათეისტურ მატერიალიზმამდე მივყავდით, ბერძნულ ვულგარულ ფილოსოფიას მივყავდით მოძღვრებამდე ერთი ღმერთისა და ადამიანის უკვდავი სულის შესახებ. სწორედ ასევე ებრაელობაც, რაციონალისტურად გავულგარებული უცხო პირებთან და ნახევრად — ებრაელებთან აღრევისა და ურთიერთობის მეოხებით, მივიდა რიტუალურ ჩვეულებათა უგულვებელყოფამდე, წინანდელი მხოლოდამხოლოდ ეროვნული ღმერთის — იეღოვას ერთადერთ ჭეშმარიტ ღმერთად, ცისა და დედამიწის შემოქმედად გადაქცევამდე, და სულის უკვდავების აღიარებამდე, რაც

თვალაპირველად უცხო იყო ებრაელობისათვის. ამგვარად, მონოთეისტური ეულგარული ფილოსოფია დაუკავშირდა ეულგარულ რელიგიას, რომელმაც მას მიართვა ერთი ღმერთი სავსებით მზამზარეული სახით. და ამგვარად მომზადდა ნიადაგი, რომელზედაც ებრაელებს შორის ფილონის ამდენადვე გავულგარებულ წარმოდგენათა გადამუშავებას შეეძლო შეექმნა ქრისტიანობა, ხოლო იგი, უკვე ერთხელ შექმნილი, შეიძლებოდა შეთვისებული ყოფილიყო ბერძნებისა და რომაელების მიერ. ქრისტიანობა რომ სწორედ ფილონის პოპულარიზებულ წარმოდგენებიდან წარმოიშვა და არა უშუალოდ თვით ფილონის ნაწარმოებებიდან, ეს იმით მტკიცდება, რომ ახალი აღთქმა თითქმის სრულიად უგულვებელჰყოფს ამ ნაწარმოებთა უმნიშვნელოვანეს ნაწილს, სახელდობრ, ძველი აღთქმის ამბავთა ალეგორიულ — ფილოსოფიურ განმარტებას. ბაუერს საკმაო ყურადღება არ მიუქცევია საკითხის ამ მხარისათვის.

თუ როგორ გამოიყურებოდა ქრისტიანობა თავისი პირვანდელი სახით, ეს შეიძლება წარმოვიდგინოთ ეგრეთწოდებული იოანეს გამოცხადების [11] კითხვის დროს. ველური, ბუნდოვანი ფანატიზმი, დოგმები — მხოლოდ ჩანასახში, ეგრეთწოდებული ქრისტიანული მორალიდან კი — მხოლოდ სხეულის მოკვდინება; სამაგიეროდ, პირიქით, მრავალი ხილვა და წინასწარმეტყველება. დოგმებისა და მორალის შექმნა — ეს უკვე უგვიანესი ხანის საქმეს წარმოადგენდა, როცა სახარება და ეგრეთწოდებული მოციქულთა ეპისტოლენი [12] დაიწერა. სწორედ აქ იქნა მოურიდებლად გამოყენებული — ყოველ შემთხვევაში მორალისათვის — სტოიკური ფილოსოფია, მეტადრე სენეკა. ბაუერმა დაამტკიცა, რომ ეპისტოლენი გადმოწერილია სენეკადან, ხშირად თითქმის სიტყვა-სიტყვით. მართლაც, ეს თვალში ხვდებოდათ თვით მართლმორწმუნე ქრისტიანებს, მაგრამ, ისინი ამტკიცებდნენ, რომ, პირიქით, სენეკამ გადმოიწერა ახალი აღთქმიდანო, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ დაწერილიც კი არ იყო. დოგმატიკა ვითარდებოდა, ერთი მხრით, იესოს შესახებ სახარებათა ლეგენდასთან დაკავშირებით, ლეგენდასთან, რომელიც ყალიბდებოდა, მეორე მხრით, ებრაელებიდან გამოსულ ქრისტიანთა და წარმართებიდან გამოსულ ქრისტიანთა შორის წარმოებულ ბრძოლაში.

ფილოსოფოსები იყვნენ ან სკოლის მასწავლებელნი, რომელნიც ამით შოულობდნენ ფულს, ანდა მოქეიფე მდიდართა მასხარები, რომლებიც მათგან იღებდნენ გასამრჯელოს, ზოგიერთი მონებიც კი იყვნენ. თუ რა გამოდიოდა მათგან, როცა მათი საქმე კარგად მიდიოდა, ამას გვიჩვენებს ბატონ სენეკას მაგალითი. ეს სტოიკოსი, რომელიც სათნოებასა და თავშეკავებას ქადაგებდა, პირველი ინტრიგანი იყო ნერონის კარზე, ამასთან ქვეშმძრომობასაც მიმართავდა; იგი ცდი-

ლობდა ნერონისაგან მიეღო საჩუქრები ფულით, მამულებით, ბაღებით, სასახლეებით და, ჰქადაგებდა რა სახარებაში მოხსენებულ ლაოაარისებრ[13] სიღატაკეს, სინამდვილეში თვითონ იმავე იგავში მოხსენებული მდიდარი იყო. მხოლოდ როცა ნერონმა დააპირა ყელში სწვდომოდა მას, სენეკამ ნერონს სთხოვა, უკან წაიღე ყველა საჩუქარი, რადგან ჩემთვის ჩემი ფილოსოფიაც საკმარისიაო. ფილოსოფოსთაგან მხოლოდ ძალიან იშვიათად თუ ვინმე ამათრახებდა, როგორც პერსიუსი, მწვავე სატირით მაინც თავის გადაგვარებულ თანამედროვეებს. რაც შეეხება მეორე სახის იდეოლოგებს, — იურისტებს, — ისინი აღტაცებული იყვნენ ახალი წყობილებით, რადგან ყველა წოდებრივი განსხვავების შენელება მათ საშუალებას აძლევდა უფართოესად დაემუშავებინათ თავისი საყვარელი კერძო სამართალი; სამაგიეროდ მათ კიდეც შეუდგინეს იმპერატორებს უსაზიზღრესი სახელმწიფო სამართალი, როგორიც კი ოდესმე არსებულა.

ხალხთა პოლიტიკურ და სოციალურ თავისებურებებთან ერთად რომის იმპერიამ დასაღუპავად გასწირა მათი განსაკუთრებული რელიგიებიც. ძველი დროის ყველა რელიგია პირველყოფილი ტომობრივი, უფრო გვიან კი ნაციონალური რელიგიები იყო, რომლებიც თვითეული ხალხის საზოგადოებრივი და პოლიტიკური პირობებიდან წარმოიშვა და მჭიდროდ შეეზარდა მათ. რაკი დანგრეულ იქნა მათი ეს საფუძველი, დამსხვრეულ იქნა მემკვიდრეობით მიღებული საზოგადოებრივი ფორმები, ძველისძველი პოლიტიკური წყობილება და ეროვნული დამოუკიდებლობა, თავისთავად ცხადია, ინგრეოდა მათთან დაკავშირებული რელიგიაც. ეროვნულ ღმერთებს შეეძლოთ შეეწყნარებინათ სხვა ეროვნული ღმერთები თავის გვერდით, და ძველ დროს ეს საერთო წესი იყო, — მაგრამ სრულიადაც არა მათზე მაღლა მდგომთა სახით. რომში აღმოსავლური რელიგიური კულტების გადმონერგვამ მხოლოდ ზიანი მიაყენა აღმოსავლურ რელიგიებს, მაგრამ აღმოსავლური რელიგიების დაცემის შეჩერება კი ვერ შესძლო. რაკი ეროვნულ ღმერთებს უკვე აღარ შეუძლიათ დაიცვან თავისი ერის დამოუკიდებლობა და თავისთავადობა, ისინი თვითონაც იღუპებიან. ასე იყო ყველგან (გლეხების გარდა, მეტადრე მთებში). რაც რომსა და საბერძნეთში ვულგარულ ფილოსოფიურმა განათლებამ გააკეთა,— კინაღამ არა ვთქვი ვოლტერიანობამ მეთქი, — ის პროვინციაში გააკეთა რომის მიერ დამონებამ და თავისი თავისუფლებით ამაყ მოქალაქეთა შეცვლამ სასოწარკვეთილი ქვეშევრდომებით და თავმოთნე არამზადებით.

ფრ. ენგელსი. „ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა". გვ. 5—9, 12—14.

8. ბიბლიის მეცნიერული კრიტიკა

ბიბლიის გერმანულ კრიტიკას — დღემდე ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიის დარგში ჩვენი ცოდნის ერთადერთ მეცნიერულ საფუძველს — ორი მიმართულება ჰქონდა.

ერთი მიმართულება — ეს არის ტიუბინჰენის სკოლა[14], რომელსაც, უფრო ფართო აზრით, შეიძლება მივაკუთვნოთ დ. ფ. შტრაუსიც. კრიტიკული გამოკვლევის მხრივ იგი ისე შორს მიდის, რამდენადაც ეს შესაძლებელია თეოლოგიური სკოლისათვის. იგი აღიარებს, რომ ოთხივე სახარება თავის თვალით მნახველთა ნაამბობი კი არ არის, არამედ ისინი დაკარგულ წერილთა უგვიანეს გადამუშავებას წარმოადგენენ და რომ იმ ეპისტოლეებიდან, რომლებსაც პავლე მოციქულს აკუთვნებენ, ნამდვილი ეპისტოლეა მხოლოდ ოთხი და ა. შ. მან ისტორიული თხრობიდან ამოშალა ყველა სასწაული და ყველა წინააღმდეგობა, როგორც დაუშვებელი რამ; მაგრამ დანარჩენიდან ცდილობს „გადაარჩინოს ყველაფერი, რისი გადარჩენაც კი შესაძლებელია“ და ამაში მეტად ნათლად მჟღავნდება მისი ხასიათი, როგორც თეოლოგთა სკოლისა. ამით მან საშუალება მისცა რენანს, რომელიც მეტწილად ამ სკოლას ეყრდნობა, იმავე მეთოდის გამოყენებით, „გადაერჩინა“ კიდევ გაცილებით უფრო მეტი და შეცდილიყო თავზე მოეხვია ჩვენთვის, როგორც ისტორიულად სარწმუნო მასალა, გარდა ახალი აღთქმიდან აღებული დიდძალი, სულ ცოტა რომ ვთქვათ, საეჭვო ამბებისა, კიდევ მრავალი სხვა ლეგენდა წამებულთა შესახებ. მაგრამ, რა თქმა უნდა, ყოველივე ის, რაც ტიუბინჰენის სკოლამ უარჰყო ახალ აღთქმაში, როგორც არაისტორიული ან ყალბი, შეიძლება საბოლოოდ გაქარწყლებულად ჩაითვალოს მეცნიერებისათვის.

მეორე მიმართულება წარმოდგენილია მხოლოდ ერთი კაცით ბრუნო ბაუერით[15]. მის უდიდეს დამსახურებას წარმოადგენს არა მარტო ის, რომ მან შეუბრალებლად გააკრიტიკა სახარებანი და მოციქულთა ეპისტოლენი, არამედ კიდევ ისიც, რომ მან პირველმა მოჰკიდა სერიოზულად ხელი არა მარტო იუდეველთა და ბერძნულ ალექსანდრიულ, არამედ აგრეთვე იმ წმინდა ბერძნულ და ბერძნულ-რომაულ ელემენტთა გამოკვლევას, რომლებმაც ქრისტიანობას გზა გაუკაფეს მსოფლიო რელიგიად გადაქცევისაკენ. ლეგენდა ქრისტიანობის შესახებ, რომელიც ერთბაშად და მზამზარეული სახით წარმოიშვა იუდეველობიდან და რომელმაც პალესტინიდან სძლია მსოფლიოს თავისი, მთავარ ხაზებში, დადგენილი დოგმატიკითა და ეთიკით, — ეს ლეგენდა შეუძლებელი გახდა ბრუნო ბაუერის დროიდან; მას შეუძლია კიდევ იბოგინოს მხოლოდ თეოლოგიურ ფაკულტეტებ-

ზე და იმ ადამიანთა შორის, რომელთაც სურთ „შეინარჩუნონ რელიგია ხალხისათვის“, თუნდაც მეცნიერების საზიანოდ. ალექსანდრიული ფილონური სკოლისა და ბერძნულ რომაული ვულგარული ფილოსოფიის — პლატონის და მეტადრე სტოიკური[16] ფილოსოფიის — უდიდესი გავლენა ქრისტიანობაზე, რომელიც კონსტანტინეს დროს სახელმწიფო რელიგიად იქცა, ჯერ კიდევ სრულიადაც არ არის გამორკვეული ყველა დეტალში, მაგრამ ამ გავლენის არსებობა დამტკიცებულია და ეს უმთავრესად ბრუნო ბაუერის დამსახურებას წარმოადგენს; მან ძირითადად დაამტკიცა, რომ ქრისტიანობა არ ყოფილა შემოტანილი გარედან, იუდეადან და ბერძნულ-რომაული მსოფლიოსათვის თავზე მოხვეული, რომ იგი, ყოველ შემთხვევაში მსოფლიო რელიგიის სახით მაინც, ამ მსოფლიოს უაღრესად დამახასიათებელ პროდუქტს წარმოადგენს. რა თქმა უნდა, ბაუერმა, როგორც ყველამ, ვინც ცრურწმენათა წინააღმდეგ იბრძვის, ამ საქმეში გადაამლაშა. იმისათვის, რომ ნათელეყო აგრეთვე ლიტერატურული დოკუმენტების საფუძველზე ფილონისა და მეტადრე სენეკას გავლენა წარმოშობის პროცესში მყოფ ქრისტიანობაზე, ხოლო ახალი აღთქმის მწერლები წარმოედგინა ხსენებულ ფილოსოფოსთა ნამდვილ პლაგიატორებად, ბაუერი იძულებული გახდა ახალი რელიგიის წარმოშობა ნახევარი საუკუნით წინ გადაეწია, უკუეგდო რომაელ ისტორიკოსთა საწინააღმდეგო ცნობები და საერთოდ ნება მიეცა თავისათვის ჭიდი მოურიდებლობა გამოეჩინა ისტორიის გადმოცემაში. მისი აზრით, ქრისტიანობა, როგორც ასეთი, წარმოიშობა მხოლოდ ფლავიუსების დროს, ახალი აღთქმის ლიტერატურა კი — მხოლოდ ადრიან ანტონინისა და მარკ ავრელიუსის დროს. ამის გამო ბაუერს ხელიდან ეცლება აგრეთვე ყოველგვარი ისტორიული ნიადაგი ახალი აღთქმის თქმულებებისათვის იესოსა და მისი მოწაფეების შესახებ; ეს თქმულებანი იქცევა ლეგენდებად, რომლებშიც განვითარების შინაგანი ფაზები და სულიერი ბრძოლა პირველ თემთა შიგნით გადატანილია ცოტად თუ ბევრად გამოგონილ პიროვნებებზე. ბაუერის მიხედვით, ახალი რელიგიის ჩასახვის ადგილია არა გალილეა და იერუსალიმი, არამედ ალექსანდრია და რომი.

ამრიგად, თუ ტიუბინჰენის სკოლამ ახალი აღთქმის ისტორიისა და ლიტერატურის იმ ნაწილში, რაც მან ხელუხლებლად დასტოვა, მოგვცა იმის უკიდურესი მინიმუმი, რაც მეცნიერებას ამჟამად შეუძლია ჯერ კიდევ სადაოდ აღიაროს, ბრუნო ბაუერი გვაძლევს იმის მაქსიმუმს, რაც მეცნიერებას შეუძლია უარჰყოს. ამ საზღვრებს შორის მოქცეულია ნამდვილი ჭეშმარიტება. შეიძლება თუ არა მისი გამორკვევა ახლანდელ მონაცემთა პირობებში, ეს მეტად საეჭვოა. ახალი ნაპოვარნი რომში, აღმოსავლეთში და უწინარეს ყოვლისა ეგვიპტეში

აქ გაცილებით უფრო მეტს მოგვცემენ, ვიდრე როგორიც გნებავთ კრიტიკა.

ფრ. ენგელსი. „ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის". გვ. 13—16.

4. ადრინდელი ქრისტიანობის დოგმატიკა, ეთიკა და ესხატოლოგია. იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება

მაგრამ ახალ აღთქმაში არის მხოლოდ ერთადერთი წიგნი, რომლის დაწერის დრო შეიძლება რამდენიმე თვის სიზუსტით გამოვარკვიოთ. იგი, ალბათ, დაწერილია 67 წლის ივნისსა და 68 წლის იანვარსა თუ აპრილს შუა; ამრიგად, ეს წიგნი ქრისტიანობის ყველაზე ადრინდელ ხანას ეკუთვნის და მაშინდელი ქრისტიანობის წარმოდგენებს უაღრესად გულუბრყვილო სიმართლით და შესაბამისი იდიომატიკური ენით ასახავს; ამიტომ, ჩემის აზრით, მას ბევრად უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს ადრინდელი ქრისტიანობის ნამდვილი არსების გამოსარკვევად, ვიდრე ახალი აღთქმის ყველა დანარჩენ წიგნს, რომელთა თანამედროვე ტექსტი გაცილებით უფრო გვიან არის დაწერილი. ეს წიგნია — ეგრეთწოდებული „იოანეს გამოცხადება"; და რადგან ეს წიგნი, თითქოს ყველაზე ბნელი მთელს ბიბლიაში, ახლა, გერმანული კრიტიკის მეოხებით, ყველაზე გასაგები და ყველაზე ნათელი გახდა. მე მსურს მოუთხრო მის შესახებ ჩემს მკითხველებს.

საკმარისია ზერელედ გადაათვალიერო ეს წიგნი, რათა დარწმუნდე, თუ რარიგად ეგზალტირებული იყო არა მარტო მისი შემდგენელი; არამედ ის „გარემომცველი წრეც", რომელშიც იგი მოქმედებდა. ჩვენი „გამოცხადება" არ წარმოადგენს ერთადერთ მოვლენას თავისდაგვარად და თავის ეპოქაში. დაწყებული 164 წლიდან ჩვენს წელთაღრიცხვამდე, როდესაც დაიწერა ჩვენამდე მოღწეული პირველი წიგნი, ეგრეთწოდებული დანიელის წიგნი, და ჩვენი წელთაღრიცხვის თითქმის 250 წლამდე, რაც კომოდიანის[17] „Garmen"-ის დაახლოებითს თარიღს წარმოადგენს, რენანი ითვლის ჩვენამდე მოღწეულ სულ ცოტა 15 კლასიკურ „აპოკალიფსს" თუ. არ ჩავთვლით უგვიანეს მიბაძვათ (მე იძიტომ ვიმოწმებ რენანს, რომ მისი წიგნი ყველაზე უფრო ცნობილია სპეციალისტთა წრის გარეთაც, და აგრეთვე ყველაზე იოლად მისაწვდომია). ეს ის დრო იყო, როდესაც თვით რომსა და საბერძნეთში, და გაცილებით უფრო მეტად მცირე აზიასა, სირიასა და ეგვიპტეში სხვადასხვა ხალხის უაღრესად უხეშ ცრურწმენათა აბსოლუტურად არაკრიტიკულ შერევას ყოველგვარი შენიშვნის გარეშე იღებდნენ და მას კეთილმსახურ სიცრუესა და აშ-

კარა თაღლითობას უმატებდნენ; ეს ის დრო იყო, როდესაც უთვალსაჩინოეს როლს თამაშობდნენ სასწაულები, ექსტაზები, ხილვანი, მოჩვენებანი, მკითხაობა მომავალზე, ოქროს დამზადება, კაბალა[18] და სხვა მისტიკური სისულელე. ასეთი იყო ატმოსფერო, რომელშიც წარმოიშვა ადრინდელი ქრისტიანობა, და წარმოიშვა ამასთან ისეთი კლასის ადამიანებს შორის, რომელიც ყველა სხვა კლასზე უფრო მეტად ითვისებდა ამ ფანტაზიებს ზებუნებრივ საგანთა შესახებ. ტყუილად კი არ იყო, რომ ეგვიპტეში ქრისტიანი გნოსტიკოსები[19] ქრისტიანული წელთაღრიცხვის მეორე საუკუნეში, როგორც ამას, სხვათა შორის, ლაიდენის პაპირუსებიც[20] ამტკიცებენ, გულმოდგინედ მისდევდნენ ალქიმიას და თავიანთ მოძღვრებებში შეჰქონდათ ალქიმიური წარმოდგენები, ხოლო ქალდეველთა და იუდეველთა „მათემატიკოსები“, რომლებიც, ტაციტის მიხედვით, ორჯერ — კლავდიუსისა და შემდეგ კი ვიტელიუსის დროს — გააძევეს რომიდან ჯადოსნობისათვის[21], მხოლოდ ისეთი სახის გეომეტრიას ამუშავებდნენ, რომელიც, როგორც დავინახავთ, „იოანეს გამოცხადების“ საფუძველს წარმოადგენს.

ამას უნდა დავუმატოთ კიდევ შემდეგი. ყოველი აპოკალიფსი სთვლის, რომ მას უფლება აქვს მოატყუოს თავისი მკითხველები. ეს აპოკალიფსები, როგორც წესი, დაწერილია არა მარტო სულ სხვა ადამიანების მიერ, რომლებიც მეტწილად გაცილებით უფრო გვიან ცხოვრობდნენ, ვიდრე აპოკალიფსთა ვითომდა შემდგენლები, როგორც, მაგალითად, დანიელის წიგნი, ენოქის წიგნი, ეზდრას, ბარუხის, იუდას აპოკალიფსები და სხვ., სიბილას წიგნები[22], არამედ ისინი ამასთან ერთად წინასწარმეტყველებენ არსებითად ისეთ ამბებს, რაც უკვე დიდი ხანია მოხდა და რაც ჩინებულად იციან ნამდვილმა შემდგენლებმა. მაგალითად, დანიელის წიგნის შემდგენელი 164 წელს, ცოტა ხნით ადრე ანტიოქ ეპიფანეს გარდაცვალებამდე. თითქოსდა ნაბუქოდონოსორის[23] ეპოქაში მცხოვრებ დანიელს წარმოათქმევინებს წინასწარმეტყველებას სპარსეთისა და მაკედონიის ამაღლებისა და დაღუპვის და რომის მსოფლიო იმპერიის დაწყების შესახებ, რათა თავისი წინასწარმეტყველური ძალის ამ საბუთით მკითხველმა უფრო მეტად შესძლოს აითვისოს უკანასკნელი წინასწარმეტყველება იმის შესახებ, რომ იზრაელის ხალხი გადალახავს ყოველგვარ ტანჯვას და ბოლოსდაბოლოს გაიმარჯვებს. ამრიგად, „იოანეს გამოცხადება“ რომ მართლაც მასში დასახელებული ავტორის თხზულება იყოს, იგი ერთადერთი გამონაკლისი იქნებოდა მთელი აპოკალიფსური ლიტერატურიდან.

იოანე, რომელიც თავისთავს შემდგენელად აცხადებს, ყოველ შემთხვევაში მეტად პატივცემული პირი იყო მცირე აზიის ქრისტიანთა შორის. ამას მოწმობს 7 თემისადმი მიმართული ეპისტოლეების ტონი. მაშასადამე, შესაძლოა, რომ ეს არის იოანე მოციქული, რომლის ისტორიული არსებობა, მართალია, სავსებით უეჭველი არ არის, მაგრამ მაინც ძალიან შესაძლებელია. და ავტორი რომ მართლაც ეს მოციქული იყოს, ეს მხოლოდ განამტკიცებდა ჩვენს თვალსაზრისს. ეს იმის საუკეთესო დადასტურება იქნებოდა, რომ ამ წიგნის ქრისტიანობა — მართლაც ნამდვილი ადრინდელი ქრისტიანობაა, მაგრამ გზადაგზა უნდა შევნიშნოთ: ცხადია, რომ „გამოცხადება" იმავე ავტორს არ ეკუთვნის, ვისაც ეკუთვნის სახარება ან სამი ეპისტოლე, რომლებსაც ასევე იოანეს მიაწერენ.

ფრ. ენგელსი. „ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის". 16—19.

„გამოცხადება" მთელ რიგ ხილვათაგან შესდგება. პირველ ხილვაში ჩნდება მღვდელმთავარის ტანსაცმელში გამოწყობილი ქრისტე; იგი გაიელის შვიდ ლამპარს შორის, რომლებიც აზიის 7 თემს გამოსახავენ და უკარნახებს „იოანეს" ეპისტოლეებს ამ თემთა შვიდი „ანგელოზისადმი". უკვე თავიდანვე აქ მკვეთრად აშკარავდება განსხვავება ამ ქრისტიანობასა და კონსტანტინეს დროის მსოფლიო რელიგიას შორის, რომელიც ფორმულირებულ იქნა ნიკეის კრებაზე[24], წმინდა სამება არამც თუ უცნობია, იგი აქ შეუძლებელიც არის. უგვიანესი დროის ერთი სული-წმინდის ნაცვლად ჩვენ აქ ვხედავთ „ღვთის შვიდ სულს", რომლებიც კონსტრუირებულ იქნა რაბინების მიერ ესაიას მიხედვით, თავი XI, მუხ. 2. ქრისტე არის ძე ღვთისა, პირველი და უკანასკნელი, ალფა და ომეგა, მაგრამ სრულიადაც არა თვით ღმერთი ან ღვთის თანასწორი; პირიქით იგი არის „ღვთის ქმნილების დასაბამი", მაშასადამე, დასაბამიდან არსებული, მაგრამ დაქვემდებარებული ემანაცია ღმერთისა, ისევე როგორც ხსენებული შვიდი სული. XV თავში, მე-3 მუხ. წამებულნი გალობენ ღვთის სადიდებლად „ღვთის მონის, მოსეს, გალობას და კრავის გალობას". ამრიგად, აქ ქრისტე გამოდის არა მარტო როგორც ღმერთისადმი დაქვემდებარებული, არამედ აგრეთვე რომელსაც ერთგვარად იმავე საფეხურზე მდგომი, რომელზედაც მოსე დგას. ქრისტე ჯვარს აცვეს იერუსალიმში (XI, 8), მაგრამ აღსდგა (1,5,18); ის არის „კრავი", მსხვერპლად მიტანილი სამყაროს ცოდვებისათვის, და მისი სისხლით გამოხსნილი არიან ღვთის წინაშე ყველა ტომისა და ენის მორწმუნენი. აქ ჩვენ ვხედავთ იმ ძირითად წარმოდგენას, რომლის მეოხებითაც ადრინდელ ქრისტიანობას შეეძლო მსოფლიო რელიგიად გან-

ვითარება. იმ დროს სემიტებისა და ევროპელების ყველა რელიგიისათვის დამახასიათებელი იყო საერთო შეხედულება, რომლის თანახმადაც ადამიანთა მოქმედებით შეურაცხყოფილი ღმერთების გულის მოგება შეიძლებოდა მსხვერპლით; ქრისტიანობის პირველი რევოლუციური (ფილონის სკოლისაგან გადმოღებული) ძირითადი დებულება იმაში მდგომარეობდა, რომ მორწმუნეთათვის შუამავლის ერთი დიდი ნებაყოფლობითი მსხვერპლით ერთხელ და ბამუდამოდ გამოსყიდულია ყველა დროისა და ყველა ადამიანის ცოდვები. ამის გამო ზედმეტი ხდებოდა ყოველგვარ შემდგომ მსხვერპლთა საჭიროება, ხოლო მასთან ერთად ისპობოდა საფუძველიც მრავალი რელიგიური წესჩვეულებისათვის; მაგრამ იმ წეს-ჩვეულებათაგან განთავისუფლება, რომლებიც აძნელებდნენ ან შეუძლებელს ხდიდნენ ურთიერთობას სხვა სარწმუნოების ადამიანებთან, მსოფლიო რელიგიის პირველი პირობა იყო. მიუხედავად ამისა, მსხვერპლის მიტანის ჩვეულებამ იმდენად ღრმად გაიდგა ფესვები ხალხთა ზნე-ჩვეულებებში, რომ კათოლიციზმმა, რომელმაც ესოდენ ბევრი რამ წარმართული შეითვისა, საჭიროდ მიიჩნია შეგუებოდა ამ ჩვეულებას თუნდაც სიმბოლური შეწირვის შემოღებით. — პირიქით, ამ წიგნში, რომელსაც ჩვენ ვიხილავთ, ნახსენებიც კი არ არის პირვანდელი ცოდვის დოგმატი.

მაგრამ ამ ეპისტოლეებში, ისე როგორც მთელს წიგნში, ყველაზე ღირსშესანიშნავი ის არის, რომ ავტორს არასოდეს და არსად აზრადაც კი არ მოდის უწოდოს თავისთავს ან თავიანთ ერთმორწმუნეთ სხვა რამ, თუ არა... ი უ დ ე ვ ე ლ ე ბ ი. სმირნისა და ფილადელფიის სექტანტებს, რომლებსაც იგი ებრძვის, ასეთ საყვედურს ეუბნება: „ისინი ამბობენ, რომ იუდეველები არიან, მაგრამ ისინი არიან სრულიადაც არა იუდეველები, არამედ შესაკრებელი ეშმაკთა"; პერგამელ სექტანტებზე ნათქვამია, რომ ისინი ბალამის[25] მოძღვრებას მისდევენ, რომელიც ვალაკს ასწავლიდა ეცთუნებინა ი ზ რ ა ი ლ ი ს ძ ე ნ ი, რათა მათ ეჭამათ კერპების სამსხვერპლო ცხოველები და ხელი მიეყოთ სიძვისათვის. ამგვარად, ჩვენ აქ საქმე გვაქვს არა შეგნებულ ქრისტიანებთან, არამედ ისეთ ადამიანებთან, რომელთაც თავი იუდეველებად მოჰქონდათ; რა თქმა უნდა, მათი იუდეველობა უფრო ადრინდელი იუდეველობის განვითარების ახალი საფეხურია, მაგრამ იგი სწორედ ამიტომ არის ერთადერთი ჭეშმარიტი. ამიტომ ღვთის ტახტის წინაშე წმინდანთა გამოცხადებისას წინ მიდის 144.000 იუდეველი, თორმეტ-თორმეტი ათასი თვითეული თაობისაგან[26], და მხოლოდ ამის შემდეგ მიდის ამ განახლებულ იუდეველობაზე მოქცეულ წარმართთა უთვალავი რაოდენობა. აი რარიგ ნაკლებად ჰქონდა ჯერ კიდევ შეგნებული ჩვენს ავტორს ქრისტიანული წელთაღრიცხვის 69 წელს, რომ იგი არის რელიგიური განვითარების იმ სრულიად ახალი

ფაზის წარმომადგენელი, რომელსაც ადამიანის აზროვნების ისტორიაში ერთერთ ყველაზე რევოლუციურ ელემენტად გადაქცევა მოელოდა.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ იმ დროის ქრისტიანობა, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ შეეგნო თავისთავი, როგორც ცა დედამიწიდან, ისეა დაშორებული დოგმატებში გამტკიცებულ უგვიანესი — ნიკეის კრების მსოფლიო რელიგიიდან; იქ მას სრულიად ვეღარა სცნობ. აქ კი მას არა აქვს არც დოგმატიკა, არც უგვიანესი ქრისტიანობის ეთიკა; სამაგიეროდ აქ არის იმის შეგნება, რომ სწარმოებს ბრძოლა მთელ მსოფლიოსთან, და რომ ეს ბრძოლა გამარჯვებით დასრულდება; არის ბრძოლის სიხარული და გამარჯვების რწმენა, რაც სრულიად დაჰკარგეს თანამედროვე ქრისტიანებმა და რაც ჩვენს დროში არსებობს საზოგადოების მხოლოდ მეორე პოლუსზე — სოციალისტებს შორის.

ფ. ენგელსი. „ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის". გვ. 19—22.

ორივე შემთხვევაში, სადაც ავტორი დეტალებში იჭრება, მისი ბრალდება იმაში გამოიხატება, რომ კერპთა სამსხვერპლო ცხოველებს სჭამენ და სიძვას ეწევიანო, — ორი პუნქტი, რომელთა გამო იუდეველები — როგორც ძველი, ისე ქრისტიანი იუდეველები — მუდამ დაობდნენ იუდეველობაში გადასულ წარმართებთან. წარმართების შესაწირავთა ხორცი არა მარტო მოჰქონდათ სატრაპეზოდ, სადაც მასპინძლობაზე უარის თქმა უზრდელობას წარმოადგენდა და შესაძლოა სახიფათოც გამხდარიყო, არამედ საზოგადო ბაზრებზედაც კი იყიდებოდა, სადაც ყოველთვის როდი შეიძლებოდა გამოგერკვია, ნებადართული იყო თუ არა მისი ჭამა. სიძვად იუდეველებს მიაჩნდათ არა მარტო უქორწინო სქესობრივი ურთიერთობა, არამედ იუდეველთა კანონით აკრძალული ქორწინება გარკვეულ ნათესაურ ურთიერთობაში მყოფ პირთა შორის და აგრეთვე ქორწინებას იუდეველთა და წარმართთ შორის; სწორედ ასეთ აზრს მიაწერენ ჩვეულებრივად ამ სიტყვას სამოციქულო წიგნის XV თავში, მე-20 და 29-ე ტაეპებში. მაგრამ ჩვენს იოანეს აქვს თავისი შეხედულება იმ სქესობრივ ურთიერთობაზე, რომელიც ნებადართული აქვთ მართლმორწმუნე იუდეველებს. XIV თავის მე-4 ტაეპში ის ლაპარაკობს ცათ აღვლენილ 144.000 იუდეველზე: „ესენი არიან, რომელნი იგი დედათა თანა არა შეიგინეს: რამეთუ ქალწულ არიან". და მართლაც, ჩვენი იოანეს ზეცაში არც ერთი ქალი არ არის. მაშასადამე, ის ეკუთვნის იმ მიმდინარეობას, რომელსაც ჩვენ ხშირად ვხვდებით ადრინდელი ქრისტიანობის სხვა ნაწერებშიც, ადრინდელი ქრისტიანობა კი საერ-

თოდ სქესობრივ ურთიერთობას ცოდვად სთვლიდა. და თუ ჩვენ მხედველობაში მივიღებთ იმასაც, რომ იგი რომს უწოდებს უდიდეს მეძავს, რომელთანაც ისიძვეს ქვეყნის მეფეებმა, დაითვრნენ რა მისი სიძვის ღვინით და რომ რომაელი ვაჭრები მდიდრდებიან მისი დიდი გარყვნილებისაგან, მაშინ ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლია ეპისტოლეებში მოხსენებული ეს სიტყვა გავიგოთ იმ ვიწრო აზრით, როგორიც სურთ მას მისცენ თეოლოგ-აპოლოგეტებმა, რათა ამგვარი საშუალებით გამონახონ დადასტურება ახალი აღთქმიდან აღებული სხვა ადგილებისათვის. პირიქით, ეპისტოლეთა ეს ადგილები ნათლად მიუთითებენ იმ მოვლენაზე, რომლებიც საერთოა ღრმა რყევათა ეპოქებისათვის, სახელდობრ იმაზე, რომ ყველა სხვა ზღუდესთან ერთად ირღვევა სქესობრივი ურთიერთობის ტრადიციული კავშირებიც. ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში სხეულის მომაკვდინებელ ასკეტიზმთან ერთად საკმაოდ ხშირად იჩენს თავს იმის ტენდენცია, რომ ქრისტიანული თავისუფლება გავრცელდეს მამაკაცისა და ქალის ურთიერთობის ცოტად თუ ბევრად განუსაზღვრელ თავისუფლებაზეც. ასეთივე იყო საქმის ვითარება თანამედროვე სოციალისტურ მოძრაობაშიც. რა წარმოუდგენელი შეძრწუნება გამოიწვია იმდროინდელი, 30-იანი წლების გერმანიაში, ამ „ზნეკეთილ საბავშვო ოთახში“, სენ-სიმონისტურმა „rehabilitation de la chair“ [„სხეულის რეაბილიტაციამ“], რომელიც გერმანულ თარგმანში „სხეულის უფლებათა აღდგენათ“ გადაიქცა! მაგრამ ყველაზე უფრო შეძრწუნდნენ მაშინ ის გაბატონებული კეთილშობილი წოდებანი (მაშინ ჩვენში ჯერ კიდევ არ იყვნენ კლასები), რომელთაც არ შეეძლოთ ცხოვრება არც ბერლინში, არც თავიანთ მამულებში ისე, რომ განუწყვეტლივ არ აღედგინათ თავიანთი სხეულის უფლებანი! რა იქნებოდა ამ კეთილ ადამიანებს რომ ფურიეც სცოდნოდათ, რომელიც სხეულისათვის გაცილებით უფრო მეტ თავისუფლებებს ითვალისწინებდა! მას შემდეგ, რაც დაძლეულ იქნა უტოპიზმი, ამ უგუნურებათ ადგილი დაუთმეს უფრო რაციონალურ და სინამდვილეში გაცილებით უფრო რადიკალურ ცნებებს; და მას შემდეგ, რაც გერმანია ჰაინეს „ზნეკეთილ საბავშვო ოთახიდან“ სოციალისტური მოძრაობის ცენტრად განვითარდა — ზნეკეთილი მაღალი საზოგადოების თვალთმაქცურ აღშფოთებას მხოლოდ დასცინოდნენ.

ასეთია ეპისტოლეთა დოგმატების მთელი შინაარსი. რაც შეეხება ყოველივე დანარჩენს, ისინი აქეზებენ ამხანაგებს გასწიონ გულმოდგინე პროპაგანდა, თამამად და ამაყად აღიარონ თავიანთი სარწმუნოება მოწინააღმდეგის თვალწინ, დაუცხრომლად ებრძოლონ შინაურ და გარეშე მტრებს, — და, რამდენადაც საქმე ამას ეხება, ეს

ეპისტოლენი ასევე ადვილად შეიძლებოდა დაეწერა წინასწარმეტყველურად განწყობილ რომელიმე ენთუზიასტს ინტერნაციონალიდან.

ფრ. ენგელსი. „ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისთვის". გვ. 25—27.

მაგრამ ეს ზეციური სამოთხე სრულიადაც არ გაიღება მორწმუნეთათვის სიკვდილისთანავე. ჩვენ დავინახავთ, რომ ღვთის სასუფეველი, რომლის დედაქალაქიც არის ახალი იერუსალიმი, მხოლოდ ჯოჯოხეთის ძალებთან გააფთრებული ბრძოლის შემდეგ მოიპოვება და გაიღება. მაგრამ პირველი ქრისტიანების წარმოდგენით ეს ბრძოლა შორს არ იყო. ჩვენი იოანე დასაწყისშივე ახასიათებს თავის წიგნს როგორც იმის გამოცხადებას, „რაც მალე უნდა მოხდეს": ამის შემდეგ, მე-3 ტაეპში, იგი ამბობს: „ნეტარ არიან, რომელნი იკითხვიდნენ, და რომელნი ისმენდენ სიტყვათა წინასწარმეტყველებისათა, რამეთუ ჟამი-ახლოს არს"; ქრისტემ უბრძანა მას მიეწერა ფილადელფიის თემისათვის: „აჰა, მოვალ ადრე". უკანასკნელ თავში კი ანგელოზი ამბობს, რომ მან მიუთითა იოანეს იმაზე „რაც მალე უნდა მოხდეს" და უბრძანებს მას: „ნუ დაბეჭდავ სიტყვათა წინასწარმეტყველებისა ამის წიგნისათა; რამეთუ ჟამი ახლოს არს", და ქრისტე თვითონ ორჯერ (ტაეპი მე-12 და ტაეპი მე-20) ამბობს: „მოვალ ადრე". შემდეგ ჩვენ დავინახავთ, თუ რა მალე მოელოდნენ ამ მოსვლას.

აპოკალიფსური ხილვანი, რომლებსაც ავტორი ჩვენ შემდეგ გადაგვიშლის, მთლიანად და მეტწილად სიტყვასიტყვით გადმოღებულია უფრო ადრინდელი ნიმუშებიდან. გადმოღებულია ნაწილობრივ ძველი აღთქმის კლასიკურ წინასწარმეტყველთაგან, უმთავრესად ეზეკიელისაგან, ნაწილობრივ — იუდეველთა უგვიანესი აპოკალიფსებიდან, რომლებიც შედგენილია დანიელის წიგნის მსგავსად, უმთავრესად ენოქის წიგნიდან, რაც მაშინ უკვე დაწერილი იყო. ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც. კრიტიკამ უაღრესად დეტალურად გამოარკვია, თუ საიდან გადმოიღო ჩვენმა იოანემ ყოველი სურათი, ყოველი მრისხანე წინამოსწავება, ყოველი უბედურება, ურწმუნო კაცობრიობის თავზე ზეგარდმოვლენილი, — ერთი სიტყვით, თავისი წიგნის მთელი მასალა; ასე რომ იოანე არამარტო ამჟღავნებს თავის უაღრეს უნიჭობას, არამედ აშკარადაც გვიჩვენებს, რომ მას წარმოსახვითაც არ განუცდია თავისი მოჩვენებითი ექსტაზები და ხილვანი, იმ სახით, როგორც იგი მათ აღწერს.

ამ ხილვათა თანამიმდევრობა მოკლედ ასეთია. იოანე ჯერ ხედავს ღმერთს, რომელიც თავის ტახტზე ზის, და ხელთ უპყრია 7 ბეჭდით დაბეჭდილი წიგნი, მის წინაშე კი—დაკლულ, მაგრამ გაცოცხლე-

ბულ კრავს (ქრისტეს), რომელსაც ბეჭდების მოხსნის ღირსად აღიარებენ. ამ ბეჭდების მოხსნისას ყოველგვარი მრისხანე სასწაულებრივი ნიშნები ხდება. მეხუთე ბეჭდის მოხსნისას იოანე ღვთის საკურთხევლის ქვეშ ხედავს ღვთის სიტყვისათვის მოკლულ მოწამე ქრისტიანთა სულებს, რომლებიც ხმამაღლა ღაღადებენ: „ვიდრემდე არა სჯი, მეუფეო, და შურს არა იძიებ ჩვენი სისხლისათვის მკვიდრთაგან ქვეყნისათა?“ ამის შემდეგ მათ აძლევენ სპეტაკ სამოსელს და ურჩევენ, ცოტა კიდევ მოიცადეთ, რადგან საჭიროა მოკლულ იქნეს უფრო მეტი წამებულიო. — ამრიგად აქ ჯერ ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი „სიყვარულის რელიგიაზე“, არ არის ნათქვამი: „გიყვარდეთ მტერნი თქვენი, დალოცეთ მოძულენი თქვენიო“ და ა. შ.; აქ ქადაგებენ აშკარა შურისძიებას; ჯანსაღ, პატიოსან შურისძიებას ქრისტიანების მდევნელებზე. და ეს ასეა მთელს წიგნში. რაც უფრო ახლოვდება კრიზისი, რაც უფრო ხშირად სცვივა ზეციდან უბედურება და სასჯელი, მით უფრო მეტი სიხარულით გვაუწყებს ჩვენი იოანე, რომ ადამიანთა უდიდეს მასას ჯერ კიდევ არა სურს მოინანიოს თავისი ცოდვები, რომ ჯერ კვლავ უნდა ზუზუნებდეს მათ ზურგზე ღვთის შოლტი, რომ ქრისტე ამ ადამიანებს რკინის კვერთხით უნდა მწყემსავდეს და ყოვლისმპყრობელი უფლის მძვინვარე მრისხანების სასრეკში უნდა ქელავდეს და რომ ულმერთოები მაინც არ მოიშლიან ჯიუტობას თავიანთ გულში. ეს არის ბუნებრივი, ყოველგვარი ფარისევლობისაგან თავისუფალი შეგრძნება იმისა, რომ სწარმოებს ბრძოლა და რომ à la guerre comme á la guerre [რაკი ომია, უნდა იომო], — მეშვიდე ბეჭდის მოხსნისას გამოჩნდება 7 ანგელოზი საყვირებით; ყოველთვის, რა წამს ერთი მათგანი საყვირს დასცემს, ჩნდება ახალი საშინელი ნიშნები. მას შემდეგ რაც მეშვიდედ დასჭექს საყვირის ხმა სცენაზე გამოდის 7 ანგელოზი ღვთის გულისწყრომით სავსე 7 ლანკანით, რაც თავს ენთხევა ქვეყანას; კვლავ ახალი უბედურებანი და სასჯელნი, რომელნიც არსებითად უმეტეს შემთხვევაში უკვე მრავალჯერ ნათქვამის მომქანცველ განმეორებას წარმოადგენენ. შემდეგ გამოჩნდება ქალი — ბაბილონი, დიდი მეძავი, რომელიც ზის წყალზე ალისფერი სამოსელით. წმინდანთა და იესოსათვის წამებულთა სისხლით დამთვრალი; ეს არის შვიდგორაკიანი დიდი ქალაქი, რომელიც ქვეყნის ყველა მეფეზე ბატონობს. იგი ზის 7-თავიან და 10-რქიან მხეცზე. შვიდი თავი ეს არის შვიდი გორაკი და აგრეთვე 7 „მეფე“. ამ მეფეებიდან ხუთი დაეცა, ერთი არსებობს, მეშვიდე კი მოვა, მის შემდეგ კიდევ მოვა ერთ-ერთი პირველ ხუთთაგანი, სასიკვდილოდ დაჭრილი, მაგრამ განკურნებული. ეს უკანასკნელი იმეფებს ქვეყნად 42 თვე, ანუ $3^1/_2$ წელიწადი (7 წლისაგან შემდგარი წლიური კვირის ნახევარს), იგი დაიწყებს მორწმუნეთა შეუბრალებელ დევნას

და გამეფდება უღმერთობა. მაგრამ ამის შემდეგ გაიმართება დიდი გადამწყვეტი ბრძოლა; წმინდანებისა და მოწამეთა სისხლი აღებული იქნება დიდი მეძავის — ბაბილონისა და ყველა მისი მიმდევრის, ე. ი. უამრავი ადამიანის მოსპობით; ეშმაკს გადასჩეხენ უფსკრულში, სადაც იგი გამომწყვდეული იქნება ათას წელიწადს, რომლის განმავლობაში დამყარდება ქრისტეს მეუფება მკვდრეთით აღმდგარ წამებულებთან ერთად. მაგრამ ათასი წლის შემდეგ ეშმაკი კვლავ განთავისუფლდება და გაიმართება სულთა ახალი დიდი ბრძოლა, რომლის დროსაც იგი საბოლოოდ იქნება დაძლეული. მაშინ მოხდება მკვდართა მეორე აღდგომა, როცა დანარჩენი მკვდრებიც გაიღვიძებენ და წარსდგებიან ღვთის (მიაქციეთ ყურადღება — ღვთისა და არა ქრისტეს!) სამსჯავროს წინაშე, და მორწმუნენი აღვლენ ახალ ზეცაში, ახალ ქვეყანაში და ახალ იერუსალიმში მარადიული ცხოვრებისათვის.

ყველაფერი ეს აგებულია იუდაურ — წინაქრისტიანულ მასალაზე, ამიტომ იგი მხოლოდ წმინდა იუდაურ წარმოდგენას იძლევა. მას შემდეგ, რაც იზრაელის ხალხს ამ ქვეყნად მძიმე დრო დაუდგა, — დაწყებული იმ დროიდან, როცა იგი ხარკს აძლევს ასურელებს და ბაბილონელებს და როცა დანგრეულ იქნა ორივე სამეფო — იზრაელისა და იუდეასი, ვიდრე სელევკიდების მიერ დამონებამდე, მაშასადამე ესაიამდე და დანიელამდე, — უბედურების დროს ყოველთვის მხსნელის გამოჩენას წინასწარმეტყველებდნენ. უკვე დანიელის წიგნის XII თავის 1—3 ტაეპებში ვხვდებით წინასწარმეტყველებას მიქაილის, იუდეველთა მფარველი ანგელოზის გამოცხადების შესახებ, რომელიც მათ დიდი უბედურებისაგან იხსნის; ბევრი აღსდგება მკვდრეთით, გაიმართება ერთგვარი საშინელი სამსჯავრო და მასწავლებლები, რომელნიც ხალხს ჭეშმარიტ გზაზე აყენებენ, მარადის ვარსკვლავებივით გაბრწყინებული იქნებიან. ქრისტიანული ხასიათი აქვს მხოლოდ ქრისტეს მეუფების მალე დადგომის და მკვდრეთით აღმდგარ მორწმუნეთა, უმთავრესად მოწამეთა დიდების ხაზგასმით აღნიშვნას.

ამ წინასწარმეტყველების ახსნას, რამდენადაც იგი იმ დროის მოელენებს ეხება, ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ გერმანულ კრიტიკას, განსაკუთრებით ევალდსა, ლუკესა და ფერდინანდ ბენარის კრიტიკას. რენანის საშუალებით ეს განმარტება მისაწვდომი გახდა აგრეთვე არაღვთისმეტყველთა წრეებისათვის დიდი მეძავი ბაბილონი რომს — 7-გორაკიან ქალაქს — რომ მოასწავებს, ეს ჩვენ უკვე დავინახეთ. ამ მხეცის შესახებ, რომელზედაც იგი ზის, XVII თავის მე-9-11 ტაეპებში ნათქვამია შემდეგი შვიდნი იგი თავნი (მხეცისა) შვიდნი მთანი არიან, რომელთა ზედა დედაკაცი ზის, და შვიდნი მეფენი; ხუთნი იგი დაეცეს, და ერთი არს, და მეორე ჯერ არ მოსულა და როდე-

საც იგი მოვა, მცირე დროს დაჰყოფს. და მხეცი იგი, რომელიც იყო და არა არს, არის მერვე და დასაღუპავად წავა".

აქ მხეცი ნიშნავს რომის მსოფლიო ბატონობას, რაც თანმიმდევრობით წარმოდგენილია 7 იმპერატორის მიერ, რომელთაგან ერთი სასიკვდილოდ იყო დაჭრილი და აღარ მეფობს, მაგრამ განკურნებულია და მოვა, რათა მერვეს სახით დაამყაროს ღვთის მგმობელობისა და განდგომილობის მეუფება. მას საშუალება მიეცა „აწარმოოს ომი წმინდანებთან და სძლიოს მათ; და თაყვანს სცემენ მხეცს ქვეყნის ყველა მკვიდრნი, რომელთა სახელები არ არის ჩაწერილი კრავის ცხოვრების წიგნში; ყველა მცირემან და დიდმან, მდიდრებმა და ღარიბებმა, თავისუფალმა პირებმა და მონებმა უნდა ატარონ მხეცის გამოხატულება მარჯვენა ხელზე ან შუბლზე, და არავის არ შეეძლება არ იყიდოს არც გაყიდოს გარნა, რომელთა აქვთ ეს გამოხატულება, ან მხეცის სახელი ანუ რიცხვი სახელისა მისისა: აქ არის სიბრძნე. რომელსა აქვს გონება დასთვალე რიცხვი იგი მხეცისა, რაჲთუ ეს არის რიცხვი კაცისა; რიცხვი მისი 666" (თ. VIII, ტ. 7—18).

ჩვენ მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ აქ, ამრიგად, მოხსენებულია ბოიკოტი, როგორც ერთ-ერთი საშუალება, რასაც რომის მსოფლიო სახელმწიფო ქრისტიანთა წინააღმდეგ იყენებდა (მაშასადამე, ცხადია, რომ ეს ეშმაკის გამონაგონია), და გადავდივართ იმ საკითხზე, თუ ვინ არის ეს რომის იმპერატორი, რომელიც ერთხელ უკვე ბატონობდა და სასიკვდილოდ დაიჭრა და გაქრა, მაგრამ დაბრუნდება როგორც რიგის მიხედვით მერვე და ანტე-ქრისტეს როლს ითამაშებს.

თუ რიგის მიხედვით პირველ იმპერატორად ავგუსტეს მივიჩნევთ, მეორე იქნება ტიბერიუსი, მესამე კალიგულა, მეოთხე კლავდიუსი, მეხუთე ნერონი, მეექვსე ჰალბა „ხუთი დაეცა, ერთი არს". ესე იგი ნერონი უკვე დაეცა, ჰალბა კი არსებობს. ჰალბა მართავდა 68 წლის 9 ივნისიდან 69 წლის 15 იანვრამდე. მაგრამ, ავიდა თუ არა იგი ტახტზე, აჯანყდნენ რაინის ლეგიონები ვიტელიუსის მეთაურობით, ამავე დროს სხვა პროვინციებში სამხედრო ამბოხებებს ამზადებდნენ სხვა სარდლები. თვით რომში აჯანყდნენ პრეტორიანელები, მათ მოჰკლეს ჰალბა და იმპერატორად ოტონი გამოაცხადეს.

აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ ჩვენი „გამოცხადება" დაწერილი იყო ჰალბას დროს — ალბათ, მისი მმართველობის დასასრულს ან, ყოველ შემთხვევაში, ოტონის, „მეშვიდეს" სამი თვის (69 წლის 15 აპრილამდე) მმართველობის დროს. მაგრამ ვინ არის ეს მერვე, რომელიც იყო და რომელიც აღარ არის? ამას ჩვენთვის ნათელყოფს რიცხვი — 666.

სემიტებს — ქალდეველებსა და იუდეველებს — შორის მაშინ გა-

საკალი ჰქონდა მაგიურ ხელოვნებას. რომელიც ასოების ორმაგ მნიშვნელობას ეყრდნობოდა. დაახლოებით 300 წლის წინ ჩვენს წელთაღრიცხვამდე ებრაულ ასოებს ხმარობდნენ აგრეთვე როგორც რიცხვებს: a=1; b=2; g=3; d=4 და ა. შ. კაბალისტი წინასწარმეტყველნი ითვლიდნენ რომელიმე სახელის ასოთა ციფრობრივი მნიშვნელობის ჯამს და ცდილობდნენ წინასწარმეტყველებას ამ ჯამის შიხედვით; მაგალითად, ადგენდნენ სიტყვებს ან სიტყვათა შეჯგუფებას იმავე ციფრობრივი მნიშვნელობით და აკეთებდნენ დასკვნებს იმ პირის მომავლის შესახებ, ვინც ამ სახელს ატარებდა. რიცხვთა იმავე ენით გამოხატავდნენ საიდუმლო სიტყვებს და ა. შ. ამ ხელოვნებას აღნიშნავდნენ ბერძნული სიტყვით — gematiah, გეომეტრია; ქალდეველები, რომლებიც გულმოდგინედ მისდევდნენ ამას და რომლებსაც ტაციტმა mathematici უწოდა, კლავდიუსისა და შემდეგ ასევე ვეტელიუსის დროს გაძევებულ იქნენ რომიდან, ალბათ „უხეში უწესობისათვის“.

666 რიცხვიც ასეთივე მათემატიკის საშუალებით წარმოიშვა. მასში ნაგულისხმევია სახელი ერთერთი იმპერატორისა რომის პირველ ხუთ იმპერატორთაგან. მაგრამ ირინეიმ მეორე საუკუნის დამლევს 666 რიცხვის გარდა იცოდა კიდევ ვარიანტი — 616, რომელიც იმ დროს გაჩნდა, როდესაც ამ რიცხვის საიდუმლოება[27] ყოველ შემთხვევაში, ბევრისათვის ჯერ კიდევ ცნობილი იყო. თუ გადაწყვეტა, რომელსაც ჩვენ ვეძებთ, ერთნაირად უდგება ორივე ამ რიცხვს, მაშინ იგი ამითვე იქნება შემოწმებული.

ეს გადაწყვეტა მოგვცა ფერდინანდ ბენარიმ ბერლინში. ეს სახელი არის — ნერონი. რიცხვი ემყარება נרון קסר (Neron Kesar-ს), ე. ი. ბერძნული სიტყვების (Neron Kesar-ს), „იმპერატორ ნერონის“ ებრაულ დაწერილობას, რასაც ადასტურებენ თალმუდი და პალმირის წარწერები, — სიტყვებისას, რომლებიც წარწერის სახით გამოკვეთილი იყო ნერონის ფულზე იმპერიის აღმოსავლეთ ნახევარში. სახელდობრ ნ (ნუნ)=50; რ(რეშ)=200; ვ (ვოვ) „ო“-ს ნაცვლად=6; ნ (ნუნ)=50; კ (კოფ)=100; ს (სამეხ)=60; და რ (რეშ)=200; საბოლოო ანგარიშით =666. თუ ჩვენ საფუძვლად მივიღებთ Nero Caesar-ის ლათინურ დაწერილობას, მაშინ ამოვარდება მეორე ნუნ=50, და ჩვენ მივიღებთ 666—50=616, ე. ი. ირინეის ვარიანტს.

მართლაც, ჰალბას დროს მთელი რომის იმპერია შფოთმა მოიცვა, თვით ჰალბამ ესპანელთა და გალთა ლეგიონები დასძრა რომის წინააღმდეგ ნერონის დასამხობად. უკანასკნელი გაიქცა და უბრძანა თავის თავდახსნილ მსახურს — მომკალიო. მაგრამ ჰალბას წინააღმდეგ შეთქმულება ჰქონდათ მოწყობილი არა მარტო პრეტორიელებს რომში, არამედ პროვინციათა მმართველებსაც, ყველგან ჩნდებოდნენ

ტახტის ახალი პრეტენდენტები, რომლებიც ემზადებოდნენ დაეძრათ თავიანთი ლეგიონები დედაქალაქის წინააღმდეგ. იმპერია თითქოს შინაური ომის საგნად აქციეს, თითქოს ახლოვდებოდა მისი დაცემა. ყოველივე ამასთან ერთად აღმოსავლეთში გავრცელდა ხმა, რომ ნერონი არ მომკვდარა, არამედ მხოლოდ დაიჭრა, პართელებთან გაიქცა და ეფრატის მხრიდან ჯარით დაბრუნდება, რათა დაიწყოს ახალი, კიდევ უფრო სისხლისმღვრელი და საშინელი მმართველობაო. ამ ცნობებმა განსაკუთრებით დააფრთხო ახაია და აზია. და სწორედ იმ დროისათვის, როდესაც, როგორც ჩანს, დაწერილი იყო „გამოცხადება", გამოჩნდა ცრუ-ნერონი, რომელიც თავისი საკმაოდ მრავალრიცხოვანი მიმდევრებით დამკვიდრდა პატმოსისა და მცირე აზიის მახლობლად, კუნძულ კიტნოსზე, ეგეის ზღვაში (ახლანდელ ტერმიაში), სანამ იგი მოკლულ არ იქნა — ჯერ კიდევ ოტონის დროს. მაშ რა გასაკვირია, თუ ქრისტიანთა შორის, რომელთა წინააღმდეგაც ნერონმა პირველი სერიოზული დევნა წამოიწყო, გავრცელდა შეხედულება, რომ იგი კვლავ დაბრუნდება როგორც ანტიქრისტე და რომ მისი დაბრუნება და ამასთან გარდუვალად დაკავშირებული გადამწყვეტი ცდა ახალი სექტის სისხლისმღვრელი განადგურებისა იმის მომასწავებელი ნიშანი და პროლოგია, რომ მალე მოხდება ქრისტეს ახლად მოსვლა, დიდი ძლევამოსილი ბრძოლა ჯოჯოხეთის ძალებთან და რომ „მალე" იქნება მიღწეული ათასწლოვანი სამეფო, რომლის მოსვლის რწმენა საშუალებას აძლევდა წამებულთ სიხარულით შეგებებოდნენ სიკვდილს?

ქრისტიანული და ქრისტიანობის გავლენის ქვეშ მყოფი პირველი ორი საუკუნის ლიტერატურა საკმაო მითითებას იძლევა იმაზე. რომ 666 რიცხვის საიდუმლოება მაშინ ბევრმა იცოდა, მართალია, ირინეიმ ეს საიდუმლოება უკვე აღარ იცოდა, მაგრამ მან, ისევე როგორც მესამე საუკუნის დამლევის სხვა ადამიანებმა, იცოდა, რომ აპოკალიფსურ მხეცში იგულისხმება ნერონი, რომელიც ტახტს უბრუნდება. შემდეგ ეს კვალიც ქრება და ჩვენს ნაწარმოებს ფანტასტიკურად განმარტავენ მომავლის მართლმორწმუნე მკვრეტელნი; ბავშვობაში მეც ვიცნობდი მოხუცებს, რომლებიც მოხუც იოანე-ალბრეხტ ბენგელის მსგავსად მოელოდნენ, რომ სამყაროს დაღუპვა და საშინელი სამსჯავრო 1836 წელს მოხდებოდა. ეს წინასწარმეტყველება აღსრულდა და სწორედ აღნიშნულ წელიწადში. ოღონდ საშინელი სამსჯავრო თავს დაატყდა არა ცოდვიან სამყაროს, არამედ „გამოცხადების" ყველაზე კეთილმსახურ განმმარტებელთ. ვინაიდან 1836 წელს. ფ. ბენარომ მოგვცა 666 რიცხვის გასაღები და ამით საშინლად მოუღო ბოლო ყოველგვარ წინასწარმეტყველურ გამოანგარიშებას, მთელ ამ ახალ gematriah.

რაც შეეხება მორწმუნეთათვის განმზადებულ ცათა სასუფეველს ჩვენს იოანეს შეუძლია მისი მხოლოდ უაღრესად გარეგნული აღწერის მოცემა. ახალი იერუსალიმი საკმაოდ დიდია, ყოველ შემთხვევაში იმდროინდელი წარმოდგენით. მას უკავია ოთხკუთხედი, რომლის თვითეული მხარე 12 ათას სტადის — 2227 კმ. უდრის, მაშასადამე მისი ფართობი თითქმის 5 მილიონ კვ. კმ. შეადგენს და ამერიკის შეერთებული შტატების ნახევარზე მეტია. იგი აშენებულია წმინდა ოქროსა და ძვირფასი ქვებისაგან. იქ ცხოვრობს ღმერთი თავის ერთგულთა შორის, იგი უნათებს მათ მზის ნაცვლად, და იქ არ არის არც სიკვდილი, არც მწუხარება, არც ტანჯვა; ქალაქს ჩაუდის ცხოველმყოფელი წყლის ნაკადი, მისი ნაპირები შემოსილია ცხოვრების ხეებით, რომლებიც 12 ჯიშის ნაყოფს იძლევიან და ყოველ თვე მწიფდებიან, მისი ფოთლები „ხალხთა ჯანმრთელობას ემსახურება". რენანის აზრით, ეს არის სამკურნალო ჩაის ჯიში (იხ. „L'Antechrist", p. 542) [28]. წმინდანები იქ მარადის ცხოვრობენ.

ასეთი იყო ქრისტიანობა, რამდენადაც ჩვენ მას ვიცნობთ, მცირე აზიაში, მის მთავარ რეზიდენციაში დაახლოებით 68 წელს. წმინდა სამების არავითარი ნიშანწყალი — პირიქით, გვიანდელი იუდეველობის ძველი ერთი და განუყოფელი იეღოვა, რომელიც იუდაური ეროვნული ღვთაებიდან ცისა და დედამიწის ერთადერთად მპყრობელად იქცა, ყველა ხალხზე ბატონობს, წყალობას ჰპირდება მოქცეულთ, შეუბრალებლად მუსრს ავლებს ურჩთ და მტკიცედ მისდევს ანტიურ წესს: parcere subjecfis ac debellore superbos [შეიბრალე მორჩილნი და ეომე ამპარტავანთ]. ამიტომ საშინელ სამსჯავროს წარაართავს თვით ეს ღმერთი და არა ქრისტე, როგორც უგვიანესი დროის სახარებანი და ეპისტოლენი გვისურათებენ. თანახმად სპარსული მოძღვრებისა ემანაციის შესახებ, რომელიც გვიანდელმა იუდეველობამ შეითვისა, ქრისტე-კრავი. თავდაპირველად ღვთისაგან წარმოიშვა, ღვთისაგანვე წარმოშობილია მაგრამ რანგით უფრო დაბლა დგას—„ღვთის 7 სული", რომლებიც თავის არსებობას უნდა უმადლოდნენ ესაიას ერთი პოეტური სახის (თავი XI, ტ. 2) ყალბ განმარტებას. არცერთი მათგანი არ არის ღმერთი, არ არის ღვთის თანასწორი, არამედ ისინი ღმერთს ემორჩილებიან. კრავი თვით სწირავს თავს სამყაროს ცოდვათა მოსანანებლად და ამის გამო მნიშვნელოვან წარჩინებას იღებს ზეცაში, რადგან ეს ნებაყოფლობითი სიკვდილი როგორც მსხვერპლისა მთელს წიგნში აღიარებულია განსაკუთრებულ გმირობად, და არა ისეთ რამედ, რაც აუცილებლობით გამომდინარეობს მისი შინაგანი არსების სიღრმიდან თავისთავად ცხადია, რომ აქვეა მთელი ზეციური საკარისკაცო შტატი: უხუცესნი, ქერუბინები, ანგელოზები და წმინდანები. იმისათვის, რომ რელიგიად გამხდარიყო, მონოთეიზმს

იმ თავითვე უხდა დაეთმო პოლითეიზმისათვის, დაწყებული უკვე ზენდავესტიდან[29]. იუდეველებში წარმართულ ხორციელ ღმერთებისაკენ გადახრა ქრონიკულად გრძელდება, ხოლო გაძევების შემდეგ[30] ზეციური საკარისკაცო შტატი, სპარსული ნიმუშის მიხედვით, კიდევ უფრო უგუებს რელიგიას ხალხურ ფანტაზიას, და თვით ქრისტიანობას, რომელმაც მუდამ თავის თანასწორი უძრავი იუდაური ღმერთი შესცვალა შინაგანად დიფერენცირებული, საიდუმლო სამპიროვანი ღვთაებით, ხალხთა მასებში ძველი ღმერთების კულტის აღმოფხვრა მხოლოდ წმინდანთა კულტის საშუალებით შეეძლო; მაგ., ფალმერაიერის სიტყვით, იუპიტერის კულტი პელოპონესში, მაინში, არკადიაში დაახლოებით მხოლოდ IX საუკუნეში გაქრა („Geschichte der Halbinsel Morea“ [„ნახევარკუნძულ მორეას ისტორია“], B. I, p. 227). მხოლოდ თანამედროვე ბურჟუაზიული ეპოქა თავისი პროტესტანტიზმით კვლავ უკუაგდებს წმიდანებს და ბოლოსდაბოლოს, სერიოზულად იღებს დიფერენცირებულ მონოთეიზმს.

ასევე ნაკლებად ცნობილია იოანეს ნაწერისათვის მოძღვრება პირველადელი ცოდვისა და რწმენის საშუალებით განწმენდის შესახებ. ამ პირველი მებრძოლი თემების რწმენა სრულიადაც არა ჰგავს უგვიანესი გამარჯვებული ეკლესიის რწმენას. კრავის მოსანანიებელ მსხვერპლთან ერთად მის უმნიშვნელოვანეს შინაარსს წარმოადგენს ქრისტეს მეორედ მოსვლა და ათასწლოვანი სამეფო, რომელიც მალე დამყარდება, და ამ რწმენის გამოცდა ხდება მხოლოდ აქტიურ პროპაგანდაში, დაუცხრომელ ბრძოლაში გარეშე და შინაურ მტრებთან, თავისი რევოლუციური თვალსაზრისის ამაყად აღიარებაში წარმართთა მსაჯულების წინაშე და მომავალი გამარჯვების მიზნით მოწამებრივი სიკვდილისათვის მზადყოფნაში.

ჩვენ დავინახეთ, რომ ჩვენმა ავტორმა ჯერ სრულიად არ იცის, რომ იგი რაღაც უფრო სხვაა, ვიდრე ებრაელი. ამასთან დაკავშირებით მთელს წიგნში ერთი სიტყვაც არ არის ნათქვამი ნათლისღების შესახებ, და ბევრი რამ სხვაც გვარწმუნებს იმაში, რომ ნათლისღება ქრისტიანობის მეორე პერიოდის ინსტიტუტია. 144 ათასი მორწმუნე ებრაელი კი არ მოუნათლავთ, არამედ მათ „ბეჭდები დაასვეს“. ცაში მყოფ წმიდანთა და ქვეყნად მყოფ მორწმუნეთა შესახებ ნათქვამია, რომ მათ ცოდვები წარიხოცეს და თავიანთი სპეტაკი ტანსაცმელი განბანეს კრავის სისხლით და გაანანათლეს ისინი; წმინდა ემბაზზე ლაპარაკიც კი არ არის. ამ ორი წინასწარმეტყველიდან, რომელნიც წინ უსწრებენ ანტექრისტეს გამოცხადებას (თავი XI) ასევე არც ერთს არ ნათლავენ და, XIX თავის, მე-10 ტაეპის თანახმად, იესოს ნიშანი არის არა ნათლისღება, არამედ წინასწარმეტყველების სულ. ყველა ამ შემთხვევაში ბუნებრივი იქნებოდა ნათლისღების ხსენება,

მაშინ რომ ადგილი ქონებოდა მის გამოყენებას; ამიტომ ჩვენ თითქმის აბსოლუტური დარწმუნებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ჩვენმა ავტორმა არ იცოდა ნათლისღება, რომ იგი მხოლოდ მაშინ გაჩნდა, როცა ქრისტიანები საბოლოოდ გამოეყვნენ იუდეველებს.

ასევე ნაკლებ იცნობს ავტორი მეორე, უფრო ნაგვიანევ საიდუმლოებას — ზიარებას. თუ ლუთერანულ ტექსტში ქრისტე თვითეულ მტკიცე რწმენის მქონე თიატირელს ჰპირდება, შენთან მოვალ და საიდუმლო სერობას გავმართავო, ამას მხოლოდ შეცდომაში შევყავართ. ბერძნულ ტექსტში ნათქვამია deipnêsô — მე ვიეახშმებ (მასთან), და ინგლისური ბიბლია სავსებით სწორად გადმოგვცემს ამას შემდეგი სიტყვებით: „I shall sop with him" საიდუმლო სერობაზე როგორც თუნდ სულის მოსახსენებელ ტრაპეზზე აქ აბსოლუტურად არაფერია ნათქვამი.

ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენი წიგნი მისი ესოდენ თავისებურად დადგენილი თარიღით — 68 ან 69 წ. — უძველესია მთელ ქრისტიანულ ლიტერატურაში. არ არის არცერთი სხვა წიგნი, უფრო ბარბაროსულად დაწერილი, სავსე ჰებრაიზმებით, წარმოუდგენელი კონსტრუქციებით და გრამატიკული შეცდომებით. მაგალითად, I თავის მე-4 ტაეპში სიტყვა-სიტყვით ნათქვამია შემდეგი: „მადლი თქვენდა და მშვიდობა ღვთისაგან, რომელი არს და რომელი იყო და რომელი მომავალ არს". რომ სახარებანი და „სამოციქულო წიგნი" წარმოადგენენ ამჟამად უკვე დაკარგულ ნაწერთა გვიანდელ გადამუშავებას, რომელთა სუსტი ბირთვის გამოცნობა ლეგენდარულ საფარქვეშ ამჟამად უკვე შეუძლებელი გახდა; რომ მოციქულთა ორი ეგრეთწოდებული „ნამდვილი" (ბრუნო ბაუერის მიხედვით) ეპისტოლე ცოტად თუ ბევრად უფრო გვიანდელი ნაწერია, ან უკეთეს შემთხვევაში უცნობი ავტორების ძველ ნაწარმოებთა გადამუშავებაა, ჩანართებისა და დამატებების საშუალებით შეცვლილი, ამის უარყოფა ამჟამად შეუძლიათ მხოლოდ პროფესიულ თეოლოგებსა და სხვა დაინტერესებულ პირებს. მით უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ აქ ჩვენ გვაქვს წიგნი, რომლის დაწერის დრო გამორკვეულია რამდენიმე თვის სიზუსტით, — ეს წიგნი ქრისტიანობას გვიჩვენებს მისი უაღრესად განუვითარებელი ფორმით, ისეთი ფორმით, რომელშიც მას ისეთივე დამოკიდებულება აქვს IV საუკუნის სახელმწიფო რელიგიისადმი, მისი დამუშავებული დოგმატიკითა და მითოლოგიით, როგორი დამოკიდებულებაც აქვს ტაციტის დროინდელ გერმანელთა ჯერ კიდევ არამყარ მითოლოგიას ქრისტიანული და ანტიური ელემენტების გავლენით შექმნილ მოძღვრებისადმი „ედის"[31] ღვერთების შესახებ. რა თქმა უნდა, აქ არის მსოფლიო რელიგიის ჩანასახი, მაგრამ ეს ჩანასახი ჯერ ერთნაირი ზომით შეიცავს განვითარების იმ ათას-

გვარ შესაძლებლობას, როგორიც შემდეგ განხორციელდა უგვიანესი დროის უამრავ სექტაში. და ქრისტიანობის განვითარების ეპოქის ამ უძველეს ძეგლს ჩვენთვის სწორედ იმიტომ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა რომ იგი წმინდა სახით გვაძლევს იმას, რაც იუდეველობამ — ალექსანდრიის ძლიერი გავლენით — ქრისტიანობაში შეიტანა. ყოველივე ის, რაც უგვიანეს დროინდელია, დასავლეთურ, ბერძნულ-რომაულ შენარევს წარმოადგენს. უგვიანესი ბერძნული ვულგარული ფილოსოფიის განათლებულ მონოთეიზმს მხოლოდ მონოთეისტური იუდაური რელიგიის მეშვეობით შეეძლო მიეღო ის რელიგიური ფორმა, მარტოოდენ რომლითაც მას შეეძლო გაეტაცებინა მასები. მაგრამ რა წამს ეს მეშვეობა მოხდა, მას შეეძლო მსოფლიო რელიგიად გამხდარიყო მხოლოდ ბერძნულ-რომაულ მსოფლიოში, შემდგომ განეეთარებინა ამ სამყაროს მიერ გამომუშავებულ იდეათა არე და შედუღაბებოდა მათ.

ფრ. ენგელსი „ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის". გვ. 31—45.

მართლაც თავდაპირველად ყოვლადძლიერ მსოფლიოსთან ბრძოლა და ამასთან ერთად ნოვატორთა ურთიერთშორის ბრძოლა ერთნაირად ახასიათებს როგორც ადრინდელ ქრისტიანებს, ისე სოციალისტებსაც. ორივე დიდი მოძრაობა შექმნილია არა ბელადებისა და წინასწარმეტყველების მიერ (თუმცა წინასწარმეტყველები ორივეს საკმაოდ ბევრი ჰყავს), არამედ ისინი ორივენი მასობრივ მოძრაობას წარმოადგენენ. ხოლო მასობრივი მოძრაობანი პირველ ხანებში ძალა-უნებურად ბუნდოვანია; ბუნდოვანია იმის გამო, რომ მასების ყოველგვარი აზროვნება თავდაპირველად წინააღმდეგობრივია, გაურკვეველია, უთავბოლოა; მაგრამ ისინი ბუნდოვანი არიან იმ როლის გამოც, როგორსაც მათ შორის პირველ ხანებში ჯერ კიდევ თამაშობენ წინასწარმეტყველნი. ეს ბუნდოვანობა გამოიხატება მრავალრიცხოვანი სექტების შექმნით, რომლებიც ერთმანეთს, ყოველ შემთხვევაში, ისეთივე გააფთრებით ებრძვიან, როგორც საერთო გარეშე მტერს. ასე იყო ადრინდელი ქრისტიანობის პერიოდში, ასე იყო სოციალისტური მოძრაობის პირველ ხანებშიც, თუმცა ეს ძალიან აღონებდა იმ კეთილმოაზრე ობივატელებს, რომლებიც ერთიანობას ქადაგებდნენ იქ, სადაც შეუძლებელი იყო რაიმე ერთიანობა.

განა ინტერნაციონალს ერთიანი დოგმა ერთიანებდა? პირიქით. იქ იყვნენ 1848 წლამდე არსებული ეპოქის ფრანგული ტრადიციის კომუნისტები და ისიც სხვადასხვაგვარი ელფერისა; ვაიტლინგის სკოლის კომუნისტები და აგრეთვე სხვები — კომუნისტთა განახლებულ კავშირიდან; პრუდონისტები, რომლებიც სჭარბობდნენ საფრან-

გეთსა და ბელგიაში; ბლანკისტები; გერმანიის მუშათა პარტია; ბოლოს ანარქისტ-ბაკუნისტები, რომლებმაც გარკვეული დროის განმავლობაში გამარჯვება მოიპოვეს ესპანეთსა და იტალიაში, — და ესენი იყვნენ მხოლოდ მთავარი ჯგუფები. ინტერნაციონალის დაარსების დროიდან საჭირო გახდა მთელი მეოთხედი საუკუნე იმისათვის, რომ ყველგან და საბოლოოდ მომხდარიყო ანარქისტებისაგან ჩამოშორება და შესაძლებელი გამხდარიყო ერთიანობა თუნდაც უაღრესად ზოგად ეკონომიურ საკითხებში. და ეს მოხდა ჩვენი სამიმოსვლო საშუალებების, რკინიგზების, ტელეგრაფის, გიგანტური სამრეწველო ქალაქების, ჩვენი პრესის, ორგანიზებული სახალხო კრებების დროს.

პირველი ქრისტიანები ასევე გათიშული იყვნენ სხვადასხვა სექტად, და სწორედ ეს წარმოადგენდა იმის საშუალებას, რომ ამტყდარიყო ხოლმე დავა და ბოლოსდაბოლოს მიღწეული ყოფილიყო ერთიანობა. უკვე ამ ჩვენს უეჭველად უძველეს ქრისტიანულ დოკუმენტში ვხედავთ ამ განხეთქილებას, და ჩვენი ავტორი ისევე შეურიგებელი გააფთრებით ილაშქრებს მის წინააღმდეგ, როგორც ცოდვებში ჩაფლული მთელი გარეშე სამყაროს წინააღმდეგ. ესენი არიან პირველყოვლისა ნიკოლაელთანი ეფესსა და პერგამში; შემდეგ სმირნასა და ფილადელფიაში — ისინი, რომელნიც ამბობენ იუდეველნი ვართო, ნამდვილად კი ეშმაკთა შესაკრებელს წარმოადგენენ; პერგამში— ბალამისზე წოდებული ცრუწიხასწარმეტყველის მოძღვრების მოწმენი, ეფესში — ისინი, რომელნიც ამბობენ მოციქულნი ვართო, ნამდვილად კი მოციქულნი არ არიან; ბოლოს, თიატირში იეზაბელად წოდებული ცრუწინასწარმეტყველი ქალის მომხრენი. ამ სექტების შესახებ უფრო დაწვრილებით ჩვენ არა ვიცით რა, მხოლოდ ბალამისა და იეზაბელის შესახებ არის ნათქვამი, რომ ისინი სჭამდნენ კერპთა სამსხვერპლო ცხოველებს და მეძავობდნენ. ცდილობდნენ ხუთივე ეს სექტა პავლეს მიმდევარ-ქრისტიანებად დაესახათ, ხოლო ყველა ეს ეპისტოლე პავლეს — ცრუწინასწარმეტყველის, ცრუ ბალამისა და „ნიკოლოზის“ წინააღმდეგ მიმართულ ეპისტოლებად. სათანადო ძალიან ნაკლებად დამაჯერებელი არგუმენტები თავმოყრილი აქვს რენანს, „Saint Paul“, Paris, 1869 [„წმ. პავლე“, პარიზი, 1869 წ.], გვ. 303—305, 367—370. ყველა ეს არგუმენტი შეიცავს ცდას განმარტებულ იქნას ეს ეპისტოლები სამოციქულო წიგნისა და ეგრეთწოდებული პავლეს ეპისტოლების საფუძველზე, ე. ი. ისეთ თხზულებათა საფუძველზე, რომლებიც, ყოველ შემთხვევაში მათი ახლანდელი სახით, დაწერილია „გამოცხადებაზე“ სულ ცოტა 60 წლით უფრო გვიან, ასე რომ მათში არსებული სათანადო ფაქტიური მონაცემები არამც თუ უაღრესად საეჭვოა, არამედ ისინი სრულიად ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. მაგრამ გადამწყვეტია ის მოსაზრება, რომ ჩვენს

ავტორს არ შეიძლებოდა აზრად მოსვლოდა ერთიდაიმავე სექტისათვის ხუთი სხვადასხვა სახელის დარქმევა, ამასთან ორი სახელის ხმარება მარტო ეფესის მიმართ (ცრუმოციქულნი და ნიკოლაელთანი) და ასევე ორისა — პერგამის მიმართ (ბალამიტები და ნიკოლაელთანი) და ამავე დროს ყოველ ცალკე შემთხვევაში სავსებით მკაფიოდ მოეხსენებინა ისინი როგორც ორი სხვადასხვა სექტა, მაგრამ არ შეიძლება უარვყოთ იმის შესაძლებლობა, რომ ამ სექტების შემადგენლობაში შედიოდნენ ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც ახლა პავლეს მიმდევრებს უწოდებდნენ.

ფრ. ენ გ ე ლ ს ი. „ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის", გვ. 22—25.

5. ქრისტიანობის გადაქცევა მსოფლიო რელიგიად

მანამდე არსებულ ყველა რელიგიაში მთავარი იყო წეს-ჩვეულებითობა. მხოლოდ მსხვერპლის მიტანასა და პროცესიებში მონაწილეობით, ხოლო აღმოსავლეთში კიდევ ჭამისა და განბანვის შესახებ უაღრესად დაწვრილებითი ბრძანებების შესრულებით. შეიძლებოდა დაგემტკიცებინა, რომ შენ გარკვეულ რელიგიას ეკუთვნოდი. მაშინ როცა რომი და საბერძნეთი ამ მხრივ შემწყნარებლობას იჩენდნენ, აღმოსავლეთში მძვინვარებდა რელიგიურ აკრძალვათა სისტემა, რამაც ცოტათი როდი შეუწყო ხელი დაცემას, რაც, ბოლოსდაბოლოს, მოხდა. ორი სხვადასხვა რელიგიის ადამიანებს (ეგვიპტელები, ებრაელები, ქალდეველები) არ შეუძლიათ ერთად სჭამონ და სვან, არ შეუძლიათ ერთად გააკეთონ სრულიად ჩვეულებრივი საქმე, ძნელად თუ ელაპარაკებიან ერთმანეთს. ადამიანისაგან ადამიანის ეს განცალკევება ძველი აღმოსავლეთის დაღუპვის ერთერთი ძირითადი მიზეზი იყო. ქრისტიანობისათვის უცნობი იყო დანაწილების გამომწვევი რაიმე წეს-ჩვეულებანი, უცხო იყო კლასიკური ძველი ხანის თვით მსხვერპლის მიტანა და პროცესიები. უარყოფს რა, ამრიგად, ყველა ეროვნულ რელიგიას და ყველა მათთვის საერთო წეს-ჩვეულებითობას, მიჰმართავს რა განურჩევლად ყველა ხალხს, ქრისტიანობა თვითონ ხდება პ ი რ ვ ე ლ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ მ ს ო ფ ლ ი ო რ ე ლ ი გ ი ა დ. ებრაელობამ თავისი ახალი მსოფლიო ღმერთით ასევე სცადა გამხდარიყო მსოფლიო რელიგიად. მაგრამ იზრაელის ძენი მუდამ არისტოკრატიად რჩებოდნენ მორწმუნეთა და წინდაცვეთილთა შორის; და თვით ქრისტიანობა, ვიდრე იგი შესძლებდა ნამდვილ მსოფლიო რელიგიად გამხდარიყო, ჯერ უნდა განთავისუფლებულიყო იმ წარმოდგენისაგან (რომელიც ჯერ კიდევ ბატონობს ეგრეთწოდებულ იოანეს გამოცხადებაში), რომ ებრაელებიდან გამოსულ ქრისტიანებს

უპირატესობანი აქვთ წარმართებიდან გამოსულ ქრისტიანებთან შედარებით. მეორე მხრით ისლამმა, შეინარჩუნა რა თავისი სპეციფიკურ-აღმოსავლური წეს-ჩვეულებითობა, ამით თავისი გავრცელების სფერო აღმოსავლეთით და არაბთა ბედუინების მიერ დაპყრობილი და კვლავ დასახლებული ჩრდილოეთ აფრიკით შეზღუდა. აქ მას შეეძლო გაბატონებულ რელიგიად გამხდარიყო, მაგრამ დასავლეთში კი არ შეეძლო.

მეორე, ქრისტიანობამ ააღერა სიმი, რომელსაც გამოძახილი უნდა ეპოვნა უამრავ ადამიანთა გულში. ყოველგვარ ჩივილს მძიმე დროთა და საყოველთაო მორალური და მატერიალური სიღატაკის გამო, ცოდვიანობის ქრისტიანული შეგნება უპასუხებდა: დიახ, ეს ასეა და სხვაგვარად არც შეიძლება იყოს; მსოფლიოს წახდენილობაში თვითონ შენა ხარ დამნაშავე, დამნაშავენი ხართ თქვენ ყველანი, შენი და თქვენი საკუთარი შინაგანი წახდენილობა! ხოლო სად მოინახებოდა ადამიანი, რომელიც შესძლებდა ამის უარყოფას? Mea culpa! (ჩემი ბრალია!) არცერთ ადამიანს არ შეეძლო არ ეღიარებინა, რომ მასაც მიუძღვის ერთგვარი დანაშაული საერთო უბედურებაში, და ეს აღიარება გახდა იმ სულიერი ხსნის წანამძღვრად, რომელიც იმ დროს გამოცხადებული იყო ქრისტიანობის მიერ. და ეს სულიერი ხსნა იმგვარად იყო მოგონილი, რომ იგი ადვილად შეეძლო გაეგო ყოველგვარი ძველი რელიგიური თემის წევრს. ყველა ამ რელიგიას ახასიათებდა წარმოდგენა მოსანანიებელი მსხვერპლის შესახებ, რომელსაც შეეძლო დაემშვიდებინა შეურაცხყოფილი ღმერთი. განა ეს ხელსაყრელი ნიადაგი არ იყო იმისათვის, რომ შეეთვისებინათ იდეა შუამავლის შესახებ, რომელიც ნებაყოფლობით სწირავს თავს, რათა ერთხელ და სამუდამოდ გამოისყიდოს კაცობრიობის ყველა ცოდვა? ამგვარად, საერთოდ გავრცელებულ გრძნობას, რომ ადამიანები თვითონ არიან დამნაშავენი საყოველთაო წახდენილობაში, ქრისტიანობამ ნათელი გამოხატულება მისცა ყოველი ცალკეული ადამიანის ცოდვიანობის შეგნებაში; ამავე დროს თავისი დამაარსებლის სამსხვერპლო სიკვდილის სახით მან შეჰქმნა ყველასათვის ადვილად გასაგები ფორმა შინაგანი ხსნისა წახდენილ სამყაროსაგან, ნუგეშის პოვნისა შეგნებაში, რისკენაც ყველა ასე მგზნებარედ მიისწრაფვოდა. ასე დააჰტკიცა ქრისტიანობამ თავის უნარი გამხდარიყო მსოფლიო რელიგიად,— და ამასთან რელიგიად, რომელიც სწორედ მოცემულ საზოგადოებას შეესაბამებოდა.

ისე გამოვიდა, რომ ათასობით წინასწარმეტყველთა და უდაბნოში მოქადაგეთა შორის, რომელნიც, მაშინ თავის უამრავ ახალ რელიგიებს ქმნიდნენ, წარმატება მხოლოდ ქრისტიანობის დამაარსებლებს ჰქონდათ. არა მარტო პალესტინა, არამედ მთელი აღმოსავლეთიც

სავსე იყო რელიგიის ასეთი დამაარსებლებით, რომელთა შორის გაბატონებული იყო, შეიძლება ითქვას, ნამდვილი დარვინისებური ბრძოლა იდეური არსებობისათვის. ქრისტიანობამ უმთავრესად ზემოაღნიშნული მომენტების მეოხებით გაიმარჯვა. ხოლო თუ როგორ მოხდა, რომ იგი თანდათანობით, სექტების ურთიერთშორისა და წარმართულ სამყაროსთან ბრძოლაში, ბუნებრივი შერჩევის გზით, სულ უფროდაუფრო სრულყოფილი ხდებოდა, როგორც მსოფლიო რელიგია, — ამას უაღრესად დაწვრილებით გვაცნობს პირველი სამი საუკუნის ეკლესიის ისტორია.

ფრ. ენგელსი. „ბრუნო ბაუერი და ადრინდელი ქრისტიანობა". გვ. 1. 115—18.

უდავოდ მცდარია ფოიერბახის მტკიცება, რომ „კაცობრიობის პერიოდები მხოლოდ რელიგიური ცვლილებებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგანო". დიდ ისტორიულ გარდატეხებს თან სდევდა რელიგიური ცვლილებები, მხოლოდ რამდენადაც ლაპარაკია სამ, დღემდე არსებულ მსოფლიო რელიგიაზე — ბუდიზმზე, ქრისტიანობასა და ისლამზე. ძველ, ბუნებრივად აღმოცენებულ ტომობრივ და ეროვნულ რელიგიებს პროპაგანდისტული ხასიათი არ ჰქონდათ და წინააღმდეგობის ძალას ჰკარგავდნენ, როგორც კი ისპობოდა ამ ტომებისა და ხალხების დამოუკიდებლობა. გერმანელებში ამისათვის საკმაო აღმოჩნდა, რომ ისინი მხოლოდ შეხებოდნენ ხრწნად რომის მსოფლიო იმპერიას და მსოფლიო ქრისტიანულ რელიგიას, რომელიც ის იყო რომმა მიიღო როგორც მისი ეკონომიური, პოლიტიკური და სულიერი მდგომარეობის შესაფერი სარწმუნოება. მხოლოდ ამ, მეტად თუ ნაკლებად, ხელოვნურად აღმოცენებული მსოფლიო რელიგიების, განსაკუთრებით ქრისტიანობისა და ისლამის, შესახებ შეიძლება ითქვას, ზოგადი ისტორიული მოძრაობა რელიგიურ ელფერს ღებულობსო. თვით ქრისტიანობის სფეროში ნამდვილი უნივერსალური მნიშვნელობის რევოლუციები ასეთ ელფერს მხოლოდ ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი ბრძოლის პირველ საფეხურზე ღებულობდნენ ე. ი. მეცამეტე საუკუნიდან მეჩვიდმეტე საუკუნემდე. ეს გარემოება აიხსნება არა ადამიანის გულის თვისებებით და არა მისი რელიგიური მოთხოვნილებებით, როგორც ეს ფოიერბახს ჰგონია, არამედ მთელი შუა საუკუნეების ისტორიით, რომელიც არ იცნობდა იდეოლოგიის სხვა ფორმას, გარდა რელიგიისა და თეოლოგიისა. ხოლო, როცა XVIII საუკუნეში ბურჟუაზია იმდენად მოღონიერდა, რომ თავისი საკუთარი კლასობრივი თვალსაზრისის შესაფერი იდეოლოგია გაიჩინა, მან თავის დიდსა და დამთავრებულ რევოლუციაში საფრანგეთის დიდ რევოლუციაში, მხოლოდ იურიდიულ და პოლი-

ტიკურ იდეებს მიმართა, რელიგიის გულისთვის კი თავი მხოლოდ იმდენად შეიწუხა, რამდენადაც იგი მას წინ ეღობებოდა; ბურჟუაზიას აზრადაც არ მოსვლია — საჭიროა ახალი რელიგიის დამყარება ძველის ადგილასო; ცნობილია, როგორ დამარცხდა ამ მხრივ რობესპიერი [32].

ფრ. ენგელსი. ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. რჩ. ნაწ. ტ. II, გვ. 456—457.

6. ქრისტიანობა და კომუნიზმი

ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიაში არის საგულისხმო მომენტები, რომელთაც მსგავსება აქვთ თანამედროვე მუშათა მოძრაობასთან. ისე როგორც ეს უკანასკნელი, ქრისტიანობა თავის ჩასახვისას ჩაგრულთა მოძრაობა იყო: თავდაპირველად იგი გამოდიოდა როგორც მონათა და თავდახსნილთა, ღარიბთა და უუფლებოთა, რომის მიერ დაპყრობილ ან მიმოფანტულ ხალხთა რელიგია. როგორც ქრისტიანობა, ისე მუშათა სოციალიზმი ქადაგებენ მომავალ ხსნას მონობისა და სიღატაკისაგან; ქრისტიანობა ამ ხსნას ეძებს იმქვეყნიურ ცხოვრებაში, სიკვდილის შემდეგ, ზეცაში, სოციალიზმი კი ამ ქვეყნად, საზოგადოების გარდაქმნაში. ქრისტიანობაც და მუშათა სოციალიზმიც სასტიკი დევნის მსხვერპლი ხდება, მათ მიმდევრებს სდევნიან, მათ მიმართ საგანგებო კანონებს იყენებენ: ერთთა მიმართ — როგორც ადამიანთა მოდგმის მტრებისადმი, მეორეთა მიმართ — როგორც სახელმწიფოს, რელიგიის, ოჯახის, საზოგადოებრივი წყობილების მტრებისადმი. და ყველა ამ დევნის მიუხედავად, ხოლო ხშირად მათი დახმარებითაც, ქრისტიანობაცა და სოციალიზმიც ძლევამოსილად, შეუჩერებლად იკაფავენ გზას წინ. თავისი წარმოშობის სამასი წლის შემდეგ ქრისტიანობა რომის მსოფლიო იმპერიის აღიარებულ სახელმწიფოებრივ რელიგიად ხდება, სოციალიზმმა კი სულ რაღაც 60 წლის განმავლობაში ისეთი მდგომარეობა მოიპოვა, რომელიც მას გამარჯვების აბსოლუტურ გარანტიას აძლევს.

მაშასადამე, თუ ბ-ნი პროფესორი ანტონ მენგერი თავის წიგნში „Recht auf den vollen Arbeit sertrag" [„უფლება შრომის სრულ პროდუქტზე"] გაკვირვებას გამოსთქვამს, რატომ მოხდა, რომ მიწათმოქმედების კოლოსალური ცენტრალიზაციისას, რასაც ადგილი ჰქონდა რომის იმპერატორთა ხანაში, და მაშინდელი მუშათა კლასის უსაზღვრო ტანჯვა-წამებისას, რომელიც თითქმის მხოლოდ და მხოლოდ მონებისაგან შესდგებოდა, „დასავლეთ-რომის იმპერიის დაცემის შემდეგ სოციალიზმი არ დამყარდაო", იგი სწორედ იმას ვერ ამჩნევს,

რომ ეს „სოციალიზმი“, რამდენადაც იგი მაშინ შესაძლებელი იყო, ნამდვილად არსებობდა და კიდეც მიაღწია ბატონობას ქრისტიანობის სახით. ოღონდ ამ ქრისტიანობას, — და ისტორიულ პირობათა გამო სხვაგვარად არც შეიძლებოდა ყოფილიყო, — სურდა სოციალური გადატრიალება განეხორციელებინა არა ამ ქვეყნად, არამედ იმიერ ქვეყანაში, ზეცაში, მარადიულ სიცოცხლეში სიკვდილის შემდეგ, „ათასწლოვან სამეფოში“, რომელიც ახლო მომავალში უნდა დამყარდეს.

პარალელი ამ ორ ისტორიულ მოვლენას შორის თავისთავად იბადება უკვე საშუალო საუკუნეებში დაჩაგრული გლეხებისა და მეტადრე ქალაქის პლებეების პირველივე აჯანყებების დროს. ეს აჯანყებები, ისე როგორც ყველა მასობრივი მოძრაობა საშუალო საუკუნეებში, მუდამ რელიგიური სამოსელით გამოდიოდა და წარმოადგენდა თითქოს ადრინდელი ქრისტიანობის აღდგენას, მის ხსნას დაწყებული გადაგვარებისაგან[4], მაგრამ რელიგიურ ეგზალტაციაში ყოველთვის მეტად ხელშესახები საამქვეყნო ინტერესები იმალებოდა. ეს ყვე-

---

[4] ამის თავისებურ დაპირისპირებას წარმოადგენენ მაჰმადიანური მსოფლიოს რელიგიური აჯანყებანი, მეტადრე აფრიკაში. ისლამი არის რელიგია, შეფარდებული აღმოსავლეთის მცხოვრებლებისადმი, მეტადრე არაბებისადმი, ე. ი. ერთი მხრით, ქალაქის მცხოვრებლებისადმი, რომლებიც ვაჭრობასა და სარეწაო საქმიანობას ეწევიან, მეორე მხრით — მომთაბარე ბედუინებისადმი. მაგრამ ამაშია მოცემული იმ შეტაკებათა ჩანასახი, რომლებიც პერიოდულად მეორდებიან. ქალაქის მცხოვრებნი მდიდრდებიან, ფუფუნებაში არიან, გულგრილად ეკიდებიან „კანონების“ დაცვას. ბედუინები კი ღარიბები არიან და სიღარიბის გამო მკაცრ ზნე-ჩვეულებებს მისდევენ და ამ სიმდიდრესა და განცხრომას შურითა და ენებიანი სურვილით შესცქერიან. მაშინ ისინი ერთიანდებიან რომელიმე წინასწარმეტყველის, მახდის წინამძღოლობით, რათა დასაჯონ მოღალატენი, აღადგინონ წეს-ჩვეულებათა და ჰეშმარიტი სარწმუნოების პატივისცემა და სამაგიეროს მიზღვის სახით მიითვისონ განნდგომილთა სიმდიდრე. ბუნებრივია, რომ ასი წლის შემდეგ ისინი ისეთსავე მდგომარეობაში ვარდებიან, როგორშიდაც ეს განდგომილები იმყოფებოდნენ; საჭიროა სარწმუნოების ახალი განწმენდა, ჩნდება ახალი მახდი და კვლავ მეორდება ძველი ამბავი. ასეთი იყო საქმის ვითარება იმ დროიდან, რაც დაიწყო აფრიკელ ალმოროვიდებისა და ალმოგადების დამპყრობლური ლაშქრობანი ესპანეთში, უკანასკნელ ხარტუმელ მახდიმდე, რომელიც ასეთი წარმატებით უწევდა წინააღმდეგობას ინგლისელებს 34. ასეთივე ან თითქმის ასეთივე იყო სპარსეთსა და სხვა მაჰმადიანურ ქვეყნებში მომხდარ აჯანყებათა საქმის ვითარება. ყოველივე ეს, რელიგიურ სამოსელში გამოხვეული, ეკონომიკური მიზეზებიდან გამომდინარე მოძრაობანი იყო; მაგრამ გამარჯვების მოპოვების შემთხვევაშიც ისინი ხელშეუხებლად სტოვებენ წინანდელ ეკონომიურ პირობებს. ამრიგად, ყველაფერი ძველებურად რჩება და შეტაკებანი პერიოდულ ხასიათს იღებენ. ქრისტიანული დასავლეთის სახალხო აჯანყებებში კი, პირიქით, რელიგიური სამოსელი მხოლოდ დროშას წარმოადგენს და ჰფარავს თავდასხმას მოძველებულ ეკონომიურ წყობილებაზე; უკანასკნელი, ბოლოსდაბოლოს, ინგრევა, მას სცვლის ახალი წყობილება, ქვეყანა წინ მიდის.

ლაზე მკაფიოდ გამოაშკარავდა ბოჰემიის ტაბორიტთა ორგანიზაციაში ნეტარხსენებულ იან ჟიჟკას[33] მეთაურობით; მაგრამ ეს ხაზი გასდევს მთელს საშუალო საუკუნეებს და თანდათანობით ქრება გერმანიაში მომხდარი გლეხთა აჯანყების შემდეგ, რათა კვლავ თავი იჩინოს მუშა-კომუნისტებს შორის 1830 წლის შემდეგ. როგორც ფრანგი რევოლუციონერი კომუნისტები, ისე მეტადრე ვაიტლინგი თავისი მიმდევრებითურთ გაცილებით უფრო ადრე მიუთითებენ ადრინდელ ქრისტიანობაზე. ვიდრე რენანი იტყოდა: „თუ გსურთ იქონიოთ წარმოდგენა პირველ ქრისტიანულ თემებზე, დაუკვირდით მუშათა საერთაშორისო ამხანაგობის რომელიმე ადგილობრივ სექციას".

ამ ფრანგმა ბელეტრისტმა, რომელმაც შესთხზა საეკლესიო ისტორიული რომანი „Orgines du Christianisme" [„ქრისტიანობის წარმოშობა"] ბიბლიის გერმანული კრიტიკის ისეთი ვულგარიზაციის საფუძველზე, რაც თანამედროვე ჟურნალისტიკაშიც კი უმაგალითოა, თვითონაც არ იცოდა, თუ რაოდენ სიმართლეს შეიცავს მისი ზემოთმოყვანილი სიტყვები. აბა ერთი მიჩვენეთ ინტერნაციონალის ძველი წევრი, რომელსაც, მაგალითად პავლეს ეგრეთწოდებულ კორინთელთა მეორე ეპისტოლეს წაკითხვის დროს არ გაეხსნება ძველი ჭრილობები, ყოველ შემთხვევაში ერთი მხრივ მაინც. მთელს ეპისტოლეში, მე-8 თავიდან დაწყებული, გამუდმებით გაისმის, და მერე — აჰ! — რა კარგად ცნობილი ნაღვლიანი მოტივი: les cotisations ne rentrent pas — შესატანი თანხა არ შემოდისო! 60-იანი წლების რამდენი თავგამოდებული პროპაგანდისტი ჩამოართმევდა მრავალმნიშვნელოვნად ხელს ამ ესპისტოლეს ავტორს, ვინც უნდა იყოს იგი, და თან ეტყოდა: „როგორ, ეს შენც გემართებოდაო!" ჩვენც შეგვიძლია ცოტა რამ ვთქვათ ამ თემაზე — ჩვენი ამხანაგობაც სავსე იყო კორინთელებით; ეს შესატანი თანხები, რომლებიც არ შემოდიოდა და რომლებიც ჩვენს განაწამებ თვალთა წინაშე ციმციმებდა, ხოლო ხელში — არაფრით არ გვივარდებოდა, — ხომ სწორედ ეს იყო ცნობილი „მილიონები ინტერნაციონალისა"!

ჩვენს ერთერთ საუკეთესო წყაროს პირველი ქრისტიანობის შესახებ წარმოადგენს სამოსატელი ლუკიანე, კლასიკური ძველი ხანის ეს ვოლტერი, რომელიც ერთნაირად სკეპტიკურად უყურებდა ყოველი სახის რელიგიურ ცრუმორწმუნეობას და რომელსაც ამიტომ არ ჰქონდა არც წარმართულ — რელიგიური, არც პოლიტიკური საფუძველი განეხილა ქრისტიანები სხვაგვარად, ვიდრე ყოველგვარი სხვა რელიგიური თემი. პირიქით, იგი მათ ყველას დასცინოდა მათი ცრუმორწმუნეობის გამო, — იუპიტერის თაყვანისმცემელთ არანაკლებ, ვიდრე ქრისტეს თაყვანისმცემელთ. მისი გაცვეთილ-რაციონალისტური თვალსაზრისით როგორც ერთი, ისე მეორე ცრუმორწმუნეობა

ერთნაირად უაზროა. ეს, ყოველ შემთხვევაში, მიუდგომელი მოწმე, სხვათა შორის, მოგვითხრობს ერთი ავანტურისტის, ვინმე პერეგრინის ცხოვრების ისტორიას; ეს პერეგრინი თავისთავს პროთეოსს უწოდებდა და ჩამომავლობით ჰელესპონტიის პარიიდან იყო. ამ პერეგრინმა ახალგაზრდობისას თავის კარიერა დაიწყო სომხეთში მრუშობით: მას დანაშაულის ადგილზე წაუსწრეს და ამ ქვეყნის ჩვეულების თანახმად ლინჩის წესით უნდა დაესაჯათ. ბედნიერად თავს უშველარა გაქცევით, მან პარიიში დაახრჩო თავისი მამა და იძულებული გახდა გადამალულიყო. „და აქ ისე მოხდა, — ციტატი მომყავს შოტას[35] თარგმნის მიხედვით, — რომ. მან შეითვისა ქრისტიანთა სასწაულებრივი მოძღვრება, პალესტინაში მათ მღვდელმსახურებთან და მწიგნობრებთან შეხვედრისას. მალე მან ისეთ წარმატებებს მიაღწია, რომ მისი მასწავლებლები ბალღები აღმოჩნდნენ მასთან შედარებით. იგი გახდა წინასწარმეტყველიც, თემის მეთაურიც, სალოცავი კრებების ხელმძღვანელიც, — ერთი სიტყვით, რაც გნებავთ ყველაფერი იყო; იგი განმარტავდა მათს ნაწერებს და თვითონვე დიდი რაოდენობით სთხზავდა ასეთებს, ასე რომ ბოლოსდაბოლოს იგი მიიჩნიეს უმაღლეს არსებად, მიმართავდნენ მას, როგორც კანონმდებელს, დახმარებისათვის და თავიანთ მფარველად (ეპისკოპოსად) გამოაცხადეს... ამის გამო (ე. ი. როგორც ქრისტიანი) ხელისუფალთ ერთ მშვენიერ დღეს პროთეოსი შეიპყრეს და საპატიმროში ჩააგდეს... როდესაც იგი ბორკილგაყრილი იყო, ქრისტიანებმა, რომელთაც მისი დაპატიმრება დიდ უბედურებად მიაჩნდათ, ყველაფერი აამოქმედეს მის გასანთავისუფლებლად. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა და მაშინ ქრისტიანებმა დაუწყეს მას არაჩვეულებრივი მზრუნველობით. ყოველნაირად მოვლა. როგორც კი ინათებდა, მოხუცი ქალები, ქვრივები და ობლები უკვე მისი საპატიმროს კარებთან იდგნენ; უფრო გავლენიანი ქრისტიანები მოისყიდდნენ ხოლმე საპატიმროს დარაჯებს და მასთან მთელ ღამეებსაც კი ატარებდნენ; მიჰქონდათ იქ თავიანთი საჭმელი, მასთან ერთად კითხულობდნენ თავიანთ საღვთო წიგნებს. — ერთი სიტყვით, საყვარელი პერეგრინი (მაშინ მას ჯერ კიდევ ასე უწოდებდნენ) მათთვის ახალი სოკრატე მაინც იყო. მცირე აზიის ქალაქებიდანაც კი მიდიოდნენ მასთან ქრისტიანულ თემთა მოციქულები, რათა დახმარების ხელი გაეწოდებინათ მისთვის, ენუგეშებინათ და გამოქომაგებოდნენ მას სასამართლოში. პირდაპირ გასაოცარია, რა სწრაფად გაჩნდებიან ხოლმე ეს ადამიანები ხან აქ, ხან იქ, რა წამს საქმე მათ თემს შეეხება: მაშინ ისინი არ ზოგავენ არც ძალღონეს, არც ხარჯებს. ამგვარად, მაშინ პერეგრინიც ყოველი მხრიდან იღებდა ფულს, ასე რომ საპყრობილე მისთვის დიდი შემოსავლის კარგ წყაროდ გადაიქცა. საბრალოებმა თავისთავი დაარწმუნეს, რომ მათი სული და

სხელლი უკვდაეია და რომ ისინი მარადის იცოცხლებენ; ამიტომ ისინი არაფრად აგდებენ სიკვდილს, ხოლო ბევრი მათგანი ნებაყოფლობითაც კი სწირავს თავს. ამასთან მათმა მთავარმა კანონმდებელმა მათ ჩაუნერგა აზრი, რომ ყველა ისინი ძმები გახდებიან, როგორც კი მის სარწმუნოებას მიიღებენ, ე. ი. უარჰყოფენ ბერძენთა ღმერთებს, თაყვანს სცემენ ამ ჯვარცმულ სოფისტს და მის მიერ დადგენილი წესების მიხედვით იცხოვრებენ. ამიტომ ისინი ზიზღით ეკიდებიან უკლებლივ ყველა გარეგან სიკეთეს და ერთად ფლობენ მას — ეს არის მოძღვრება, რომელიც მათ იწამეს ისე, შეუმოწმებლად და დაუსაბუთებლად. და აი, როცა მათთან მიდის გაქნილი არამზადა, რომელსაც აქვს უნარი მოხერხებულად ისარგებლოს გარემოებებით, მაა მალე შეუძლია მდიდარი კაცი გახდეს და თან გულში დასცინოს ამ მიამიტებს. მაგრამ, პერეგრინი კვლავ გაანთავისუფლა სირიის მაშინდელმა მმართველმა". — მისი ზოგიერთი შემდგომი თავგადასავალის აღწერის შემდეგ, ნათქვამია: „და აი ჩვენი გმირი კვლავ გაეშურა (პარიიდან), რათა დაეწყო ხეტიალი ქვეყნად, ამასთან სამგზავრო ხარჯებისათვის საჭირო რაიმე ფულის ნაცვლად ის სარგებლობდა ქრისტიანთა გულთბილობით, რომლებიც მას ყველგან იფარავდნენ და ყოველმხრივ ანებივრებდნენ. ერთხანს ის ამგვარად ცხოვრობდა. მაგრამ როცა მან ქრისტიანთა კანონები დაარღვია, — ალბათ, შეამჩნიეს, რომ ის სჭამდა რაღაც ისეთს, რაც მათ შორის აკრძალულია. — ქრისტიანებმა იგი გააძევეს თავის თემიდან".

რამდენი სიჭაბუკის დროინდელი მოგონება იღვიძებს ჩემში ლუკიანეს ამ ნაწყვეტის კითხვის დროს! აი უწინარეს ყოვლისა „წინასწარმეტყველი ალბრეხტი", რომელიც დაახლოებით 1840 წლიდან მოყოლებით რამდენიმე წლის განმავლობაში სძარცვავდა, ამ სიტყვის სამდვილი მნიშვნელობით, შვეიცარიის[36] ვაიტლინგურ კომუნისტურ საზოგადოებებს; ეს იყო დიდი, ღონიერი, გრძელწვერა მამაკაცი, რომელმაც ფეხით შემოიარა მთელი შვეიცარია, რათა მოენახა სამყაროს ხსნის თავისი საიდუმლო ახალი სახარების მსმენელები. თუმცა, იგი, როგორც ჩანს, საკმაოდ უწყინარი თავგზააბნეული ადამიანი იყო; ის მალე გარდაიცვალა. აი მისი უფრო ნაკლებ უწყინარი მიმდევარი, „დოქტორი" გოლშტინელი გეორგ კულმანი, რომელმაც ისარგებლა იმ დროით, როცა ვაიტლინგი საპატიმროში იჯდა, რათა თავის სახარებაში მოექცია ფრანგული შვეიცარიის თემები და ერთ ხანს ისეთი წარმატებით აკეთებდა ამას, რომ გადშოიბირა თვით, შეიძლება ითქვას, ყველაზე ნიჭიერი, თუმცა ყველაზე ფუქსავატი მათ შორის — ავგუსტე ბეკერი. ეს კულმანი მათ უკითხავდა ლექციებს, რომლებიც 1845 წ. გამოიცა ჟენევაში სახელწოდებით: „Die Neue

Welt oder das Reich des Geistes auf Erden. Verkündigung“ [„ახალი სამყარო ანუ სულის სასუფეველი ქვეყნად. მახარობლობა“.] და მისი მიმდევრის (ალბათ, ავგუსტ ბეკერის) მიერ შედგენილ წინასიტყვაობაში ნათქვამია:

„არ იყო ადამიანი, რომელსაც გამოეხატოს მთელი ჩვენი ტანჯვა, მთელი ჩვენი სწრაფვა და იმედები, — ერთი სიტყვით ყველაფერი, რაც ულრმესად აღელვებს ჩვენს ეპოქას... ეს კაცი, რომელსაც ჩვენი ეპოქა მოელის, გამოჩნდა. ეს არის დოქტორი გეორგ კულმანი გოლშტინიდან. იგი გამოვიდა მოძღვრებით ახალ სამყაროზე ანუ სულის სასუფეველზე სინამდვილეში“.

ზედმეტია იმის დამატება, რომ ეს მოძღვრება ახალ სამყაროზე სხვა არა არის რა, თუ არ უაღრესად გულჩვილი აბდაუბდა, á la ლაბენეანურ ნახევრად — ბიბლიური გამოთქმებით შემოსილი და წინასწარმეტყველის ქედმაღლობით წარმოდგენილი; ამან ხელი არ შეუშალა კეთილ ვაიტლინგელებს ხელით ეტარებინათ ეს არამზადა სწორედ ისევე, როგორც აზიელი ქრისტიანები პერეგრინს ატარებდნენ. ისინი, ზედემოკრატიზმისა და გათანაბრებითობის ეს უკიდურესი წარმომადგენლები, აღმოუფხვრელი ეჭვით რომ ეკიდებოდნენ სკოლის ყველა მასწავლებელს, ჟურნალისტს, საერთოდ არახელოსანს, როგორც „მეცნიერთ“, რომელთაც მათი ექსპლუატაცია სურთ, ისინი საშუალებას აძლევდნენ მელოდრამატიულ მანჭია კულმანს ჩაენერგა მათთვის, რომ „ახალ სამყაროში“ უბრძენესი ადამიანი, ე. ი. კულმანი იქნება სიკეთეთა განაწილების მომწესრიგებელი, და ამიტომ მოწაფეებმა უკვე ახლა, ძველ სამყაროში უხვად უნდა მიართვან ბრძენთა-ბრძენს ყველა სიკეთე, თვითონ კი ნამცეცებით დაკმაყოფილდნენ. და პერეგრინ-კულმანი დიდებულად, სრულ კმაყოფილებაში ცხოვრობდა თემის ხარჯზე... სანამ ყველაფერი რიგზე იყო. მართალია, ეს ძალიან დიდხანს არ გაგრძელებულა; ეჭვშეპყრობილთა და ურწმუნოთა მზარდმა დრტვინვამ, კანტონ ვაადტის მხრივ დევნის მუქარამ ბოლო მოუღო „სულის სასუფეველს“ ლოზანაში და კულმანი გაჰქრა.

ყველას, ვინც გამოცდილებით იცნობდა ევროპის მუშათა მოძრაობის პირველ ბელ პერიოდს, ათობით ამგვარი მაგალითები გააახსენდება. ამჟამად ასეთი უკიდურესობანი მსხვილ ცენტრებში მაინც, შეუძლებელი გახდა, მაგრამ შორეულ ადგილებში, სადაც მოძრაობა ახალ ნიადაგს იპყრობს, ასეთ მინიატურულ პერეგრინს კიდევ შეუძლია დროებითი, განსაზღვრული წარმატების იმედი იქონიოს. ყველა ქვეყნის მუშათა პარტიაში იპარებოდნენ ისეთი ელემენტები, რომლებიც აღარაფერს მოელოდნენ ოფიციალურ მსოფლიოდან ან რომელთაც უკვე შეასრულეს იქ თავიანთი როლი, — ყვავილის აცრის

მოწინააღმდეგენი, თავშეკავების დამცველნი, ვეგეტარიანელები, ახტივივისექციონისტები, ჰომეოპათები, თავისუფალ თემთა მქადაგებელნი[37], რომელთა თემები დაიშალა, სამყაროს წარმოშობის შესახებ ახალი თეორიების შემდგენელნი, უნაყოფო ან უიღბლო გამომგონებელნი, ნამდვილ ან ცრუ უსამართლობათა მსხვერპლნი, რომლებსაც ბიუროკრატებმა „მოდავაქრენი“ უწოდეს, პატიოსანი ბრიყვები ან უნაგუსო მატყუარები; ასეთივე ადამიანები მიდიოდნენ პირველ ქრისტიანებთან. ყველა ის ელემენტი, ვინც გაანთავისუფლა, ე. ი. განზე გადაისროლა ძველი მსოფლიოს დაშლის პროცესმა, ზედიზედ ხვდებოდა ქრისტიანობის მიმზიდველობის სფეროში, როგორც ერთადერთი ძალისა, რომელიც უპირისპირდებოდა დაშლის ამ პროცესს — ვინაიდან თვითონ იგი ამ პროცესის აუცილებელი პროდუქტი იყო — და რომელიც ამიტომ რჩებოდა და იზრდებოდა, მაშინ როცა ყველა დანარჩენი ელემენტი მხოლოდ პეპლები იყვნენ, რომელთაც ერთი დღის სიცოცხლე აქვთ. არ ყოფილა ისეთი ფანტასტიკური ოცნება, სისულელე ან პროექტორობა, რომელსაც ფეხი არ მოეკიდებინოს ქრისტიანთა ახალგაზრდა თემებში, არ ეპოვნოს ყოველ შემთხვევაში ზოგან და გარკვეული დროით მაინც, გულისყურიანი და მორწმუნე ადამიანები. როგორც ჩვენი პირველი კომუნისტური მუშათა თემები, ისევე პირველი ქრისტიანები განირჩეოდნენ უმაგალითო გულუბრყვილობით ყოველივე იმისადმი, რაც მათ შეხედულებებს შეესაბამებოდა, ასე რომ ჩვენ იმაშიც კი არა ვართ დარწმუნებული, რომ ჩვენს ახალ აღთქმაში არ შემორჩენილა ესა თუ ის ნაწყვეტი იმ „დიდძალი საღმრთო წერილებიდან“, რომლებიც პერეგრინმა ქრისტიანებისათვის შეადგინა;

ფრ. ენგელსი. „ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიისათვის“. გვ. 3—13.

ქრისტიანობა იცნობდა მხოლოდ ერთ თანასწორობას ყველა ადამიანისა, პირველშობილი ცოდვის თანასწორობას, რაც სავსებით შეეფერებოდა მის, როგორც მონების და ჩაგრულების რელიგიის ხასიათს. ამას გარდა იგი დიდი-დიდი იცნობდა რჩეულთა თანასწორობას, რომელსაც მხოლოდ ქრისტიანობის დასაწყის პერიოდში აღნიშნავდნენ ბაზგასმით. ქონების განზოგადოების ნიშნები, რომელსაც აგრეთვე ახალი რელიგიის დასაწყისში ვხვდებით, უფრო დევნილთა ერთად ცხოვრების საჭიროებით აიხსნება, ვიდრე ნამდვილი თანასწორობის წარმოდგენებით. ძალიან მალე სასულიერო და საერო პირების წინააღმდეგობის დამყარებამ ბოლო მოუღო ამ ქრისტიანული თანასწორობის ჩანასახსაც. — გერმანელების მიერ დასავლეთ ევროპის წალეკვამ მთელი საუკუნეების მანძილზე მოსპო

ყოველი თანასწორობის წარმოდგენანი იმით, რომ თანდათან შექმნა ისეთი რთული ხასიათის სოციალური და პოლიტიკური იერარქია, რომლის მსგავსი მანამდე არ არსებულა; მაგრამ ამავე დროს მან დასავლეთი და შუაევროპა ისტორიულ მოძრაობაში ჩაბა, პირველად შექმნა კომპაქტური კულტურული ასპარეზი, ხოლო ამ ასპარეზზე პირველად წარმოიშვა სისტემა უმთავრესად ნაციონალური სახელმწიფოებისა, რომლებიც ერთმანეთზე გავლენას ახდენდნენ და რომლებსაც ერთმანეთი მუქარის ქვეშ ჰყავდათ. ამით მან მოამზადა ნიადაგი, რომელზედაც შემდეგ ეპოქებში შეიძლებოდა ადამიანურ თანასწორობაზე, ადამიანურ უფლებებზე ლაპარაკი ჩამოვარდნილიყო.

ფრ. ენგელსი. ანტი-დიურინგი. გვ. 123—124.

თანასწორობა — სამართლიანობა. — წარმოდგენა, რომ თანასწორობა არის გამოხატულება სამართლიანობისა, პრინციპი სრულქმნილი პოლიტიკური და სოციალური წეს-წყობილებისა, სრულიად ისტორიულად წარმოიშვა. პირველყოფილ თემებში თანასწორობა არ არსებობდა, ანდა იგი არსებობდა მხოლოდ ფრიად შეზღუდულ ფარგლებში ცალკეული თემის სრულუფლებიანი წევრისათვის და მონობის არსებობით იყო დამძიმებული. ასევე იყო ანტიკურ დემოკრატიაშიც. ყველა ადამიანის თანასწორობა — ბერძნებისა, რომაელებისა და ბარბაროსებისა, თავისუფალთა და მონათა, სახელმწიფოს ქვეშევრდომთა და უცხოელთა, მოქალაქეთა და სახელმწიფოს მხოლოდ მფარველობით მოსარგებლეთა და ა. შ. — ანტიკური ადამიანის გონებას არა მარტო გიჟურ რამედ ეჩვენებოდა, არამედ დანაშაულებრივადაც, და თანმიმდევრული იყო დევნა მისი პირველი საწყისისა ქრისტიანობაში. — ქრისტიანობაში პირველად გამოიხატა უარყოფითი თანასწორობა ღვთის წინაშე ყველა ადამიანისა როგორც ცოდვილთა და უფრო ზუსტი გაგებით თანასწორობა როგორც ერთ, ისე მეორე ღვთის შვილთა, რომელნიც გამოხსნილ იქნენ წყალობითა და სისხლითა ქრისტესი. ორივე გაგებას საფუძველი ჰქონდა თვით ქრისტიანობის როგორც მონათა, დევნილთა, განწირულთა, ჩაგრულთა რელიგიის როლში. ქრისტიანობის გამარჯვებამ ეს მომენტი უკანა რიგში გადასწია და უახლოეს მთავარ საკითხად იქცა დაპირისპირება მორწმუნეთა და წარმართთა შორის, მართლმორწმუნეთა და მწვალებელთა შორის. ქალაქების გაძლიერებას, და მასთან ერთად როგორც ბურჟუაზიის, ისე პროლეტარიატის მეტად თუ ნაკლებად განვითარებულ ელემენტთა გაძლიერებას უნდა გამოეწვია აგრეთვე თანასწორობის როგორც ბურჟუაზიული არსე-

ბობის პირობის მოთხოვნის თანდათანობით გამოცოცხლება, ხოლო ამასთან კი ისიც იყო დაკავშირებული, რომ პროლეტარებმა პოლიტიკური თანასწორობიდან სოციალური თანასწორობის გამოყვანა ჭყეს. ეს პირველად მკვეთრად გამოიხატა, რასაკვირველია, რელიგიური ფორმით, გლეხთა ომში. თანასწორობის მოთხოვნის ბურჟუაზიული მხარე პირველად მკაფიოდ იქნა ფორმულირებული რუსოს მიერ, მაგრამ ჯერ კიდევ ზოგადსაკაცობრიო მოთხოვნის სახით. ისე როგორც ბურჟუაზიის ყველა მოთხოვნების დროს აქაც პროლეტარიატი თან დასდევს ბურჟუაზიას როგორც საბედისწერო აჩრდილი და თავისი დასკვნები გამოჰყავს (ბაბეფი). ეს კავშირი ბურჟუაზიულ თანასწორობასა და პროლეტარულ დასკვნებს შორის კიდევ უფრო დაწვრილებით უნდა განვავითაროთ.

ფრ. ენგელსი, ნაწყვეტები „ანტი-დიურინგის მოსამზადებელი სამუშაოებიდან. გვ. 410—411.

როგორც ხუცესი ყოველთვის ფეოდალთან ხელი-ხელჩაკიდებული დადიოდა, ისევე ხუცური სოციალიზმი მიდის ხელი-ხელჩაკიდებული ფეოდალურ სოციალიზმთან.

იმაზე ადვილი არა არის რა, რომ ქრისტიანულ ასკეტიზმს სოციალისტური ელფერი მიეცეს. განა ქრისტიანობა არ ამხედრებულა კერძო საკუთრების, ქორწინებისა და სახელმწიფოს წინააღმდეგ? განა იგი მათ ნაცვლად არ ქადაგებდა ქველმოქმედებასა და გლახაკობას, უქორწინობასა და ხორცის მოკვდინებას, განდეგილობასა და ეკლესიას? ქრისტიანული სოციალიზმი მხოლოდ აიაზმის წყალია, რომლითაც ხუცესი ასხურებს არისტოკრატიის გაბოროტებას.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. რჩ. ნაწ. ტ. 1 კომუნისტური პარტიის მანიფესტი. გვ. 34—38.

ის ბრალდებანი კომუნიზმის წინააღმდეგ, რომელნიც წამოყენებული არიან რელიგიური, ფილოსოფიური და საერთოდ იდეოლოგიური თვალსაზრისით, უფრო დაწვრილებითი განხილვის ღირსნი არ არიან.

ნუთუ ღრმააზრიანობაა საჭირო იმის გასაგებად, რომ ადამიანთა ცხოვრების პირობების, მათი საზოგადოებრივი ურთიერთობის, მათი საზოგადოებრივი ყოფიერების ცვლილებასთან ერთად იცვლება აგრეთვე მათი წარმოდგენანი, შეხედულებანი, ცნებანი, ერთი სიტყვით — იცვლება მათი ცნობიერებაც?

აბა რას ამტკიცებს იდეათა ისტორია, თუ არა იმას, რომ გონებრივი წარმოება გარდაიქმნება ხოლმე მატერიალურ წარმოებასთან

ერთად? ამა თუ იმ ხანის. გაბატონებული იდეები ყოველთვის იყო მხოლოდ გაბატონებული კლასის იდეები.

ლაპარაკობენ იდეებზე, რომელნიც მთელ საზოგადოებას არეოლუციურებენ; ამით გამოსთქვამენ მხოლოდ იმ ფაქტს, რომ ძველი საზოგადოების შიგნით ახალი საზოგადოების ელემენტები წარმოიშვა, რომ ძველი ცხოვრების პირობების დარღვევასთან ერთად იმავე ნაბიჯით მიდის ძველი იდეების დარღვევაც.

როცა ძველმა მსოფლიომ. დაცემისაკენ იბრუნა პირი, ძველი რელიგიები ქრისტიანულმა .რელიგიამ დაამარცხა. როდესაც მე-16 საუკუნეში ქრისტიანულ. იდეებზე გაიმარჯვეს განმანათლებელთა იდეებმა, ფეოდალური. საზოგადოება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებდა მაშინდელ რევოლუციურ ბურჟუაზიასთან. სინდისისა და რელიგიის თავისუფლების იდეები გამოხატავდნენ მხოლოდ თავისუფალი კონკურენციის ბატონობას სინდისის სფეროში.

„მაგრამ", გვეტყვიან, „რელიგიური, მორალური, ფილოსოფიური, პოლიტიკური, სამართლის და სხვ. იდეები, რასაკვირველია, იცვლებოდნენ. ისტორიული განვითარების მსვლელობაში, ხოლო რელიგია, მორალი, ფილოსოფია, პოლიტიკა, სამართალი მუდამ შენარჩუნებული რჩებოდა ამ ცვლილებაში.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი რჩ. ნაწ. ტ. 1. კომუნისტური პარტიის მანიფესტი. გვ. 32—34.

საფრანგეთში 1685 წელს. კალვინისტური უმცირესობა დათრგუნეს, გააკათოლიკეს ან .განდევნეს[38]; მაგრამ რა გამოვიდა? იმ დროს უკვე თავისუფალი მოაზროვნე პიერ ბეილი გამალებულ მუშაობაში იყო, ხოლო 1694 წელს ვოლტერი დაიბადა. ლუი XVI-ის ძალმომრეობამ საფრანგეთის ბურჟუაზიას მხოლოდ ხელი შეუწყო თავისი რევოლუცია არარელიგიური, წმინდა პოლიტიკური ფორმით მოეხდინა, სწორედ მხოლოდ ეს შეეფერებოდა განვითარებული ბურჟუაზიის მდგომარეობას, პროტესტანტების მაგივრად ნაციონალურ კრებებში თავისუფალი. მოაზროვნეები ისხდნენ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ქრისტიანობამ თავის უკანასკნელ სტადიაში შეაბიჯა ფეხი. ამიერიდან .მას. აღარ .შეეძლო იდეოლოგიური სამოსელი მიეცა რომელიმე .პროგრესული .კლასის მისწრაფებისათვის; იგი თანდათან .გაბატონებული .კლასების განსაკუთრებულ კუთვნილებად გადაიქცა, .როგორც. უბრალოდ. მმართველობის იარაღი, დაბალი კლასების ლაგამის ამოსადები საშუალება. ამ .მიზნით თვითეული გაბატონებული .კლასი .თავის შესაფერ .რელიგიას იყენებს: მიწათმფლობელი ფეოდალზნაურობა კათოლიკურ იეზუიტობას ან .პროტეს-

ტანტულ ორთოდოქსიას, ლიბერალური და რადიკალური ბურჟუები — რაციონალიზმს; ამასთან სულ ერთია — სწამთ თუ არა სწამთ თვით ამ ვაუბატონებს თავიანთი რელიგიის.

ფრ. ენგელსი. ლუდვიგ ფოიერბახი და გერმანელი კლასიკური ფილოსოფიის დასასრული. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. რჩ. ნაწ. ტ. II. 481.

ამ მხრივ განსკუთრებით შესანიშნავია კომუნის ღონისძიება, რომელსაც ხაზს უსვამს მარქსი: საწარმომადგენლო ფულის ყოველგვარი გაცემის, მოხელეთა ყოველგვარი პრივილეგიის გაუქმება, სახელმწიფოს ყველა თანამდებობის პირის გასამრჯელოს დაყვანა „მუშის ხელფასის“ დონემდე.

სწორედ აქ ყველაზე თვალსაჩინოდ აშკარავდება გარდატეხა — ბურჟუაზიული დემოკრატიიდან პროლეტარული დემოკრატიისაკენ, მჩაგვრელი დემოკრატიიდან ჩაგრული კლასების დემოკრატიისაკენ, სახელმწიფოდან, როგორც გარკვეული კლასის დათრგუნვის „განსაკუთრებული ძალიდან“, ხალხის უმრავლესობის, მუშებისა და გლეხების საყოველთაო ძალით მჩაგვრელთა დათრგუნვისაკენ. და სწორედ ამ განსაკუთრებით თვალსაჩინო საკითხზე — სახელმწიფოს საკითხზე, შეიძლება ითქვას, ყველაზე მნიშვნელოვან პუნქტში, მარქსის გაკვეთილები ყველაზე მეტად დავიწყებულია! პოპულარულ კომენტარებში — რაც უთვალავია — ამაზე არ ლაპარაკობენ. „მიღებულია“, რომ ამაზე არა თქვან რა, თითქოს ისეთ „გულუბრყვილობაზე“, რომელსაც თავისი დრო მოუჭამია, — მსგავსად იმისა, როგორც ქრისტიანებს, როცა მათ სახელმწიფო რელიგიის მდგომარეობას მიაღწიეს, „დაავიწყდათ“ დემოკრატიულ-რევოლუციური სულისკვეთებით გამსჭვალული პირვანდელი ქრისტიანობის „გულუბრყვილობანი“.

ვ. ი. ლენინი, სახელმწიფო და რევოლუცია, თბ., 1952 ტ. 25. გვ. 517—518.

IV ნაწილი

მართლმადიდებლობა

1. მართლმადიდებლური ეკლესია მეფის რუსეთში — სინდისის თავისუფლების მტერი

მკითხველებს, ალბათ, ახსოვთ რა ალიაქოთი გამოიწვია ორიოლის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მ. ა. სტახოვიჩის მოხსენებამ ძისიონერთა ყრილობაზე სინდისის თავისუფლების კანონით აღიარების აუცილებლობის შესახებ. კონსერვატიული პრესა, „მოსკოვსკიე ვედომოსტის“[1] მეთაურობით, ცოფსა ჰყრის ბ-ნ სტახოვიჩის წინააღმდეგ. არ იცის, როგორ გამოლანძღოს იგი, თითქმის სახელმწიფო ღალატს აბრალებს ორიოლის ყველა თავადაზნაურს იმისათვის, რომ მათ ისევ ბ-ნი სტახოვიჩი აირჩიეს წინამძღოლად. ეს არჩევანი კი მართლაც საგულისხმო მოვლენაა, რომელიც ერთგვარად პოლიციის თვითნებობისა და სისაძაგლის წინააღმდეგ თავადაზნაურთა დემონსტრაციის ხასიათს იღებს.

სტახოვიჩი — ირწმუნება „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ — „იმდენად თავადაზნაურობის წინამძღოლი არ არის, რამდენადაც მიშა სტახოვიჩია, ხუმარა, საზოგადოების სული და გული, ტკბილმოუბარი“... (1901 წ., № 348). მით უარესი თქვენთვის, ბატონო ხელკეტის დამცველებო. თუ ხუმარა მემამულენიც კი ალაპარაკდნენ სინდისის თავისუფლებაზე, მაშასადამე, საზღვარი არ ჰქონია იმ სისაძაგლეთ, რომელთაც ჩვენი ხუცები და პოლიცია სჩადიან, — ... „რაში ენაღვლება ჩვენს ფუქსავატ, ბატონ სტახოვიჩების წარმომშობსა და ტაშის დამკვრელ „ინტელიგენტთა“ მასას ჩვენი წმინდათაწმინდა, მართლმადიდებელი სარწმუნოება და მისდამი ჩვენი გულითადი დამოკიდებულება?“... ისევ ვიტყვით: მით უარესი თქვენთვის, ბატონნო თვითმპყრობელობის, მართლმადიდებლობისა და ეროვნების დამცველებო. კარგი კი უნდა იყოს ჩვენი პოლიციური თვითმპყრობელობის წესები, თუ მან სარწმუნოებაც კი იმდენად გაუღინთა სატუსაღოს სულით, რომ „სტახოვიჩები“ (რომელთაც რელიგიურ საკითხებში არავითარი მტკიცე რწმენა არა აქვთ, მაგრამ რომელნიც, როგორც ქვემოთ დავინახავთ, დაინტერესებული არიან სარწმუნოების განმტკიცებით) სრული გულგრილობით (თუ სიძულვილით არა)

იმსჭვალებიან ამ ყბადაღებული „ხალხური“ წმინდათაწმინდისადმი! —

„ისინი ჩვენს სარწმუნოებას „შეცდომად“ ნათლავენ!! ისინი დაგვცინიან იმისათვის, რომ ჩვენ, ამ „შეცდომის“ მეოხებით, გვეშინია და გავურბივართ ცოდვას, უდრტვინველად ვასრულებთ ჩვენს მოვალეობას, რაგინდ მძიმეც უნდა იყოს იგი, — დაგვცინიან იმისათვის, რომ ჩვენ ძალასა და სიმხნევეს ვპოულობთ, რათა გადავიტანოთ უბედურება, გაჭირვება და ვერიდებით ამაყობას წარმატებისა და ბედნიერების დროს“... აი რაში ყოფილა საქმის არსი! მართლმადიდებლობის წმინდათაწმინდა იმით ყოფილა ძვირფასი, რომ უბედურების „უდრტვინველად“ გადატანას გვასწავლის! მართლაც, რა ხელსაყრელი ყოფილა ეს წმინდათაწმინდა გაბატონებული კლასებისთვის! როდესაც საზოგადოება ისეა მოწყობილი, რომ უმნიშვნელო უმცირესობა სარგებლობს სიმდიდრით და ძალაუფლებით, ხოლო მასა მუდამ „გაჭირვებას“ განიცდის და „მძიმე მოვალეობას“ ასრულებს, მაშინ სავსებით ბუნებრივია ექსპლოატატორების თანაგრძნობა რელიგიისადმი, რომელიც გვასწავლის „უდრტვინველად“. გადავიტანოთ მიწიერი ჯოჯოხეთი ვითომდა ზეციური სამოთხის გულისთვის. ერთგულებით გატაცებული „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ თავს ვერ იკავებს. მან იმდენად ვერ შეიკავა თავი, რომ უ ნ ე ბ ლ ი ე თ ს ი მ ა რ თ ლ ე თ ქ ვ ა. მოუსმინეთ ქვევით: „მათ ეპვიც კი არ ეპარებათ, რომ იმავე „შეცდომის“ წყალობით, ისინი, ბატონი სტახოვიჩები, მაძღრისად ჭამენ, მშვიდად იძინებენ და მხიარულად ცხოვრობენ“.

წმინდა ჭეშმარიტებაა! სწორედ ასეა, სწორედ ხალხის მასებში სარწმუნოებრივი „შეცდომის“ ფართოდ გავრცელების წყალობით „სძინავთ მშვიდად“ სტახოვიჩებსაც, ობლომოვებსაც და ყველა ჩვენს კაპიტალისტებს, რომელნიც ამ მასების შრომით ცხოვრობენ, და თვით „მოსკოვსკიე ვედომოსტისაც“. და რაც უფრო მეტად გავრცელდება ხალხში განათლება, რაც უფრო განდევნის სარწმუნოებრივ ცრურწმენას სოციალისტური შეგნება, მით უფრო მოახლოვდება პროლეტარიატის გამარჯვების დღე, რომელიც დამონებისაგან გაათავისუფლებს ყველა დაჩაგრულ კლასს თანამედროვე საზოგადოებაში.

მაგრამ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ თუ ერთ პუნქტში წამოსცდა, სამაგიეროდ მეტად იოლად დაიძვრინა თავი მეორე საინტერესო საკითხისაგან. „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ აშკარად ცდება, თუ ფიქრობს, რომ სტახოვიჩებს „ეპვიც კი არ ეპარებათ“ რელიგიის ამ მნიშვნელობაში და ლიბერალურ რეფორმებს მხოლოდ „ფუქსავატობით“ მოითხოვენ. მტრული პოლიტიკური მიმართულების ამგვარი ახსნა მეტისმეტად ბავშვური გულუბრყვილობაა! ხოლო ბ-ნი სტახოვიჩი რომ ამ შემთხვევაში სწორედ მთელი ლიბერალური მიმართულების

მქადაგებლად გამოვიდა. — ეს ყველაზე უკეთ თვით „მოსკოვსკიე ვედომოსტიმ“ დაამტკიცა: თორემ რა საჭირო იყო ასეთი ბალაშქრება ერთი მოხსენების წინააღმდეგ? რა საჭირო იყო ლაპარაკი არა სტახოვიჩზე, არამედ ს ტ ა ხ ო ვ ი ჩ ე ბ ზ ე, „ინტელიგენტთა მასაზე“?

ვ. ი. ლენინი. თხზ. ტ. 5 „პოლიტიკური აგიტაცია და კლასობრივი მოფლმხედველობა“. გვ. 418—420 თბ., 1949

„დღემდე გაუგონარი სამწუხარო-საგულისხმო ფაქტია, — და რუსეთს მრავალ გაუგონარ უბედურებას უქადის ასეთი ფაქტები, რაც შესაძლებელია მხოლოდ დიდად შორს წასული ჩვენი სოციალური დემორალიზაციის დროს“... ასე წერდა „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ თავის მოწინავე სტატიაში № 268 (29 სექტ.) ორიოლის გუბერნიის თავადაზნაურობის წინამძღოლის მ. ა. სტახოვიჩის სიტყვის გამო: მისიონერთა ყრილობაზე ორიოლში (ეს ყრილობა გათავდა 24 სექტემბერს)... ჰოდა, თუ „სოციალური დემორალიზაცია“ შეიჭრა თავადაზაურობის წინამძღოლთა, მაზრის პირველ და გუბერნიის მეორე პირთა შორის, მაშინ მართლაც სადღა უნდა ჰქონდეს ბოლო იმ „სულიერ შავ ჭირს, რომელიც მთელ რუსეთს მოსდებია“?

რა მოხდა? მოხდა ის, რომ ბ-ნმა სტახოვიჩმა (ეს ის სტახოვიჩია, რომელსაც ორიოლის აზნაურები უნდოდა მოეწყო მაგარი სასმელების მონოპოლიის გადასახადების ამკრეფთა ადგილებზე: იხ. „ზარია“ № 1, „შემთხვევითი შენიშვნები“[1]) მხურვალე სიტყვა წარმოთქვა სინდისის თავისუფლების დასაცავად, ამასთან „თავისი უტაქტობით, რომ არ ვთქვათ ციინიზმით, იქამდე მივიდა, რომ ასეთი წინადადება შეიტანა“[2]:

---

[1] იხ. თხზულებანი, გამოც. მე-4, ტომი 4, გვ. 471—509. რ ე დ.

[2] „მოსკოვსკიე ვედომოსტი“, იქვე. ბოდიშს ვიხდი მკითხველებთან „მოსკოვსკიე ვედომოსტისადმი“ ჩემი სიმპათიის გამო. რას იზამ! ჩემი აზრით, რაც უნდა იყოს, ეს უაღრესად საინტერესო, უაღრესად თანამიმდევარი და უ ა ღ რ ე ს ა დ ს ა ქ მ ი ა ნ ი პოლიტიკური გაზეთია რუსეთში. ხომ არ შეიძლება „პოლიტიკური“ ვუწოდოთ, სწორედ რომ ვთქვათ, იმ ლიტერატურას, რომელიც უკეთეს შემთხვევაში შეარჩევს ხოლმე ზოგიერთ საინტერესო ნედლ ფაქტიურ მასალას და ყოველგვარი „ბრძნობის“ ნაცვლად მუდამ ოხრავს. არ ვდავობ, შეიძლება ეს ძალიან სასარგებლოცაა, მაგრამ ეს პოლიტიკა არ არის. აგრეთვე არც „ნოვოე ვრემიას“ ყაიდის ლიტერატურას შეიძლება ვუწოდოთ პოლიტიკური ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით, მიუხედავად იმისა (ან უკეთ — იმის გამო), რომ ის მეტისმეტად პოლიტიკოსობს. მას არავითარი გარკვეული პოლიტიკური პროგრამა და არავითარი რწმენა არა აქვს, შეუძლია მხოლოდ აჰყვეს მომენტის ტონსა და განწყობილებას, იმლიქვნელოს ამ ქვეყნის ძლიერთა წინაშე, რასაც უნდა ბრძანებდნენ ისინი, და ელაქუცოს ვითომდა საზოგადოებრივ აზრს. „მოსკოვსკიე ვედომოსტი“ კი თავის ხაზს ატარებს და არც ეშინია მას.

„რუსეთში ყველაზე უფრო მისიონერთა ყრილობას ევალება საქვეყნოდ გამოაცხადოს, რომ საჭიროა სინდისის თავისუფლება, რომ საჭიროა გაუქმდეს ყოველგვარი სისხლის სამართლის სასჯელი მართლმადიდებლობისაგან განდგომის და სხვა სარწმუნოების მიღებისა და აღსარებისათვის. და მე წინადადებას ვაძლევ ორიოლის მისიონერთა ყრილობას პირდაპირ ასე გამოთქვას თავისი აზრი და ეს შუამდგომლობა აღძრას სათანადო წესით!“..

რასაკვირველია, რამდენადაც გულუბრყვილობა იყო „მოსკოვსკოე ვედომოსტის“ მხრივ ბ-ნ სტახოვიჩის რობესპიერად გამოცხადება (ეს გულმხიარული მ. ა. სტახოვიჩი, რომელსაც მე დიდი ხანია ვიცნობ, რობესპიერია! — წერდა „ნოვოე ვრემიაში“ ბ-ნი სუვორინი, და ძნელი იყო მისი „დასაცავი“ სიტყვის ისე წაკითხვა, რომ სიცილი არ გამოეწვია), — იმდენადვე, თავისებურად, გულუბრყვილო იყო ბ-ნი სტახოვიჩი, ხუცებს რომ აძლევდა წინადადებას შუამდგომლობა აღეძრათ „სათანადო წესით“ სინდისის თავისუფლების შესახებ. ეს იგივეა, რომ ბოქაულების ყრილობაზე შეეტანო წინადადება პოლიტიკური თავისუფლებისათვის შუამდგომლობის აღძვრის შესახებ!

არა მგონია საჭირო იყოს იმის თქმა მკითხველისათვის, რომ „სამღვდელოების კრებულმა მღვდელმთავრის მეთაურობით“ უარჰყო ბ-ნ სტახოვიჩის წინადადება „როგორც მოხსენების დედაარსის, ისე ადგილობრივ მისიონერთა ყრილობის ამოცანებთან მისი შეუფერებლობის გამო“, — მას შემდეგ, რაც მოისმინეს „სერიოზული პასუხი“ ორიოლის ყოვლადსამღვდელო ეპისკოპოს ნიკანორის, ყაზანის სასულიერო აკადემიის პროფესორის ნ. ი. ივანოვსკის, ჟურნალ „მისიონერსკოე ობოზრენიეს“[2] რედაქტორ-გამომცემლის ვ. მ. სკვორცოვის, ამა და ამ მისიონერ-მღვდლების და უნივერსიტეტის კანდიდატების — ვ. ა. ტერნავცევისა და მ. ა. ნოვოსელოვისა. შეიძლება ითქვას: „მეცნიერებისა“ და ეკლესიის კავშირია!

> ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 5. თბ., 1949 „შინაური მიმოხილვა“ გვ. 352—362.

და რა უსაზღვრო დონემდე უნდა იყოს მისული „დემორალიზაცია“, რომელიც საერთოდ რუსეთის ცხოვრებაში და განსაკუთრებით ჩვენი სოფლის ცხოვრებაში შეაქვს პოლიციურ თვითნებობას და სექტანტობის ინკვიზიტორულ დევნას, რომ თვით ქვანიც კი აღაღადდნენ! რომ თავადაზნაურობის წინამძღოლნიც კი ცხარედ ალაპარაკდნენ სინდისის თავისუფლებაზე!

აი ბ-ნ სტახოვიჩის სიტყვიდან აღებული იმ წესების და უმსგავსო.

მოვლენების ბატარა მაგალითები, რომელნიც ბოლოს და ბოლოს თვით უაღრესად „გულმხიარულთაც“ კი აღაშფოთებს.

„თუნდაც აიღეთ ახლა, — ამბობს ორატორი, — ძმობის სამისიონერო ბიბლიოთეკაში საცნობარო წიგნი კანონების შესახებ, და იქ ამოიკითხავთ, რომ ერთი და იგივე 783-ე მუხლი, ტ. II, ნ. I, დუელის, პასკვილის, ლოთობის, უწესო ნადირობის, საჯარო აბანოებში მამრობითი და მდედრობითი სქესის შეთავსების აღმოფხვრაზე მზრუნველობის გარდა, ბოქაულს ავალებს აგრეთვე თვალყური ადევნოს მართლმადიდებელი სარწმუნოების დოგმატების საწინააღმდეგო კამათს და მართლმადიდებლების სხვა რჯულზე თუ მწვალებლობაზე მოქცევას!“ და მართლაც ხომ არსებობს კანონის ისეთი მუხლი, რომელიც ბოქაულს აკისრებს ორატორის მიერ ჩამოთვლილის გარდა კიდევ სხვა მრავალ ასეთსავე მოვალეობას. რა თქმა უნდა, ქალაქთა მცხოვრებლების უმრავლესობას ეს მუხლი უბრალო კურიოზად მოეჩვენება, როგორც მას უწოდა ბ-ნმა სტახოვიჩმაც. მაგრამ გლეხისთვის ამ კურიოზში იმალება bitterer Ernst — მწარე სიმართლე დაბალი პოლიციის უწესოებათა შესახებ, პოლიციის, რომელმაც კარგად უწყის, რომ ღმერთი მაღლაა და მეფე — შორს.

აი კონკრეტული მაგალითები, რომლებიც ჩვენ მოგვყავს „ორიოლის მართლმადიდებელი პეტრე-პავლეს ძმობის საბჭოს და ორიოლის საეპარქიო მისიონერთა ყრილობის თავმჯდომარის, დეკანოზ პეტრე როჟდესტვენსკის“ ოფიციალურ პასუხთან ერთად („მ. ვ.“ № 269, „ორლოვსკი ვესტნიკის“ № 257-დან):

„ა) (ბ-ნ სტახოვიჩის) მოხსენებაში ნათქვამია ტრუბჩევის მაზრის ერთი სოფლის შესახებ:

„როგორც მღვდლის, ისე ხელისუფალთა თანხმობით და ნებართვით ეკვმიტანილი შტუნდისტები ჩაკეტეს ეკლესიაში, მოატანინეს მაგიდა, გადაფარეს სუფთა სუფრა, დაასვენეს ზედ ხატი და დაიწყეს თითო-თითოდ გამოყვანა. — ემთხვიეო!

— არ მინდა ვემთხვიო კერპებს... — ჰოო! აქვე გაიწკეპლოს. უფრო სუსტნი, პირველი დარტყმისთანავე, უბრუნდებოდნენ მართლმადიდებლობას. ზოგნი კი ოთხამდე უძლებდნენ“.

ამავე დროს ჯერ კიდევ 1896 წელს ორიოლის მართლმადიდებელი პეტრე-პავლეს ძმობის ანგარიშში დაბეჭდილი ოფიციალური ცნობებით, და ყრილობაზე მღვდელ დ. პერევერზევის სიტყვიერი განცხადებით, მართლმადიდებელი მოსახლეობის მიერ ტრუბჩევის მაზრის სოფ. ლიუბეცის სექტანტების დასჯა მოხდა სასოფლო ყრილობის დადგენილებით სადღაც სოფელში, და სრულიადაც არა მაშინდელი ადგილობრივი მღვდ-

ლის თანხმობით და არა ეკლესიაში; და ეს სამწუხარო ინციდენტი მოხდა 18—19 წლის წინათ, როდესაც ორიოლის ეპარქიაში მისიის ხსენებაც არ იყო".

„მოსკოვსკიე ვედომოსტი" ბეჭდავს ამას და ამბობს, რომ ბ-ნმა სტახოვიჩმა თავის სიტყვაში მხოლოდ ორი ფაქტი მოიყვანაო. შეიძლება, მაგრამ როგორი ფაქტებია! მართლმადიდებელი ძმობის ანგარიშის „ოფიციალურ ცნობებზე" (ბოქაულის ცნობებზე!) დამყარებული უარყოფა მხოლოდ ადასტურებს მთელ იმ სისაძაგლეს, რომელმაც გულმხიარული აზნაურის აღშფოთებაც კი გამოიწვია. ეკლესიაში მოხდა გაწკეპლვა თუ „სადღაც სოფელში", ნახევარი წლის თუ 18 წლის წინათ, — ეს საქმის ვითარებას სრულიადაც არა სცვლის (თუმცა, შეიძლება, ერთ რამეში სცვლიდეს: ყველამ იცის, რომ უკანასკნელ ხანებში სექტანტების დევნამ უფრო მხეცური ხასიათი მიიღო, და მისიების დაარსება პირდაპირ ამასთანაა დაკავშირებული!). ხოლო ადგილობრივ მღვდელს ვითომ შეეძლო შორს მდგარიყო ამ ზუბუნში გამოწყობილი ინკვიზიტორებისაგან, — ამაზე, მამაო დეკანოზო, უკეთესი იქნებოდა პრესაში ხმა არ ამოგეღოთ[3]. დაგცინებენ! რა თქმა უნდა, სისხლის სამართლით პასუხსაგებ წამებაზე „ადგილობრივ მღვდელს" „თანხმობა" არ მიუცია, ისე როგორც წმიდა ინკვიზიცია თვითონ არასოდეს არ სჯიდა, არამედ ხელში უგდებდა საერთო ხელისუფლებას, სისხლსაც არასოდეს არ ღვრიდა, მხოლოდ სწვავდა.

მეორე ფაქტი:

„ბ) მოხსენებაში ნათქვამია:

„მისიონერ მღვდელს მხოლოდ მაშინ არ წამოსცდება ის პასუხი, რომელიც აქ ჩვენც გავიგონეთ: — თქვენ ამბობთ, მამაო, რომ თავდაპირველად 40 ოჯახი იყო, ახლა კი ოთხიაო. სადღაა დანარჩენი? — ღვთის შეწევნით გადასახლებული არიან ამიერკავკასიასა და ციმბირშიო.

ნამდვილად კი, ტრუბჩევის მაზრის სოფელ ელიბოჩკაში, რომელზედაც ლაპარაკია ამ შემთხვევაში, ძმობის ცნობებით, 1898 წელს იყო არა 40 ოჯახი შტუნდისტი, არამედ 40 სული ორივე სქესისა, 21 ბავშვის ჩათვლით; ხოლო იმავე წელს ამიერკავკასიაში გადაასახლეს, საოლქო სასამართლოს დადგენილებით, მხოლოდ 7

---

[3] ბ-ნი სტახოვიჩი ოფიციალურ შესწორებათა პასუხად წერდა: „რა წერია ძმობის ოფიციალურ ანგარიშში, არ ვიცი, მაგრამ ეამტკიცებ, რომ მღვდელმა პეტრეევრზევმა, მას შემდეგ რაც დაწერილებით მოახსენა ყრილობას საქმის ვითარება და დაურთო, სამოქალაქო ხელისუფლებმა იცოდნენ (sic!!!) გამოტანილი განაჩენის შესახებო, პირადად ჩემს კითხვაზე: იცოდი თუ არა, მამაო? — მიპასუხა — დიახ, მეც ვიცოდიო". კომენტარები ზედმეტია.

კაცი სხვების შტუნდად მოქცევისათვის. რაც შეეხება ადგილობრივი მღვდლის ფრაზას: „ღვთის შეწევნით გადასახლებული არიანო“, ის შემთხვევით წამოსცდა მას ყრილობის დახურულ სხდომაზე, უკანასკნელის წევრთა შორის აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლისას, მით უფრო, რომ ხსენებული მღვდელი ადრეც იყო ყველასათვის ცნობილი და ყრილობაზედაც გამოიჩინა თავი როგორც ერთ-ერთმა უღირსეულესმა მოძღვარ-მისიონერმა“.

ეს პასუხი ხომ პირდაპირ შეუდარებელია! შემთხვევით თქვა აზრთა თავისუფალი გაცვლა-გამოცვლისას! სწორედ ესაა საინტერესო, იმიტომ რომ ჩვენ ყველამ ძალიან კარგად ვიცით, რა ფასი აქვს ოფიციალურ პირთა ოფიციალურ სიტყვებს. და თუ ამ „გულითადი“ სიტყვების წარმომთქმელი მღვდელი — „ერთ-ერთი უღირსეულესი მოძღვარ-მისიონერია“, მით უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევა ამ სიტყვებს. „ღვთის შეწევნით გადასახლებულნი არიან ამიერკავკასიასა და ციმბირშიო“ — ეს საუცხოო სიტყვები ერთგვარად არანაკლებ შესანიშნავი უნდა გახდეს, ვიდრე მიტროპოლიტ ფილარეტის მიერ ბატონყმობის დაცვა სალმრთო წერილის მიხედვით.

ვ. ი. ლენინი, თხზ. ტ. 5. „შინაური მიმოხილვა“. გვ. 362—365, თბ., 1949.

იმ 109 მილიონი დესეტინა მიწიდან, რომელიც კერძო მფლობელთა ხელშია, შვიდი მილიონი არის საუფლისწულო, ე. ი. შეადგენს მეფის გვარეულობის წევრთა კერძო საკუთებას. მეფე თავისი ოჯახით რუსეთში პირველი მემამულეა, ყველაზე დიდი მემამულე. ერთ გვარს მეტი აქვს მიწა, ვიდრე ნახევარმილიონ გლეხთა ოჯახს! შემდეგ, ეკლესიებსა და მონასტრებს აქვთ ექვსმილიონამდე დესეტინა მიწა. ჩვენი ხუცები გლეხებს უანგარობასა და თავშეკავებას უქადაგებენ, თვითონ კი სწორი თუ მრუდე გზით უამრავი მიწა ჩაიგდეს ხელში.

ვ. ი. ლენინი, „სოფლის ღარიბებს“. თხ. ტ. 5. გვ. 466

2. მართლმადიდებლური ეკლესია და 1905 წლის რევოლუცია

მართლა, რაკი ფილარეტი მოვიგონეთ, უსამართლობა იქნებოდა დუმილით გვერდი აგვევლო 1901 წლის ჟურნალ „ვერა ი რაზუმში“[3] დაბეჭდილი „სწავლული ლიბერალის“ წერილისთვის ხარკოვის არქიეპისკოპოსის ყოვლად სამღვდელო ამბროსისადმი. ავტორი ხელს აწერს: „საპატიო მოქალაქე ყოფილ სასულიერო პირთაგან იერონიმე

პრეობრაჟენსკი“, ხოლო „სწავლული (!) ლიბერალის“ სახელწოდებას მას ანიჭებს რედაქცია, რომელიც, ალბათ, დააფრთხო „სიბრძნის სიღრმემ“. მოვიყვანოთ მხოლოდ ზოგიერთი ადგილი ამ წერილიდან, რომელიც ერთხელ კიდევ და კიდევ გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური აზროვნება და პოლიტიკური პროტესტი უხილავი გზით იჭრება გაცილებით უფრო ფართო წრეებში, ვიდრე ზოგჯერ გვგონია.

„მე უკვე მოხუცი ვარ, თითქმის 60 წლისა, ჩემს ცხოვრებაში ბევრჯერ მინახავს საეკლესიო მოვალეობათა შესრულების გვერდის ახვევა და სინდის ქვეშ უნდა ითქვა, რომ ყოველთვის ამის მიზეზი ჩვენი სამღვდელოება იყო. უკანასკნელ ამბებისათვის კი დიდი მადლობაც უნდა ვუთხრათ ჩვენს ახლანდელ სამღვდელოებას, რომელიც ბევრს უხელს თვალს. ახლა არათუ ვოლტერის მწერლები, არამედ დიდი და პატარა, განათლებული და წერა-კითხვის მცირეშეცდნენი, ყველანი ცდილობენ რუსეთის დიდებული მწერლის წაკითხვას. დიდი ფასის გაღებით შოულობენ მის თხზულებებს („სვობოდნოე სლოვოს“[4] საზღვარგარეთულ გამოცემას, რომელიც თავისუფლად ვრცელდება ყველა ქვეყნის ხალხში, რუსეთს გარდა), კითხულობენ, მსჯელობენ, და დასკვნები, რა თქმა უნდა, სამღვდელოების სასარგებლოდ არ არის. ხალხის მასა ახლა უკვე ხედება, სად არის სიცრუე და სად სიმართლე; ის ხედავს, რომ ჩვენი სამღვდელოება ერთს ამბობს და მეორეს აკეთებს, და ხშირად საკუთარ სიტყვებშიც ეწინააღმდეგება თავის თავს. ბევრი სიმართლე შეიძლება ითქვას, მაგრამ სამღვდელოებასთან გულახდილად ლაპარაკი შეუძლებელია, ის მაშინვე დაგაბეზღებს, რომ გაწამონ და სიკვდილით დაგსაჯონ... ქრისტე კი ხალხს იმხრობდა არა ძალით და სიკვდილით დასჯით, არაშედ სიმართლით და სიყვარულით...

თქვენი სიტყვის ბოლოში თქვენ წერთ: „ჩვენ გვაქვს დიდი ძალა საბრძოლველად, — ესაა ჩვენი უკეთილმსახურესი მეფეების თვითმპყრობელური ხელისუფლება“. ესეც თაღლითობაა და ისევ არ გიჯერით თქვენ. თუმცა, თქვენ, განათლებულო სამღვდელოებავ, ცდილობთ დაგვარწმუნოთ, რომ „თვითმპყრობელური ხელისუფლების ერთგული ხართ დედის ძუძუდან“ (ახლანდელი ეიკარის ეპისკოპოსად კურთხევის დროს წარმოთქმული სიტყვიდან), მაგრამ ჩვენ, გაუნათლებელთ, არ გვჯერა, რომ ერთი წლის ბავშვი (თუნდაც მომავალი ეპისკოპოსი) უკვე მართვა-გამგეობის ფორმებზე მსჯელობდეს და უპირატესობას თვითმპყრობელობას ანიჭებდეს. მას შემდეგ, რაც დამარცხდა პატრიარქ ნიკონის ცდა — რუსეთში შეესრულებინა რომის პაპების როლი, რომელნიც დასავლეთში სასულიერო ხელისუფლებასა და საერო მეთაურობას ერთმანეთთან ათავსებდნენ, ჩვენი ეკლესია, თავისი უმაღლესი წარმომადგენლების — მიტროპოლიტების სახით, მთლიანად და სამუდამოდ დაემორჩილა მეფეების ხელისუფლებას, რომელიც ხანდახან პირდაპირ დესპოტურად, როგორც ეს იყო პეტრე დიდის დროს, უკარნახებდა მას თავის ბრძანებულებებს. (პეტრე დიდის გავლენა სამღვდელოებაზე უფლისწულ ალექსის მსჯავრდადების საქმეში.) XIX საუკუნეში ჩვენ უკვე საერო და საეკლესიო ხელისუფლების სრულ ჰარმონიას ვხედავთ რუსეთში. ნიკოლოზ პირ-

---

[4] ვსარგებლობთ შემთხვევით მადლობა გამოვუცხადოთ კორესპონდენტს, რომელმაც გამოგვიგზავნა ცალკე ამონაბეჭდი ამ ჟურნალიდან. ჩვენი გაბატონებული კლასები ძალიან ხშირად au naturel (ნატურალური სახით. რ ე დ.) გვევლინებიან სპეციალურ საპატიმრო საეკლესიო და სხვა ამგვარ გამოცემებში. დიდი ხანია დროა ჩვენ, რევოლუციონერებმა, ხელი მოვკიდოთ პოლიტიკური განათლების ამ „მდიდარი საუნჯის“ სისტემატურ გამოყენებას.

ველის მკაცრ ხანაში, როდესაც გამოღვიძებულმა საზოგადოებრივმა თვითცნობიერებამ, დასავლეთის დიდ სოციალურ მოძრაობათა გავლენით, ჩვენშიც წამოაყენა თითო-ოროლა მებრძოლი უბრალო ხალხის აღმაშფოთებელი დამონების წინააღმდეგ, — ჩვენი ეკლესია სრულიად გულგრილად უცქეროდა ამ ხალხის ტანჯვა-წამებას და, მიუხედავად ქრისტეს დიდებული აღთქმისა ადამიანთა ძმობის და მოყვასთა შეწყალების შესახებ, სამღვდელოების წრეებიდან არც ერთი ხმა არ ამაღლებულა დაბეჩავებული ხალხის დასაცავად მემამულეთა სასტიკი თვითნებობისაგან, და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მთავრობა ჯერ ვერ ბედავდა გაეუქმებინა ბატონყმობა, რომლის არსებობას ფილარეტ მოსკოველი პირდაპირ ძველი აღთქმის საღმრთო წერილის ტექსტებით ამართლებდა. მაგრამ აი გავარდა მეხი: რუსეთი დაამარცხეს და პოლიტიკურად დაამცირეს სევასტოპოლთან. ამ განადგურებამ ნათლად გამოააშკარავა ჩვენი რეფორმისწინადროინდელი წყობილების ყველა ნაკლი და უპირველეს ყოელისა ახალგაზრდა, ჰუმანურმა მეფემ (რომელიც თავისი სულისა და ნების აღზრდით პოეტ ჟუკოვსკის უნდა უმადლოდეს) დაამსხვრია მონობის საუკუნოვანი ბორკილი; და, ბედის ბოროტი ირონიით, 19 თებერვლის დიადი აქტის ტექსტი ქრისტიანული თვალსაზრისით სარედაქციოდ გადაეცა იმავე ფილარეტს, რომელმაც, ცხადია, დროის შესაბამისად შეიცვალა შეხედულებანი ბატონყმობაზე. დიდი რეფორმების ხანას არც ჩვენი სამღვდელოებისთვის ჩაუვლია უკვალოდ. ამ ხანამ სამღვდელოების წრეში მაკარის (შემდეგ მიტროპოლიტი) დროს ნაყოფიერი მუშაობა გამოიწვია სასულიერო დაწესებულებათა გარდასაქმნელად, სადაც მან გამოკრა სარკმელი, თუმცა მცირე, საჯაროობისა სინათლისაკენ. 1881 წლის პირველი მარტის შემდეგ დამდგარმა რეაქციამ სამღვდელოებაშიც წარმოშვა სათანადო, პობედონოსცევის და კატკოვის ყაიდის, მოღვაწენი, — და იმ დროს, როცა ქვეყნის მოწინავე პირები ერობასა და საზოგადოებაში პეტიციებს აძლევენ ფიზიკური დასჯის ნაშთების გაუქმების შესახებ, ეკლესია სდუმს, იგი კრინტსაც არა სძრავს როზგის, — ღვთის ხატად და მსგავსად შექმნილი ადამიანის ამ აღმაშფოთებელი დამცირების იარაღის, — დამცველთა დასაგმობად. ყოველივე ზემონათქვამის შემდეგ, განა უსამართლობა იქნება ვიფიქროთ, რომ მთელი ჩვენი სამღვდელოება, თავისი წარმომადგენლების სახით, ზ ე ი დ ა ნ შ ე ც ვ ლ ი ლ ი რ ე ჟ ი მ ი ს დ რ ო ს, ისევე დაუწყებს ქება-დიდებას კონსტიტუციურ მეფეს, როგორც ახლა ქება-დიდებას ასხამს თვითმპყრობელ მეფეს. ამრიგად, რა საჭიროა ფარისევლობა, აქ მთავარია მონარქი და არა თვითმპყრობელობა. პეტრე პირველიც ღვთითმომადლებული თვითმპყრობელი იყო, მაგრამ სამღვდელოება მას მაინცდამაინც აქამდეც არ სწყალობს; პეტრე მესამეც ასეთივე თვითმპყრობელი იყო, რომელსაც უნდოდა გაეკრიჭა და გაეანთლებინა ჩვენი სამღვდელოება, — სამწუხაროდ, მას არ დააცალეს ორი-სამი წელი ემეფნა. და დღევანდელმა ჩვენმა თვითმპყრობელმა მეფემ ნიკოლოზ მეორემ რომ კეთილ ინებოს და მოწყალების თვალით შეხედოს ღირსსახელოვან ლევ ნიკოლოზის-ძეს — სადღა გადაიმალებოდით თქვენ თქვენი მზაკვრობით, შიშის ზარითა და მუქარით?

ამაოდ მოგაყავთ იმ ლოცვათა ტექსტი, რომელთაც სამღვდელოება აღავლენს მეფისათვის, — აჯამური ენის ეს სიტყვების გროვა ვერაფის ვერაფერში არწმუნებს, ჩვენში ხომ თვითმპყრობელობაა: გიბრძანებენ და სამჯერ უფრო გრძელსა და უფრო გამომეტყველ ლოცვებს დასწერთ“.

3. ლ ე ნ ი ნ ი, „შინაური მიმოხილვა“. თხ. ტ. 5. გვ. 365—368.

შესაძლო და უფრო მოსალოდნელია რევოლუციის მეორე დაბოლოება, სახელდობრ ის „სრული გამარჯვება დემოკრატიისა მუშათა

კლასის მეთაურობით", რაზედაც „ცნობა" ლაპარაკობს. თქმა არ უნდა, ჩვენ ვავაკეთებთ, რაც კი შეგვეძლება, იმისათვის, რომ მივაღწიოთ ამ შედეგს, მოვსპოთ ის პირობები, რომელთა შეოხებით შესაძლოა პირველი დაბოლოება. ობიექტური ისტორიული პირობებიც რუსეთის რევოლუციისათვის ხელსაყრელად იქმნება. უაზრო და სამარცხვინო ომი სასკვდილო მარყუჟს უჭერს მეფის მთავრობას და არაჩვეულებრივ ხელსაყრელ მომენტს ქმნის იმისათვის, რომ რევოლუციურად მოვსპოთ სამხედრო ხროვა, გავწიოთ მუდმივი არმიების ნაცვლად სახალხო შეიარაღების ფართო პროპაგანდა, სწრაფად გავატაროთ ეს ზომა, რასაც მოსახლეობის მასა თანაგრძნობით შეხვდება. თვითმპყრობელობის ხანგრძლივმა და განუყოფელმა ბატონობამ, ალბათ, ისტორიაში უმაგალითო რაოდენობით დააგროვა ხალხის რევოლუციური ენერგია; მუშათა უდიდესი მოძრაობის გვერდით ფართოვდება და იზრდება გლეხთა აჯანყება, ირაზმება წვრილბურჟუაზიული დემოკრატია უმთავრესად თავისუფალ პროფესიათა წარმომადგენლების სახით. ისტორიის ირონიამ თვითმპყრობელობა იმით დასაჯა, რომ მისდამი შეგობრულად განწყობილი საზოგადოებრივი ძალებიც კი, როგორიცაა, მაგალითად, კლერიკალიზმი, იძულებული არიან დაირაზმონ ნაწილობრივ მის წინააღმდეგ, დაამსხვრიონ ან განზე გასწიონ პოლიციური ბიუროკრატიზმის ჩარჩოები. დრტვინვა სასულიერო წოდებაში, მისი მისწრაფება ცხოვრების ახალი ფორმებისაკენ, კლერიკალთა გამოყოფა, ქრისტიან სოციალისტთა და ქრისტიან დემოკრატთა გამოჩენა, „სხვა სარწმუნოების" მიმდევართა, სექტანტთა აღშფოთება და სხვ. ყოველივე ეს დიდად უწყობს ხელს რევოლუციას, მეტისმეტად ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის სახელმწიფოსაგან ეკლესიის სრული ჩამოშორების სასარგებლო აგიტაციას. რევოლუციის ნებსითი და უნებლიე, შეგნებული და შეუგნებელი მოკავშირეები იზრდებიან და მრავლდებიან არა დღეობით, არამედ საათობით. თვითმპყრობელობაზე ხალხის გამარჯვების შესაძლებლობა ძლიერდება.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „რსდმპ III ყრილობა" თხ. ტ. 8. 528—529.

მღვდლებიც კი, ეს ულტრარეაქციონერები, შავრაზმელი ბნელეთისმოციქულნი, რომლებსაც მთავრობა საგანგებოდ ინახავს, კადეტებზე უფრო შორს წავიდნენ თავის აგრარულ პროექტში. ისინიც კი ალაპარაკდნენ მიწის „ხელოვნურად გადიდებული ფასების" დაკლებაზე, მიწის პროგრესულ გადასახადზე და იმ ნაკვეთების განთავისუფლებაზე ყოველგვარი გადასახადისაგან, რომლებიც მოხმარების ნორმას არ აღემატებიან. რატომ არის, რომ სოფლის მღვდელი, კა-

ზიონური მართლმადიდებლობის ეს ურიადნიკი, უ ფ რ ო გლეხის შხარეზე აღმოჩნდა, ვიდრე ბურჟუაზიული ლიბერალი? იმიტომ რომ სოფლის მღვდელი გლეხის გვერდით ცხოვრობს, მასზეა დამოკიდებული ათასნაირ შემთხვევაში, ზოგჯერ კი — საეკლესიო მიწებზე ხუცების წვრილი გლეხური მიწათმოქმედების გამო — გლეხის მდგომარეობაშია. სოფლის მღვდელი ამ ჭეშმარიტად ზუბატოვური სათათბიროდან[5] სოფელში უნდა დაბრუნდეს, ხოლო სოფელში, რაც უნდ, სწმინდონ იგი დამსჯელმა ექსპედიციებმა და სტოლიპინის ქრონიკულმა სამხედრო ბანაკებმა, ვ ე რ დ ა ბ რ უ ნ დ ე ბ ა ის, ვინც მემამულეებს მიემხრო. ამრიგად გამოდის, რომ უაღრესად რეაქციონერი ხუცესისათვის უფრო ბნელია ხელში ჩაუგდოს გლეხი მემამულეს, ვიდრე განათლებული ადვოკატისა და პროფესორისათვის.

დიახ, დიახ! ბუნება თავისას გაიტანს. ბუნება დიდი ბურჟუაზიული რევოლუციისა გლეხურ რუსეთში ისეთია, რომ მხოლოდ გლეხთა აჯანყების გამარჯვებას, რაც წარმოუდგენელია პროლეტარიატის ხელმძღვანელი როლის. გარშე, შეუძლია გამარჯვებამდე მიიყვანოს ეს რევოლუცია წინააღმდეგ ბურჟუაზიული ლიბერალიზმის იმანენტური კონტრრევოლუციურობისა.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „რუსეთის რევოლუციის ბუნების შესახებ". თხ. ტ. 15. გვ. 16—17.

„მოსკოვსკიე ვედომოსტში"[6] (№ 345, 1902 წ. 15 დეკემბერი) მოთავსებულია მუშის ფ. ა. სლეპოვის „წერილი გამომცემლისადმი", რომელსაც ჩვენ ქვემოთ მ თ ლ ი ა ნ ა დ ვბეჭდავთ. ჯერ ერთი, ჩვენ გვინდა წავაქეზოთ ჩვენი დიდად პატივცემული „თანამოკალმე", „მოსკოვსკიე ვედომოსტის" ბ-ნი რედაქტორი გრინგმუტი, რომელმაც მოათავსა ესოდენ საინტერესო დოკუმენტი, ხოლო ბ-ნი გრინგმუტი უეჭველად საჭიროებს წაქეზებას, რადგან მისი ფრიად სასარგებლო მოღვაწეობა რევოლუციური აგიტაციისათვის მასალის მიწოდების (და გაშუქების) მხრივ ამ ბოლო დროს როგორღაც მისუსტდა, ფერმკრთალი გახდა... რიხი მოაკლდა. მეტი სიბეჯითეა საჭირო, კოლეგა! მეორეც, პეტერბურგელი მუშებისთვის ფრიად საჭიროა ახლა თვალყური ადევნონ ზუბატოვობის თითოეულ ნაბიჯს, უფრო რეგულარულად შეაგროვონ, უფრო ფართოდ გაავრცელონ და უფრო საფუძვლიანად განუმარტონ ყველას და თითოეულს ცნობები იმის შესახებ, თუ ჯაშუშებთან ხელგადახვეული მუშები როგორ საუბრობენ ყოფილ, ახლანდელ და მომავალ გენერლებთან, მაღალი წრის ბანოვანებთან და „ჭეშმარიტ რუს" ინტელიგენტებთან.

აი ეს წერილი, რომელსაც ჩვენ ზოგიერთ შენიშვნას ვურთავთ ფრჩხილებში:

„რუსთა საკრებულოს“ წევრებმა კეთილმოწყალებით შეისმინეს (ის-ღა აკლდათ, კეთილმოწყალებით არ მოესმინათ მუშებისთვის. რომელნიც პოლიციას ეხმარებიან მის საქმეში! „ი ს კ რ ი ს“ რ ე დ.) ჩვენი მოხსენებანი, და ბევრმა ის აზრი გამოთქვა, რომ საჭიროა სეზიოზულად ჩაეფიქრდეთ მუშათა საკითხს და მუშებს შესაძლებლობა და საშუალება მივცეთ თავი დააღწიონ სოციალისტური მოძღვრების გავლენას (საინტერესო სურათია: გენერლები და ხუცები, ზუბატოველი ჯაშუშები და პოლიციური სულისკვეთების ერთგული მწერლები აპირებენ „დაეხმარონ“ მუშას, რათა მან თავი დააღწიოს სოციალისტური მოძღვრების გავლენას! — და, სხვათა შორის, დაეხმარონ იმ გაუფრთხილებელ მუშათა დაჭერაშიც, რომელნიც ანკესზე წამოეგებიან. „ი ს კ რ ი ს“ რ ე დ.).

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „მოსკოველი ზუბატოველები პეტერბურგში“. თხზ., ტ. 6, გვ. 368, 372—373.

ჩვენ ვალდებული ვართ განუხრელად ვამხილოთ ზუბატოვებისა და ვასილიევების, ჟანდარმებისა და ხუცების ყოველგვარი მონაწილეობა ამ მიმდინარეობაში და განეუმარტოთ მუშებს ამ მონაწილეთა ჭეშმარიტი განზრახვანი. ჩვენ ვალდებული ვართ აგრეთვე ვამხილოთ ყოველგვარი შემარიგებელი, „ჰარმონიული“ კილო, რომელიც თავს იჩენს ლიბერალურ მოღვაწეთა სიტყვებში მუშების ღია კრებებზე. — სულ ერთია, ამ კილოს ისინი იღებენ გულწრფელი რწმენით, რომ სასურველია კლასთა მშვიდობიანი თანამშრომლობა, თუ სურვილით, რომ მთავრობის გული მოიგონ, ან, ბოლოს, უბრალო უხერხულობის გამო. დასასრულ, ჩვენ ვალდებული ვართ გავაფრთხილოთ მუშები, რომ პოლიცია მათ ხშირად მახეს უგებს, ზვერავს რა „გულმხურვალე ადამიანებს“ ამ ღია კრებებზე და ნებადართულ საზოგადოებებში, ცდილობს ლეგალური ორგანიზაციების საშუალებით შეიყვანოს პროვოკატორები არალეგალურ ორგანიზაციებშიც.

მაგრამ ყოველივე ამის კეთება სრულიადაც არ ნიშნავს იმის დავიწყებას, რომ ბ ო ლ ო ს და ბ ო ლ ო ს მუშათა მოძრაობის ლეგალიზაცია სწორედ ჩვენ მოგვიტანს სარგებლობას და სრულიადაც არა ზუბატოვებს. პირიქით, სწორედ ჩვენი მამხილებელი კამპანიით ეწმენდთ ხორბლის ჯეჯილს ღვარძლისაგან. ღვარძლი ჩვენ უკვე აღვნიშნეთ. ხორბალი — ეს არის მუშათა კიდევ უფრო ფართო და ყველაზე ჩამორჩენილი ფენების ყურადღების მიპყრობა სოციალური და პოლიტიკური საკითხებისადმი, ეს არის ჩვენი, რევოლუციონერების, განთავისუფლება ისეთი ფუნქციებისაგან, რომლებიც არსებითად ლეგალურია (ლეგალურია წიგნების გავრცელება, ურთიერთდახმარება

და სხვ). და რომელთა განვითარება აუცილებლად მოვეკეთს უფრო და უფრო მეტ მასალას აგიტაციისათვის.

3. ლ ე ნ ი ნ ი, „რა ვაკეთოთ". თხზ., ტ. 5, გვ. 577—578.

ხუცესი გაპონი რომ პროვოკატორია, ამ მოსაზრებას თითქოს ის ფაქტი მოწმობს, რომ იგი ზუბატოველთა საზოგადოების მონაწილე და მოთავეა. შემდეგ, საზღვარგარეთული გაზეთები, ჩვენი კორესპონდენტების მსგავსად, აღნიშნავენ იმ ფაქტს, რომ პოლიციამ საგაფიცვო მოძრაობას განზრახ მიუშვა სადავე, რათა უფრო ფართოდ და უფრო თავისუფლად განვითარებულიყო იგი, და, საერთოდ, მთავრობას (და განსაკუთრებით დიდ მთავარს ვლადიმერს) უ ნ დ ო დ ა ხოცვა-ჟლეტა გამოეწვია თავისთვის ყველაზე ხელსაყრელ პირობებში. ინგლისელი კორესპონდენტები იმასაც კი აღნიშნავენ, რომ სწორედ ზუბატოველთა ენერგიული მონაწილეობა მოძრაობაში განსაკუთრებით ხელსაყრელი უნდა ყოფილიყო მთავრობისათვის საქმის ასეთი ვითარების დროს. რევოლუციურ ინტელიგენციასა და შეგნებულ პროლეტარებს, რომლებმაც, ალბათ, ყველაზე, უმალ მოიმარაგეს იარაღი, არ შეეძლოთ არ მორიდებოდნენ ზუბატოვურ მოძრაობას, არ შეეძლოთ ვანზე არ გასდგომოდნენ მას. ამრიგად მთავრობას ხელები განსაკუთრებით თავისუფალი ჰქონდა და იგი წაუგებელ თამაშს ეწეოდა: დემონსტრაციაზე წავლენ ყველაზე მშვიდობიანი, ყველაზე ნაკლებ ორგანიზებული, ყველაზე უბირი მუშები; მათთან გასწორება ჩვენი ჯარისათვის იოლია, პროლეტარიატს კი კარგ გაკვეთილს მივცემთ; ქუჩაში ყველასი და თვითეულის დახვრეტისათვის საბაბი ჩინებული იქნება; მეფის კარზე რეაქციული (ანუ დიდი მთავრის) პარტიის გამარჯვება ლიბერალებზე სრული იქნება; ამას უაღრესად მძვინვარე რეპრესია მოჰყვებაო.

ინგლისური ვაზეთებიც და კონსერვატიული გერმანული გაზეთებიც აშკარად მიაწერენ მთავრობას (ან ვლადიმერს) მოქმედების ასეთ გეგმას. სავსებით შესაძლოა, რომ ეს სიმართლეა. 9 იანვრის სისხლიანი დღის ამბები შესანიშნავად ადასტურებენ ამას. მაგრამ ასეთი გეგმის არსებობა ოდნავადაც არ გამორიცხავს იმასაც, რომ ხუცესი გაპონი შეიძლება შ ე უ ც ნ ო ბ ლ ა დ ყოფილიყო ასეთი გეგმის იარაღი. რუსეთის ახალგაზრდა სამღვდელოების გარკვეულ ნაწილში ლიბერალური, რეფორმატორული მოძრაობის არსებობა ეჭვს არ იწვევს: ამ მოძრაობამ გამომხატველები ჰპოვა რელიგიურ-ფილოსოფიური საზოგადოების კრებებზედაც და საეკლესიო ლიტერატურაშიც. ამ მოძრაობამ თავისი სახელწოდებაც კი მიიღო: „ახალმართლმადიდებლური" მოძრაობა. ამიტომ არ შეიძლება უთუოდ გამოირიცხოს აზრი,

რომ ხუცესი გაპონი შეიძლება ყოფილიყო გულწრფელი ქრისტიანი სოციალისტი, რომ სწორედ სისხლიანმა კვირამ დააყენა იგი სავსებით რევოლუციურ გზაზე. ჩვენ ამ მოსაზრებას ვეთანხმებით, მით უმეტეს, რომ გაპონის წერილები, რომლებიც მან 9 იანვრის ხოცვა-ჟლეტის შემდეგ დაწერა იმის შესახებ, რომ „მეფე არა გვყავსო“, მისი მოწოდება თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ და სხვ., — ყოველივე ეს ფაქტებია, რომლებიც მოწმობენ მის პატიოსნებასა და გულწრფელობას, რადგან პროვოკატორის ამოცანად უკვე არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ყოფილიყო ასეთი მძლავრი აგიტაცია აჯანყების განგრძობისათვის.

ასეა თუ ისე, სოციალ-დემოკრატების ტაქტიკა ახალი წინამძღოლის მიმართ თავისთავად ისახებოდა: საჭიროა ფრთხილი, მომლოდინე, უნდობელი დამოკიდებულება ზუბატოველისადმი. საჭიროა ყოველ შემთხვევაში ენერგიული მონაწილეობა დაწყებულ (თუნდაც ზუბატოველის მიერ დაწყებულ) საგაფიცვო მოძრაობაში, სოციალ-დემოკრატიული შეხედულებებისა და ლოზუნგების ენერგიული ქადაგება. ასეთ ტაქტიკას ადგნენ, როგორც ზემომოყვანილი წერილებიდან ჩანს, ჩვენი ამხანაგებიც რსდმპ[8] პეტერბურგის კომიტეტიდან. რაც უნდა „ხერხიანი“ ყოფილიყო მეფის კარის რეაქციული ხროვის გეგმები, პროლეტარების, როგორც მთელი ხალხის ავანგარდის, კლასობრივი ბრძოლისა და პოლიტიკური პროტესტის სინამდვილე ბევრად უფრო ხერხიანი აღმოჩნდა. პოლიციური ან სამხედრო გეგმები რომ მთავრობის წინააღმდეგ შეტრიალდნენ, ზუბატოვობიდან, როგორც წვრილმანი საბაბიდან, ფართო, დიდი, სრულიად რუსეთის რევოლუციური მოძრაობა რომ გაიზარდა, — ეს ფაქტია. მუშათა კლასის რევოლუციური ენერგია და რევოლუციური ინსტინქტი შეუკავებელი ძალით გამომჟღავნდნენ, მიუხედავად პოლიციის ყოველგვარი ფანდებისა და ხრიკებისა.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „რევოლუციური დღეები“. თხზ. ტ. 8. გვ. 110—112.

ზოგადად რომ ავღლებ თვალს სისხლიანი კვირის ამბებს, ყველაზე მეტად გაოცებს ეს შეხამება მეფისადმი გულუბრყვილო პატრიარქალური რწმენისა და მეფის ხელისუფლების წინააღმდეგ ქუჩებში გამართული გააფთრებული ბრძოლისა იარაღით ხელში. რუსეთის რევოლუციის პირველმა დღემ გასაოცარი ძალით დაუპირისპირა ერთმანეთს ძველი და ახალი რუსეთი, ცხადყო მამა-მეფისადმი ძველისძველი გლეხური რწმენის აგონია და რევოლუციური ხალხის დაბადება ქალაქის პროლეტარიატის სახით. ევროპის ბურჟუაზიული

გაზეთები ტყუილად როდი ამბობენ. 10 იანვრის რუსეთი ის აღარ არის, რაც 8 იანვრის რუსეთი იყო. ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული გერმანული სოციალ-დემოკრატიული გაზეთი[9]. ტყუილად როდი იხსენებს, თუ როგორ იწყებოდა 70 წლის წინათ მუშათა მოძრაობა ინგლისში, როგორ აცხადებდნენ 1834 წელს ინგლისელი მუშები ქუჩის დემონსტრაციებით პროტესტს მუშათა კავშირების აკრძალვის წინააღმდეგ, როგორ იმუშავებდნენ ისინი 1838 წელს მანჩესტერის ახლოს უდიდეს კრებებზე „სახალხო ქარტიას“ და პასტორი სტივენსი აცხადებდა, რომ „ყოველ თავისუფალ ადამიანს, რომელიც ღვთის თავისუფალ ჰაერს სუნთქავს და ღვთის თავისუფალ მიწაზე დადის, უფლება აქვს საკუთარი კერა ჰქონდესო“. და იგივე პასტორი მოუწოდებდა შეკრებილ მუშებს იარაღისათვის მოეკიდათ ხელი.

ჩვენშიც, რუსეთში, მოძრაობის სათავეში მღვდელი აღმოჩნდა, რომელიც ერთ დღეში მოწოდებიდან — მშვიდობიანი შუამდგომლობით წასულიყვნენ თვით მეფესთან — გადავიდა მოწოდებაზე დაეწყოთ რევოლუცია. „ამხანაგებო, რუსო მუშებო!“ — წერდა მღვდელი გიორგი გაპონი სისხლიანი დღის შემდეგ ლიბერალთა კრებაზე წაკითხულ წერილში. — „მეფე აღარა გვყავს. სისხლის მდინარემ ჩაიარა დღეს მასა და რუს ხალხს შორის. დროა რუსმა მუშებმა უიმისოდ დაიწყონ ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლა. დღეს დამილოცნიხართ, ხვალ თქვენს შორის ვიქნები. დღეს ძლიერ მოუცლელი ვარ ჩვენი საქმისათვის მუშაობის გამო“.

ამას მღვდელი გიორგი გაპონი კი არ ამბობს. ამას ამბობენ ის ათასობით და ათეული ათასობით, მილიონობით და ათეული მილიონობით რუსი მუშები და გლეხები, რომლებსაც დღემდე შეეძლოთ გულუბრყვილოდ და ბრმად სწამებოდათ მამა-მეფე, ეძებნათ თავიანთი აუტანელი მძიმე მდგომარეობის შემსუბუქება „თვით“ მამა-მეფესთან, ყველა უმსგავსოებასა, ძალადობასა, თვითნებობასა და ძარცვა-გლეჯაში ბრალი დაედოთ მ ხ ო ლ ო დ მოხელეებისათვის, რომლებიც მეფეს ატყუებენო. დაბეჩავებული, გაველურებული, მიყრუებულ კუთხეებში მივარდნილი გლეხური ცხოვრების ძრავალი თაობანი განამტკიცებდნენ ამ რწმენას. ახალი, ქალაქური, სამრეწველო, შეგნებული რუსეთის ცხოვრების ყოველი თვე ძირს უთხრიდა და ანგრევდა ამ რწმენას. მუშათა მოძრაობის უკანასკნელმა ათეულმა წელმა ათასობით წამოაყენა მოწინავე პროლეტარი-სოციალ-დემოკრატები, რომლებმაც სავსებით შეგნებულად უკუაგდეს ეს რწმენა. ამ ათეულმა წელმა აღზარდა ათეული ათასობით მუშა; კლასობრივმა ინსტინქტმა, რაც საგაფიცვო ბრძოლასა და პოლიტიკურ აგიტაციაში განმტკიცდა. მოუსპო მათ ასეთი რწმენის ყველა საფუძველი. მაგრამ ამ ათასებსა და ათეულ ათასებს უკან იდგნენ ასეული ათასობით და

მილიონობით მშრომელნი და ექსპლოატირებულნი, დამცირებულნი და შეურაცხყოფილნი, პროლეტარები და ნახევრადპროლეტარები, რომლებსაც კიდევ შეიძლებოდა შერჩენილი ჰქონოდათ ასეთი რწმენა. მათ არ შეეძლოთ ასეთ აჯანყებას გაჰყოლოდნენ, მათ შეეძლოთ მხოლოდ თხოვნა და ვედრება. მათი გრძნობები და ვანწყობილება, მათი ცოდნისა და პოლიტიკური გამოცდილების დონე გამოხატა მღვდელმა გიორგი გაპონმა, და ამაში მდგომარეობს იმ როლის ისტორიული მნიშვნელობა, რომელიც რუსეთის რევოლუციის დასაწყისში შეასრულა ადამიანმა, რომელსაც ჯერ კიდევ გუშინ არავინ იცნობდა და რომელიც ახლა პეტერბურგის, ხოლო პეტერბურგის შემდეგ ევროპის მთელი პრესის სადღეისო გმირი გახდა.

ახლა გასაგებია, პეტერბურგელი სოციალ-დემოკრატები, რომელთა წერილებიც ზემოთ მოვიყვანეთ, თავდაპირველად უნდობლად რატომ ეკიდებოდნენ გაპონს და არც შეეძლოთ ასე არ მოჰკიდებოდნენ მას. ადამიანს, რომელიც ანაფორას ატარებდა, ღვთის მორწმუნე იყო და ზუბატოვისა და დამცველი განყოფილების მაღალი მფარველობით მოქმედებდა, არ შეეძლო ეჭვი არ აღეძრა. გულწრფელად თუ არაგულწრფელად იხევდა იგი ტანზე ანაფორას და წყეველიდა იმას, რომ ეკუთვნოდა საზიზღარ წოდებას, ხალხის მძარცველ და გამრყვნელ ხუცესთა წოდებას, ამის დარწმუნებით თქმა არავის არ შეეძლო, გარდა იქნებ იმ ადამიანებისა, რომლებიც პირადად ახლო იცნობდნენ გაპონს, ე. ი. გარდა ერთი მუჭა ადამიანთა უმნიშვნელო წრისა. ამის გადაწყვეტა შეეძლოთ მხოლოდ გაჩაღებულ ისტორიულ ამბებს, მხოლოდ ფაქტებს, ფაქტებსა და ფაქტებს. და ფაქტებმა ეს საკითხი გაპონის სასარგებლოდ გადაწყვიტეს.

შეძლებს თუ არა სოციალ-დემოკრატია ამ სტიქიური მოძრაობის დაუფლებას? — შეშფოთებით ეკითხებოდნენ თავიანთ თავს ჩვენი პეტერბურგელი ამხანაგები, როცა ხედავდნენ, თუ რა შეუკავებელი სისწრაფით იზრდებოდა საყოველთაო გაფიცვა, რომელიც პროლეტარიატის არაჩვეულებრივ ფართო ფენებს ედებოდა. როცა ხედავდნენ, თუ რა უძლეველი იყო გაპონის გავლენა ისეთ „უბირ“ მასებზე, რომლებსაც შეეძლოთ პროვოკატორსაც აჰყოლოდნენ. და სოციალ-დემოკრატები არათუ მხარს არ უჭერდნენ გულუბრყვილო ილუზიებს მშვიდობიანი შუამდგომლობის შესაძლებლობის შესახებ, ისინი ეკამათებოდნენ გაპონს, ისინი პირდაპირ და მტკიცედ იცავდნენ ყველა თავიანთ შეხედულებას და მთელ თავიანთ ტაქტიკას. და ისტორიამ, რომელსაც მუშათა მასები უსოციალ-დემოკრატიოდ ქმნიდნენ; დაადასტურა სოციალ-დემოკრატების შეხედულებათა და ტაქტიკის სისწორე. პროლეტარიატის კლასობრივი მდგომარეობის ლოგიკა გაპონის შეცდომებზე, გულუბრყვილობასა და ილუზიებზე

ძლიერი აღმოჩნდა. დიდმა მთავარმა ვლადიმერმა, რომელიც მეფის სახელითა და მეფის მთელი ძალაუფლებით მოქმედებდა, იკისრა ჯალათის საქმიანობით ეჩვენებინა მუშათა მასებისათვის ის, და სწორედ, ის, რასაც მათ სოციალ-დემოკრატები მუდამ უჩვენებდნენ და კვლავაც უჩვენებენ ბეჭდვითი და ზეპირი სიტყვით.

მუშათა და გლეხთა მასებს, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენილი ჰქონდათ მეფისადმი რწმენის ნაშთი, არ შეეძლოთ აჯანყებას გაჰყოლოდნენ, — ვთქვით ჩვენ. ცხრა იანვრის შემდეგ ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ: ახლა მათ შეუძლიათ გაჰყვნენ და გაჰყვებიან აჯანყებას. „მამა-მეფემ“ უიარაღო მუშების ხოცვა-ჟლეტით თვითონ გააკეთებინა ბარიკადები და მისცა მათ ბარიკადებზე ბრძოლის პირველი გაკვეთილები. „მამა-მეფის“ გაკვეთილები ფუჭად არ ჩაივლის.

სოციალ-დემოკრატიას ის რჩება, რომ იზრუნოს პეტერბურგის სისხლიანი დღეების შესახებ ცნობების რაც შეიძლება ფართოდ გავრცელებაზე, თავისი ძალების რაც შეიძლება მეტ შემჭიდროებასა და დარაზმულობაზე, სოციალ-დემოკრატიის მიერ უკვე დიდი ხნის წინათ წამოყენებული ლოზუნგის: ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ს ა ხ ა ლ ხ ო შ ე ი ა რ ა ღ ე ბ უ ლ ი ა ჯ ა ნ ყ ე ბ ი ს უფრო ენერგიულ პროპაგანდაზე.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ. ტ. 8. „რევოლუციური დღეები“, გვ. 117—120.

„ჩვენ[10] მხოლოდ მოხარული ვიქნებით, თუ იმ მღვდლის შემდეგ, რომელიც ეწეოდა ეკლესიასთან სახელმწიფოს გათიშვის ჩვენი მოთხოვნის პოპულარიზაციას მასებში, მონარქისტული მუშათა საზოგადოების შემდეგ, რომელმაც მოაწყო სახალხო ლაშქრობა ზამთრის სასახლეზე, რუსეთის რევოლუცია გამდიდრდება გენერლით, რომელიც პირველი წაიყვანს სახალხო მასებს უკანასკნელ ბრძოლაში მეფის ჯარის წინააღმდეგ, ან მოხელით, რომელიც პირველი გამოაცხადებს მეფის ხელისუფლების ოფიციალურ დამხობას“.

დიახ, ეს ჩვენც გაგვეხარდებოდა, მაგრამ ჩვენ ვისურვებდით, რომ შ ე ს ა ძ ლ ო სასიამოვნო ამბების სიხარულის გრძნობას არ დაეჩრდილა ჩვენი ლოგიკა. რას ნიშნავს: რ უ ს ე თ ი ს რ ე ვ ო ლ უ ც ი ა გამდიდრდება მღვდლით ან გენერლით? ეს იმას ნიშნავს, რომ მღვდელი ან გენერალი რევოლუციის მომხრეები ან წინამძღოლები გახდებიან. ეს „ახლადდამწყებნი“ შეიძლება იყვნენ რევოლუციის სავსებით ან არასავსებით შეგნებული მომხრეები. უკანასკნელ შემთხვევაში (რომელიც უფრო შესაძლოა ახლადდამწყებთა მიმართ)

ჩვენ უნდა განვიცდიდეთ არა სიხარულს, არამედ მწუხარებას მათი შეუგნებლობის გამო და მთელი ძალღონით ვეცადოთ გამოვასწოროთ, შევავსოთ იგი. ვიდრე ეს არ გაგვიკეთებია, ვიდრე მასა მისდევს მცირედშეგნებულ წინამძღოლს, იძულებული ვართ ვთქვათ, რომ სოციალ-დემოკრატია კი არ იყენებს ყველა ელემენტებს, არამედ ყველა ელემენტები იყენებენ მას. რევოლუციის მომხრე, გუშინდელი მღვდელი ან გენერალი, ან მოხელე, შეიძლება იყოს ცრურწმენით აღსავსე ბურჟუაზიული დემოკრატი და რამდენადაც მას გაჰყვებიან მუშები, იმდენად ბურჟუაზიული დემოკრატია „გამოიყენებს“ მუშებს.

ვ. ი. ლენინი, „უნდა მოეაწყოთ თუ არა რევოლუცია“? თხზ., ტ. 8. გვ. 195.

3. მართლმადიდებლური ეკლესიის მებრძოლი კლერიკალიზმი

სახელმწიფო სათათბიროში გამართულმა კამათმა სინოდის ხარჯთაღრიცხვის საკითხზე, შემდეგ — იმ პირთა უფლებების აღდგენაზე, რომლებმაც სასულიერო წოდება დასტოვეს, და, ბოლოს, „სტაროობრიადულ“ თემებზე უაღრესად საგულისხმო მასალა მოგვცა რუსეთის პოლიტიკური პარტიების დასახასიათებლად რელიგიისა და ეკლესიისადმი მათი დამოკიდებულების მხრივ. ზოგადად გადავავლოთ თვალი ამ მასალას და შევჩერდეთ, უმთავრესად, სინოდის ხარჯთაღრიცხვის გამო გამართულ კამათზე (სტენოგრაფიული ანგარიშები ზემოთ აღნიშნულ სხვა საკითხებზე გამართული კამათის შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ არ მიგვიღია).

პირველი დასკვნა, რაც განსაკუთრებით გვხვდება თვალში სათათბიროს კამათის განხილვისას, ის არის, რომ მებრძოლი კლერიკალიზმი რუსეთში არათუ არსებობს, არამედ აშკარად ძლიერდება და უფრო და უფრო ირაზმება. 16 აპრილს მიტროფანე ეპისკოპოსმა განაცხადა: „სათათბიროში ჩვენი მოღვაწეობის პირველი ნაბიჯები მიმართული იყო სწორედ იქითკენ, რომ ჩვენ, ხალხის მაღალი არჩევით პატივდებულნი, აქ სათათბიროში დავმდგარიყავით პარტიულ დაქსაქსულობაზე მაღლა და შეგვექმნა სამღვდელოების ერთი ჯგუფი, რომელიც ყოველ მხარეს გააშუქებდა თავისი ეთიკური თვალსაზრისით... რა არის მიზეზი, რომ ჩვენ ამ იდეალურ მდგომარეობამდე ვერ მივედით?... ბრალი მიუძღვით იმათ, ვინც თქვენთან ერთად“ (ე. ი. კადეტებთან და **მემარცხენეებთან“) იყოფს ამ სკამებს**, სახელდობრ, სამღვდელოების დეპუტატებს, რომლებიც ოპოზიციას ეკუთვნიან. მათ პირველებმა აღიმაღლეს თავისი ხმა და იწყეს ლაპარაკი,

რომ ეს სხვა არაფერია, თუ არა კლერიკალური პარტიის წარმოშობა, და რომ ეს მეტისმეტად არასასურველიაო. რა თქმა უნდა, რუსი მართლმადიდებელი სამღვდელოების კლერიკალიზმის შესახებ ლაპარაკიც არ შეიძლება, — ამგვარი ტენდენციები ჩვენ არასოდეს არა გვქონია. და ჩვენ. როცა მოვისურვეთ ცალკე ჯგუფად გამოვყოფილიყავით, ვისახავდით წმინდა მორალურ, ეთიკურ მიზნებს, ახლა კი, ბატონებო. როცა ასეთი უთანხმოების გამო, რაც მემარცხენე დეპუტატებმა შეიტანეს ჩვენს ძმურ წრეში, დაყოფა და დაქუცმაცება მოხდა, ახლა თქვენ (ე. ი. კადეტები) „ბრალს გვდებთ ჩვენ ამაში“.

მიტროფანე ეპისკოპოსმა თავის უმეცარ სიტყვაში საიდუმლოება წამოაყრანტალა: მემარცხენეებს, თურმე, ბრალი მიუძღვით იმაში, რომ სათათბიროს ხუცების ნაწილი ჩამოაშორეს განსაკუთრებული „მორალური“ (ეს სიტყვა, რა თქმა უნდა, უფრო მოხერხებულია ხალხის მოსატყუებლად, ვიდრე „კლერიკალური“) ჯგუფის შექმნასო!

თითქმის ერთი თვის შემდეგ, 13 მაისს, ეპისკოპოსმა ევლოღიმ სათათბიროში წაიკითხა „სათათბიროს სამღვდელოების დადგენილება“: „სათათბიროს მართლმადიდებელი სამღვდელოების უდიდესი უმრავლესობა ფიქრობს“... რომ „მართლმადიდებელი ეკლესიის უპირატესი და გაბატონებული მდგომარეობისათვის“ არ არის დასაშვები არც ქადაგების თავისუფლება „სტაროობრიადელებისათვის“, არც „სტაროობრიადული“ თემების დაარსება განცხადების წესით, არც „სტაროობრიადელ“ სასულიერო პირთათვის მღვდელმსახურთა სახელის წოდება. რუსი ხუცების „წმინდა მორალური თვალსაზრისი“ სავსებით გამოაშკარავდა. როგორც წმინდა წყლის კლერიკალიზმი, სათათბიროს სამღვდელოების „უდიდესი უმრავლესობა“, რომლის სახელითაც ეპისკოპოსი ევლოღი ლაპარაკობდა, ალბათ, შესდგა მესამე სათათბიროს 29 მემარჯვენე და ზომიერად მემარჯვენე მღვდლისაგან და. იქნებ, კიდევ 8 ოქტიაბრისტი მღვდლისაგან. ოპოზიციას მიემხრო, უნდა ვიფიქროთ, პროგრესისტებისა და მშვიდობიანი განახლების პარტიის 4 მღვდელი და ერთიც პოლონელ-ლიტველთა ჯგუფიდან.

როგორია „სათათბიროს (უნდა დაემატოს — სამი ივნისის სათათბიროს) სამღვდელოების უდიდესი უმრავლესობის წმინდა მორალური. ეთიკური თვალსაზრისი“? აი რამდენიმე ამონაწერი სიტყვებიდან: „მე მხოლოდ ვამბობ, რომ ამ (ე. ი. საეკლესიო) ცვლილებათა ინიციატივა უნდა გამომდინარეობდეს ეკლესიის შიგნიდან, და არა გარედან, არა სახელმწიფოს მხრიდან, და, რა თქმა უნდა, არა საბიუჯეტო კომისიის მხრიდან. ეკლესია ხომ ღვთაებრივი და მარადი დაწესებულებაა, მისი კანონები ურყევია, ხოლო სახელმწიფო ცხოვრების იდეალები, როგორც ცნობილია, მუდმივს ცვლილებებს გა-

ნიცდიან“ (ეპისკოპოსი ეულოგი, 14 აპრილი). ორატორი იგონებს „შემაშფოთებელ ისტორიულ პარალელს“: საეკლესიო ქონების სეკულარიზაციას ეკატერინე II-ის დროს. „ვის შეუძლია ითავდებოს, რომ საბიუჯეტო კომისია, რომელმაც წელს გამოთქვა სურვილი დაუმორჩილოს ისინი (საეკლესიო სახსრები) სახელმწიფო კონტროლს, შემდეგ წელს არ გამოთქვამს სურვილს გადარიცხოს ისინი საერთო-სახელმწიფო ხაზინაში, მერე კი სავსებითაც გადასცეს მათი გამგებლობა საეკლესიო ხელისუფლების ნაცვლად სამოქალაქო ანუ სახელმწიფო ხელისუფლებას? ეკლესიის წესები გვეუბნებიან, რომ თუ ეპისკოპოსს მინდობილი აქვს ქრისტიანთა სული, მით უფრო უნდა მიენდოს საეკლესიო ქონება... ახლა თქვენს წინაშე (სათათბიროს დეპუტატების წინაშე) დგას თქვენი სულიერი დედა. წმინდა მართლმადიდებელი ეკლესია, არა მარტო როგორც ხალხის წარმომადგენლების წინაშე, არამედ როგორც თავისი სულიერი შვილების წინაშეც“ (იქვე).

ჩვენს წინაშეა ხალასი კლერიკალიზმი. ეკლესია მაღლა დგას სახელმწიფოზე, როგორც მარადი და ღვთაებრივი მაღლა დგას დროებითზე, მიწიერზე. ეკლესია არ აპატიებს სახელმწიფოს საეკლესიო ქონების სეკულარიზაციას. ეკლესია მოითხოვს თავისთვის უპირველეს და გაბატონებულ მდგომარეობას. მისთვის სათათბიროს დეპუტატები არა მარტო — უფრო სწორად — არა იმდენად ხალხის წარმომადგენლები არიან, რამდენად „სულიერი შვილები“.

ესენი ანაფორიანი მოხელეები კი არ არიან, როგორც თქვა სოციალ-დემოკრატმა სურკოვმა, არამედ ანაფორიანი მ ე ბ ა ტ ო ნ ე ნ ი. ეკლესიის ფეოდალური პრივილეგიების დაცვა, შუასაუკუნებრიობის აშკარა დაცვა — აი მესამე სათათბიროს სამღვდელოების უმრავლესობის პოლიტიკის არსი. ეპისკოპოსი ეულოგი სრულიადაც არ არის გამონაკლისი, გეპეცკიც მოთქვამს „სეკულარიზაციის“, როგორც შეუწყნარებელი „შეურაცხყოფის“ წინააღმდეგ (14 აპრილი). ხუცესი ბაშკევიჩი აცამტვერებს ო ქ ტ ი ა ბ რ ი ს ტ უ ლ მოხსენებას მისწრაფებისათვის — „შეარყიოს ის ისტორიული და კანონიკური ბურჯები, რომლებსაც ეყრდნობოდა და უნდა ეყრდნობოდეს ჩვენი საეკლესიო ცხოვრება“. „გადაიყვანოს რუსული მართლმადიდებელი ეკლესიის ცხოვრება და მოღვაწეობა კანონიკური გზიდან იმ გზაზე, რომელზედაც... ეკლესიის ნამდვილმა თავადებმა — ეპისკოპოსებმა — უნდა დაუთმონ მოციქულებისაგან მემკვიდრეობით მიღებული თითქმის ყველა თავისი უფლება ერისკაც თავადებს“... „ეს სხვა არაფერია, თუ არა... ხელყოფა სხვისი საკუთრებისა, ეკლესიის უფლებებისაც და მისი ქონებისაც“. „მომხსენებელს ჩვენ მივყევართ საეკლესიო ცხოვრების კანონიკური წყობილების დანგრევისაკენ, მას სურს

დაუმორჩილოს მართლმადიდებელი ეკლესია, მთელი მისი სამეურნეო ფუნქციებით, სახელმწიფო სათათბიროს, ისეთ დაწესებულებას, რომელიც შესდგება სულ სხვადასხვანაირი ელემენტებისაგან, ჩვენი სახელმწიფოს როგორც შეწყნარებულ, ისე შეუწყნარებელ სარწმუნოებათა ელემენტებისაგან" (14 აპრილი).

რუსი ნაროდნიკები და ლიბერალები დიდ ხანს ინუგეშებდნენ თავს, ანუ, უფრო სწორად, იტყუებდნენ თავს „თეორიით", რომ რუსეთში არ არის ნიადაგი მებრძოლი კლერიკალიზმისათვის, „ეკლესიის თავადთა" ბრძოლისათვის საერო ხელისუფლებასთანაო და მისთ: სხვა ნაროდნიკულ და ლიბერალურ ილუზიებს შორის ჩვენმა რევოლუციამ ეს ილუზიაც გაჰფანტა. კლერიკალიზმი არსებობდა ფარული ფორმით, ვიდრე მთლიანად და ხელშეუხებლად არსებობდა თვითმპყრობელობა. პოლიციისა და ბიუროკრატიის ყოვლისშემძლეობა „საზოგადოებისა" და ხალხის თვალისაგან ჰფარავდა კლასობრივ ბრძოლას საზოგადოდ. „ანაფორიან მებატონეთა" ბრძოლას „საზიზღარ ბრბოსთან", კერძოდ, რევოლუციური პროლეტარიატისა და გლეხობის მიერ ბატონყმური თვითმპყრობელობის პირველმავე შენგრევამ ფარული აშკარა გახადა. როგორც კი პროლეტარიატმა და ბურჟუაზიული დემოკრატიის მოწინავე ელემენტებმა იწყეს სარგებლობა პოლიტიკური თავისუფლებით, მასების ორგანიზაციის თავისუფლებით, რომელიც მათ მოიპოვეს 1905 წლის დამლევს, მაშინვე რეაქციული კლასებიც წაეპოტინენ დამოუკიდებელ და აშკარა ორგანიზაციას. ისინი სრული აბსოლუტიზმის დროს განსაკუთრებით აშკარად არ ირაზმებოდნენ და არ გამოდიოდნენ არა იმიტომ, რომ სუსტნი იყვნენ, არამედ იმიტომ, რომ ძლიერნი იყვნენ, — არა იმიტომ, რომ მათ ორგანიზაციისა და პოლიტიკური ბრძოლის უნარი არ შესწევდათ, არამედ იმიტომ, რომ ისინი მაშინ ჯერ კიდევ ვერ ხედავდნენ დამოუკიდებელი კლასობრივი ორგანიზაციის სერიოზულ საჭიროებას. მათ არ სჯეროდათ, რომ შესაძლებელი იყო მასობრივი მოძრაობა თვითმპყრობელობისა და მებატონეების წინააღმდეგ რუსეთში. მათ სავსებით ჰქონდათ იმის იმედი, რომ ბრბოს შესაკავებლად საკმარისი იყო მათრახი. თვითმპყრობელობისათვის მიყენებულმა პირველმავე ჭრილობებმა აიძულეს სოციალური ელემენტები, რომლებიც მხარს უჭერენ თვითმპყრობელობას და საჭიროებენ მას, დღის სინათლეზე გამოსულიყვნენ. მასებთან, რომლებსაც შეეძლოთ შეექმნათ 9 იანვარი, 1905 წლის საგაფიცვო მოძრაობა და ოქტომბერ-დეკემბრის რევოლუცია, უკვე არ შეიძლება მ ა რ ტ ო ძველი მათრახით ბრძოლა. საჭიროა გამოსვლა დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციების სარბიელზე; საჭიროა, რათა გაერთიანებული თავადაზნაურობის საბჭო აწყობდეს შავ რაზმებს და აჩაღებდეს უაღრე-

სად თავაწყვეტილ დემაგოგიას, საჭიროა, რათა „ეკლესიის თავადებმა — ეპისკოპოსებმა“ დამოუკიდებელ ძალად დარაზმონ რეაქციული სამღვდელოება.

მესამე სათათბირო და რუსეთის კონტრრევოლუციის მესამე სათათბიროს პერიოდი სწორედ იმით ხასიათდება, რომ რეაქციული ძალების ამ ორგანიზაციამ გარეთ გადმოხეთქა, დაიწყო საერთო-ნაციონალური მასშტაბით გაშლა, მოითხოვა განსაკურებული შავრაზმულ-ბურჟუაზიული „პარლამენტი“. მებრძოლმა კლერიკალიზმმა თვალნათლივ დაგვანახა თავისი სახე, და რუსეთის სოციალ-დემოკრატიას ახლა არა ერთხელ მოუხდება იყოს მეთვალყურე და მონაწილე კლერიკალური ბურჟუაზიის კონფლიქტებისა ანტიკლერიკალურ ბურჟუაზიასთან. თუ ჩვენი საერთო ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ დავეხმაროთ პროლეტარიატს დაირაზმოს ცალკე კლასად, რომელსაც შეეძლება გამოეყოს ბურჟუაზიულ დემოკრატიას, მაშინ ამ ამოცანაში შედის, როგორც ნაწილი, პროპაგანდისა და აგიტაციის ყველა საშუალების გამოყენება, მათ შორის სათათბიროს ტრიბუნის გამოყენებაც, იმისათვის, რომ მასებს განემარტოთ სოციალისტური ანტიკლერიკალიზმის განსხვავება ბურჟუაზიული ანტიკლერიკალიზმისაგან.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „კლასები და პარტიები მათს დამოკიდებულებაში რელიგიისა და ეკლესიისადმი“. თხზ., ტ. 15. გვ. 508—513.

სამღვდელოება აპირებს აავსოს IV სათათბირო.

როგორ უნდა მოვეკიდოთ სამღვდელოების ამ გამოსვლას პოლიტიკურ ასპარეზზე?

დემოკრატია არასოდეს არ შეიძლება იდგეს იმ თვალსაზრისზე, რომ სამღვდელოება მონაწილეობას არ უნდა იღებდეს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ეს არქირეაქციული თვალსაზრისია. იგი იწვევს მხოლოდ კაზიონურ ფარისევლობას და სხვას არაფერს. ცხოვრებაში აბსოლუტურად შეუძლებელი, განუხორციელებელია ყოველგვარი ღონისძიებანი, რომლებიც პოლიტიკას და კლასობრივ ბრძოლას აშორებენ მოსახლეობის ამა თუ იმ ჯგუფს ან ნაწილს.

გავიხსენოთ, რომ ბელელი და გერმანიის სოციალ-დემოკრატები გერმანიაში იეზუიტების აგიტაციის თავისუფლების მომხრენი იყვნენ. ჩვენ წინააღმდეგნი ვართ ლიბერალური ფრაზებისა იეზუიტების აგიტაციის „აკრძალვის“ შესახებ, — ამბობდნენ ს.-დ-ები. ჩვენ არ გვეშინია იეზუიტებისა. დაე იეზუიტებს აგიტაციის ს რ უ ლ ი თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ა ჰქონდეთ, — მაგრამ ჩვენთვისაც, სოციალ-დემოკრატებისთვისაც, უზრუნველყონ აგიტაციის სრული თავისუფლება.

აი როგორ მსჯელობდნენ ბებელი და გერმანიის სოციალ-დემოკრატები.

რუსეთში მუშა დემოკრატები იბრძვიან იმის წინააღმდეგ, რომ მემამულეების ან სამღვდელოების და სხვ. სასარგებლოდ გაყალბებულ იქნეს საარჩევნო (და ყოველგვარი სხვა) უფლება და სრულებითაც არა იმის წინააღმდეგ, რომ სამღვდელოებამ თავისუფლად მიიღოს მონაწილეობა პოლიტიკურ ცხოვრებაში. ჩვენ ვდგავართ კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისზე და მოვითხოვთ პოლიტიკაში ყოველი კლასის, წოდების, სქესის, ხალხის, მოსახლეობის ფენისა თუ ჯგუფის მონაწილეობის სრულ თავისუფლებას.

ლიბერალები ამ საკითხზე უმართებულოდ, არადემოკრატიულად მსჯელობენ. მაგალ., თავადი ტრუბეცკოი ამას წინათ წერდა და „რეჩიც“ ტაშს უკრავდა:

„ეკლესიის გადაქცევა პოლიტიკურ იარაღად მისი შინაგანი რღვევის ფასად ხდება“. სამღვდელოებით სათათბიროს ავსების პროექტს იგი „ანტიქრისტიანულს და ანტიეკლესიურს“ უწოდებდა.

ეს მართალი არ არის. ეს ფარისევლობაა. ეს უაღრესად რეაქციული თვალსაზრისია.

ტრუბეცკოი და სხვა ლიბერალები კლერიკალიზმის წინააღმდეგ თავიანთ ბრძოლაში ა რ ა დემოკრატიულ თვალსაზრისზე დგანან. პოლიტიკურ ბრძოლაში სამღვდელოების მიერ მონაწილეობის მიუღებლობის ალმით ისინი ახორციელებენ მის უფრო ფარულ (და ამიტომ გაცილებით უფრო მავნე) მონაწილეობას.

მუშათა დემოკრატია მომხრეა პოლიტიკური ბრძოლის თავისუფლებისა ყველასათვის, მათ შორის სამღვდელოებისთვისაც. ჩვენ საარჩევნო ბრძოლაში, სათათბიროში და სხვ. სამღვდელოების მონაწილეობის წინააღმდეგნი როდი ვართ, არამედ მ ხ ო ლ ო დ და მ ხ ო ლ ო დ იმის წინააღმდეგნი ვართ, რომ სამღვდელოებას შუასაუკუნეობრივი პრივილეგიები ჰქონდეს. ჩვენ კლერიკალიზმის არ გვეშინია, ჩვენ მას ხალისით შევეკამათებით ყველასათვის თავისუფალ და თანასწორ ტრიბუნაზე. სამღვდელოება პოლიტიკაში მუდამ ფ ა რ უ ლ ა დ მონაწილეობდა; ხალხს სარგებლობის, ამასთან დიდი სარგებლობის, მეტს არაფერს მოუტანს ის, თუ სამღვდელოება პოლიტიკაში ა შ კ ა რ ა დ მიიღებს მონაწილეობას.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „ლიბერალები და კლერიკალები“, თბ., 1951, თხზ., ტ. 18. გვ. 267—268.

გაზეთის ცნობებით[11] წვრილ მიწათმფლობელთა და ეკლესიების წინამძღვართა ყრილობებზე ევროპ. რუსეთის 46 გუბერნიაში არჩე-

ულ იქნა 7 990 რწმუნებული, მათგან 6 516 მღვდელი. ეს უკანასკნელნი 82%-ს შეადგენენ.

50 გუბერნიის სრული შედეგები ბევრით ვერაფრით შეცვლის ამ დასკვნას.

მაშ ვნახოთ, რა მნიშვნელობა აქვს ასეთ არჩევნებს.

წვრილი მიწათმფლობელებისა და მრევლისაგან, კანონის თანახმად, ირჩევენ ერთ რწმუნებულს მიწათმფლობელთა ყრილობაში მონაწილეობისათვის დაწესებული სრული საარჩევნო ცენზის მიხედვით. მაშასადამე, რწმუნებულთა რაოდენობა ამომრჩეველთა მიწის ოდენობის პროპორციული უნდა იყოს.

1905 წლის სტატისტიკით ევროპ. რუსეთის 50 გუბერნიისათვის ასეთი მონაცემები გვაქვს:

საეკლესიო მიწები .	1,9 მილ. დესეტ.
სასულიერო პირთა კერძო საკუთრებაში არსებული მიწები.	.0,3 „
სულ სამღვდელოების ხელში .	2,2 მილ. დესეტ.
მიწები ქალაქის მდაბიოთა კერძო საკუთრებაში...	3,7 „
„ გლეხთა „	13,2 „
„ „ სხვათა „ „	2,2 „ „
სულ „საერო“ წვრილი მიწათმფლობელობა.....	19,1 მილ. დესეტ.

აქ წვრილი მიწათმფლობელობა აღრიცხულია ალბათ ნაკლები სისრულით, ვიდრე სამღვდელოების მიწები. და მაინც გამოდის, რომ სულ წვრილი მიწათმფლობელობის კერძო საკუთრებაშია 21,3 მილიონი დესეტინა მიწა, აქედან სამღვდელოებას 2,2 მილიონი დესეტინა აქვს, ე. ი. 1/10-ზე ცოტა მეტი! ხოლო რწმუნებულები სამღვდელოებამ რვა მეათედზე მეტი გაიყვანა!!,

როგორ მოხდა ეს? სულ უბრალოდ. წვრილი მიწათმფლობელები მეტად იშვიათად მიდიან არჩევნებზე: არც სახსრები მოეპოვებათ, ინტერესიც ნაკლები აქვთ და პოლიციაც ათასნაირად აბრკოლებს არჩევნების თავისუფლებას. ხუცებს კი „შთაგონებული აქვთ“ ყველანი გამოცხადდნენ.

ხუცები ხმას მისცემენ მთავრობისათვის სასურველ კანდიდატებს. აი რატომ არის, რომ მემამულეებიც კი დრტვინავენ — ბურჟუაზიაზე რომ აღარა ვთქვათ რა. ოქტიაბრისტები და ნაციონალისტებიც დრტვინავენ. ყველანი ბრალს სდებენ მთავრობას იმაში, რომ იგი „აკეთებს“ არჩევნებს. მემამულეებსა და მსხვილ ბურჟუაზიას კი თვითონ სურთ აკეთონ არჩევნები.

მაშასადამე, შეჯახება ხდება, ერთი მხრივ, აბსოლუტიზმსა და, მეორე მხრივ, მემამულეებსა და ბურჟუაზიულ ბობოლებს შორის. მთავრობას სურდა დაყრდნობოდა მემამულეებსა და ბურჟუაზიის ზედაფენებს; როგორც ცნობილია, ამაზეა აგებული 1907 წ. 3 ივნისის მთელი კანონი[12].

აღმოჩნდა, რომ მთავრობას ოქტიაბრისტებთანაც კი არ შეუძლია შეგუება. ფეოდალურ-ბურჟუაზიულმა მონარქიამაც კი ვერ მოახერხა „დამაკმაყოფილებლად" შეწყობოდა ამ კლასებს.

ეს მარცხი, უდავოა, ფაქტიურად აღიარებულია მთავრობის მიერ, რომელიც შეუდგა მორჩილი, ხელქვეითი სამღვდელოების სახით თავის საკუთარ მოხელეთა დარაზმვას!

ისტორიულ მეცნიერებაში მთავრობის ამ ხერხს, მთავრობისა, რომელსაც შენარჩუნებული აქვს აბსოლუტიზმის არსებითი ნიშნები, ბონაპარტიზმი ეწოდება. ამ შემთხვევაში დასაყრდენს წარმოადგენენ არა გარკეული კლასები, ან არა მარტო ისინი, არა უმთავრესად ისინი, არამედ ხელოვნურად შერჩეული, უმთავრესად სხვადასხვა დამოკიდებული ფენებისაგან მოკრებილი ელემენტები.

რით აიხსნება ასეთი მოვლენის შესაძლებლობა „სოციოლოგიური" აზრით, ე. ი. კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით?

— მტრული ან ერთმანეთის მეტოქე კლასების ძალთა გაწონასწორებით. თუ, მაგალითად, პურიშკევიჩები მეტოქეობას უწევენ გუჩკოვებსა და რიაბუშინსკებს, მაშინ მთავრობას, ამ მეტოქეთა ძალების ერთგვარი გაწონასწორებისას, შეუძლია მეტი დამოუკიდებლობა (რა თქმა უნდა, ერთგვარ, საკმაოდ ვიწრო ფარგლებში) მიიღოს, ვიდრე ერთ-ერთი ამ კლასის გადამწყვეტი უპირატესობისას. ხოლო თუ ეს მთავრობა ისტორიულად დაკავშირებულია მემკვიდრეობითობით და ა. შ. აბსოლუტიზმის განსაკუთრებით „მკაფიო" ფორმებთან, თუ ქვეყანაში ძლიერია სამხედრო ხროვისა და ბიუროკრატიზმის ტრადიციები იმ მხრივ, რომ მოსამართლენი და მოხელენი არჩევითი არ არიან, მაშინ ამ დამოუკიდებლობის ფარგლები კიდევ უფრო ფართო იქნება, მისი გამოვლინებანი კიდევ... უფრო აშკარა, ამომრჩეველთა და ბრძანებით ხმის მიმცემ ამრჩევთა „შერჩევის" ხერხები კიდევ უფრო უხეში, თვითნებობა კიდევ უფრო საგრძნობი.

სწორედ რაღაც ამის მსგავსს განიცდის თანამედროვე რუსეთი. „ნაბიჯს ბურჟუაზიულ მონარქიად გადაქცევის გზაზე"* ართულებს ბონაპარტიზმის მეთოდების გადმოღება. თუ საფრანგეთში ბურჟუაზიული მონარქია და ბონაპარტისტული იმპერია აშკარად და მკვეთრად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, სამაგიეროდ უკვე გერმა-

* იხ. თხზულებანი, მე-4 გამოც., ტომი 15, გვ. 423.

ნიაში ბისმარკმა ᲗᲮᲝᲕᲪᲐ როგორც ერთი, ისე მეორე ტიპის „შეხამების“ ნიმუშები, იმ ნიშნების აშკარა სიჭარბით, რომლებსაც მარქსი „სამხედრო დესპოტიზმს“[13] უწოდებდა — ბონაპარტიზმზე თუ აღარას ვიტყვით.

ამბობენ, ᲕᲘᲥᲧᲘᲜᲐ თეეზს არაჟანში ხრაკვა უყვარსო. გამოურკვეველია, სად უყვარს ობივატელს „ხრაკვა“ — ბურჟუაზიულ მონარქიაში, ძველ ბატონყმურ აბსოლუტიზმში, „უახლეს“ ბონაპარტიზმსა თუ სამხედრო დესპოტიზმში თუ, ბოლოს, ყველა ამ „მეთოდის“ ერთგვარ ნარევში. მაგრამ თუ ობივატელის თვალსაზრისით და ეგრეთწოდებული „უფლებრივი წესრიგის“ თვალსაზრისით, ე. ი. ᲬᲛᲘᲜᲓᲐᲘᲣᲠᲘᲓᲘᲣᲚᲘ, ფორმალურ-კონსტიტუციური თვალსაზრისით განსხვავება შეიძლება ფრიად მცირე გვეჩვენებოდეს, კლასობრივი ბრძოლის თვალსაზრისით აქ არსებითი განსხვავებაა.

ობივატელისათვის შეღავათი როდია, თუ შეიტყობს, რომ მას სცემენ არა მარტო ძველებურად, არამედ ახლებურადაც. მაგრამ ობივატელთა მჩაგვრელი რეჟიმის ᲡᲘᲛᲢᲙᲘᲪᲔ, ამ რეჟიმის ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ და გახრწნის ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ, ამ რეჟიმის უნარი — განიცადოს სწრაფი... მარცხი — ყოველივე ეს ძლიერაა დამოკიდებული იმაზე, გარკვეული კლასების ბატონობის მეტად თუ ნაკლებად აშკარა, ღია, მტკიცე, პირდაპირი ფორმებია ჩვენს წინაშე თუ ასეთი ბატონობის სხვადასხვა შუალობითი, მერყევი ᲤᲝᲠᲛᲔᲑᲘ.

ᲙᲚᲐᲡᲗᲐ ბატონობის აღმოფხვრა უფრო ძნელია, ვიდრე ზედნაშენის მერყევი ფორმებისა, რომლებიც გამსჭვალული არიან სიძველის დახავსებული სულისკვეთებით და რომლებსაც შერჩეული „ამომრჩევლებით“ ინარჩუნებენ.

საბლერისა და მაკაროვის ექსპერიმენტი IV სათათბიროს არჩევნებში სამღვდელოების „ორგანიზაციის“ საქმეში ყოველი ადამიანისათვის საკმაოდ დიდ ინტერესს წარმოადგენს „სოციოლოგიურადაც“ და პრაქტიკულ-პოლიტიკურადაც.

ვ. ი. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ. „სამღვდელოება არჩევნებში და არჩევნები სამღვდელოებით“. თხზ., ტ. 18. გვ. 409—412.

როგორც ცნობილია, ამჟამად დაძაბულ ღონისძიებებს ᲗᲮᲛᲐᲠᲝᲑᲔᲜ, რომ ᲐᲐᲛᲝᲫᲠᲐᲝᲜ მთელი სამღვდელოება IV სახელმწიფო სათათბიროს არჩევნებისათვის და დარაზმონ იგი მთლიან შავრაზმულ ძალად.

მეტად საგულისხმოა, რომ რუსეთის ᲛᲗᲔᲚᲘ ბურჟუაზია — მთავრობისაც, ოქტიაბრისტული, ოპოზიციურიც, კადეტური, — თა-

ნაბარი გულმოდგინებითა და მღელვარებით ამხილებს მთავრობის ამ გეგმებს და გმობს ‘ათ.

რუს ვაჭარს და რუს ლიბერალ (უფრო სწორად, ვგონებ, მოლიბერალო) მემამულეს ეშინიათ უპასუხისმგებლო მთავრობის გაძლიერებისა, რომელსაც სურს თავისთვის „მოიკრიბოს“ მორჩილი ხუცების ხმები. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ პუნქტში დემოკრატია ლიბერალიზმზე გაცილებით უფრო მტკიცედ არის ოპოზიციური (რბილად და არაზუსტად რომ ვთქვათ).

„პრავდაში“ ჩვენ უკვე აღნიშნეთ სამღვდელოების საკითხის არადემოკრატიული დაყენება ლიბერალების მიერ, რომლებიც ან პირდაპირ იცავენ პოლიტიკაში სამღვდელოების „ჩაურევლობის“ არქირეაქციულ თეორიას, ან ურიგდებიან ამ თეორიას*.

დემოკრატი აუცილებლად მტრულად არის განწყობილი საარჩევნო უფლებისა და არჩევნების სულ ოდნავი გ ა ყ ა ლ ბ ე ბ ი ს ა დ მ ი, ძაგრამ იგი აუცილებლად მ ო მ ხ რ ე ა ყოველი სამღვდელოების უფართოესი მასების პირდაპირი და აშკარა ჩაბმისა პოლიტიკაში. პოლიტიკურ ბრძოლაში სამღვდელოების მხრივ მონაწილეობის მიუღებლობა უაღრესად მავნე ფარისეველობაა. სინამდვილეში სამღვდელოება ფარულად ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს მონაწილეობდა პოლიტიკაში, და ხალხს მხოლოდ სარგებლობას მოუტანს სამღვდელოების გადასვლა აშკარა პოლიტიკაზე.

ამ საკითხში თვალსაჩინო ინტერესს წარმოადგენს ძველი სარწმუნოების მოსავთა ეპისკოპოსის მიხეილის სტატია, რომელიც ამ დღეებში „რეჩში“ დაიბეჭდა. ამ მწერლის შეხედულებანი მეტად გულუბრყვილოა: მას წარმოუდგენია, მაგალითად, რომ „კლერიკალიზმი (ჩვენთვის) რუსეთისათვის უცნობია“, რომ რევოლუციამდე მისი (სამღვდელოების) საქმე მხოლოდ ზეციური იყო და სხვ.

მაგრამ საგულისხმოა ამბების ფაქტიური შეფასება, რასაც იძლევა ეს, როგორც ჩანს, საქმეში ჩახედული კაცი.

...„უდავოდ მიმაჩნია, რომ არჩევნების გამარჯვება კლერიკალიზმის გამარჯვება არ იქნება, — წერს ეპ. მიხეილი. — გაერთიანებული, თუმცა ხელოვნურად, და ამაევ დროს მათ ხმებსა და სინდისზე ამ ბატონობით, რა თქმა უნდა, შეურაცხყოფილი სამღვდელოება თავის თავს დაინახავს ორ ძალას შორის... და ამას მოჰყვება აუცილებელი გარდატეხა, კრიზისი, ხალხთან ბუნებრივი კავშირისადმი დაბრუნება. კლერიკალურ და რეაქციულ მიმდინარეობას რომ... მოესწრო განმტკიცება და თავისთავად მომწიფება, ეს, შეიძლება, არც მომხდარიყო. ახლა, როცა სამღვდელოება სიმშვიდის მდგომარეობიდან გამოყვანილია ჯერ კიდევ უწინდელი ძრწოლის ნაშთებიანად, იგი განაგრძობს თავის ისტორიას. და სამღვდელოების დემოკრატიზმი ამ ისტორიის გარდუვალი და უკანასკნელი ეტაპია, რომელიც დაკავშირებული იქნება სამღვდელოების ბრძოლასთან საკუთარი თავისათვის“.

ნამდვილად საქმე უნდა ეხებოდეს არა „ბუნებრივი კავშირისადმი დაბრუნებას", როგორც გულუბრყვილოდ ფიქრობს ავტორი, არამედ მებრძოლ კლასთა შორის განაწილებას. ასეთი განაწილების სიცხადე, მასშტაბი და შეგნებულობა, ალბათ, მოიგებს პოლიტიკაში სამღვდელოების ჩაბმით.

ხოლო ის ფაქტი, რომ საქმეში ჩახედული მეთვალყურეები აღიარებენ „უწინდელი ძრწოლის ნაშთების" არსებობას, სიცოცხლისუნარიანობასა და ძალას რუსეთის ისეთ სოციალურ ფენაშიც კი, როგორიც სამღვდელოებაა, ფრიად საყურადღებოა.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „სამღვდელოება და პოლიტიკა". თხ. ტ. 18, გვ. 371—373.

4. მართლმადიდებლური სამღვდელოება და იმპერიალისტური ომი

ომი როდია შემთხვევითი რამ, როდია „ცოდვა", როგორც ფიქრობენ ქრისტიანი ხუცები (რომლებიც ოპორტუნისტებზე უარესად კი არ ქადაგებენ პატრიოტიზმს, ჰუმანობასა და მშვიდობიანობას), არამედ გარდუვალი საფეხურია კაპიტალიზმისა, ისევე კანონიერი ფორმაა კ ა პ ი ტ ა ლ ი ს ტ უ რ ი ცხოვრებისა, როგორც მშვიდობიანობა. ჩვენი დროის ომი არის სახალხო ომი. ამ ჭეშმარიტებიდან ის კი არ გაეოდის, რომ უნდა გავყვეთ შოვინიზმის „სახალხო" მდინარებას, არამედ ის, რომ ომიანობის დროსაც, ომშიც, ომის დროის შესაფერისად, კვლავ არსებობს და მომავალშიც გამოვლინდება კლასობრივი წინააღმდეგობანი, რომელნიც ღრღნიან ხალხებს. სამხედრო სამსახურზე უარისთქმა, გაფიცვა ომის წინააღმდეგ და სხვა მსგავსი მოქმედება არის აშკარა სისულელე, უბადრუკი და ლაჩრული ოცნება უიარაღოდ ბრძოლაზე შეიარაღებულ ბურჟუაზიასთან, ნატვრა კაპიტალიზმის მოსპობისა გააფთრებული სამოქალაქო ომის ან მთელი რიგი ომების გაუჩაღებლად. ჯარშიც სოციალისტის მოვალეობაა კლასობრივი ბრძოლის პროპაგანდა: მუშაობა, მიმართული იქითკენ, რომ ხალხთა ომი სამოქალაქო ომად გადაიქცეს, არის ერთადერთი სოციალისტური მუშაობა ყველა ერის ბურჟუაზიის იმპერიალისტური შეიარაღებული შეტაკების ეპოქაში. ძირს ხუცესურ-სენტიმენტალური და სულელური ოცნება „მშვიდობაზე რადაც უნდა დაჯდეს!" აღვმართოთ სამოქალაქო ომის დროშა!

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „სოციალისტური ინტერნაციონალის მდგომარეობა და ამოცანები". თხ. ტ. 21. გვ. 31.

ვინაიდან რევოლუციის ეპოქაში კლასობრივი ბრძოლა აუცილებლად და გარდუვალად ყოველთვის და ყველა ქვეყანაში იღებდა სამოქალაქო ომის ფორმას, ხოლო სამოქალაქო ომი წარმოუდგენელია ისე, თუ არ ხდება უმძიმესი სახის ნგრევა, თუ არ არის ტერორი, თუ არ იზღუდება ფორმალური დემოკრატია ომის ინტერესებისათვის. მხოლოდ ფარისეველ ხუცებს — სულ ერთია, ქრისტიანი ხუცები არიან ისინი, თუ „ერისგანნი" სალონური, პარლამენტური სოციალისტების სახით, — შეუძლიათ არ დაინახონ, არ შეიგნონ, არ იგრძნონ ეს აუცილებლობა. მხოლოდ მკვდარ „ფუტლარის კაცებს" შეუძლიათ ამის გამო ჩამოსცილდნენ რევოლუციას ნაცვლად იმისა, რომ მთელი მგზნებარებითა და გაბედულებით ჩაებან ბრძოლაში მაშინ, როდესაც ისტორია მოითხოვს კაცობრიობის უდიდესი საკითხების ბრძოლითა და ომით გადაწყვეტას.

3. ლ ე ნ ი ნ ი. „წერილი ამერიკელ მუშებს". თხზ., ტ. 28. გვ. 64—65.

V ნაწილი

კათოლიციზმი და პროტესტანტიზმი

1. რომაულ-კათოლიკური ეკლესია—როგორც შუასაუკუნეობრივი ფეოდალური სისტემის ცენტრი

არა ნაკლებ განიცდიდა ისტორიული გარდატეხის გავლენას ს ა მ ღ ვ დ ე ლ ო ე ბ ა — შუა საუკუნეობრივი ფეოდალიზმის იდეოლოგიის წარმომადგენელი. წიგნის ბეჭდვისა და გაფართოებული ვაჭრობის მოთხოვნილებათა წყალობით მას წაერთვა არა მარტო წერა-კითხვის, არამედ უძაღლესი განათლების მონოპოლიაც. შრომის დანაწილება ინტელექტუალურ დარგშიც მოხდა. იურისტების ახლადაღმოცენებულმა წოდებამ წაართვა მას მთელი რიგი გავლენიანი თანამდებობა. სამღვდელოება უმეტესწილად ზედმეტი ხდებოდა და ამას თვით ადასტურებდა თავისი მუდამ მზარდი სიზარმაცითა და უმეცრებით. მაგრამ რაც უფრო ზედმეტი ხდებოდა იგი, მით უფრო მატულობდა მისი რიცხვი უზარმაზარი სიმდიდრის შემწეობით, რომელსაც იგი განუწყვეტლივ ზრდიდა ყოველგვარი საშუალებებით.

სამღვდელოებაში ორი სრულიად განსხვავებული კლასი არსებობდა. სასულიერო ფეოდალური იერარქია ა რ ი ს ტ ო კ რ ა ტ ი უ ლ კლასს წარმოადგენდა: იგი შედგებოდა ეპისკოპოსებისა, არქიეპისკოპოსებისა, აბატებისა, პრიორებისა და სხვა პრელატებისაგან. ეს უმაღლესი საეკლესიო წარჩინებული პირნი ან თვით იყვნენ საიმპერიო მთავრები, ან როგორც სხვა მთავრების უზენაესი ხელისუფლებისადმი დაქვემდებარებული ფეოდალები დიდ ტერიტორიებს ფლობდნენ მრავალრიცხოვანი ყმებითა და მებეგრეებით. ისინიც თავიანთ ქვეშევრდომთ არა თუ შეუბრალებლად ყლეფდნენ თავადაზნაურობისა და მთავრების მსგავსად, არამედ კიდევ უფრო ურცხვად იქცეოდნენ. ტლანქ ძალმომრეობასთან ერთად ისინი იყენებდნენ სარწმუნოების ყველა მზაკვრობას, ტანჯვა-წამების მუქარასთან ერთად შეჩვენებისა და ცოდვათა განტევებაზე უარის თქმის მუქარას. საალსარებოს ყველა ინტრიგას, რათა ქვეშევრდომთათვის უკანასკნელი გროში წაეგლიჯათ ან ეკლესიის სამკვიდრო გაედიდებინათ. ამ პატივსაცემი ადამიანების ხელში საბუთების გაყალბება გამორჩენის ჩვე-

ულებრივ და საყვარელ საშუალებად იქცა. მაგრამ თუმცა ისინი ჩვეულებრივი ფეოდალური შემოსავლის გარდა სამეათედოსაც ღებულობდნენ, მათ ეს შემოსავალიც არ ჰყოფნიდათ. რათა ხალხისთვის მეტი სახსრები წაერთმიათ, კარგა ხანს დიდი წარმატებით მიმართავდნენ სასწაულმომქმედი ხატებისა და ნაწილების ფაბრიკაციას, სულის საცხონებელ სალოცავებში მოგზაურობის ორგანიზაციას, ინდულგენციების[1] გაყიდვას.

პრელატებისა და ბერებისაგან შემდგარი ეს ურიცხვი ჟანდარმერია, რომელიც თანდათან ძლიერდებოდა პოლიტიკური და სარწმუნოებრივი დევნის გაძლიერებასთან ერთად, აღვივებდა სიძულვილს სამღვდელოებისადმი არა მარტო ხალხში, არამედ თავადაზნაურობაშიც. რამდენადაც ისინი უშუალოდ საიმპერიო ხელისუფლებას ექვემდებარებოდნენ, იმდენად გზაზე ეღობებოდნენ მთავრებს. ჩასუქებული მღვდელმთავრების და აბატების და მათი ბერების ლაშქრის მხიარული ცხოვრება შურს იწვევდა თავადაზნაურობაში და აღაშფოთებდა ხალხს, მით უმეტეს რომ ამ ცხოვრების ყოველი ხარჯი მას ჰქონდა დაკისრებული. სამღვდელოების სიტყვასა და საქმეს შორის კი ძაფრი წინააღმდეგობა არსებობდა.

სამღვდელოების პ ლ ებ ე უ რ ი ფრაქცია სოფლისა და ქალაქის ხუცებისგან შედგებოდა. ისინი ეკლესიის ფეოდალური იერარქიის გარეშე იდგნენ და არავითარი წილი არ ჰქონდათ მის სიმდიდრეში. მათ მუშაობას ნაკლებ უწევდნენ კონტროლს და რა რიგ მნიშვნელოვანიც არ უნდა ყოფილიყო ეს მუშაობა ეკლესიისთვის, იმ დროს იგი ნაკლებ აუცილებელი იყო, ვიდრე ყაზარმებში მყოფი ბერების პოლიციური სამსახური. ამიტომ მათ ბევრად უფრო ცუდად აჯილდოებდნენ და მათი ბენეფიციებიც უმეტესწილად ღარიბი იყო. ისინი ან ბიურგერული ან პლებეური წრეებიდან წარმოდგებოდნენ და ამიტომ საკმაოდ ახლო იდგნენ მასის მდგომარეობასთან, რათა თავიანთი ხუცობის მიუხედავად ბიურგერული და პლებეური სიმპათიები შეენარჩუნებინათ. იმდროინდელ მოძრაობებში მონაწილეობის მიღება ბერებისთვის გამონაკლისი იყო, მღვდლებისთვის კი ჩვეულებრივი მოვლენა. მათი რიგებიდან გამოდიოდნენ მოძრაობის თეორეტიკოსები და იდეოლოგები და მრავალი მათგანი, პლებეების და გლეხების წარმომადგენლები, ეშაფოტზე დაიხოცა, ხალხის სიძუ-

---

[1] ი ნ დ უ ლ გ ე ნ ც ი ე ბ ი — მოწმობა ეგრეთწოდებულ ცოდვათაგან განტევების, რასაც კათოლიკური ეკლესია ჰყიდდა. ინდულგენციებით ვაჭრობა, ისევე როგორც რელიგიურ ცრურწმენათა ექსპლოატაციის სხვა ფორმებიც, ატარებდა კათოლიკური სამღვდელოების მიერ ხალხის აშკარა ძარცვის ხასიათს. რედ.

ლვილი მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში თუ იყო მიმართული მათ წინააღმდეგ.

როგორც მთავრებისა და თავადაზნაურობის ზემოთ იმპერატორი იდგა, ასევე მაღალი და დაბალი სამღვდელოების ზემოთ პ ა პ ი იდგა. როგორც იმპერატორს „საყოველთაო პფენიგი"[2], სახელმწიფო გადასახადი ეძლეოდა, ასევე პაპს საყოველთაო საეკლესიო გადასახადი ეძლეოდა, აქედან ჰფარავდა იგი თავისი ბრწყინვალე სასახლის ხარჯებს რომში. ყველაზე კეთილსინდისიერად და მკაცრად ეს საეკლესიო გადასახადები გერმანიაში იკრიბებოდა მისი სამღვდელოების სიძლიერისა და სიმრავლის წყალობით. განსაკუთრებით ეს ითქმის ე. წ. ანატებზე[3] სამღვდელმთავროთა გაუქმების დროს. მოთხოვნილებათა ზრდასთან ერთად აღმოჩენილ იქნა ახალი საშუალებანი ფულის მისაღებად: წმინდა ნაწილების, ინდულგენციების ვაჭრობა, იუბილეებზე ფულის აკრეფა და სხვ. ამრიგად, გერმანიიდან რომში ყოველწლიურად დიდძალი თანხები მიდიოდა, და ამ გზით გამოწვეული ჩაგვრა აძლიერებდა არა მარტო სიძულვილს სამღვდელოებისადმი, იგი აღვივებდა ეროვნულ გრძნობასაც, განსაკუთრებით თავადაზნაურობაში, რომელიც ყველაზე ნაციონალისტური წოდება იყო იმ დროს.

ფრ. ენგელსი. „გლეხთა ომი გერმანიაში". გვ. 28—31.

როდესაც ევროპა საშუალო საუკუნეების ხანიდან გამოვიდა, მის რევოლუციურ ელემენტს წარმოადგენდა ქალაქის ამომავალი ბურჟუაზია. საყოველთაოდ აღიარებული მდგომარეობა, რომელიც მან მოიპოვა საშუალოსაუკუნური ფეოდალური წყობილების შიგნით, მეტად ვიწრო შეიქმნა მისი მისწრაფებისათვის გაფართოებისადმი. ბურჟუაზიის თავისუფალი განვითარება უკვე შეუთავსებელი შეიქნა ფეოდალურ წყობილებასთან, ფეოდალური სისტემა უნდა დაცემულიყო.

---

[2] „ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო პ ფ ე ნ ი გ ი" (gemeiner Pfennig) — გადასახადი, შემოღებული იმპერატორ მაქსიმილიანე I მიერ: იგი წარმოადგენდა სულობრივი გადასახადისა და ქონების გამოსაღების კომბინაციას. გადასახადის მთავარი ტვირთი გლეხობას ეკისრებოდა. რ ე დ.

[3] ა ნ ა ტ ე ბ ი ეწოდებოდა რომის კურიის სასარგებლოდ აკრეფილ ერთდროულ გადასახადს, რომელიც უნდა გაეღოთ იმ პირთ, ვისაც პაპი საეკლესიო თანამდებობებზე ნიშნავდა. უმრავლეს შემთხვევაში ეს გადასახადი უდრიდა წლიურ შემოსავალს ნაწყალობევი სამრევლოებისას, რომელთა მფლობელნი შემდეგ ერთი ასად ინაზღაურებდნენ თანამდებობის დაკავებისას გაღებულ თანხას მოსახლეობაზე შეწერილი გამოსაღებითა და გადასახადით. რ ე დ.

ფეოდალური სისტემის დიდ ინტერნაციონალურ ცენტრს კი წარმოადგენდა რომის კათოლიკური ეკლესია. მიუხედავად ყოველგვარი შიაური ომებისა, ეს ეკლესია მთელ დასავლეთ ევროპას აერთიანებდა ერთ უზარმაზარ პოლიტიკურ მთელად, რომელიც წინააღმდეგობაში იმყოფებოდა როგორც ბერძნულ-მართლმადიდებლურ, ისე მაჰმადიანურ მსოფლიოსთან. ფეოდალური წყობილება მან ღვთაებრივი მადლის წმინდა შარავანდედით შემოსა. თავისი საკუთარი იერარქია მან მოაწყო ფეოდალური იერარქიის მსგავსად, და ბოლოს-დაბოლოს იგი წარმოადგენდა ყველაზე უფრო მსხვილ ფეოდალურ მფლობელს, ვინაიდან მას ეკუთვნოდა მთელი კათოლიკური მიწათმფლობელობის მესამედი მაინც. სანამ საერო ფეოდალიზმთან ბრძოლა დაიწყებოდა ცალცალკე თვითეულ ქვეყანაში, აუცილებელი იყო ამ მისი ცენტრალური, საღვთო ორგანიზაციის დანგრევა.

ფ. ენგელსი. „შესავალი ინგლისური გამოცემისათვის ფილოსოფიის განვითარება უტოპიიდან შეცნიერებისაკენ". გვ. 24.

შუა საუკუნეებში ქრისტიანობა ფეოდალიზმის განვითარების მიხედვით ამ წეს-წყობილების შესაფერ რელიგიად იქცა და შესაფერი ფეოდალური იერარქია შეჰქმნა. ხოლო როცა ასპარეზზე ბიურგეროობა გამოვიდა, მან ფეოდალურ კათოლიკობას პროტესტანტული მწვალებლობა დაუპირისპირა, უწინარეს ყოვლისა ალბიგოელების სახით სამხრეთ საფრანგეთში იქაური ქალაქების[4] უდიდესი აყვავების დროს. შუა საუკუნეებმა თეოლოგიას შეუერთა და დაუმორჩილა იდეოლოგიის ყველა დანარჩენი ფორმა: ფილოსოფია, პოლიტიკა, იურისპრუდენცია. ამით მან ყოველი საზოგადოებრივი და პოლიტიკური მოძრაობა აიძულა თეოლოგიური ფორმა მიეღო; მასების გრძნობა მხოლოდ და მხოლოდ რელიგიური საკვებით საზრდოობდა, ამიტომ მძაფრი მოძრაობის გამოსაწვევად საჭირო იყო, რომ მათ თავიანთი საკუთარი ინტერესები სარწმუნოებრივ სამოსელში წარმოედგინათ. და ისე, როგორც ქალაქებში მოქალაქეთა წოდებას იმთავითვე ერთგვარი ამალა დაჰყვა არაფრისმქონე პლებეებისა, დღიური მუშებისა და სხვადასხვაგვარი მოსამსახურეების სახით, რომელნიც თანამედროვე პროლეტარიატის წინამორბედს წარმოადგენდნენ და იმ დროს არავითარ აღიარებულ წოდებას არ ეკუთვნოდნენ, სარწმუნოებრივი მწვალებლობაც უკვე ადრევე ორად გაიყო — მოქალაქურ-ზომიერად და

---

[4] ალბიგოელები (ქალაქ ალბის — სამხრეთ საფრანგეთში — სახელწოდებიდან) — რელიგიური სექტა, რომელიც XII — XIII საუკუნეებში კათოლიკური რომის ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ მოძრაობას მეთაურობდა. რ ე დ.

პლებეურ-რევოლუციურად; ეს უკანასკნელი მოქალაქურ მწვალებლებსაც კი სძულდა.

აღმავალი ბიურგერობის უძლეველობას შეესატყვისებოდა პროტესტანტული მწვალებლობის აღმოუფხვრელობა. როცა ეს მოქალაქეთა წოდება საკმაოდ მომაგრდა, მისმა ბრძოლამ ფეოდალური თავადაზნაურობის წინააღმდეგ დაჰკარგა ადრინდელი, უმეტეს წილად ადგილობრივი ხასიათი და ეროვნულ მასშტაბს მიაღწია. ბრძოლის პირველი დიდი აქტი გერმანიაში შესრულდა, ეს იყო ეგრეთწოდებული რეფორმაცია. მოქალაქეთა წოდება ჯერ კიდევ იმდენად ძლიერი და განვითარებული არ იყო, რომ დანარჩენი მეამბოხე წოდებები — ქალაქის პლებეები, სოფლის წვრილი აზნაურობა და გლეხკაცობა თავისი დროშის ქვეშ გაეერთიანებინა. პირველად აზნაურები დამარცხდნენ; გლეხკაცობამ დაიწყო აჯანყება, რომელიც მთელი ამ რევოლუციური მოძრაობის უმაღლეს წერტილს წარმოადგენდა; ქალაქები გლეხებს ჩამოშორდნენ და რევოლუცია მსხვილი ფეოდალური მფლობელების ჯარებმა ჩაახშვეს, მთელი მოგებაც ამ მფლობელებს ხვდათ წილად. ამის შემდეგ მთელი სამი საუკუნის განმავლობაში გერმანია ჰქრება იმ ერების რიცხვიდან, რომელნიც დამოუკიდებლად და აქტიურად ერეოდნენ ისტორიაში.

ფრ. ენგელსი. ლუდვიგ ფოიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრული".
კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტ. 11. გვ. 479—480.

შუასაუკუნეობრიობა სრულიად პრიმიტიულ საფუძველზე განვითარდა. მან სავსებით აღგავა პირისაგან მიწისა ძველი ცივილიზაცია, ძველი ფილოსოფია, პოლიტიკა და იურისპრუდენცია, რათა ყოველივე თავიდან დაეწყო. ერთადერთი, რაც მან დაღუპულ ძველ სამყაროდან ისესხა, იყო ქრისტიანობა და რამდენიმე ნახევრადდანგრეული, ცივილიზაციისაგან გაძარცული ქალაქი. ამის შედეგად, როგორც ყოველთვისაა განვითარების ადრინდელ საფეხურებზე, გონებრივი განათლების მონოპოლია ხუცებმა ჩაიგდეს ხელთ და ამიტომ თვით განათლებამ უაღრესად თეოლოგიური ხასიათი მიიღო. ხუცების ხელში პოლიტიკა და იურისპრუდენცია, ისევე როგორც ყველა დანარჩენი მეცნიერება, ღვთისმეტყველების უბრალო დარგებად იქცა და იმავე პრინციპებს დაექვემდებარა, რომელიც ამ უკანასკნელში ბატონობდა. ეკლესიის დოგმები ამავე დროს პოლიტიკურ აქსიომებადაც იქცა და ბიბლიის ტექსტებმა ყოველ სასამართლოში კანონის ძალა მიიღო. თვით იმის შემდეგაც კი, როცა იურისტების სპეციალური წოდება წარმოიშვა, იურისპრუდენცია დიდ ხანს ღვთისმეტყველების ზედამხედ-

ველობას განიცდიდა, და ღვთისმეტყველების ეს უზენაესი მბრძანებლობა გონებრივი მოქმედების ყველა დარგში აუცილებელი შედეგი იყო ეკლესიის მდგომარეობისა, როგორც არსებული ფეოდალური წეს-წყობილების საერთო განზოგადებისა და სანქციისა.

ცხადია, რომ ამ პირობებში ყველა ზოგადი ხასიათის თავდასხმა ფეოდალიზმზე, უწინარეს ყოვლისა თავდასხმა ეკლესიაზე, ყველა რევოლუციური, საზოგადოებრივი და პოლიტიკური დოქტრინა ამასთანავე უმთავრესად თეოლოგიური ერესი უნდა ყოფილიყო. რათა შესაძლებელი გამხდარიყო თავდასხმა არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობაზე, მას უნდა წართმეოდა სიწმინდის შარავანდედი.

მთელი შუა საუკუნეების მანძილზე არსებობს რევოლუციური ოპოზიცია ფეოდალობის წინააღმდეგ. პირობების მიხედვით იგი ვამოდის ხან როგორც მისტიკა, ხან როგორც აშკარა ერესი, ხან როგორც შეიარაღებული ამბოხება. რაც შეეხება მისტიკას, ცნობილია როგორ დამოკიდებული იყვნენ მისგან მე-XVI საუკუნის რეფორმატორები; მიუნცერმაც ბევრი რამ ისესხა მისტიკისაგან. ერესი ნაწილობრივ გაჭოხტავდა პატრიარქალური ალპიელი მწყემსების რეაქციას მათ ქვეყანაში ფეოდალიზმის შეჭრის წინააღმდეგ (ვალდელები)[5]; ნაწილობრივ მომწიფებული ქალაქების ოპოზიციას ფეოდალიზმის წინააღმდეგ (ალბიგოელები[6], ა რ ნ ო ლ დ ბ რ ე ს ჩ ი ე ლ ი და სხვ.);ნაწილობრივ გლეხთა აშკარა ამბოხებას (ჯ ო ნ ბ ო ლ ი, უ ნ გ რ ე ლ ი მოძღვარი პიკარდიაში[7] და სხვ.); ჩვენ აქ შეგვიძლია

---

[5] ვ ა ლ დ ე ლ ე ბ ი — XII ს. დამლევს სამხრეთ საფრანგეთის ქალაქების დაბალ ფენებს შორის აღმოცენებული რელიგიური სექტა. გადმოცემის თანახმად მისი დამაარსებელი იყო ნიონელი ვაჭარი პეტრე ვალდი. ვალდელები ქადაგებდნენ ქონებაზე უარის თქმას, ჰკიცხავდნენ კათოლიკური ეკლესიის მიერ სიმდიდრის დაგროვებას და მოუწოდებდნენ ადრინდელი ქრისტიანობის წესებისადმი დაბრუნებას. ვალდელების ერესი გავრცელდა აგრეთვე ალპიელ მწყემსებს შორის, რომლებთანაც მან მიიღო პირველყოფილი-თემური წყობილების გადმონაშთთა და პატრიარქალურ ურთიერთობათა დაცვის ხასიათი. რ ე დ.

[6] ა ლ ბ ი გ ო ე ლ ე ბ ი — XI — XIII სს. სამხრეთ საფრანგეთისა და ჩრდილოეთ იტალიის ქალაქებში ფართოდ გავრცელებული რელიგიური სექტა. მისი მთავარი კერა იყო სამხრეთ საფრანგეთის ქალაქი ალბი. ალბიგოელები, რომლებიც ილაშქრებდნენ ბრწყინვალე კათოლიკური მღვდელმსახურებისა და საეკლესიო იერარქიის წინააღმდეგ, რელიგიური ფორმით გამოხატავდნენ სამხრეთის ქალაქების ვაჭარ-ხელოსანთა მოსახლეობისა და მასთან ეკონომიურად დაკავშირებული თავადაზნაურობის ნაწილის ადრინდელ პროტესტს ფეოდალიზმის წინააღმდეგ. პაპმა ინოკენტი III მოაწყო 1209 წ. ჯვაროსანთა ლაშქრობა ალბიგოელების წინააღმდეგ, ოცი წლის ომისა და გაფთრებული რეპრესიების შედეგად მათი მოძრაობა ჩახშობილ იქნა. რ ე დ.

[7] — ამ სახელით ცნობილი იყო ერთ-ერთი ბელადი 1251 წ. გლეხთა აჯანყებისა (ეგრეთწოდებული „მწყემსი ბიჭებისა“) საფრანგეთში. რ ე დ.

უყურადღებოდ დავტოვოთ ვალდელების პატრიარქალური ერესი, ისევე როგორც შვეიცარიელების აჯანყებაც, რომელიც ფორმითაც და შინაარსითაც წარმოადგენდა რეაქციულ ცდას გამიჯვნოდა ისტორიულ მოძრაობას და რომელსაც ამასთანავე მხოლოდ ადგილობრივი მნიშვნელობა ჰქონდა. შუასაუკუნეობრივი ერესის ორი დანარჩენი ფორმით ჩვენ უკვე XII საუკუნეში ვპოულობთ წინამორბედს იმ დიდი წინააღმდეგობისა ბურჟუაზიულ და გლეხურ-პლებეურ ოპოზიციას შორის, რომელმაც გლეხთა ომი დაღუპვამდე მიიყვანა. ეს წინააღმდეგობა ზოლივით გასდევს მთელ გვიან შუა საუკუნეებს.

ქალაქთა ერესი — სწორედ ის არის შუა საუკუნეების ოფიციალური ერესი — უმთავრესად მიმართული იყო ხუცების წინააღმდეგ, რომელთა სიმდიდრესა და პოლიტიკურ მდგომარეობას იგი თავს ესხმოდა, როგორც დღეს ბურჟუაზია იაფფასიან მთავრობას gouvernement á bon marché მოითხოვს, ისე შუა საუკუნეების ბიურგერები უწინარეს ყოვლისა église á bon marché (იაფფასიან ეკლესიას) მოითხოვდნენ. ბიურგერთა ერესი რეაქციული იყო ფორმით, როგორც ყოველი ერესი, რომელიც ეკლესიისა და დოგმების შემდგომ განვითარებაში მხოლოდ გადაგვარებას ხედავს. იგი მოითხოვდა ადრინდელი ქრისტიანული ეკლესიის მარტივი წყობილების აღდგენას და განსაკუთრებული სასულიერო წოდების მოსპობას. ეს იაფფასიანი წეს-წყობილება სპობდა ბერებს, პრელატებს, რომის სასახლეს, ერთი სიტყვით ყოველივეს, რაც ეკლესიაში დიდ ხარჯს მოითხოვდა. ქალაქებმა, რომლებიც თვითონ რესპუბლიკებს წარმოადგენდნენ მიუხედავად იმისა, რომ ჰონარქების მფარველობის ქვეშ იმყოფებოდნენ, პაპობაზე თავიანთი თავდასხმებით პირველად გამოთქვეს ზოგადი სახით ის დებულება, რომ ბურჟუაზიის ბატონობის ნორმალურ ფორმას შეადგენს რესპუბლიკა. მათი მტრული დამოკიდებულება მთელი რიგი საეკლესიო დოგმებისა და კანონებისადმი ნაწილობრივ ზემოთქმულით აიხსნება, ხოლო ნაწილობრივ მათი ცხოვრების სხვა პირობებით. თუ რად გამოდიოდნენ, მაგალითად, ისინი ასე ცხარედ სამღვდელოების უცოლობის წინააღმდეგ, ამას ყველაზე უკეთ ბოკაჩიო არკვევს. ამ მიმართულების მთავარი წარმომადგენლები იყვნენ არნოლდ ბრესჩიელი იტალიასა და გერმანიაში, ალბიგოელები სამხრეთ საფრანგეთში, ჯონ ვიკლიფი ინგლისში, ჰუსი და კალიქსტინელები[8] ჩეხეთში. ის გარემოება, რომ ფეოდალიზმის საწი-

---

[8] კალიქსტინელები და თაბორელები — ორი მიმდინარეობა ჩეხეთის ჰუსიტთა ნაციონალურ-განმათავისუფლებელ და რეფორმაციულ მოძრაობაში, (XV ს. პირველი ნახევარი), რომელიც მიმართული იყო გერმანელი თავადაზნაურობის, გერმანული იმპერიისა და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ, კა-

ნააღმდეგო ოპოზიცია აქ გამოდის როგორც სასულიერო ფეოდალიზმის საწინააღმდეგო ოპოზიცია, აიხსნება უბრალოდ იქით, რომ მოქალაქეები ყველგან უკვე აღიარებულ წოდებას წარმოადგენდნენ და მათ უკვე საკმაო ძალა შესწევდათ, რათა საერო ფეოდალიზმისა და მისი პრივილეგიების წინააღმდეგ ებრძოლათ იარაღით თუ წოდებათა კრებებზე.

აქ ჩვენ უკვე ვხედავთ, რომ როგორც სამხრეთ საფრანგეთში, ისე ინგლისსა და ჩეხეთში დაბალი თავადაზნაურობის უდიდესი ნაწილი ქალაქებს ემხრობა ხუცების საწინააღმდეგო ბრძოლასა და ერესში; ეს მოვლენა აიხსნება დაბალი თავადაზნაურობის დამოკიდებულებით ქალაქებზე და ორივე მათ ინტერესთა წინააღმდეგობით მთავრების და პრელატების მიმართ; ამ მოვლენას ჩვენ ხელახლა შევხვდებით გლეხთა ომში.

სულ სხვა ხასიათი ჰქონდა ერესს, რომელიც გლეხური და პლებეური მოთხოვნილებების პირდაპირ გამოხატულებას წარმოადგენდა და თითქმის ყოველთვის აჯანყებასთან იყო დაკავშირებული. მართალია, იგი იზიარებდა ბიურგერული ერესის ყველა მოთხოვნას ხუცებისა, პაპობისა და ადრინდელი ქრისტიანული საეკლესიო წყობილების აღდგენის შესახებ, მაგრამ ამასთან ბევრად უფრო შორს მიდიოდა. იგი მოითხოვდა, რომ რელიგიური თემის წევრებს შორის აღდგენილიყო ადრინდელი ქრისტიანული თანასწორობა. და რომ ეს თანასწორობა ნორმად გადაქცეულიყო საერო ქვეყნიერებისთვისაც. „ღვთის შვილთა თანასწორობიდან“ მას გამოჰყავდა სამოქალაქო და უკვე მაშინ ნაწილობრივ თვით ქონებრივი თანასწორობაც. თავადაზნაურობის გათანასწორება გლეხებთან, პატრიციებისა და პრივილეგირებულ მოქალაქეთა — პლებეებთან, ბეგარის, ღალის, გადასახადების, პრივილეგიების გაუქმება და ყოველ შემთხვევაში უმძაფრესი ქონებრივი განსხვავების მოსპობა — აი, ის მოთხოვნები, რომლებსაც მეტი თუ ნაკლები გარკვეულობით აყენებდნენ და რომლებსაც ადრინდელი ქრისტიანული მოძღვრების აუცილებელ შედეგად თვლი-

---

ლიქსტინელები (ანუ მეთასეები, ვინაიდან ისინი მოითხოვდნენ წმინდა ზიარებას არა მარტო პურით, არამედ ღვინითაც თასებში), რომლებიც ჩეხელ თავადაზნაურობას და ბიურგერობას ეყრდნობოდნენ, მიისწრაფოდნენ დაკმაყოფილებულიყვნენ ზომიერი საეკლესიო რეფორმით და საეკლესიო მამულების სეკულარიზაციით, თაბორელები (ქალაქ თაბორიდან — მოძრაობის ცენტრიდან) შეადგენდნენ ჰუსიტების რევოლუციურ-დემოკრატიულ ფრთას და თავიანთი მოთხოვნებით გამოხატავდნენ გლეხთა მასებისა და ქალაქის დაბალი ფენების მისწრაფებას ყოველგვარი ფეოდალური ჩაგვრის ლიკვიდაციისაკენ. კალიქსტინელთა მოღალატური გამოსვლა თაბორელების წინააღმდეგ, გამოყენებულ იქნა ფეოდალური რეაქციის ბანაკის მიერ ჰუსიტთა მოძრაობის ჩასახშობად. რ ე დ.

დნენ. ეს გლეხურ-პლებეური ერესი, რომელიც ფეოდალიზმის აყვავეპის ხანაში, აგალითად ალბიგოელებს შორის ჯერ კიდევ ძნელი გამოსაყოფია ბიურგერული ერესისაგან, შემდეგ XIV და XV საუკუნეებში მკაცრად ჩამოყალიბებულ პარტიულ შეხედულებად იქცევა და სრულიად დამოუკიდებლად გამოდის ბიურგერული ერესის გვერდით. ასეთია მაგალითად ჯონ ბოლი, უოტ-ტაილერის, აჯანყების მქადაგებელი, რომელიც ვიკლიფის მოძრაობის გვერდით გამოდის ინგლისში, ასეთი არიან თაბორელები[9], რომელნიც კალაქსტინელების გვერდით გამოდიან ჩეხეთში. თაბორელებს ჯერ კიდევ მაშინ თეოკრატულ საბურველ ქვეშ რესპუბლიკური ტენდენციაც კი ეტყობათ. ეს ტენდენცია შემდეგ მე-XV საუკუნის დასასრულსა და მე-XVI საუკუნის დამდეგს გერმანიაში განავითარეს პლებეების წარმომადგენლებმა.

ერესის ამ ფორმას მიეკუთვნება მისტიკური სექტების ფლაგელიანტთა, ლოლარდთა[10]. და სხვ. ბოდვა. ეს სექტები რევოლუციურ ტრადიციას განაგრძობდნენ რეაქციის ხანაში.

პლებეები იმ დროს ერთადერთ კლასს წარმოადგენდნენ, რომლებიც სავსებით ოფიციალური საზოგადოების გარეშე იდგნენ. ისინი არ ეკუთვნოდნენ არც ფეოდალთა და არც ბიურგერთა წრეს. ამათ არც პრივილეგიები ჰქონდათ, არც საკუთრება; მათ ისიც არ ჰქონდათ, რაც

---

[9] საუბარია ერთ-ერთ ყველაზე დიდ გლეხთა აჯანყებაზე ინგლისში 1381 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, აჯანყებულმა გლეხებმა ქარგალთა და ქალაქის ღარბალი ფენების დახმარებით, აიღეს ლონდონი, მაგრამ თავიანთი ბელადის უოტ ტაილერის მოკვლით დემორალიზებულებმა, დაუჯერეს მეფე რიჩარდ II დაპირებას, დატოვეს ლონდონი და შინ დაბრუნდნენ. ფეოდალებმა ისარგებლეს ამით და ულმობლად გაუსწორდნენ აჯანყების მონაწილეებს. ახალი აფეთქებით შეშინებული თავადაზნაურობა იძულებული გახდა პრაქტიკულად განეხორციელებინა გლეხთა ზოგიერთი მოთხოვნა. აჯანყებამ კერძოდ მნიშვნელოვნად შეუნყო ხელი ბატონყმობის გაუქმებას ინგლისში. რ ე დ.

[10] იხ. ამ გამოცემის 41 გვერდის შენიშვნა. რ ე დ.

ფ ლ ა გ ე ლ ა ნ ტ ე ბ ი (ანუ მგვემელნი) — რელიგიურ-ასკეტური სექტა, რომელიც გავრცელდა ევროპაში XIII—XV ს.ს. ფლაგელანტები ჭადაგებდნენ, რომ საკუთარი სხეულის გვემით შეიძლებოდა ცოდვათა გამოსყიდვა.

ლ ო ლ ა რ დ ე ბ ი (სიტყვასიტყვით „მგოდებელნი") — რელიგიური სექტა ინგლისში (წარმოიშვა XIV ს.), რომელსაც მტრული დამოკიდებულება ჰქონდა კათოლიკურ ეკლესიასთან. ამ სექტამ მიიღო ინგლისელი რეფორმატორის ვიკლიფის მოძღვრება, ოღონდ უფრო რადიკალური დასკვნები გამოიტანა მისგან და რელიგიურ-მისტიკური ფორმით გამოვიდა ყოველგვარი ფეოდალური პრივილეგიების წინააღმდეგ. მრავალმა ლოლარდმა, რომელთა შორის უმრავლესობას შეადგენდნენ ხალხთა მასებიდან გამოსული პირნი და დაბალი სამღვდელოების წარმომადგენლები, მონაწილეობა მიიღო უოტ ტაილერის 1381 წლის აჯანყებაში. XIV ს. დასასრულიდან ლოლარდები სასტიკ დევნას განიცდიდნენ. რ ე დ.

გლეხებს და წვრილ ბიურგერებს გააჩნდათ, სახელდობრ, გადასახადებით გადატვირთული საკუთრება. ისინი სრულიად უქონელნი და უუფლებონი იყვნენ; მათი ცხოვრების პირობები ისეთი იყო, მათ უშუალოდ არავითარი დამოკიდებულება არ ჰქონდათ არსებულ დაწესებულებებთან, რომელნიც თავიანთი მხრივ სრულიად უგულებელჰყოფდნენ პლებეებს. ისინი წარმოადგენდნენ ფეოდალური და ამქრულ-ბიურგერული საზოგადოების დაშლის ცოცხალ სიმპტომს და ამასთანავე თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების პირველ წინაპირობებს.

ამ მდგომარეობით აიხსნება, რატომ არ შეეძლო პლებეურ ფრაქციას ჯერ კიდევ მაშინ მარტო ფეოდალიზმისა და პრივილეგირებული მოქალაქეების წინააღმდეგ ბრძოლით დაკმაყოფილებულიყო; რატომ უნდა გასცილებოდა იგი, თუნდაც თავის ფანტაზიაში, მაშინ ჯერ ოდნავ ფეხადგმულ თანამედროვე ბურჟუაზიულ საზოგადოებას, რატომ უნდა გაეხადა მას, სრულიად უქონელთა ფრაქციას, საეჭვოდ ის დაწესებულებანი, შეხედულებანი და წარმოდგენები, რომლებიც საერთონი არიან კლასობრივ წინააღმდეგობებზე დამყარებული საზოგადოებრივი ფორმებისთვის. ადრინდელი ქრისტიანობის ქილიასტური ოცნებანი[11]. საამისოდ მოხერხებულ გამოსავალ პუნქტს იძლეოდნენ. მაგრამ ამასთანავე ეს გადალახვა არა მარტო აწმყოსი, არამედ თვით მომავლისაც შეიძლებოდა მხოლოდ ფანტასტიური, ძალდატანებითი ყოფილიყო და პრაქტიკული გამოყენების პირველ ცდასთანვე იქ ვიწრო ჩარჩოებს უნდა დაბრუნებოდა, რომელიც იმდროინდელ პირობებს შეეფერებოდა. თავდასხმა კერძო საკუთრებაზე, ქონების განზოგადოების მოთხოვნა ქველმოქმედების პრიმიტიულ ორგანიზაციად უნდა გადაგვარებულიყო; ქრისტიანული თანასწორობის გაურკვეველი იდეა საუკეთესო შემთხვევაში უნდა დაკმაყოფილებულიყო ბურჟუაზიული „თანასწორობით კანონის წინაშე"; ყოველი ხელისუფლების მოსპობა, ბოლოს ხალხის მიერ რესპუბლიკური მთავრობების არჩევად გადაიქცა. კომუნიზმის განჭვრეტა ფანტაზიის მიერ სინამდვილეში თანამედროვე ბურჟუაზიული ურთიერთობის წინასწარგანჭვრეტად იქცა.

---

[11] ქ ი ლ ი ა ზ მ ი (ბერძნული სიტყვიდან, „ქილიას" — ათასი) — რელიგიურ-მისტიკური მოძღვრება ქრისტეს მეორედ მოსვლისა და სამართლის, საყოველთაო თანასწორობისა და სვეიანობის „ათასწლიანი სუფევის" დამყარების შესახებ, ქილიასტური რწმენანი წარმოიშვნენ მონათმფლობელური წყობილების დაშლის პერიოდში, მშრომელთა აუტანელი ჩაგვრისა და ტანჯვის საფუძველზე, რომელნიც ამ მდგომარეობიდან გამოსავალს ფანტასტიკურ ოცნებებში ეძებდნენ. ეს შეხედულებანი ფართოდ გავრცელდა ადრინდელი ქრისტიანობის დროს და შემდგომ მუდამ ხდებოდა მათი აღდგენა სხვა შუასაუკუნებრივი სექტების მოძღვრებებში. რ ე დ.

ეს სინამდვილესთან დაპირისპირებული, მაგრამ პლებეური ფრაქციის ცხოვრების პირობებით ადვილად ასახსნელი განჭვრეტა შემდგომი ისტორიისა პირველად გერმანიაში გვხვდება ტომას მიუნცერისა და მისი პარტიის აზროვნებაში. მართალია თაბორელებსაც უკვე ჰქონდათ ქონების ერთგვარი ქრისტიანული განზოგადოება, მაგრამ მხოლოდ როგორც წმიდა სამხედრო ღონისძიება. მხოლოდ მიუნცერის აზროვნებაში გამოხატავენ ეს კომუნისტური იდეები უკვე ნამდვილი საზოგადოებრივი ფრაქციის მისწრაფებებს; მხოლოდ აქ ყალიბდებიან ისინი გარკვეული ფორმულის სახით და მის შემდეგ ჩვენ ამ იდეებს ყოველ დიდ სახალხო მოძრაობაში ვხვდებით, სანამ ისინი ბოლოს ნელ-ნელა შეუერთდნენ თანამედროვე პროლეტარულ მოძრაობას; სწორედ ისე, როგორც შუა საუკუნეებში თავისუფალი გლეხობის ბრძოლა ფეოდალიზმის წინააღმდეგ, რომელიც მას თანდათან ჰბოჭავდა, შეუერთდა ყმებისა და მებეგრეების ბრძოლას ფეოდალიზმის სრული მოსპობისათვის.

ფრ. ენგელსი. „გლეხთა ომი გერმანიაში". გვ. 39—45.

დეცენტრალიზაციის, ცალკეული ოლქებისა და პროვინციების დამოუკიდებლობის, პროვინციათა ინდუსტრიული და კომერციული მხრივ ერთი მეორესაგან მოწყვეტის, გზების უქონლობის გამო თითქმის შეუძლებელი იყო იმდროინდელ მრავალგვარ წოდებათა დიდ ერთეულებად დაჯგუფება". ეს დაჯგუფება იწყება მხოლოდ რევოლუციური რელიგიურ-პოლიტიკური იდეების საყოველთაო გავრცელებასთან ერთად რეფორმაციის ეპოქაში, სხვადასხვა წოდებებმა, რომლებიც ამ იდეებს მიემხრნენ ან დაუპირისპირდნენ, მოახდინეს ერის კონცენტრირება — რასაკვირველია დიდი გაჭირვებით და მხოლოდ დაახლოვებით — სამი დიდი ბანაკის: კათოლიკური ანუ რეაქციული, ლუთერის ანუ ბიურგერულ-რეფორმისტული და რევოლუციური ბანაკების გარშემო. თუ ჩვენ ერის ამ დიდ გათიშვაში ნაკლებად ვხედავთ თანმიმდევრობას. თუ ჩვენ პირველ ორ ბანაკში ნაწილობრივ ერთსა და იმავე ელემენტებს ვხვდებით, ეს აიხსნება დაშლის იმ მდგომარეობით, რომელშიც შუა საუკუნეებიდან შემორჩენილ ოფიციალურ წოდებათა უმრავლესობა იმყოფებოდა და იმ დეცენტრალიზაციით. რომლის შედეგად ერთი და იგივე წოდებები სხვადასხვა ადგილას დროებით ერთი მეორის საწინააღმდეგო მიმდინარეობებს უერთდებოდნენ. უკანასკნელ წლებში ისე ხშირად გვქონია შესაძლებლობა დაგვენახა ამგვარივე ფაქტები გერმანიაში, რომ აღარ უნდა გაგვაკვირვოს წოდებათა და კლასთა ასეთმა მოჩვენებითმა აღრევამ XVI საუკუნის ბევრად უფრო რთულ პირობებში.

ფრ. ენგელსი. „გლეხთა ომი გერმანიაში". გვ.37—38

იმ დროს, როდესაც ამ სამ დიდ ბანაკს შორის პირველში, ე. ი. კ ო ნ ს ე რ ვ ა ტ ი უ ლ-კ ა თ ო ლ ი კ უ რ ბანაკში, თავი მოიყარა ყველა ელემენტმა, რომელიც დაინტერესებული იყო არსებული წესწყობილების შენარჩუნებით, ე. ი. საიმპერიო ხელისუფლებამ, სასულიერო და ნაწილობრივ საერო მთავრებმა, შეძლებულმა თავადაზნაურობამ, პრელატებმა და ქალაქის პატრიციატმა, — ბ ი უ რ გ ე რ უ ლ-ზ ო მ ი ე რ ი, ლ უ თ ე რ ა ნ უ ლ ი რეფორმის გარშემო კი ოპოზიციის მესაკუთრული ელემენტები შეიკრიბნენ — დაბალი თავადაზნაურობის მასა, და ასე გასინჯეთ საერო მთავრების ერთი ნაწილიც კი, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ საეკლესიო ქონების კონფისკაციით გამდიდრდებოდა და ცდილობდე გამოეყენებინა ხელსაყრელი მოვენტი იმპერიისაგან მეტი დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად. ბოლოს გლეხები და პლებეები რ ე ვ ო ლ უ ც ი ურ პარტიაში შემჭიდროვდნენ, ამ პარტიის მოთხოვნანი და მოძღვრებანი ყველაზე მკვეთრად მიუნცერმა გამოსთქვა.

ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი. „გლეხთა ომი გერმანიაში". გვ. 45.

როდესაც გლეხთა ომი ატყდა და ისიც ისეთ კუთხეებში, სადაც მთავრები და თავადაზნაურობა უმეტესწილად კათოლიკენი იყვნენ, ლუთერი შეეცადა შუამავლის როლში გამოსულიყო. იგი მედგრად დაესხა თავს ხელისუფალთ. ამბოხება მათ გამოიწვიეს თავიანთი ჩაგვრითო; მათ წინააღმდეგ გლეხები კი არა, თვით ღმერთი აჯანყდაო. მაგრამ მეორე მხრივ ამბოხებაც, რა თქმა უნდა, ღვთისა და სახარების საწინააღმდეგო საქმეაო. ბოლოს მან ორივე პარტიას მოუწოდა ერთმანეთისათვის დაეთმოთ და მშვიდობით მორიგებულიყვნენ.

მაგრამ ამ კეთილგანზრახული შუამავლობის მიუხედავად აჯანყება ჩქარა გავრცელდა. მოედო თვით პროტესტანტულ კუთხეებს, რომელთაც ლუთერანი მთავრები, ბატონები ან ქალაქები განაგებდნენ, და სწრაფად გადალახა ბიურგერული, „კეთილგონივრული" რეფორმა. მეამბოხეთა ყველაზე გაბედულმა ფრაქციამ მიუნცერის მეთაურობით ლუთერის მახლობლად, ტიურინგიაში, გაშალა თავისი მთავარი ბანაკი. კიდევ რამდენიმე გამარჯვება და შეიძლება მთელი გერმანია ცეცხლის ალში გახვეულიყო, ლუთერისთვის ალყა შემოერტყათ და როგორც მოღალატე რაზმებს შუა გაეტარებიათ გასაწკეპლად, ხოლო მთელი ბიურგერული რეფორმა გლეხურ-პლებეური რევოლუციის წარღვნას წაელეკა. მოფიქრებისათვის აღარ იყო დრო. რევოლუციის წინაშე დავიწყებას მიეცა ყველა ძველი მტრობა; გლეხთა ბრბოებთან შედარებით რომის სოდომის მსახურნი უცოდველ კრავებად იქცნენ. ღმერთის უწყინარ ყრმებად; ბიურგერები და მთავრები, თავადაზნაუ-

რობა და ხუცები, ლუთერი და პაპი გაერთიანდნენ „სისხლისმსმელ და მძარცველ გლეხთა ბრბოების წინააღმდეგ". „ვისაც კი ძალგვიძს, უნდა მოვსრნათ ისინი, დავახრჩოთ და გავგმიროთ, ფარულად იქნება ეს თუ აშკარად, როგორც ცოფიან ძაღლს ვკლავთ ხოლმე!" — გაიძახოდა ლუთერი... „ამიტომ, ბატონებო, სააქაოს ახსენით და საიქიოს იხსენით, განგმირეთ, დაჰკარით, დაახრჩვეთ ვისაც შეგიძლიათ. დიდება მათ, ვინც ამ ბრძოლაში მოკვდება, რადგან უნეტარეს სიკვდილს ვერ ისურვებდით". საჭირო არაა ყალბი ლმობიერების გამოჩენა გლეხებისადმი. თვითონ უერთდება აჯანყებულთ ის, ვინც იცოდებს იმათ, რომელნიც ღმერთმა კი არ შეიცოდა, არამედ დასაჯა და წაწყმიდა. შემდეგ თვით გლეხები ღმერთს მადლობას შესწირავენ: ერთი ძროხა რომ გაიღეს, მეორეს მშვიდობიანად გამოიყენებენ; ხოლო მთავრები კი ამბოხების წყალობით გაიგებენ, თუ რას წარმოადგენს ბრბო, რომლის მართვა მხოლოდ ძალით შეიძლება. „ბრძენი ადამიანი ამბობს; cibus, onus et virga asino. გლეხებს ქერის ბზე მოუხდებათ, მათ სიტყვა არ ესმით და უგუნურნი არიან, ამიტომ მათრახსა და თოფს უნდა დაემორჩილონ, და ეს კიდეც არგებთ. ჩვენ უნდა ვილოცოთ მათთვის, რომ ისინი მორჩილნი იყვნენ; თუ არ იქნებიან, ბევრი სიბრალული როდია საჭირო. დაე თოფებმა დაიგრიალონ, თორემ ათასჯერ უარესი იქნება".

სწორედ ასევე ლაპარაკობდნენ ჩვენი განსვენებული სოციალისტი და ფილანტროპი ბურჟუები, როცა მარტის დღეების შემდეგ პროლეტარიატმა თავისი წილი მოითხოვა გამარჯვების ნაყოფში.

ბიბლიის გადმოთარგმნით ლუთერმა პლებეურ მოძრაობას ძლიერი იარაღი მისცა ხელში. ბიბლიის საშუალებით მან თავის დროის ფეოდალიზებულ ქრისტიანობას პირველი საუკუნეების თავმდაბალი ქრისტიანობა დაუპირისპირა, დაშლის გზაზე შემდგარ ფეოდალურ საზოგადოებას ისეთი საზოგადოების სურათი უჩვენა, რომელმაც არაფერი იცოდა მრავალფენიან, ხელოვნურად აგებულ ფეოდალურ იერარქიაზე. გლეხებმა ეს იარაღი ყოველმხრივ გამოიყენეს მთავრებისა, თავადაუზნაურობისა და ხუცების წინააღმდეგ. ახლა ლუთერმა იგი გლეხების წინააღმდეგ მოაბრუნა და ბიბლიის ამონაწერებიდან შეადგინა ნამდვილი შესხმა ღვთის მიერ დამყარებული მთავრობისა, — შესხმა, რომლის მსგავსი არასოდეს არაფერი შეუქმნია აბსოლუტური მონარქიის არც ერთს მენამცეცეს. მთავრის ხელისუფლებამ „წყალობითა ღვთისაითა", პასიურმა მორჩილებამ, თვით ბატონყმობამ ბიბლიის სანქცია მიიღო. ამრიგად უარყოფილ იქნა არა მარტო გლეხთა აჯანყება, არამედ თვით ლუთერის ამბოხება სა-

სულიერო და საერო ხელისუფლების წინააღმდეგ: ლუთერმა მთავრებს მიჰყიდა არა მარტო ხალხის, არამედ ბიურგერთა მოძრაობაც.

ფრ. ენგელსი. „გლეხთა ომი გერმანიაში". გვ. 49—50.

ლუთერი და მიუნცერი როგორც თავიანთი მოძღვრებით, ისე თავიანთი ხასიათით და გამოსვლებით სავსებით განასახიერებენ თავიანთ პარტიებს.

ლუთერმა 1517 წლიდან 1525 წლამდე განიცადა იგივე ევოლუცია, რომელიც თანამედროვე გერმანელმა კონსტიტუციონალისტებმა განიცადეს 1846 წლიდან 1849 წლამდე და რომელსაც განიცდის ყოველი ბურჟუაზიული პარტია, როცა იგი დროებით მოძრაობის სათავეში მოექცევა და როცა მას ამ მოძრაობაში წინ გაუსწრებს მის უკან მდგომი პლებეური ან პროლეტარული პარტია.

როცა ლუთერი 1517 წელს პირველად კათოლიკური ეკლესიის დოგმებისა და წეს-წყობილების წინააღმდეგ გამოვიდა, მის ოპოზიციას ჯერ კიდევ სრულიადაც არ ჰქონდა გარკვეული ხასიათი. თუმცა იგი არ სცილდებოდა წინანდელი ბიურგერული ერესის მოთხოვნათა ფარგლებს, მაგრამ იგი არ გამორიცხავდა არც ერთ უფრო რადიკალურ მიმართულებას და არც შეეძლო ეს გაეკეთებინა. პირველ მომენტში საჭირო იყო ყველა ოპოზიციური ელემენტის გაერთიანება, გადამწყვეტი რევოლუციური ენერგიის განვითარება და კათოლიკური მართლმორწმუნეობისათვის დაპირისპირება მანამდე არსებული ერესების მთელი მასისა. სწორედ ასევე ჩვენი ლიბერალი ბურჟუები ჯერ კიდევ 1847 წელს რევოლუციონერები იყვნენ, თავიანთ თავს სოციალისტებსა და კომუნისტებს უწოდებდნენ და თავი მოჰქონდათ მუშათა კლასის განთავისუფლების იდეებით, თავისი გამოსვლის ამ პირველ პერიოდში ლუთერის ღონიერმა გლეხურმა ბუნებამ შმაგად იჩინა თავი. „თუ მათი (ე. ი. რომაელი ხუცების) გააფთრებული ბორგვა კიდევ გაგრძელდა, ჩემი აზრით საუკეთესო დარიგება და წამალი ამის გასაკურნავად ის იქნებოდა, რომ მეფეები და მთავრები ძალას მიმართავდნენ, აღიჭურვებოდნენ და ამ მავნე ადამიანებს, რომელნიც მთელ ქვეყანას სწამლავენ, თავს დაესხმოდნენ და ბოლოს მოუღებდნენ იარაღით და არა სიტყვებით. თუ ჩვენ ქურდებს მახვილით ვსჯით, კაცის მკვლელებს საღხრჩობელათი, ხოლო ერეთიკოსებს ცეცხლით, რატომ ყოველნაირი იარაღით თავს არ ვესხმით ამ გარყვნილების მავნებელ მასწავლებელთ, პაპებსა, კარდინალებსა, ეპისკოპოსებს და რომის სოდომის მთელ ხროვას და რატომ მათი სისხლით არ ვიბანთ ხელებს?".

მაგრამ ეს პირველი რევოლუციური აღგზნება დიდ ხანს როდი გაგრძელებულა. ლუთერის მიერ გამოწვეული მეხი გავარდა. მთელი გერმანელი ერი ამოძრავდა. ერთი მხრივ, გლეხებმა და პლებეებმა აჯანყების ნიშანი დაინახეს მის მოწოდებაში ხუცების წინააღმდეგ. მის ქადაგებაში ქრისტიანული თავისუფლების შესახებ; მეორე მხრივ, მას უფრო ზომიერი ბიურგერები და დაბალი თავადაზნაურობის დიდი ნაწილი მიემხრნენ; თვით მთავრებიც კი გაიტაცა საერთო ნიაღვარმა. ზოგიერთს ეგონა — დადგა დღე, როცა შეგვიძლია ანგარიში გავუსწოროთ ყველა მჩაგვრელსო, ზოგიერთს კი მხოლოდ ის უნდოდა, ბოლო მოეღოთ ხუცების ბატონობისა და რომისაგან დამოკიდებულებისათვის, მოესპოთ კათოლიკური იერარქია და საეკლესიო ქონების კონფისკაციით გამდიდრებულიყვნენ. პარტიები გაითიშნენ და თავიანთი წარმომადგენლები იპოვეს. ლუთერს არჩევანი უნდა მოეხდინა მათ შორის. ეს ადამიანი, რომელსაც საქსონიის კურფიურსტი მფარველობდა, რომელიც ვიტენბერგის პატივცემულ პროფესორად ითვლებოდა, და რომელმაც ერთ ღამეში ძალა და სახელი მოიხვეჭა, ეს დიდი ადამიანი, რომელიც შისგან დამოკიდებული კაცუნებით და მლიქვნელებით იყო გარშემორტყმული, ერთი წუთითაც არ შეყოყმანებულა. მან ზურგი შეაქცია მოძრაობის ხალხურ ელემენტებს და ბიურგერების, თავადაზნაურობისა და მთავრების მხარეს გადავიდა. მოწოდებანი, რომ რომის წინააღმდეგ გამანადგურებელი ომი ვაწარმოვოთო, დადუმდნენ; ლუთერმა ახლა უკვე მშვიდობიანი განვითარებისა და პასიურ წინააღმდეგობის ქადაგება დაიწყო (შეად., მაგალითად. „გერმანელი ერის თავადაზნაურობისადმი“ 1520 წ.) ჰუტენის მიწვევაზე: ჩემთან და ზიკინგენთან მოდი ებერნბურგშიო ეს იყო ცენტრი თავადაზნაურობის შეთქმულებისა ხუცების და მთავრების წინააღმდეგ, ლუთერმა უპასუხა: „მე არ მინდა, რომ სახარება ძალმომრეობითა და სისხლის ღვრით დავიცვათ. ქვეყანა სიტყვამ დასძლია. ეკლესია სიტყვამ შეინახა, იგი ხელახლა სიტყვით აღსდგება და რაკი ანტიქრისტე თავისას მიიღებს ძალმომრეობის გარეშე, უძალმომრეოდ დაემხობაო“.

ამ შემობრუნებით ან, უკეთ რომ ვთქვათ, ლუთერის მიმართულების ამ უფრო მკვეთრად ჩამოყალიბებით დაიწყო ის ვაჭრობა და აწონ-დაწონვა შესანარჩუნებელ თუ გარდასაქმნელ დაწესებულებების და დოგმების შესახებ, ის საზიზღარი დიპლომატიური ფანდები, შემთანხმებლობა, ინტრიგანობა და გარიგებანი, რომლის შედეგი სწორედ აუგსბურგის მრწამსი იყო — ეს საბოლოო ანგარიში ვაჭრობით მიღებული კონსტიტუცია რეფორმაქმნილი ბიურგერული ეკლესიი-

სა[12]. ეს საკუთარი ოინბაზობაა, რომელიც უკანასკნელ დროს გულის არევას იწვევს, ისე ხშირად მეორდება პოლიტიკური ფორმით გერმანულ ეროვნულ კრებებსა, შემათანხმებელ ყრილობებსა, კონსტიტუციის სარეკვიზიო კამერებსა და ერფურტის პარლამენტში[13]. ოფიციალური რეფორმაციის ფილისტერულმა ხასიათმა საკუთარი აშკარად იჩინა თავი ამ მოლაპარაკებებში.

სერიოზული საფუძველი ჰქონდა იმას, რომ ლუთერი, ამიერიდან ბიურგერული რეფორმის ოფიციალური წარმომადგენელი, ქადაგებდა პროგრესს კანონის ფარგლებში. ქალაქების უმრავლესობა ზომიერ რეფორმას მიემხრო; დაბალი თავადაზნაურობა თანდათან მას ემხრობოდა, იგივე ითქმის მთავრების ერთ ნაწილზე, ხოლო მეორე ყოყმანობდა. მისი წარმატება უზრუნველყოფილი იყო, ყოველ შემთხვევაში გერმანიის ერთ დიდ ნაწილში. თუ მშვიდობიანი განვითარება გაგრძელდებოდა, დიდი ხნით ვერც დანარჩენი კუთხეები გაუძლებდნენ ზომიერი ოპოზიციის შეტევას. ყოველ ძალდატანებულ შერყევას კი ზომიერი პარტია უნდა დაეჯახებია უკიდურეს პლებეურ-გლეხურ პარტიასთან, მოძრაობისათვის ჩამოეცილებინა მთავრები, თავადაზნაურობა და მრავალი ქალაქი; ამით მხოლოდ ორი გამოსავალი ეჩებოდა: ან ბიურგერულ პარტიას გლეხები და პლებეები დასძლევდნენ, ან მთელ მოძრაობას კათოლიკური რესტავრაცია დათრგუნავდა. ხოლო როგორ ცდილობენ ბურჟუაზიული პარტიები, როდესაც კი მცირეოდენ გამარჯვებას მოიპოვებენ, კანონის ფარგლებით შეზღუდული პროგრესის შებწეობით მიუხვ-მოუხვიონ რევოლუციის სცილასა და რესტავრაციის ხარიბდას შორის, ამის მაგალი-

---

[12] აუგსბურგის მრწამსი — ლუთერანობის საფუძველთა გადმოცემა, რომელიც 1520 წ. წარუდგინეს იმპერატორ კარლოს V საიმპერიო სეიმზე აუგსბურგში, წარმოადგენს იაფფასიანი ეკლესიის შესახებ (საზეიმო წესების გაუქმება, საეკლესიო იერარქიის განმარტება) ბიურგერთა იდეალების შეგუებას მთავრების ინტერესებისადმი. პაპის ნაცვლად ეკლესიის მეთაურად გამოცხადებულ იქნა მთავარი. აუგსბურგის მრწამსი უკუაგდო იმპერატორმა. მის წინააღმდეგ იმ მთავრების ომი, რომლებმაც მიიღეს ლუთერანული რეფორმაცია და შეკრეს ამ რეფორმაციის დაცვავად შნალკადენის კავშირი, დამთავრდა 1555 წ. აუგსბურგის რელიგიური ზავით; ამ ზამა დამტკიცა ყოველი მთავრის უფლება თავისი შეხედულებისდა მიხედვით განესაზღვრა თავის ქვეშევრდომთა რელიგია. რ ე დ.

[13] იგულისხმება 1850 წ. ერფურტში 20 მარტიდან 29 აპრილამდე მოწვეული პარლამენტი, რომელშიც მონაწილეობდნენ გერმანული სახელმწიფოები, გაერთიანებული პრუსიის მიერ შექმნილ „გერმანიის უნიაში“: პარლამენტის მთავარ საზრუნავს წარმოადგენდა კონტრრევოლუციური პრუსიის მეთაურობით გერმანიის გაერთიანებისათვის გეგმების შედგენა, რამაც იმ პერიოდში პარტი განიცადა. „გერმანიის უნიის“ დაშლამ ბოლო მოუღო ერფურტის პარლამენტის არსებობას. რ ე დ.

თი საკმაოდ ბევრი გვქონდა უკანასკნელი დროის განმავლობაში.

როგორც იმ დროის საერთო საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პირობებში ყოველი ცვლილების შედეგები აუცილებლად მთავრებისთვის უნდა ყოფილიყო ხელსაყრელი და მათი ძალა უნდა გაედიდებია, ისე ბიურგერული რეფორმაც მით უფრო უნდა დაქვემდებარებოდა რეფორმაციის მომხრე მთავრების კონტროლს, რაც უფრო მკაფიოდ ეთიშებოდა იგი პლებეურ და გლეხურ ელემენტებს. თვით ლუთერი თანდათან მთავრების შინაყმად იქცეოდა, და ხალხსაც კარგად ესმოდა თუ, რას სჩადიოდა, როცა ამბობდა — ლუთერი სხვებივით მთავრების მსახური შეიქნაო და როცა მას ორლამიუნდეში ქვები დაუშინა.

ფრ. ენგელსი. „გლეხთა ომი გერმანიაში". გვ. 45—48.

დავუპირისპიროთ ახლა ბიურგერთა რეფორმატორს ლუთერს პლებეური რევოლუციონერი მიუნცერი.

თომას მიუნცერი ჰარცის მთის ძირას დაიბადა, შტოლბერგში 1498 წელს[14]. როგორც ჩანს მისი მამა შტოლბერგელ გრაფთა თეითნებობის მსხვერპლი გამხდარა და სახრჩობელაზე დაღუპულა. მიუნცერი ჯერ კიდევ თხუთმეტი წლისა იყო, რომ ჰალეს სკოლაში ფარული კავშირი დააარსა მაგდენბურგის მთავარეპისკოპოსისა და საერთოდ რომის ეკლესიის წინააღმდეგ. მისმა ღრმა ცოდნამ იმდროინდელი ღვთისმეტყველების დარგში მას ადრე მოუპოვა დოქტორის ხარისხი და კაპელანის ადგილი ჰალეს ერთ-ერთ დედათა მონასტერში. აქ იგი უკვე უდიდესი ათვალწუნებით ეპყრობოდა ეკლესიის დოგმებსა და წესებს, წირვის. დროს სრულიად სტოვებდა სიტყვებს გარდაქმნაზე და, როგორც ლუთერი მოგვითხრობს, ღვთის ხორცს უკურთხებლად სჭამდა. იგი უმთავრესად სწავლობდა საშუალო საუკუნეების მისტიკოსებს, განსაკუთრებით იოაქიმ კალაბრიელის ქილიასტურ ნაწერებს. მიუნცერს ეგონა, რომ რეფორმაციასა და მისი დროის საერთო. მღელვარებასთან ერთად მოახლოებული იყო ათასწლოვანი სუფევა, საშინელი სამსჯავრო გადაგვარებული ეკლესიისა და გარყვნილი ქვეყნიერების მიმართ, რასაც იოაქიმ კალაბრიელი წინასწარმეტყველებდა და ხატავდა. მიუნცერი დიდი წარმატებით ქადაგებდა ჰალეს მიდამოებში. 1520 წელს იგი ცვიკაუში გაემგზავრა როგორც პირველი ევანგელისტი მქადაგებელი. აქ იგი

---

[14] ეს თარიღი მოყვანილი ჰქონდა ციმერმანს თავისი ნაშრომის პირველ გამოცემაში. შემდგომი დაზუსტებული მონაცემების თანახმად თომას მიუნცერი დაიბადა დაახლოებით 1490 წ.

გაეცნო ერთ-ერთ იმ ეგზალტირებულ ქილიასტურ სექტას, რომლებიც მრავალ კუთხეში ფარულად არსებობდნენ და დროებითი თავმდაბლობისა და მოკრძალების საფარველით ნიღბავდნენ უდაბლესი. საზოგადოებრივი კლასების მზარდ ოპოზიციას არსებული წესწყობილების წინააღმდეგ: ახლა ეს სექტა აგიტაციის ზრდასთან ერთად უფრო აშკარად და მედგრად გამოვიდა მზის სინათლეზე. ეს იყო ანაბაპტისტთა სექტა. რომლის სათავეში ნიკლას შტორხი იდგა. ეს ადამიანები საშინელი სამსჯავროს და ათასწლოვანი სუფევის მოახლოვებას ქადაგებდნენ: მათ ჰქონდათ „ხილვანი, ექსტაზი და წინასწარმეტყველების სული“. სულ მალე ისინი ცვიკაუს საბჭოს შეეჯახნენ: მიუნცერი იცავდა მათ, თუმცა საკუთარი კი არ ემხრობოდა, არამედ. პირიქით, უფრო თავის გავლენას უქვემდებარებდა. საბჭომ ენერგიულად გაილაშქრა ანაბაპტისტთა წინააღმდეგ; ისინი იძულებული გახდნენ ქალაქი დაეტოვებინათ და მიუნცერიც მათ გაჰყვა. ეს მოხდა 1521 წლის ბოლოს.

იგი წავიდა პრაღაში, სადაც შეეცადა ჰუსიტური მოძრაობის ნაშთებთან კავშირი გაება და აქ დამკვიდრებულიყო; მაგრამ მის პროკლამაციებს მხოლოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ იგი იძულებული გახდა ჩეხეთიდანაც გაქცეულიყო. 1522 წელს იგი მქადაგებელი ხდება ალტშტედტში, ტიურინგიაში. აქ იგი თავის მოღვაწეობას მღვდელმსახურების რეფორმით იწყებს. მან საკუთარი გააუქმა ლათინური ენა, სანამ ლუთერი ასეთი ნაბიჯის გადადგმას გაბედავდა, და დააწესა, რომ ეკლესიაში ხმამაღლა ეკითხათ არა მარტო საკვირაოდ დაწესებული სახარება და ეპისტოლეები, არამედ მთელი ბიბლია. ამავე დროს მან პროპაგანდა გაშალა ახლომახლო ადგილებში. ხალხი ყოველ მხრიდან მოაწყდა, და ჩქარა ალტშტედტი ხუცების საწინააღმდეგო ხალხური მოძრაობის ცენტრად გადაიქცა მთელს ტიურინგიაში.

მიუნცერი მაინც, უწინარეს ყოვლისა, თეოლოგი იყო; იგი ჯერ კიდევ თითქმის მხოლოდ ხუცებს უტევდა. მაგრამ მიუნცერი შეუშფოთებელ დისკუსიასა და მშვიდობიან პროგრესს როდი ქადაგებდა, როგორც ამჟამად უკვე იქცეოდა ლუთერი, იგი ლუთერის წინანდელ მქუხარე ქადაგებებს განაგრძობდა და საქსონელ მთავრებს და ხალხს მოუწოდებდა შეიარაღებული გამოსვლისაკენ, რომაელი ხუცების წინააღმდეგ. ქრისტე ხომ ამბობს, მე მოვედი არა მშვიდობის მოსატანად, არამედ მახვილისაო. რა უნდა მოიმოქმედოთ თქვენ (საქსონიის მთავრებმა) ამ მახვილით? თუ გინდათ, რომ ღვთის მსახურნი იყვნეთ, თქვენ უნდა განაცალკევოთ და მოსრნათ ბოროტნი, რომელნიც ხელს უშლიან სახარებას. ქრისტემ დიდი სიმკაცრით გვიბრძანა

(ლუკა, თ. თ. 19, 27): მტერნი იგი ჩემნი მოსწყვიდენით წინაშე ჩემსაო... ნუ ითვალთმაქცებთ და ნუ გვეტყვით, ეს თვით ღვთის ძალამ უნდა ჰქმნას ჩვენი მახვილის დაუხმარებლადო, თორემ იგი თქვენ ქარქაშში დაგიჟანგდებათ. ვინც ღვთის გამოცხადებას ეწინააღმდეგება, შეუბრალებლად უნდა მოისრნას როგორც ეზეკიელმა, კიროსმა, იოსიამ, დანიელმა და ილიამ ბაალის ქურუმები მოსრნეს, სხვანაირად ქრისტიანული ეკლესია ვერ დაუბრუნდება თავის პირვანდელ მდგომარეობას. მკის დროს უნდა ამოვაგდოთ ღვარძლი ღვთის ვენახიდან. ღმერთმა უთხრა მოსეს (მოსეს მეხუთე წიგნი, თავი V): ნუ შეიბრალებთ კერპთ თაყვანისმცემელთ, შემუსრეთ მათი ბომონნი, დალეწეთ და დასწვით მათი ხატები, რათა მე არ გაგირისხდეთ თქვენო[16].

მაგრამ ეს მოწოდებანი მთავრებისადმი უშედეგონი აღმოჩნდნენ, მაშინ როცა ხალხში რევოლუციური მღელვარება დღითი დღე იზრდებოდა. მიუნცერი, რომლის იდეები თანდათან უფრო მკაფიო და თამამი ხდებოდა, გადაჭრით გამოეთიშა ბიურგერულ რეფორმაციას და პირდაპირ გამოვიდა როგორც პოლიტიკური აგიტატორი.

მისი თეოლოგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება თავს დაესხა არა მარტო კათოლიციზმის, არამედ საზოგადოდ მთელი ქრისტიანობის ყველა ძირითად პუნქტს. ქრისტიანულ ფორმებში იგი ახვევდა პანთეიზმის მოძღვრებას, რომელსაც საოცარი მსგავსება აქვს თანამედროვე სპეკულაციურ მსოფლმხედველობასთან[17] და ალაგ-ალაგ თვით ათეიზმს უახლოვდება. მან უარჰყო ბიბლია როგორც გამოცხადების ერთადერთი და შეუცდომელი წყარო. ნამდვილი და ცხოველი გამოცხადება, მისი აზრით, არის გონება, იგი ყოველ დროსა და ხალხში არსებულა და ახლაც არსებობსო. გონებისთვის ბიბლიის დაპირისპირება იმას ნიშნავს, რომ სული ასოკირკიტობით მოვკლათო. იმიტომ რომ სულიწმინდა, რომელზედაც ბიბლია ლაპარაკობს, არ არის რაღაც ჩვენს გარეშე არსებული; სულიწმინდა სწორედ ჩვენი გონებაა. რწმენა სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის გონების გამოფხიზლება და ამიტომ წარმართთაც შეიძლება რწმენა ჰქონდეთ. ამ რწმენის, ამ გამოფხიზლებული გონების მეშვეობით ადამიანი ღვთაებას ემსგავსება და ნეტარებას აღწევს. ამიტომ სამოთხე საიქიოში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ საკაო ცხოვრებაში და მორწმუნე ადამიანის მოწოდებაა ეს სამოთხე, ღვთის მეუფება, აქ, დედამიწაზე დაამყაროს. როგორც არ არსებობს საიქიო სამოთხე, ისე არც საიქიო ჯოჯოხეთი

---

[15] ენგელსს მხედველობაში აქვს გერმანელი იდეალისტი-ფილოსოფოსის შტრაუსის და აგრეთვე ფოიერბახის შეხედულებანი; ფოიერბახი თავის ადრინდელ ნაწარმოებებში ავითარებდა რელიგიურ საკითხებზე პანთეისტურ შეხედულებებს რ ე დ.

ანუ წაწყმედა არსებობს. არც სხვა რაიმე ეშმაკი არსებობს, გარდა ადამიანის ბოროტ ვნებათა და გულისთქმათა. ქრისტე ჩვენი მსგავსი ადამიანი იყო, მსოლოდ წინასწარმეტყველი და მოძღვარი, ხოლო მისი სერობა იყო უბრალო აღაპი, სადაც პურს სჭამდნენ და ღვინოს სვამდნენ ყოველი მისტიური სანელებლის გარეშე.

მიუნცერი ამ მოძღვრებას უმეტესწილად იმავე ქრისტიანულ ფრაზებში ახვევდა, რომელშიც კარგა ხანს ახალი ფილოსოფიაც იძულებული ხდებოდა გახვეულიყო. მაგრამ მისი ნაწერებიდან ყველგან გამოსჭვივის ძირითადი არქიერესული იდეა და ნათლად ჩანს რომ მისთვის ბიბლიურ საბურველს ბევრად უფრო ნაკლებ სერიოზული მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე ჰეგელის ზოგიერთი მიმდევრისათვის ჩვენს დროში. მიუნცერსა და ახალ ფილოსოფიას შორის კი მთელი სამი საუკუნეა.

მისი პოლიტიკური მოძღვრება სავსებით შეესაბამებოდა ამ რევოლუციურ რელიგიურ მსოფლმხედველობას და ასევე სცილდებოდა უშუალოდ არსებულ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პირობებს, როგორც მისი თეოლოგია მის დროში გაბატონებულ წარმოდგენებს შორდებოდა. მიუნცერის რელიგიური ფილოსოფია ისევე უახლოვდებოდა ათეიზმს, როგორც მისი პოლიტიკური პროგრამა — კომუნიზმს, ხოლო მრავალ თანამედროვე კომუნისტურ სექტას არ ჰქონია თებერვლის რევოლუციის წინადღით იმაზე უფრო მდიდარი თეორიული არსენალი, როგორიც ჰქონდათ XVI საუკუნეში მიუნცერის მიმდევრებს. ეს პროგრამა, რომელიც იმდენად იმდროინდელი პლებეების მოთხოვნათა განზოგადებას კი არ წარმოადგენდა, რამდენადაც ამ პლებეებს შორის ოდნავ ჩასახული პროლეტარული ელემენტების განთავისუფლების პირობათა გენიალურ წინათგრძნობას, მოითხოვდა, რომ დაუყოვნებლივ დამყარებულიყო ქვეყნად წინასწარმეტყველთა მიერ ნაუწყები ღვთის ათასწლოვანი სუფევა; ეს უნდა მომხდარიყო ეკლესიის უკან დაბრუნებით თავისი პირვანდელი მდგომარეობისაკენ და ყველა იმ დაწესებულებათა გაუქმებით, რომელნიც ამ ვითომდა ადრინდელ ქრისტიანულ, ნამდვილად კი სრულიად ახალ ეკლესიას ეწინააღმდეგებოდნენ. ღვთის სუფევა კი მიუნცერს ესმოდა როგორც ისეთი საზოგადოებრივი მდგომარეობა, სადაც არც კლასობრივი განსხვავება იარსებებდა, არც კერძო საკუთრება და არც საზოდაოების წევრებისაგან დამოუკიდებელი, მათდამი დაპირისპირებული და მათთვის უცხო სახელმწიფოებრივი ხელისუფლება. ყოველი არსებული ხელისუფლება უნდა დამხობილიყო, თუ იგი არ დაემორჩილებოდა რევოლუციას და არ მიემხრობოდა მას. ყველა სარეწი და ყოველი ქონება საერთო უნდა გამხდარიყო და სრული თანას-

წორობა უნდა განხორციელებულიყო. ყოველივე ამის გასატარებლად უნდა დაარსებულიყო კავშირი, რომელიც მოიცავდა არა მარტო გერმანიას, არამედ მთელ ქრისტიანულ სამყაროს; მთავრებსა და მებატონეებს წინადადება უნდა მისცემოდათ — შემოერთებოდნენ მას: ვინც არ ისურვებდა, კავშირი პირველი შემთხვევისთანავე იარაღით დაამხობდა ან მოსპობდა მას.

მიუნცერი მაშინვე შეუდგა ამ კავშირის ორგანიზაციას. მისმა ქადაგებამ კიდევ უფრო მგზნებარე, რევოლუციური ხასიათი მიიღო; იგი თავს ესხმოდა არა მარტო ხუცებს, არამედ ისეთივე გააფთრებით ილაშქრებდა მთავრებისა, თავადაზნაურობისა, პატრიციატის წინააღმდეგ, ცხოველი ფერადებით ხატავდა არსებულ ჩაგვრას და უპირისპირებდა მას თავისი სოციალ-რესპუბლიკური თანასწორობის ათასწლიანი სუფევის ფანტასტიურ სურათს. ამასთანავე იგი ერთი მეორის მიყოლებით რევოლუციურ პამფლეტებს აქვეყნებდა და ყველა მიმართულებით გზავნიდა თავის ემისრებს, ხოლო თვითონ შეუდგა კავშირის შექმნას ალშტედტსა და მის მიდამოებში.

ამ პროპაგანდის პირველი ნაყოფი იყო ღვთისმშობლის სამლოცველოს დანგრევა მელერბახში ალშტედტის მახლობლად, თანახმად მცნებისა: მათი ბომონნი დაანგრიეთ, მათი სვეტნი შემუსრეთ და მათი კერპნი დასწვით, ვინაიდან თქვენ ხართ ერი ღვთისაო (მეორე სჯული, თავი 7, 6). საქსონელი მთავრები თვითონ მოვიდნენ ალშტედტში, რათა ამბოხება დაეცხროთ, და იხმეს მიუნცერი ციხესიმაგრეში. იქ მან წარმოთქვა ქადაგება, რომლის მსგავსი მათ არ მოუსმენიათ თვით ლუთერისაგანაც კი, ამ „ვიტენბერგს მშვიდად მცხოვრები მძოვრისაგან“, როგორც მას მიუნცერმა უწოდა. იგი მოითხოვდა, რომ დაეხოცათ უღვთო მმართველები, განსაკუთრებით ხუცები და ბერები, რომლებიც სახარებას ისევე ჰგმობდნენ, როგორც ერესს, და ამასთანავე ახალ აღთქმას იმოწმებდა. უღმერთოებს ცხოვრების უფლება არა აქვთ, თუ არა მხოლოდ რჩეულთა წყალობითო. თუ მთავრებმა უღმერთოები არ აღმოფხვრეს, ღმერთი მათ მახვილს წაართმევს, ი მ ი ტ ო მ რ ო მ მ ა ხ ვ ი ლ ი ს ძ ა ლ ა მ თ ე ლ ს თ ე მ ს ე კ უ თ ვ ნ ი ს ო. თავიდათავი მევახშეები, ქურდები და ავაზაკები არიან მთავრები და მებატონეები; ისინი ისაკუთრებენ ყოველივე ქმნილებას: თევზს წყალში, ფრინველს ჰაერში, მცენარეებს დედამიწაზე და ამის შემდეგ ისინი ღარიბებს უქადაგებენ: არ მოიპაროთო; თვითონ კი ყოველივეს ითვისებენ, სადაც კი რაიმეს წააწყდებიან, ძარცვავენ და ტყავს აძრობენ გლეხსა და ხელოსანს: ხოლო თუ ამ უკანასკნელებმა ცოტაოდენი რამ შესცოდეს, უმალვე სახრჩობელაზე

ჰგზავნიან და დოქტორი ლიუნგერიც[16] დასძენს: ამინ! „ეს ვაჟბატონები ისე იქცევიან, რომ ღარიბი კაცი მათი მტერი ხდება. მათ არ სურთ ამბოხების მიზეზის მოსპობა, როგორღა შეიძლება ხანგრძლივი მშვიდობა დამყარდეს? აჰ, მოწყალეო ხელმწიფენო, რა კარგად დალეწს უფალი რკინის კვერთხით ძველ ქოთნებს! ჰეშმარიტად გეუბნებით, რომ მე ავამხედრებ ხალხს. მშვიდობით!“ (შეად. ციმერმანი. „გლეხთა ომი“ ნაწ. II. გვ. 75)[17].

მიუნცერმა დააბეჭდვინა თავისი ქადაგება; მისი ალშტედტელი მბეჭდავი ჰერცოგმა იოჰან საქსონელმა იმით დასაჯა, რომ სამშობლოდან გააძევა, ხოლო თვით მიუნცერის ყველა ნაწერი ჰერცოგის ბრძანებით ცენზურას დაექვემდებარა ვაიმარში. მაგრამ ამ ბრძანებისთვის მიუნცერს ყურადღება როდი მიუქცევია. მან დაუყოვნებლივ დაბეჭდა საიმპერიო ქალაქ მიულჰაუზენში მეტისმეტად მეამბოხური თხზულება[18], რომელშიც ხალხს მოუწოდებდა „გაეფართოებინა ხვრელი, რათა მთელ ქვეყანას დაენახა და აშკარად ეგრძნო, თუ რას წარმოადგენენ ჩვენი პატივცემული ვაჟბატონები, რომლებმაც ღმერთი ესეოდენ გააუხამსეს და შეღებილ კაცუნად აქციეს“: ამ წიგნს ივი შემდეგი სიტყვებით ამთავრებდა: „დიდ შერყევას უნდა გაუძლოს მთელმა ქვეყანამ; ისეთი რამ მოხდება, რომ უღმერთონი ტახტიდან ჩამოვარდებიან, ხოლო დამდაბლებულნი ამაღლდებიან“. ეპიგრაფად „ჩაქუჩიანმა ტომას მიუნცერმა“ სათაურზე წააწერა: „ყურად იღე, მე ჩემი სიტყვებით აგამეტყველე, მე შენ დღეს ადამიანებსა და სამეფოებზე დაგადგინე, რათა შენ აღმოფხვრა, შემუსრო, გაჰფანტო და დაანგრიო და ააშენო და დარგო. რკინის კედელი აღიმართა მეფეებისა, მთავრებისა და ხუცების წინააღმდეგ და ერის წინააღმდეგ. დაე

---

[16] მიუნცერს მხედველობაში ჰყავს ლუთერი; სიტყვის თამაშია — „ლიეგნერ“ (Eügner) გერმანულად ნიშნავს „ცრუპენტელას“. (რ ე დ.).

[17] იხ. რუსული გამოცემა ციმერმანის წიგნისა „გლეხთა ომის ისტორია“, ტ. 1, მოსკოვი, 1937, გვ. 145. რ ე დ.

[18] ენგელსს მხედველობაში აქვს მიუნცერის პამფლეტი, რომელიც 1524 წელს მიულჰაუზენში გამოვიდა სახელწოდებით: „უმართლო ქვეყნიერების ცრურწმენის აშკარა გაბათილება ლუკას სახარების დამოწმებით, რასაც ვუძღვნით საცოდავ და უბედურ ქრისტიანობას, თავისი შეცდომის მოსაგონებლად“ (Ausgedrückte Entblössung des falschen Glaubens der ungetreuen Welt durchs Zeugnis des Evangelions Lucae, vorgetragen der elenden erbärmlichen Christenheit zur Erinnerung ihres Irrsals. Thomas Müntzer mit dem Hammer. Mühlhausen M. D. XXIII) რ ე დ.

მათ იბრძოლონ, ჩვენ სასწაულებრივად გავიმარჯვებთ ძლიერსა და უღმრთო ტირანებზე"[19].

მიუნცერის გათიშვა ლუთერსა და მის პარტიასთან უკვე დიდი ხნის წინად მოხდა. ლუთერი იძულებული გახდა შემოეღო მთელი რიგი საეკლესიო რეფორმა, რომელიც მიუნცერმა მისდა დაუკითხავად განახორციელა. იგი თვალყურს ადევნებდა მიუნცერის მოღვაწეობას, აღსავსე ზომიერი რეფორმატორის უკმაყოფილებითა და ეჭვიანობით უფრო ენერგიული და შორსმიმავალი პარტიისადმი. ჯერ კიდევ 1524 წლის გაზაფხულზე მიუნცერი სწერდა მელანხტონს, სისხლგამშრალი, სკამზემიკრული ფილისტერი მეცნიერის ამ წინამორბედს, რომ შენ და ლუთერს სრულიად არ გესმით მოძრაობაო. თქვენ ცდილობთ იგი ბიბლიის ასოკირკიტობისადმი რწმენაში ჩააღშოთ, მთელი თქვენი რწმენა მატლებითაა გამოხრულიო. „ძვირფასნო ძმანო, თავი დაანებეთ თქვენს ლოდინსა და ყოყმანს, მოვიდა ჟამი, ზაფხულის კარზე დგას. ნუ ინებებთ მეგობრობას უღმერთოებთან, ისინი ხელს უშლიან, რომ სიტყვამ სრული სიძლიერით იმოქმედოს. ნუ ეპირფერებით თქვენს მთავრებს, თორემ თქვენც მათთან ერთად დაიღუპებით. თქვენ, აზიზნო მწიგნობარნო და სწავლულნო, ნუ განმირისხდებით, მე სხვაფრივ ვერ ვიმოქმედებ".

ლუთერმა მიუნცერი რამდენჯერმე გამოიწვია საპაექროდ; და თუმცა მიუნცერი ყოველ წუთს მზად იყო საჯაროდ გამოსულიყო ბრძოლაში, მაგრამ არავითარი სურვილი არ ჰქონდა ღვთისმეტყველურ კამათში ჩაბმულიყო ვიტენბერგის უნივერსიტეტის ტენდენციურად განწყობილი საზოგადოების წინაშე. მას არ სურდა „სულის მოწმობა მხოლოდ და მხოლოდ უმაღლესი სკოლის უპირატესობად გადაექცია". თუ ლუთერი გულწრფელია, დაე მან თავისი გავლენა იმას მოახმაროს, რომ შეწყდეს დევნა მიუნცერის მბეჭდავისა და მოიხსნას ცენზურა, რათა კამათი დაუბრკოლებლივ წარმოებდეს პრესაშიო.

ახლა უკვე, მიუნცერის ზემოაღნიშნული რევოლუციური ბროშურის შემდეგ, ლუთერი აშკარად გამოვიდა მის წინააღმდეგ და დაასმინა იგი. თავის ნაბეჭდ „წერილში საქსონიის მთავრებისადმი მეამბოხე სულის წინააღმდეგ" მან მიუნცერი სატანის იარაღად გამოაცხადა და მოუწოდა მთავრებს ჩარეულიყვნენ საქმეში და ქვეყნიდან გაეძევებინათ აბობოხების წამომწყებნი, ვინაიდან ისინი არ კმაყოფილდებიან თავიანთი უკეღმართი მოძღვრების ქადაგებით და მოუ-

---

[19] თავის თხზულებისათვის წამძღვარებულ ეპიგრაფში მიუნცერმა გადაასხვაფერა სიტყვები წინასწარმეტყველ იერემიას წიგნიდან (ძველი აღთქმა) და რევოლუციური შინაარსი ჩაქსოვა მასში. რ ე დ.

წოდებენ მთავრობის საწინააღმდეგო აჯანყებისა და ძალმომრეობის-კენო.

1 აგვისტოს მიუნცერს ვაიმარის ციხე-დარბაზში მთავრობის წინაშე პასუხი უნდა ეგო; მას ბრალს სდებდნენ აჯანყების წამქეზებლობაში. ძის წინააღმდეგ მეტად გამაწბილებელი ფაქტები იყო დაგროვილი: მიაგნეს მისი ფარული კავშირის კვალს, მისი ხელი აღმოაჩინეს მემაღაროების და გლეხების კავშირთა შექმნაში. მიუნცერს გაძევებით ემუქრებოდნენ. ალშტედტში დაბრუნებისთანავე მიუნცერმა გაიგო, რომ საქსონიის ჰერცოგი გეორგი მის გაცემას მოითხოვდა; მოწინააღმდეგეებს ხელში ჩაუვარდათ მიუნცერის მიერ დაწერილი კავშირის წერილები, რომელშიც იგი გეორგის ქვეშევრდომთ მოუწოდებდა შეიარაღებული აჯანყება მოახდინეთ სახარების მტრების წინააღმდეგო. ქალაქის საბჭო გასცემდა მას, თუ იგი ქალაქს არ დასტოვებდა.

ამასობაში გლეხებისა და პლებეების სულ უფრო და უფრო მზარდმა მღელვარებამ არაჩვეულებრივად შეუწყო ხელი მიუნცერის პროპაგანდას. ამ პროპაგანდისთვის მან ფასდაუდებელი აგენტები შეიძინა ანაბაპტისტების სახით. ამ სექტის წევრები, რომლებსაც არ გააჩნდათ გარკვეული დადებითი დოგმები, გაერთიანებული იყვნენ მხოლოდ საერთო ოპოზიციით ყველა გაბატონებული კლასის წინააღმდეგ და ხელმეორე მონათვლის საერთო სიმბოლოთი; ასკეტურად მკაცრნი ყოფაცხოვრებაში, დაუღალავნი, ფანატიკურნი და უშიშარნი აგიტაციაში, ისინი თანდათან შეჯგუფდნენ მიუნცერის გარშემო. დევნის გამო ეს სექტა მოკლებული იყო გარკვეულ საცხოვრებელ ადგილს, მისი წევრები მთელ გერმანიაში დაეხეტებოდნენ და ყველგან აუწყებდნენ ახალ მოძღვრებას, რომელშიც მიუნცერმა მათივე მოთხოვნილებები და სურვილები განუმარტა მათ. მრავალი მათგანი აწამეს, დასწვეს ან სხვაგვარად დასაჯეს სიკვდილით, მაგრამ ამ ემისრების გამბედაობა და გამძლეობა შეურყეველი იყო, ხოლო მათი მოღვაწეობის წარმატება, ხალხის გაძლიერებული მღელვარების გამო, განუზომელი. ამიტომ ტიურინგიიდან ლტოლვილ მიუნცერს ნიადაგი ყველგან მომზადებული ხვდებოდა, სადაც კი წავიდოდა.

ნიურნბერგის მახლობლად, სადაც მიუნცერი[20] თავდაპირველად წავიდა, ერთი თვით ადრე მის ჩასვლამ ჩანასახშივე ჩაეხშო გლეხთა აჯანყება. მიუნცერი აქ ფარულად ეწეოდა აგიტაციას; მალე გამოჩ-

---

[20] შემდეგში დაზუსტებული ცნობების თანახმად მიუნცერი ჯერ გაემგზავრა საიმპერიო ქალაქ მიულჰაუზენში, საიდანაც იგი 1524 წ. სექტემბერში გააძევეს ქალაქის დაბალი ფენების მღელვარებაში მონაწილეობის გამო. მიულჰაუზენიდან მიუნცერი ნიურნბერგს ჩავიდა. რ ე დ.

ნდნენ ადამიანები, რომლებიც იცავდნენ მის ყველაზე გაბედულ თეოლოგიურ დებულებებს ბიბლიის არასავალდებულობისა და საიდუმლოებათა არარაობის შესახებ; ქრისტეს ისინი უბრალო ადამიანად აცხადებდნენ, ხოლო საერო მთავრობის ძალაუფლებას არაღვთაებრივად რაცხდნენ. „აი იქ დაძრწის სატანა, ალშტედტელი სულ!“ წამოიძახა ლუთერმა. აქ ნიურნბერგში მიუნცერმა დააბეჭდვინა თავისი პასუხი ლუთერისადმი[21]. იგი მას პირდაპირ ბრალს სდებდა, მთავრებს ეპირფერები და შენი მერყეობით დახმარებას უწევ რეაქციულ პარტიასო. მაგრამ ხალხი მაინც მიაღწევს განთავისუფლებას და დოქტორ ლუთერს ხაფანგში მომწყვდეული მელიის ამბავი მოუვაო. — საბჭომ აკრძალა ეს წიგნი და მიუნცერი იძულებული გახდა ნიურნბერგი დაეტოვებინა.

იგი ახლა შვაბიის გზით ელზასისა და შვეიცარიისკენ წავიდა, ხოლო იქიდან უკან დაბრუნდა ზემო შვარცვალდში, სადაც უკვე რამდენიმე თვის წინათ იფეთქა აჯანყებამ, რომელიც უმთავრესად მისი ანაბაპტისტი ემისრების მიერ იყო დაჩქარებული. მიუნცერის ამ საპროპაგანდო მოგზაურობამ, აშკარაა, დიდად შეუწყო ხელი სახალხო პარტიის ორგანიზაციას, მის მოთხოვნათა ნათლად ჩამოყალიბებას და, ბოლოს, საერთო აჯანყების აფეთქებას 1525 წლის აპრილში. აქ განსაკუთრებით ნათლად ჩანს მიუნცერის მოღვაწეობის ორივე მხარე: ერთი მხრივ ხალხში, რომელსაც იგი მასებისათვის მაშინ ერთადერთი გასაგები სარწმუნოებრივი წინასწარმეტყველური ენით ესაუბრებოდა. ხოლო, მეორე მხრივ, — რჩეულთა შორის, რომელთა წრეში მას შეეძლო გულახდილად გამოეთქვა თავისი საბოლოო ტენდენცია. წინათ ჯერ კიდევ ტიურინგიაში ყოფნის დროს, მან თავის გარშემო შემოიკრიბა არა მარტო ხალხიდან, არამედ დაბალი სამღვდელოებიდან გამოსული მედგარი ადამიანების წრე და სათავეში ჩაუდგა ფარულ კავშირს; აქ იგი უკვე მთელი სამხრეთ გერმანიის რევოლუციური მოძრაობის ცენტრი ხდება, საქსონიიდან და ტიურინგიიდან ფრანკონიაზე და შვაბიაზე გავლით კავშირს აბამს ელზასსა და შვეიცარიის საზღვრამდე და მისი მოწაფეებისა და კავშირის მეთაურების რიცხვში ისეთ სამხრეთ გერმანელ აგიტატორებს ვხედავთ, უმეტეს-

---

[21] ლუთერისადმი მიუნცერის დაბეჭდილი პასუხის სახელწოდება იყო: „ზედმიწევნით დასაბუთებული დაცვითი სიტყვა და პასუხი, უღვთო, ვიტენბერგს მშვიდად მცხოვრები მძოვრისადმი, რომელმაც წმინდა წერილის უკეღმართი და თაღლითური დამახინჯებით სამარცხვინოდ შეურაცხყო საბრალო ქრისტიანობა“ Hoch verursachte Schutzrede und Antwort wider das geistlose, sanftlebende Fleisch zu Wittenberg, welches mit verkehrter Weise durch den Diebstahl der heiligen Schrift die erbärmliche Christeinheit also ganz jämmerlich besudelt hat. Thomas Müntzer Allstedter. Anno M. D. XXIII), რ ე დ.

წილად რევოლუციონერ ხუცებს, როგორიც იყვნენ ჰუმბაიერი ვალდსჰუტში, კონრად გრებელი ციურიხში, ფრანც რაბმანი გრისენში, შაპელერი მემინგენში, იაკობ ვეპე ლაიპპაიმში, დოქტორი მანტელი შტუტგარტში. თვით იგი უმეტესწილად გრისენში იმყოფებოდა შაფჰაუზენის საზღვართან და იქიდან მოგზაურობდა ჰეგაუსა, კლეტგაუში და სხვაგან. სასტიკმა დევნამ, რომელიც შეშფოთებულმა მთავრებმა და მებატონეებმა ამ ახალი პლებეური ერესის წინააღმდეგ მოაწყეს, ყველგან ცოტაოდენ როდი შეუწყო ხელი მეამბოხე სულის გაღვივებას და კავშირის განმტკიცებას. ამრიგად მიუნცერი ხუთ თვეს ზემო გერმანიაში ეწეოდა აგიტაციას და როცა შეთქმულების აფეთქების დრომ მოაღწია. იგი ხელახლა ტიურინგიაში გაემგზავრა, სადაც უნდოდა თვით გაეწია ხელმძღვანელობა აჯანყებისთვის და სადაც ჩვენ მას კიდევ შევხვდებით.

ჩვენ დავინახავთ, თუ როგორ სწორად ასახავდნენ თავიანთი პარტიების პოზიციას ორივე პარტიული ბელადის ხასიათი და მათი ყოფაქცევა, თუ როგორ შეეფერებოდა ლუთერის გაუბედაობა, მისი შიში სერიოზულად გაღვივებული მოძრაობის წინაშე და მხდალი ლაქიობა მთავრების წინაშე ბიურგერთა მერყევ, ორპოფ პოლიტიკას და როგორ გამოხმაურებას პოულობს მიუნცერის რევოლუციური ენერგია და გამბედაობა პლებეებისა და გლეხების უფრო განვითარებულ ფრაქციაში. განსხვავება მხოლოდ შემდეგია: თუ ლუთერი იმით კმაყოფილდებოდა, რომ თავისი კლასის უმრავლესობის შეხედულებანი და მისწრაფებანი გამოეთქვა და ამ გზით თავის წრეში მეტად იაფფასიანი პოპულარობა მოეპოვებინა, მიუნცერი, პირიქით, პლებეების და გლეხების უშუალო წარმოდგენებსა და მოთხოვნებს დიდად გასცილდა და მაშინდელი რევოლუციური ელემენტებიდან შეადგინა პარტია, რომელიც, იდგა რა მისი იდეების სიმაღლეზე და ინაწილებდა რა მის ენერგიას, მუდამ მხოლოდ უმნიშვნელო უმცირესობას წარმოადგენდა აჯანყებულ მასაში.

ფრ. ენგელსი. „გლეხთა ომი გერმანიაში“. გვ. 49—60.

მაგრამ გერმანელი ლუთერის გვერდით ფრანგი კალვინიც დადგა; ნამდვილი ფრანგული სიფიცხით მან პირველ ადგილზე რეფორმაციის ბურჟუაზიული ხასიათი წამოაყენა და ეკლესიას რესპუბლიკური და დემოკრატიული ელფერი მისცა. მაშინ როცა ლუთერანული რეფორმაცია გერმანიაში ჩალპა და ეს ქვეყანა განადგურების პირას მიიყვანა, კალვინისტურმა რეფორმაციამ გაშალა დროშა, რომლის გარშემო რესპუბლიკელები დაირაზმნენ ჟენევასა, ჰოლანდიასა და შოტლანდი-

ამი; მან ჰოლანდია ესპანეთისაგან და გერმანიის იმპერიისაგან გაანთავისუფლა, ხოლო ინგლისში იდეოლოგიური სამოსელი მისცა ბურჟუაზიული რევოლუციის მეორე აქტს. აქ კალვინიზმი გამოვიდა როგორც იმდროინდელი ბურჟუაზიის ინტერესების ნამდვილი რელიგიური ნიღაბი და ამიტომ საყოველთაო აღიარება ვერ მოიპოვა 1689 წლის რევოლუციის შემდეგ, რომელიც დამთავრდა კომპრომისით თავადაზნაურობის ერთ ნაწილსა და ბურჟუაზიას შორის[19]. ინგლისის სახელმწიფო ეკლესია აღდგენილ იქნა, მაგრამ არა პირვანდელი სახით, არა როგორც კათოლიციზმი, რომელსაც სათავეში პაპის როლის ამსრულებელი მეფე უდგა, არამედ კალვინიზმის მიერ ძლიერ შეფერადებული. ძველი სახელმწიფო ეკლესია მხიარულ კათოლიკურ კვირას დღესასწაულობდა, ხოლო მოსაწყენ კალვინისტურ კვირას სდევნიდა; ახალმა ბურჟუაზიული სულით გაჟღენთილმა ეკლესიამ ეს უკანასკნელი შემოიღო, რაც დღესაც ამკობს ინგლისს.

ფრ. ენგელსი. „ლუდვიგ ფოიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრული".
კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. რჩ. ნაწ. ტ. 11. გვ. 480—481.

ამნაირად, მე შეეხე მხოლოდ ორ მუხლს, რომელშიაც აღმავალი ბურჟუაზია უნდა შეტაკებოდა არსებულ ეკლესიას. მაგრამ ეს საკმარისი იქნება იმის დასამტკიცებლად, რომ, ჯერ ერთი, კათოლიკური ეკლესიის პრეტენზიების წინააღმდეგ ბრძოლაში ყველაზე დიდი მონაწილეობა მიიღო სახელდობრ ამ კლასმა, ბურჟუაზიამ; მეორე, რომ ყოველ ბრძოლას ფეოდალიზმის წინააღმდეგ მაშინ უნდა მიეღო სარწმუნოებრივი გამოხატულება, უნდა მიმართულიყო პირველ რიგში ეკლესიის წინააღმდეგ. მაგრამ თუ ბრძოლის ყიჟინა უნივერსიტეტებიდან და ქალაქის საქმიანი ხალხიდან გამოდიოდა, სამაგიეროდ მან აუცილებელი და ძლიერი გამოძახილი ჰპოვა სოფლის მოსახლეობის მასებში, ღლეხებში, რომელნიც ყველგან გააფთრებულ ბრძოლას აწარმოებდნენ თავიანთი სასულიერო და საერო ფეოდალ-მემამულეების წინააღმდეგ და სახელდობრ ბრძოლას თვითარსებობისათვის.

ფრ. ენგელსი. შესავალი ინგლისური გამოცემისათვის სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ. გვ. 25.

ევროპის ბურჟუაზიის დიადი ბრძოლა ფეოდალიზმის წინააღმდეგ უმაღლეს დაძაბულობამდე მივიდა სამ დიდ გადამწყვეტ ბრძოლაში.

პირველი იყო ის, რასაც ჩვენ რეფორმაციას ვუწოდებთ გერ-

მანიაში. ლუთერის მოწოდებამ ეკლესიის წინააღმდეგ ამბოხებისადმი გამოიწვია ორი პოლიტიკური აჯანყება: ჯერ — დაბალი თ.-აზნაურობისა ფრანც ფონ-ზიკინგენის მეთაურობით 1523 წ., ხოლო შემდეგ — გლეხთა დიდი ომი 1525 წელს. ორივე აჯანყება ჩაქრობილ იქნა უმთავრესად ყველაზე დაინტერესებული პარტიის, ქალაქის ბურჟუაზიის, გაუბედაობის გამო, გაუბედაობისა, რომლის მიზეზებზედაც ჩვენ აქ ვერ შევჩერდებით. ამ მომენტიდან ბრძოლა გადაიქცა შუღლად ცალკეულ თავადებსა და ცენტრალურ საიმპერიო ხელისუფლებას შორის, რასაც შედეგად მოჰყვა ის, რომ გერმანია 200 წლით ამოიშალა ევროპის პოლიტიკურად აქტიური ერების რიცხვიდან. ლუთერანულმა რეფორმაციამ, ყოველ შემთხვევაში, დაამყარა ახალი სარწმუნოება, და სახელდობრ ისეთი, როგორიც აბსოლუტურ მონარქიას ესაჭიროებოდა. გერმანიის ჩრდილო-აღმოსავლეთის გლეხებმა ვერც კი მოასწრეს ლუთერანობის მიღება, რომ ისინი თავისუფალი ადამიანებიდან ყმების მდგომარეობამდე იქნენ დაქვეითებულნი.

მაგრამ, სადაც ლუთერი დამარცხდა, იქ გაიმარჯვა კალვინმა. მისი დოგმა შეესაბამებოდა მაშინდელი ბურჟუაზიის ყველაზე გაბედული ნაწილის მოთხოვნებს. მისი მოძღვრება ბედისწერის შესახებ იმ ფაქტის სარწმუნოებრივი გამოხატულება იყო, რომ ვაჭრობის და კონკურენციის სფეროში წარმატება თუ გაკოტრება დამოკიდებულია არა ცალკეულ პიროვნებათა მოქმედებაზე ან ოსტატობაზე, არამედ მათგან დამოუკიდებელ გარემოებებზე. „ამრიგად, განმსაზღვრელია არა ვისიმე ნებისყოფა ან მოქმედება, არამედ გულმოწყალება“. უძლიერესი, მაგრამ შეუცნობელი ეკონომიკური ძალებისა. და ეს განსაკუთრებით სწორი იყო ეკონომიური გადატრიალების ეპოქაში, როცა ყველა ძველ სავაჭრო ცენტრს აძევებდა ახალი, როცა აღმოჩენილ იქნენ ამერიკა და ინდოეთი, როცა ძველთაგანვე პატივცემული ეკონომიკური სიმბოლო სარწმუნოებისა — ოქროს და ვერცხლის ღირებულება — შეირყა და დაიმსხვრა. ამასთან კალვინის საეკლესიო წყობილება ერთიანად დემოკრატიული და რესპუბლიკური იყო; ხოლო სადაც უკვე ღვთის სასუფეველი რესპუბლიკური გახდა, განა შეიძლებოდა იქ ამქვეყნიური სამეფოები დარჩენილიყვნენ მეფეების, ეპისკოპოსების და ფეოდალ-მემამულეების ქვეშევრდომებად? თუ გერმანიაში ლუთერანობა მოხერხებულ იარაღს წარმოადგენდა გერმანიის წვრილი მთავრების ხელში, კალვინიზმმა დაარსა რესპუბლიკა ჰოლანდიაში და ძლიერი რესპუბლიკური პარტიები ინგლისში და განსაკუთრებით შოტლანდიაში.

კალვინიზმში ბრძოლის მზამზარეული თეორია ჰპოვა ბურჟუაზიის მეორე დიდმა აჯანყებამ. ეს აჯანყება მოხდა ინგლისში. მას პირველი ბიძგი მისცა ქალაქის ბურჟუაზიამ, ხოლო საშუალო გლეხებმა, სოფლის ოლქების იომენრიებმა (yeomanry) გამარჯვება მოიპოვეს.

ფრ. ენგელსი. შესავალი ინგლისური გამოცემისათვის, „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ". გვ. 25—26.

ქრისტიანული სექტანტობა

ცნობილია ფაქტი გლეხთა შორის სექტანტობისა და რაციონალიზმის ზრდისა, ხოლო პოლიტიკური პროტესტის გამოხატვა რელიგიური საფარველით — ეს ისეთი მოვლენაა, რომელიც განვითარების გარკვეულ საფეხურზე ყველა ხალხს მოსდგამს და არა მხოლოდ რუსეთს. ამრიგად, რევოლუციური ელემენტების არსებობა გლეხობაში ყოველ ეჭვს გარეშეა. ჩვენ სრულიადაც არ ვაზვიადებთ ამ ელემენტების ძალებს, არ ვივიწყებთ გლეხების პოლიტიკურ განუვითარებლობასა და სიბნელეს, სრულიადაც არ ვცდილობთ წავშალოთ ის განსხვავება, რომელიც არსებობს „უაზრო და შეუბრალებელ რუსულ ბუნტსა“ და რეოლუციურ ბრძოლას შორის, სრულიადაც არ ვივიწყებთ იმას, რა უამრავი საშუალება მოეპოვება მთავრობას გლეხების პოლიტიკურად მოსატყუებლად და გასარყვნელად. მაგრამ ყოველივე ამიდან მხოლოდ ის გამომდინარეობს, რომ უგნურება იქნებოდა რევოლუციური მოძრაობის მ ა ტ ა რ ე ბ ლ ა დ გლეხობა გამოგვეცხადებინა, სიგიჟეს ჩაიდენდა ის პარტია, რომელიც თავისი მოძრაობის რევოლუციურობის პ ი რ ო ბ ა დ გლეხობის რევოლუციურ განწყობილებას მ ი ი ჩ ნ ე ვ დ ა. ჩვენ არც ვფიქრობთ რაიმე ამის მსგავსი ვურჩიოთ რუს სოციალ-დემოკრატებს. ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ მუშათა პარტიას არ შეუძლია, მარქსიზმის ძირითად ანდერძთა დაურღვევლად და უდიდესი პოლიტიკური შეცდომის დაუშვებლად, გ ვ ე რ დ ი ა უ ა რ ო ს იმ რევოლუციურ ელემენტებს, რომლებიც გლეხობაშიც მოიპოვება, არ შეუძლია არ დაუჭიროს მხარი იმ ელემენტებს.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი“. თხზ., ტ. 4, გვ. 292.

იღებს რა მხედველობაში, რომ სექტანტური მოძრაობა რუსეთში მრავალი თავისი გამოვლინებით წარმოადგენს რუსეთის ერთ-ერთ დემოკრატიულ მიმდინარეობას, II ყრილობა მიაქცევს პარტიის ყველა წევრის ყურადღებას სექტანტთა შორის მუშაობაზე იმ მიზნით,

რომ ისინი მოზიდულ იქნან სოციალ-დემოკრატიის მხარეზე. ცდის სახით, ყრილობა ნებას რთავს ამხ. ვ. ბონჩ-ბრუევიჩს გამოსცეს, ცენტრალური ორგანოს რედაქციის კონტროლით, პოპულარული გაზეთი „ს რ ე დ ი ს ე ქ ტ ა ნ ტ ო ვ“ და ავალებს ცენტრალურ კომიტეტს და ცენტრალური ორგანოს რედაქციას მიიღონ საჭირო ზომები ამ გამოცემის განხორციელებისა და წარმატებისათვის და მისი სწორი ფუნქციონირების პირობის განსაზღვრისათვის.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „პროექტი რეზოლუციისა სექტანტებისათვის ორგანოს გამოცემის შესახებ“. თხზ., ტ. 6. გვ. 589.

სამწუხაროდ, „რასსვეტის“[1] დასაცავად მე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. დღემდე ეს ცდა სავსებით გამართლებულად მართლაც ვერ ჩაითვლება. ბონჩ-ბრუევიჩი გამოუცდელი ლიტერატორია და მას შეეძლო სხვა პარტიულ ლიტერატორთა დახმარების იმედი ჰქონოდა. ეს დახმარება მან ვერ მიიღო, და ასეთ პირობებში წარუმატებლობისათვის მთელი პასუხიმგებლობის მარტო მისთვის დაკისრება უსამართლობაა. ჯერჯერობით მხოლოდ ხუთი თვე გავიდა გამოცემის დაწყების დროიდან. შესაძლოა, ორგანომ ჯერ კიდევ შესძლოს ფეხზე დადგომა, განსაკუთრებით, თუ მას სხვა ლიტერატორები დაეხმარებიან. ცოტა რამ მაინც გაკეთებულია: სექტანტთა შორის კავშირი ფართოვდება ამერიკაშიც და რუსეთშიც. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ფულის მხრივ ეს გამოცემა პარტიას არ აწვება კისერზე, რადგან „რასსვეტი“ ცალკე სახსრებით იცემა. „რასსვეტის“ დახურვა ნაადრევად მიმაჩნია და წინადადებას ვიძლევი განვაგრძოთ ცდა.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „სიტყვა გაზეთ „რასსვეტის“ შესახებ. 5(18) ივნისი“. თხზ., ტ. 7. გვ. 552.

ამიტომ ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა — განვუმარტოთ პროლეტარიატს საქმის ვითარება, გავაფართოოთ და, მუშების აქტიური მონაწილეობით, მხარი დავუჭიროთ ყოველგვარ ლიბერალურ და დემოკრატიულ პროტესტს, სულ ერთია რა იწვევს მას: ერობელთა შეტაკება შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, თავადაზნაურებისა — პოლიციური მართლმადიდებლობის უწყებასთან, სტატისტიკოსებისა — პომპადურებთან[2], გლეხებისა — „ერობის ჩაფრებთან“, სექტანტებისა — პოლიციელებთან და სხვ. და სხვ... ვინც ათვალწუნებით იჭმუხნება ზოგიერთი ამ შეტაკების უმნიშვნელობის ან მათი საერთო ხანძრად გადაქცევის „უიმედობის“ გამო, მას არ ესმის, რომ ყოველმხრივი პოლიტიკური აგიტაცია სწორედ ის ფოკუსია, სადაც პროლეტარიატის პოლიტიკური აღზრდის არსებითი ინტერესები ემთხვე-

ვა მთელი საზოგადოებრივი განვითარების და მთელი ხალხის, — მისი ყველა დემოკრატიული ელემენტის სახით, — არსებითს ინტერესებს. ჩვენი პირდაპირი მოვალეობაა — ჩავერიოთ ყოველგვარ ლიბერალურ საკითხში, განვსაზღვროთ ჩვენი, სოციალ-დემოკრატიული, დამოკიდებულება მისდამი, მივიღოთ ზომები იმისათვის, რომ პროლეტარიატი აქტიურად მონაწილეობდეს ამ საკითხის გადაჭრაში და ეცადოს მისებურად გადაჭრან იგი. ვინც ასეთ ჩარევას თავს არიდებს, ის სინამდვილეში (როგორიც უნდა იყოს მისი განზრახვა) ქედს იხრის ლიბერალიზმის წინაშე და ხელში უგდებს მას მუშების პოლიტიკური აღზრდის საქმეს, პოლიტიკური ბრძოლის ჰეგემონიას უთმობს ისეთ ელემენტებს, რომელნიც საბოლოო ანგარიშში ბურჟუაზიული დემოკრატიის მეთაურებს წარმოადგენენ.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „პოლიტიკური აგიტაცია და კლასობრივი მსოფლმხედველობა". თხზ., ტ. 5. გვ. 423—424.

სოციალ-დემოკრატი რომ გახდეს, მუშამ ნათლად უნდა წარმოიდგინოს მემამულისა და ხუცის, დიდი კაცისა და გლეხის, სტუდენტისა და მაწანწალის ეკონომიკური ბუნება და სოციალურ-პოლიტიკური სახე, უნდა იცოდეს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, უნდა ერკვეოდეს იმ გაცვეთილ ფრაზებსა და ყოველგვარ სოფიზმებში, რომლებითაც ჰ ფ ა რ ა ვ ს თვითეული კლასი და თვითეული ფენა თავის ეგოისტურ ზრახვებს და თავის ნამდვილ „ბუნებას", უნდა ერკვეოდეს იმაში, თუ რომელი დაწესებულებანი და კანონები ასახავენ და სახელდობრ როგორ ასახავენ ამა თუ იმ ინტერესებს. ამ „ნათელ წარმოდგენას" კი ვერ ამოიღებ ვერავითარი წიგნიდან: მისი მოცემა შეუძლია მხოლოდ ცოცხალ სურათებს და ახალ ნაკვალევთა მიხედვით შედგენილ მხილებას იმისა, რაც ხდება ამა თუ იმ მომენტში ჩვენს ირგვლივ, რაზეც ლაპარაკობენ თავისებურად, ან თუგინდ ჩურჩულებენ ყველანი და თვითეული, რაც გამოიხატება ამა და ამ ამბებში, ამა და ამ ციფრებში, ამა და ამ სასამართლოს განაჩენებში და სხვ. და სხვ. ეს ყოველმხრივი პოლიტიკური მხილებანი წარმოადგენენ მასების რევოლუციური აქტიურობის აღზრდის აუცილებელ და ძ ი რ ი თ ა დ პირობას.

რატომ არის, რომ რუსი მუშა ჯერ კიდევ ნაკლებად იჩენს რევოლუციურ აქტიურობას, როცა ხედავს პოლიციის მიერ ხალხისადმი მხეცურ მოპყრობას, სექტანტების დევნას, გლეხების ცემა-ტყეპას, ცენზურის სისაძაგლეს, ჯარისკაცთა წვალებას, სრულიად უვნებელ კულტურულ წამოწყებათა დევნას და სხვ.? იმიტომ ხომ არა, რომ ამის „ბიძგს" არ აძლევს მას „ეკონომიური ბრძოლა", რომ მას ეს

ნაკლებად „უქადის ხელშესახებ შედეგებს“, ნაკლებად აძლევს „დადებითს“? არა, ასეთი შეხედულება არის, ვიმეორებთ, მხოლოდ ცდა თავისი შეცდომების სხვებისთვის გადაბრალებისა, ცდა თავისი საკუთარი ფილისტერობა (იგივე ბერნშტეინელობა) მოახვიო თავს მუშათა მასას. ჩვენსავე თავს, მასების მოძრაობისაგან ჩვენს ჩამორჩენილობას უნდა დავაბრალოთ, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელი მოგვეწყო ყველა ამ სისაძაგლის საკმაოდ ფართო, მკაფიო და სწრაფი მხილებანი. ეს რომ ჩვენ გავაკეთოთ (ხოლო ჩვენ ეს უნდა გავაკეთოთ და შეგვიძლია კიდევაც გავაკეთოთ), — სულ უბრალო მუშაც კი შეიგნებს ან იგრძნობს, რომ სტუდენტსა და სექტანტს, გლეხსა და მწერალს ლანძღავს და შეურაცხჰყოფს სწორედ ის ბნელი ძალა, რომელიც ასე ძლიერ ჩაგრავს და სულს უხუთავს მას მისი ცხოვრების ყოველ ნაბიჯზე; ხოლო როცა ამას იგრძნობს, მოინდომებს, თავშეუკავებლად მოინდომებს ფვითონაც გამოეხმაუროს ყოველსავე ამას; ის შესძლებს მაშინ — დღეს ქვეილ-ხვეილი აუტეხოს ცენზორებს, ხვალ დემონსტრაცია გამართოს გლეხთა აჯანყების ჩამქრობი გუბერნატორის სახლის წინ, ზეგ ჭკუა ასწავლოს იმ ანაფორიან ქანდარმებს, რომლებიც წმინდა ინკვიზიციის საქმეებს აკეთებენ, და სხვ. ჩვენ ჯერ კიდევ ძლიერ ცოტა, თითქმის არაფერი გაგვიკეთებია იმისათვის, რომ მუშათა მასებში გადავისროლოთ ყოველმხრივი და ახალ-ახალი მხილებანი. ბევრ ჩვენგანს ჯერ შეგნებულიც კი არა აქვს ეს თავისი მოვალეობა და სტიქიურად ბისჩანჩალებს „ჩვეულებრივ მიმდინარე ბრძოლას“ საფაბრიკო ყოფაცხოვრების ვიწრო ფარგლებში.

ვ. ი. ლენინი, რა ვაკეთოთ? თხზ., ტ. 5. გვ. 520—521.

აღმოსავლეთის რელიგიები

1. ისლამი და იუდაიზმი

...გუშინ მე წავიკითხე ის წიგნი არაბული წარწერების შესახებ, რომელზედაც გელაპარაკებოდი. იგი ინტერესსმოკლებული არაა, თუმცა ზიზღის გამომწვევია იმ მხრივ, რომ ყოველ სტრიქონში მოსჩანს ხუცესი და ბიბლიის დამცველი. თავის უდიდეს ტრიუმფად ავტორი სთვლის იმას, რომ მან შესძლო აღმოეჩინა გიბონის რამდენიმე შეცდომა ძველ გეოგრაფიაში, საიდანაც იგი აკეთებს დასკვნას რომ გიბონის თეოლოგიაც ყოვლად უვარგისიაო. წიგნს ეწოდება: „არაბეთის ისტორიული გეოგრაფია, შედგენილი მისი ღირსების ჩარლზ ფორსტერის მიერ". აქედან ყველაზე უფრო საინტერესო დასკვნები შემდეგია:

1. დაბადებაში მოცემული გენეალოგია, რომელიც არის ვითომ გენეალოგია ნოესი, აბრაამის და ა. შ., წარმოადგენს მაშინდელი ბედუინთა ტომების საკმაოდ ზედმიწევნილ ჩამოთვლას მათი დიალექტების მეტნაკლები ნათესაობის მიხედვით. ბედუინთა ტომები თავიანთ თავს, როგორც ცნობილია, დღემდე უწოდებენ: ბენი სალედ, ბენი იუსუფ და ა. შ., ე. ი. შვილებს ამისა და ამისა. ასეთ სახელწოდებებს, რომელნიც ძველპატრიარქალური წყობიდან გამომდინარეობენ, მიეყევართ ბოლოს და ბოლოს ამგვარ გენეალოგიასთან. დაბადებაში მოცემული გვართა ჩამოთვლა მეტნაკლებ დადასტურებულია ძველი გეოგრაფების მხრივ, ხოლო უახლესი მოგზაურები მოწმობენ, რომ ძველი სახელები, თუმცა ადგილობრივი დიალექტების შესაბამისად შეცვლილი, მეტწილად დღემდეც განაგრძობს არსებობას. ამასთან აშკარავდება, რომ თვით ებრაელები ისეთსავე ბედუინთა წვრილ ტომებს წარმოადგენენ, როგორც სხვა ყველანი, მაგრამ ადგილობრივი პირობებისა, მიწათმოქმედებისა და სხვ. გამო ამ ტომებს შეჯახება მოუხდათ სხვა ბედუინებთან.

2. არაბთა დიდი შესევის შესახებ, რაზედაც ჩვენ წინათ ვლაპარაკობდით, ირკვევა, რომ ბედუინები, ისე როგორც მონღოლები, პერიოდულად აწარმოებდნენ შესევას, რომ ასირეთის და ბაბილონის სა-

მეფოები დაარსებული იყო ბედუინთა ტომების მიერ იმავე ადგილას, სადაც შემდეგში წარმოიშვა ბაღდადის ხალიფატი. ბაბილონის სამეფოს დამაარსებელნი, ქალდეელები, დღესაც კიდევ განაგრძობენ არსებობას იმავე ადგილას იმავე ბენი ქალედ-ის სახელწოდებით. დიდი ქალაქების: ნინევიისა და ბაბილონის სწრაფი წარმოშობა ზედმიწევნით ისე მოხდა, როგორც 300-ოდე წლის წინათ უზარმაზარი ქალაქების: აგრის, დელის, ლაჰორის, მუტანის შექმნა აღმოსავლეთ-ინდოეთში ავღანთა ანუ თათართა ტომების შესევის შედეგად. ამგვარად, მაჰმადიანთა შესევა მნიშვნელოვნად ჰკარგავს თავის განსაკუთრებული მოვლენის ხასიათს.

3. იქ, სადაც არაბები მკვიდრბინადრულად ცხოვრობდნენ — სამხრეთ-დასავლეთით — ისინიც, ეტყობა, ისეთ ცივილიზებულ ხალხს წარმოადგენენ, როგორც ეგვიპტელები, ასირიელები და ა. შ., ამას ამტკიცებენ მათი ნაგებობანი. ეს ზოგ რამეს გვიხსნის აგრეთვე მაჰმადიანთა შესევის საქმეშიც. რაც შეეხება რელიგიურ მატყუარობას, ძველი სამხრეთ-არაბეთის წარწერებიდან, რომლებშიც ჯერ კიდევ ჭარბად ჩანს ძველებური, ეროვნულ-არაბული ტრადიცია მონოთეიზმისა (როგორც ამერიკის ინდიელებში), სადაც ებრაული მონოთეიზმი მხოლოდ პატარა ნაწილია, — ამ ძველი წარწერებიდან გამომდინარეობს, რომ მაჰმადის რელიგიური რევოლუცია, ისე როგორც ყოველი რელიგიური რევოლუცია, წარმოადგენდა, როგორც ეტყობა, ფორმალურ რეაქციას, ეითომდა უკუდაბრუნებას ძველისაკენ, შარტივისაკენ.

ახლა ჩემთვის სავსებით ნათელია, რომ ებრაელთა ეგრეთწოდებული საღმრთო წერილი სხვა არას წარმოადგენს, თუ არ ძველ არაბთა რელიგიური და სატომგვარეულო ტრადიციის ჩანაწერებს, რომელსაც სახეცვლა აქვს მიღებული იმის გამო, რომ ებრაელები ადრე განცალკევდნენ თავიანთ ტომობრივ ნათესავთა, მაგრამ მომთაბარედ დარჩენილ მეზობელთაგან. ის გარემოება, რომ პალესტინას არაბთა მხარეზე აკრავს ნამდვილი უდაბნო, ბედუინთა ქვეყანა, — გვიხსნის ამ განსაკუთრებულ განვითარებას. მაგრამ ძველარაბული წარწერები, ტრადიციები და ყურანი, აგრეთვე ის სიადვილე, რომლითაც ხერხდება ყველა გენეალოგიის და სხვ. გახსნა, ამტკიცებს იმას, რომ ძირითადი შინაარსი იყო არაბული ანუ, უფრო სწორად, საერთო სემიტური, ისე როგორც ჩვენში მსგავს მოვლენას ჰქონდა ადგილი „ედასა“ და გერმანულ საგმირო თქმულებებში.

შენი ფ. ე.

ფრ. ენგელსი — მარქსს. დაახლოებით 26 მაისი 1853 წ. წერილები, გვ. 71—72.

„... შენი წერილი ებრაელებისა და არაბების შესახებ ჩემთვის დიდად საინტერესო იყო. სხვათა შორის: 1) ყველა აღმოსავლურ ტომთ შორის ისტორიის დასაწყისიდანვე ვამჩნევთ საერთო თანაფარდობას მათი ერთი ნაწილის მკვიდრბინადრობასა და მეორე ნაწილის მიერ განგრძობილ მომთაბარობას შორის. 2) მაჰმადის დროს ევროპიდან აზიაში მიმავალი სავაჭრო გზა ძალიან შეიცვალა, და არაბეთის ქალაქები, რომლებიც წინათ დიდ მონაწილეობას იღებდნენ ინდოეთთან ვაჭრობაში და ა. შ., ვაჭრობის მხრივ დაცემულობას განიცდიდნენ; ამანაც, რასაკვირველია, ბიძგი მისცა. 3) რაც შეეხება რელიგიას, ეს საკითხი შეიძლება დაყვანილ იქნეს საერთო საკითხზე, რომლის პასუხის გაცემა ადვილია: რატომ გვეჩვება აღმოსავლეთის ისტორია რელიგიების ისტორიად?

აღმოსავლეთის ქალაქების წარმოშობის შესახებ იმაზე უფრო თვალსაჩინოს და ბრწყინვალეს ვერაფერს წაიკითხავს ადამიანი, როგორიც არის ძველი ფრანსუა ბერნიეს წიგნი (იგი 9 წელიწადს ექიმად იყო აურენგზებთან): „მოგზაურობანი, რომელნიც შეიცავენ დიდი მოგოლის სამფლობელოთა აღწერას და ა. შ.“ ის აგრეთვე ძალიან კარგად ასწერს სამხედრო საქმის მდგომარეობას, ამ დიდი არმიების კვების ორგანიზაციას და სხვ. ორივეს შესახებ იგი აღნიშნავს, სხვათა შორის: „კავალერია შეადგენს მთავარ ნაწილს, ქვეითი ჯარი ისე მრავალრიცხოვანი არაა, როგორც ხმა დადის, უკეთუ ნამდვილ მეომრებს არ შევურევთ ყველა იმ მოსამსახურეებსა და ვაჭრებს, რომელნიც უკან მიჰყვებიან არმიას. თუ ყველას ჩავთვლით, მაშინ სწორი იქნება ორასი და სამასი ათასი კაციც ვიანგარიშოთ მარტო იმ არმიაში, რომელიც მეფესთან არის; ზოგჯერ მასში მეტიც არის, მაგალითად, იმ შემთხვევებში, როდესაც ვარაუდობენ, რომ მეფე დიდიხნით სტოვებს დედაქალაქს. ყველაფერი ეს ისე ძალიან აღარ გააკვირვებს იმას, ვინც იცის, რაოდენ დიდია აქ კარავთა რაოდენობა, რამდენია სამზარეულოები, ტანსაცმელი, ავეჯი და ბარგი-ბარხანა, რა ბლომად არიან ზოგჯერ ქალებიც და, მაშასადამე, აგრეთვე სპილოები, აქლემები, ხარები, ცხენები, მებარგულნი, საკვებისა და სურსათის მიმწოდებელნი, ყოველგვარი ვაჭრები, მოსამსახურეები, რომელნიც მიჰყვებიან ამ არმიებს; ყველა ეს უცნაურად არ ეჩვენება იმას, ვინც გაცნობილია ქვეყნის მდგომარეობასა და თავისებურ მმართველობას, ვინც უწყის, რომ მეფე ერთადერთი მესაკუთრეა ყველა მიწისა მთელ სახელმწიფოში, საიდანაც აუცილებლად გამომდინარეობს ის, რომ მთელი დედაქალაქები, როგორიცაა დელი ან აგრა, თითქმის მხოლოდ და მხოლოდ ლაშქრის ხარჯზე ცხოვრობენ და ამიტომ იძულებული არიან გაჰყვნენ მეფეს, როდე-

საც ის ლაშქრობაში მიემგზავრება რამდენიმე ხნით. ეს ქალაქები სრულიად არ ჰგვანან პარიზს, არსებითად ისინი სამხედრო ბანაკებს წარმოადგენენ, მხოლოდ რამდენადმე უფრო უკეთ და კეთილმოწყობილად გამართულს, ვიდრე ის ბანაკებია, რომლებიც ტრიალ მინდვრებში არის ხოლმე გაშლილი".

დიდი მოგოლის 400 000 კაცით კავშირში გალაშქრების გამო იგი ამბობს შემდეგს: „ძნელია იმის გაგება, თუ საიდან და როგორ შოულობს ლაშქრობის დროს საკვებსა და სარჩოს ასეთი უზარმაზარი არმია, ადამიანთა და ცხოველთა ასეთი დიდი რაოდენობა. ამის გასაგებად საჭიროა იგულისხმოთ, რაც სრულიად სიმართლეა, რომ ინდოელები ძალიან უბრალონი და ზომიერნი არიან ჭამაში და რომ მხედართა ამ დიდი რიცხვიდან ერთი მეათედიც ანდა მეოცედიც არ სჭამს ლაშქრობაში ხორცს; ოღონდ მათ გააჩნდეთ მათი კიჩერი, ე. ი. მოხარშული ბრინჯი, ჭწვანილშერეული და ერბომოსხმული, და ისინი კმაყოფილნი არიან. შემდეგ, უნდა ვიცოდეთ, რომ აქლემები ძალიან გამძლენი არიან მუშაობაში და ადვილად იტანენ შიმშილსა და წყურვილს; მათ საჭმელი ცოტა სჭირდებათ, და სჭამენ ყველაფერს: როდესაც სადგომ ადგილებში შეჩერდებიან, მწყემსები გაუშვებენ აქლემებს საძოვრად ახლომახლო, და ისინი სჭამენ ყველაფერს, რასაც იშოვნიან. გარდა ამისა, ვაჭრები, რომლებსაც საავაჭროები აქვთ გახსნილი დელიში, ვალდებული არიან ასეთი საავაჭროები ჰქონდეთ გახსნილი ლაშქრობაშიც, ასევე წვრილი ვაჭრებიც და სხვ... ბოლოს, რაც შეეხება საკვებს, ყველა ეს საწყალი ხალხი გაიფანტება ახლობელ სოფლებში, რათა იყიდოს იქ რამე და მოიგოს რამ ამ გზით. მათი ყველაზე მთავარი და ჩვეულებრივი საქმიანობა ის არის, რომ ისინი მინდვრებში ერთგვარი ქაფჩით აგროვებენ მჭკნარ ბალახს. ბერტყენ და რეცხენ მას და მოაქვთ შემდეგ არმიაში გასაყიდად"...

ბერნიე მთელი აღმოსავლური მოვლენების ძირითად ფორმას სამართლიანად იმაში ხედავს, რომ აღმოსავლეთში (მას მხედველობაში აქვს თურქეთი, სპარსეთი, ჰინდუსტანი) მიწაზე კერძო საკუთრება არ არსებობდა. ეს ნამდვილი გასაღებია თვით აღმოსავლური ზეციისათვისაც...

კ. მარქსი — ფრ. ენგელსს. 2 ივნისი 1853 წ.
კ. მარქსის და ფრ. ენგელსის წერილები, გვ. 73—74.

...მიწის საკუთრების არარსებობა მართლა გასაღებს წარმოადგენს მთელი აღმოსავლეთისათვის. ამაშია მთელი პოლიტიკური და რელიგიური ისტორიის ფუძე. მაგრამ როგორ მოხდა, რომ აღმოსავლეთის ხალხებმა ვერ მიაღწიეს მიწის საკუთრებას, ფეოდალურ საკუთრე-

ბასაც კი? მე მგონია, რომ ეს აიხსნება უმთავრესად ჰავითა და ნიადაგის ხასიათით, განსაკუთრებით უდაბნოთა იმ დიდი ზოლით, რომელიც, საჰარიდან დაწყებული, გაივლის არაბეთს, სპარსეთს, ინდოეთს და სათათრეთს. აზიის უმაღლესი ვითების მასივებამდე, მიწათმოქმედების პირველ პირობას აქ ხელოვნური მორწყვა წარმოადგენს, ხოლო ეს შეადგენს ან სათემო საქმეს, ან პროვინციების, ან ცენტრალური მთავრობის საქმეს. მთავრობას აღმოსავლეთში ყოველთვის სამი უწყება ჰქონდა: ფინანსები (ძარცვა ქვეყნის შიგნით), ომი (ძარცვა ქვეყნის შიგნით და უცხო ქვეყნებისა) და საზოგადოებრივი სამუშაოები (ზრუნვა რეპროდუქციისათვის). ბრიტანეთის მთავრობამ ინდოეთში № 1-ის და № 2-ის ორგანიზაცია განახორციელა, მისცა რა მათ ერთგვარი ფილისტერული ხასიათი, ხოლო № 3 სრულიად უყურადღებოდ დასტოვა. რის შედეგად ინდოეთის მიწათმოქმედება იღუპება. თავისუფალმა კონკურენციამ იქ თავი სრულიად შეირცხვინა. მიწის ეს ხელოვნური განაყოფიერება, რომელიც დაუყოვნებლივ სწყდებოდა, როგორც კი მორწყვის სისტემა მოიშლებოდა, გვიხსნის იმ — სხვაფრივ გაუგებარ — ფაქტს, რომ მთელი ოლქები, რომლებიც წინათ მშვენივრად იყო დამუშავებული, დღეს მიგდებულია და უდაბნოდ არის გადაქცეული (პალმირა, პეტრა, ნანგრევები იემენში და რიგი ადგილები ეგვიპტეში, სპარსეთსა და ჰინდუსტანში). ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ საკმარისი იყო ხოლმე ერთი გამანადგურებელი ომი, რომ გაეუკაცურებია ქვეყანა და მოესპო მისი ცივილიზაცია ასეული წლების მანძილზე. ამავე ჯგუფის მოვლენებს მიეკუთვნება, ჩემი აზრით, სამხრეთ-არაბეთის ვაჭრობის მოსპობაც, რომელიც მოხდა მაჰმადის წინა ეპოქაში და რომელსაც შენ სრულიად სამართლიანად სთვლი მაჰმადიანური რევოლუციის მთავარ მომენტად. მე არ ვარ საკმაოდ გაცნობილი პირველი ექვსი ქრისტიანული საუკუნის ვაჭრობის ისტორიას, რათა შემეძლოს განვსაჯო, თუ რამდენად აუცილებელჰყვეს საერთო მსოფლიო მატერიალურმა პირობებმა უპირატესობა მისცემოდა სპარსეთით შავი ზღვისაკენ და სპარსეთის ყურეთი სირიისა და მცირე აზიისაკენ მიმავალ სავაჭროს გზას წითელი ზღვით მომავალი გზის წინაშე. მაგრამ ყოველ შემთხვევაში მცირე მნიშვნელობა არ ჰქონდა იმ გარემოებას, რომ სასანიდთა სპარსეთის მოწესრიგებულ სამეფოში ქარავნები უშიშრად დადიოდნენ, მაშინ როდესაც იემენი 200-დან 600 წლამდის თითქმის განუწყვეტლივ განიცდიდა დაპყრობას აბისინიელების მხრივ, რომელნიც თავს ესხმოდნენ და სძარცვავდნენ ქვეყანას. სამხრეთ-არაბეთის ქალაქები, რომელნიც ჯერ კიდევ ჰყვაოდნენ რომაელების დროს, VII საუკუნეში ნანგრევების უდაბნოს წარმოადგე-

ნდნენ. მეზობელმა ბედუინებმა ამ 500 წლის მანძილზე წმინდა მითური, ზღაპრული ლეგენდები შეჰქმნეს მათი წარმოშობის შესახებ (იხ. ყურანი და არაბი ისტორიკოსი ნოვაირი), ხოლო ანბანი, რომლითაც წარწერები იყო შესრულებული ამ ქალაქებში, თითქმის სრულიად უცნობი შეიქნა, თუმცა სხვა ანბანი არ არსებობდა, ასე რომ ფაქტიურად წერა დავიწყებას იყო ჰიცემული. ასეთი მოვლენები გვაფიქრებინებენ, რომ იმ დაცემულობის გვერდით, რომელიც შესაძლებელია საერთო სავაჭრო პირობებით იყო გამოწვეული, მომხდარი იყო პირდაპირი ძალადობითი განადგურებაც, რომელიც მხოლოდ ეთიოპიელთა შესევით შეიძლება აიხსნას. აბისინიელთა განდევნა მოხდა 40 წლით ადრე მაჰმადამდე; იგი, ცხადია, არაბთა ეროვნული გრძნობის გამოფხიზლების პირველი აქტი იყო, რასაც კიდევ მეტი აღტყინება ეძლეოდა ჩრდილოეთის მხრიდან სპარსელების შესევით, რომელთაც თითქმის მექამდის მიაღწიეს. თვით მაჰმადის ისტორიის შესწავლას მე ამ დღეებში შევუდგები. მანამდე კი მე მგონია, რომ ეს ისტორია ბედუინთა იმ რეაქციის ხასიათს ატარებს, რომელიც მიმართულია მკვიდრდასახლებულ, მაგრამ სულ უფრო და უფრო დაქვეითებისაკენ დაქანებულ ქალაქელ ფელახთა წინააღმდეგ, რელიგიურადაც რომ რღვევის პროცესში იყვნენ და ბუნების კულტის ნაშთებს რომ დაცემულ იუდეველობასა და ქრისტიანობაში ურევდნენ.

ნაწყვეტები ძველი ბერნიეს ნაწერიდან მართლა მშვენიერია. რა ძალიან სასიამოვნოა, როცა კვლავ კითხულობ ადამიანი რამეს, ძველი, ფხიზელი, საღ-მოაზროვნე ფრანგის მიერ დაწერილს, რომელიც ნასროლს ყოველთვის მიზანში ახვედრებს, თუმცა თვითონ არავის აგრძნობინებს, რომ იგი ამას ამჩნევს...

ფრ. ენგელსი — მარქსს. 6 ივნისი 1853 წ.
კ. მარქსის და ფრ. ენგელსის წერილები, გვ. 75—76.

ათეიზმის და თავისუფალი აზროვნების ისტორია

1. ათეიზმი ძველ დროში

ისტორია საფუძვლიანია და მრავალ ფაზას გადის, როდესაც მას ძველი ფორმა სამარეში მიაქვს. მსოფლიო-ისტორიული ფორმის უკანასკნელი ფაზა კომედიაა. საბერძნეთის ღმერთები, რომლებიც ერთხელ უკვე ტრაგიკულად სასიკვდილოდ დაიჭრნენ ესქილეს „მიჯაჭვულ პრომეთეოსში", კიდევ ერთხელ კომიკურად უნდა დახოცილიყვნენ ლუკიანის საუბრებში.

კ. მარქსი. ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი. გვ. 9.

2. ფილოსოფიური მატერიალიზმის ისტორია — თავისუფალმოაზროვნეობის და ათეიზმის ისტორია

ფრანგი მატერიალისტების ათეიზმი

„თუ ზუსტად და პროზაული აზრით ვიტყვით, XVIII საუკუნის ფრანგული განმანათლებლობა და განსაკუთრებით ფრანგული მატერიალიზმი იყო არა მხოლოდ ბრძოლა არსებული პოლიტიკური დაწესებულებების წინააღმდეგ, ისევე როგორც არსებული რელიგიისა და თეოლოგიის წინააღმდეგ, არამედ იგი იყო აგრეთვე აშკარა, ნათლად გამოხატული ბრძოლა XVII საუკუნის მეტაფიზიკისა და ყოველგვარი მეტაფიზიკის წინააღმდეგ, განსაკუთრებით დეკარტის, მალბრანშის, სპინოზას და ლაიბნიცის მეტაფიზიკის წინააღმდეგ. ფილოსოფია დაუპირისპირეს მეტაფიზიკას, ისევე როგორც ფოიერბახმა ჰეგელის წინააღმდეგ თავის პირველ გადამწყვეტ გალაშქრებაში ფხიზელი ფილოსოფია მთვრალ სპეკულაციას დაუპირისპირა.

XVII საუკუნის მეტაფიზიკამ, რომელიც XVIII საუკუნის ფრანგული განმანათლებლობისა და განსაკუთრებით ფრანგული მატერიალიზმის მიერ დამარცხებულ იქნა, თავისი ძლევამოსილი და შინაარსით აღსავსე რესტავრაცია განიცადა გერმანულ ფილოსოფიაში და განსაკუთრებით XIX საუკუნის სპეკულაციურ გერმანულ ფილოსოფიაში. მას შემდეგ, რაც ჰეგელმა ეს მეტაფიზიკა გენიალურად შეუერთა მთელ შემდგომ მეტაფიზიკასა და გერმანულ იდეალიზმს და მეტაფიზიკური უნივერსალური სამეფო დააარსა, თეოლოგიაზე თავდასხმას კვლავ შეესაბამებოდა, ისევე როგორც XVIII საუკუნეშიც, თავდასხმა სპეკულაციურ მეტაფიზიკაზე და ყოველგვარ მეტაფიზიკაზე საერთოდ. თეოლოგიას ერთხელ და სამუდამოდ დაამარცხებს მატერიალიზმი, რომელმაც ახლა თვით სპეკულაციის მუშაობის წყალობით თავის დასრულებას მიაღწია და რომელიც ჰუმანიზმს ემთხვევა. მაგრამ როგორც თეორიულ დარგში ფოიერბახი გამოხატავდა მატერიალიზს, რომელიც ჰუმანიზმს ემთხვევა, ასევე პრაქტიკულ დარგში ამ მატერიალიზმს გამოხატავდნენ ფრანგული და ინგლისური სოციალიზმი და კომუნიზმი.

„თუ ზუსტად და პროზაული აზრით ვიტყვით", არსებობს ფრანგული მატერიალიზმის ორი მიმართულება: ერთი მომდინარეობს დეკარტიდან, მეორე — ლოკიდან. მატერიალიზმის უკანაკნელი მიმართულება წარმოადგენს, უპირატესად, ფრანგულ საგანმანათლებლო ელემენტს და პირდაპირ ერთვის სოციალიზმს. პირველი, მექანიკური მატერიალიზმი გადადის ფრანგულ ბუნებისმეტყველებაში ამ სიტყვის ნამდვილი აზრით. განვითარების მსვლელობაში ორივე მიმართულება ჯვარედინდება. ჩვენთვის საჭირო არ არის დაწვრილებით განვიხილოთ ფრანგული მატერიალიზმი, რომელიც უშუალოდ დეკარტიდან მომდინარეობს. სწორედ ასევე საჭირო არაა შევჩერდეთ ნიუტონის ფრანგულ სკოლაზე და საერთოდ ფრანგული ბუნებისმეტყველების განვითარებაზე.

ამიტომ აღვნიშნავთ მხოლოდ შემდეგს:

თავის ფიზიკაში დეკარტმა მატერიას მიანიჭა თვითშემოქმედებითი ძალა და მექანიკურ მოძრაობას იგი განიხილავდა როგორც მატერიის სიცოცხლის გამოვლენას. მან თავისი ფიზიკა მთლიანად გამოყო თავისი მეტაფიზიკისა-

გან. მისი ფიზიკის ფარგლებში მატერია არის ერთადერთი სუბსტანცია, ყოფიერებისა და შემეცნების ერთადერთი საფუძველი.

მექანისტური ფრანგული მატერიალიზმი მიემხრო დეკარტის ფიზიკას მისი მეტაფიზიკის საწინააღმდეგოდ. მისი მოწაფეები პროფესიით იყვნენ ანტიმეტაფიზიკოსები, სახელდობრ — ფიზიკოსები.

ამ სკოლას საფუძველს უყრის ექიმი ლერუა, ექიმ კაბანისის სახით ეს სკოლა თავის კულმინაციურ წერტილს აღწევს, ექიმი ლამეტრი მისი ცენტრია. დეკარტი ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, როცა ლერუამ ცხოველის დეკარტისეული კონსტრუქცია გადაიტანა ადამიანზე (რაღაც ამის მსგავსი XVIII საუკუნეში გააკეთა ლამეტრიმ) და სული გამოაცხადა სხეულის მოდესად, იდეები კი — მექანიკურ მოძრაობებად. ლერუა იმასაც კი ფიქრობდა, რომ დეკარტმა თავისი ნამდვილი აზრი დამალა, დეკარტმა პროტესტი განაცხადა. XVIII საუკუნის დასასრულს კაბანისმა დაამთავრა კარტეზიული მატერიალიზმი თავის წიგნში „ფიზიკურისა და სულიერის თანაფარდობა ადამიანში“[1].

კარტეზიული მატერიალიზმი დღემდე არსებობს საფრანგეთში. მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია მან მექანიკურ ბუნებისმეტყველებაში, რომელსაც ყველაზე ნაკლებ შეიძლება, „თუ ზუსტად და პროზაული აზრით ვიტყვით“ რომანტიკა ვუსაყვედუროთ.

XVII საუკუნის მეტაფიზიკას, რომლის მთავარი წარმომადგენელიც საფრანგეთში დეკარტი იყო, დაბადების დღიდანვე თავის ანტაგონისტად ჰყავდა მატერიალიზმი. მატერიალიზმმა პირადად დეკარტის წინააღმდეგ გაილაშქრა გასენდის სახით, რომელმაც ეპიკურეული მატერიალიზმი აღადგინა: ფრანგული და ინგლისური მატერიალიზმი ყოველთვის ინარჩუნებდა მჭიდრო კავშირს დემოკრატთან და ეპიკურთან. კარტეზიული მეტაფიზიკის მეორე მოწინააღმდეგე იყო ინგლისელი მატერიალისტი ჰობსი. გასენდიმ და ჰობსმა თავიანთი მოწინააღმდეგე გვიან დაამარცხეს, კარგა ხნის შემდეგ მათი გარდაცვალების დღიდან, სწორედ იმ დროს, როცა კარტეზიული მეტაფიზიკა ოფიციალურად უკვე ყველა ფრანგულ სკოლაში ბატონობდა.

ვოლტერმა შენიშნა, რომ XVIII საუკუნის ფრანგების გულგრილობა იეზუიტებსა და იანსენისტებს შორის კამათისადმი გამოწვეული იყო არა იმდენად ფილოსოფიით, რამდენადაც ლოუს ფი-

ნანსური სპეკულაციებით. და მართლაც, XVII საუკუნის მეტაფიზიკის დამხობა მხოლოდ იმდენად შეიძლება აიხსნას XVIII საუკუნის მატერიალისტური თეორიის გავლენით, რამდენადაც თვით ეს თეორიული მოძრაობა მაშინდელი საფრანგეთის ცხოვრების პრაქტიკული ხასიათით აიხსნება. თვით ეს ცხოვრება მომართული იყო უშუალო სინამდვილისა, ამქვეყნიური სიამოვნებისა და ამქვეყნიური ინტერესებისაკენ, მიწიერი სამყაროსაკენ. მის ანტითეოლოგიურ, ანტიმეტაფიზიკურ, მატერიალისტურ პრაქტიკასთან შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ანტითეოლოგიური, ანტიმეტაფიზიკური, მატერიალისტური თეორიები. მეტაფიზიკამ პრაქტიკულად ყოველგვარი ნდობა დაკარგა. ჩვენ აქ მოკლედ უნდა აღვნიშნოთ ამ ევოლუციის მხოლოდ თეორიული მსვლელობა.

XVII საუკუნის მეტაფიზიკა ჯერ კიდევ დადებითი, მიწიერი შინაარსის შემცველი იყო (გავიხსენოთ დეკარტი, ლაიბნიცი და სხვ.). იგი ახდენდა აღმოჩენებს მათემატიკაში, ფიზიკასა და სხვა ზუსტ მეცნიერებებში, რომლებიც თითქოს განუყრელად იყვნენ მასთან დაკავშირებული. მაგრამ უკვე XVIII საუკუნის დასაწყისში ეს მოჩვენებითი კავშირი მოსპობილ იქნა. პოზიტიური მეცნიერებანი მეტაფიზიკას გამოეყვნენ და მათ დამოუკიდებელი დარგები შემოიფარგლეს. მეტაფიზიკის მთელი სიმდიდრე შემოისაზღვრებოდა ახლა მხოლოდ აზროვნებითი არსებებითა და ღვთაებრივი საგნებით, და ეს სწორედ იმ დროს, როცა რეალურმა არსებებმა და ამქვეყნიურმა ნივთებმა მთელი ყურადღება მიიპყრეს. მეტაფიზიკა უგვანო გახდა. იმავე წელს, როცა XVII საუკუნის უკანასკნელი დიდი ფრანგი მეტაფიზიკოსები, მალბრანში და არნო გარდაიცვალნენ, დაიბადნენ ჰელვეციუსი და კონდილიაკი.

ის ადამიანი, რომელმაც XVII საუკუნის მეტაფიზიკას და საერთოდ ყოველგვარ მეტაფიზიკას თეორიულად ყოველგვარი ნდობა დაუკარგა, იყო პიერ ბეილი. მის იარაღს წარმოადგენდა სკეპტიციზმი, რომელიც გამოჭედილი იყო თვით მეტაფიზიკის ჯადოქრული ფორმულებიდან. თვით იგი პირველ ხანებში კარტეზიული მეტაფიზიკიდან ამოდიოდა, როგორც ფოიერბახს სპეკულაციური თეოლოგიის წინააღმდეგ ბრძოლამ ბიძგი მისცა ბრძოლა დაეწყო სპეკულაციური ფილოსოფიის წინააღმდეგ სწორედ იმიტომ, რომ მან სპეკულაციაში თეოლოგიის უკანასკნელი საყრდენი დაინახა და მას თეოლოგები უნდა აეძულებინა მოჩვენებითი მეცნიერებიდან უხეშ, საძაგელ სარწმუნოებას დაბრუნებოდნენ, ზუსტად ასევე ბეილი რელიგიურმა ეჭვმა აიძულა დაეჭვებულიყო მეტაფიზიკაში, რომელიც ამ სარწმუნოების საყ-

რდენს წარმოადგენდა. ამიტომ მან მეტაფიზიკის მთელი ისტორიული განვითარება კრიტიკულად განიხილა. ბეილი მეტაფიზიკის ისტორიკოსი გახდა, რათა ამ მეტაფიზიკის სიკვდილის ისტორია დაეწერა. იგი უმთავრესად სპინოზასა და ლაიბნიცის წინააღმდეგ გამოდიოდა.

პიერ ბეილმა არა მარტო დაშალა მეტაფიზიკა სკეპტიციზმის შემწეობით, მოამზადა რა ამით ნიადაგი მატერიალიზმისა და საღი გონების ფილოსოფიის ათვისებისათვის საფრანგეთში. მან ქვეყანას ამცნო გაჩენა ათეისტური საზოგადოებისა, რომელსაც მალე უნდა დაეწყო არსებობა, იმის დამტკიცებით, რომ შეიძლება არსებობდეს მარტოოდენ ათეისტებისაგან შემდგარი საზოგადოება, რომ ათეისტი შეიძლება იყოს პატივსაცემი ადამიანი, რომ ადამიანს ამცირებს არა ათეიზმი, არამედ ცრუმორწმუნეობა და კერპთთაყვანისცემა.

ერთი ფრანგი მწერლის გამოთქმის თანახმად, პიერ ბეილი იყო „უკანასკნელი მეტაფიზიკოსი XVII საუკუნის გაგებით და პირველი ფილოსოფოსი XVIII საუკუნის გაგებით“.

XVII საუკუნის თეოლოგიისა და მეტაფიზიკის ნეგატიური უარყოფის გარდა საჭირო იყო კიდევ პოზიტიური ანტიმეტაფიზიკური სისტემა. იგრძნობოდა ისეთი წიგნის აუცილებლობა, რომელიც სისტემაში მოიყვანდა იმდროინდელი ცხოვრების პრაქტიკას და მას თეორიულ დასაბუთებას მისცემდა. ლოკის თხზულებამ „ადამიანის გონების წარმოშობის“ შესახებ სწორედ დროზე მოუსწრო ფრანგებს ლა-მანშის სრუტის გაღმა ნაპირიდან. მას ენთუზიაზმით შეეგებნენ, როგორც დიდი ხნის ნანატრ და საყურველ სტუმარს.

ისმება კითხვა: იყო თუ არა ლოკი სპინოზას მოწაფე? „ცოდვილ“ ისტორიას შეუძლია ამაზე გვიპასუხოს:

მატერიალიზმი დიდი ბრიტანეთის ღვიძლი შვილია. უკვე მისი სქოლასტიკოსი დუნს სკოტი ეკითხებოდა თავის თავს: „შეუძლია თუ არა მატერიას აზროვნება?“

რათა ასეთი სასწაული შესაძლებელი გამხდარიყო, იგი მიმართავდა ღვთის ყოვლისშემძლეობას, ე. ი. იგი თვით თეოლოგიას აიძულებდა ექადაგნა მატერიალიზმი. გარდა ამისა იგი ნომინალისტი იყო. ნომინალიზმი ერთ-ერთი მთავარი ელემენტი იყო ინგლისელი მატერიალისტების აზროვნებაში და საერთოდ მატერიალიზმის პირველი გამოხატულება.

ინგლისური მატერიალიზმისა და მთელი თანა-

მედროვე ექსპერიმენტული მეცნიერების ნამდვილი მამამთავარი იყო ბეკონი. მისთვის ბუნებისმეტყველება ჭეშმარიტი მეცნიერებაა, ხოლო გრძნობად ცდაზე დამყარებული ფიზიკა — უმნიშვნელოვანესი ნაწილი ბუნებისმეტყველებისა. ანაქსაგორა მისი ჰომეომერიებით და დემოკრიტე მისი ატომებით მას ხშირად მოჰყავს როგორც ავტორიტეტები. მისი მოძღვრების თანახმად, გრძნობებით უტყუარნი არიან და ყოველი ცოდნის წყაროს შეადგენენ. მეცნიერება ცდისეული მეცნიერებაა და იმაში მდგომარეობს, რომ რაციონალური მეთოდი გამოიყენოს გრძნობადი მონაცემების მიმართ. ინდუქცია, ანალიზი, შედარება, დაკვირვება, ექსპერიმენტი რაციონალური მეთოდის მთავარი პირობებია. მატერიის თანდაყოლილი თვისებებიდან პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია მოძრაობა, — არა მხოლოდ როგორც მექანიკური და მათემატიკური მოძრაობა, არამედ კიდევ უფრო მეტად როგორც მისწრაფება, სასიცოცხლო სული, დაძაბულობა, ანუ, იაკობ ბემეს სიტყვებით რომ ვთქვათ, როგორც ტანჯვა [Qual] მატერიისა. მატერიის პირველადი ფორმებია, ცხოველი, მაინდივიდუალიზებელი, მატერიის შინაგანად დამახასიათებელი, სპეციფიკურ განსხვავებათა შემქმნელი ძალები არსისა [Wesenskräfte].

თავისი პირველი შემქმნელის, ბეკონის, აზროვნებაში მატერიალიზმი გულუბრყვილო ფორმით ჯერ კიდევ შეიცავს ყოველმხრივი განვითარების ჩანასახებს, მატერია თავისი პოეტურ-გრძნობადი ელვარებით ულიმის მთლიან ადამიანს. თვით მოძღვრება კი, გადმოცემული აფორიზმების ფორმით, პირიქით, აღსავსეა ჯერ კიდევ თეოლოგიური არათანმიმდევრობით.

თავის შემდგომ განვითარებაში მატერიალიზმი ხდება ცალმხრივი. ჰობსი ბეკონისეული მატერიალიზმის სისტემატიკოსია. გრძნობადობა კარგავს თავის ყვავილს და გეომეტრის აბსტრაქტულ გრძნობადობად იქცევა. ფიზიკური მოძრაობა მსხვერპლად ეწირება მექანიკურ ან მათემატიკურ მოძრაობას; გეომეტრია ცხადდება მთავარ მეცნიერებად. მატერიალიზმი ხდება ადამიანისადმი მტრულად განწყობილი, რათა ადამიანისადმი მტრულად განწყობილი უხორცო სული მის საკუთარ დარგში დასძლიოს, მატერიალიზმმა თვით თავისი სხეული უნდა დათრგუნოს და ასკეტი გახდეს. იგი გამოდის როგორც გონივრული არსება, მაგრამ მტკიცე თანმიმდევრულობით ავითარებს აგრეთვე გონების ყველა დასკვნას.

თუ ჩვენი გრძნობები ყველა ჩვენი ცოდნის წყაროა, — მსჯელობს ჰობსი, ამოდის რა ბეკონის შეხედულებებიდან, — მაშინ იდეა, აზრი, წარმოდგენა და ა. შ. — სხვა არაფერია, თუ არა ფანტომები სხეულებრივი სამყაროსი, რომელიც განთავისუფლებულია ცოტად თუ ბევრად თავისი გრძნობადი ფორმისაგან. მეცნიერებას შეუძლია მხოლოდ სახელწოდებანი მისცეს ამ ფანტომებს, ერთი და იგივე სახელწოდება შეიძლება გამოყენებულ იქნეს ბევრი ფანტომის მიმართ. შეიძლება სახელთა სახელებიც კი არსებობდეს. მაგრამ წინააღმდეგობა იქნება, ერთი მხრივ, დაგვენახა გრძნობად სამყაროში ყველა იდეის წყარო, მეორე მხრივ კი, გვემტკიცებინა, რომ სიტყვა რაღაც უფრო მეტია, ვიდრე მარტოოდენ სიტყვა, რომ გარდა ჩვენ მიერ წარმოსახული, ყოველთვის ცალკეული არსებებისა, არიან კიდევ რაღაც ზოგადი არსებანი. უ ს ხ ე უ ლ ო ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი ა — ეს ისეთივე წინააღმდეგობაა, როგორც უ ს ხ ე უ ლ ო ს ხ ე უ ლ ი. ს ხ ე უ ლ ი, ყ ო ფ ი ე რ ე ბ ა, ს უ ბ ს ტ ა ნ ც ი ა — ყოველივე ეს ერთი და იგივე რ ე ა ლ უ რ ი იდეაა. არ შეიძლება აზრის გამოთიშვა მატერიისაგან, რ ო მ ე ლ ი ც აზროვნებს. მატერია ყველა ცვლილების სუბიექტია, სიტყვა უ ს ა ს რ უ ლ ო უ ა ზ რ ო ა, თუ იგი არ ნიშნავს ჩვენი სულის უნარს დაუსრულებლად უმატებდეს რაიმეს რომელიმე მოცემულ სიდიდეს, რადგან მხოლოდ მატერიალურია აღქმადი, შეცნებადი, ამიტომ ა რ ა ფ ე რ ი ვიცით ღმერთის არსებობის შესახებ. მხოლოდ ჩ ე მ ი საკუთარი არსებობაა უტყუარი. ყოველი ადამიანური ვნება არის მექანიკური მოძრაობა, რომელიც თავდება ან იწყება, მისწრაფებათა ობიექტები — აი ის, რასაც ჩვენ სიკეთეს ვუწოდებთ. ადამიანი იმავე კანონებს ექვემდებარება, რასაც ბუნება. ძლიერდება და თავისუფლდება იდენტურნი არიან.

ჰობსმა დაასისტემა ბეკონი, მაგრამ უფრო დეტალურად არ დაუსაბუთებია მისი ძირითადი პრინციპი — ცოდნათა და იდეათა წარმოშობა გრძნობათა სამყაროდან.

ლ ო კ ი ასაბუთებს ბეკონისა და ჰობსის პრინციპს თავის თხზულებაში ადამიანის გონების წარმოშობის შესახებ.

როგორც ჰობსმა გაანადგურა ბეკონისეული მატერიალიზმის თ ე ი ს ტ უ რ ი ცრურწმენანი, ასევე კოლინსმა, დოდუელმა, კაუარდმა, ჰარტლიმ, პრისტლიმ და ა. შ. მოსპეს ლოკის სენსუალიზმის უკანასკნელი თეოლოგიური ზღუდე, — დეიზმი — ყოველ შემთხვევაში მატერიალისტისათვის — სხვა არაფერია, თუ არა მოხერხებული და იოლი ხერხი რელიგიიდან თავის დაღწევისა.

ჩვენ უკვე მოვიხსენიეთ, თუ რა დროზე მოუსწრო ფრანგებს ლოკის თხზულებამ. ლოკმა დაასაბუთა bon sens-ის, საღი ადამიანის

გონების ფილოსოფია, ე. ი. შემოელითი გზით თქვა, რომ შეუძლებელია არსებობდეს ფილოსოფია, რომელიც განსხვავდება ადამიანის საღი გრძნობების მონაცემებზე დამყარებული გონებისაგან.

ლოკის უშუალო მოწაფემ და ფრანგმა განმმარტებელმა კონდილიაკმა ლოკის სენსუალიზმი დაუყოვნებლივ წარმართა XVII საუკუნის მეტაფიზიკის წინააღმდეგ. მან დაამტკიცა, რომ ფრანგებმა სრულიად მართებულად უარყვეს ეს მეტაფიზიკა როგორც წარმოსახვისა და თეოლოგიურ ცრურწმენათა უხეირო ნაყოფი. მან გამოაქვეყნა დეკარტის, სპინოზას, ლაიბნიცისა და მალბრანშის სისტემათა უარყოფა.

თავის ნაწარმოებში „ნარკვევი ადამიანთა ცოდნის წარმოშობის შესახებ" იგი ავითარებდა ლოკის თვალსაზრისს. ამტკიცებდა რა, რომ არა მარტო სული, არამედ გრძნობებიც. არა მარტო იდეის შექმნის ხელოვნება, არამედ გრძნობადი აღქმის ხელოვნებაც ცდისა და ჩვეულების საქმეაო. ამიტომ ადამიანის მთელი განვითარება აღზრდასა და გარეშე გარემოებებზეა დამოკიდებული. კონდილიაკი ფრანგული სკოლებიდან მხოლოდ ეკლექტიკურმა ფილოსოფიამ გააძევა.

განსხვავება ფრანგულ და ინგლისურ მატერიალიზმს შორის შეესაბამება ამ ერთა განსხვავებას. ფრანგებმა ინგლისურ მატერიალიზმს მიანიჭეს გონებამახვილობა, ხორცი და სისხლი, მჭევრმეტყველება. მიანიჭეს ის ტემპერამენტი და სილაზათე, რომლებიც მას ჯერ კიდევ აკლდა. მათ გაანათლეს მატერიალიზმი.

ჰელვეციუსის სახით, რომელიც აგრეთვე ლოკის შეხედულებებიდან ამოდის, მატერიალიზმი ნამდვილ ფრანგულ ხასიათს ღებულობს. ჰელვეციუსი მაშინვე იყენებს მატერიალიზმს საზოგადოებრივი ცხოვრების მიმართ (ჰელვეციუსი, „ადამიანის შესახებ"). მთელი მორალის საფუძველია გრძნობადი შთაბეჭდილებანი, თავის თავის მოყვარულობა, სიამოვნება და სწორად გაგებული პირადი ინტერესი, ადამიანთა გონებრივი ნიჭის ბუნებრივი თანასწორობა, გონების წარმატებათა და მრეწველობის წარმატებათა ერთიანობა. ადამიანის ბუნებრივი გულკეთილობა, აღზრდის ყოვლისშემძლეობა — აი მისი სისტემის მთავარი მომენტები,

ლამეტრის ნაწარმოებები წარმოადგენენ კარტეზიული და ინგლისური მატერიალიზმის შეერთებას, ლამეტრი იყენებს დეკარტის ფიზიკას დეტალებამდე. მისი „ადამიანი-მანქანა" დეკარტის მანქანა-ცხოველის ნიმუშის მიხედვითაა აგებული. ჰოლბახის „ბუნების სისტემაში" ფიზიკისადმი მიძღვნილი ნაწილი ასევე ფრა-

ნგული და ინგლისური მატერიალიზმის შეერთებას წარმოადგენს, ზნეობის თეორია კი, არსებითად, ჰელვეციუსის მორალს ეყრდნობა. რ ო ბ ი ნ ე („ბუნების შესახებ"), ის ფრანგი მატერიალისტია, რომელმაც ყველაზე მეტად შეინარჩუნა მეტაფიზიკასთან კავშირი და ამისთვის ჰეგელის ქება დაიმსახურა, სრულიად გარკვევით იმოწმებს ლ ა ი ბ ნ ი ც ს.

ვოლნეის, დიუპუის, დიდროსა და ასევე ფიზიოკრატების შესახებ ჩვენ არ გვჭირდება ლაპარაკი, მას შემდეგ, რაც ჩვენ, ერთი მხრივ, გავარკვიეთ ფრანგული მატერიალიზმის ორგვარი წარმოშობა დეკარტის ფიზიკიდან და ინგლისური მატერიალიზმიდან, ხოლო, მეორე მხრივ, დავადგინეთ ფრანგული მატერიალიზმის დაპირისპირება XVII საუკუნის მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ ი ს ა დ მ ი, დეკარტის, სპინოზას, მალბრანშის და ლაიბნიცის მეტაფიზიკისადმი. ამ დაპირისპირების შემჩნევა გერმანელებს შეეძლოთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც თვითონ დაუპირისპირდნენ სპ ე კ უ ლ ა ც ი უ რ მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ ა ს.

როგორც კ ა რ ტ ე ზ ი უ ლ ი მატერიალიზმი გადადის ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ე ბ ა შ ი ა მ ს ი ტ ყ ვ ი ს ნ ა მ დ ვ ი ლ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ი თ, ისე ფრანგული მატერიალიზმის მეორე მიმართულება ერთვის უშუალოდ ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ს და კ ო მ უ ნ ი ზ მ ს.

საჭირო არაა დიდი გონებამახვილობა იმის დასანახავად, თუ რა აუცილებელი კავშირი აქვს კომუნიზმთან და სოციალიზმთან მატერიალიზმის მოძღვრებას ადამიანთა თანდაყოლილი გულკეთილობის და მათი გონებრივი ნიჭის თანასწორობის, ცდის ყოვლისშემძლეობის, ჩვეულების, აღზრდის, ადამიანზე გარეგან გარემოებათა გავლენის, მრეწველობის მაღალი მნიშვნელობის, სიამოვნების მიღების მართლზომიერების და სხვ. შესახებ. თუ ადამიანი მთელ თავის ცოდნას, შეგრძნებას და სხვ. გრძნობადი სამყაროდან და ამ სამყაროდან მომდინარე გამოცდილებიდან ღებულობს, მაშინ საჭიროა, მაშასადამე, ემპირიული სამყარო ისე მოეწყოს, რომ ადამიანმა მასში შეიცნოს და შეითვისოს ჭეშმარიტად ადამიანური, რომ მან შეიცნოს თავის თავი როგორც ადამიანი თუ სწორად გაგებული ინტერესი მთელი მორალის პრინციპია, მაშინ საჭიროა, მაშასადამე, ვესწრაფოდეთ იმას, რომ ცალკეული ადამიანის კერძო ინტერესი ზოგადსაკაცობრიო ინტერესებს ემთხვეოდეს, თუ ადამიანი არაა თავისუფალი მატერიალისტური თვალსაზრისით, ე. ი. თუ იგი თავისუფალია არა ნეგატიური ძალის გამო — თავიდან იცილებდეს ამას თუ იმას, არამედ პოზიტიური ძალის გამო — ავლენდეს თავის ჭეშმარიტ ინდივიდუალობას, მაშინ ცალკეული პიროვნება კი არ უნდა ისჯებოდეს მის მიერ ჩადენილი დანაშაულის გამო, არამედ საჭიროა მოისპოს დანაშაულის

ანტისოციალური წყაროები და თითოეულ ადამიანს მიეცეს აუცილებელი საზოგადოებრივი ასპარეზი მისი არსებითი სასიცოცხლო ძალების გამოსავლენად, თუ ადამიანის ხასიათს გარემოებანი ქმნიან, მაშინ საჭიროა, მაშასადამე, გარემოებანი ადამიანური გავხადოთ. თუ ადამიანი თავისი ბუნებით საზოგადოებრივი არსებაა, მაშინ მას, მაშასადამე, მხოლოდ საზოგადოებაში შეუძლია განავითაროს თავისი ჭეშმარიტი ბუნება, და მისი ბუნების ძალა უნდა იზომებოდეს არა ცალკეული ინდივიდუუმის ძალით, არამედ მთელი საზოგადოების ძალით.

ესა და ამგვარი დებულებანი თითქმის სიტყვასიტყვით გვხვდება ყველაზე ძველი ფრანგი მატერიალისტების ნაწერებშიც კი. აქ უადგილოა მათს შეფასებას შევუდგეთ. მატერიალიზმის სოციალისტური ტენდენციისათვის დამახასიათებელია ლოკის ერთ-ერთი ადრინდელი ინგლისელი მოწაფის — მ ა ნ დ ე ვ ი ლ ი ს ბ ი წ ი ე რ ე ბ ა თ ა ა პ ო ლ ო გ ი ა. იგი ამტკიცებს, რომ თ ა ნ ა მ ე დ რ ო ვ ე საზოგადოებაში ბიწიერებანი ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი და ს ა ს ა რ გ ებ ლ ო ა. ეს სულაც არ იყო თანამედროვე საზოგადოების აპოლოგია.

ფ უ რ ი ე უშუალოდ ფრანგი მატერიალისტების მოძღვრებიდან ამოდის. ბაბეფის მიმდევრები იყვნენ უხეში, განუვითარებელი მატერიალისტები, მაგრამ განვითარებული კომუნიზმიც უ შ უ ა ლ ო დ ფ რ ა ნ გ უ ლ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი დ ა ნ მომდინარეობს. ეს მატერიალიზმი სწორედ იმ ფორმით, რა ფორმითაც მას ჰ ე ლ ვ ე ც ი უ ს მ ა მ ი ს ც ა, ბრუნდება თავის სამშობლოში, ი ნ გ ლ ი ს შ ი. სწ ო რ ა დ გ ა გ ებ უ ლ ი ი ნ ტ ე რ ე ს ი ს თავის სისტემას ბ ე ნ ტ ა მ ი ამყარებს ჰელვეციუსის მორალზე, ო უ ე ნ ი კ ი, ამოდის რა ბ ე ნ ტ ა მ ი ს სისტემიდან. ინგლისურ კომუნიზმს ასაბუთებს, ფრანგი კ ა ბ ე, ინგლისში გაძევებული, იქაური კომუნისტური იდეების გავლენას განიცდის და საფრანგეთში დაბრუნების შემდეგ კომუნიზმის ყველაზე პოპულარული, თუმცაღა ყველაზე ზერელე წარმომადგენელი ხდება. უფრო მეცნიერულად განსწავლული ფრანგი კომუნისტები, დ ე ზ ა მ ი, გ ე ი და სხვები, ოუენის მსგავსად, ავითარებენ მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს მოძღვრებას როგორც რ ე ა ლ უ რ ი ჰ უ მ ა ნ ი ზ მ ი ს მოძღვრებას და როგორც კ ო მ უ ნ ი ზ მ ი ს ლ ო გ ი კ უ რ საფუძველს.

კ. მ ა რ ქ ს ი. კრიტიკული ბრძოლა ფრანგული მატერიალიზმის წინააღმდეგ. (ანუ წმინდა ოჯახი ანუ კრიტიკული კრიტიკის კრიტიკა). გვ. 3—14.

ამასობაში მატერიალიზმი ინგლისიდან გადაინერგა საფრანგეთში, სადაც მას დახვდა კარტეზიანული[3] ფილოსოფიიდან გამოსული მეორე მატერიალისტური ფილოსოფიური სკოლა, რომელსაც იგი შეუერთდა კიდეც. იგი საფრანგეთშიაც თავდაპირველად დარჩა მხოლოდდამხოლოდ არისტოკრატიულ დოქტრინად. მაგრამ მისი რევოლუციური სასიათი მალე გამოაშკარავდა. ფრანგი მატერიალისტები თავიანთ კრიტიკას მხოლოდ რელიგიის სფეროთი როდი ზღუდავდნენ: ისინი აკრიტიკებდნენ ყოველ მეცნიერულ ტრადიციას, თავისი დროის ყოველ პოლიტიკურ დაწესებულებას: რათა თავისი თეორიის საყოველთაო გამოყენებადობა დაემტკიცებიათ, მათ უმოკლესი გზა აირჩიეს: მათ თამამად გამრიყენეს იგი ცოდნის ყველა ობიექტის მიმართ იმ უზარმაზარ შრომაში, რომლისაგანაც მათ მიიღეს თავიანთი სახელწოდება, „ენციკლოპედიაში". ამრიგად, მატერიალიზმი ამათუიმ სახით, — როგორც აშკარა მატერიალიზმი თუ როგორც დეიზმი, გადაიქცა საფრანგეთის მთელი განათლებული ახალგაზრდობის მსოფლმხედველობად. და ეს მოხდა სწორედ ისეთი ზომით, რომ დიდი რევოლუციის დროს ამ ინგლისელი როიალისტების მიერ წარმოშობილმა მოძღვრებამ თეორიული დროშა მიანიჭა ფრანგ რესპუბლიკელებსა და ტერორისტებს და მისცა ტექსტი „ადამიანის უფლებათა დეკლარაციისათვის"[4].

საფრანგეთის დიდი რევოლუცია იყო ბურჟუაზიის მესამე აჯანყება, მაგრამ ამავე დროს პირველი, რომელმაც სავსებით გაიძრო რელიგიური სამოსელი და რომელშიაც ბრძოლა აშკარად სწარმოებდა პოლიტიკურ ნიადაგზე. იგი იყო აგრეთვე პირველი აჯანყება, რომელიც მართლაც ბოლომდე, ერთ-ერთი მებრძოლი მხარის, არისტოკრატიის, მოსპობამდე და მეორე მხარის, ბურჟუაზიის, სრულ გამარჯვებამდე იქნა დაყვანილი. ინგლისში მემკვიდრეობითმა კავშირმა რევოლუციის წინადროინდელ და რევოლუციის შემდეგდროინდელ დაწესებულებათა შორის და კომპრომისმა მსხვილ მიწათმფლობელებსა და კაპიტალისტებს შორის თავისი გამოხატულება ჰპოვა სასამართლო პრეცედენტების მონაცვლეობაში, ისე როგორც ფეოდალური იურიდიული ფორმების მოკრძალებით შენარჩუნებაში. საფრანგეთში რევოლუციამ საბოლოოდ გასწყვიტა კავშირი წარსულის ტრადიციებთან, მოსპო ფეოდალიზმის უკანასკნელი ნაშთები და „სამოქალაქო კოდექსში"[5] ოსტატურად შეუგუა ახალ კაპიტალისტურ ურთიერთობას ძველი რომაული სამართალი, — ეს თითქმის სრულყოფილი გამოხატულება ეკონომიური განვითარების იმ საფეხურიდან გამომდინარე იურიდიული ურთიერთობისა, რომელსაც მარქსი უწოდებს „სოციალურ წარმოებას"; ეს იმდენად ოსტატურად მოიმოქმედა, რომ კანონთა ეს რევოლუციური ფრანგული კოდექ-

სი ამჟამად ყველა სხვა ქვეყანაში—ინგლისის გამოუკლებლივ—ნიმეგეს წარმოადგენს საკუთრების უფლების რეფორმების მოხდენის დროს. მაგრამ ამასთანავე არ უნდა დაივიწყოთ ერთი რამ: ინგლისის სამართალი განაგრძობს გამოხატოს კაპიტალისტური საზოგადოების ეკონომიკური ურთიერთობა ბარბაროსულ-ფეოდალური ენით, რომელიც იმდენადვე შეესაბამება გამოსახატავ საგანს, რამდენადაც ინგლისური ორთოგრაფია ინგლისურ გამოთქმას: vous écrives Londres et vous prononcez Constantinople (სწერთ ლონდონს. ხოლო გამოთქვამთ კონსტანტინოპოლსო), სთქვა ერთმა ფრანგმა. მაგრამ სამაგიეროდ იგივე ინგლისური სამართალი ერთადერთია, რომელმაც საუკუნეების განმავლობაში შეინარჩუნა და ამერიკასა და კოლონიებში გადაიტანა საუკეთესო ნაწილი იმ პირადი თავისუფლებისა, ადგილობრივი თვითმმართველობისა და უზრუნველყოფისა ყოველგვარ უცხო ჩარევისაგან, გარდა სასამართლოსა, — ერთი სიტყვით, ის ძველი გერმანული თავისუფლებანი, რომელნიც კონტინენტზე აბსოლუტური მონარქიების ბატონობის დროს სრულიად გაქრნენ და დღემდე არსად არ არიან საესებით ხელახლა დაპყრობილნი.

ფრ. ენგელსი. შესავალი ინგლისური გამოცემისათვის. „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ". გვ. 29—31.

ჰეგელის მოძღვრება, მთლიანად აღებული, როგორც დავინახეთ, ბევრ თავისუფალ ადგილს სტოვებს სხვადასხვა პრაქტიკული პარტიული შეხედულებისათვის. ხოლო თეორიით დაინტერესებულ იმდროინდელ გერმანიაში, უწინარეს ყოვლისა, ორ საგანს ჰქონდა პრაქტიკული მნიშვნელობა: რელიგიასა და პოლიტიკას. იმას, ვინც უმთავრესად ჰეგელის სისტემას აფასებდა, შეეძლო საკმაოდ კონსერვატორი ყოფილიყო ორივე დარგში; ხოლო იმას, ვინც მთავარ მნიშვნელობას დიალექტიკურ მეთოდს აძლევდა, შეეძლო რელიგიაშიც და პოლიტიკაშიც უკიდურეს ოპოზიციას მიმხრობოდა. თვით ჰეგელი, მიუხედავად იმისა, რომ მის ნაწერებში იშვიათი არაა რევოლუციური გულისწყრომის აფეთქება, როგორც ემჩნევა, მთლიანად უფრო კონსერვატიული ბანაკისკენ იხრებოდა: თავის სისტემაზე ხომ მას მეტი „აზრის მძიმე შრომა" დაეხარჯა, ვიდრე მეთოდზე. ოცდაათიანი წლების დასასრულს მისი სკოლის გათიშვა თანდათან უფრო გამოაშკარავდა. მართლმორწმუნე პიეტისტებთან და ფეოდალურ რეაქციონერებთან ბრძოლაში მემარცხენე ფრთა, ეგრეთწოდებული ახალგაზრდა ჰეგელიანელები, თანდათან უარს ამბობდნენ ყოველდღიური მწვავე საკითხების მიმართ ფილოსოფიურ-გულგრილ მოპყრობაზე, რისთვისაც მთავრობა ითმენდა მათ მოძღვრებას და მფარველობდა კიდეც მას; ხოლო როცა 1840 წელს ფრიდრიხ ვილჰელმ IV-ის სახით ტახტზე მართლმორწმუნე ფარისევლობა და ფეოდალურ-

თვითმპყრობელური რეაქცია ავიდა, აშკარა (ქარტიული პოზიციის დაჭერა აუცილებელი გახდა. ბრძოლა წინანდებურად ფილოსოფიური იარაღით წარმოებდა, მაგრამ არა განყენებული ფილოსოფიური მიზნებისათვის; საქმე უკვე პირდაპირ ეხებოდა ტრადიციული რელიგიისა და არსებული სახელმწიფოს მოსპობას. და თუ „Deutsche Jahrbücher"-ში[6] პრაქტიკული საბოლოო მიზნები უმთავრესად კიდევ ფილოსოფიურ სამოსელში იყო გახვეული, 1842 წელს „Rheinische Zeitung"-ში[7] ახალგაზრდა ჰეგელიანელების სკოლა აშკარად გამოვიდა როგორც აღმავალი რადიკალური ბურჟუაზიის ფილოსოფია; იგი ფილოსოფიურ წამოსასხამს მხოლოდ ცენზურის თვალების ასახვევად ხმარობდა.

მაგრამ პოლიტიკა მაშინ მეტად ეკლიანი სარბიელი იყო და ამიტომ ბრძოლა უმთავრესად სარწმუნოების წინააღმდეგ მიიმართა; თუმცა იმ დროს, განსაკუთრებით 1840 წლის შემდეგ, რელიგიური ბრძოლა, არაპირდაპირ, პოლიტიკური ბრძოლაც იყო. პირველი ბიძგი ამ ბრძოლას მისცა შტრაუსის „იესოს ცხოვრებამ", რომელიც 1835 წელს გამოიცა. ამ წიგნში წარმოდგენილია სახარების მითების წარმოშობის თეორია, რომლის წინააღმდეგ შემდეგ გამოვიდა ბრუნო ბაუერი. ეს უკანასკნელი ამტკიცებდა: მთელი რიგი სახარების მოთხრობები თვით მათი ავტორებისგან არის შეთხზულიო. შტრაუსისა და ბაუერის კამათი მიმდინარეობდა ფილოსოფიური ბრძოლის სახით „თვითცნობიერებასა" და „სუბსტანციას" შორის, საკითხი, თუ როგორ წარმოიშვნენ სახარების სასწაულებრივი იგავები, აღმოცენდნენ ისინი ქრისტიანული თემის წიაღში არაცნობიერ-ტრადიციული მითოლოგიური შემოქმედების წყალობით, თუ ეს იგავები თვით მახარობლებმა მოიგონეს, შემდეგნაირად გაფართოვდა; რა არის მთავარი მოქმედი ძალა მსოფლიო ისტორიაში — „სუბსტანცია" თუ „თვითცნობიერება"; ბოლოს მოვიდა შტირნერი, თანამედროვე ანარქიზმის წინასწარმეტყველი (მისგან ბევრი რამ ისესხა ბაკუნინმა) და სუვერენული „თვითცნობიერება" დაჩრდილა თავისი სუვერენული „ერთადერთით"[1].

ჩვენ აღარ გამოვუდგებით დაწვრილებით ჰეგელის სკოლის დაშლის ამ მხარის განხილვას. ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი: პოზიტიური რელიგიის წინააღმდეგ ბრძოლის პრაქტიკულმა საჭიროებამ განსაკუთრებით თავგამოდებულ ახალგაზრდა ჰეგელიანელთა მასა ინგლისურ-ფრანგული მატერიალიზმისაკენ დააბრუნა. და, აი აქ, მათ კონფლიქტი მოუვიდათ მათივე სკოლის სისტემასთან.

---

[1] ენგელსს მხედველობაში აქვს მაქს შტირნერის (კასპარ შმიდტის ფსევდონიმია) წიგნი: „ერთადერთი და მისი საკუთრება", რომელიც გამოიცა 1845 წ. რ ე დ.

მაშინ, როცა მატერიალიზმი ერთადერთ სინამდვილედ ბუნებას თვლის, ჰეგელის სისტემაში ბუნება მხოლოდ აბსოლუტური იდეის „განსხვავებას“, თითქოს ამ იდეის დაქვეითებას წარმოადგენს; ყოველ შემთხვევაში, აზროვნება და მისი ნააზრევი პროდუქტი, იდეა პირველადი რამაა, ბუნება კი — წარმოებული, მხოლოდ იდეის დაქვეითების წყალობით არსებული. ახალგაზრდა ჰეგელიანელები, სურდათ თუ არ სურდათ, ამ წინააღმდეგობათა ქსელში გაიხლართნენ.

მაშინ გამოვიდა ფოიერბახის თხზულება „ქრისტიანობის არსება“[1]. მან ერთი დაკერით გადალახა ეს წინააღმდეგობა იმით, რომ მატერიალიზმი სრულიად მოურიდებლად ხელახლა ტახტზე აიყვანა. ბუნება არსებობს ყოველი ფილოსოფიისაგან დამოუკიდებლადო; იგია საფუძველი, რომელზედაც აღმოცენებულნი ვართ ჩვენ, თვით ბუნების პროდუქტი — ადამიანებიო; ბუნებისა და ადამიანების გარეშე არაფერი არ არსებობს და უზენაესი არსებანი, რომელნიც ჩვენმა რელიგიურმა ფანტაზიამ შეჰქმნა, ჩვენი საკუთარი არსების ფანტასტიკური გამონაკრთომები არიანო. ჯადო მოიშალა; „სისტემა“ აფეთქდა და განზე გადავარდა, წინააღმდეგობა, როგორც მხოლოდ წარმოდგენაში არსებული რამ, მოიხსნა. ვისაც ამ წიგნის განმათავისუფლებელი გავლენა პირდაპირ არ განუცდია, არც შეუძლია მისი წარმოდგენა. აღფრთოვანება იყო საყოველთაო: ჩვენ ყველანი მაშინვე ფოიერბახიანელები გავხდით. „წმინდა ოჯახში“[2] შეიძლება იმის წაკითხვა, თუ როგორი აღტაცებით მიესალმა მარქსი ახალ შეხედულებას და რა ძლიერი გავლენა მოახდინა მასზე ამ შეხედულებამ, მისი მთელი რიგი კრიტიკული შენიშვნების მიუხედავად.

ფრ. ენგელსი. „ლუდვიგ ფოიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრული“. კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. რჩ. ნაწ. ტ. 11. გვ. 440—442.

ბურჟუაზიული ათეიზმის კლასობრივი არსი

ჰობსი პირველი თანამედროვე მატერიალისტი იყო (XVIII საუკუნის აზრით), მაგრამ აბსოლუტისტი იყო იმ ხანაში, როცა აბსოლუტური მონარქია მთელს ევროპაში აყვავების პერიოდს განიცდიდა, ხოლო ინგლისში ხალხის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება. ლოკი რელიგიაში ისე, როგორც პოლიტიკაშიც 1688[8] წლის კლასობრივი კომპრომისის პირმშო იყო. ინგლისელი დეისტები[9] და მათი უფრო თანამიმდევარი განმგრძობნი — ფრანგი მატერიალისტები, ბურჟუაზიის ნამდვილი ფილოსოფოსები იყვნენ, ფრანგები ბურჟუაზიული რევოლუციის ფილოსოფოსებიც კი იყვნენ. გერმანულ ფილოსოფიაში კანტიდან ჰეგელამდე მოჩანს გერმანელი ბურჟუაზიული ფილისტერი ხან

დადებითად, ხან უარყოფითად. მაგრამ ყველა ეპოქის ფილოსოფიას, როგორც შრომის დანაწილების განსაკუთრებულ დარგს, წანამძღვარად აქვს გარკვეული სააზროვნო მასალა, რომელიც მას წინამორბედებისაგან გადმოეცა და რომლიდანაც ის გამოდის. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ეკონომიურად ჩამორჩენილ ქვეყნებს მაინც შეუძლიათ ფილოსოფიაში პირველი როლი შეასრულონ: მე-18 საუკუნის საფრანგეთი ინგლისის მიმართ, რომლის ფილოსოფიასაც ფრანგები ეყრდნობოდნენ, ხოლო შემდეგ გერმანია პირველი ორის მიმართ. მაგრამ, როგორც საფრანგეთში, ისე გერმანიაში ფილოსოფია და ლიტერატურის საყოველთაო გაფურჩქვნა მაშინდელი ეპოქის ეკონომიური აღმავლობის შედეგი იყო. ეკონომიური განვითარების საბოლოო უპირატესობა ამ დარგებშიც ჩემთვის უდავოა, მაგრამ მას ადგილი აქვს თვით ამა თუ იმ ცალკეული დარგის მიერ ნაკარნახევი პირობების ფარგლებში: ფილოსოფიაში, მაგალითად, ეს ხდება იმ გზით, რომ ეკონომიური გაკლენანი (რომლებიც თავიანთ მოქმედებას მეტწილად კვლავ პოლიტიკურ და ა. შ. სამოსელში ახვევენ) მოქმედებენ იმ არსებულ ფილოსოფიურ მასალაზე, რომელიც წინამორბედთაგან არის გადმოცემული. ეკონომიკა აქ არაფერს არ ქმნის ხელახლა, მაგრამ იგი განსაზღვრავს არსებული სააზროვნო მასალის შეცვლისა და შემდგომი განვითარების სახეს და ამასაც კი იგი აკეთებს უმეტეს ნაწილად არაპირდაპირ, მაშინ როდესაც ფილოსოფიაზე უდიდეს პირდაპირ გავლენას ახდენენ პოლიტიკური, იურიდიული და მორალური რეფლექსები.

ფრ. ენგელსი—შმიდტსს. 27 ოქტომბერი 1890 წ.
კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტ. 11. გვ. 601—602.

რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების ათეიზმი

გერცენი ეკუთვნოდა გასული საუკუნის პირველი ნახევრის თავადაზნაურულ-მემამულურ რევოლუციონერთა თაობას. თავადაზნაურებმა მისცეს რუსეთს ბირონები და არაკჩეევები, უამრავი „ლოთი ოფიცრები, შფოთისთავები, ბანქოს მოთამაშეები, ბაზრობათა გმირები, მეძალლეები, მოჩხუბრები, მათრახისა და ჰარამხანის გმირები“ და ყოვლადკეთილი მანილოვები. „და მათ შორის — წერდა გერცენი — განვითარდნენ 14 დეკემბრის ადამიანები, ფალანგა გმირებისა, რომლებიც რომულისა და რემის მსგავსად, გამოზრდილი იყვნენ ნადირის რძით... ესენი იყვნენ რაღაც დევგმირები, თავით ფეხამდე წმინდა ფოლადისაგან გამოჭედილნი, თანამებრძოლნი, რომლებმაც შეგნებულად გასწირეს თავი, არ მოერიდნენ უეჭველ სიკვდილს, რათა ახალი ცხოვრებისათვის

გაელვიძებინათ ახალი თაობა და განეწმინდათ ჯალათობისა და მონური ქედმოხრილობის წრეში შობილნი".

ასეთ ახალგაზრდათა რიცხვს ეკუთვნოდა გერცენი. დეკაბრისტების აჯანყებამ გამოაღვიძა და „განწმინდა" იგი. XIX საუკუნის 40-იანი წლების ბატონყმურ რუსეთში მან შეძლო ასულიყო ისეთ სიმაღლეზე, რომ თავისი დროის უდიდეს მოაზროვნეებს გაუტოლდა. მან შეითვისა ჰეგელის დიალექტიკა. მან შეიგნო, რომ ეს დიალექტიკა წარმოადგენს „რევოლუციის ალგებრას". იგი წავიდა ჰეგელზე შორს, მატერიალიზმისაკენ, გაჰყვა ფოირბახის კვალს. პირველი წერილი „წერილებიდან ბუნების შესწავლის შესახებ", — „ემპირია და იდეალიზმი", — რომელიც დაწერილია 1844 წელს, გვიჩვენებს მოაზროვნეს, რომელიც, ახლაც კი, მთელი თავით უფრო მაღლა დგას უამრავ თანამედროვე ბუნებისმეტყველ-ემპირიკოსზე და აურაცხელ ახლანდელ ფილოსოფოსსა, იდეალისტსა და ნახევრადიდეალისტზე. გერცენი უშუალოდ მივიდა დიალექტიკურ მატერიალიზმამდე და შეჩერდა — ისტორიული მატერიალიზმის წინაშე.

როცა მოდიოდა ცნობა, რომ ყმა გლეხმა მემამულე მოკლა საცოლისათვის ნამუსის ახდის ცდის გამოო, გერცენი „კოლოკოლში" დასძენდა ხოლმე: „ძალიან კარგადაც მოქცეულაო!". როცა იუწყებოდნენ, სამხედრო უფროსების თანამდებობას აწესებენ „მშვიდი" „განთავისუფლებისათვისო", გერცენი წერდა: „პირველი ჭკვიანი პოლკოვნიკი, რომელიც თავისი რაზმით გლეხებს მიემხრობა, ნაცვლად იმისა, რომ ახრჩობდეს მათ, რომანოვთა ტახტზე დაჯდებაო". როცა პოლკოვნიკმა რეიტერნმა თავი მოიკლა ვარშავაში (1860 წელს), რომ ჯალათების დამხმარე არ გამხდარიყო, გერცენი წერდა: „თუ დახვრეტაა, უნდა დახვრიტო ის გენერლები, რომლებიც ბრძანებას იძლევიან ესროლონ უიარაღოებსო". როცა ბეზდნაში 50 გლეხი დახოცეს და მათი მეთაური ანტონ პეტროვი სიკვდილით დასაჯეს (1861 წლის 12 აპრილს), გერცენი „კოლოკოლში" წერდა:

„ო, ჩემს სიტყვებს რომ შეეძლოს შენამდე მოღწევა, რუსეთის მშრომელო და ტანჯულო!.. როგორ გასწავლიდი შეიზიზღო შენი სულიერი მოძღვარნი, რომლებიც დაგიყენეს პეტერბურგის სინოდმა და გერმანელმა მეფემ... შენ გძულს მემამულე, გძულს მოხელე, გეშინია მათი — და სავსებით მართალი ხარ; მაგრამ ჯერ კიდევ გჯერა მეფისა და მღვდელმთავრისა... ნუ გჯერა მათი. მეფე მათთანაა, და ისინი მისი ხალხია. მას ხედავ შენ ახლა, შენ, ბეზდნაში მოკლული ჰაბუკის მამავ, შენ, პენზაში მოკლული მამის შვილო... შენი მოძღვარნი შენსაკით უმეცარნი, შენსაკით ღარიბნი არიან... ასეთი იყო სხვა ანტონი (არა ეპისკოპოსი ანტონი, არამედ ბეზდნელი ანტონი), რომელიც ყაზანში შენი გულისათვის აწამეს... შენი წმინდანების სხეულები ორმოცდარვა სასწაულს ვერ მოახდენენ, მათდამი ლოცვა მტკივან კბილებს ვერ განკურნავს; მაგრამ მათმა ცოცხალმა ხსოვნამ შეიძლება მოახდინოს ერთი სასწაული — შენი განთავისუფლება".

აქედან ჩანს, რა საზიზღრად და სულმდაბლად სწამებენ ცილს გერცენს მონურ „ლეგალურ“ პრესაში მოკალათებული ჩვენი ლიბერალები, რომლებიც განადიდებენ გერცენის სუსტ მხარეებს და ჩქმალავენ მის ძლიერ მხარეებს. გერცენის ბრალი კი არა, მისი უბედურება იყო, რომ მას არ შეეძლო დაენახა რევოლუციური ხალხი თვით რუსეთში 40-იან წლებში. როცა მან დაინახა იგი 60-ი ა ნ წ ლ ე ბ შ ი — იგი უშიშრად დადგა რევოლუციური დემოკრატიის მხარეზე ლიბერალიზმის წინააღმდეგ. იგი იბრძოდა ხალხის გამარჯვებისათვის ცარიზმზე და არა ლიბერალური ბურჟუაზიის გარიგებისათვის მემამულეთა მეფესთან. მან აღმართა რევოლუციის დროშა.

აღვნიშნავთ რა გერცენის ხსოვნას, ჩვენ ნათლად ვხედავთ სამ თაობას, სამ კლასს, რომლებიც რუსეთის რევოლუციაში მოქმედებდნენ. თავდაპირველად — თავადაზნაურები და მემამულეები, დეკაბრისტები და გერცენი. ვიწროა ამ რევოლუციონერთა წრე. საშინლად შორს არიან ისინი ხალხისაგან. მაგრამ მათს საქმეს ამაოდ არ ჩაუვლია. დეკაბრისტებმა გამოაღვიძეს გერცენი. გერცენმა გააჩაღა რევოლუციური აგიტაცია.

ეს აგიტაცია განაგრძეს, გააფართოეს, განამტკიცეს, გამოაწრთეს რევოლუციონერმა-რაზნოჩინცებმა, ჩერნიშევსკით დაწყებული და „ნაროდნაია ვოლიას“ გმირებით დამთავრებული. უფრო გაფართოვდა მებრძოლთა წრე, უფრო დაუახლოვდნენ ისინი ხალხს. „მომავალი ქარიშხლის ახალგაზრდა შტურმანები“ — ასე უწოდებდა მათ გერცენი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო თვით ქარიშხალი.

ქარიშხალი — ეს თვით მასების მოძრაობაა. პროლეტარიატი, ერთადერთი ბოლომდე რევოლუციური კლასი, ჩაუდგა მათ სათავეში და პირველად დარაზმა აშკარა რევოლუციური ბრძოლისათვის მილიონობით გლეხი. ქარიშხალმა პირველად იგრიალა 1905 წელს. შემდეგი შეტევა ჩვენს თვალწინ იწყებს ზრდას.

აღნიშნავს რა გერცენის ხსოვნას, პროლეტარიატი მისი მაგალითის მიხედვით სწავლობს რევოლუციური თეორიის დიად მნიშვნელობას;— სწავლობს იმის გაგებას, რომ რევოლუციისადმი უსაზღვრო ერთგულება და რევოლუციური ქადაგებით ხალხისადმი მიმართვა მაშინაც კი არ ჩაივლის ამაოდ, როცა მთელი ათეული წლები აშორებს თესვას მკისაგან; — სწავლობს რუსეთის და საერთაშორისო რევოლუციაში სხვადასხვა კლასთა როლის განსაზღვრას. ამ გაკვეთილებით გამდიდრებული, პროლეტარიატი გზას გაიკაფავს ყველა ქვეყნის სოციალისტ მუშებთან თავისუფალი კავშირისაკენ, გასრესს იმ ქვეწარმავალს, მეფის მონარქიას, რომლის წინააღმდეგაც გერცენმა პირველმა აღმართა ბრძოლის

დიადი დროშა მასებისადმი მიმართული თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი რ უ ს უ-
ლ ი ს ი ტ ყ ვ ი თ.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „გერცენის ხსოვნას“. თხზ., ტ. 18. გვ. 11—12, 17—19.

უცხოა თუ არა ჩვენთვის, ველიკორუსი შეგნებული პროლეტარე-ბისათვის, ეროვნული სიამაყის გრძნობა? რა თქმა უნდა, არა! ჩვენ გვიყვარს ჩვენი ენა და ჩვენი სამშობლო, ჩვენ ყველაზე მეტად ვმუშა-ობთ იმისათვის, რომ მ ი ს ი მშრომელი მასები (ე. ი. მ ი ს ი მოსახ-ლეობის 9/10) ავამაღლოთ დემოკრატებისა და სოციალისტების შეგნე-ბულ ცხოვრებამდე. ჩვენთვის ყველაზე მეტად გულსატკენია ეხედავდეთ და ვგრძნობდეთ, თუ რა ძალადობას, ჩაგვრასა და აბუჩად აგდებას გა-ნიცდის ჩვენი მშვენიერი სამშობლო მეფის ჯალათების, თავადაზნაუ-რობისა და კაპიტალისტების მხრივ. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ ეს ძალა-დობა წინააღმდეგობას ხვდებოდა ჩვენი წრიდან, ველიკორუსების წრი-დან, რომ ა მ წრემ წარმოშვა რადიშჩევი, დეკაბრისტები, 70-იანი წლე-ბის რევოლუციონერი-რაზნოჩინელები, რომ ველიკორუსმა მუშათა კლასმა 1905 წელს შექმნა მასების ძლიერი რევოლუციური პარტია, რომ ამავე დროს ველიკორუსმა გლეხმა დაიწყო დემოკრატად გადაქ-ცევა, დაიწყო ხუცესისა და მემამულის დამხობა.

ჩვენ გვახსოვს, თუ რა თქვა ნახევარი საუკუნის წინათ ველიკო-რუსმა დემოკრატმა ჩერნიშევსკიმ, რომელიც თავის სიცოცხლეს სწრ-ავდა რევოლუციის საქმეს: „საცოდავი ერი, მონების ერი, თავიდან ბოლომდე ყველა მონაა“[11]. აშკარა და ფარულ მონა-ველიკორუსებს (მონებს მეფის მონარქიის მიმართ) არ უყვართ ამ სიტყვების გახსენე-ბა. ჩვენი აზრით კი, ეს იყო სიტყვები სამშობლოს ნამდვილი სიყვარუ-ლისა, ისეთი სიყვარულისა, რომელიც კაეშანს შეუპყრია, რომ ველი-კორუსი მოსახლეობის მასებში რევოლუციურობა არ არის. მაშინ ეს რევოლუციურობა არ იყო. ახლა იგი ცოტაა, მაგრამ უკვე არის. ჩვენ აღსავსენი ვართ ეროვნული სიამაყის გრძნობით, რადგან ველიკორუს-მა ერმა ა გ რ ე თ ვ ე შექმნა რევოლუციური კლასი, მ ა ნ ა ც დაამტკი-ცა, რომ მას უნარი შესწევს მისცეს კაცობრიობას თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლის დიადი ნიმუშები, და არა მარტო დიდი რბევა-აწიოკება, სახრჩობელათა რიგები, საწამებელი ადგილები, დიდი შიმშილობანი და დიდი მლიქვნელობა ხუცესების, მეფეების, მემამულეებისა და კაპიტალისტების წინაშე.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „ველიკორუსების ეროვნული სიამაყის შესახებ“ თხზ., ტ. 25. გვ. 111—112.

3. ბურჟუაზიის მიერ თავისუფალი აზროვნების და ათეიზმის უარყოფა

ბურჟუაზიამ უაღრესად რევოლუციური როლი შეასრულა ისტორიაში.

სადაც კი ბურჟუაზიამ გაბატონებას მიაღწია, ყველგან დაანგრია ყველა ფეოდალური, პატრიარქალური, იდილიური ურთიერთობანი. მან შეუბრალებლად დაწყვიტა ის მრავალფეროვანი ფეოდალური საბელი, რომლითაც ადამიანი მიბმული იყო მის „ბუნებრივ მბრძანებელზე", და არ დატოვა არავითარი სხვა კავშირი ადამიანსა და ადამიანს შორის, გარდა გაშიშვლებული ინტერესისა, გარდა უსულგულო „ნაღდად გადახდისა". ეგოისტური ანგარიშის ყინულოვან წყალში ჩაახრჩო მან საღმრთო ჟრუანტელი რელიგიური აღტყინებისა, რაინდული აღფრთოვანებისა, მეშჩანური გრძნობიერებისა. მან პირადი ღირსება საცვლელ ღირებულებად გადააქცია და უთვალავ ნაბოძვარ და კეთილშენაძენ თავისუფლებათა ადგილას დაამყარა ე რ თ ა დ-ე რ თ ი უსინდისო თავისუფლება ვაჭრობისა. ერთი სიტყვით, რელიგიური და პოლიტიკური ილუზიებით მიჩქმალული ექსპლოატაციის ადგილას მან დაამყარა აშკარა, უსირცხვილო, პირდაპირი, ტლანქი ექსპლოატაცია.

ბურჟუაზიამ წმინდანობის შარავანდედი ახადა ყველა იმ მოქმედებას, რომელსაც დღემდე საპატიოდ თვლიდნენ და მოწიწების გრძნობით უცქეროდნენ. ექიმი, იურისტი, მღვდელი, პოეტი, მეცნიერი მან თავის საფასურიან დაქირავებულ მუშებად გადააქცია.

ბურჟუაზიამ ოჯახურ ურთიერთობას მისი მგრძნობიერ-სანტიმენტალური საბურველი ჩამოაფხრიწა და იგი მარტოოდენ ფულად ურთიერთობაზე დაიყვანა.

ბურჟუაზიამ ცხადჰყო, რომ უკიდურესი სიზანტე ღირსეული დამატება იყო იმ ძალღონის უხეში გამოაშკარავებისა, რასაც ესოდენ აღტაცებაში მოჰყავს რეაქციონერები შუა საუკუნეების მიმართ. პირველად მან გვიჩვენა, თუ რისი შესრულება შეუძლია ადამიანის მოქმედებას. მან შექმნა სულ სხვაგვარი საკვირველებანი ხელოვნებისა, ვიდრე ეგვიპტის პირამიდები, რომის წყალსადენები და გოტიკური ტაძრები, მან ჩაატარა სულ სხვანაირი ლაშქრობანი, ვიდრე ხალხთა გადასახლებანი და ჯვაროსნული ომები.

> კ. მ ა რ ქ ს ი და ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი. „კომუნისტური პარტიის მანიფესტი". რჩ. ნაწ. ტ. 1. გვ. 14.

მაგრამ ინგლისელი ბურჟუები კარგი მოსაქმენი და ბევრად უფრო შორსმჭვრეტელნი იყვნენ, ვიდრე გერმანელი პროფესორები. მხოლოდ გარემოებათა ზეგავლენით უზიარებდნენ ისინი ხელისუფლებას მუ-

შებს. ჩარტისტული მოძრაობის დროს მათ შეიგნეს, თუ რა შეუძლია ამ puer robustus sed malitiosus (ბრგე, მაგრამ შეუპოვარ ყმაწვილს) — ხალხს. იმ ხნიდან სახალხო ქარტიის მოთხოვნების უმნიშვნელოვანესი ნაწილი ბურჟუაზიამ ძალაუნებურად მიიღო, და ეს მოთხოვნები ქვეყნის კანონად გადაიქცა. და ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, საჭირო იყო ლაგამამოდებული ჰყოლოდათ ხალხი მორალური საშუალებებით. ხოლო პირველ და უმნიშვნელოვანეს მორალურ საშუალებად, რომლითაც მოქმედებენ მასებზე, ისევ რელიგია დარჩა. აქედან წარმოსდგება ხუცების ძალადური გავლენა სასკოლო სამმართველოებში, აქედანვე წარმოსდგება ბურჟუაზიის მზარდი თვითდაბეგვრა კეთილმსახური დემაგოგიის ყოველგვარი ხერხებისათვის, დაწყებული რიტუალობით[12]. და გათავებული „ხსნის არმიით"[13].

და ახლა დაიწყო ბრიტანული რესპექტაბელური ფილისტერობის გამარჯვება კონტინენტალური ბურჟუას თავისუფალ აზროვნებასა და სარწმუნოებრივ ინდიფერენტიზმზე. ფრანგი და გერმანელი მუშები მეამბოხეებად გადაიქცენ. ისინი მთლიანად სოციალიზმის სენით იქნენ შეპყრობილნი, — ამასთან, კარგად გასაგები მოსაზრების გამო, ისინი სრულებით არ ზრუნავდნენ კანონიერების დაცვაზე ხელისუფლების დასაპყრობ საშუალებათა არჩევის დროს. ეს puer robustus (ბრგე ყმაწვილი) მართლაც იქ დღითი-დღე სულ უფროდაუფრო malitiosus (შეუპოვარი) ხდებოდა. რაღა დარჩენოდა ფრანგ და გერმანელ ბურჟუას უკიდურესი საშუალების სახით, თუ არა ის, რომ ჩუმად უკუეგდო თავისი თავისუფალი აზროვნება მსგავსად იმ თავხედი ყმაწვილისა, რომელიც, როდესაც მას უფროდაუფრო ერევა ზღვის ავადმყოფობა, გვერდზე აგდებს მოკიდებულ სიგარას, რომლითაც მას თავი მოჰქონდა გემის ქიმზე? ღვთისმგმობელებმა ერთი მეორეზე დაიწყეს გარეგნულად მორწმუნის გამომეტყველების მიღება, მოწიწებით ალაპარაკდნენ ეკლესიაზე, მის მოძღვრებაზე, მის წესებზე და თვითონ შეუდგნენ მათ შესრულებას, რამდენადაც არ შეიძლებოდა მათი გვერდის ავლა. ფრანგმა ბურჟუებმა უარი სთქვეს პარასკეობით ხორცის ჭამაზე, ხოლო გერმანელი ბერჟუები ოფლში იწურებოდნენ თავიანთ საეკლესიო სკამებზე და უსმენდნენ დაუსრულებლივ პროტესტანტულ ქადაგებას. თავიანთი მატერიალიზმით ისინი უბედურებაში ჩაცვივდნენ. „რელიგია უნდა იქნეს შენარჩუნებული ხალხისთვის"—ასეთია უკანასკნელი და ერთადერთი საშუალება საზოგადოების გადასარჩენად სრული დაღუპვისაგან. თავისდა საუბედუროდ, ეს მათ აღმოაჩინეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მათ თავის მხრივ ყოველივე შესაძლებელი მოიმოქმედეს რელიგიის სამუდამოდ დასარღვევად. და მაშინ დადგა მომენტი, როცა ბრიტანელ ბურჟუას, თავის მხრივ, შეეძლო

სასაცილოდ აეგდო ისინი და შეეძახნა მათთვის: „სულელებო, ეს მე შემეძლო მეთქვა თქვენთვის ჯერ კიდევ ორასი წლის წინათ!“

მაგრამ მე მაინც მეშინია, რომ ვერც ბრიტანელი ბურჟუას სარწმუნოებრივი სიჩლუნგე და ვერც კონტინენტალური ბურჟუას post festum (უკანა რიცხვით) მომხდარი მოქცევა ვერ შეაჩერებს აზვირთებულ პროლეტარულ ნიაღვარს. ტრადიცია — ეს დიდი მუხრუჭია, ეს ისტორიის ინერციის ძალაა. მაგრამ იგი მხოლოდ პასიურია და ამიტომ იგი უნდა დაეცეს. აგრეთვე ვერც რელიგია გასწევს დიდხანს კაპიტალისტური საზოგადოების ჯებირობას. თუ ჩვენი იურიდიული, ფილოსოფიური და სარწმუნოებრივი წარმოდგენები მოცემულ საზოგადოებაში გაბატონებული ეკონომიური ურთიერთობის ახლობელ თუ შორეულ განშტოებებს შეადგენენ, ეს წარმოდგენები დიდხანს ვერ გასძლებენ მას შემდეგ, რაც ეკონომიური ურთიერთობანი ძირბუდიანად შეიცვლება. ან უნდა ვირწმუნოთ ზესთაბუნებრივი გამოცხადება, ან უნდა ვაღიაროთ, რომ არავითარ სარწნუნოებრივ ქადაგებას არ შეუძლია უშველოს დაღუპვის გზაზე დამდგარ საზოგადოებას.

ფრ. ენგელსი. „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ“. შესავალი ინგლისური გამოცემისათვის. გვ. 37—39.

სამრეწველო რევოლუციამ შექმნა მსხვილ კაპიტალისტ-ფაბრიკანტთა კლასი, მაგრამ ამასთანავე შექმნა გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანი კლასი საფაბრიკო მუშებისა. ეს კლასი განუწყვეტლივ იზრდებოდა რიცხვობრივად იმისდა მიხედვით, თუ როგორ გადადიოდა სამრეწველო რევოლუცია წარმოების ერთი დარგიდან მეორეში. მაგრამ მის რიცხვთან ერთად იზრდებოდა აგრეთვე მისი ძალაც და ამ ძალამ თავი იჩინა უკვე 1824 წ., როდესაც მან აიძულა პარლამენტი, მიუხედავად მისი მედგარი წინააღმდეგობისა, გაეუქმებია კანონები კოალიციის თავისუფლების წინააღმდეგ. საპარლამენტო რეფორმის აგიტაციის დროს მუშები შეადგენდნენ რეფორმების პარტიის რადიკალურ ფრთას; როდესაც 1832 წ. აქტით მუშებს წაერთვათ ხმის უფლება, მათ თავიანთი მოთხოვნები განმარტეს სახალხო ქარტიაში (People's charter) და წინააღმდეგ პურის კანონების საპირდაპირო ძლიერი ბურჟუაზიული ლიგისა, დააარსეს ჩარტისტების დამოუკიდებელი პარტია. ეს იყო ჩვენი დროის პ ი რ ვ ე ლ ი მ უ შ ა თ ა პ ა რ ტ ი ა.

შემდეგ იფეთქა კონტინენტალურმა რევოლუციებმა 1848 წ. თებერვალსა და მარტში, რომლებშიაც მუშებმა ასეთი მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს და სადაც, ყოველ შემთხვევაში პარიზში, გამოვიდნენ მოთხოვნებით, რომლებიც პირდაპირ დაუშვებელი იყო კაპიტალისტური საზოგადოების თვალსაზრისით. ამას კი მოჰყვა საყოველთაო რეაქ-

ია. ჯერ ჩარტისტების დამარცხება 1848 წლის 10 აპრილს, შემდეგ იმავე წლის ივნისში პარიზის მუშების აჯანყების ჩახშობა, მერე 1849 წელს მარცხი იტალიაში, უნგრეთში, სამხრეთ გერმანიაში, ბოლოს ლუი-ბონაპარტის გამარჯვება პარიზზე 1851 წ. 2 დეკემბერს. ამნაირად, რამდენიმე ხნით მაინც გაფანტულ იქნა მუშათა მოთხოვნების საფრთხული, მაგრამ რა ფასით! თუ, მაშასადამე, ბრიტანელი ბურჟუა ჯერ კიდევ წინათ იყო დარწმუნებული უბრალო ხალხის რელიგიურ ბურუსში ყოლის აუცილებლობაში, რამდენად უფრო ძლიერად უნდა ეგრძნო მას ეს აუცილებლობა ყველა ამ გამოცდილებათა შემდეგ? და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა რა კონტინენტალური კოლეგების დაცინვას, იგი განაგრძობდა წლითი-წლობით ათასების და ათიათასების ხარჯვას ხალხის დაბალ წოდებათათვის სახარების საქადაგებლად. ის არ დაკმაყოფილდა საკუთარი რელიგიური აპარატით და მიმართა ძამია ჯონატანს[1], რელიგიური სპეკულაციის მაშინდელ უდიდეს ორგანიზატორს, და შემოიტანა ამერიკიდან მუდის, სენკის და სხვ. რევივალიზმი[18] და ბოლოს, იგი დათანხმდა იმ „ხსნის არმიის", საშიშარ დახმარებაზედაც კი, რომელიც აღადგენს ძველი ქრისტიანობის პროპაგანდის ხერხებს, მიმართავს ღარიბებს, ვითარცა ღვთის რჩეულთ, ებრძვის კაპიტალიზმს თავის სარწმუნოებრივ ყაიდაზე და, ამრიგად, ანვითარებს ძველქრისტიანული კლასობრივი ბრძოლის ისეთ ელემენტს, რომელიც ერთ მშვენიერ დღეს შეიძლება ძალიან საბედისწერო აღმოჩნდეს მდიდრებისათვის, რომლებიც ამჟამად ამ საქმეზე ნაღდ ფულს ხარჯავენ.

ფრ. ენგელსი. „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ". შესავალი ინგლისური გამოცემისათვის. გვ. 33—34.

როდესაც განათლებული უცხოელი მეცხრამეტე საუკუნის ნახევარში ინგლისში ჩადიოდა საცხოვრებლად, მას ყველაზე უფრო ეცემოდა ოვალში, — სხვანაირად არც შეეძლო აეხსნა ეს, — „რესპექტაბელური" საშუალო კლასის სარწმუნოებრივი ფარისეველობა და სიჩლუნგე. ჩვენ მაშინ ყველანი მატერიალისტები ან, ყოველ შემთხვევაში, ძალიან რადიკალური თავისუფალმოაზრენი ვიყავით; ჩვენთვის გაუგებარი იყო ის ფაქტი, რომ თითქმის ყველა განათლებულ ადამიანს ინგლისში სწამდა სხვადასხვა წარმოუდგენელი სასწაულები, და თვით გეოლოგებიც კი, როგორიც ბეკლენდი და მანტელი იყვნენ, ამახინჯებდნენ თავიანთი მეცნიერების ფაქტებს, რათა ძალიან მკვეთრად არ დაშორებოდნენ მოსეს ლეგენდის მითებს ქვეყნიერების შექმნის შესახებ. ჩვენთვის გაუგებარი იყო ის, რომ იმისათვის, რათა გვენახა ადამიანები, რომელნიც ბედავდნენ სარწმუნოებრივ საკითხებშიც საკუთარ გონებაზე დაყრდნობას, საჭირო იყო მისვლა გაუნათლებელ მასასთან, „პირდაუბანელ ბრბოს-

თან", როგორც მაშინ ამბობდნენ, — მუშებთან, განსაკუთრებით რობერტ ოუენის მიმდევარ სოციალისტებთან.

მაგრამ მას შემდეგ ინგლისი ეზიარა „ცივილიზაციას". 1851 წლის[11] გამოფენა სამგლოვიარო ზარად გაისმა ინგლისის კუნძულის კარჩაკეტილობისათვის. ინგლისი თანდათან ინტერნაციონალიზირდებოდა როგორც სმა-ჭამის, ისე ზნე-ჩვეულებების და წარმოდგენების სფეროში; ამ მხრივ იგი ისე შორს წავიდა, რომ მე სულ უფროდაუფრო ვიმსჭვალები სურვილით, რომ ზოგიერთმა ინგლისურმა ჩვეულებამ კონტინენტზე ისეთივე საყოველთაო აღიარება ჰპოვოს, როგორიც კონტინენტის ზოგიერთმა ჩვეულებებმა ჰპოვეს ინგლისში. ეჭვს გარეშეა ერთი რამ: პროვანსის ზეთის (რომელიც 1851 წლამდე ცნობილი იყო მხოლოდ არისტოკრატიისათვის) გავრცელებას თან ახლდა სარწმუნოებრივ საკითხებში კონტინენტური სკეპტიციზმის საბედისწერო გავრცელება. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ აგნოსტიციზმი, თუმცა იგი ჯერ კიდევ არ ითვლება ისეთივე კეთილშობილად, როგორც ინგლისური სახელმწიფო ეკლესია, მაინც რესპექტაბელობის მხრივ თითქმის ერთ საფეხურზე დგას ბაპტისტურ სექტასთან და ყოველ შემთხვევაში უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფება, ვიდრე „ხსნის არმია[15]". და აქ მე სხვა არაფერი შემიძლია წარმოვიდგინო, თუ არ ის, რომ ბევრისთვის, ვინც გულით და სულით სწუხს და წყევა-კრულვით იხსენიებს ურწმუნოების პროგრესს, სანუგეშო იქნება გაიგოს, რომ ეს ახლად გამომცხვარი იდეები არ არიან უცხოური წარმოშობისა, არ ატარებენ მარკას „Made in Germany" (დამზადებულია გერმანიაში), როგორც სხვა მრავალი ყოველდღიურად სახმარი საგანი; რომ ისინი, პირიქით, არიან ძველ-ინგლისური წარმოშობისა და მათი ბრიტანელი მამამთავარნი ჯერ კიდევ ორასი წლის წინათ მიდიოდნენ ბევრად უფრო შორს, ვიდრე მათი ახლანდელი შთამომავალნი.

ფრ. ენგელსი. „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ". შესავალი ინგლისური გამოცემისათვის. გვ. 18—20.

ახალ გამოსავალ წერტილს წარმოადგენდა კომპრომისი აღმავალ ბურჟუაზიასა და ყოველ ფეოდალურ მსხვილ მიწათმფლობელებს შორის. უკანასკნელნი, რომელნიც მაშინ, ისე როგორც ახლა, არისტოკრატიად იწოდებოდნენ, უკვე დიდი ხანია იყვნენ იმისაკენ მიმავალ გზაზე, რადაც გაცილებით უფრო გვიან გახდა ლუი-ფილიპე საფრანგეთში: ერის პირველი ბურჟუები. ინგლისის საბედნიეროდ, ძველმა ფეოდალურმა ბარონებმა ერთმანეთი ამოწყვიტეს იმ ომებში, რომელნიც წითელი და თეთრი ვარდის ომების[19] სახელით არიან ცნობილი. მათი მემკვიდრეები, რომელნიც უმეტეს ნაწილად ამავე ძველი გვარ-

რების ჩამომავალნი იყვნენ აგრეთვე, ისეთი შორეული გვერდითი შტოებიდან წარმოსდგებოდნენ, რომ მათ სრულიად ახალი კორპორაცია შეადგინეს: მათი ჩვეულებანი და მისწრაფებანი ბევრად უფრო ბურჟუაზიული იყვნენ, ვიდრე ფეოდალური. მათ მშვენივრად იცოდნენ ფულის ფასი და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მიწის რენტის მაღლა აწევას, გააძევეს რა მიწიდან ასი ათასობით წვრილი მოჯარადრენი და შესცვალეს რა ისინი ცხვრებით. ჰენრიხ მერვე მასობრივად ჰქმნიდა ახალ ბურჟუა-ლენდლორდებს, არიგებდა და გროშის ფასად ჰყიდდა რა საეკლესიო ქონებას; ამასვე იწვევდა XVII საუკუნის ბოლომდე გაგრძელებული განუწყვეტელი კონფისკაცია მსხვილი მამულებისა, რომლებიც შემდეგ მეტიჩრებს ან ნახევრად მეტიჩრებს ეჩიგდებოდათ. ამიტომ ინგლისის „არისტოკრატია" ჰენრიხ VII დროიდან არა თუ არ ეწინააღმდეგებოდა მრეწველობის განვითარებას, არამედ, პირიქით, ცდილობდა სარგებლობა მიეღო მისგან. სწორედ ასევე ყოველთვის მოიპოვებოდა მსხვილ მიწათმფლობელთა ნაწილი, რომელიც ეკონომიკური თუ პოლიტიკური მოსაზრებებით მზად იყო ეთანამშრომლა საფინანსო და სამრეწველო ბურჟუაზიის ბელადებთან. ამნაირად, ადვილად განხორციელდა 1689 წლის კომპრომისი. პოლიტიკური spolia opima („გამარჯვების ტროფეები") — თანამდებობანი, სინეკურები[1], დიდი ჯამაგირები — შერჩა მემამულე თ.-აზნაურობის წარჩინებულ გვარებს იმ პირობით, რომ ისინი სათანადოდ დაიცავდნენ საფინანსო, სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიის ეკონომიკურ ინტერესებს. და ეს ეკონომიკური ინტერესები იმ დროს უკვე საკმაოდ ძლიერი იყო; საბოლოო ანგარიშით ისინი საზღვრავდნენ საყოველთაო ნაციონალურ პოლიტიკას. რასაკვირველია, არსებობდნენ უთანხმოებანი ამათუიმ საკითხის შესახებ, მაგრამ არისტოკრატიულმა ოლიგარქიამ ძალიან კარგად იცოდა, თუ როგორ განუყრელად იყო გადაჯაჭვული მისი საკუთარი ეკონომიკური კეთილდღეობა სამრეწველო და სავაჭრო ბურჟუაზიის აყვავებასთან.

ამ დროიდან ბურჟუაზია გახდა ინგლისის გაბატონებული კლასების თავდაბალ, მაგრამ საყოველთაოდ აღიარებულ ნაწილად. მათთან ერთად იგი დაინტერესებული იყო ხალხის უდიდესი მშრომელი მასის დათრგუნვაში. ვაჭარს ან ფაბრიკანტს თავიანთი ნოქრების, მუშების, შინამოსამსახურეების მიმართ თვითონ ეჭირა მრჩენელი პატრონის ანუ, როგორც ჯერ კიდევ ამასწინათ ამბობდნენ ინგლისში, „ბუნებრივი უფროსის" მდგომარეობა. მას უნდა გამოეწოვა მათგან რაც შეიძლება მეტი და რაც შეიძლება უკეთესი ხარისხის შრომა; ამ მიზნით მას უნდა აღეზარდა ისინი შესაფერ მორჩილებაში. იგი თვითონ მორწმუნე იყო; მისმა სარწმუნოებამ მისცა მას ის დროშა, რომლითაც მან მეფე და ლორდები დაამარცხა. მალე მან აღმოაჩინა აგრეთვე

საშუალება, რომელსაც ეს რელიგია აძლევდა მას, რათა თავის ბუნებრივ ხელქვეითთა ცნობიერება დაემუშავებინა და დაემორჩილებინა ისინი იმ პატრონების ბრძანებისადმი, რომელნიც მათ დაუყენა გამოუკვლეველმა ღვთის განგებამ. მოკლედ, ინგლისის ბურჟუა ამ დროიდან თანამონაწილე გახდა. „დაბალი წოდებების" — ხალხის უზარმაზარი მწარმოებელი მასის დათრგუნვაში, და ამასთან ერთ-ერთ გამოსაყენებელ საშუალებას რელიგიის გავლენა წარმოადგენდა.

მაგრამ ამას დაერთო კიდევ მეორე გარემოება, რომელმაც გააძლიერა ბურჟუაზიის რელიგიური მიდრეკილებანი: მატერიალიზმის გაფურჩქვნა ინგლისში. ამ ახალ უღვთო მოძღვრებას არა თუ აღშფოთებაში მოჰყავდა მორწმუნე საშუალო წოდება, — მან, გარდა ამისა, თავისი-თავი გამოაცხადა ფილოსოფიად, რომელიც შეშვენის მხოლოდ მეცნიერებსა და განათლებულ ადამიანებს, წინააღმდეგ რელიგიისა, რომელიც საკმარისად კარგია გაუნათლებელი, ფართო მასისათვის, ბურჟუაზიის ჩათვლით. ჰობსთან ერთად იგი გამოვიდა მეფის ყოვლისშემძლებლობის დამცველის როლში და მოუწოდებდა აბსოლუტურ მონარქიას მოეთვინიერებია ეს puer robustus sed malitiosus (ბრგე, მაგრამ თავხედი ბიჭი), ე. ი. ხალხი. აგრეთვე ჰობსის მიმდევრებთან — ბოლინგბროკთან, შეფტსბერისთან და სხვ. — მატერიალიზმის ახალი, დეისტური ფორმა დარჩა არისტოკრატიულ, ეზოტერულ (მხოლოდ რჩეულთათვის) მოძღვრებად და ამიტომაც მატერიალიზმი ბურჟუაზიას სძულდა არა მარტო მისი რელიგიური მწვალებლობისათვის, არამედ მისი ანტიბურჟუაზიული პოლიტიკური კავშირისათვისაც. ამის შესაბამისად, წინააღმდეგ არისტოკრატიის მატერიალიზმისა და დეიზმისა, სწორედ პროტესტანტულმა სექტებმა, რომელნიც იძლეოდნენ დროშასაც და მებრძოლთაც სტიუარტებთან[1] ბრძოლაში, წამოაყენეს აგრეთვე პროგრესიული საშუალო კლასის მთავარი მებრძოლი ძალები და ახლაც შეადგენენ „დიდი ლიბერალური პარტიის" ძირითად ხერხემალს.

ფრ. ენგელსი, „სოციალიზმის განვითარება უტოპიიდან მეცნიერებისაკენ". შესავალი ინგლისური გამოცემისათვის. გვ. 27—29.

რუსული ბურჟუაზია და რელიგია

ოქტიაბრისტებმა და კადეტებმა, რომლებიც გამოდიოდნენ III სათათბიროში უკიდურესი მემარჯვენეების წინააღმდეგ, კლერიკალებისა და მთავრობის წინააღმდეგ, უაღრესად გაგვიადვილეს ეს ამოცანა, რაკი ნათლად გვიჩვენეს ბურჟუაზიის დამოკიდებულება ეკლესიისა და რელიგიისადმი. კადეტებისა და, ეგრეთწოდებული, პროგრესისტების ლეგალური პრესა ახლა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს „სტარო-

ობრიადელების“ საკითხს, იმას. რომ ოქტიაბრისტები კადეტებთან ერთად გამოვიდნენ მთავრობის წინააღმდეგ, იმას, რომ ისინი თუნდაც მცირე რამეში „დადგნენ რეფორმების გზაზე“, რომლებსაც 17 ოქტომბერს შეგვპირდნენ. ჩვენ გაცილებით უფრო გვაინტერესებს საკითხის პრინციპული მხარე, ე. ი. საერთოდ ბურჟუაზიის დამოკიდებულება რელიგიისა და ეკლესიისადმი, თვით იმათი ჩათვლით, ვინც დემოკრატ-კადეტების სახელწოდებას ჩემულობს. ჩვენ არ უნდა დავუშვათ, რომ შედარებით კერძო საკითხმა — გაბატონებულ ეკლესიასთან „სტაროობრიადელთა“ შეტაკების საკითხმა, „სტაროობრიადელებთან“ დაკავშირებული და ნაწილობრივ მათზე პირდაპირ ფინანსურად დამოკიდებული ოქტიაბრისტების მოქმედების საკითხმა („გოლოს მოსკვი“, როგორც ამბობენ, იცემა „სტაროობრიადელთა“ სახსრებით) — დაჩრდილოს ძირითადი საკითხი — ბურჟუაზიის, როგორც კლასის, ინტერესებისა და პოლიტიკის საკითხი.

დააკვირდით მიმართულებით ოქტიაბრისტის, ოქტიაბრისტთა ფრაქციიდან გამოსულ გრაფ უვაროვის სიტყვას. ის ლაპარაკობს სოციალ-დემოკრატ სურკოვის შემდეგ და მაშინვე უარს ამბობს დასვას საკითხი იმ პრინციპულ ნიადაგზე, რომელზედაც იგი დააყენა მუშათა დეპუტატმა. უვაროვი თავს ესხმის სინოდსა და ობერ-პროკურორს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ არა სურთ მიაწოდონ სათათბიროს ცნობები ზოგიერთი საეკლესიო შემოსავლისა და საშრეველოს თანხების ხარჯვის შესახებ. ასევე აყენებს საკითხს ოქტიაბრისტების ოფიციალური წარმომადგენელი კამენსკი (16 აპრილს), რომელიც მოითხოვს მრევლის აღდგენას „მართლმადიდებლობის განმტკიცების ინტერესებისათვის“. ამ აზრს ავითარებს, ეგრეთწოდებული, „მემარცხენე ოქტიაბრისტი“ კაპუსტინი: „თუ ჩვენ მივმართავთ ხალხის ცხოვრებას, — შესძახა მან, — მივმართავთ სოფლის მოსახლეობის ცხოვრებას, მაშინ ახლა, ამჟამად, ჩვენ დავინახავთ სავალალო მოვლენას — ირყევა რელიგიური ცხოვრება, ირყევა მოსახლეობის ზნეობრივი წყობილების უდიდესი ერთადერთი საფუძველი... რამ უნდა შესცვალოს ცოდვის ცნება, რამ უნდა შესცვალოს სინდისის კარნახი? ხომ შეუძლებელია, რომ ეს შესცვალოს კლასობრივი ბრძოლისა და ამა თუ იმ კლასის უფლებების ცნებამ. ეს სავალალო ცნებაა, რომელიც შემოვიდა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. და აი, იმ თვალსაზრისით, რომ რელიგია, როგორც ზნეობის საფუძველი, განაგრძობდეს არსებობას, მისაწვდომი იყოს მთელი მოსახლეობისათვის, საჭიროა, რათა ამ რელიგიის გამტარებელნი სათანადო ავტორიტეტით სარგებლობდნენო“...

კონტრრევოლუციური ბურჟუაზიის წარმომადგენელს სურს განამტკიცოს რელიგია, სურს განამტკიცოს რელიგიის გავლენა მასებზე, რადგან გრძნობს, რომ არასაკმარისნი, მოძველებულნი, მმართველი კლა-

სებისათვის მავნებელნიც კი არიან „ანაფორიანი მოხელენი“, რომელნიც ძირს სცემენ ეკლესიის ავტორიტეტს. ოქტიაბრისტი იბრძვის კლერიკალიზმისა და პოლიციური მეურნეობის უკიდურესობათა წინააღმდეგ იმისათვის, რომ გაძლიერდეს რელიგიის გავლენა მასებზე, რომ შეიცვალოს ხალხის გამოყეყეჩების თუნდაც რამდენიმე საშუალება, რომლებიც ძალიან ტლანქნი, ძალიან მოძველებულნი, ძალიან დახავსებულნი არიან და მიზანს ვერ აღწევენ, — უფრო დახვეწილი, უფრო სრულყოფილი საშუალებებით. პოლიციური რელიგია უკვე საკმარისი არ არის ხალხის გასასულელებლად, მოგვეცით უფრო კულტურული, განასლებული, უფრო მოხერხებული რელიგია, რომელიც შესძლებს თვითმართველ მრევლში მოქმედებასაო, — აი რას მოითხოვს კაპიტალი თვითმპყრობელობისაგან.

და კადეტი კარაულოვიც მთლიანად დგას სწორედ ამავე თვალსაზრისზე. ეს „ლიბერალური“ რენეგატი (რომელიც „ნაროდნაია ვოლიადან“ მემარჯვენე კადეტებთან გადაბარგდა) მოთქვამს „ეკლესიის დენაციონალიზაციის, ესე იგი საეკლესიო მშენებლობიდან ხალხის მასების, ერისკაცების, განდევნის“ წინააღმდეგ. მას „შემზარავ“ რამედ (ასეა სიტყვასიტყვით!) მიაჩნია, რომ მასები „ურწმუნონი ხდებიან“. ის სავსებით მენშიკოვურად გაჰყვირის იმას, რომ „ეკლესიის უდიდეს საკუთარ ღირებულებას ფასი ეკარგება..., რაც უაღრესად საზიანოა არა მარტო საეკლესიო საქმისათვის, არამედ სახელმწიფოებრივი საქმისთვისაცაო. ის „ოქროს სიტყვებს“ უწოდებს ურჯუკ ევლოღის საზიზღარ თვალთმაქცობას იმ თემაზე, რომ „ეკლესიის ამოცანა მარადია, ურყევია და, მაშასადამე, ეკლესიის დაკავშირება პოლიტიკასთან შეუძლებელიაო“. ის პროტესტს აცხადებს შავ რაზმთან ეკლესიის კავშირის წინააღმდეგ იმის გულისათვის, რომ ეკლესია „ახლანდელზე უფრო მეტი ძლიერებითა და დიდებით აკეთებდეს თავის დიად, წმიდა საქმეს ქრისტეს სულისკვეთებით — სიყვარულისა და თავისუფლების სულისკვეთებითაო“.

ამხანაგი ბელოუსოვი ძალიან კარგად მოიქცა, რომ სათათბიროს ტრიბუნიდან დასცინა კარაულოვის ამ „ლირიკულ სიტყვებს“. მაგრამ ასეთი დაცინვა ოდნავადაც და სრულიადაც არ არის საკმარისი. საჭირო იყო იმის გარკვევა, — და საჭირო იქნება პირველივე მარჯვე შემთხვევისას გავარკვიოთ სათათბიროს ტრიბუნიდან,—რომ კადეტების თვალსაზრისი სავსებით ეთანხმება ოქტიაბრისტების თვალსაზრისს და გამოხატავს მხოლოდ და მხოლოდ „კულტურული“ კაპიტალის მისწრაფებას — რელიგიური ნარკოზით გააბრუოს ხალხი ეკლესიური მოტყუების უფრო ოსტატური საშუალებებით, ვიდრე ის საშუალებებია, რომლებსაც მიმართავდა ძველი დროის რიგითი რუსი „მამაო“.

ხალხი სულიერ მონობაში რომ იყოლიო, საჭიროა ეკლესიის ფრიად მჭიდრო კავშირი შავ რაზმთანაო, — ამბობდა პურიშკევიჩის პირით ველური მემამულე და ძველი დერჟიმორდა. ცდებით, ბატონებო, უპასუხებს მათ კარაულოვის პირით კონსტრრევოლუციური ბურჟუა: თქვენ მხოლოდ საბოლოოდ ჩამოაშორებთ ხალხს რელიგიისაგან ასეთი საშუალებებით. ვიმოქმედოთ უფრო ჭკვიანად, უფრო ეშმაკურად, უფრო ოსტატურად, — თავიდან მოვიცილოთ მეტისმეტად სულელი და უხეში შავრაზმელი, ბრძოლა გამოვუცხადოთ „ეკლესიის დენაციონალიზაციას“, დავწეროთ დროშაზე ევლოღი ეპისკოპოსის „ოქროს სიტყვები“, რომ ეკლესია პოლიტიკაზე მაღლა დგას, — მხოლოდ ასეთი მოქმედებით შევძლებთ ჩვენ გავასულელოთ ჩამორჩენილი მუშების თუნდაც ნაწილი და, მეტადრე, მეშჩანები და გლეხები, შევძლებთ დავეხმაროთ განახლებულ ეკლესიას რომ მან, შეასრულოს თავისი „დიადი, წმიდა საქმე“ — ხალხის მასების სულიერ მონობაში ყოფნაო.

ჩვენი ლიბერალური პრესა, თვით გაზეთი „რეჩიც“, გაძლიერებით კიცხავდა ამ ბოლო დროს სტრუვესა და კომპანიას, როგორც კრებულ „ვეხის“ ავტორებს. მაგრამ კადეტთა პარტიის ოფიციალურმა ორატორმა სახელმწიფო სათათბიროში, კარაულოვმა, ჩინებულად ამხილა სტრუვესი და კომპანიის ამ გაკიცხვისა და მათგან გამიჯვნის მთელი საზიზღარი თვალთმაქცობა. რაც კარაულოვსა და მილიუკოვს აზრად აქვთ, სტრუვეს ენაზე აკერია. ლიბერალები სტრუვეს მ ხ ო ლ ო დ იმიტომ კიცხავენ, რომ მან უცაბედად წამოაყრანტალა სიმართლე, რომ მან მეტისმეტად გამოამეღავნა ფარული ზრახვები. ლიბერალები, რომლებიც კიცხავენ „ვეხის“ და ისევ მხარს უჭერენ კადეტების პარტიას, ყოვლად უსინდისოდ ატყუებენ ხალხს, როცა გმობენ უცაბედად ნათქვამ გულახდილ ს ი ტ ყ ვ ა ს და განაგრძობენ სწორედ იმ ს ა ქ მ ი ს კ ე თ ე ბ ა ს, რომელიც ამ სიტყვას შეესაბამება.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „კლასები და პარტიები მათს დამოკიდებულებაში რელიგიისა და ეკლესიისადმი“. თხზ., ტ. 15. გვ. 513—517.

შემთხვევით კი არა, არამედ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ი ს გამო მოხდა, რომ საერთოდ მთელი ჩვენი რეაქცია და კერძოდ ლიბერალური (ვეხური, კადეტური) რეაქცია რელიგიას „დაეწაფა“. მარტო ჯოხი, მარტო მათრახი არ კმარა; ჯოხი, რაც უნდა იყოს, მაინც გადამტყდარია. ვ ე ხ ე ლ ე ბ ი ეხმარებიან მოწინავე ბურჟუაზიას, რომ მან შეიძინოს უახლესი იდეური ჯოხი, სულიერი ჯოხი. მახიზმი, როგორც იდეალიზმის ნაირსახეობა, ო ბ ი ე ქ ტ უ რ ა დ რეაქციის იარაღია, რეაქციის გამტარებელია. ამიტომ მახიზმთან ბრძოლა „ქვემოთ“ შემთხვევითი კი არა, აუცილებელია ისეთ ისტორიულ პერიოდში (1908—1910 წლები), როდესაც „ზემოთ“ ჩვენ ვხედავთ არა მარტო ოქტიაბრისტებისა და პურიშკევი-

ჩების „ღვთისმლოცველ სათათბიროს“. არამედ აგრეთვე ღვთისმლოცველ კადეტებსაც, ღვთისმლოცველ ლიბერალურ ბურჟუაზიას.

3. ლ ე ნ ი ნ ი, ჩვენი გამაუქმებელნი“. თხზ., ტ. 17. გვ. 73.

✠ ათეიზმი და მუშათა კლასი

ანტისაეკლესიო მოძრაობა ინგლისის მუშათა კლასისა

მუშების ფიზიკური მდგომარეობიდან მათ სულიერ მდგომარეობაზე გადავიდეთ. თუ ბურჟუაზია მათ ცხოვრების საშუალებას აძლევს იმდენად, რამდენადაც ეს მისთვისაა საჭირო, არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ის მათ განათლებასაც იმდენს აძლევს, რამდენიც მის ინტერესს შეადგენს. და ეს არც ისე დიდია. მოსახლეობის რიცხვთან შედარებით სწავლა-განათლების საშუალებები ინგლისში მეტისმეტად მცირეა. მუშათა კლასისთვის დანიშნულ მცირეოდენ საკვირაო სკოლებში მხოლოდ მოსწავლეთა მცირე რიცხვს შეუძლია სიარული; ამას გარდა ეს სკოლები ცუდადაა მოწყობილი, მასწავლებლებად იქ ინვალიდი მუშები ან სხვა უვარგისი პირები არიან დანიშნული, რომელნიც მასწავლებლებად მიდიან მხოლოდ იმიტომ, რომ თავი ირჩინონ; ეს მასწავლებლები მეტწილად თვითვე არიან მოკლებულნი უსაჭიროეს ელემენტარულ ცოდნას, არა აქვთ მასწავლებლისათვის საჭირო ზნეობრივი აღზრდა და არავითარ საზოგადოებრივ კონტროლს არ ექვემდებარებიან. აქაც თავისუფალი კონკურენციაა გაბატონებული, და, როგორც ყველგან, მდიდრები მოგებაში არიან, ხოლო ღარიბები, რომელთათვისაც კონკურენცია სწორედ თავისუფალი არაა და რომელთაც სათანადო ცოდნა არა აქვთ, რომ ამის განსჯა შეეძლოთ, ზარალობენ. სავალდებულო სწავლება არსადაა შემოღებული; ფაბრიკებში, როგორც დავინახეთ, მხოლოდ სიტყვითაა იგი შემოღებული; და როდესაც 1843 წლის სესიაზე მთავრობამ სცადა ეს მოჩვენებითი სავალდებულო სწავლება ნამდვილად განეხორციელებია, სამრეწველო ბურჟუაზიამ ამას მთელი ძალღონით წინააღმდეგობა გაუწია, თუმცა მუშები გადაჭრით მ ო მ ხ რ ე იყვნენ სავალდებულო სწავლების. ამას გარდა, მრავალი ბავშვი მთელი კვირა ფაბრიკებსა და სახლებში მუშაობს და ამიტომ მათ სკოლაში სიარული არ შეუძლიათ; ს ა ღ ა მ ო ს ს კ ო ლ ე ბ შ ი კი, რომლებიც დღისით მომუშავეთათვისაა დანიშნული, თითქმის სრულიად არ დაიარებიან, და ამ სკოლებს არავითარი სარგებლობა არ მოაქვთ. მეტისმეტი იქნებოდა იმის მოთხოვნა, რომ ახალგაზრდა მუშებმა, თორმეტი საათის განმავლობაში ნაშრომ-ნატანჯებმა, კიდევ საღამოს სკოლაში დაჰყონ 8-დან 10 საათამდე. იმათ კი, რომელნიც ამას სჩადიან,

მეტწილად იქ სძინავთ მეცადინეობის დროს, როგორც ეს ასეული ჩვენებით დაადასტურა „Cbildren's Empl Rept"-მა. მართალია, საკვირაო სკოლებიც დაარსდა, მაგრამ მათშიც მასწავლებლების უზომო ნაკლებობაა, და მათ სარგებლობის მოტანა შეუძლიათ მხოლოდ იმათთვის, რომელთაც ცოტაოდენი რამ აქვთ ნასწავლი ჩვეულებრივ სკოლებში. შუალედი დრო კვირიდან კვირამდე მეტად დიდია იმისთვის, რომ სრულიად განუვითარებელმა ბავშვმა შემდეგი გაკვეთილისთვის არ დაივიწყოს ის, რაც მან წინა გაკვეთილზე, რა დღის წინათ, ისწავლა. „Children's Employment Commission"-ის ანგარიშს ათასობით მოჰყავს დამოწმება, და თვით კომისიაც გადაჭრით იმ აზრს გამოსთქვამს, რომ არც ჩვეულებრივი და არც საკვირო სკოლები ოდნავადაც არ აკმაყოფილებენ ნაციის მოთხოვნილებას. ამ ანგარიშში ინგლისის მუშათა კლასის ისეთი უვიცობის დამამტკიცებელი ფაქტებია მოყვანილი, რომლის პოვნა ისეთ ქვეყნებშიც კი არაა მოსალოდნელი, როგორიცაა ესპანეთი და იტალია. სხვანაირად შეუძლებელიცაა; მუშების განათლება ბურჟუაზიას კარგს არაფერს უქადის, გარდა ზოგიერთ საშიშროებათა: თავისი მთელი ეებერთელა ბიუჯეტიდან, რომელიც 55 000 000 გირვ. სტერლ. შეიცავს, მთავრობა სახალხო განათლებისთვის ხარჯავს მხოლოდ 40 000 გირვ. სტერლინგს; და რელიგიური სექტების ფანატიზმს რომ ადგილი არ ჰქონდეს, რომელსაც უფრო მეტი ენება მოაქვს, ვიდრე აქა-იქ სარგებლობა, სწავლა-განათლების ხარჯები კიდევ უფრო უმნიშვნელო იქნებოდა. მაგრამ ანგლიკანური ეკლესია თავის National Schools-ს [ეროვნულ სკოლებს] აარსებს, თითოეული სექტა — თავის სკოლებს, მხოლოდ და მხოლოდ იმ მიზნით, რომ თანამორწმუნეთა ბავშვები თავის ეკლესიის წიაღში შეინარჩუნოს და, სადაც შესაძლებელია, აქა-იქ სხვა სექტების ბავშვების სულიც მოინადიროს. ამის გამო რელიგია და მისი მთლად უნაყოფო მხარე—პოლემიკა — სწავლების უპირატეს საგნად გადაიქცა, და ბავშვის გონებას ავსებენ გაუგებარი დოგმებით და თეოლოგიური ცნებებით; სექტანტური სული და ფანატიკური ფარისევლობა მათში ადრიანი ასაკიდანვე ვითარდება, ხოლო მათი გონივრული სულიერი და ზნეობრივი აღზრდა სრულიად უგულებელყოფილია. მუშები ხშირად მოითხოვდენ პარლამენტისგან ნამდვილ საერო საზოგადოებრივ აღზრდას, რელიგიის დატოვებას თითოეული სექტის სასულიერო პირებისთვის, მაგრამ აქამდე მათ ისეთი სამინისტრო ვერ ნახეს, რომელსაც ამის ნება დაერთო. გასაგებიცაა. მინისტრი ბურჟუაზიის ყურმოჭრილი მონაა, ბურჟუაზია კი ურიცხვ სექტებად იყოფა; თითოეული სექტა მხოლოდ მაშინაა თანახმა სხვებრ საშიშარი აღზრდა-განათლება მისცეს მუშას, თუ ის ამ აღზრდა-განათლებასთან ერთად საწინააღმდეგო წამალსაც მიიღებს სპეციალურად ამ სექტის კუთ-

ვნილი დოგმების სახით. და ვინაიდან ეს სექტები აქამდე უმაღლესი ძალა-უფლებისთვის იბრძვიან, ამიტომ მუშათა კლასი სწავლა-განათლების გარეშე რჩება. მართალია, ფაბრიკანტები იკვეხნიან, მუშათა დიდ უმრავლესობას კითხვა ვასწავლეთო, მაგრამ თუ როგორია ეს კითხვა, ამის გაგება შეიძლება „Children's Employment Commission"-ის ანგარიშიდან. ვინც ანბანი იცის, ის კითხვის შცოდნედ სთვლის თავს, და ფაბრიკანტებიც ამით იმშვიდებენ გულს. მაგრამ თუ მხედველობაში მიიღებ რთულ ინგლისურ მართლწერას, რომლის პირობაში კითხვა მართლაც რომ ხელოვნებაა და მხოლოდ ხანგრძლივი შესწავლის გზით შეიძლება შეთვისებულ იქნეს, მაშინ გასაგები გახდება მუშების ასეთი უვიცობა. ნამდვილად წერა მხოლოდ ზოგიერთებს შეუძლიათ, ხოლო მართლწერით თვით მრავალი „განათლებული" ადამიანიც კი ვერ სწერს. მაღალი ეკლესიის, კვაკერების და ზოგიერთი სხვა სექტების საკვირაო სკოლებში წერას სრულიად არ ასწავლიან, „ვინაიდან ეს მეტისმეტად საერო ხასიათის საქმიანობაა კვირა დღისთვის". რაც შეეხება მუშებისთვის მისაწვდომი აღზრდა-განათლების სხვა მხარეებს, ამის შესახებ მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს, ეს მაგალითები აღებულია „Ch. Empl. Commiss."-ის ანგარიშიდან, რომელიც, სამწუხაროდ, საკუთრივ საფაბრიკო მრეწველობაზე არ ვრცელდება.

ბირმინგემში, — ამბობს კომისარი გ რ ე ნ ჯ ე რ ი, — ჩემს მიერ გამოცდილი ბავშვები ყველანი სრულიად მოკლებული არიან ყოველივე იმას, რაც შეიძლება დაახლოებით მაინც ჩაითვალოს გონივრულ აღზრდად. თუმცა თითქმის ყველა სკოლაში მ ა რ ტ ო დ ე ნ რელიგიურ განათლებას იძლევიან, ბავშვები საერთოდ ამ დარგშიც სრულიად უვიცები აღმოჩნდნენ. — ვოლვერჰამპტონში, — მოგვითხრობს კომისარი ჰ ო რ ნ ი, — სხვათა შორის მე ასეთი მაგალითები ვნახე: 11 წლის გოგოს, რომელიც ნამყოფი იყო ჩვეულებრივ და საკვირაო სკოლებში, „არაფერი გაუგონია სხვა სამყაროისა, ცისა და საიქიოს შესახებ". 17 წლის ვაჟმა არ იცოდა, რამდენია ორჯერ ორი, რამდენი ფარტინგია (1/4 პენი) ორ პენსში, მიუხედავად იმისა, რომ ფული ხელში ეჭირა. ზოგიერთ ბავშვს სრულიად არ ჰქონდა გაგონილი ლონდონისა და თვით უილენჰოლის შესახებ, თუმცა ეს უკანასნელი სულ ერთი საათის სავალზეა დაშორებული მათ საცხოვრებელ ადგილს და მუდმივ კავშირგაბმულობაშია ვოლვერჰამპტონთან. ზოგიერთ ბავშვს არასოდეს არ გაეგონა დედოფალის სახელი ან ისეთი სახელები, როგორიცაა ნელსონი, ველინგტონი, ბონაპარტი. მაგრამ აღსანიშნავი ისაა, რომ იმათ, რომელთაც არაფერი გაეგონათ წმ. პავლეს, მოსეს და სოლომონის შესახებ, საუცხოოდ იცოდნენ შარა-გზებზე მძარცველის დიკ ტურპინის ცხოვრება, საქმიანობა და ხასიათი, და განსაკუთრებით საპატიმროდან გაქცეული ქურდის, ჯეკ შეპარდისა. — 16 წლის ყმაწვილმა არ იცოდა,

რამდენია ორჯერ ორი ან რამდენს შეადგენს ოთხი ფარტინგი: 17 წლის მეორე ყმაწვილი ამტკიცებდა, ათი ფარტინგი ათნახევარ პენსს შეადგენს, ხოლო მესამემ, 17 წლისამ, მოკლედ უპასუხა რამდენიმე სულ უბრალო კითხვას: „მე არაფრისგან არაფერი ვიციო“ (he was ne judge o' nothin'). Horne Rept., App. Part II, Q. 18, № 216, 217, 226, 233 etc.). ამ ბავშვებმა, რომელთაც ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში რელიგიური დოგმებით მსჭვალავენ, ბოლოს და ბოლოს იმდენივე იციან, რამდენიც სკოლაში შესვლამდე იცოდნენ. ერთი ბავშვი „ხუთი წლის განმავლობაში რეგულიარულად დაიარებოდა საკვირაო სკოლაში; მან არ იცოდა, ვინ იყო იესო ქრისტე, მაგრამ ეს სახელი კი გაეგონა; მას არაფერი გაეგონა არც თორმეტი მოციქულის შესახებ, არც სამსონისა, მოსესა, აარონისა და სხვ. შესახებ“ (ibid, Evid., p. 9. 39, 1. 33). მეორე ბავშვი „ექვსი წლის განმავლობაში რეგულიარულად დაიარებოდა საკვირაო სკოლაში. მან იცის, ვინ იყო იესო ქრისტე, იგი ჯვარზე მოკვდა, თავისი სისხლი დაანთხია ჩვენი მხსნელის გამოსახსნელად; არასოდეს გაუგონია წმ. პეტრეს ან პავლეს შესახებ“ (ibid., p. 9. 36, 1. 46). მესამე ბავშვი: „შვიდი წელი გაატარა სხვადასხვა საკვირაო სკოლაში, მხოლოდ თხელტანიანი წიგნაკების კითხვა შეუძლია, ოლი ერთმარცვლოვანი სიტყვებისა; მოციქულების შესახებ გაუგონია, მაგრამ არ იცის, ერთერთი მათგანი წმ. პეტრე იყო თუ წმ. იოანე, რომელიც უთუოდ წმ. იოანე უესლეი უნდა იყოს (მეთოდისტების სექტის დამფუძნებელი)“ (ibid. p, 9. 34, 1. 58). კითხვაზე, თუ ვინ იყო იესო ქრისტე, ჰ ო რ ნ ი სხვათა შორის შემდეგ პასუხებს ღებულობდა: „ის ადამი იყო“; „ის მოციქული იყო“; „ის ბატონი მაცხოვრის შვილი იყო“ („he was the Saviour's Lord's Son“), ხოლო ერთმა თექვსმეტი წლის ყმაწვილმა უპასუხა: „იგი ლონდონის მეფე იყო დიდი, დიდი ხნის წინათ“. — შეფილდში კომისარმა ს ა ი მ ო ნ ს მ ა საკვირაო სკოლის მოწაფეებს წიგნი წააკითხა; წაკითხვის შემდეგ მათ არ შეეძლოთ ეთქვათ რა წაიკითხეს, ან არ იცოდნენ, ვინ იყვნენ მოციქულები, რომელთა შესახებ ეს არის ეხლა წაიკითხეს, როდესაც მოციქულების შესახებ ის ყველას შეეკითხა ერთი მეორის შემდეგ და ვერცერთი სწორი პასუხი ვერ მიიღო, ერთმა, ეშმაკური გამომეტყველების ბავშვმა დიდის დარწმუნებით წამოიძახა: „მე ვიცი, ბატონო, — ისინი კეთროვანები იყვნენ!“ (S y m o n s, Rept. App. E. Part I, pp. 22 sqq.). მეპურპლეობის ოლქებიდან და ლანკაშირიდან მსგავსსავე ცნობებს იძლევიან.

ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი, „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში“. გვ. 110—113.

ამრიგად, ჩვენ დავინახეთ, თუ რა გააკეთა ბურჟუაზიამ და სახელმწიფომ მუშათა კლასის აღზრდისა და სწავლა-განათლებისათვის. სა-

ბედნიერად. პირობები, რომლებშიც ამ კლასს უხდება ცხოვრება, ისეთია, რომ მას აძლევს პრაქტიკულ განათლებას, რომელიც არა თუ ამ სასკოლო ნაგავის მაგიერობას ეწევა, არამედ მასთან დაკავშირებულ ამნეულ რელიგიურ წარმოდგენებსაც უვნებელს ხდის და მუშებს ინგლისის ეროვნული მოძრაობის სათავეშიც კი აყენებს. გაჭირვება ადამიანს აჩვევს ლოცვას და, — რაც უფრო მნიშვნელოვანია, — აზროვნებას და მოქმედებას. ინგლისელ მუშას, რომელსაც ოდნავ კითხვა და კიდევ უფრო ნაკლებ წერა შეუძლია, მაინც საუცხოოდ ესმის, რა შეადგენს მის საკუთარ ინტერესებს და მთელი ერის ინტერესებს; მას ისიც ესმის, როგორია ბურჟუაზიის სპეციალური ინტერესები და რის მოლოდინი უნდა ჰქონდეს მას ამ ბურჟუაზიისაგან. თუ მას წერა არ შეუძლია, ლაპარაკი ხომ იცის, საჯაროდ ლაპარაკი; თუ მან არითმეტიკა, არ იცის, პოლიტიკურ-ეკონომიური ცნებების ხმარება ხომ იმდენად იცის, რამდენადაც ეს საჭიროა იმისთვის, რომ ხორბლის ბაჟების გაუქმების მოწადინე ბურჟუა განსჯვრიტოს და კამათში დაამარცხოს; თუ, მიუხედავად ხუცების დიდი ჯაფისა, ზეციური საკითხები მისთვის მეტად ბუნდოვანი რჩება, სამაგიეროდ იგი მით უფრო უკეთ ერკვევა ამქვეყნიურ პოლიტიკურ და სოციალურ საკითხებში. ამის შესახებ ჩვენ კიდევ მოგვიხდება ლაპარაკი უფრო ვრცლად, ეხლა კი გადავიდეთ მუშების ზნეობრივ დახასიათებაზე.

ინგლისის ყველა სკოლაში მორალური აღზრდა რელიგიურ აღზრდასთანაა დაკავშირებული, ამიტომ ცხადია, რომ პირველი ამათგანი მეორეზე უკეთესი შედეგების მომტანი ვერ იქნება. ელემენტარული პრინციპები, რომელნიც ადამიანისთვის ერთი ადამიანის მეორე ადამიანისადმი დამოკიდებულებას აწესრიგებენ, პრინციპები, რომელნიც სოციალური პირობებით: ომით ყველასი ყველას წინააღმდეგ საშინლად დახლართული არიან, გაუნათლებელი მუშისათვის სულ მთლად ბუნდოვანი და უცხონი უნდა გამხდარიყვნენ, მით უფრო, რომ ისინი რელიგიურ, მისთვის გაუგებარ მოძღვრებაში არიან შერეულნი და თვითნებური, დაუსაბუთებელი ბრძანების რელიგიურ ფორმაში არიან გამოსახულნი. ყველა ავტორიტეტის, განსაკუთრებით კი Children's Employment Commission-ის, აღიარების თანახმად, სკოლებს თითქმის არავითარი გავლენა არა აქვთ მუშათა კლასის ზნეობაზე. ისე უდარდელი, ისე ჭკუამოკლეა ინგლისის ბურჟუაზია თავის ეგოიზმში, რომ იგი თავს არ იწუხებს მუშებისთვის თანამედროვე მორალის ჩასაგონებლად, იმ მორალის, რომელიც თვით ბურჟუაზიის მიერ არის თავისი საკუთარი ინტერესებისათვის და საკუთარი თავის დასაცავად შეთითხნილი! ასეთი ზრუნვაც კი საკუთარი თავისთვის მეტად სამძიმოა მოდუნებული, ზარმაცი ბურჟუაზიისთვის, მას ესეც კი ზედმეტად მიაჩნია. დადგება, რასაკვირველია, დრო, როდესაც ის ამას ინა-

ნებს, მაგრამ გვიანლა იქნება. ის არ უნდა, ჩიოდეს, თუ მუშებს არაფერი ესმით მორალისა და მით არ ხელმძღვანელობენ.

ამრიგად, ძალაუფლების მქონებელი კლასები უყურადღებოდ სტოვებენ მუშებს როგორც ფიზიკურად და ინტელექტუალურად, აგრეთვე მორალურად. ერთადერთი საბუთი, რომელსაც ბურჟუაზია მათ წინააღმდეგ მიმართავს, როდესაც მუშებს მასზე იერიში მიაქვთ, — კანონია; ვით უგონო პირუტყვთა მიმართ, მათთვის მხოლოდ ერთი აღმზრდელობითი საშუალება გამოიყენება, — მათრახი, — ტლანქი, არა დამარწმუნებელი, არამედ მხოლოდ დამშინებელი ძალა. ამიტომ გასაკვირიც არაა, თუ ამრიგად პირუტყვად ჩათვლილი მუშები მართლა პირუტყვებად გადაიქცევიან, ანდა თავიანთი ადამიანური ღირსების შეგნებასა და გრძნობას ინარჩუნებენ მხოლოდ უაღრესად მწვავე სიძულვილით, დაუცხრომელი შინაგანი აღშფოთებით ძალაუფლების მქონებელი ბურჟუაზიის მიმართ. ისინი ადამიანები არიან, ვიდრე გულისწყრომით არიან აღსავსენი გაბატონებული კლასის მიმართ; ისინი პირუტყვები ხდებიან, როგორც კი უდრტვინველად თავს უღელში გაჰყოფენ და ცდილობენ უღელს ქვეშ თავიანთი ცხოვრების მოწყობას თვით ამ უღლის დამსხვრევის მოუწადინებლად.

ესაა ყველაფერი, რაც ბურჟუაზიამ მუშათა კლასის განათლებისათვის გააკეთა; და თუ სხვა პირობებსაც მივიღებთ მხედველობაში, რომელშიც ეს უკანასკნელი ცხოვრობს, ჩვენ ვერ ვუსაყვედურებთ მას იმ ღვარძლის გამო, რასაც ის გაბატონებული კლასის მიმართ ატარებს. — ზნეობრივი აღზრდა, რაც მუშას სკოლაში ვერ ეძლევა, ცხოვრების სხვა პირობებიდანაც ვერ ეძლევა მას, ყოველ შემთხვევაში ისეთი ზნეობრივი აღზრდა, რომელსაც ბურჟუაზიის თვალში მცირეოდენი მნიშვნელობა მაინც აქვს. მთელი მისი მდგომარეობა და გარემო ამორალობისადმი მიდრეკილებას ანვითარებს მასში. ის ღარიბია, სიცოცხლეს მისთვის არავითარი სილამაზე არა აქვს, ის მოკლებულია თითქმის ყოველგვარ სიამოვნებას, კანონის მიერ დადგენილი სასჯელი მას ვერ აშინებს; — მაშ რატომ უნდა ალაგმოს თავისი სურვილები, რათ უნდა მისცეს მან ნება მდიდრებს თავიანთი სიმდიდრით დატკბობისა, იმის ნაცვლად, რომ ამ სიმდიდრის ნაწილი მან მიითვისოს? რა საფუძველი აქვს პროლეტარს, რომ არ იქურდოს? მშვენივრობაა და ბურჟუაზიის ყურთათვის საამოდ მოსასმენი, როდესაც „საკუთრების სიწმინდეზე“ ლაპარაკობენ; მაგრამ ვისაც საკუთრება არ გააჩნია, მისთვის საკუთრების სიწმინდე თავისთავად ჰქრება. ფულია ამქვეყნიური ღმერთი. ბურჟუა ხელიდან აცლის პროლეტარს ამ ფულს და ამით პრაქტიკულ ათეისტად აქცევს მას. ამი-

ტომ საკვირველიც არაა, თუ პროლეტარი თავისი ათეიზმის ერთგული რჩება და პატივს აღარ სცემს ამქვეყნიური ღმერთის სიწმინდესა და ძალას.

ფრ. ენგელსი, „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში". გვ. 113—115.

მუშების ჰუმანობა სხვამხრივაც მრავალგვარად გამოიხატება. მათ თვით გამოსცადეს მწარე ბედი და ამიტომ შეუძლიათ თანაგრძნობა გაუწიონ გაჭირვებულთ; მათთვის ყოველი ადამიანი ადამიანია, მაშინ როდესაც ბურჟუასთვის მუშა მთლად ადამიანი არაა; ამიტომ არიან ისინი უფრო თავაზიანი, მოყვასის მოყვარულნი, და თუმცა ფულს უფრო მეტად საჭიროებენ, ვიდრე შეძლებულნი, მაგრამ მაინც ნაკლებ სიხარბეს იჩენენ მის მიმართ; მათთვის ფული ღირებულია მხოლოდ იმისათვის, რომ მით რაიმე იყიდონ, მაშინ როდესაც ბურჟუასთვის მას განსაკუთრებული, შინაგანი ღირებულება, ღვთაების ღირებულება აქვს, რაც ამ ბურჟუას მდაბალ, ბინძურ „ფულად ადამიანად" აქცევს. მუშა, რომლისთვისაც ასეთი მოკრძალების გრძნობა ფულის მიმართ უცნობია, ისე ხარბი არაა, როგორც ბურჟუა, რომელიც ყველაფერს სჩადის იმისათვის, რომ ფული მოიხვეჭოს, რომელიც არსებობის მიზნად თავისი ფულის ქისის ავსებას ისახავს. ამიტომ არის მუშა გაცილებით უფრო მიუდგომელი, თვალგამართულად მაცქერალი სინამდვილისა, ვიდრე ბურჟუა, და იგი, ყველაფერს საკუთარი სარგებლობის თვალსაზრისით არ უცქერის. რელიგიურ ცრურწმენათაგან მას იცავს არასაკმაო აღზრდა; მას არაფერი გაეგება ამ დარგში და მით თავსაც არ იწუხებს; მისთვის უცნობია ფანატიზმი, რომლითაც შეპყრობილია ბურჟუაზია, და თუ მაინც ოდნავ სწამს რელიგია, ეს რწმენა მხოლოდ ნომინალურია, თეორიულიც კი არა, — პრაქტიკულად მუშა მხოლოდ ამქვეყნიურობისათვის ცხოვრობს და მასში დამკვიდრებას ცდილობს. ყველა ბურჟუაზიული მწერალი აღიარებს, რომ მუშებს რელიგია არა აქვთ და ეკლესიაში არ დაიარებიან. აქედან ყოველ შემთხვევაში გამოსარიცხია ირლანდიელები და მცირეოდენი მოხუცნი, შემდეგ — ნახევრად ბურჟუები, ზედამხედველნი, ოსტატები და სხვ.. მასა კი თითქმის ყველგან ინდიფერენტულად არის რელიგიისადმი განწყობილი და, სულ დიდი, აქა-იქ ადგილი აქვს მცირეოდენ დეიზმს, იმდენად ბუნდოვანს, რომ მხოლოდ სალაპარაკოდ თუ შეიძლება გამოდგეს, ანდა გამოიწვიოს რაღაც გაურკვეველი შიში ასეთი გამოთქმების მიმართ: infidel [ურწმუნო], atheist [ათეისტი]. მუშები სრულიად არ სწყალობენ სხვადასხვა სექტების სამღვდელოებას, თუმცა სულ უკანასკნელ დროს მოისპო

მათი გაელენა მუშებზე; ამჟამად საკმარისია საჯარო კრებაზე ვინმემ წამოიძახოს: he is a parson — ეს ხუცესია!, რომ ის სამღვდელო პირი იძულებული იქნეს ტრიბუნა დასტოვოს. და როგორც საარსებო პირობები საზოგადოდ, ისევე რელიგიური და სხვა განათლების სინაკლულეც მუშას ხდის უფრო მიუდგომელს და მოძველებული ტრადიციით დამყარებული პრინციპებისა და ცრურწმენისგან უფრო თავისუფალს, ვიდრე ბურჟუაა. ეს უკანასკნელი (ბურჟუა) ყელამდე ჩაფლულია თავის კლასობრივ ცრურწმენაში, იმ პრინციპებში, რომლებიც მას ახალგაზრდობისას აქვს შთანერგილი; მას არა უშველის რა, ის არსებითად კონსერვატიულია, თუნდაც ლიბერალური ფორმით; მისი ინტერესები განუყრელად დაკავშირებულია არსებულ წყობილებასთან, და ყოველგვარი პროგრესიული მოძრაობისათვის იგი მკვდარი ადამიანია. ის სტოვებს ისტორიული განვითარების მწვერვალს და მის ადგილს ჯერ იურიდიულად, ხოლო თავის დროზე ფაქტიურადაც მუშა დაიჭერს.

ფრ. ენგელსი, „მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში". გვ. 123—124.

რაც შეეხება სამიწათმოქმედო მუშების რელიგიურობას, ეს მათ, რასაკვირველია, უფრო მეტად ახასიათებს, ვიდრე სამრეწველო მუშებს, მაგრამ მაინც ეკლესიასთან — ამ ოლქებში თითქმის მხოლოდ მაღალი ეკლესია არის გაბატონებული — გულცივად არიან. „Morning Chronikle"-ში მოთავსებული იყო ერთი სამიწათმოქმედო ოლქებშემოვლილი კორესპონდენტის წერილი სათაურით: ერთი მათგანი, რომელიც სახნისს მისდევდა; ეს კორესპონდენტი, სხვათა შორის, გადმოსცემს შემდეგ საუბარს სოფლის დღიურ მუშასთან ეკლესიიდან გამოსვლის შემდეგ: „ერთ მათგანს შევეკითხე — ეს ხუცესი, დღეს რომ ქადაგებას კითხულობდა, მათი საკუთარი ხუცესია თუ არა. — Yes, blast him, ჰო, დალახვროს ეშმაკმა, ეს ჩვენი საკუთარი ხუცესია, სულ დამათხოვრობს რაც კი მე მას ვიცნობ (ქადაგებაში ლაპარაკი იყო წარმართების მოქცევის შესახებ). — და რაც აგრეთვე მეც ვიცნობ, — დაუმატა მეორემ; და მე არასოდეს არ მინახავს ხუცესი, რომელიც ხან ერთს, ხან მეორე რაიმეს რომ არ ითხოვდეს. — დიახ, — სთქვა ქალმა, ეკლესიიდან ეს ეს არის გამოსულმა; შეხედეთ, როგორ დაბლა იწევს ხელფასი, ხოლო ხუცები სმა-ჭამას შექცევიან და სანადიროდ დადიან ამ მდიდარ ყაჩაღებთან ერთად. ღმერთს ვფიცავ, ჩვენ სამუშაო სახლში წასვლას ან შიმშილით სიკვდილს ვარჩევთ ხუცებისთვის ფულის მიცემას, რომელნიც წარმართთა მოსაქცევად მიემგზავრებიან. — და რატომ

არ აგზავნიან, იქ, — სთქვა მეორემ, —იმ ხუცებს, ყოველდღე რომ ქვითქვითებენ სოლსბერის ტაძარში, სადაც მათ, ქვებს გარდა, არავინ უსმენს? რატომ ესენი არ წავლენ წარმართებთან? — ესენი იქ არ წავლენ, — სთქვა მოხუცმა, რომელსაც პირველად გამოველაპარაკე, — ვინაიდან მდიდრები არიან; მათ იმაზე მეტი მიწა აქვთ, რაც სჭირდებათ, მათ ფული იმისთვის სჭირდებათ, რომ ღარიბი ხუცები მოიშორონ თავიდან; მე ვიცი რა სურთ მათ, საამისოდ მე მათ კარგად ვიცნობ. — მაგრამ, ჩემო მეგობარო, — ვკითხე მე, — ნუ თუ თქვენ ყოველთვის ხუცესის მიმართ ასე მწარე გრძნობებით სტოვებთ ეკლესიას? და საერთოდ, რაკი ასეა, რისთვისღა დაიარებით იქ? — რატომ დავიარებით? — მიპასუხა ქალმა. — ჩვენ იქ უნდა ვიაროთ, თუ არ გვსურს ყველაფერი, სამუშაო და ყოველივე, დავკარგოთ. — შემდგომ მე დავრწმუნდი, რომ თუ ისინი ეკლესიაში დაიარებოდენ, ზოგიერთ წვრილმან უპირატესობას ღებულობდენ საწვავ მასალითა და კარტოფილის დასათეს მიწის მცირე ნაკვეთით, რაშიც მათ ფული უნდა გადაეხადათ". — მათი სიღარიბისა და უვიცობის აღწერის შემდეგ კორესპონდენტი დაასკვნის: „და მე თამამად ვამტკიცებ, რომ ამ ადამიანების მდგომარეობა, მათი სიღარიბე, მათი სიძულვილი ეკლესიის მიმართ, მათი გარეგანი მორჩილება და შინაგანი გაბოროტება საეკლესიო დიდკაცობის მიმართ ინგლისის ყველა სასოფლო თემში წესს წარმოადგენს, ხოლო საწინააღმდეგო ვითარება — გამონაკლისს".

ფრ. ენგელსი, მუშათა კლასის მდგომარეობა ინგლისში". გვ. 244—245.

მაგრამ, მიუხედავად ასეთი არახელსაყრელი პირობებისა, მიუხედავად თავისი ხანმოკლე არსებობისა, კომუნამ მოასწრო მიეღო რამდენიმე ღონისძიება, რომელიც საკმაოდ ახასიათებს მის ნამდვილ აზრსა და მიზნებს. მუდმივი ჯარი, ეს ბრმა იარაღი გაბატონებული კლასების ხელში, კომუნამ შესცვალა ხალხის საყოველთაო შეიარაღებით; მან გამოაცხადა სახელმწიფოსაგან ეკლესიის გამოყოფა, მოსპო საკულტო ბიუჯეტი (ე. ი. ხუცების სახელმწიფო ჯამაგირი), სახალხო განათლებას წმინდა საერო ხასიათი მისცა — და ამით ძლიერი ლახვარი ჩასცა ანაფორიან ჟანდარმებს. წმინდა სოციალურ სფეროში მან ცოტა რამის გაკეთება მოასწრო, მაგრამ ეს ცოტა რამეც საკმაო სიცხადით ააშკარავებს მის, როგორც სახალხო, მუშათა მთავრობის, ხასიათს: აიკრძალა ღამით მუშაობა ფურნეებში; გაუქმდა ჯარიმების სისტემა, ეს დაკანონებული ძარცვა მუშებისა; ბოლოს, გამოიცა განთქმული დეკრეტი (ბრძანებულება), რომლის ძალით მე-

პატრონეთაგან მიტოვებული ან შეჩერებული ყველა ფაბრიკა. ქარხანა და სახელოსნო ეძლეოდა მუშათა არტელებს წარმოების გაჯსაახლებლად. და თითქოს იმისათვის, რომ ხაზგასმით აღენიშნა თავისი, როგორც ჰეშმარიტად დემოკრატიული, პროლეტარული მთავრობის ხასიათი, კომუნამ დაადგინა, ადმინისტრაციისა და მთავრობის თანამდებობის პირთა ჯამაგირი არ ყოფილიყო მუშათა ნორმალურ ხელფასზე მეტი და არავითარ შემთხვევაში არ გასცილებოდა 6 000 ფრანკს წელიწადში (200 მანეთზე ნაკლები თვეში).

ვ. ლ ე ნ ი ნ ი, „კომუნის ხსოვნას". თხზ., ტ. 17. გვ. 152—153.

ადამიანები პოლიტიკაში ყოველთვის იყენენ და იქნებიან მოტყუების უგნური მსხვერპლნი, ვიდრე ისინი არ შეიგნებენ იმას, რომ ყოველგვარ ზნეობრივ, რელიგიურ, პოლიტიკურ სოციალურ ფრაზებსა განცხადებებსა და დაპირებებში ამა თუ იმ კლასის ინტერესები უნდა ეძიონ, ძველის დამცველები ყოველთვის გააბრიყვებენ რეფორმათა და გაუმჯობესებათა მომხრეებს, ვიდრე ისინი ვერ მიხვდებიან, რომ ყოველი ძველი დაწესებულება რარიგ ველური და დამპალიც არ უნდა გვეჩვენებოდეს იგი, ამა თუ იმ გაბატონებულ კლასთა ძალებს ემყარება. ამ კლასების წინააღმდეგობის გასატეხად კი მხოლოდ ერთი საშუალება არსებობს: თვით ჩვენ გარშემო არსებულ საზოგადოებაში ვგამოვნახოთ, გავანათლოთ და ბრძოლისათვის დავრაზმოთ ისეთი ძალები, რომელთაც შეუძლიათ და თავიანთი საზოგადოებრივი მდგომარეობით მოვალენიც არიან — შეადგინონ ძალა — რომელთაც ძველი უნდა აღგავონ და ახალი შექმნან.

მხოლოდ მარქსის ფილოსოფიურმა მატერიალიზმმა უჩვენა პროლეტარიატს გამოსავალი იმ სულიერი მონობიდან, რომელშიც დღემდე სული ეხუთებოდა ყველა დაჩაგრულ კლასს. მხოლოდ მარქსის ეკონომიურმა თეორიამ განმარტა პროლეტარიატის ნამდვილი მდგომარეობა კაპიტალიზმის საერთო წყობილებაზე.

მთელ მსოფლიოში, ამერიკიდან იაპონიამდე და შვეციიდან სამხრეთ აფრიკამდე, მრავლდებიან დამოუკიდებელი ორგანიზაციები პროლეტარიატისა. იგი განათლებას იძენს და იწვრთნება, აწარმოებს თავის კლასობრივ ბრძოლას, თავს აღწევს ბურჟუაზიული საზოგადოების ცრუ რწმენებს. სულ უფრო და უფრო მჭიდროდ ირაზმება და სწავლობს თავის წარმატებათა ოდენობის გაზომვას, აწრთობს თავის ძალით და შეუჩერებლივ იზრდება.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი". თხზ., ტ. 19, გვ. 9—10.

5. ათეიზმი და თავისუფალმოაზროვნეობა გლეხთა შორის

ბ-ნ კრიუკოვის სტატიაში — „უცეცხლოდ“ — „გლეხობაზე და გლეხურ ცხოვრებასა და გლეხურ ფსიქოლოგიაზე ლაპარაკობს ვინმე ენატკბილი ხუცესი, რომელიც სწორედ ისე გვისურათებს გლეხობას, როგორადაც ეს უკანასკნელი თვითონ გამოდიოდა და გამოდის. თუ ეს დასურათება სწორია, რუსეთის ბურჟუაზიულ დემოკრატიას — სწორედ გლეხობის სახით — მოელის დიდი ისტორიული მოქმედება, რომელსაც თანმხლებ მოვლენათა რამდენადმე ხელსაყრელ ვითარებაში ყველა შანსი აქვს ძლევამოსილი იყოს.

„მლიქვნელობა და ლაჩრობა“ — ამბობს კრიუკოვის ხუცესი რუსეთის სამღვდელოების შესახებ — „ეს მუდამ იყო!.. მაგრამ განსხვავება ის არის, რომ არასოდეს არ ყოფილა ისეთი შემაძრწუნებლად გულდამშვიდებული, მდუმარე ჩამოშორება ეკლესიისაგან, როგორც ახლაა. ეკლესიაში თითქოს გაქრა სიცოცხლის სული. ვიმეორებ: მარტო ინტელიგენცია კი არ წასულა, — ხალხი წავიდა.. ეს უნდა ვალიაროთ, — მე ხომ ორ წელიწადს სოფლის მღვდელ-ვიყავი“.

ენატკბილი ხუცესი იხსენებს ცხრაას ხუთ წელს. მაშინ ხუცესი გლეხებს მანიფესტს უხსნიდა.

„მე მოველოდი — მოთქვამს იგი — თვალის ახელას, მკიდრო კავშირს, სიყვარულს, სიფხიზლეს, ჯანსაღ შეგნებას, გამოღვიძებას, ენერგიას... თვალის ახელა თითქოს მოხდა, მაგრამ ერთობისა და კავშირის ნაცვლად გაჩნდა ღვარძლი და შუღლი. და უპირველეს ყოვლისა სოფელმა სწორედ მეც მომახვედრა და — საკმაოდაც. თითქოს მე სავსებით, სულით და გულით, მისი მომხრე ვიყავი... სწორედ ამ თავისუფლებებს განვუმარტავდი და სხვა. მერე როგორ მისმენდნენ! მე კი მეგონა, რომ იმაზე ფართოდ განმარტება, როგორც მე განვუმარტავდი, არ შეიძლებოდა, მაგრამ არა.., სოფელში სხვა სიტყვებმაც შემოაღწია. და სწორედ ამ ახალმა განმმარტებლებმა უფრო არიე-დარიეს საქმე: ეს მიწაო, ეს თანასწორობაო, ეს ბატონებიო. რა თქმა უნდა, გლეხები ამას ერთბაშად მიხვდნენ და შეითვისეს. და პირველ რიგში ჩემთან მოვიდნენ და გამომიცხადეს, დრამას ორასს კი არა, ასს გადაგიხდითო...

მაგრამ მე განსაკუთრებით მატკინა გული არა ამ ფაქტმა — ასი მანეთის შესახებ, არამედ ყოველივე იმის ერთობლიობამ, რამაც ასე ნაჩქარევად შეადგინა სოფლის ახალი სახე. მერე როგორ ყოველი მხრივ ცდილობდნენ ეახილათ მისთვის თვალი, მოეცილებინათ ბისტი, მისი ეს სიბნელე გაეშუქებინათ! და, სიმართლე რომ ითქვას, მიაღწიეს კიდეც. უსინათლო ადამიანმა დაინახა მცირეოდენი სინათლე და ამ მომენტიდან ის ბრმა აღარ არის... თუმცა თვალი არ აჰხელია. მაგრამ ამ ნახევრად თვალხილულობასთან ერთად მან შეიძინა მხოლოდ უაღრესად მწარე შემეცნება და უმძაფრესი ღვარძლი... და ზოგჯერ მას, იქნებ. სანატრელადაც უხდება თავისი ბნელი უმეცრება. და ისეთი ღვარძლი ჩამოვარდა სოფლად, ისეთი ღვარძლი, რომ ახლა მით, თითქოს, გაჟღენთილია მთელი ჰაერი... დანა, კეტი, ცეცხლის წაკიდება. უძლურების სიცხადე, მწვავე, შურუძიებელი წყენა, შინაბრძოლა, განურჩეველი სიძულვილი, შური ყოველივე უფრო ბედნიერისადმი, მყუდროსადმი, შეძლებულისადმი. რა თქმა უნდა, წინათაც იყო შურიც, ღვარძლიც, მწუხარებაც, ბილწი შეცოდებაც, მაგრამ ადამიანებს სწამდათ ნება

ლეონა აბეკეულური სიყვარულთა ამოება. სწამდათ და პოულობდნენ ერთას ერთმანეთ საიქიო ყოლდოს ინედონ. ახლა ეს რწმენა აღარ არის. ახლა იგ ასეთი რწმენაა: ჩვენ დამშონებლები ვართ. ისინი — დამონებულები. თავისუფლების შესახებ მთელი ლაპარაკიდან სოფლის ნიადაგზე აღმოცენდა ღვარძლი და ლენცოფა.. ახლა კიდევ ეს ახალი კანონი მიწის შესახებ, — ძმა ძმაზე აღდგა, შვილი მამაზე, მეზობელი მეზობელზე, ისეთი ღვარძლი და შფოთი დატეხილდა, რომ სოფელი შიგ ჩაისრბობა, აუცილებლად ჩაიხრეობა".

ენატკბილი ხუცესის მიერ (წმინდა წყლის ნაროდნიკი-ინტელიგენტია!) სოფლის ამ დამახასიათებელ აღწერაში ჩვენ ხაზი გაუსვით ზოგიერთ განსაკუთრებით დამახასიათებელ სიტყვას.

ხუცესი „სიყვარულის" მომხრეა, „სიძულვილის" მტერია. ამ მხრივ იგი მთლიანად იზიარებს იმ ტოლსტოურ (შეიძლება აგრეთვე ითქვას: იმ ქრისტიანულ) უაღრესად-რეაქციულ თვალსაზრისს, რომელსაც მუდამ ავითარებენ ჩვენი კადეტები და კადეტთა მსგავსნი. ალბათ, ასეთ ხუცესს საწინააღმდეგო არა აქვს რა იოცნებოს რაღაც „მიწის სოციალიზაციაზე", ილაყბოს კოოპერაციების „სოციალისტურ" მნიშვნელობაზე, „მიწათმფლობელობის ნორმებზე", მაგრამ როცა საქმე „სიყვარულის" ნაცვლად სიძულვილამდე მივიდა, იგი მაშინვე დაფრთხა, მოდუნდა და ყურები ჩამოყარა.

სიტყვიერი, ფრაზებით მორთული „სოციალიზმი" („სახალხო, და არა პროლეტარული") — რამდენიც გნებავთ, ამას ევროპაშიც ყოველი წიგნიერი მეშჩანი მოიწონებს. მაგრამ, თუ საქმე მივიდა „სიძულვილამდე" ნაცვლად „სიყვარულისა", მორჩა. ჰუმანური ფრაზის სოციალიზმი — ჩვენ მომხრე ვართ; რევოლუციური დემოკრატია — ჩვენ წინააღმდეგი ვართ.

ის, რასაც ენატკბილი ხუცესი ლაპარაკობს გაცვეთილ თემაზე სოფლად „ხულიგნობის" შესახებ, ფაქტიურად არავითარ ახალს არ წარმოადგენს. მაგრამ მისი საკუთარი ნაამბობიდან ნათლად ჩანს, რომ „ხულიგნობა" მ ე ბ ა ტ ო ნ ე ე ბ ი ს შემოტანილი ცნებაა. „მწვავე, შურისძიებელი წყენა" — აი რას აღნიშნავს ენატკბილი ხუცესი. ეს კი, ეჭვეული, ისეთი რამ არის, რაც ფრიად და ფრიად დაშორებულია „ხულიგნობას".

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „რა ხდება ნაროდნიკობაში და რა ხდება სოფლად?". თხზ., ტ. 18, გვ. 674, 676—678.

მარქსისტებს ნაროდნიკობასთან ბრძოლაში ძველთაგანვე თავიანთ ამოცანად მიაჩნდათ დაენგრიათ მანილოვობა, მოთაფლული ფრაზები, სენტიმენტალური ზეკლასობრივი თვალსაზრისი, უხამსი „ხალხური" სოციალიზმი, რომელიც საქმოსნურ მიდგომასა და აფიორებში გამოქნილ რომელიმე ფრანგ „რადიკალ-სოციალისტს" შეჰფერის. მაგრამ მარქსისტებს ამავე დროს ძველთაგანვე თავიანთ ასეთსავე საავალდებულო ამოცანად მიაჩნდათ ნაროდნიკულ შეხედულებათა დე-

მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ბირთვის გამოყოფა. ნაროდნიკული სოციალიზმი დამპალი და მყრალი ლეშია. გლეხური დემოკრატია რუსეთში, თუ მას სწორად სახავს კრიუკოვის ენატკბილი ხუცესი, ცოცხალი ძალაა. ივი არც შეიძლება ცოცხალი ძალა არ იყოს, სანამ პარპაშებენ პურიშკევიჩები, სანამ შიმშილობს ოცდაათ მილიონობით კაცი.

„განურჩეველი სიძულვილიო" გვეუბნებიან. ჯერ-ერთი, ეს მთლად მართალი არ არის. „გარჩევას" ვერ ხედავენ პურიშკევიჩები, ვერ ხედავენ ჩინოვნიკები, ვერ ხედავენ გულკეთილი ინტელიგენტები. მეორე, რუსეთში მუშათა მოძრაობის დასაწყისშიც ხომ იყო გარკვეული ელემენტი „განურჩეველი სიძულვილისა", მაგალითად, მანქანების დამტვრევის ფორმით გასული საუკუნის 60—80-იანი წლების გაფიცვების დროს. ამან სწრაფად განვლო. მთავარი ეს როდია. უხამსობა იქნებოდა „თეთრი ხელთათმანები" მოგვეთხოვა არსებული ვითარების ადამიანებისაგან, რომლებიც მოთმინებას კარგავენ.

არსებითია კავშირის ღრმად გაწყვეტა ძველ, უიმედოდრეაქციულ მსოფლმხედველობასთან, ღრმად შეთვისება სწორედ იმ მოძღვრებისა „დამონებულთა" შესახებ, რომელიც მკვდარი ძილის კი არა, ცოცხალი სიცოცხლის საწინდარია.

დალპა ნაროდნიკული სოციალიზმი თვით მემარცხენემდეც კი, ცოცხალია და სიცოცხლისუნარიანია ამოცანა დემოკრატიის გაწმენდისა, განათლებისა, გამოღვიძებისა, დარაზმვისა „სიყვარულის", „მოთმინების" და სხვ. მოძღვრებებთან კავშირის შეგნებულად გაწყვეტის ნიადაგზე. წუხს ენატკბილი ხუცესი. ჩვენ კი ყველა საფუძველი გვაქვს შევხაროდეთ მხნე მუშაობის მდიდარ ასპარეზს.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „რა ხდება ნაროდნიკობაში და რა ხდება სოფლად?". თხზ., ტ. 18, გვ. 678—679.

გერმანიაში არსებობს საყოველთაო საარჩევნო უფლება. მოყვანილი ცხრილი ცხადყოფს, რომ გერმანიის სოფელი, გერმანიის გლეხობა (ისე როგორც *ყ ვ ე ლ ა* ევროპული, კონსტიტუციური, ცივილიზებული ქვეყნის გლეხობაც) დღემდე *თ ი თ ქ მ ი ს მ თ ლ ი ა ნ ა დ* დამონებულია, სულიერად და პოლიტიკურად, მემამულეებისა და ხუცების ძიერ.

გერმანიის სოფლებში ხმების თითქმის 3/5-ს (58,6%) აძლევენ კონსერვატიულ, ე. ი. მემამულეთა და ხუცესთა, პარტიებს! გლეხი ევროპაში ყველგან რევოლუციური *ი ყ ო*, როდესაც ის ებრძოდა ფეოდალებს, მებატონეებსა და მემამულეებს, როცა თავისუფლება და მიწის მცირე ნაკვეთი მოიპოვა, გლეხი, როგორც საერთო წესი, *ურ ი გ დ ე ბ ო დ ა* მემამულეებსა და ხუცებს, რეაქციონერი ხდებოდა.

მაგრამ კაპიტალიზმის განვითარება, თავის მხრივ, იწყებს გლეხის გამოგლეჯას რეაქციის კალთებიდან და მას სოციალ-დემოკრატების მიმდევრად ხდის. გერმანიაში 1912 წელს სოციალ-დემოკრატებმა სოფლად შეკრიბეს უკვე სოფლის მთელი ხმების თ ი თ ქ მ ი ს მ ე ხ უ თ ე დ ი (19,0%).

მაშასადამე, გერმანიის თანამედროვე სოფლის პოლიტიკური მდგომარეობა ასეთია. ე რ თ ი მ ე ხ უ თ ე დ ი მიჰყვება სოციალ-დემოკრატებს, ე რ თ ი მ ე ხ უ თ ე დ ი მეტნაკლებად „ლიბერალურ“ ბურჟუაზიას, ს ა მ ი მ ე ხ უ თ ე დ ი მემამულეებსა და ხუცებს. ჯერ კიდევ ბევრი მუშაობაა საჭირო სოფლის პოლიტიკურ განათლებაზე. კაპიტალიზმი აჩანაგებს წვრილ გლეხობას, სულ უფრო და უფრო ავიწროებს მას და, შეიძლება ითქვას, ძალით ალებინებს ხელს რეაქციულ ცრურწმენაზე.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „უახლესი მონაცემები გერმანიის პარტიათა შესახებ“. თხზ., ტ. 19, გვ. 313—314.

IX ნაწილი

დიალექტიკური მატერიალიზმი — მარქსისტული ათეიზმის ფილოსოფიური საფუძველი

1. მატერიალიზმი — ჭეშმარიტად მეცნიერული ათეისტური მსოფლმხედველობა

ფილოსოფიის ძირითადი საკითხის მატერიალისტური გადაწყვეტა

მარქსიზმის ფილოსოფია არის მატერიალიზმი. ევროპის მთელი უახლესი ისტორიის მანძილზე, და განსაკუთრებით XVIII საუკუნის დამლევს, საფრანგეთში, სადაც გაჩაღდა გადამწყვეტი ბრძოლა ყოველგვარი შუასაუკუნებრივი დახავსებულობის წინააღმდეგ, ბატონყმობის წინააღმდეგ დაწესებულებებსა და იდეებში, მატერიალიზმი აღმოჩნდა ერთადერთი თანამიმდევარი ფილოსოფია, ერთგული საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ყველა მიღწევებისა, მტრულად განწყობილი ცრუმორწმუნეობათა მიმართ, ფარისევლობის მიმართ და ა. შ., ამიტომ დემოკრატიის მტრები მთელი ძალღონით ცდილობდნენ მატერიალიზმის „გაბათილებას", მის გაქარწყლებას, ცილის დაწამებას და იცავდნენ სხვადასხვა ფორმის ფილოსოფიურ იდეალიზმს, რომელიც მუდამ, ასე თუ ისე, რელიგიის დაცვას ან მხარის დაჭერას გამოხატავს.

მარქსი და ენგელსი თავგამოდებით იცავდნენ ფილოსოფიურ მატერიალიზმს და არა ერთხელ განუმარტავთ მათ ამ საფუძვლიდან ყოველგვარი გადახრის ღრმა მცდარობა. მათი შეხედულებანი ყველაზე უფრო ნათლად და დაწვრილებით გადმოცემულია ენგელსის თხზულებებში: „ლუდვიგ ფოიერბახი" და „ანტი-დიურინგი", რომლებიც — „კომუნისტური მანიფესტის" მსგავსად — ყოველი შეგნებული მუშის ნიადაგსახმარ წიგნს წარმოადგენენ.

მაგრამ მარქსი XVIII საუკუნის მატერიალიზმზე კი არ შეჩერებულა, არამედ მან წინ წასწია ფილოსოფია. მან გაამდიდრა იგი გერ-

მანული კლასიკური ფილოსოფიის მონაპოვრებით, განსაკუთრებით ჰეგელის სისტემის მონაპოვრებით, რომელმაც თავის მხრივ ფოიერბახის მატერიალიზმამდე მიგვიყვანა. ამ მონაპოვართაგან მ ი ა ვ ა რ ი ა — დ ი ა ლ ე ქ ტ ი კ ა, ე. ი. მოძღვრება განვითარებაზე ძისი ყველაზე სრული, ღრმა და ცალმხრივობისაგან თავისუფალი სახით, მოძღვრება ადამიანის ცოდნის შეფარდებითობაზე, რაც მუდმივს განვითარებაში მყოფი მატერიის ანარეკლს გვაძლევს. ბუნებისმეტყველების უახლესმა აღმოჩენებმა — რადიუმმა, ელექტრონებმა, ელემენტთა გარდაქმნამ — შესანიშნავად დაადასტურეს მარქსის დიალექტიკური მატერიალიზმი, წინააღმდეგ იმ ბურჟუაზიულ ფილოსოფოსთა მოძღვრებებისა, რომლებიც „კვლავ" უბრუნდებიან ძველსა და დამპალ იდეალიზმს.

მარქსმა გააღრმავა და განავითარა ფილოსოფიური მატერიალიზმი და ბოლომდე მიიყვანა იგი, ბუნების ფილოსოფიურ-მატერიალისტური შეცნობა ა დ ა მ ი ა ნ თ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ი ს შეცნობაზე გაავრცელა. მარქსის ი ს ტ ო რ ი უ ლ ი მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი მეცნიერული აზროვნების უდიდესი მონაპოვარია. ქაოსი და თვითნებობა, რაც აქამდე გამეფებული იყო შეხედულებებში ისტორიასა და პოლიტიკაზე, შეიცვალა საოცრად მთლიანი და მწყობრი მეცნიერული თეორიით, რომელიც გვიჩვენებს, თუ როგორ ვითარდება საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი წყობიდან, საწარმოო ძალების ზრდის გამო, მეორე, უფრო მაღალი წყობა, მაგალითად, ბატონყმობიდან ვითარდება კაპიტალიზმი.

როგორც ადამიანის შემეცნება ასახავს მისგან დამოუკიდებლად არსებულ ბუნებას, ე. ი. განვითარებაში მყოფ მატერიას, სწორედ ისევე ადამიანის ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი შ ე მ ე ც ნ ე ბ ა (ე. ი. სხვადასხვანაირი ფილოსოფიური, რელიგიური, პოლიტიკური და სხვა შეხედულებანი და მოძღვრებანი) ასახავს საზოგადოების ე კ ო ნ ო მ ი უ რ წ ყ ო ბ ა ს, პოლიტიკური დაწესებულებანი ეკონომიური საფუძვლის ზედნაშენს წარმოადგენენ. მაგალითად, ჩვენ ვხედავთ, რომ ევროპის თანამედროვე სახელმწიფოთა სხვადასხვა პოლიტიკური ფორმა პროლეტარიატზე ბურჟუაზიის ბატონობის განმტკიცებას ემსახურება.

მარქსის ფილოსოფია არის დამთავრებული ფილოსოფიური მატერიალიზმი, რომელმაც კაცობრიობას, განსაკუთრებით კი მუშათა კლასს, შემეცნების დიადი იარაღი მისცა.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „მარქსიზმის სამი წყარო და სამი შემადგენელი ნაწილი". თხზ., ტ. 19, გვ. 4—6.

ბატონმა დიურინგმა არსის ერთადერთობა ერთიანობად აქცია ჩვენი ერთიანი აზრის შემწეობით. რადგან ყოველი აზროვნების დედაარსი ერთიანობაში მდგომარეობს, არსი, როცა იგი გაიაზრება, როგორც ერთიანი რამ, სამყაროს ცნება განუყოფელია, და რადგან გააზრებული არსი, სამყაროს ცნება ერთიანია, ნამდვილი არსი, ნამდვილი სამყაროც ასევე განუყოფელი ერთიანობააო. ამრიგად, „მიღმურობას ადგილი აღარ აქვს, რაკი სულმა ისწავლა არსის მის ერთგვარ უნიეერსალობაში ჩაწვდომაო".

ესაა ლაშქრობა, რომლის წინაშე აუსტერლიცი და იენა, კენიგგრეცი და სედანი' სავსებით ჰქრება. ორიოდე წინადადებით, რომელიც ერთ გვერდსაც კი არ შეადგენს; როგორც კი პირველი აქსიომა ავამოძრავეთ, ჩვენ უკვე გავაუქმეთ, მოვსპეთ, გავანადგურეთ მთელი მიღმურობა, ღმერთი, ზეციური მხედრობა, ცა, ჯოჯოხეთი და სალხინებელი სულის უკვდავებითურთ.

როგორ გადავდივართ არსის ერთადერთობიდან მის ერთიანობაზე? იმით რომ მას საზოგადოდ წარმოვიდგენთ. როგორც კი ჩვენი ერთიანი აზრით ჩარჩო შემოვავლეთ ერთადერთ არსს, ერთადერთი არსი აზრში ერთიანობად, აზრთა ერთიანობად იქცევაო; იმიტომ რომ ყოველი აზროვნების არსება მდგომარეობს ცნობიერების ელემენტების ერთ მთლიანობად გაერთიანებაშიო.

ეს უკანასკნელი დებულება პირდაპირ შემცდარია. ჯერ ერთი, აზროვნება იმდენადვე წარმოადგენს ცნობიერების საგანთა მათ ელემენტებად დაშლას, რამდენადაც ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტების გაერთიანებას. უანალიზოდ სინთეზი არ არსებობს. მეორეც, აზროვნებას შეუმცდარად მხოლოდ ცნობიერების იმ ელემენტების გაერთიანება შეუძლია, რომელშიც ან რომელთა რეალურ პირველ სახეებში უკვე აქამდე არსებობდა ეს ერთიანობა. მე რომ ფეხსაცმლის ჯაგრისი ძუძუმწოვართა ერთიან კატეგორიაში მოვაქციო, ამის გამო მას რძის ჯირკვლები როდი გაუჩნდება. ამრიგად, არსის ერთიანობა ანუ გამართლება არსის აზრისეული გაგებისა, როგორც ერთიანობისა, სწორედ ისაა, რის დამტკიცებაც იყო საჭირო; ხოლო თუ ბატონი დიურინგი გვარწმუნებს, მე არსი გააზრებული მაქვს როგორც ერთიანი და არა როგორც გაორებაო, ამით მხოლოდ თავის შეხედულებას გამოსთქვამს, არა სავალდებულოს სხვებისთვის.

თუ გვსურს მისი აზრთა მსვლელობა წმინდად გადმოვცეთ, იგი შემდეგია: „მე ვიწყებ არსით. მაშასადამე, ვაზროვნებ არსს. არსის აზრი ერთიანია. აზროვნება და არსი კი ურთიერთ თანხმობაში უნდა იყოს, ისინი ერთმანეთს შეესატყვისებიან, „ერთმანეთს ფარავენ".

მაშასადამე, არსი სინამდვილეშიც ერთიანია. მაშასადამე, არავითარი „მიღმურობა“ არ არსებობს. მაგრამ ბატონ დიურინგს ზემომოყვანილი მისნური თხრობის მაგიერ რომ ასე გულახდილად ელაპარაკა, მისი იდეოლოგია მთელი სიცხადით გამომჟღავნდებოდა. აზროვნებისა და არსის იგივეობიდან აზროვნების რაიმე შედეგის რეალობის დამტკიცების სურვილი სწორედ ვინმე ჰეგელის ერთ-ერთი ყველაზე გიჟური ციებ-ცხელების ფანტაზია იყო.

თუნდაც ბატონი დიურინგის მთელი არგუმენტაცია სწორი იყოს, სპირიტუალისტებს იგი ერთ გოჯ ტერიტორიასაც ვერ წაართმევდა. სპირიტუალისტები მას მოკლედ უპასუხებენ: სამყარო ჩვენთვისაც განუყოფელია; სააქაოდ და საიქიოდ გათიშვა არსებობს მხოლოდ ჩვენი სპეციფიკურად ამ ქვეყნიური, ცოდვილი თვალსაზრისისათვის; თავისთავად, ე. ი. ღმერთში მთელი არსი ერთიანია. და ისინი თან გაჰყვებიან ბატონ დიურინგს სანუკვარ სხვა ციურ მნათობებზეც, და მას ერთს ან მრავალს მათგანს აჩვენებენ, სადაც არავითარი ცოდვით დაცემა არ მომხდარა, სადაც, მაშასადამე, არ არსებობს დაპირისპირება სააქაოსა და საიქიოს შორის და სადაც სამყაროს ერთიანობა რწმენის მოთხოვნილებაა.

ყველაზე სასაცილო ამ ამბავში ისაა, რომ ბატონი დიურინგი ღვთის არსებობის ონტოლოგიურ დამტკიცებას იყენებს, რათა არსის ცნებიდან ღვთის არარსებობა დაამტკიცოს. ონტოლოგიური დამტკიცება ამბობს: როცა ჩვენ ღმერთს გავიაზრებთ, მას გავიაზრებთ როგორც ყველა სრულყოფილებათა ერთობლიობას. მაგრამ ყველა სრულყოფილებათა ერთობლიობას ეკუთვნის, უწინარეს ყოვლისა, არსებობა, იმიტომ რომ არარსებული არსება აუცილებლად არასრულყოფილია. მაშასადამე, ღვთის სრულყოფილებათ არსებობაც უნდა დავუმატოთ. მაშასადამე, ღმერთი უნდა არსებობდეს. — სწორედ ასე მსჯელობს ბატონი დიურინგი: როცა ჩვენ არსს გავიაზრებთ, მას გავიაზრებთ როგორც ერთ ცნებას. რაც ერთ ცნებაშია გაერთიანებული, ის ერთიანია. მაშასადამე, არსი შესატყვისი არ იქნებოდა თავისი ცნებისა, თუ იგი ერთიანი არ ყოფილიყო. მაშასადამე, იგი ერთიანი უნდა იყოს. მაშასადამე, ღმერთი არ არსებობს და ა. შ..

როცა ჩვენ არსზე ვლაპარაკობთ და მხოლოდ არსზე, ერთიანობა მხოლოდ იმაში შეიძლება მდგომარეობდეს, რომ ყველა საგანი, რომლებზედაც ლაპარაკია, არის, არსებობს. ისინი გაერთიანებული არიან ამ, და არა სხვა, არსის ერთიანობაში, ისინი ერთიანდებიან აზრით, და ზოგად გამოთქმას, რომ ისინი ყველანი არიან, არ შეუძლია მათ რაიმე სხვა, ზოგადი ან არაზოგადი თვისება მისცეს, არამედ ეს გამოთქმა პირველ ხანებში გამორიცხავს ყოველ ასეთ თვისებას განხილვიდან. იმიტომ რომ როგორც კი ჩვენ თუნდ ერთი მი-

ლიმეტრით განვშორდებით იმ მარტივ ძირითად ფაქტს, რომ ყველა ამ ნივთს საერთო არსი აქვთ, ჩვენ თვალწინ გამოდიან ამ საგნების განსხვავებანი, და იმ გარემოებიდან, რომ ყველა ნივთს მარტო არსებობა მიეწერება თანაბარზომიერად, შეუძლებელია იმის გამოყვანა — მდგომარეობს თუ არა ეს განსხვავებანი იმაში, რომ ზოგი ნივთი თეთრია, ზოგი — შავი, ზოგი — ცოცხალი, ზოგი — უსიცოცხლო, ზოგი ვთქვათ, სააქაო, ზოგი — საიქაო.

სამყაროს ერთიანობა მდგომარეობს არა მის არსში, თუმცა მისი არსი მისი ერთიანობის წანამძღვარია, იმიტომ რომ იგი ჯერ უნდა არსებობდეს, სანამ ერთიანი გახდებოდეს. არსი საზოგადოდ ღია საკითხია იმ საზღვრიდან, სადაც ჩვენი თვალთახედვის წრე თავდება. სამყაროს ნამდვილი ერთიანობა მის მატერიალობაში მდგომარეობს, და ეს მტკიცდება არა რამდენიმე ოინბაზური ფრაზით, არამედ ფილოსოფიისა და ბუნებისმეცნიერების ხანგრძლივი და ნელი განვითარებით.

ფრ. ენგელსი. „ანტი-დიურინგი“, გვ. 50—53.

მატერიის ფილოსოფიური გაგება

ჩვენ ვაყენებთ კითხვას: მოცემული აქვს თუ არა ადამიანს ობიექტური რეალობა, როცა იგი ხედავს წითელს, შეიგრძნობს მაგარს და სხვ.? ეს უძველესი ფილოსოფიური საკითხი დაბნეულია ჰახის მიერ. თუ მოცემული არ არის, თქვენ მახთან ერთად აუცილებლად სუბიექტივიზმსა და აგნოსტიციზმში გადავარდებით და იმანენტებს, ე. ი. ფილოსოფიურ მენშიკოვებს გადაეხვევით, რაც კიდევაც დაიმსახურეთ. თუ მოცემულია, მაშინ საჭიროა ფილოსოფიური ცნება ამ ობიექტური რეალობისთვის, ეს ცნება კი დიდი ხანია, ძალიან დიდი ხანია შემუშავებულია, ეს ცნება სწორედ მატერიაა. მატერია არის ფილოსოფიური კატეგორია იმ ობიექტური რეალობის აღსანიშნავად, რომელიც ადამიანს მოცემული აქვს მის შეგრძნებებში, რომლის ასლს, ფოტოგრაფიას ანარეკლს ჩვენი შეგრძნებანი იძლევა, რომელიც არსებობს მათ დამოუკიდებლად. ამიტომ იმის თქმა, რომ ასეთი ცნება შეიძლება „მოძველდესო“, ბავშვური ტიტინია, უაზრო განმეორებაა მოდაში შემოსული რეაქციული ფილოსოფიის საბუთებისა. განა ფილოსოფიის განვითარების ორი ათასი წლის განმავლობაში შეიძლებოდა მოძველებულიყო იდეალიზმის და მატერიალიზმის ბრძოლა? პლატონის და დემოკრიტეს ტენდენციები თუ ხაზები ფილოსოფიაში? რელიგიისა და მეცნიერების ბრძოლა? ობიექ-

ტური ჭეშმარიტების უარყოფა და მისი აღიარება? ზეგრძნობადი ცოდნის მომხრეების ბრძოლა მის მოწინააღმდეგეებთან?

საკითხი იმის შესახებ, მივიღოთ თუ უარვყოთ მატერიის ცნება, ეს არის საკითხი იმის შესახებ, სანდოა თუ არა ადამიანის გრძნობის ორგანოების ჩვენება, როგორია ჩვენი შემეცნების წყარო, ეს არის საკითხი, რომელსაც სვამდნენ და იხილავდნენ ფილოსოფიის წარმოშობიდანვე, საკითხი, რომელიც შეიძლება ათასნაირად მოგვაჩვენონ ჯამბაზმა პროფესორებმა, მაგრამ რომელიც არ შეიძლება მოძველდეს, როგორც შეუძლებელია მოძველდეს საკითხი იმის შესახებ, წარმოადგენს თუ არა ადამიანის შემეცნების წყაროს მხედველობა და შეხება, სმენა და ყნოსვა. ჩვენი შეგრძნებების ჩათვლა გარეგანი სამყაროს სახეებად — ობიექტური ჭეშმარიტების აღიარება — შემეცნების მატერიალისტური თეორიის თვალსაზრისზე დადგომა, — ეს ერთი და იგივეა. მატერიალიზმი და იდეალიზმი განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ როგორ წყვეტენ საკითხს ჩვენი შემეცნების წ ყ ა რ ო ს შესახებ, ფ ი ზ ი კ უ რ ი სამყაროსადმი შემეცნების (და საზოგადოდ „ფსიქიკურის") დამოკიდებულების შესახებ, ხოლო საკითხი მატერიის აღნაგობის, ატომებისა და ელექტრონების შესახებ მხოლოდ ამ „ფიზიკურ სამყაროს" ეხება. როცა ფიზიკოსები ამბობენ: „მატერია ჰქრება", ამით იმის თქმა უნდათ, რომ დღემდე ბუნებისმეტყველებას ფიზიკური სამყაროს ყველა თავისი კვლევაძიება სამ უკანასკნელ ცნებამდე დაჰყავდა — მატერია, ელექტრობა, ეთერი; ახლა კი მ ხ ო ლ ო დ ორი უკანასკნელი რჩება, რადგან მოხერხდა მატერიის დაყვანა ელექტრობამდე, ატომის ახსნა როგორც უსასრულოდ მცირე მზიური სისტემის მსგავსი რამისა, რომლის შიგნით დადებითი ელექტრონის გარშემო განსაზღვრული (და მიუწვდომლად უზარმაზარი, როგორც დავინახეთ) სიჩქარით უარყოფითი ელექტრონები მოძრაობენ. მაშასადამე, მოხერხდა ათეული ელემენტების მაგივრად ფიზიკური სამყაროს დაყვანა ორ თუ სამ ელემენტამდე (რამდენადაც დადებითი და უარყოფითი ელექტრონები „ორ, არსებითად განსხვავებულ, მატერიას" წარმოადგენენ, როგორც ფიზიკოსი პელა ლაპარაკობს, — Rey, I. c., p. 294—295 *). მაშასადამე, ბუნებისმეტყველებას „მ ა ტ ე რ ი ი ს ე რ თ ი ა ნ ო ბ ი ს ა კ ე ნ მ ი ვ ყ ა ვ ა რ თ (იქვე)",—აი ნამდვილი შინაარსი იმ ფრაზისა მატერიის გაქრობის, მატერიის ელექტრობით შეცვლის და სხვ. შესახებ, რომელიც ასე ბევრს უბნევს გზას „მატერია ჰქრება"—ეს იმას ნიშნავს, რომ ჰქრება ის საზღვარი, სადამდისაც ჩვენ დღემდე ვიცნობდით მატერიას, ჩვენი ცოდნა უფრო ღრმად მიდის; ჰქრებიან მატერიის ისეთი თვისებანი, რომელნიც წინათ აბსოლუტური, უცვლელი, პირველადი გვეგონა (შეუღწევადობა, ინერცია მასა და სხვ.) და რომელნიც დღეს გვევლინებიან როგორც შე-

დარებითი, როგორც მატერიის ზოგიერთი მდგომარეობის დამახასიათებელი თვისებანი. ვინაიდან მატერიის ერთადერთი „თვისება", რომლის აღიარებასთან დაკავშირებულია ფილოსოფიური მატერიალიზმი, არის მისი თვისება ობიექტურ რეალობად ყოფნისა, ჩვენი ცნობიერების გარეშე არსებობისა.

ვ. ი. ლენინი. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". თხზ., ტ. 14, გვ. 154—155, 328—329.

„მატერიის ანუ აღუქმელი საგნების არსებობა, — წერს ბერკლი,— არა მარტო უმთავრესი დასაყრდნობი იყო ათეისტებისა და ფატალისტებისა, არამედ იმავე პრინციპზეა დაფუძნებული კერპთთაყვანისმცემლობის სხვადასხვა ფორმა" (§ 94).

აქ ჩვენ მივადექით იმ „მავნე" დასკვნებსაც „აბსურდული" მოძღვრებიდან გარეგანი სამყაროს არსებობის შესახებ, რომლებმაც ეპისკოპოსი ბერკლი აიძულა არა მარტო თეორიულად უარეყო ეს მოძღვრება, არამედ გაშმაგებით ედევნა მისი მომხრეები, როგორც მტრები. „მატერიის ანუ სხეულებრივი სუბსტანციის მოძღვრების საფუძველზე, — ამბობს იგი, — აშენებულ იქნა ყველა უღვთო სისტემა ათეიზმისა და რელიგიის უარყოფისა... ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, თუ რა დიდი მეგობარი იყო ათეისტებისა მატერიალური სუბსტანცია ყოველთვის. ყველა მათი საშინელი სისტემა იმდენად ცხადად, იმდენად აუცილებლად არის დამოკიდებული მატერიალური სუბსტანციისაგან, რომ, რაკი ამ ქვაკუთხედს გამოვაცლით, — მთელი შენობაც აუცილებლად დაინგრევა. ამიტომ ჩვენ არც გვჭირია განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ ათეისტთა ცალკე უბადრუკი სექტების უაზრო მოძღვრებებს" (§ 92, ციტ. გამ. 203—204 გვ.).

„რაკი მატერია განდევნილი იქნება ბუნებიდან, იგი თან წაიღებს იმდენ სკეპტიკურ და უღვთო სისტემებს, იმდენ უთვალავ საკამათო და ბუნდოვან საკითხებს" („აზრის ეკონომიის პრინციპი", აღმოჩენილი მახის მიერ 1870-იან წლებში! „ფილოსოფია, როგორც აზროვნება სამყაროზე ძალის უმცირესი ხარჯვის პრინციპით" — ავენარიუსი 1876 წელს!), „რომელნიც თვალზე ბისტივით ჰქონდათ გადაკრული თეოლოგებსა და ფილოსოფოსებს; მატერია იმდენ უნაყოფო ბრომას აყენებდა ადამიანთა მოდგმას, რომ თუნდა ის საბუთები, რაც ჩვენ მის წინააღმდეგ წარმოვადგინეთ, საკმაოდ საფუძვლიანადაც; რომ არ იქნეს ცნობილი (პირადად მე მათ სრულიად უეჭველად ვთვლი), მე მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ჭეშმარიტების, მშვიდობისა და რელიგიის ყველა მეგობარს საფუძველი აქვს ისურვოს, რომ ეს საბუთები საკმარისად იქნან აღიარებული" (§ 96).

ეპისკოპოსი ბერკლი გულახდილად მსჯელობდა, მარტივად მსჯე-

ლობდა! ჩვენს დროში იმავე აზრებს ფილოსოფიიდან „მატერიის“ „ეკონომიურ“ განდევნაზე ბევრად უფრო თვალთმაქცურ და „ახალი“ ტერმინოლოგიით დახლართულ ფორმაში ხვევენ, რათა ეს აზრები გულუბრყვილო ადამიანებმა „უახლეს“ ფილოსოფიად მიიჩნიონ!

მაგრამ ბერკლი არათუ გულახდილობას იჩენდა თავისი ფილოსოფიის ტენდენციების შესახებ, არამედ ცდილობდა აგრეთვე დაეფარა მისი იდეალისტური სიშიშვლე, წარმოედგინა იგი უაზრობათაგან განთავისუფლებულად და „სალი გონებისათვის“ მისაღებად. ჩვენი ფილოსოფიით, — ამბობდა იგი, თავს იცავდა რა ინსტინქტურად იმის დაბრალებისაგან, რასაც ახლა შეიძლება სუბიექტური იდეალიზმი ან სოლიფსიზმი ვუწოდოთ, — ჩვენი ფილოსოფიით „ჩვენ არავითარი საგნები არ გვეკარგება ბუნებაში“ (§ 34). ბუნება რჩება, რჩება რეალური საგნების განსხვავებაც ქიმერებისაგან, — მხოლოდ „ერთნიც და მეორენიც ერთნაირად არსებობენ ცნობიერებაში“. „მე სრულიადაც საეჭვოდ არ ვხდი რაიმე საგნის არსებობას, რომელიც ჩვენ შეგვიძლია ჩვენი გრძნობის ან მოსაზრების შემწეობით შევიცნოთ. მე სრულიადაც არ ვეჭვობ, რომ ის საგნები, რომელთაც საკუთარი თვალით ვხედავ, საკუთარი ხელით ვეხები, არსებობენ, — რეალურად არსებობენ. ერთადერთი საგანი, რომლის არსებობასაც ჩვენ უარვყოფთ, არის ის, რასაც ფ ი ლ ო ს ო ფ ო ს ე ბ ი (ხაზგასმულია ბერკლის მიერ) მატერიას ანუ სხეულებრივ სუბსტანციას უწოდებენ. მისი უარყოფა არავითარ ზიანს არ აყენებს დანარჩენ ადამიანთა მოდგმას, რომელიც ვბედავ ვთქვა, ვერასოდეს ვერ შეამჩნევს მის არყოფნას... ათეისტს მართლაც ესაჭიროება ცარიელი სახელის ეს მოჩვენება, რათა თავისი უღმერთობა დაასაბუთოს“... (35).

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. თხზ., ტ. 14, გვ. 18—20.

როგორც ყველა სხვა მახისტსაც, ისე ბაზაროვს თავგზა აებნა, იმიტომ რომ ერთმანეთში აურია ადამიანის მხრივ დროისა და სივრცის გაგების ცვალებადობა, მათი განსაკუთრებით შეფარდებითი ხასიათი და იმ ფაქტის უცვლელობა, რომ ადამიანი და ბუნება მხოლოდ დროსა და სივრცეში არსებობენ, ხოლო დროსა და სივრცეს გარეშე მყოფნი არსებანი, რომელნიც ხუცობამ შეჰქმნა და რომელნიც კაცობრიობის უმეცარი და დაბეჩავებული მასის წარმოსახვაში არსებობენ, ავადმყოფური ფანტაზიაა, ფილოსოფიური იდეალიზმის ფანდებია, უვარგისი საზოგადოებრივი წყობილების უვარგისი პროდუქტია. შეიძლება მოძველდეს და დღითი-დღე ძველდება მეცნიერების მოძღვრება ნივთიერების აღნაგობაზე, საკვების ქიმიურ შემადგენლობაზე, ატომსა და ელექტრონზე, მაგრამ არ შეიძლება მოძველდეს ის

ჭეშმარიტება, რომ ადამიანს არ შეუძლია აზრებით გამოიკვლიოს და ბავშვები შობოს მარტოოდენ პლატონური სიყვარულით. ფილოსოფია კი, რომელიც სივრცისა და დროის ობიექტურ რეალობას უარყოფს, ისევე უაზრო, შინაგანად დამპალი და ყალბია, როგორც ამ უკანასკნელ ჭეშმარიტებათა უარყოფა. იდეალისტების და აგნოსტიკოსების ოინბაზობა, საერთოდ და მთლიანად, ისეთივე თვალთმაქცობაა, როგორც პლატონური სიყვარულის ქადაგება ფარისეველთა მიერ!

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". თხზ., ტ. 14, გვ. 322—323.

დრო, ისევე როგორც სივრცე, „სხვადასხვა ადამიანის ცდის სოციალური შეთანხმების ფორმაა" (იქვე, გვ. 34). მათი „ობიექტურობა" „ზოგადნიშნადობაში" მდგომარეობს (იქვე).

ეს სიყალბეა თავიდან ბოლომდე. ზოგადნიშნადია რელიგიაც, რომელიც გამოხატავს კაცობრიობის უდიდესი ნაწილის ცდის სოციალურ შეთანხმებას. მაგრამ, მაგალითად, რელიგიის მოძღვრებას დედამიწის წარსულისა და ქვეყნიერების შექმნის შესახებ არავითარი ობიექტური რეალობა არ შეესაბამება. მეცნიერების მოძღვრებას იმის შესახებ, რომ დედამიწა არსებობდა ყოველ ს ო ც ი ა ლ ო ბ ა მ დ ე, კ ა ც ო ბ რ ი ო ბ ა მ დ ე, ორგანული მატერიის წ ა რ მ ო შ ო ბ ა მ დ ე, არსებობდა გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ ი დროის განმავლობაში და სხვა პლანეტების მიმართ გ ა ნ ს ა ზ ღ ვ რ უ ლ სივრცეში, — ამ მოძღვრებას (თუმცა იგი ისევე შეფარდებითია მეცნიერების განვითარების ყოველ საფეხურზე, როგორც შეფარდებითია რელიგიის განვითარების ყოველი სტადიაც) შ ე ე ს ა ბ ა მ ე ბ ა ობიექტური რეალობა. ბოგდანოვს ისე გამოუდის, რომ სივრცის და დროის სხვადასხვა ფორმა ეგუება ადამიანების ცდას და მათს შემეცნებითს ნიჭს. ნამდვილად კი სწორედ პირიქით ხდება: ჩვენი „ცდა" და ჩვენი შემეცნება სულ უფრო და უფრო ეგუება ო ბ ი ე ქ ტ უ რ სივრცესა და დროს, სულ უფრო და უფრო სწორად და ღრმად ა ს ა ხ ა ვ ს მათ.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". თხზ., ტ. 14, გვ. 231.

ამგვარად, ფოიერბახი აღიარებს ობიექტურ კანონზომიერებას ბუნებაში, ობიექტურ მიზეზობრიობას, რომელიც მხოლოდ დაახლოებითი სისწორით აისახება ადამიანის წარმოდგენებში წესრიგის, კანონისა და სხვ. შესახებ: ფოიერბახის მიერ ბუნების ობიექტური კა-

ნონზომიერების აღიარება მჭიდროდაა დაკავშირებული იმ გარეგანი სამყაროს, საგნების, სხეულების, ნივთების ობიექტური რეალობის აღიარებასთან, რომელთაც ჩვენი ცნობიერება ასახავს. ფოიერბახის შეხედულებანი თანამიმდევრად მატერიალისტურია და ყოველგვარ სხვა შეხედულებებს, უკეთ რომ ვთქვათ, სხვა ფილოსოფიურ ხაზს მიზეზობრიობის საკითხში, ობიექტური კანონზომიერების, მიზეზობრიობის, აუცილებლობის უარყოფას ბუნებაში ფოიერბახი სამართლიანად ფიდეიზმის მიმართულებას აკუთვნებს. ვინაიდან, მართლაც, ცხადია, რომ სუბიექტივისტური ხაზი მიზეზობრიობის საკითხში, ბუნების წესრიგის და აუცილებლობის გამოყვანა არა გარეგანი ობიექტური სამყაროდან, არამედ ცნობიერებიდან, გონებიდან, ლოგიკიდან და სხვ. არათუ აცილებს ადამიანის გონებას ბუნებისაგან, არათუ ერთმანეთს უპირისპირებს პირველსა და მეორეს, არამედ ბუნებას გონების ნ ა წ ი ლ ა დ ხდის, იმის მაგივრად, რომ გონება ბუნების ნაწილაკად ჩათვალოს, სუბიექტივისტური ხაზი მიზეზობრიობის საკითხში ფილოსოფიური იდეალიზმია (რომლის ნაირსახეობას ჰიუმისა და კანტის მიზეზობრიობის თეორიები წარმოადგენს, ე. ი. ცოტად თუ ბევრად შესუსტებული, გაწყალებული ფიდეიზმი. ხოლო ბუნების ობიექტური კანონზომიერების და ამ კანონზომიერების დაახლოებით სწორი ასახვის აღიარება ადამიანის გონებაში—ეს არის მატერიალიზმი.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". თხზ., ტ. 14, გვ. 188—189.

2. ᲨᲔᲛᲔᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢᲘᲙᲣᲠ-ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲗᲔᲝᲠᲘᲐ — ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲠᲔᲚᲘᲒᲘᲣᲠᲘ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲚᲛᲓᲔᲒ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲐᲚᲣᲠᲘ ᲘᲐᲠᲐᲚᲘ

ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲣᲠᲘ ᲞᲠᲐᲥᲢᲘᲙᲐ — ᲰᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲘ

საკითხი, ახასიათებს თუ არა ადამიანის აზროვნებას საგნობრივი ჰეშმარიტება, თეორიის საკითხს კი არ წარმოადგენს, არამედ პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ს, ადამიანმა პრაქტიკაში უნდა დაამტკიცოს თავისი აზროვნების ჰეშმარიტება, ე. ი. ნამდვილობა და ძალა, მისი ამქვეყნიურობა. კამათი პრაქტიკიდან გამოთიშული აზროვნების ნამდვილობისა და არანამდვილობის შესახებ წმინდა ს ქ ო ლ ა ს ტ ი კ უ რ ი საკითხია.

საზოგადოებრივი ცხოვრება არსებითად პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი ა. ყველა მისტერია, რომელსაც თეორია მისტიციზმისკენ მიჰყავს, თა-

ვის რაციონალურ ახსნას პოულობს ადამიანის პრაქტიკასა და აჭ პრაქტიკის გაგებაში.

კ. მ ა რ ქ ს ი. „თეზისები ფოიერბახის შესახებ".
კ. მ ა რ ქ ს ი და ფრ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩ. ნაწ. ტ. II, გვ. 484.

ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფა ბოგდანოვის მიერ აგნოსტიციზმი და სუბიექტივიზმია. ამ უარყოფის უაზრობა ცხადად ჩანს თუნდაც ერთ ზემოთ მოხსენებულ საბუნებისმეტყველო ჭეშმარიტების მაგალითზე. ბუნებისმეტყველებას უცილობლად მიაჩნია, რომ ჭეშმარიტებაა მისი მტკიცება დედამიწის არსებობისა კაცობრიობის წარმოშობამდე. ეს სავსებით შეესაბამება შემეცნების მატერიალისტურ თეორიას: მატერიალიზმის ძირითადი დებულებაა ამსახველისაგან დამოუკიდებელი ასახულის არსებობა (გარეგანი სამყაროს დამოუკიდებლობა ცნობიერებისაგან). ბუნებისმეტყველების მტკიცება, დედამიწა კაცობრიობამდე არსებობდაო, ობიექტური ჭეშმარიტებაა. ბუნებისმეტყველების ეს დებულება ვერ ურიგდება მახისტების ფილოსოფიას და მათს მოძღვრებას ჭეშმარიტებაზე: თუ ჭეშმარიტება ადამიანის ცდის მაორგანიზებელი ფორმაა, შეუძლებელია ჭეშმარიტი იყოს მტკიცება, რომ დედამიწა არსებობდა ადამიანის ყოველგვარი ცდის გ ა რ ე შ ე.

ეგ კიდევ არაფერი. თუ ჭეშმარიტება მხოლოდ ადამიანის ცდის მაორგანიზებელი ფორმაა, მაშასადამე, ჭეშმარიტება ყოფილა, მაგალითად, კათოლიციზმის მოძღვრებაც. ვინაიდან ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ კათოლიციზმი „ „ადამიანის ცდის მაორგანიზებელი ფორმაა". ბოგდანოვმა თვით იგრძნო თავისი თეორიის ეს აშკარა სიყალბე, და უაღრესად საინტერესოა შევხედოთ, როგორ შეეცადა თავი დაეღწია იმ ჭაობისათვის, რომელშიც იგი ჩაეფლო.

„ობიექტურობის საფუძველი, — ეკითხულობთ „ემპირიომონიზმის" პირველ წიგნში, — კოლექტიური ცდის სფეროში უნდა იყოს. ობიექტუოს ჩვენ ვუწოდებთ ცდის იმ ელემენტებს, რომელთაც ერთნაირი საარსებო მნიშვნელობა აქვთ ჩვენთვისაც და სხვა ადამიანიებისთვისაც, იმ ელემენტებს, რომლებზედაც არა მარტო ჩვენ ვაშენებთ წინააღმდეგობის გარეშე ჩვენს მოღვაწეობას, არამედ რომლებსაც, ჩვენი რწმენით, სხვა ადამიანებიც უნდა დაეყრდნონ, თუ არ უნდათ, რომ წინააღმდეგობაში ჩავარდნენ. ფიზიკური სამყაროს ობიექტური ხასიათი იმაში მდგომარეობს, რომ იგი არსებობს არა ჩემთვის პირადად, არამედ ყველასათვის" (ეს სწორი არ არის! იგი არსებობს „ყველასაგან" დ ა მ ო უ კ ი დ ე ბ ლ ა დ) „და, ჩემი აზრით, ყველასათვის ისეთივე განსაზღვრული მნიშვნელობა აქვს, როგორც ჩემთვის. ფიზიკუ-

რი რიგის ობიექტურობა — მის ზ ო გ ა დ ნ ი შ ნ ა დ ო ბ ა შ ი მდგომარეობს" (გვ. 25, ხაზგასმა ბოგდანოვისაა). „იმ ფიზიკური სხეულების ობიექტურობას, რომელთაც ჩვენს ცდაში ვხვდებით, საბოლოოდ სხვადასხვა ადამიანის გამონათქვამთა ურთიერთშემოწმების და შეთანხმების მიხედვით ვადგენთ. საზოგადოდ, ფიზიკური სამყარო სოციალურად-შეთანხმებული, სოციალურად-ჰარმონიზებული, ერთი სიტყვით, ს ო ც ი ა ლ უ რ ა დ-ო რ გ ა ნ ი ზ ე ბ უ ლ ი ც დ ა ა" (გვ. 36, ხაზგასმა ბოგდანოვისაა).

არ გავიმეორებთ, რომ ეს ძირფესვიანად შემცდარი. იდეალისტური განსაზღვრაა, რომ ფიზიკური სამყარო არსებობს კაცობრიობის და ადამიანის ცდის დამოუკიდებლად, რომ ფიზიკური სამყარო არსებობდა მაშინაც, როცა არ შეიძლებოდა ყოფილიყო არც რაიმე „სოციალობა", არც რაიმე ადამიანის ცდის „ორგანიზაცია" და სხვ... ჩვენ ახლა შევჩერდებით მახისტური ფილოსოფიის მხილებაზე მეორე მხრივ: ობიექტურობა განმარტებულია ისე, რომ ამ განმარტებას უდგება რელიგიის მოძღვრებაც, რომელსაც უცილობლად „ზოგადნიშნადობაც" აქვს და სხვ.. კიდევ მოვუსმინოთ ბოგდანოვს: „ერთხელ კიდევ მოვაგონებთ მკითხველს, რომ „ობიექტური" ცდა სულ სხვაა, ვიდრე „სოციალური" ცდა... სოციალური ცდა სრულიადაც არაა სავსებით სოციალურად ორგანიზებული, იგი ყოველთვის სხვადასხვა წინაალმდეგობას შეიცავს, ისე რომ მისი ზოგიერთი ნაწილი როდი ეთანხმება სხვებს; შეიძლება ტყის ქაჯები და ავი სულები ამა თუ იმ ხალხის ან ხალხის ამა თუ იმ ჯგუფის, მაგალითად, გლეხობის სოციალური ცდის სფეროში არსებობდეს: მაგრამ ამის გამო შეუძლებელია მათი შეტანა სოციალურად ორგანიზებულ ანუ ობიექტურ ცდაში, იმიტომ რომ ისინი არ შეესაბამებიან დანარჩენ კოლექტიურ ცდას და არ თავსდებიან მის მაორგანიზებელ ფორმებში, მაგალითად, მიზეზობრიობის ჯაჭვში" (45).

რა თქმა უნდა, ჩვენთვის ძლიერ სასიამოვნოა, რომ თვით ბოგდანოვს „არ შეაქვს" სოციალური ცდა ტყის ქაჯების და ავი სულების და სხვ. შესახებ ობიექტურ ცდაში. მაგრამ ეს კეთილგანზრახვითი, ფიდეიზმის უარმყოფელი, შესწორება ოდნავადაც არ ასწორებს ბოგდანოვის მთელი პოზიციის ძირითად შეცდომას. ობიექტურობისა და ფიზიკური სამყაროს ბოგდანოვისეული განსაზღვრა უცილობლად ბათილდება, ვინაიდან რელიგიის მოძღვრება ბევრად უფრო „ზოგადნიშნადია", ვიდრე მეცნიერების მოძღვრება: კაცობრიობის უდიდესი ნაწილი დღესაც პირველ მოძღვრებას მისდევს. კათოლიციზმი „სოციალურად ორგანიზებული, ჰარმონიზებული და შეთანხმებულია" მისი საუკუნეობრივი განვითარებით; იგი უცილობლად „თ ა ვ ს დ ე ბ ა" „მიზეზობრიობის ჯაჭვში", ვინაიდან რელიგიები უმი-

ზეზოდ როდი წარმოშობილან, ხალხის მასაში დღევანდელ პირობებში შემთხვევით როდი აქვს ფესვები გადგმული, ფილოსოფიის პროფესორები ეგუებიან მათ სავსებით „კანონზომიერად". თუ ეს უცილობლად ზოგადნიშნადი და უცილობლად დიდად ორგანიზებული სოციალურ-რელიგიური ცდა „არ ეთანხმება" მეცნიერების „ცდას" მაშასადამე, მათ შორის პრინციპული, ძირითადი განსხვავება ყოფილა, რომელიც ბოგდანოვმა წაშალა, როცა ობიექტური ჭეშმარიტება უარყო. და რამდენიც უნდა „შესწორდეს" ბოგდანოვი, რამდენიც უნდა ილაპარაკოს, რომ ფიდეიზმი ანუ ხუცობა არ ეთანხმება მეცნიერებასო, მაინც უცილობელია ის ფაქტი, რომ ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფა ბოგდანოვის მიერ სავსებით „ეთანხმება" ფიდეიზმს. თანამედროვე ფიდეიზმი სრულიადაც არ უარყოფს მეცნიერებას; იგი უარყოფს მეცნიერების მხოლოდ „გადაჭარბებულ პრეტენზიებს", სახელდობრ, ობიექტური ჭეშმარიტების პრეტენზიას. თუ არსებობს ობიექტური ჭეშმარიტება (როგორც მატერიალისტები ფიქრობენ), თუ ბუნებისმეტყველებას, რომელიც ასახავს გარეგან სამყაროს ადამიანის „ცდაში", ერთადერთს შესწევს უნარი მოგვცეს ობიექტური ჭეშმარიტება, ამით ყოველგვარი ფიდეიზმი უცილობლად უკუგდებულია. ხოლო თუ ობიექტური ჭეშმარიტება არ არსებობს, თუ ჭეშმარიტება (მათ შორის მეცნიერული ჭეშმარიტებაც) მხოლოდ ადამიანის ცდის მაორგანიზებელი ფორმაა, ამით აღიარებულია ხუცობის ძირითადი დებულება, მისთვის კარი იღება, ადგილი იწმინდება რელიგიური ცდის „მაორგანიზებელი ფორმებისათვის".

ვ. ი. ლენინი. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". თხზ., ტ. 14, გვ. 148—149.

ცხოვრებისა და პრაქტიკის თვალსაზრისი შემეცნების თეორიის ძირითად და უპირველეს თვალსაზრისად უნდა იქცეს. და მას აუცილებლად მატერიალიზმთან მივყავართ, იმთავითვე უკუაგდებს რა პროფესორული სქოლასტიკის დაუსრულებელ ნათხზავს. რა თქმა უნდა, ამასთანავე არ უნდა დავივიწყოთ, რომ პრაქტიკის კრიტერიუმს არსებითად არასოდეს არ ძალუძს ს ა ვ ს ე ბ ი თ დაადასტუროს ან უარყოს ადამიანის რომელიმე წარმოდგენა. ეს კრიტერიუმიც იმდენად „გამოურკვეველია", რომ ადამიანის ცოდნას ნებას არ აძლევს „აბსოლუტად" იქცეს, და ამავე დროს იმდენად გარკვეულიცაა, რომ ულმობელი ბრძოლა აწარმოოს იდეალიზმისა და აგნოსტიციზმის ყველა ნაირსახეობასთან. თუ ის, რასაც ჩვენი პრაქტიკა ადასტურებს, ერთადერთი, უკანასკნელი, ობიექტური ჭეშმარიტებაა, — ერთადერთ

გზად ამ ჭეშმარიტებისაკენ უნდა ვაღიაროთ იმ მეცნიერების გზა, რომელიც მატერიალისტურ თვალსაზრისზე დგას.

ვ. ლ ე ნ ი ნ ი. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". გვ. 172.

3. იდეალიზმი და რელიგია

იდეალიზმი როგორც ფიდეიზმის დახვეწილი რაფინირებული ფორმა

ემპირიოკრიტიციზმის გნოსეოლოგიური სქოლასტიკის უკან არ შეიძლება არ დავინახოთ პარტიათა ბრძოლა ფილოსოფიაში, ბრძოლა, რომელიც საბოლოო ანგარიშში გამოხატავს თანამედროვე საზოგადოების მტრული კლასების ტენდენციებსა და იდეოლოგიას. ახალი ფილოსოფია ისევე პარტიულია, როგორც ორი ათასი წლის წინათ იყო. მებრძოლი პარტიები არსებითად მატერიალიზმი და იდეალიზმია, მხოლოდ დაფარული გელერტულ-შარლატანური ახალი სახელწოდებით ან ჭკუამოკლე უპარტიულობით. იდეალიზმი მხოლოდ დახვეწილი, ფაქიზი ფორმაა ფიდეიზმისა, რომელიც თავით ფეხამდე შეიარაღებულია, უდიდეს ორგანიზაციებს ფლობს, განუხრელ ზეგავლენას ახდენს მასზე და თავის სასარგებლოდ იყენებს ფილოსოფიური აზრის მცირეოდენ მერყეობას. ემპირიოკრიტიციზმის ობიექტური, კლასობრივი როლი მთლიანად განისაზღვრება ფიდეისტებისათვის სამსახურის გაწევით მათს ბრძოლაში მატერიალიზმის წინააღმდეგ საერთოდ და ისტორიული მატერიალიზმის წინააღმდეგ კერძოდ.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". თხზ., ტ. 14. გვ. 457.

გასარჩევი დაგვრჩა კიდევ საკითხი მახიზმის დამოკიდებულებისა რელიგიასთან. მაგრამ ეს საკითხი უნდა გავაფართოოთ და დავსვათ კითხვა, არსებობს თუ არა საზოგადოდ პარტიები ფილოსოფიაში და რა მნიშვნელობა აქვს უპარტიობას ფილოსოფიაში.

აქამდე, როცა გნოსეოლოგიის რომელიმე საკითხს, ან ახალი ფიზიკის მიერ დასმულ რომელიმე ფილოსოფიურ საკითხს ვეხებოდით, ჩვენ კვალდაკვალ მივდევდით მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს და ი დ ე ა ლ ი ზ მ ი ს ბრძოლას. ახალი ტერმინოლოგიური ოინბაზობისა და გელერტული სქოლასტიკის ნაგავში ჩვენ, გამოუკლებლივ, ყოველთვის ვპოულობდით ორ ძირითად ხაზს, ორ ძირითად მიმართულებას ფილოსოფიური საკითხების გადაჭრაში. მივიღოთ თუ არა პირველადად

ბუნება, მატერია, ფიზიკური, გარეგანი სამყარო, ხოლო მეორადად ცნობიერება სული, შეგრძნება (—ცდა, ჩვენს დროში გავრცელებული ტერმინოლოგიით), ფსიქიკური და სხვ., აი ის ძირითადი საკითხი, რომელიც ნამდვილად ჰყოფს ფილოსოფოსებს ორ დიდ ბანაკად. ათასობით შეცდომის და არევ-დარევის წყარო ამ სფეროში სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ტერმინების, განმარტებების, სქოლასტიკური მანჭიობის, სიტყვიერი ოინბაზობის გარეგნობის უკან ვერ ამჩნევენ აქ ორ ძირითად ტენდენციას (ბოგდანოვს, მაგალითად, არ სურს თავისი იდეალიზმი აღიაროს, იმიტომ რომ თურმე ისეთი „მეტაფიზიკური“ ცნებების მაგივრად, როგორიცაა „ბუნება“ და „სული“, „ცდისეული“ ცნებები აუღია: ფიზიკური და ფსიქიკური. სიტყვები შესცვალეს!).

მარქსის და ენგელსის გენიოსობა სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ძლიერ დიდი პერიოდის, თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში ისინი მატერიალიზმს ავითარებდნენ, წინ მიჰყავდათ ერთი ძირითადი მიმართულება ფილოსოფიაში, უკვე გადაწყვეტილ გნოსეოლოგიურ საკითხებს კი არ ღეჭდნენ, არამედ თანამიმდევრად ატარებდნენ, — გვიჩვენებდნენ, როგორ უნდა გავატაროთ იგივე მატერიალიზმი საზოგადოებრივ მეცნიერებათა სფეროში, ულმობელად სანაგვე ყუთში ისროდნენ ჩმახვას, მაღალფარდოვან პრეტენზიულ გალიმატიას, მარავალრიცხოვან ცდას „ახალი“ ხაზის „ალმოჩენისა“ ფილოსოფიაში, „ახალი“ მიმართულების გამოგონებისა და სხვ.. მარქსი და ენგელსი მთელი თავიანთი მოღვაწეობის განმავლობაში დევნიდნენ, აბუჩად იგდებდნენ ასეთი ცდების სიტყვიერ ხასიათს, ახალი ფილოსოფიური „იზმებით“ სქოლასტიკურ თამაშს, საკითხის დედაარსის მიფუჩეჩებას მაღალფარდოვანი ფრაზებით, ორი ძირითადი გნოსეოლოგიური მიმართულების ბრძოლის გაგებისა და ნათლად წარმოდგენის უნარის უქონლობას.

ჩვენ ვთქვით: თითქმის ნახევარი საუკუნის განმავლობაში-თქო. მართლაც, ჯერ კიდევ 1843 წელს, როცა მარქსი მხოლოდ მარქსი ხდებოდა, ე. ი. სოციალიზმის, როგორც მეცნიერების, ფუძემდებელი და იმ თანამედროვე მატერიალიზმის ფუძემდებელი, რომელიც განუზომლად უფრო მდიდარია შინაარსით და შეუდარებლად უფრო თანამიმდევარია, ვიდრე მატერიალიზმის ყველა ადრინდელი ფორმა, — მაშინაც კი მარქსი გასაოცარი გარკვეულობით აღნიშნავდა ძირითად ხაზებს ფილოსოფიაში. კარლ გრიუნს მოჰყავს მარქსის წერილი ფოიერბახისადმი 1843 წლის 20 ოქტომბრის თარიღით, სადაც მარქსი ფოიერბახს თხოვს სტატია დასწეროს „Deutsch-Französische Jahrbücher“-ში[3] შელინგის წინააღმდეგ. ეს შელინგი ტრაბახა ვინმეა, — სწერს მარქსი, — იგი პრეტენზიას აცხადებს მოი-

ცვას და დასძლიოს ყველა წინანდელი ფილოსოფიური მიმართულება. „ფრანგ რომანტიკოსებს და მისტიკოსებს შელინგი ეუბნება: მე ფილოსოფიის და თეოლოგიის შეერთება ვარ; ფრანგ მატერიალისტებს: მე სხეულის და იდეის შეერთება ვარ; ფრანგ სკეპტიკოსებს: მე დოგმატიკის გამანადგურებელი ვარ"*. მარქსი უკვე მაშინვე ხედავდა, რომ „სკეპტიკოსები", სულ ერთია რა ჰქვიათ მათ — ჰიუმისტები თუ კანტიანელები (თუ მახისტები, XX საუკუნეში), გაჰკივიან მატერიალიზმის და იდეალიზმის დოგმატიკის" წინააღმდეგ; მაგრამ იგი არ გაჰყვა არც ერთ უბადრუკ ფილოსოფიურ სისტემას, რომელიც ათასობით იყო გავრცელებული, და შესძლო ფოიერბახის მეშვეობით პირდაპირ მატერიალისტურ გზაზე შემდგარიყო იდეალიზმის წინააღმდეგ. ოცდაათი წლის შემდეგ, „კაპიტალის" პირველი ტომის მეორე გამოცემის ბოლოსიტყვაობაში, მარქსი თავის მატერიალიზმს ასევე ნათლად და გარკვევით უპირისპირებს ჰეგელის, ე. ი. ყველაზე თანამიმდევარ, ყველაზე განვითარებულ იდეალიზმს, ზიზღით უკუაგდებს კონტის „პოზიტივიზმს", ხოლო საცოდავ ეპიგონებად აცხადებს თანამედროვე ფილოსოფოსებს, რომელთაც ჰგოხიათ ჰეგელი გავანადგურეთო, ნამდვილად კი ჰეგელის წინადროინდელ, კანტის და ჰიუმის შეცდომებს უბრუნდებიან.

ვ. ი. ლენინი. თხზ., ტ. 14, „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი" გვ. 427—429.

იმ ქარიშხალმა, რომელიც ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში ე. ჰეკელის „სამყაროს გამოცანებმა" გამოიწვია, ერთი მხრივ, შესანიშნავი რელიეფობით გამოააშკარავა ფილოსოფიის პარტიულობა თანამედროვე საზოგადოებაში, ხოლო, მეორე მხრივ, იდეალიზმსა და აგნოსტიციზმთან მატერიალიზმის ბრძოლის ნამდვილი საზოგადოებრივი მნიშვნელობა. ამ წიგნის მაშინვე ყველა ენაზე გადათარგმნა და ასი ათასობით ეგზემპლარად გამოსელამ სპეციალურ იაფფასიან გამოცემად ყველას თვალნათლივ დაანახვა, რომ ეს წიგნი „ხალხში შევიდა", რომ ე. ჰეკელმა ერთბაშად მიიმხრო მკითხველთა მასები. პოპულარული წიგნაკი კლასობრივი ბრძოლის იარაღად გადაიქცა. ყველა ქვეყნის ფილოსოფიის და თეოლოგიის პროფესორებმა ათასნაირად დაიწყეს ჰეკელის გაცამტვერება და განადგურება. განთქმულმა ინგლისელმა ფიზიკოსმა ლოჯმა დაიწყო ღმერთის დაცვა ჰეკელისაგან. რუსი ფიზიკოსი, ბ-ნი ხვოლსონი გერმანიაში გაემგზავრა, რათა იქ საძაგელი შავრაზმული ბროშურა გამოეცა ჰეკელის წინააღმდეგ და დაერწმუნებინა პატივცემული ბატონი ფილისტერები, რომ დღეს მთელი ბუნებისმეტყველება როდი დგას „გულუბრყვილო

რეალიზმის“ თვალსაზრისზეო[1] ურიცხვია იმ თეოლოგების ლაშქარი, რომელნიც ჰეკელის წინააღმდეგ ამხედრდნენ. არ არსებობს ისეთი გააფთრებული ლანძღვა-გინება, რომლითაც მას არ გამასპინძლებოდნენ ფილოსოფიის ოფიციალური პროფესორები[2] საკაცილო სანახავია, როგორ ენთებათ თვალები და უწითლდებათ ლოყები — შეიძლება, პირველად მათ სიცოცხლეში — ამ მკედარ სქოლასტიკაზე გამშრალ მუმიებს, როცა მათ ერნსტ ჰეკელი სილას აწნავს. წმინდა მეცნიერების და, თითქოს, ყველაზე განყენებული თეორიის ქურუმნი პირდაპირ გააფთრებული გმინავენ, და ფილოსოფიის ზუბრების (იდეალისტ პაულსენის, იმანენტ რემკეს, კანტიანელ ადიკესის და სხვების, რომელთა სახელები მხოლოდ შენ უწყი, უფალო), ამ ღრიალში ნათლად გაისმის ერთი ძირითადი მოტივი, მიმართული ბუნებისმეტყველების „მ ე ტ ა ფ ი ზ ი კ ი ს“ წინააღმდეგ, „დოგმატიზმის“ წინააღმდეგ, „ბუნებისმეტყველების ღირებულების და მნიშვნელობის გაზვიადების“ წინააღმდეგ, „საბუნებისმეტყველო მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ს“ წინააღმდეგ. იგი მატერიალისტია, ჰკა მაგას, ჰკა მატერიალისტს, იგი საზოგადოებას ატყუებს, როცა თავის თავს პირდაპირ მატერიალისტს არ უწოდებსო, — აი რა აცოფებს განსაკუთრებით უპატივცემულეს ბატონ პროფესორებს.

მთელ ამ ტრაგიკომედიაში[3] განსაკუთრებით დამახასიათებელია ის გარემოება, რომ ჰეკელი თვითონ უ ა რ ყ ო ფ ს მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ს, უარს ამბობს ამ სახელწოდებაზე. კიდევ მეტს ვიტყვით: იგი არათუ არ უარყოფს ყოველივე რელიგიას, არამედ თავის რელიგიასაც კი იგონებს (რაღაც ბულგაკოვის „ათეისტური სარწმუნოებისა“ თუ ლუნაჩარსკის „რელიგიური ათეიზმის“ მაგვარს) და პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ იცავს რელიგიის კავშირს მეცნიერებასთან! მაშ რაშია საქმე? რა „საბედისწერო გაუგებრობამ“ გამოიწვია ეს აყალ-მაყალი?

საქმე ისაა, რომ ე. ჰეკელის ფილოსოფიურმა გულუბრყვილობამ,

---

[1] O. D. Chwolson. „Hegel, Haeckel, Kossuth und das zwölfte Gebot“, 1906. შეად. S. 80 (ო. დ. ხ ვ ო ლ ს ო ნ ი. „ჰეგელი, ჰეკელი, კოშუტი და მეთორმეტე მცნება“, 1906. შეად. გვ. 80. რ ე დ.).

[2] ჰ ე ნ რ ი ხ შ მ ი დ ტ ი ს ბროშურა „ბრძოლა „ს ა მ ყ ა რ ო ს გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი ს“ გ ა მ ო“ (Bonn, 1900) კარგად გვისურათებს იმ ლაშქრობას, რომელიც ფილოსოფიის და თეოლოგიის პროფესორებმა მოაწყეს ჰეკელის წინააღმდეგ. მაგრამ ეს ბროშურა უკვე ძლიერ მოძველდა ჩვენი დროისთვის.

[3] ტრაგიკული ელემენტი ამ ამბავში შეიტანა ჰეკელზე თავდასხმამ ამა წლის (1908) გაზაფხულზე. მთელი რიგი უსახელო წერილების შემდეგ, სადაც ჰეკელს „ძაღლს“, „უღვთოს“, „მაიმუნს“ და სხვ. უწოდებდნენ, ვინმე ჰეშმარიტმა-გერმანელმა მოზრდილი ქვა შეტყორცნა ჰეკელის კაბინეტში, იენაში.

განსაზღვრული პარტიული მიზნების უქონლობამ, მისმა სურვილმა ანგარიში გაეწია გაბატონებული ფილისტერული ცრურწმენისთვის მატერიალიზმის წინააღმდეგ, მისმა პირადმა შემრიგებლურმა ტენდენციებმა და წინადადებებმა რელიგიის შესახებ, — ყოველივე ამან უფრო რელიეფურად გამოააშკარავა მისი წიგნის ზ ო გ ა დ ი ს უ ლ ი ს კ ვ ე თ ე ბ ა, საბუნებისმეტყველო მატერიალიზმის ა ღ მ ო უ ფ ხ ვ რ ე ლ ო ბ ა, მისი შ ე უ რ ი გ ე ბ ლ ო ბ ა მ თ ე ლ ოფიციალურ პროფესორულ ფილოსოფიასა და თეოლოგიასთან. პირადად ჰეკელს არ სურს კავშირი გაწყვიტოს ფილისტერებთან, მაგრამ, რასაც იგი ასეთი შეუდრეკელი გულუბრყვილო დარწმუნებით წერს, ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ არ ურიგდება გაბატონებული ფილოსოფიური იდეალიზმის არც ერთ ელფერს. ყველა ეს ელფერი, დაწყებული რომელიმე ჰარტმანის უტლანქესი რეაქციული თეორიებით და გათავებული პეცოლდტით, რომელსაც თავისი თავი უეხლეს, პროგრესულ და მოწინავე პოზიტივისტად წარმოუდგენია, ან ემპირიოკრიტიცისტ მახით, ყ ვ ე ლ ა ნ ი იმ აზრისა არიან, რომ საბუნებისმეტყველო მატერიალიზმი „მეტაფიზიკაა“, რომ ობიექტური რეალობის მიკუთვნება ბუნებისმეტყველების თეორიებისა და დასკვნებისათვის ნამდვილ „გულუბრყვილო რეალიზმს“ ნიშნავს და სხვ.. და ა ი მ თ ე ლ ი ამ პროფესორული ფილოსოფიის და თეოლოგიის „წმინდა“ მოძღვრებას ს ა ხ ე ში ურ ტ ყ ა მ ს ჰეკელის წიგნის ყოველი ფურცელი. ბუნებისმეტყველმა, რომელიც უცილობლად გამოხატავს XIX საუკუნის დასასრულის და XX საუკუნის დასაწყისის ბუნებისმეტყველთა დიდი უმრავლესობის ყველაზე მტკიცე, თუმცა ჩამოუყალიბებელ შეხედულებებს, განწყობილებებს და ტენდენციებს, ერთბაშად, ადვილად და უბრალოდ დაგვანახვა ის, რასაც საზოგადოებას და თავის თავს უმალავდა პროფესორული ფილოსოფია, სახელდობრ, რომ არის ბურჯი, რომელიც ფართოვდება და მტკიცდება და რომელზედაც იმსხვრევა ფილოსოფიური იდეალიზმის, პოზიტივიზმის, რეალიზმის, ემპირიოკრიტიციზმის და სხვა ყოველგვარი კონფუციონიზმის ათას ერთი პაწია სკოლის მთელი ძალღონე და ცდა. ეს ბურჯი — ს ა ბ უ ნ ე ბ ი ს მ ე ტ ყ ვ ე ლ ო მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ზ მ ი ა. „გულუბრყვილო რეალისტების“ (ე. ი. მთელი კაცობრიობის) დაჯერებულობა, რომ ჩვენი შეგრძნებანი ობიექტურად რეალური გარეგანი სამყაროს სახეებია, არის დარწმუნება, რომელიც მუდამ იზრდება და მტკიცდება მრავალ ბუნებისმეტყველთა შორის.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ — თხზ., ტ. 14, გვ. 445—448.

ერთიანის გაორება და მისი წინააღმდეგობრივი ნაწილების შემეცნება (იხ. ციტატი ფილონიდან ჰერაკლიტეს შესახებ ლასალისეული ჰერაკლიტეს[4] III ნაწილის („შემეცნების შესახებ") დასაწყისში) არის დიალექტიკის დ ე დ ა ა რ ს ი (ერთ-ერთი „არსება", ერთ-ერთი ძირითადი, თუ ძირითადი არა, თავისებურება ანუ ნიშანი). სწორედ ასე აყენებს საკითხს ჰეგელიც (არისტოტელე თავის „მეტაფიზიკაში" მუდამ თ ა ვ ს ი მ ტ ვ რ ე ვ ს ამის გარშემო და ებრძვის ჰერაკლიტეს resp[5]. ჰერაკლიტესეულ იდეებს.

დიალექტიკის შინაარსის ამ მხარის სისწორე უნდა შეამოწმოს მეცნიერების ისტორიამ. დიალექტიკის ამ მხარეს ჩვეულებრივ (მაგალითად, პლეხანოვთან) არასაკმარის ყურადღებას აქცევენ: დაპირისპირებულობათა იგივეობა აღებულია როგორც მ ა გ ა ლ ი თ ე ბ ი ს ჯამი („მაგალითად, მარცვალი", „მაგალითად, პირველყოფილი კომუნიზმი". იგივეა ენგელსთან. მაგრამ ეს არის „პოპულარობისათვის"...] და არა როგორც შ ე მ ე ც ნ ე ბ ი ს კ ა ნ ო ნ ი (და ობიექტური სამყაროს კანონი).

მათემატიკაში + და — დიფერენციალი და ინტეგრალი.

მექანიკაში ქმედება და უკუქმედება.

ფიზიკაში დადებითი და უარყოფითი ელექტრობა.

ქიმიაში ატომების შეერთება და დისოციაცია.

საზოგადოებრივ მეცნიერებაში კლასობრივი ბრძოლა.

დაპირისპირებულობათა იგივეობა (შეიძლება, უფრო სწორია ვთქვათ: მათი „ერთიანობა"? თუმცა ტერმინების — იგივეობისა და ერთიანობის — სხვაობა აქ არაა განსაკუთრებულად არსებითი. ვარკვეული აზრით ორივე სწორია) არის წინააღმდეგობრივი, ु რ თ ი ე რ თ გ ა მ ო მ რ ი ც ხ ვ ე ლ ი, დაპირისპირებული ტენდენციების აღიარება (აღმოჩენა) ბუნების ყ ვ ე ლ ა მოვლენასა და პროცესში (მ ა თ რ ი ც ხ ვ შ ი აგრეთვე სულისა და საზოგადოებისაშიც). პირობა სამყაროს ყველა პროცესის შემეცნებისა მათს „თ ვ ი თ მ ო ძ რ ა ო ბ ა შ ი", მათს სპონტანურ განვითარებაში, მათს ცოცხალ სიცოცხლეში. არის შემეცნება მათი როგორც დაპირისპირებულობათა ერთიანობისა. განვითარება არის დაპირისპირებულობათა „ბრძოლა". განვითარების (ევოლუციის) ორი ძირითადი (თუ ორი შესაძლებელი? თუ ორი ისტორიაში შესამჩნევი?) კონცეფცია არის: განვითარება როგორც შემცირება და გადიდება, როგორც განმეორება, და განვითარება როგორც დაპირისპირებულობათა ერთიანობა (ერთიანის გაორება ურთიერთგამომრიცხველ დაპირისპირებებად და ურთიერთობა მათ შორის).

---

[4] — იხ. ეს ტომი, გვ. 360—361. რ ე დ.

[5] — respective — შესაბამისად. რ ე დ.

მოძრაობის პირველი კონცეფციის დროს ჩრდილში რჩება თ ვ ი თ მოძრაობა, მისი მ ა მ ო ძ რ ა ვ ე ბ ე ლ ი ძალა, მისი წყარო. მისი მოტივი (ან ეს წყარო გადაიტანება გ ა რ ე ო—ღმერთი, სუბიექტი etc.). მეორე კონცეფციის დროს მთავარი ყურადღება მიპყრობილია სწორედ „თ ვ ი თ"—მოძრაობის წ ყ ა რ ო ს შემეცნებაზე.

პირველი კონცეფცია არის მკვდარი, მკრთალი, მშრალი. მეორე — ცხოველმყოფელი. მხოლოდ მეორე იძლევა ყოველივე არსებულის „თვითმოძრაობის" გასაღებს, მხოლოდ იგი იძლევა „ნახტომების", „თანდათანობის შეწყვეტის", „დაპირისპირებულობად გადაქცევის". ძველის მოსპობისა და ახლის წარმოშობის გასაღებს.

დაპირისპირებულობათა ერთიანობა (დამთხვევა, იგივეობა, ტოლქმედება) პირობითი, დროებითი, წარმავალი, რელატიურია, ურთიერთგამომრიცხველ დაპირისპირებულობათა ბრძოლა აბსოლუტურია, როგორც აბსოლუტურია განვითარება, მოძრაობა.

NB: სუბიექტივიზმის (სკეპტიციზმისა და სოფისტიკის etc.) განსხვავება დიალექტიკისაგან სხვათა შორის, ისაა, რომ (ობიექტურ) დიალექტიკაში შეფარდებითია (რელატიურია) განსხვავებაც რელატიურსა და აბსოლუტურს შორის. ობიექტური დიალექტიკისათვის რელატიურში ა რ ი ს აბსოლუტური. სუბიექტივიზმისა და სოფისტიკისათვის რელატიური მხოლოდ რელატიურია და აბსოლუტურს გამორიცხავს.

მარქსი „კაპიტალში" თავდაპირველად ანალიზს უკეთებს ბურჟუაზიული (სასაქონლო) საზოგადოების ყველაზე მარტივ, ჩვეულებრივ, ძირითად, ყველაზე მასობრივად თვალსაჩინო, ყველაზე ყოველდღიურ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ა ს, მილიარდჯერ რომ გვხვდება: საქონელთა გაცვლას. ამ უმარტივეს მოვლენაში (ბურჟუაზიული საზოგადოების ამ „უჯრედში") ანალიზი ამჟღავნებს თანამედროვე საზოგადოების ყ ვ ე ლ ა წინააღმდეგობას (resp. ყ ვ ე ლ ა წინააღმდეგობის ჩანასახებს). შემდგომი გადმოცემა გვიჩვენებს ამ წინააღმდეგობათა და ამ საზოგადოების განვითარებას (ზრდასაც და მოძრაობასაც), მისი ცალკეული ნაწილების Σ[6]-ში, მისი დასაწყისიდან მის დასასრულამდე.

ასეთივე უნდა იყოს საერთოდ დიალექტიკის გადმოცემის (resp. შესწავლის) მეთოდი (ვინაიდან ბურჟუაზიული საზოგადოების დიალექტიკა მარქსისათვის დიალექტიკის მხოლოდ კერძო შემთხვევაა). დავიწყოთ ყველაზე მარტივით, ჩვეულებრივით მასობრივად თვალსაჩინოთი etc.. **რომელიც გინდა წ ი ნ ა დ ა დ ე ბ ი თ:** ხის ფოთლები მწვანეა: ივანე ადამიანია. ცუგა ძაღლია და მისთ. უკვე ა ქ (როგორც ჰეგელმა

[6] — ჯამში. რ ე დ.

გენიალურად შენიშნა) არის დიალექტიკა: ცალკეული არის ზოგადი (შეად. Aristoteles. Metaphysik[7], თარგმანი შეეგლერისა. Bd. II, S. 40,3. Buch, 4. Kapitel. 8—9[8]: „denn natürlich kann man nicht der Meinung sein, daß es ein Haus — სახლი საერთოდ — gebe außer den sichtbaren Häusern" „οὐ γάρ ἂν ᾠήθημεν εἶναί τινα οἰκίαν παρά τάς τινάς οἰκίας[9]"). მაშასადამე, დაპირისპირებულობანი (ცალკეული დაპირისპირებულია ზოგადისადმი) იგივურნი არიან: ცალკეული არ არსებობს სხვანაირად, თუ არა იმ კავშირში, რომელსაც ზოგადისაკენ მივყავართ. ზოგადი არსებობს მხოლოდ ცალკეულში, ცალკეულის მეშვეობით. ყოველი ცალკეული არის (ასე თუ ისე) ზოგადი. ყოველი ზოგადი მხოლოდ დაახლოებით მოიცავს ყველა ცალკეულ საგანს. ყოველი ცალკეული არასრულად შედის ზოგადში და ა. შ. და ა. შ. ყოველი ცალკეული ათასობით გადასასვლელითაა დაკავშირებული სხვაგვარ ცალკეულებთან (ნივთებთან, მოვლენებთან, პროცესებთან) და ა. შ. უკვე აქ არის ელემენტები, ჩანასახები, ცნებები აუცილებლობისა, ბუნების ობიექტური კავშირისა etc. შემთხვევითი და აუცილებელი, მოვლენა და არსება უკვე არის აქ, რადგან როცა ვამბობთ: ივანე კაცია, ცუგა ძაღლია, ეს ხის ფოთოლია და ა. შ., ჩვენ უკუვაგდებთ მთელ რიგ ნიშნებს, როგორც შემთხვევითს, ჩვენ გამოვყოფთ არსებითს მოვლინებადისაგან და ერთიმეორეს ვუპირისპირებთ.

ამრიგად, ყოველ წინადადებაში, როგორც „უჯრედში" („უჯრულაში") შეიძლება (და უნდა) გამოვამჟღავნოთ დიალექტიკის ყველა ელემენტის ჩანასახები და ამრიგად ცხადვყოთ, რომ ადამიანის მთელ შემეცნებას საერთოდ დიალექტიკა ახასიათებს. ბუნებისმეტყველება კი გვიჩვენებს (ესეც კვლავ საჭიროა ყოველგვარ უმარტივეს მაგალითზე ცხადვყოთ) ობიექტურ ბუნებას მის იმავე თვისებებში, გარდაქმნას ცალკეულისას ზოგადად, შემთხვევითისას აუცილებლად, დაპირისპირებულობათა გადასვლებს, გადადინებას, ურთიერთკავშირს. დიალექტიკა არის სწორედ (ჰეგელისა და) მარქსიზმის შემეცნების თეორია: აი საქმის რა „მხარეს" (ეს საქმის „მხარე" კი არაა, არამედ საქმის დედაარსია) არ მიაქცია ყურადღება, პლეხანოვმა, სხვა მარქსისტებზე რომ აღარა ვთქვათ რა.

ვ. ი. ლენინი. „დიალექტიკის საკითხებისათვის". თხზ., ტ. გვ. 371—374.

---

[7] — არისტოტელე, მეტაფიზიკა. რედ.

[8] — ტ. II, გვ. 40, მე-3 წიგნი, მე-4 თავი, 8-9. რედ.

[9] — „ჩვენ ხომ არ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ არსებობს რაღაც სახლი (საერთოდ), გარდა ხილული სახლებისა". რედ.

NB

NB

იდეალიზმი პირველყოფილი: ზოგადი (ცნება, იდეა) არის ცალკეული არსება. ეს გვეჩვენება უცნაურ, საოცარ (უფრო სწორად: ბავშვურ) სისულელედ. მაგრამ განა ამგვარივე არაა (საკუთრივ ამგვარივე) თანამედროვე იდეალიზმი, კანტი, ჰეგელი, ღმერთის იდეა? მაგიდები, სკამები და მაგიდისა და სკამის იდეები; სამყარო და სამყაროს იდეა (ღმერთი): ნივთი და „ნუმენი", შეუცნობადი „ნივთი თავისთავად": კავშირი დედამიწისა და მზისა, ბუნებისა საერთოდ— და კანონი. λόγος ღმერთი. ადამიანის შემეცნების გაორება და იდეალიზმის (=რელიგიის) შესაძლებლობა მოცემულია უკვე პირველ, ელემენტარულ აბსტრაქციაში.

„სახლი" საერთოდ და ცალკეული სახლები

მისვლა (ადამიანის) გონებისა ცალკეულ ნივთთან, მოხსნა ამ ნივთისაგან ტვიფარისა=ცნებისა) არ არის მარტივი, უშუალო, სარკისებრ-მკვდარი აქტი, არამედ იგი რთულია, გაორებული, ზიგზაგისებრი, რომელიც შეიცავს ცხოვრებისაგან ფანტაზიის მოწყდომის შესაძლებლობას, კიდევ მეტიც; შეიცავს აბსტრაქტული ცნების, იდეის ფანტაზიად (in letzter Instanz*=ღმერთად) გადაქცევის (თანაც ადამიანისაგან შეუმჩნეველი, შეუცნობელი გადაქცევის) შესაძლებლობას. ვინაიდან ყველაზე მარტივ განზოგადებაშიც კი, ყველაზე ელემენტარულ ზოგად იდეაში („მაგიდა" საერთოდ) არის ფანტაზიის გარკვეული ნაწყვეტი. (Vice Versa*: უაზრობაა უარყოფა ფანტაზიის როლისა ყველაზე ზუსტ მეცნიერებაშიც კი: შეად. პისარევი სასარგებლო ოცნებაზე როგორც მუშაობის სტიმულზე, და ცარიელ მეოცნებეობაზე[6]).

3. ი. ლენინი. „დიალექტიკის საკითხისათვის". თხზ., ტ. 38. გვ. 384—385.

ათეიზმი (136—137)[609] არ სპობს არც das moralische Ueber (=das Ideal)*, არც das natürliche Ueber (=die Natur)**

...„განა დრო მხოლოდ ფორმა არაა სამყაროსი, წესი, რომლითაც ერთიმეორეს მისდევენ სამყაროს ცალკეული არსებანი და მოვლენები? მაშასადამე, როგორ შემიძლია მე სამყაროს მივაწერო დასაბამი დროში?" (145) [616]

დრო და სამყარო

10— ლოგოსი. რაედ.

...„ღმერთი არის მხოლოდ სამყარო აზრებში... სხვაობა ღმერთსა და სამყაროს შორის არის მხოლოდ სხვაობა სულსა და გრძნობას შორის, აზროვნებისა და წარმოდგენას შორის“... (146) [616—617]

ყოფიერება ჩვენს გარეშე=აზროვნებისაგან დამოუკიდებლად

ღმერთი სურთ წარმოიდგინონ ჩვენს გარეშე არსებულ არსებად. მაგრამ განა სწორედ ამით არ აღიარებენ გრძნობადი ყოფიერების ჭეშმარიტებას? „განა აღიარებული არაა“ (ამით), „რომ გრძნობადი ყოფიერების გარეშე არ არსებობს არავითარი ყოფიერება? განა ჩვენ მოგვეპოვება სხვა ნიშანი, სხვა კრიტერიუმი ჩვენს გარეშე არსებობისა, აზროვნებისაგან დამოუკიდებელი არსებობისა, გარდა გრძნობადობისა?“ (148) [618]

NB
ბუნება მატერიის გარეშე, მატერიისაგან დამოუკიდებლად=ღმერთი

...„ბუნება... მისი მატერიალურობისაგან და სხეულოვნობისაგან განცალკევებულობაში... არის ღმერთი“... (149) [619—620]

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. დიალექტიკის საკითხისათვის. თხზ., ტ. 38. გვ. 60.

NB
„ასლის“ თეორია

„გამოიყვანო ბუნება ღმერთიდან — ეს იგივეა, რომ მოისურვო გამოიყვანო ორიგინალი გამოსახულებიდან, ასლიდან, ნივთი ამ ნივთის შესახებ არსებული აზრიდან“. (149) [620]

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „კონსპექტი ფოიერბახის წიგნისა. ლექციები რელიგიის არსების შესახებ“. თხზ., ტ. 38. გვ. 60.

„საკითხი იმის შესახებ, შექმნა თუ არა ღმერთმა სამყარო... არის საკითხი გრძნობადობისადმი სულის დამოკიდებულების შესახებ“ (152[623] — ფილოსოფიის უმნიშვნელოვანესი და უძნელესი საკითხი 153[623]), ფილოსოფიის მთელი ისტორია ამ საკითხის ირგვლივ ტრიალებს—დავა სტოელთა და ეპიკურელთა, პლატონელთა და არისტოტელელთა,

cf. Engels idem „ლუდვიგ ფოიერბახში“[33]

153 [623]

სკეპტიკოსებისა და დოგმატიკოსებისა ძველ ფილოსოფიაში, ნომინალისტებისა და რეალისტებისა შუა

საუკუნეებში, იდეალისტებისა და „რეალისტებისა თუ ემპირისტებისა“ (sic! 153[626] ახალ დროში.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. კონსპექტი ფოიერბახის წიგნისა. „ლექციები რელიგიის არსების შესახებ“. თხზ., ტ. 38. გვ. 61—62.

მეორე მიზეზი ღმერთის რწმენისა: ადამიანს ბუნებაზე გადააქვს წარმოდგენა თავის მიზანშეწონილ შემოქმედებაზე. ბუნება მიზანშეწონილია — ergo**, იგი შექმნა გონიერმა არსებამ. (160) [629 — 630]

„სწორედ ის, რასაც ადამიანი ბუნების მიზანშეწონილობას უწოდებს და როგორც ასეთს ჩაწვდება, სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა სამყაროს ერთიანობა, მიზეზთა და შედეგთა ჰარმონია, საერთოდ ის ურთიერთკავშირი, რომელშიც ყველაფერი ბუნებაში არსებობს და მოქმედებს“. (161) [630]

ადამიანს რომ მეტი გრძნობები ჰქონდეს, აღმოაჩენდა თუ არა იგი მეტ საგნებს სამყაროში? არა.

„ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი წარმოვიდგინოთ, რომ თუ ადამიანს მეტი გრძნობები და ორგანოები ექნებოდა, იგი აგრეთვე ბუნების მეტ თვისებებსა და ნივთებს შეიცნობდა. გარესამყაროში, არაორგანულ ბუნებაში ისინი უფრო მეტი რაოდენობით როდი არსებობენ, ვიდრე ორგანულში. ადამიანს სწორედ იმდენი გრძნობა გააჩნია, რამდენიც სწორედ აუცილებელია, რათა სამყარო მის მთლიანობაში, მის ერთობლიობაში აღიქვას“. (163) [632—633]

მნიშვნელოვანია აგნოსტიციზმის წინააღმდეგ

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი: კონსპექტი ფოიერბახის წიგნისა. „ლექციები რელიგიის არსების შესახებ. თხზ. ტ. 38. გვ. 62—63.

ნატურა (ბუნება) = რესპუბლიკელი, ღმერთი = მონარქი. [ეს არა ერთხელაა ფოიერბახთან!]

188—190 [653—656] — ღმერთი იყო პატრიარქალური მონარქი, ახლა კი იგი კონსტიტუციური მონარქია: მართავს, მაგრამ კანონების მიხედვით.

საიდან გაჩნდა ს უ ლ ი (Geist)? —ეკითხებიან თეისტები ათეისტს. (196) [661] ისინი ქმნიან ბუნებაზე მეტად საძულველ (despectierliche: 196 [661]), სულზე მეტად მაღალ წარმოდგენას (zu hohe, zu vornehme (!!) Vorstellung[11]).

NB
შეად. (დიცგენი[9]) გონებამახვილურია!

ნატურიდან პირდაპირ ვერ ახსნი Regierungsrath'a-საც[12] (197) [662]

„სული ხომ სხეულთან, გრძნობებთან ერთად ვითარდება... ის დაკავშირებულია გრძნობებთან... საიდანაცაა თავის ქალა, საიდანაცაა ტვინი, იქიდანვეა სულიც; საიდანაცაა ორგანო, იქიდანვეა მისი ფუნქციაც“ ((197) [662]: შეად. ზემოთ (197) [662] „სული თ ა ვ შ ი“).

Idem
დიცგენი[9]

„სულიერი მოქმედებაც — სხეულებრივია“. (197—198) [662]

სხეულებრივი სამყაროს წარმოშობას სულიდან, ღმერთიდან მივყავართ სამყაროს შექმნამდე არაფრისაგან — „რადგანაც საიდან ღებულობს სული მატერიას, სხეულებრივ ნივთიერებებს, თუ არა არაფრისაგან?“ (199) [664]

ბუნება მატერიალურია

...„ბუნება სხეულებრივია, მატერიალურია, გრძნობადია“... (201) [665]

{ იაკობ ბემი = „მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ ი თ ე ი ს ტ ი“ (202) [666]: იგი ალმერთებს არა მარტო სულს, არამედ მატერისაც. მასთან ღმერთი მატერიალურია — ამაშია მისი მისტიციზმი. (202) [666]

...„სადაც თვალები და ხელები თავიანთ უფლებებს ახორციელებენ, იქ თავიანთ არსებობას შეწყვეტენ ღმერთები“. (203) [667]

ბუნების აუცილებლობა

„ბოროტებას ბუნებაში“ (თეისტები) „დანაშაულად უთვლიან... მატერიას, ან ბ უ ნ ე ბ ი ს გ ა რ დ უ ვ ა ლ ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა ს“ (212) [675—676]

ისტორიული მატერიალიზმის ჩანასახი

213 შუაში [676] და 215 შუაში [678] „natürliche“ und „bürgerliche Welt“[13]

---

[11] — მეტად მაღალ, მეტად კეთილშობილურ (!!) წარმოდგენას. რ ე დ.
[12] — სახელმწიფო მრჩეველსაც. რ ე დ.
[13] — „ბუნებრივი“ და „სამოქალაქო სამყარო“ რ ე დ.

(226) [687—688]: ფოიერბახი ლაპარაკობს, რომ აქ ამთავრებს იგი 1-ლ ნაწილს (ბუნებაზე როგორც რელიგიის საფუძველზე) და გადადის მე-2-ზე: Geistesreligion[14]-ში მეღავნდება ადამიანის სულის თვისებანი. (232) [692—693] — „რელიგია არის პოეზია"—ასე შეიძლება ითქვას, რადგან რწმენა=ფანტაზია. მაგრამ ხომ არა ვსპობ მე (ფოიერბახი) პოეზიას? არა, მე ვსპობ (aufhebe) რელიგიას „მხოლოდ ი მ დ ე ნ ა დ" (ხაზგასმა ფოიერბახისაა), „რამდენადაც იგი უბრალო პროზაა და ა რ ა პოეზია". (233) [693]

NB

ხელოვნება არ მოითხოვს, რომ მისი ნაწარმოებები ს ი ნ ა მ დ ვ ი ლ ე დ ვაღიაროთ. (233) [693]

გარდა ფანტაზიისა რელიგიაში უაღრესად მნიშვნელოვანია Gemüth[15] (261) [717], პ რ ა ქ ტ ი კ უ ლ ი მხარე (258) [714], უკეთესის, დაცვის, დახმარების etc. ძიება.

(263) [718—719] — რელიგიაში ეძებენ ნ უ გ ე შ ს (აქაოდა ათეიზმი trostlos[16].

„სწორედ ადამიანის თავისმოყვარეობის შესაბამისი ასეთი წარმოდგენაა კიდეც წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ბუნება არ მოქმედებს უცელელი აუცილებლობით, მაგრამ ბუნების აუცილებლობაზე უფრო მაღლა დგას არსება, რომელიც კაცთმოყვარეა". (264) [719] და მ ო მ დ ე ვ ნ ო ფ რ ა ზ ა შ ი ქვის ვარდნილობის „Naturnot wendigkeit"[17] (264) [720]

ბუნების აუცილებლობა

გვ.287 [738—739] შუაში ო რ ჯ ე რ: ასევე „Notwendigkeit der Natur"[18]

NB

რელიგია=ბალღობა, ბავშვობა კაცობრიობისა (269) [723], ქრისტიანობამ მ ო რ ა ლ ი დ ა ნ გააჩინა ღმერთი, შექმნა მ ო რ ა ლ უ რ ი ღმერთი. (274) [727 — 728]

---

[14] — სულის რელიგიაში. რ ე დ.
[15] — გრძნობა. რ ე დ.
[16] — უნუგეშოა. რ ე დ.
[17] — „ბუნებრივი აუცილებლობა". რ ე დ.
[18] — „ბუნების აუცილებლობა". რ ე დ.

რელიგია არის ჩანასახოვანი წარმონაქმი — შეიძლება ითქვას"... წარმონაქმი არის ჭეშმარიტი რელიგია"... (275) [728] „მაგრამ ეს არის სიტყვების ბოროტად გამოყენება, ვინაიდან სიტყვასთან რელიგია მუდამ დაკავშირებულია ცრურწმენითი და არაჰუმანური წარმოდგენანი" (275) [728].

ფოიერბახი იმის წინააღმდეგია, რომ სიტყვა რელიგია ბოროტად იქნეს გამოყენებული

ხოტბა განათლებას — (277) [730] „ზერელე შეხედულება და მტკიცებაა, რომ რელიგია ცხოვრებისათვის, განსაკუთრებით საზოგადოებრივი, პოლიტიკური ცხოვრებისათვის სრულიად უმნიშვნელოა". (281) [733] მე გახვრეტილ გროშსაც არ გავიღებ ისეთი პოლიტიკური თავისუფლებისათვის, რომელიც ადამიანს რელიგიის მონად ტოვებს. (281) [733]

NB

რელიგია თანდაყოლილი აქვს ადამიანს („ეს დებულება... მარტივ გერმანულ ენაზე გადათარგმნილი, ნიშნავს") =ცრუმორწმუნეობა თანდაყოლილი აქვს ადამიანს. (283). [735].

ქრისტიანს გააჩნია ბუნების თავისუფალი მიზეზი, ბუნების ბატონი, რომლის ნება-სურვილს, რომლის სიტყვას ბუნება ემორჩილება, ღმერთი, რომელიც არაა შებოჭილი ეგრეთწოდებული მიზეზობრივი კავშირით, არაა შებოჭილი აუცილებლობით, არაა დაბმული ჯაჭვით, რომელიც აკავშირებს მოქმედებას მიზეზთან და მიზეზს მიზეზთან, მაშინ როდესაც წარმართთა ღმერთი დაკავშირებულია ბუნებრივ აუცილებლობასთან და ისიც კი არ შეუძლია, რომ თავისი საყვარელნი სიკვდილის საბედისწერო ხვედრისაგან იხსნას". (301) [750] (ამრიგად, ფოიერბახი სისტემატურად ლაპარაკობს Notwendigkeit der Natur).

ბუნების აუცილებლობა

„მაგრამ ქრისტიანს აქვს თავისუფალი მიზეზი, იმიტომ რომ იგი თავის სურვილებში არ აკავშირებს თავის თავს საერთო წესრიგთან, ბუნების აუცილებლობასთან". (301) [750] .და კიდევ სამჯერ ამ გვერდზე: Notwendigkeit der Natur.))

NB

NB

ხოლო გვ. 302 [751] „...ყველა **კანონი ანუ ბუნების აუცილებლობა**, რომლებსაც ადამიანის არსებობა ექვემდებარება"... (302) [751]

NB

cf. 307 [755]: „Lauf der Natur“ •

„გახადო ბუნება ღმერთზე დამოკიდებული ნიშნავს სამყაროს წყობილება და ბუნების აუცილებლობა გახადო ნება-სურვილზე დამოკიდებული“. (312) [759 — 760] გვ. 313 კი (ზემოდან [760] — „Naturnotwendigkeit“!!

(320) [766]: „აუცილებლობა ბუნებისა“ (der Natur)...

რა არის ობიექტური? (ფოიერბახის მიხედვით)

რელიგიურ წარმოდგენებში „ჩვენ გვაქვს... მაგალითები, თუ როგორ გარდაქმნის საერთოდ ადამიანი სუბიექტურს ობიექტურად, ე. ი. მას, რაც მხოლოდ მის აზროვნებაში, წარმოდგენაში, წარმოსახვაში არსებობს, რაღაც **აზროვნების, წარმოდგენის, წარმოსახვის გარეშე** არსებულად ხდის“.. (328) [773]

ვ. ი. ლენინი. კონსპექტი ფოიერბახის წიგნისა. „ლექციები რელიგიის არსების შესახებ“. თხზ., ტ. 38. გვ. 63—66.

[58 — 59] მე საერთოდ ვცდილობ ჰეგელი მატერიალისტურად წავიკითხო: ჰეგელი არის თავდაყირა დაყენებული მატერიალიზმი (ენგელსის მიხედვით[10] — ე. ი. მე უმეტესწილად ვაძევებ ღმერთს, აბსოლუტს, წმინდა იდეას etc.

ვ. ი. ლენინი. კონსპექტი ფოიერბახის წიგნისა. „მოძღვრება ყოფიერებაზე“. თხზ., ტ. 38. გვ. 96.

ჰეგელი არსებითად სავსებით მართალია კანტის წინააღმდეგ. აზროვნება, კონკრეტულიდან აბსტრაქტულზე ასვლისას, არ შორდება,—თუ იგი სწორია (NB) (კანტი კი, როგორც ყველა ფილოსოფოსი, ლაპარაკობს სწორ აზროვნებაზე) — ჰეშმარიტებას, არამედ მასთან მიდის. აბსტრაქცია მატერიისა, ბუნების კანონისა, აბსტრაქცია ღირებულებისა და სხვ., ერთი სიტყვით ყველა მეცნიერული (სწორი, სერიოზული, არა უაზრო) აბსტრაქცია ბუნებას ასახავს უფრო ღრმად, უფრო სწორად, უფრო სრულად. ცოცხალი განჭვრეტიდან აბსტრაქტულ აზროვნება-

ზე და მისგან პრაქტიკაზე — ასეთია ჰეშმარიტების შემეცნების, ობიექტური რეალობის შემეცნების დიალექტიკური გზა. კანტი ამცირებს ცოდნას, რათა სარწმუნოებას გზა გაუწმინდოს: ჰეგელი ამაღლებს ცოდნას, ირწმუნება რა, ცოდნა ღმერთის ცოდნა არისო. მატერიალისტი ამაღლებს მატერიის, ბუნების ცოდნას, აგზავნის რა ღმერთსა და მის დამცველ ფილოსოფიურ არამზადებს სანარცხე ორმოში.

კანტს აქვს „ფსიქოლოგიური იდეალიზმი“ (22) [22] კანტისათვის კატეგორიები „არიან მ ხ ო ლ ო დ თვითცნობიერებიდან გამომდინარე განსაზღვრანი. (22) [20] ადის რა განსჯიდან (Verstand) გონებამდე (Vernunft), კანტი ამცირებს აზროვნების მნიშვნელობას, უარყოფს რა მის უნარს „მიაღწიოს დასრულებულ ჭეშმარიტებას“. (23) [20]

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი „კონსპექტი „ლოგიკის მეცნიერება“. მოძღვრება ცნებაზე. თხზ. ტ. 38, გვ. 167—168.

ღმერთები ადამიანის ხატად

ქსენოფანე (ელეატი) ამბობდა:

„ხარებსა და ლომებს რომ ხელები ჰქონდეთ, რათა მათ, ადამიანების მსგავსად, ხელონების ნაწარმოებნი შექმნან, მაშინ ისინიც დაიწყებენ აგრეთვე ღმერთების გამოხატვას და მათ სხეულთა ისეთ ფორმებს მისცემდნენ, როგორიც თვითონ გააჩნიათ“... (289—290) [218]

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. კონსპექტი ჰეგელის წიგნისა. „ლექციები ფილოსობაზე. თხზ., ტ. 38. გვ. 167—168.

ღმერთი ეცოდებათ!! იდეალისტური არამზადა!!

„ეპიკურეს არა აქვს... სამყაროს საბოლოო მიზანი, შემოქმედის სიბრძნე. არ არის არაფერი, გარდა შემთხვევებისა, რომლებიც განისაზღვრება ატომების შეხამებათა შემთხვევით (??) გარეგანი (??) შეჯახებით“... (491) [374]

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. კონსპექტი ჰეგელის წიგნისა. „ლექციები ფილოსოფიის ისტორიაში“. თხ., ტ. 38, გვ. 300.

იდეალიზმი და მისტიკა ჰეგელთან და პლატონთან	დაწვრილებით აბრტყელებს ჰეგელი პლატონის „ნატურფილოსოფიას“, იდეათა არქისულელურ მისტიკას, იმის მსგავსად, რომ „გრძნობადი ნივთების არსება სამკუთხედებია“ (265) [197]. და მისთ. მისტიკური სისულელე, ეს მეტად დამახასიათებელია! მისტიკოსი = იდეალისტ-სპირიტუალისტი ჰეგელი (ისევე როგორც ჩვენი დროის მთელი კაზიონური, ხუცურ-იდეალისტური ფილოსოფია) აქებ-ადიდებს და ღეჭავს მისტიკას — იდეალიზმს ფილოსოფიის ისტორიაში, უგულვებელყოფს და დაუდევრად აბუჩად იგდებს რა მატერიალიზმს. შეად. ჰეგელი დემოკრიტეს შესახებ — nil!! პლატონის შესახებ უამრავი მისტიკური დონდლო.

ი. ლ ე ნ ი ნ ი. კონსპექტი ჰეგელის წიგნისა. „ლექციები ფილოსოფიის ისტორიაში“. თხზ., ტ. 38. გვ. 286.

მეტად დამახასიათებელია საკითხის გულახდილი დაყენება შესავალში: უახლესი ფილოსოფიის ამოცანაა „შეარიგოს რელიგიური მსოფლმხედველობა და მეცნიერული ახსნა ბუნებისა“ (გვ. IV[1:9][V] Sic! და ეს იდეა განვითარებულია მეტად საფუძვლიანად: ბრძოლა ორ ფრონტზეაო — მატერიალიზმთან და „იეზუიტიზმთან“ (კათოლიკურთანაც და პროტენსტანტულთანაც). მატერიალიზმი, რა თქმა უნდა. გაგებულია (გასაღებულია?) როგორც rein mechanisch, physikalisch u. s. w.[21]

ავტორი პირდაპირ ლაპარაკობს აგრეთვე, რომ უახლესი ფილოსოფია ემყარება კანტს და „იდეალისტური მონიზმის“ წარმომადგენელია.

10 [10] გვერდამდე ...„მშვიდობა ცოდნასა და სარწმუნოებას შორის“...

და გვ. 11 [11] „კანტის ფილოსოფიის ცენტრალური პუნქტი“ (შექმნას ეს მშვიდობა), „საკუთრივ ისაა, რომ... ჯეროვანი მიუზღას ერთსაც და მეორესაც: ცოდნას იუმის სკეპტიციზმის წინააღმდეგ, სარწმუნოებას კი მატერიალიზმში მისი დოგმატური უარყოფის წინააღმდეგ — აი მისი მუშაობის შედეგი“. (12) [11]

---

19 *Paulsen, Fr.* Einleitung in die Philosophie. Berlin. 1899. რ ე დ.

20 Паульсен, Фр.; Введение в философию. М. 1899. რ ე დ.

21 — წმინდა მექანიკური, ფიზიკური და ა. შ. რ ე დ.

„მხოლოდ ერთ გარემოებას შეუძლია შეაკრთოს იმედებით“ (ამ მ შ ვ ი დ ო ბ ი ს იმედით) „აღსავსე მოლოდინი: ესაა რელიგიისადმი აბსოლუტურად მტრული რადიკალიზმი, რომელიც ამჟამად მოსახლეობის ფართო მასებში ვრცელდება... ასე, ათეიზმი ახლა არის“ (როგორც უწინ ბურჟუაზიისათვის იყო) „სოციალ-დემოკრატიის დოგმატი“ გვ. 14—15 [14] „ეს არის კატეხიზმო პირშებრუნებით. და როგორც ძველი დოგმატიკა, ისე ეს ახალიც, უარყოფითი დოგმატიკაა, მეცნიერების მიმართ მტრული, რამდენადაც იგი თავის დოგმებში ხუნდებს ადებს კრიტიკისა და ეჭვის სულს“. (მოგვაგონებს სახელწოდებას Antipfaffen[22] და გვარწმუნებს, რომ ქრისტიანობა მოკლებულია მდიდრებისადმი მიკერძოებას, რომ იგი, ქრისტიანობა, იმ ბრძოლასაც განიცდის, რომლისკენაც ევროპა მიიმართება). ?

უარყოფს რა მატერიალიზმს და იცავს რა Allbeseelung-ის[23] თეორიას (რომელსაც იგი ი დ ე ა ლ ი ს ტ უ რ ი აზრით განმარტავს), პაულსენი უგულვებელყოფს 1) რომ იგი უარყოფს არა მატერიალიზმს, არამედ ზ ო გ ი ე რ თ ი მატერიალისტის მხოლოდ ზ ო გ ი ე რ თ საბუთს; 2) იგი თავის თავს ე წ ი ნ ა ა ღ მ დ ე გ ე ბ ა, როცა თანამედროვე ფსიქოლოგიას იდეალისტური აზრით განმარტავს.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. ფ. პაულსენი. „შესავალი ფილოსოფიაში“. თხზ., ტ. 38. გვ. 40—41.

სიტყვების — ღ მ ე რ თ ე ბ ი და ბ უ ნ ე ბ ა — ხმარების მაგალითები კლასიკოსებიდან უმნიშვნელოა. (398—399) [835—836].

გვ 402—411 [838—847] **ს ა უ ც ხ ო ო, ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი** (და იმავე დროს მარტივი და ნათელი) ახსნაა რელიგიის დედაარსისა.

NB „რელიგიის საიდუმლოება, ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ იმის საიდუმლოებაა, რომ ერთსა და იმავე არსებაში ხდება შეხამება ცნობიერებისა არაცნობიერთან, ნებისა არანებისმიერთან“. (402)[839]

NB მე და არა-მე განუყრელად არიან დაკავშირებული ადამიანში. „ადამიანს არ ესმის და ვერ აუტანია საკუთარი სიღრმე და ამიტომ თავის არსებას თიშავს „მე“-ზე „არა-მე“-ს გარეშე, რომელსაც იგი უწოდებს ღმერთს, და „არა-მე“-ზე „მე“-ს გარეშე, რომელსაც იგი უწოდებს ბუნებას“. (406) [842]

[22] — ანტიხუცესები. რ ე დ.

[23] — საყოველთაო გასულიერების. რ ე დ.

გვ. 408 [844] ჩინებული ციტატია სენეკადან (ათეისტების წინააღმდეგ), რომ ისინი ბუნებას ღმერთად ხდიანო, ილოცე!—იმუშავე!? გვ. 411 [846],

ბუნება არის ღმერთი რელიგიაში, მაგრამ ბუნება როგორც Gedankenwesen.[24] **„რელიგიის საიდუმლოება არის „სუბიექტურისა და ობიექტურის იგივეობა“**, ე. ი. ერთიანობა ადამიანური და ბუნებრივი არსებისა, მაგრამ ამასთან ეს არსება განსხვავებულია ბუნებისა და კაცობრიობის ნამდვილი არსებისაგან“. (411) [847]

NB

„უძიროა ადამიანური უვიცობა. და უსაზღვროა ადამიანური ძალა წარმოსახვისა; ბუნების ძალა, რომელიც უვიცობის გამო მოკლებულია თავის საფუძველს, ხოლო ფანტაზიის შემწეობით — თავის საზღვრებს, არის ღვთაებრივი ყოვლადშემძლეობა“. (414) [849]

Sehr gut![25]

...„ობიექტური არსება როგორც სუბიექტური, ბუნების არსება როგორც ბუნებისაგან განსხვავებული, როგორც ადამიანური არსება, ადამიანის არსება როგორც ადამიანისაგან განსხვავებული, როგორც არაადამიანური არსება,—აი რა არის ღვთაებრივი არსება, აი რა არის რელიგიის არსება, აი რა არის მისტიკისა და სპეკულაციის საიდუმლოება“... (415) [850]

Sehr gut!

შესანიშნავი ადგილია!

სპეკულაცია ფოიერბახთან = იდეალისტური ფილოსოფია NB.

„ადამიანი გამოყოფს აზროვნებაში ზედსართავს არსებითი სახელისაგან, თვისებას არსებისაგან... და მეტაფიზიკური ღმერთი სხვა არაფერია, თუ არა მოკლე ნუსხა ანუ ერთობლიობა ბუნებიდან მიღებული ყველაზე ზოგადი თვისებებისა, მაგრამ ერთობლიობა, რომელსაც ადამიანი წარმოსახვის ძალის მეშვეობით, გრძნობადი არსებისაგან, ბუნების მატერიისაგან სწორედ ასეთი გამოყოფით კვლავ გადააქცევს დამოუკიდებელ სუბიექტად ან არსებად“. (417) [852]

NB
ღრმად
სწორია!
NB

---

[24] — აზრითი არსება. რ ე დ.

[25] — ძალიან კარგია! რ ე დ.

ამავე როლს ასრულებს ლ ო გ ი კ ა ((418) [852—853] —აშკარაა იგულისხმება ჰეგელი) — რომელიც d a s Sein-ს, d a s Wesen-ს[26] განსაკუთრებულ რეალობად აქცევს — „რა უგუნურებაა იმის სურვილი, რომ გადავაქციოთ მეტაფიზიკური არსებობა ფიზიკურ, სუბიექტური არსებობა — ობიექტურ, ლოგიკური თუ აბსტრაქტული არსებობა — კვლავ არალოგიკურ, ნამდვილ არსებობად!“ (418) [853]

...„„მაშასადამე, არსებობს მარადიული განხეთქილება და წინააღმდეგობა ყოფიერებასა და აზროვნებას შორის?“ დიახ, მხოლოდ თავში; სინამდვილეში კი ეს წინააღმდეგობა უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილია, მხოლოდ, რასაკვირველია, სინამდვილისა და არა შენი სკოლური წარმოდგენების შესაბამისი წესით. სახელდობრ — გადაწყვეტილია ხუთი გრძნობის და არა ნაკლების მეშვეობით“ (418) [853]

შესანიშნავია (ჰეგელისა და იდეალიზმის წინააღმდეგ)

მშვენივრად არის ნათქვამი!

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. კონსპექტი ფოიერბახის წიგნისა. „ლექციები რელიგიის არსების შესახებ“. თხზ ტ. 38. გვ. 71—73.

ბუნებისმეტყველების პროგრესი და ფილოსოფიური იდეალიზმი

რეაქციულ ზრახვებს თვით მეცნიერების პროგრესი იწვევს. ბუნებისმეტყველების დიდი წარმატება, მიახლოება მატერიის ისეთ ერთგვაროვან და მარტივ ელემენტებთან, რომელთა მოძრაობის კანონები შესაძლებლად ხდის მათემატიკურ დამუშავებას, იწვევს მატერიის დავიწყებას მათემატიკოსების მიერ. „მატერია ჰქრება“, რჩებიან მხოლოდ განტოლებანი. განვითარების ახალ საფეხურზე და, ვითომდა, ახლებურად, ძველ კანტიანურ იდეას ვღებულობთ: გონება კანონებს უკარნახებს ბუნებას. ჰერმან კოჰენი, რომელიც როგორც დავინახეთ, აღტაცებულია ახალი ფიზიკის იდეალისტური სულით, იქამდე მიდის, რომ ჰქადაგებს უმაღლესი მათემატიკის შემოღებას სკოლებში,—რათა გიმნაზიელებს ჩაენერგოს იდეალიზმის სულისკვეთება, განდევნილი ჩვენი მატერიალისტური ეპოქის მიერ (Geschichte des Materialismus von A. Lange, 5. Aufl., 1896, Bd. II, S. XLIX*). რა თქმა უნდა, ესაა რეაქციონერის უაზრო ოცნება და ნამდვილად აქ

[26] — ყოფიერება, არსება. — რ ე დ.

არაფერია, და არც შეიძლება იყოს. გარდა იდეალიზმით წუთიერი გატაცებისა სპეციალისტთა მცირე ნაწილის მხრივ. მაგრამ დიდად დამახასიათებელია, როგორ ეჭიდება წყალწაღებული ხავსს, როგორი ნატიფი საშუალებებით ცდილობენ განათლებული ბურჟუაზიის წარმომადგენლები ხელოვნურად შეინარჩუნონ ან იპოვონ ადგილი ფიდეიზმისთვის, რომელსაც ხალხის დაბალ ფენებში იწვევს უმეცრება, სიბეჩავე და კაპიტალისტურ წინააღმდეგობათა უაზრო სიველურე.

ვ. ი. ლენინი. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". თხზ., ტ. 14. გვ. 391—392.

ი. დიცგენს ოდნავ ეშვიც კი არ ეპარებოდა იმაში, რომ იდეალისტური ფილოსოფიის „მეცნიერული ხუცური იდეები" უბრალო შესავალია პირდაპირი ხუცობისა. «მეცნიერული ხუცური იდეები, — წერდა იგი, — სერიოზულად ცდილობს დახმარება გაუწიოს რელიგიურ ხუცობას» (1. c., 51). „განსაკუთრებით შემეცნების თეორიის სფერო, ადამიანის სულის გაუგებლობა, ისეთ ტილიან ორმოს" (Lausgrube) წარმოადგენს, სადაც „კვერცხებს სდებს" მეცნიერული და რელიგიური ხუცობა. „დიპლომიანი ლაქიები, რომლებიც სიტყვებს წარმოთქვამენ „იდეალურ სიკეთეებზე! და ხალხს ნაწვალები (geschraubter) იდეალიზმით ასულელებენ" (53), — აი რას წარმოადგენენ ფილოსოფიის პროფესორები ი. დიცგენის აზრით. „როგორც ღმერთის ანტიპოდი ეშმაკია, ისე პროფესორ ხუცის (Kathederpfaffen) ანტიპოდი — მატერიალისტია». მატერიალიზმის შემეცნების თეორია «უნივერსალური იარაღია რელიგიური რწმენის წინააღმდეგ» (55), — არა მარტო „ყველასათვის ცნობილი, ნამდვილი, ჩვეულებრივი ხუცური რელიგიის, არამედ შეზარხოშებული (benebelter) იდეალისტების განწმენდილი და ამაღლებული პროფესორული რელიგიის წინააღმდეგაც" (58).

თავისუფლადმოაზროვნე პროფესორების „ნახევრულობასთან" შედარებით დიცგენი მზად იყო „რელიგიური პატიოსნებისათვის" მიეცა უპირატესობა (60),—იქ „არის სისტემა", იქ არიან მთლიანი ადამიანები, რომელნიც არ თიშავენ თეორიას და პრაქტიკასო. ბატონ პროფესორებისათვის „ფილოსოფია მეცნიერება კი არ არის, არამედ სოციალ დემოკრატიისაგან თავდაცვის საშუალებაა" (107). „ისინი, ვინც თავიანთ თავს ფილოსოფოსებს, პროფესორებს და პრივატ-დოცენტებს უწოდებენ, ყველანი ასე თუ ისე ცრურწმენასა და მისტიკაში არიან ჩაფლული, თავისუფალი აზროვნების მიუხედავად... სოციალ-დემოკრატიის მიმართ ყველანი... ერთ რეაქციულ მასას წარმოადგენენ" (108) „თუ გვინდა სწორი გზით ვიაროთ, ისე, რომ არავითარმა რელიგიურმა და ფილოსოფიურმა აბდაუბდამ (Welsch) არ დაგვაბნიოს, უნდა შე-

ვისწავლოთ არასწორი გზების არასწორი გზა (der Holzweg der Holzwege) — ფილოსოფია" (103).

ახლა ფილოსოფიური პარტიების თვალსაზრისით შეხედეთ მახს, ავენარიუსსა და მათს სკოლას. ჰო, ამ ვაჟბატონებს თავიმოაქვთ თავიანთი უპარტიულობით, და თუ მათ ანტიპოდი ჰყავთ, მხოლოდ ერთი. მხოლოდ... მატერიალისტი. ყველა მახისტის ყველა ნაწერში წითელი ზოლივით ჩანს გონებაჩლუნგი პრეტენზია მატერიალიზმსა და იდეალიზმზე „მაღლა დადგომისა", ამ „მოძველებული" დაპირისპირების დაძლევისა, ნამდვილად კი მთელი ეს კომპანია ყოველ წუთს იდეალიზმში ვარდება, მუდმივ და შეუდრეკელ ბრძოლას აწარმოებს მატერიალიზმის წინააღმდეგ. რომელიმე ავენარიუსის გაქნილი გნოსეოლოგიური ოინები პროფესორულ ნათხზავად რჩება, „თავისი" პატარა ფილოსოფიური სექტის დაარსების ცდად, ხოლო ნამდვილად, თანამედროვე საზოგადოების იდეათა და მიმართულებათა ბრძოლის საერთო ვითარებაში, ამ გნოსეოლოგიური ოინების ობიექტური როლი ერთი და მხოლოდ ერთია: გზა გაუკაფოს იდეალიზმს და ფიდეიზმს. ერთგული სამსახური გაუწიოს მათ. მართლაც, შემთხვევითი მოვლენა ხომ არ არის, რომ ემპირიოკრიტიკოსების პატარა სკოლას ებღაუჭებიან ინგლისელი სპირიტუალისტებიც, როგორც, მაგ., უორდი, ფრანგი ნეოკრიტიცისტებიც, რომელნიც მახს აქებენ მატერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისთვის, და გერმანელი იმანენტებიც! ი. დიცგენის ფორმულა: «ფიდეიზმის დიპლომიანი ლაქიები" პირდაპირ გულში ხვდება მახს, ავენარიუსსა და მათს სკოლას[27].

---

[27] აი კიდევ იმის მაგალითი, თუ როგორ იყენებენ სინამდვილეში რეაქციული ბურჟუაზიული ფილოსოფიის ფართოდ გავრცელებული მიმდინარეობანი მახიზმს. უახლესი ამერიკული ფილოსოფიის „უკანასკნელ მოდას" წარმოადგენს „პრაგმატიზმი" (ბერძნულად pragma — საქმე, მოქმედება; მოქმედების ფილოსოფია). ფილოსოფიურ ჟურნალებში თითქმის ყველაზე მეტს სწერენ პრაგმატიზმზე. პრაგმატიზმი დასცინის როგორც მატერიალიზმის, ისე იდეალიზმის მეტაფიზიკას, აქებადიდებს ცდას და მხოლოდ ცდას, ერთადერთ კრიტერიუმად პრაქტიკას აღიარებს იმოწმებს პოზიტივისტურ მიმდინარეობას საზოგადოდ, ეყრდნობა სპეციალურად ოსტვალდს, მახს, პირსონს, პუანკარეს, დიუჰემს და ამბობს, რომ მეცნიერება არ არის „რეალობის აბსოლუტური ასლი", და... სრულიად არხეინად ყოველივე ამიდან ღმერთი გამოჰყავს პრაქტიკული მიზნებისთვის, მხოლოდ პრაქტიკისთვის, ყოველი მეტაფიზიკის გარეშე, ცდის საზღვრების სრულიად გადაულახავად (შეად. William James. „Pragmatism. A new name for some old ways. of thinking", N. Y. and L., 1907, p. 57 და განს. 106). (შეად. ვილიამ ჯემსი. „პრაგმატიზმი. ახალი სახელწოდება აზროვნების ზოგიერთი ძველი გზისთვის", ნიუ-იორკი და ლონდონი, 1907, გვ. 57 და განს. 106, რედ.). განსხვავება მახიზმსა და პრაგმატიზმს შორის მატერიალიზმის თვალსაზრისით ისევე უმნი-

იმ რუსი მახისტების უბედურება, რომელთაც იფიქრეს მახიზმს და მარქსიზმს «ვარიგებთო», სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ენდნენ ფილოსოფიის ურეაქციონერეს პროფესორებს და ამ-თ თავდალმართში დაქანდნენ. მარქსის შემდგომი განვითარებისა და შევსების სხვადასხვა ცდის შეთხზვის ხერხი მეტად მარტივი იყო წაიკითხავენ ოსტვალდს, დაუჯერებენ ოსტვალდს, მოგვითხრობენ ოსტვალდს და ამას მარქსიზმს უწოდებენ. წაიკითხავენ მახს, დაუჯერებენ მახს, მოგვითხრობენ მახს და ამასაც მარქსიზმს უწოდებენ. წაიკითხავენ პუანკარეს, დაუჯერებენ პუანკარეს, მოგვითხრობენ პუანკერეს, ამასაც მარქსიზმს უწოდებენ! არ ერთ ამ პროფესორს, რომლებსაც შეუძლიათ მეტად საგულისხმო ნაშრომები მოგვცენ ქიმიის, ისტორიის, ფიზიკის სპეციალურ დარგებში, ერთი სიტყვაც არ დაეჯერება. რაკი ლაპარაკი ფილოსოფიაზე ჩამოვარდება. რატომ? იმავე მიზეზით, რომლის გამო პოლიტიკური ეკონომიის არცერთ პროფესორს, რომელსაც შეუძლია უაღრესად საგულისხმო ნაშრომი მოგვეცეს ფაქტიური, სპეციალური გამოკვლევის დარგში, არც ერთი სიტყვაც არ დაეჯერება, როცა ლაპარაკი პოლიტიკური ეკონომიის ზოგად თეორიაზე ჩამოვარდება. ვინაიდან პოლიტიკური ეკონომიაც ისეთივე პარტიული მეცნიერებაა თანამედროვე საზოგადოებაში, როგორც გნოსეოლოგია. საერთოდ და მთლიანად პროფესორი-ეკონომისტები კაპიტალისტების კლასის სწავლული ნოქრები, ხოლო ფილოსოფიის პროფესორები — თეოლოგების სწავლული ნოქრები არიან და მეტი არაფერი, — ბეჭედიღა აკლია!

მარქსისტების ამოცანა აქაც და იქაც იმაში მდგომარეობს, რომ მათ უნდა შესძლონ ამ «ნოქრების» მონაპოვართა შეთვისება და გადამუშავება (მაგ., თქვენ ნაბიჯსაც ვერ გადადგამთ ახალი ეკონომიკური მოვლენების შესწავლის სფეროში, თუ ამ ნოქრების შრომები არ გამოიყენეთ), — ამავე დროს უნდა შესძლონ მათი რეაქციული ტენდენციის მოკვეთა, შესძლონ თავიანთი ხაზის გატარება და ბრძოლა მტრული ძალებისა და კლასების მთელ ხაზთან. აი სწორედ ეს ვერ შესძლეს ჩვენმა მახისტებმა, რომელნიც მონურად მისდევენ რეაქციულ პროფესორულ ფილოსოფიას. «შეიძლება, ჩვენ ვცდებით. მაგრამ ვეძებთ». — წერდა «ნარკვევების» ავტორების სახელით ლუნაჩარსკი. — თქვენ კი არ ეძებთ, არამედ თქვენ გეძებენ, აი რაშია უბედურება! თქვენ როდი მიდიხართ

შვნელო და მეათეხარისხოვანია, როგორც ემპირიოკრიტიციზმსა და ემპირიომონიზმს შორის. შეადარეთ თუნდ ბოგდანოვისეული და პრაგმატისტული განსაზღვრა პეშმარიტებისა: „პეშმარიტება პრაგმატიკოსისათვის გვაროვნული ცნებაა ყოველგვარი კანსაზღვრული სამუშაო ღირებულებისათვის (working-values, ცდებში" (ib., p. 68).

თქვენი, ე. ი. მარქსისტული (ვინაიდან თქვენ გსურთ მარქსისტები იყოთ), თვალსაზრისით ბურჟუაზიულ-ფილოსოფიური მოდის ყოველ ცვალებადობასთან, არამედ თქვენთან მოდის ეს მოდა, თქვენ გახვევს თავს იგი თავის ახალ იდეალისტურ სითაღლითეს, დღეს ოსტვალდის, ხვალ მახის, ზეგ პუანკარეს მიხედვით. ის უგუნური «თეორიული» ოინები («ენერგეტიკა», «ელემენტები», «ინტროექცია» და სხვ.), რომელთაც თქვენ გულუბრყვილოთ უჯერებთ, ვიწრო, პაწაწკინტელა სკოლის ფარგლებში რჩება, ხოლო ამ ოინების იდეურ და საზოგადოებრივ ტენდენციას ერთბაშად ითვისებენ უორდები, ნეოკრიტიციისტები, იმანენტები, ლოპატინები, პრაგმატისტები და ის თავის საქმეს აკეთებს. გატაცება ემპირიოკრიტიციზმით და «ფიზიკური» იდეალიზმით ისევე ჩქარა ჰქრება, როგორც გატაცება ნეოკანტიანობით და „ფიზიოლოგიური" იდეალიზმით, ფიდეიზმი კი ყოველი ასეთი გატაცებიდან ნადავლს ღებულობს და ათასნაირად ცვლის თავის ოინებს ფილოსოფიური იდეალიზმის სასარგებლოდ.

დამოკიდებულება რელიგიისადმი და დამოკიდებულება ბუნებისმეტყველებისადმი საუცხოოდ ასურათებს ბურჟუაზიული რეაქციის მიერ ემპირიოკრიტიციზმის ამ ნამდვილ კლასობრივ გამოყენებას.

აიღეთ პირველი საკითხი. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს შემთხვევითი მოვლენაა, როცა მარქსისზმის ფილოსოფიის წინააღმდეგ მიმართულ კოლექტიურ შრომაში ლუნაჩარსკი იქამდე მივიდა, რომ ლაპარაკობს „უმაღლესი ადამიანური პოტენციების გაღმერთებაზე", „რელიგიურ ათეიზმზე"[28] და სხვ.? თუ თქვენ ასე ფიქრობთ, მხოლოდ იმის გამო, რომ რუსმა მახისტებმა არასწორად გააცნეს საზოგადოებას ევროპის მთელი მახისტური მიმდინარეობა და მისი დამოკიდებულება რელიგიისადმი, არათუ ეს დამოკიდებულება სრულიად არა ჰგავს მარქსის, ენგელსისა და დიცგენის, თვით ფოიერბახის დამოკიდებულებას რელიგიისადმი, არამედ პირდაპირ საწინააღმდეგო, დაწყებული პეცოლდტის განცხადებით: ემპირიოკრიტიციზმი „არ ეწინააღმდეგება არც თეიზმს, არც ათეიზმს" („Einf. i. d. Philosophie der reinen Erfahrung"[29], 351) ან მახისა — „რელიგიური შეხედულებანი კერძო საქმეა" (ფრანგ. თარგ., p. 434) და გათავებული კორნელიუსის, რომელიც მახს აქებს და რომელსაც მახი აქებს,

---

[28] „ნარკვევები", გვ. 157, 159. „ზაკრანიჩნაია გაზეტაში"[76] იგივე ავტორი ლაპარაკობს „მეცნიერულ სოციალიზმზე მისი რელიგიური მნიშვნელობით» (№ 3, გვ. 5), ხოლო „ობრაზოვანიეში"[77], 1908, № 1, გვ. 164, ის პირდაპირ წერს: „ჩემში დიდი ხანია ახალი რელიგია მწიფდება"..

[29] — „Einführung in die Philosophie der reinen Erfahrung" —„შესავალი წმინდა ცდის ფილოსოფიისა". რ ე.დ.

კარუსის და ყველა იმანენტის პირდაპირი ფიდეიზმით, პირდაპირი შავრაზმელობით. ფილოსოფოსის ნეიტრალობა ამ საკითხში უკვე ლაქიობაა ფიდეიზმის წინაშე, მახი და ავენარიუსი კი, მათი გნოსეოლოგიის გამოსავალი წერტილების გამო, ნეიტრალობაზე მაღლა ვერ ადიან და ვერც ავლენ.

რაკი თქვენ უარყოფთ ობიექტურ რეალობას, რომელიც შეგრძნებაში გვაქვს მოცემული, ყოველივე იარაღი დაჰკარგეთ ფიდეიზმის წინააღმდეგ, ვინაიდან უკვე დაქანდით აგნოსტიციზმისა ან სუბიექტივიზმისკენ, ფიდეიზმს კი მხოლოდ ეს უნდა. თუ გრძნობადი სამყარო ობიექტური რეალობაა, — ყოველი სხვა „რეალობისა“ ან კვაზი-რეალობისთვის (გაიხსენეთ, რომ ბაზაროვმა დაუჯერა იმანენტების „რეალიზმს“, რომელთაც ღმერთი „რეალურ ცნებად გამოაცხადეს“) კარი დახშულია. თუ სამყარო მოძრავი მატერიაა, — იგი შეიძლება დაუსრულებლივ შევისწავლოთ და უნდა შევისწავლოთ კიდეც ამ მოძრაობის, ამ მატერიის მოძრაობის დაუსრულებლად რთულ და დეტალურ გამოვლენებსა და განშტოებებში, მაგრამ მის გარეშე, „ფიზიკური ვარეგანი სამყაროს გარეშე, რომელიც ყველასთვის და თვითეულისთვის ცნობილია, არაფერი არ შეიძლება არსებობდეს. ცივილიზებულ და დემოკრატიულ ევროპაში დღის წესრიგში დგას მტრობა მატერიალიზმისადმი, ცილისწამებათა ნიაღვარი მატერიალისტების წინააღმდეგ. ყოველივე ეს დღემდე გრძელდება. ყოველივ ამას საზოგადოებას უმალ ავენ რუსი მახისტები, რომელნიც ერთხელაც არ ცდილან უბრალოდ მაინც დაეპირისპირებინათ მახის, ავენარიუსის, პეცოლდტის და კომპ. გამოსვლები მატერიალიზმის წინააღმდეგ ფოიერბახის, მარქსის, ენგელსის და ი. დიცგენის განცხადებებისთვის მატერიალიზმის სასარგებლოდ.

მაგრამ ფიდეიზმისადმი მახის და ავენარიუსის დამოკიდებულების „დამალვა“ საქმეს ვერაფერს უშველის. ფაქტები თავისთავად ღაღადებენ. ვერავითარი ძალა დედამიწის ზურგზე ვერ მოგლეჯს ამ რეაქციონერ პროფესორებს იმ სამარცხვინო ბოძს, რომელზედაც ისინი უორდის, ნეოკრიტიცისტების, შუპეს, შუპერტ-ზოლდერნის, ლეკლერის, პრაგმატისტების და სხვ. ამბორმა მიაკრა. და ამ ახლა დასახელებულ პირთა გავლენა, როგორც ფილოსოფოსების და პროფესორებისა, მათი იდეების გავრცელება „განათლებულ“, ე. ი. ბურჟუაზიულ, საზოგადოებაში, მათ მიერ შექმნილი სპეციალური ლიტერატურა ათწილ უფრო ფართო და მდიდარია, ვიდრე პაწია სპეციალური სკოლა მახისა და ავენარიუსისა. ეს სკოლა ვისაც გინდა იმას ემსახურება. ამ სკოლას სათანადოდ იყენებენ.

ვ. ი. ლენინი. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. თხზ., ტ. 14. გვ. 434—435.

შეგნებული რომ გახდნენ, მუშები უნდა დაეწაფონ ი. დიცგენის ნაწარმოებთა კითხვას, მაგრამ ერთი წუთითაც არ უნდა დაივიწყონ რომ ის მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას ყოველთვის სწორად როდი გადმოსცემს, რომ ფილოსოფიის შესწავლა მხოლოდ მარქსისა და ენგელსის წარმატებებით შეიძლება.

ი. დიცგენი წერდა ისეთ ეპოქაში, როცა გამარტივებულ გაუხამსებელი მატერიალიზმი ყველაზე ფართოდ იყო გავრცელებული. ამიტომ ი. დიცგენი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა მატერიალიზმის ისტორიულ ცვლილებებს, მატერიალიზმის დიალექტიკურ ხასიათს, ე. ი. იმის საჭიროებას, რომ იდგე განვითარების თვალსაზრისზე, გესმოდეს ადამიანის ყოველი შემეცნების შეფარდებულობა, გესმოდეს სამყაროს ყოველგვარი მოვლენის ყოველმხრივი ურთიერთკავშირი და ურთიერთდამოკიდებულება, მიიყვანო საბუნებისმეტყველო მატერიალიზმი ისტორიაზე მატერიალისტური შეხედულების გამომუშავებამდე.

ი. დიცგენი დაჟინებით იცავს ადამიანის შემეცნების შეფარდებულობას, რის გამო ხშირად იბნევა, უმართებულოდ უთმობს იდეალიზმსა და აგნოსტიციზმს. იდეალიზმი ფილოსოფიაში ეს არის მეტნაკლები ყალთაბანდური დაცვა ხუცობისა — მოძღვრებისა, რომელიც რწმენას მეცნიერებაზე მაღლა აყენებს ან მეცნიერების გვერდით აყენებს, ანდა საერთოდ ადგილს უთმობს რწმენას. აგნოსტიციზმი (ბერძნული სიტყვებიდან „ა" — არა და „გნოსის" — ცოდნა) ეს არის მერყეობა მატერიალიზმსა და იდეალიზმს შუა, ე. ი. პრაქტიკულად—მერყეობა მატერიალისტურ მეცნიერებასა და ხუცობას შუა. აგნოსტიკოსებს მიეკუთვნებიან კანტის მომხრეები (კანტიანელები), ჰიუმის მომხრეები (პოზიტივისტები, რეალისტები და სხვ.) და თანამედროვე «მახისტები». ამიტომაც ცდილობდნენ ბურჟუაზიის ზოგიერთი უაღრესად რეაქციული ფილოსოფოსები, აშკარა ბნელეთის მოციქულები და ხუცობის პირდაპირი დამცველები, „გამოეყენებინათ" ი. დიცგენის შეცდომები.

მაგრამ, საერთოდ და მთლიანად, ი. დიცგენი მატერიალისტია. დიცგენი მტერია ხუცობისა და აგნოსტიციზმისა. „წინანდელ მატერიალისტებთანო — წერდა ი. დიცგენი — საერთოდ მხოლოდ ისა გვაქვს, რომ მატერია აღვიარეთ იდეის წანამძღვრად ანუ პირველსაფუძვლად". ეს „მხოლოდ" არის სწორედ ფილოსოფიური მატერიალიზმის არსი.

„შემეცნების მატერიალისტური თეორია — წერდა ი. დიცგენი — აღიარებაა იმისა, რომ ადამიანის შემეცნების ორგანო რაიმე მეტაფიზიკურ სინათლეს კი არ გამოჰყოფს, არამედ ეს არის ბუნების ნაწილი, რომელიც ასახავს ბუნების სხვა ნაწილებს". ეს არის სწორედ მარად მოძრავი და ცვალებადი მატერიის ადამიანის შემეცნებაში ასახვის

მატერიალისტური თეორია, — რომელიც მთელი ოფიციალური, პროფესორული ფილოსოფიის სიძულვილსა და ძრწოლას, ცილისწამებასა და გაყალბებას იწვევს. და ნამდვილი რევოლუციონერის რა ღრმა გზნებით ამათრახებდა და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა ი. დიცგენი „ხუცობის დიპლომიან ლაქიებს“ — პროფესორ-იდეალისტებს, რეალისტებსა და სხვ.! „ყველა პარტიიდან“ — სამართლიანად წერდა ი. დიცგენი ფილოსოფიური „პარტიების“, ე. ი. მატერიალიზმისა და იდეალიზმის შესახებ — „ყველაზე უმსგავსო შუათანა პარტიაარ“.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „ი. დიცგენის გარდაცვალების ოცდახუთი წლისთავის გამო“. თხზ., ტ. 19. გვ. 73—75.

შეუძლებელია ბერკლის სუბიექტური იდეალიზმი ისე გავიგოთ, თითქოს იგი უგულებელყოფდეს განსხვავებას ერთპიროვნულ და კოლექტიურ აღქმას შორის. პირიქით, იგი ცდილობს ამ განსხვავებაზე ააგოს რეალობის კრიტერიუმი. ბერკლის „იდეები“ გამოჰყავს ღვთაების ზემოქმედებიდან ადამიანის გონებაზე და ამრიგად იგი ობიექტურ იდეალიზმს უახლოვდება: სამყარო ჩემი წარმოდგენა კი არ ყოფილა, არამედ ერთი უზენაესი სულიერი მიზეზის შედეგი; ეს სულიერი მიზეზი ქმნის „ბუნების კანონებსაც“ და „უფრო რეალურ“ და ნაკლებ რეალურ იდეებს შორის განსხვავების კანონებსაც და სხვ.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“ თხზ., ტ. 14. გვ. 32—33.

ჩვენს წინაშე ჯამბაზის ჭრელ, მყვირალა, „უახლესი“ ტერმინოლოგიის ნაჭრებისგან შეკერილ ტანისამოსში დგას სუბიექტური იდეალისტი, რომლისთვისაც გარეგანი სამყარო, ბუნება, მისი კანონები. — ყოველივე ეს მხოლოდ ჩვენი შემეცნების სიმბოლოებია. მოცემულის ნაკადი მოკლებულია გონიერებას, წესრიგს, კანონზომიერებას: გონება იქ ჩვენს შემეცნებას შეაქვს. ზეციური სხეულები, მათ შორის დედამიწაც ადამიანის შემეცნების სიმბოლოებია. თუ ბუნებისმეტყველება გვასწავლის, რომ დედამიწა არსებობდა დიდი ხნით ადრე ადამიანის და ორგანული მატერიის გაჩენის შესაძლებლობამდე. ჩვენ ხომ ყოველივე ეს გადავაკეთეთ! პლანეტების მოძრაობის წესრიგი ჩ ვ ე ნ შემოვიტანეთ, ეს ჩვენი შემეცნების პროდუქტია. ბ-ნი იუშკევიჩი გრძნობს, რომ ასეთი ფილოსოფიის წყალობით ადამიანის გონება იქცევა ბუნების შემქმნელად, მის მამამთავრად, და გონების გვერდით აყენებს „ლ ო გ ო ს ს“, ე. ი. აბსტრაქტულ გონებას, უბრალო გონებას კი არა, არამედ ასომთავრულით დაწერილ გონებას, არა ადამიანის ტვინის ფუნქციას, არამედ რაღაც ყოველგვარი ტვინის გაჩენამდე

არსებულს, რაღაც ღვთაებრივს. „უახლესი პოზიტივიზმის“ უკანასკნელი სიტყვა ფიდეიზმის ის ძველი ფორმულაა, რომელსაც ჯერ კიდევ ფოიერბახი ამხელდა.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. თხზ., ტ. 14. გვ. 238—289.

საფრანგეთში იდეალისტური ფილოსოფია არა ნაკლებ გაბედულად ჩაეჭიდა მახისტური ფიზიკის მერყეობას. ჩვენ უკვე დავინახეთ, როგორ შეხვდნენ ნეოკრიტიცისტები მახის „მექანიკას“, მაშინვე აღნიშნეს რა მახის ფილოსოფიის საფუძველთა იდეალისტური ხასიათი. ფრანგმა მახისტმა პუანკარემ (ჰანრიმ) ამ მხრივ კიდევ მეტს მიაღწია. ურეაქციონერესი იდეალისტური ფილოსოფია აშკარა ფიდეისტური დასკვნებით ერთბაშად ჩაეჭიდა მის თეორიას. ამ ფილოსოფიის წარმომადგენელი ლერუა (Le Roy)ასე მსჯელობდა: მეცნიერების ჭეშმარიტებანი პირობითი ნიშნები, სიმბოლოებია; თქვენ უკუაგდეთ უაზრო „მეტაფიზიკური“ პრეტენზიები ობიექტური რეალობის შეცნობისა; იყავით ლოგიკურნი და დაგვეთანხმეთ, რომ მეცნიერებას მხოლოდ პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ადამიანის მოქმედებათა ერთი სფეროსთვის, ხოლო სარწმუნოებას ა რ ა ნ ა კ ლ ე ბ ი რ ე ა ლ უ რ ი მ ნ ი შ ვ ნ ე ლ ო ბ ა ა ქ ვ ს, ვიდრე მეცნიერებას, მოქმედებათა მეორე სფეროსთვის; „სიმბოლიურ“, მახისტურ მეცნიერებას უფლება არა აქვს თეოლოგია უარყოს. ჰ. პუანკარეს შერცხვა ამ დასკვნებისა და თავის წიგნში „მეცნიერების ღირებულება“ სპეციალურად თავს დაესხა მათ. მაგრამ დახეთ, რ ო გ ო რ ი გნოსეოლოგიური პოზიციის დაჭერა მოუხდა მას, რათა ლერუას ტიპის მოკავშირეებისაგან განთავისუფლებულიყო. „ბ-ნი ლერუა, — წერს პუანკარე, — გაუსწორებლად უილაჯოდ აცხადებს გონებას მხოლოდ იმისათვის, რომ მეტი ადგილი დაუთმოს შემეცნების სხვა წყაროებს, გულს, გრძნობას, ინსტინქტს, რწმენას“ (214—215). „მე არ მივდივარ ბოლომდე“: მეცნიერული კანონები პირობითი რამეები, სიმბოლოებია, მაგრამ „თუ მეცნიერულ „რეცეპტებს“ ღირებულება აქვთ, როგორც მოქმედების წესს, ეს იმიტომ, რომ საერთოდ და მთლიანად მათ, როგორც ვიცით, წარმატება აქვთ. ამის ცოდნა უკვე ზოგიერთი რამის ცოდნას ნიშნავს, ხოლო თუ ეს ასეა, — რა უფლება გაქვთ გვითხრათ, რომ არ შეგვიძლია რამე ვიცოდეთ?“ (219).

ჰ. პუანკარე პრაქტიკის კრიტერიუმს იმოწმებს. მაგრამ ამით იგი მხოლოდ ადგილს უნაცვლებს საკითხს და კი ვერ სჭრის მას, ვინაიდან ამ კრიტერიუმის ახსნა შეიძლება სუბიექტურადაც და ობიექტურადაც. ლერუაც ცნობს ამ კრიტერიუმს მეცნიერებისა და მრეწველობისათვის;

იგი მხოლოდ უარყოფს, რომ ეს კრიტერიუმი ობიექტურ ჭეშმარიტებას ამტკიცებდეს, ვინაიდან ასეთი უარყოფა მისთვის საკმაოა რელიგიის სუბიექტური ჭეშმარიტების აღიარებისათვის მეცნიერების სუბიექტური (ცაცობრიობის გარეშე არ არსებული) ჭეშმარიტების გვერდით. ჰ. პუანკარე ხედავს, რომ შეუძლებელია ლერუას წინააღმდეგ დავკმაყოფილდეთ პრაქტიკის დამოწმებით, და იგი მეცნიერების ობიექტურობის საკითხზე გადადის. „როგორია მეცნიერების ობიექტურობის კრიტერიუმი? იგივე, რაც არის კრიტერიუმი ჩვენი რწმენისა გარეგანი საგნებისადმი. ეს საგნები რეალურია, რამდენადაც ის შეგრძნებანი, რომელთაც ისინი ჩვენში იწვევენ (qu'ils nous font éprouver), ჩვენ ისე გვეჩვენებიან, თითქოს რაღაც ურღვევი დულაბით იყვნენ დაკავშირებული და არა ყოველდღიური შემთხვევით" (269—270).

შესაძლებელია, რომ ამ მსჯელობის ავტორი დიდი ფიზიკოსი იყოს, მაგრამ სრულიად უდავოა, რომ სერიოზულად მისი მიღება ფილოსოფოსად მხოლოდ ვოროშილოვ-იუშკევიჩებს შეუძლიათ. გამოაცხადეს, რომ მატერიალიზმი დარღვეულია „თეორიითო", რომელიც ფიდეიზმის პირველ შემოტევისთანავე მატერიალიზმს აფარებს თავს! ვინაიდან ეს წმინდა მატერიალიზმია, თუ თქვენ თვლით, რომ შეგრძნებებს ჩვენში რეალური საგნები იწვევს და რომ მეცნიერების ობიექტურობის „რწმენა" ისეთივეა, როგორც-გარეგანი საგნების ობიექტური არსებობის „რწმენა".

ვ. ი. ლენინი. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". თხზ., ტ. 14. გვ. 526—529.

კანტის და ჰიუმის ხაზის მომხრეები (უკანასკნელთა შორის მახი და ავენარიუსი, რამდენადაც ისინი წმინდა ბერკლიანელები არ არიან) ჩვენ, მატერიალისტებს, „მეტაფიზიკოსებს" გვიწოდებენ იმიტომ, რომ ჩვენ ვაღიარებთ ობიექტურ რეალობას, რომელიც ცდაში გვაქვს მოცემული, ვაღიარებთ ჩვენი შეგრძნებების ობიექტურ, ადამიანისაგან დამოუკიდებელ, წყაროს. ჩვენ, მატერიალისტები, ენგელსის ნიხედვით, კანტიანელებს და ჰიუმისტებს აგნოსტიკოსებს ვუწოდებთ იმიტომ, რომ ისინი უარყოფენ ობიექტურ რეალობას, როგორც ჩვენი შეგრძნებების წყაროს. აგნოსტიკოსი — ბერძნული სიტყვაა: a ბერძნულად ნიშნავს არას, ხოლო gnosis — ცოდნას. აგნოსტიკოსი ამბობს: არ ვიცი, არსებობს თუ არა ობიექტური რეალობა, რომელსაც ჩვენი შეგრძნებანი ასახავენ, გამოხატავენ; შეუძლებლად ვაცხადებ ამის ცოდნას (იხ. ზემოთ ენგელსის სიტყვები, სადაც აგნოსტიკოსის პოზიციაა გადმოცემული). აქედან გამომდინარეობს ობიექტური ჭეშმარიტების უარყოფა აგნოსტიკოსის მიერ და შემწყნარებლობა,

მეშჩანური, ფილისტერული, მხდალი შემწყნარებლობა მოძღვრებისა ქაჯების, ავი სულების, კათოლიკური წმინდანებისა და სხვა ამგვარი რამეების შესახებ. მახი და ავენარიუსი გაპრანჭულად გვაწვდიან „ახალ“ ტერმინოლოგიას, ვითომდა „ახალ“ თვალსაზრისს, ნამდვილად კი აგნოსტიკოსის პასუხს იმეორებენ, მხოლოდ უფრო დაბნეულად და ბუნდოვანად: ერთი მხრივ, სხეულები შეგრძნებათა კომპლექსებია (წმინდა სუბიექტივიზმი, წმინდა ბერკლიანობა); მეორე მხრივ, თუ შეგრძნებათ ელემენტების სახელით მოვნათლავთ, შეიძლება მათი არსებობა წარმოვიდგინოთ ჩვენი გრძნობათა ორგანოების დამოუკიდებლადო!

ვ. ი. ლენინი. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი“. თხზ., ტ. 14, გვ. 213—214.

„...ჩვენ ვცანით, რომ თვით ფიზიკური ბუნება უშუალო ხასიათის კომპლექსების (რომელთა რიცხვს უკუთვნის „ფსიქიკური“ კოორდინაციებიც) ნაწარმოებია (ხაზგასმა ბოგდანოვისაა), რომ იგი ამ კომპლექსების ასახვაა სხვა, ანალოგიური, მხოლოდ ურთულესი ტიპის კომპლექსებში (ცოცხალ არსებათა სოციალურად ორგანიზებულ ცდაში)“ (146).

ფილოსოფია, რომელიც გვასწავლის თვით ფიზიკური ბუნება წარმოებულიაო, — წმინდა წყლის ხუცობის ფილოსოფიაა. და მისი ასეთი ხასიათი სრულიადაც არ იცვლება იმ გარემოებით, რომ თვით ბოგდანოვი დაჟინებით უარყოფს ყოველგვარ სარწმუნოებას. დიურინგიც ათეისტი იყო; იგი წინადადებასაც კი იძლეოდა, რელიგია ავკრძალოთ ჩემს «სოციალიტარულ» წყობილებაშიო. ამისდა მიუხედავად ენგელსი სრულიად მართალი იყო, როცა ამტკიცებდა, დიურინგის „სისტემა“ საქმეს თავს ვერ ართმევს ურელიგიოდო. ასე ემართება ბოგდანოვსაც, მხლოდ იმ არსებითი განსხვავებით, რომ ზემოაღნიშნული ადგილი შემთხვევითი არათანამიმდევრობა კი არ არის, არამედ მისი „ემპირიომონიზმის“ და მთელი მისი „ჩასმის“ დედაარსს წარმოადგენს. თუ ბუნება წარმოებულია, თავისთავად გასაგებია, რომ იგი შეიძლება ისეთი რამის წარმოებული იყოს, რაც უფრო დიდი, მდიდარი, ფართო და ძალოვანია, ვიდრე ბუნება, ისეთი რამის, რაც არსებობს, ვინაიდან ბუნების «წარმოსაშობად» საჭიროა, რომ რაღაც ბუნების დამოუკიდებლად არსებობდეს. მაშასადამე, არსებობს რაღაც ბუნების გარეშე და, მასთან, ისე, რაც ბუნებას წარმოშობს. რუსულად ამას ღმერთი ჰქვია. იდეალისტი ფილოსოფოსები ყოველთვის ცდილობდნენ შეეცვალათ ეს უკანასკნელი სახელწოდება, უფრო აბსტრაქტული, ბუნდოვანი გაეხადათ იგი, იმავე დროს (უფრო დასაჯერებლად) „ფსიქიკურისთვის“ დაეახლოვებინათ იგი, როგორც „უშუალო კომპლე-

ქსისთვის", როგორც უშუალოდ მოცემულისთვის, რაც დამტკიცებას არ მოითხოვს. აბსოლუტური იდეა, უნივერსალური სული, მსოფლიო ნება, ფსიქიკურის „საყოველთაო ჩასმა" ფიზიკურის ნაცვლად, — ეს ერთი და იგივე იდეაა, მხოლოდ სხვადასხვა ფორმულირებით. ყოველმა ადამიანმა იცის, — ხოლო ბუნებისმეტყველება იკვლევს, — რომ იდეა, სული, ნება, ფსიქიკური, ადამიანის ნორმალურად მომუშავე ტვინის ფუნქცია; ამ ფუნქციის გამოთიშვა განსაზღვრულად ორგანიზებული ნივთიერებისაგან, მისი გადაქცევა უნივერსალურ, საყოველთო აბსტრაქციად, ამ აბსტრაქციის „ჩასმა" მთელი ფიზიკური ბუნების მაგივრად — ეს არის ფილოსოფიური იდეალიზმის ბოდვა, ბუნებისმეტყველების აბუჩად აგდება.

მატერიალიზმი ამბობს, „ცოცხალ არსებათა სოციალურად-ორგანიზებული ცდა" წარმოებულია ფიზიკური ბუნებისაგან, მისი ხანგრძლივი განვითარების შედეგია; ფიზიკური ბუნება კი ისეთი მდგომარეობიდან განვითარდა, როცა არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო არც სოციალობა, არც ორგანიზებულობა, არც ცდა და არც ცოცხალი არსებანი. იდეალიზმი ამბობს, ფიზიკური ბუნება წარმოებულია ცოცხალ არსებათა ცდისგანო. ამით იდეალიზმი ბუნებას უტოლებს (თუ არ უმორჩილებს) ღმერთს. ვინაიდან ღმერთი, უცილობლად, ცოცხალ არსებათა სოციალურად-ორგანიზებული ცდის წარმოებულია. როგორც უნდა ატრიალოთ ბოგდანოვის ფილოსოფია, იგი სრულიად არაფერს არ შეიცავს, გარდა რეაქციული არევ-დარევისა.

ბოგდანოვს ჰგონია, ცდის სოციალურ ორგანიზაციაზე ლაპარაკი „შემეცნებითი სოციალიზმია" (III წიგნი, XXXIV გვ.). ეს გიჟური ჩმახვაა. თუ სოციალიზმზე ასე ვიმსჯელეთ, გამოვა, რომ იეზუიტები — „შემეცნებითი სოციალიზმის" მხურვალე მომხრეები ყოფილან, ვინაიდან მათი გნოსეოლოგიის გამოსავალი წერტილი ღვთაებაა, როგორც „სოციალურად-ორგანიზებული ცდა". და უცილობელიცაა, რომ კათოლიციზმი სოციალურად-ორგანიზებული ცდაა; ოღონდ იგი გამოხატავს არა ობიექტურ ჭეშმარიტებას (რომელსაც ბოგდანოვი უარყოფს და რომელსაც მეცნიერება ასახავს), არამედ ხალხის სიბნელის ექსპლოატაციას გარკვეული საზოგადოებრივი კლასების მიერ.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ. „მატერიალიზმი და ემპირიოკრიტიციზმი". თხზ., ტ. 14. გვ. 408—410.

ახალი რელიგიის შექმნის ცდების მარქსისტული კრიტიკა

1. ლ. ფოიერბახის „სიყვარულის რელიგია“

ფოიერბახის ნამდვილი იდეალიზმი მის რელიგიის ფილოსოფიასა და ეთიკაში მჟღავნდება. ფოიერბახს რელიგიის გაუქმება როდი სურს. მას მხოლოდ მისი სრულქმნა უნდა. თვით ფილოსოფია უნდა შთაინთქას რელიგიაში. „კაცობრიობის პერიოდები მხოლოდ რელიგიური ცვლილებებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ესა თუ ის ისტორიული მოძრაობა მხოლოდ მაშინაა საფუძვლიანი, როცა იგი ადამიანის გულში იჭრება ხოლმე. გული რელიგიის ფორმა როდია, ასე რომ ვერ ვიტყვით — რელიგია გ უ ლ შ ი ა ც უნდა იყოსო; გული რელიგიის არსებაა»[1] (ციტატი მოყვანილი აქვს შტარკეს, გვ. 168) ფოიერბახის მიხედვით რელიგია არის გრძნობადი, გულისხმიერი დამოკიდებულება ადამიანსა და ადამიანს შორის, დღემდე ეს დამოკიდებულება ჭეშმარიტებას ეძებდა სინამდვილის ფანტასტიკურ ასახვაში ერთი ან მრავალი ღმერთის შემწეობით, რომელნიც თავიანთი მხრივ ადამიანურ თვისებათა ფანტასტიკურ ანარეკლს წარმოადგენენ; დღეს კი იგი პირდაპირ და უშუალოდ იხატება სიყვარულში „მე“-სა და „შენ“-ს შორის. ამრიგად, ფოიერბახისათვის ბოლოს და ბოლოს სქესობრივი სიყვარული მისი ახალი სარწმუნოების განხორციელების ერთ-ერთი, თუ არა ერთადერთი, უმაღლესი ფორმაა.

გრძნობიერი დამოკიდებულება ადამიანებს შორის, განსაკუთრებით სხვადასხვა სქესის ადამიანებს შორის, არსებობს კაცობრიობის დასაბამიდანვე, კერძოდ სქესობრივმა სიყვარულმა უკანასკნელი რვა საუკუნის განმავლობაში ისეთი განვითარება მიიღო და ისეთი ადგილი დაიჭირა, რომ იგი მთელი პოეზიის ღერძად იქცა. არსებული პოზიტიური რელიგიები კმაყოფილდებიან იმით, რომ უმაღლეს სანქციას აძლევენ სქესობრივი სიყვარულის სახელმწიფოებრივად მოწესრიგებას, ე. ი. საქორწინო კანონმდებლობას; ეს რელიგიები რომ ხვალ სრულიად გამქრალიყვნენ, სიყვარულისა და მეგობრობის პრაქტიკაში სრულიად არავითარი ცვლილება არ მოხდებოდა. მართლაც, საფრანგეთში

1793 წელსა და 1798 წელს შუა ქრისტიანული სარწმუნოება ფაქტიურად ისე მოისპო, რომ თვით ნაპოლეონს დიდი წანაღმდეგობისა და სიძნელის გადალახვა მოუხდა მის ხელახლა შემოსაღებად, მაგრამ ამ ხნის განმავლობაში როდი წარმოშობილა ძოთხოვნილება ეს ხარვეზი ფოიერბახის ახალი რელიგიის მსგავსი რამით შევსებულიყო.

ფოიერბახის იდეალიზმი აქ იმაში მდგომარეობს, რომ მას ერთიერთ სიმპათიებზე დაყრდნობილი ადამიანური დამოკიდებულება, სქესობრივი სიყვარული, მეგობრობა, თანაგრძნობა, თავგანწირვა და სხვ. ისე ვერ წარმოუდგენია, როგორც ყველა ეს თავისთავად არსებობს. წარსულის მიერ ნაანდერძევი რომელიმე განსაკუთრებული რელიგიური სისტემის გარეშე. იგი ამტკიცებს, ეს დამოკიდებულება მხოლოდ მაშინ პოულობს თავის სრულს მნიშვნელობას, როცა მას «რელიგიის» სახელით აკურთხებენო. მისთვის მთავარი მნიშვნელობა აქვს არა იმას, რომ ეს წმინდა ადამიანური დამოკიდებულებანი არსებობენ, არამედ იმას, რომ ისინი ახალ, ჭეშმარიტ რელიგიად იქნან აღიარებული, ისინი სრულყოფილნი არიან მხოლოდ მაშინ, როცა მათ რელიგიის ბეჭედი აზისო, სიტყვა რ ე ლ ი გ ი ა წარმოდგება სიტყვისაგან religare[1] და თავდაპირველად კ ა ვ შ ი რ ს ნიშნავდაო. მაშასადამე, ორი ადამიანის ყოველი ურთიერთკავშირი რელიგიაა. ასეთი ეტიმოლოგიური ოინები იდეალისტური ფილოსოფიის უკანასკნელ თავშესაფარს წარმოადგენს. სიტყვას ის მნიშვნელობა კი არ ეძლევა, რომელიც მას ნამდვილი ხმარების ისტორიული განვითარების გზით შეუძენია, არამედ რაც მას წარმოშობის ეტიმოლოგიური ძალით უნდა ჰქონოდა. ამრიგად, სქესობრივი სიყვარული და სქესობრივი კავშირი „რელიგიის" სახელწოდებით ზეცაში აჰყავთ, რათა ენიდან არ გაჰქრეს იდეალისტური ხსოვნისათვის ძვირფასი სიტყვა — რელიგია. სწორედ ასევე ლაპარაკობდნენ ლუი ბლანის მიმართულების პარიზელი რეფორმისტები ორმოციან წლებში; მათ ურელიგიო ადამიანი რაღაც საშინელებად მიაჩნდათ და ჩვენ გვეუბნებოდნენ; Donc, l'athéisme c'est votre religion![2] როცა ფოიერბახი ცდილობს ჭეშმარიტი რელიგია ბუნების არსებითად მატერიალისტური გაგების საფუძველზე ააგოს, ეს იმას ჰგავს, რომ თანამედროვე ქიმია ჭეშმარიტ ალქიმიად წარმოვიდგინოთ. თუ რელიგია შეიძლება უღმერთოდ არსებობდეს, რატომ არ შეიძლება ალქიმია ფილოსოფიური ქვის გარეშე არსებობდეს? ამასთან ესეცაა, რომ ალქიმიასა და რელიგიას შუა მართლაც მჭიდრო კავშირი არსებობს. ფილოსოფიურ ქვას მრავალი ღვთისმაგვარი თვისება აქვს და ეგვიპტელ-ბერძნებმა ალქიმიკოსებმა ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ და მეორე საუკუნეში თავიანთი წელი-

ლი შეიტანეს ქრისტიანული მოძღვრების შემუშავებაში, როგორც კოპის და ბერტელოს მიერ მოყვანილი ცნობები ამტკიცებს.

ფრ. ენგელსი. „ლუდვიგ ფოიერბახი და გერმანული კლასიკური ფილოსოფიის დასასრული". კ. მარქსი და ფრ. ენგელსი. რჩ. ნაწ. ტ. II გვ. 454—456.

„ღვთისმშენებლობის" და „ღვთისმაძიებლობის" რეაქციული არსი

ძვირფასო ალ. მ.!

დღეს მივიღე თქვენი წერილი და ვიჩქარი გიპასუხოთ. ჩემი წამოსვლა უსარგებლო და საზიანოა: იმ ადამიანებთან, რომლებმაც რელიგიასთან მეცნიერული სოციალიზმის შეერთების ქადაგება დაიწყეს, ლაპარაკი მე არ შემიძლია და არც ვილაპარაკებ. რვეულების[275] დროს განვლო. დავა არ შეიძლება, ნერვების ამაოდ მოშლა სისულელეა. პარტიული (ფრაქციული) საქმეებისაგან უნდა გავაცალკევოთ ფილოსოფია: ამას გვაკალებს ბც—ის[276] გადაწყვეტილებაც.

მე უკვე გავგზავნე დასაბეჭდად ომის უაღრესად ფორმალური გამოცხადება[2]. დიპლომატიას აქ უკვე არა აქვს ადგილი,—მე, რა თქმა უნდა, დიპლომატიაზე ვლაპარაკობ არა ცუდი, არამედ კარგი აზრით.

თქვენი მხრივ, ძვირფასო ა. მ. (თუ თქვენც არ განიმსჭვალეთ ღმერთისადმი რწმენით), „კარგი" დიპლომატია ის იქნება, თუ ჩვენს საერთო (ე. ი. ჩემი ჩათვლითაც) საქმეებს განაცალკევებთ ფილოსოფიისაგან.

ფილოსოფიის გარდა სხვა საქმეებზე საუბარი ახლა არ გამოდგება: არაბუნებრივი გამოვა. თუმცა, ეს სხვა საქმეები, არა ფილოსოფიური საქმეები, არამედ, მაგალითად, „პროლეტარი", თუ მართლა მოითხოვს საუბარს სწორედ ახლა სწორედ თქვენთან, მე შემეძლო ჩამოვსულიყავი (არ ვიცი, ვიშოვნი ფულს თუ არა: სწორედ ახლა გაჭირვება გვაქვს), მაგრამ ვიმეორებ: მხოლოდ იმ პირობით, რომ ფილოსოფიასა და რელიგიაზე მე არ ვლაპარაკობ.

თქვენთან კი აუცილებლად ვაპირებ სასაუბროდ ჩამოსვლას, როცა მუშაობას დავამთავრებ და თავისუფალი ვიქნები.

მაგრად გართმევთ ხელს.

თქვენი ლენინი

მ. თ — ს დიდი მოკითხვა: ის, იმედია, ღვთის მომხრე არ არის, ჰაზ

ვ. ი. ლენინი — ა. მ. გორკს, 16 აპრილი 1908 წ. თხზ. ტ. 34. გვ. 447—448.

„ოტზოვისტებს“ უნდოდათ გამოეწვიათ სოციალ-დემოკრატიული ფრაქცია III სახელმწიფო სათათბიროდან და ლოზუნგად წამოაყენეს სათათბიროს ბოიკოტი. ოტზოვისტებს მიემხრო ბოლშევიკების ნაწილი, რომელსაც ლენინმა და სხვებმა დაუნდობელი ომი გამოუცხადეს. ოტზოვისტებმა და მათმა დამცველებმა შეჰქმნეს ჯგუფი „ეპერიოდი“, რომლის ლიტერატორები (მაქსიმოვი, ლუნაჩარსკი, ბოგდანოვი, ალექსინსკი) ქადაგებდნენ იდეალისტური ფილოსოფიის ფრიად სხვადასხვა ფორმებს — „პროლეტარული ფილოსოფიის“ ჭყვირალა სახელწოდებით — და რ ე ლ ი გ ი ი ს ა და სოციალიზმის შეერთებას. ამ ჯგუფის გავლენა ყოველთვის ძალიან უმნიშვნელო იყო, იგი ბოგინობდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთს მოწყვეტილ და უძლურ ყოველგვარ საზღვარგარეთულ ჯგუფებთან შემთანხმებლობის მეოხებით. ამგვარი ჯგუფები, რომელნიც აუცილებლად ჩნდებიან ყოველი გათიშვის დროს, ქანაობენ ხან იქით, ხან აქეთ, ეწევიან ყოველგვარ პოლიტიკანობას, მაგრამ არავითარ მიმართულებას არ წარმოადგენენ, და მათი მოღვაწეობა თავს იჩენს უწინარეს ყოვლისა წვრილმანი ინტრიგებით: ასეთ ჯგუფებს ეკუთვნის აგრეთვე ტროცკის „პრავდაც“.

რა თქმა უნდა, ყოველი მარქსისტისათვის ცხადია, რომ როგორც ლიკვიდატორობა, ისე ოტზოვიზმი — წვრილბურჟუაზიული მიმდინარეობანია, რომელნიც იზიდავენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბურჟუაზიულ თანამგზავრებს. ამ მ ი მ დ ი ნ ა რ ე ო ბ ებ თ ა ნ „ზავი“ ან „შერიგება“ წინდაწინვე გამორიცხული იყო. სოციალ-დემოკრატიული პარტია ან თვითონ უნდა დაღუპულიყო, ანდა სრულიად განთავისუფლებულიყო ამ მიმდინარეობათაგან.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 17, გვ. 648—649.
„Vorwärts“-ის ანონიმი და საქმის ვითარება რსდმ პარტიაში.

ძვირფასო ალექსი მაქსიმეს-ძე! აბა რას სჩადიხართ? — პირდაპირ საშინელებაა, ღმერთმანი!

გუშინ «რეჩში» წავიკითხე თქვენი პასუხი დოსტოევსკისათვის[3] ატეხილ «ღრიანცელზე»[2] და მზად ვიყავი გამხარებოდა, დღეს კი მოდის ლიკვიდატორული გაზეთი და ი ქ დ ა ბ ე ჭ დ ი ლ ი ა თ ქ ვ ე ნ ი ს ტ ა ტ ი ი ს ა ბ ზ ა ც ი, რომელიც «რეჩში» არ ყოფილა.

ეს აბზაცი ასეთია:

« «ღვთისმაძიებლობა» კი **დროებით»** (მარტო დროებით?) «უნდა გადადოთ, — ეს უსარგებლო საქმეა: სადაც არ დაგიდვია, იქ რას ეძებ. თუ არ დათესავ, ვერ მოიმკი. თქვენ ღმერთი არა გყავთ, თქვენ **ჯერ»** (ჯერ!) «არ შეგიქმნიათ იგი. ღმერთებს არ ეძებენ, — **მათ ქმნიან?** ცხოვრებას კი არ იგონებენ, არამედ ქმნიან».

გამოდის, რომ თქვენ «ღვთისმაძიებლობის» წინააღმდეგი მხოლოდ «დროებით» ხართ!! გამოდის, რომ თქვენ ღვთისმაძიებლობის წინააღმდეგი ხართ **მხოლოდ** იმისათვის, რომ იგი ღვთისმშენებლობით შეცვალოთ.

აბა განა საშინელება არ არის, რომ ასეთი რამ გ ა მ ო გ ი დ ი თ?

ღვთისმაძიებლობა ღვთისმშენებლობისაგან ან ღვთისშექმნისა თუ ღვთისშემოქმედებისაგან და სხვ. სრულებითაც იმაზე უფრო არ განსხვავდება, ვიდრე ყვითელი ეშმაკი ლურჯი ეშმაკისაგან. ილაპარაკო ღვთისმაძიებლობაზე არა იმისათვის, რომ აზრი გამოთქვა **ყოველგვარი** ეშმაკებისა და ღმერთების წინააღმდეგ, ყოველგვარი იდეური ლეშმაკლობის წინააღმდეგ (ყოველი ფუფალა ლეშმაკლობაა — თუნდაც ეს ყოვლად ფაქიზი, იდეალური, არა საძიებელი, არამედ საშენებელი ფუფალა იყოს, სულ ერთია), — არამედ იმისათვის, რომ ლურჯი ეშმაკი ამჯობინო ყვითელს, ეს ასჯერ უფრო ცუდია იმაზე, რომ სულ არაფერს ამბობდე.

ყველაზე თავისუფალ ქვეყნებში, ისეთ ქვეყნებში, სადაც **სრულიად** უადგილოა მიმართვა «დემოკრატიისა, ხალხისა, საზოგადოებრიობისა და ინტელიგენციისადმი», — ასეთ ქვეყნებში (ამერიკა, შვეიცარია და სხვ.) ხალხსა და მუშებს განსაკუთრებით გულმოდგინედ აჩლუნგებენ სწორედ ფაქიზი, სულიერი, საშენებელი ფუფალას იდეით. სწორედ იმიტომ, რომ ყოველი რელიგიური იდეა, ყოველი იდეა ყოველგვარ ფუფალას შესახებ, ყოველი თუნდაც ლაქუცობა ფუფალასთან ყოვლად წარმოუდგენელი სიბილწეა, რომელსაც განსაკუთრებით შემწყნარებლად (ხშირად კი კეთილმოსურნედაც) ხვდება დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი ბურჟუაზია, — სწორედ ამიტომ ეს ყველაზე საშიში სიბილწეა, ყველაზე საზიზღარი «სნებაა». მილიონობით ცოდვა, სისაძაგლე, ძალადობა და ფ ი ზ ი კ უ რ ი სნება გაცილებით უფრო ადვილად გამოსაცნობია ბრბოს მიერ და ამიტომ გაცილებით ნაკლებად საშიშია, ვიდრე ფუფალას დ ა ხ ვ ე წ ი ლ ი, სულიერი, ნაირნაირ «იდეურ» სამოსელში გახვეული იდეა. ქალიშვილების გამხრწნელი კათოლიკე ხუცესი (რომლის შესახებ ეს არის შემთხვევით წავიკითხე ერთ გერმანულ გაზეთში), — გ ა ც ი ლ ე ბ ი თ ნ ა კ ლ ე ბ ა დ საშიშია სწორედ «დემოკრატიისათვის», ვიდრე უანაფორო ხუცესი. ხუცესი უხეში რელიგიის გარეშე, იდეური და დემოკრატიული ხუცესი, რომელიც ფუფალას შექმნას და შენებას ქადაგებს. ეს იმიტომ, რომ პირველი ხუცესი ა დ ვ ი ლ ა დ შეიძლება ამხილო დაგმო და გააგდო, — მეორე კი არ შ ე ი ძ ლ ე ბ ა ასე იოლად გააგდო, მისი მხილება 1 000-ჯერ უფრო ძნელია, მის «დაგმობას» არც ერთი «სუსტი და საცოდავად მერყეული» ობივატელი არ დათანხმდება.

და თქვენ, **მეშჩანურ** (რუსული: რატომ? რუსული? იტალიური უკეთესია თუ??) სულის «სისუსტეს და საცოდავ მერყეობას» რომ იც-

ნობთ, ამ სულს აკრთობთ ყველაზე ტკბილ-ტკბილი შხამით, რომელიც ყველაზე მეტად დაფარულია შაქარყინულით და ყოველნაირი ზიზილ-პიპილებით!!

ღმერთმანი ეს საშინელებაა.

«უკვე კმარა თავდამცირება, რომელიც ჩვენში თვითკრიტიკას ცვლის».

მერე და ღვთისმშენებლობა განა თავდამცირების ყ ვ ე ლ ა ზ ე ც უ დ ი სახე არ არის?? ყოველი ადამიანი, რომელიც ღმერთის მშენებლობას ეწევა ან თუნდაც მხოლოდ დაუშვებს ასეთ მშენებლობას, თ ა ვ ს ი მ ც ი რ ე ბ ს ყველაზე უარესად, ეწევა ნაცვლად «მოქმედებისა» **სწორედ** თვითჭვრეტას, თავმომწონეობას, ამასთან ასეთი კაცი «ჭვრეტს» თავისი «მეს» ყველაზე ბინძურ, ჩლუნგ, მონურ თვისებებს თუ ნიშნებს, რომლებსაც ღვთისმშენებლობა აღმერთებს.

არა პირადი, არამედ საზოგადოებრივი თვალსაზრისით ყ ო ვ ე ლ ი ღვთისმშენებლობა არის სწორედ ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ თ ვ ი თ ჭ ვ რ ე ტ ა გონებაჩლუნგი მეშჩანობისა, სუსტი ობივატელობისა, «სასოწარკვეთილ და დაღლილ» ფილისტერთა და წვრილ ბურჟუათა მეოცნებე «თვითდამცირებისა» (როგორც თქვენ ძალიან სწორედ ბრძანეთ ს უ ლ ზ ე — ოღონდ «რუსულზე» კი არ უნდა გეთქვათ, არამედ მ ე შ ჩ ა ნ უ რ ზ ე. ვინაიდან ებრაული, იტალიური, ინგლისური—ს უ ლ ე რ თ ი ჯ ა ნ დ ა ბ ა ა, ბილწი მეშჩანობა ყველგან ერთნაირად საზიზღარია, ხოლო «დემოკრატიული მეშჩანობა»,რომელიც იდეურ ლეშთმავლობას ეწევა, გაცილებით უფრო საზიზღარია).

თქვენს სტატიას დაკვირვებით რომ ვკითხულობ და ვცდილობ გ ა მ ო ვ ა რ კ ვ ი ო, საიდან შეიძლებოდა გაძოგსვლოდათ ეს **მცდარნაწერი**, გაკვირვებას ვეძლევი. რა არის ეს? ნაშთები «აღსარებისა», რომელსაც თ ქ ვ უ ნ თ ვ ი თ ო ნ ა რ იწონებდით?? მისი გამოძახილი??

თუ სხვა რამ — მაგალითად, იმის უნაყოფო ცდა, რომ დ ა ქ ვ ე ი თ დ ე თ **საერთო-დემოკრატიულ** თვალსაზრისამდე ნაცვლად პ რ ო ლ ე ტ ა რ უ ლ ი თვალსაზრისისა? იქნებ «საერთოდ დემოკრატიასთან» საუბრისათვის თქვენ მოისურვეთ (მაპატიეთ ეს გამოთქმა) ჩიფჩიფი დაგეწყოთ, როგორც ბავშვებს ეჩიფჩიფებიან? იქნებ ო ბ ი ვ ა ტ ე ლ ე ბ ი ს ა თ ვ ი ს «პოპულარულად გადასაცემად» მოისურვეთ ერთი წუთით დაგეშვათ **მისი** თუ **მათი**, ობივატელების, ცრუაზრები??

მაგრამ ეს ხომ ყოველი მნიშვნელობით და ყოველმხრივ ა რ ა-ს წ ო რ ი ხერხია!

ზემოთ დავწერე, რომ დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ქვეყნებში **სრულიად** უადგილო იქნებოდა პროლეტარული მწერლის მხრივ მიმართვა «დემოკრატიისა, ხალხისა, საზოგადოებრიობისა და მეცნიერებისადმი».

ჩვენში კი, რუსეთში?? ასეთი მიმართვა ა რ ც თ უ მ თ ლ ა დ სასურველია, ვინაიდან ისიც როგორღაც მაამებელია ობივატელური ცრუაზრებისათვის. მიმართვა როგორღაც ზოგადია, ბუნდოვანი—ჩვენში «რუსსკაია მისლის» იზგოევიც კი ო რ ი ვ ე ხ ე ლ ს მოაწერს მას. მაშ რა საჭიროა ისეთი ლოზუნგების აღება, რომლებსაც თქვენ კი ჩინებულად გამოჰყოფთ იზგოეველობისაგან, მაგრამ მკითხველი ვერ შეძლებს გამოჰყოს?? რა საჭიროა, რომ მკითხველისათვის დემოკრატიული ნარმაში გადააფაროთ, ნაცვლად იმისა, რომ ერთმანეთისაგან ნ ა თ ლ ა დ განასხვაოთ მ ე შ ჩ ა ნ ე ბ ი (სუსტნი, საცოდავად მერყეენი, დაღლილნი, სასოწარკვეთილნი, თვითმკვრეტელნი, ღვთისმკვრეტელნი, ღვთისმშენებელნი, ღვთისმფარველნი, თავდამამცირებელნი, უ ა ზ რ ო-ა ნ ა რ ქ ი ს ტ უ ლ ნ ი — საუცხოო სიტყვაა!! და სხვანი და სხვანი) — და პ რ ო ლ ე ტ ა რ ე ბ ი (რომლებსაც უნარი შესწევთ მხნენი იყვხენ არა მარტო სიტყვით, უნარი შესწევთ განასხვაონ ბ ურ ჟ უ ა ზ ი ი ს «მეცნიერება და საზოგადოებრიობა» თავიანთისაგან, ბურჟუაზიული დემოკრატია პროლეტარულისაგან)?

რატომ შვრებით ამას?

საშინლად საწყენია. თქვენი ვ. ლ.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი — ა. მ. გორკს, 13 თუ 14 ნოემბერი 1913 წ. თხზ., ტ. 35. გვ. 113—116.

საკითხში ღმერთის, ღვთიურის და ყოველივე იმის შესახებ, რაც ამასთან დაკავშირებულია, თქვენ წინააღმდეგობა გამოგიდით — სწორედ ის წინააღმდეგობა, ჩემი აზრით, რომელსაც მე აღვნიშნავდი ჩვენს საუბრებში ჩვენი უკანასკნელი შეხვედრის დროს კაპრიზე: თქვენ კავშირი გასწყვიტეთ (ან თითქოს გასწყვიტეთ) «ეპერიოდელებთან», ისე რომ «ეპერიოდელობის» იდეური საფუძვლები ვერ შეგიმჩნევიათ.

ასეა ახლაც. თქვენ «შეწუხებული» ხართ, თქვენ «ვერ გაგიგიათ, როგორ გაგეპარათ სიტყვა დროებით» — ასე იწერებით — და ამავე დროს ღმერთის და ღვთისმშენებლობის იდეას იცავთ.

«ღმერთი ტომის, ერის, კაცობრიობის მიერ გამომუშავებულ იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც აღვიძებენ და რაზმავენ სოციალურ გრძნობებს, მიზნად ისახავენ დააკავშირონ პიროვნება საზოგადოებასთან, ალაგმონ ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი».

ეს თეორია აშკარად დაკავშირებულია ბოგდანოვისა და ლუნაჩარსკის თეორიასთან თუ თეორიებთან.

და იგი აშკარად არასწორი და აშკარად რეაქციულია. ქრისტიანი სოციალისტების («სოციალიზმის» ყველაზე ცუდი სახის და ყველაზე ცუდი მისი დამახინჯების) მსგავსად თქვენ ხმარობთ ხერხს, რომელიც

(მიუხედავად თქვენი საუკეთესო განზრახვისა) იმეორებს ხუცობის ფანდს: ღმერთის იდეიდან იდევნება ის, რასაც იგი ი ს ტ ო რ ი უ ლ ა დ და ც ხ ო ვ რ ე ბ ა შ ი შეიცავს (სიბილწე, ცრუაზრები, ერთი მხრივ, სიბნელისა და დაბეჩავების და მეორე მხრივ, ბატონყმობისა და მონაქიის კურთხევა), ამასთან ნაცვლად ისტორიული და ცხოვრების რეალობისა ღმერთის იდეას ჩაერთვის გულკეთილი მეშჩანური ფრაზა (ღმერთი = «იდეები, რომლებიც აღვიძებენ და რაზმავენ სოციალურ გრძნობებს»).

თქვენ ამით გინდათ «კეთილი და კარგი» თქვათ, აღნიშნოთ «სიმართლე-სამართლიანობა» და მისთანები. მაგრამ თქვენი ეს კეთილი სურვილი თქვენს პირად კუთვნილებად, სუბიექტურ «უწყინარ სურვილად» რჩება. რაკი თქვენ დასწერეთ, იგი მ ა ს ა შ ი წავიდა, და მისი **მნიშვნელობა** განისაზღვრება არა თქვენი კეთილი სურვილით, არამედ ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ვ ი ძ ა ლ ე ბ ი ს თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ი თ, კლასთა ობიექტური თანაფარდობით. ამ თანაფარდობის მიხედვით **გამოდის** (თქვენი ნების წინააღმდეგ და თქვენი შეგნების დამოუკიდებლად); გამოდის ისე, რომ თქვენ შეალამაზეთ, დაშაქრეთ კლერიკალების, პურიშკევიჩების, ნოკოლოზ II-ისა და ბ-ნ სტრუვეების იდეა, ვინაიდან **სინამდვილეში** ღმერთის იდეა მ ა თ ეხმარება იძაში, რომ ხალხი მონობაში იყოლიონ. ღმერთის იდეა რომ შეალამაზეთ, თქვენ ამით შეალამაზეთ ის ბორკილი, რომლითაც მათ შებოჭილი ჰყავთ უმეცარი მუშები და გლეხები. აი — იტყვიან ხუცები და კომპ. — რა კარგი და ღრმა იდეა არის ეს (ღმერთის იდეა), როგორ აღიარებენ მას, ბ-ნო დემოკრატებო, «თ ქ ვ ე ნ ი» ბელადებიც კი, და ჩვენ (ხუცები და კომპ.) ამ იდეას ვემსახურებითო.

მართალი არ არის, რომ ღმერთი იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც აღვიძებენ და რაზმავენ სოციალურ გრძნობებს. ეს ბოგდანოვის ი დ ე ა ლ ი ზ მ ი ა, რომელიც ჩქმალავს იდეების მატერიალურ წარმოშობას. ღმერთი (ისტორიულად და ცხოვრებაში) უწინარეს ყოვლისა იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც წარმოშვა ადამიანის ჩლუნგმა დაბეჩავებამ გარეშე ბუნების მხრივაც და კლასობრივი ჩაგვრის მხრივაც, — იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც გ ა ნ ა მ ტ კ ი ც ე ბ ე ნ ამ დაბეჩავებას, ა ძ ი ნ ე ბ ე ნ კლასობრივ ბრძოლას. ისტორიაში იყო დრო, როცა, მიუხედავად ღმერთის იდეის ასეთი წარმოშობისა და ასეთი ნამდვილი მნიშვნელობისა, დემოკრატიისა და პროლეტარიატის ბრძოლა წარმოებდა ე რ თ ი რ ე ლ ი გ ი უ რ ი იდეის მეორის წინააღმდეგ ბრძოლის ფორმით.

მაგრამ ეს დროც დიდი ხანია წავიდა.

ახლა ევროპაშიც და რუსეთშიც ღმერთის იდეის ყ ო ვ ე ლ ი, თუნ-

დაც ყველაზე დახვეწილი, ყველაზე კეთილგანზრახული დაცვა ან გამართლება რეაქციის გამართლებაა.

მთელი თქვენი განსაზღვრა თავიდან ბოლომდე რეაქციული და ბურჟუაზიულია. ღმერთი=იმ იდეათა კომპლექსია, რომლებიც «აღვიძებენ და რაზმავენ სოციალურ გრძნობებს, მიზნად ისახავენ დააკავშირონ პიროვნება საზოგადოებასთან, ალაგმონ ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი».

რატომ არის ეს რეაქციული? იმიტომ რომ ალამაზებს ზოოლოგიის „ალაგმვის" ხუცურ-ბატონყმურ იდეას. სინამდვილეში «ზოოლოგიური ინდივიდუალიზმი» ღმერთის იდეას როდი აულაგმავს, იგი ალაგმა პირველყოფილმა ჯოგმაც და პირველყოფილმა კომუნამაც. ღმერთის იდეა ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს აძინებდა და აჩლუნგებდა «სოციალურ გრძნობებს», ცვლიდა ცოცხალს ლუშით, ყ ო ვ ე ლ თ ვ ი ს წარმოადგენდა მონობის (ყველაზე ცუდი, გამოუვალი მონობის) იდეას. ღმერთის იდეა არასოდეს არ «აკავშირებდა პიროვნებას საზოგადოებასთან», არამედ ყოველთვის ბ ო ჭ ა ვ დ ა ჩაგრულ კ ლ ა ს ე ბ ს მჩაგვრ ე ლ თ ა ღ ვ თ ი უ რ ო ბ ი ს ა დ მ ი რწმენით.

თქვენი განსაზღვრა ბურჟუაზიულია (და არა მეცნიერული, არაისტორიულია), ვინაიდან იგი იყენებს ხელაღებითს, ზრგად, საერთოდ «რობინზონულ» ცნებებს — და არა გარკვეული ისტორიული ეპოქის გარკვეულ **კლასებს.**

ერთია ველური ზირიანინის და სხვ. (აგრეთვე ნახევრადველურის) ღმერთის იდეა და სულ სხვაა სტრუვესა და კომპანიისა. ორივე შემთხვევაში ეს იდეა ზურგს უმაგრებს კლასობრივ ბატონობას (და კლასობრივი ბატონობა ზურგს უმაგრებს ამ იდეას.) «ხალხური» წარმოდგენა ფუფალაზე და ფუფალურზე — ეს არის «ხალხური» სიჩლუნგე, დაბეჩავება, სიბნელე, სავსებით ისეთივე, როგორც «ხალხის წარმოდგენა» მეფეზე, ქაჯზე, ცოლების ცემა-ტყეპაზე. როგორ შეგიძლიათ თქვენ «ხალხის წარმოდგენას» ღმერთზე «დემოკრატიული» უწოდოთ, აბსოლუტურად ვერ გამიგია.

ფილოსოფიურ იდეალიზმს რომ «ყოველთვის მხოლოდ პიროვნების ინტერესები აქვს მხედველობაში», ეს მართალი არ არის. დეკარტს გასენდისთან შედარებით უფრო ჰქონდა მხედველობაში პიროვნების ინტერესები? თუ ფიხტესა და ჰეგელს ფოიერბახის წინააღმდეგ?

რომ «ღვთისმშენებლობა ინდივიდუუმსა და საზოგადოებაში სოციალური საწყისების შემდგომი განვითარებისა და დაგროვების პროცესია», ეს პირდაპირ საშინელებაა!! რუსეთში თავისუფლება რომ იყოს, თქვენ ხომ მთელი ბურჟუაზია ხოტბას შეგასხამდათ ასეთი რამეებისათვის, ამ წმინდა ბურჟუაზიული ტიპისა და ხასიათის სოციოლოგიისა და თეოლოგიისათვის.

ჯერჯერობით კმარა — წერილი ისედაც გამიჭიანურდა. კიდევ ერთხელ მაგრად გართმევთ ხელს და გისურვებთ ჯანმრთელობას.

თქვენი З. П.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ — ა. მ. გორკს, ნოემბრის მეორე ნახევარი 1913 წ. თხზ., ტ. 35. გვ. 118—121.

8. ტოლსტოველობის რეაქციული არსი

დიდი მხატვრის სახელის შედარება რევოლუციასთან, რომელიც მან აშკარად ვერ გაიგო, რომელსაც მან აშკარად აარიდა თავი, შეიძლება პირველი შეხედვით უცნაური და ხელოვნური მოგვეჩვენოს. ხომ არ დავარქმევთ სარკეს იმას, რაც, ცხადია, არ ასახავს მოვლენებს სწორად? მაგრამ ჩვენი რევოლუცია უაღრესად რთული მოვლენაა: მის უშუალო მომხდენთა და მონაწილეთა მასაში ბლომად არიან ისეთი სოციალური ელემენტები, რომლებსაც აგრეთვე აშკარად არ ესმოდათ, რაც ხდებოდა, და რომლებიც აგრეთვე თავს არიდებდნენ მოვლენათა მსვლელობით მათ წინაშე დასმულ ნამდვილ ისტორიულ ამოცანებს. და თუ ჩვენს წინაშე მართლაც დიდი მხატვარია, მას თავის ნაწარმოებებში უნდა აესახა რევოლუციის თუნდაც ზოგიერთი არსებითი მხარე.

ლეგალურ რუსულ პრესას, რომელიც აღსავსეა სტატიებით, წერილებითა და შენიშვნებით ტოლსტოის 80 წლისთავის იუბილეს გამო, ყველაზე ნაკლებად აინტერესებს მის ნაწარმოებთა ანალიზი რუსეთის რევოლუციისა და მისი მამოძრავებელი ძალების ხასიათის თვალსაზრისით. მთელი ეს პრესა გულისამრევად აღსავსეა პირმოთნეობით, ორგვარი პირმოთნეობით: კაზიონურითა და ლიბერალურით. პირველია იმ მოქრთამული მჯღაბნელების ტლანქი პირმოთნეობა, რომლებსაც გუშინ ნაბრძანები ჰქონდათ ლ. ტოლსტოის დევნა, დღეს კი ნაბრძანები აქვთ გამოუძებნონ მას პატრიოტიზმი და ეცადონ დაიცვან რიგიანობა ევროპის წინაშე. ამ ჯურის მჯღაბნელებს რომ ფული მისცეს მათ ნაჯღაბნში, ეს ყველასათვის ცნობილია, და ისინი ვერავის ვერ მოატყუებენ. გაცილებით უფრო დახვეწილია და ამიტომ გაცილებით უფრო მავნებელი და საშიშია ლიბერალური პირმოთნეობა. «რეჩის» კადეტურ ბალალაიკინებს რომ ყური დაუგდოთ — ისინი ტოლსტოისადმი უაღრესად სრული და უაღრესად მხურვალე თანაგრძნობით არიან გამსჭვალულნი. ნამდვილად კი, გაანგარიშებული დეკლამაცია და მაღალფარდოვანი ფრაზები «დიდ ღვთისმაძიებელზე» სულ ერთიანად სიყალბეა, რადგან რუს ლიბერალს არც ტოლსტოის ღმერთი სწამს და არც არსებული წყობილების ტოლსტოურ კრიტიკას თანაუგრძნობს. ის ეტმასნება პოპულარულ სახელს, რათა გაადიდოს თავისი პოლიტიკური კაპა-

ტალი, რათა გაითამაშოს საერთო-ნაციონალური ოპოზიციის ბელადის როლი, იგი ცდილობს ფრაზების რახარუხითა და კორიანტელით ჩ ა ა ხ შ ო ს მოთხოვნილება — პირდაპირი და ნათელი პასუხი იქნეს გაცემული კითხვაზე: რა იწვევს «ტოლსტოელობის» აშკარა წინააღმდეგურობას, ჩვენი რევოლუციის რა ნაკლოვანებებსა და სუსტ მხარეებს გამოხატავს იგი?

წინააღმდეგურობა ტოლსტოის ნაწარმოებებში, შეხედულებებში მოძღვრებებში, სკოლაში მართლაც ხმამაღლა მღაღადებელია. ერთი მხრივ, გენიალური მხატვარი, რომელმაც მოგვცა არა მარტო რუსეთის ცხოვრების უბადლო სურათები, არამედ მსოფლიო ლიტერატურის პირველხარისხოვანი ნაწარმოებნიც. მეორე მხრივ, — მემამულე, რომელიც თავს იგლახავებს ქრისტეს გულისათვის. ერთი მხრივ, საოცრად ძლიერი, უშუალო და გულწრფელი პროტესტი საზოგადოებრივი სიცრუისა და სიყალბის წინააღმდეგ, — მეორე მხრივ, „ტოლსტოელი“, ე. ი. გაცვეთილი, ისტორიული მოწუწუნე, რუს ინტელიგენტად წოდებული, რომელიც საქვეყნოდ თავში ხელს იცემს და გაიძახის: «მე საძაგელი ვარ, მე საზიზღარი ვარ, მაგრამ ზნეობრივი სრულყოფისათვის ვიღწვი, ხორცეულს აღარა ვქამ და ახლა ბრინჯის კატლეტებით ვსაზრდოობო“. ერთი მხრივ, კაპიტალისტური ექსპლუატაციის ულმობელი კრიტიკა, მთავრობის ძალადობათა, სასამართლოს და საბელმწიფო მმართველობის კომედიის მხილება, სიმდიდრის ზრდისა, ცივილიზაციის მონაპოვრებისა და მუშათა მასების სიღატაკის, ველურობისა და ტანჯვა-წვალების ზრდის წინააღმდეგობათა მთელი სიღრმის გადაშლა; მეორე მხრივ, — სალოსის ქადაგება, რომ „ბოროტებას წინააღმდეგობა არ გაეწიოს“ ძალადობით. ერთი მხრივ, უაღრესად ფხიზელი რეალიზმი, ყველა და ყოველგვარი ნიღაბის ჩამოგლეჯა; — მეორე მხრივ, ერთ-ერთი ყველაზე საზიზღარი რამის ქადაგება, რაც კი არის ქვეყნად, სახელდობრ: რელიგიისა, მისწრაფება, რომ სახაზინო სამსახურის ხუცების ადგილას ზნეობრივი რწმენის ხუცები დადგნენ, ე. ი. დაინერგოს უაღრესად გაქნილი და ამიტომ განსაკუთრებით საძაგელი ხუცობა. ჭეშმარიტად:

ლატაკიცა ხარ, ბარაქიანიც,
ძლიერიცა ხარ და უძლურიცა
— დედავ რუსეთო!

ასეთ წინააღმდეგობათა დროს ტოლსტოის რომ სრულიად არ შეეძლო გაეგო არც მუშათა მოძრაობა და მისი როლი სოციალიზმისათვის ბრძოლაში, არც რუსეთის რევოლუცია, ეს თავისთავად ცხადია. მაგრამ წინააღმდეგობანი ტოლსტოის შეხედულებებსა და მოძღვრებაში შემთხვევითი რამ კი არ არის, არამედ იმ წინააღმდეგური პირობების

გამოხატულებაა. რომლებშიც ჩაყენებული იყო XIX საუკუნის უკანასკნელი მესამედის რუსეთის ცხოვრება. პატრიარქალური სოფელი, რომელიც მხოლოდ გუშინ განთავისუფლდა ბატონყმობისაგან, პირდაპირ წასალეკად და გასაცარცვავად ჰქონდა მიცემული კაპიტალსა და ხაზინას. გლეხური მეურნეობისა და გლეხის ცხოვრების ძველი ბურჯები, ის ბურჯები, რომლებიც მართლაც საუკუნეთა განმავლობაში იდგა, არაჩვეულებრივი სისწრაფით ინგრეოდა. და ტოლსტოის შეხედულებათა წინააღმდეგურობა უნდა შევაფასოთ არა თანამედროვე მუშათა მოძრაობისა და თანამედროვე სოციალიზმის თვალსაზრისით (ასეთი შეფასება, რა თქმა უნდა, აუცილებელია, მაგრამ იგი საკმარისი არ არის), არამედ კარს მომდგარი კაპიტალიზმის, მასების გაჩანაგებისა და უმიწაწყლოდ დატოვების წინააღმდეგ მიმართული იმ პროტესტის თვალსაზრისით, რომელიც უნდა წარმოეშვა პატრიარქალურ რუსულ სოფელს. ტოლსტოი სასაცილოა, როგორც წინასწარმეტყველი, რომელსაც აღმოუჩენია კაცობრიობის ხსნის ახალი რეცეპტები, — ამიტომაც სავსებით უბადრუკნი არიან საზღვარგარეთელი და რუსი „ტოლსტოელები", რომლებმაც მოისურვეს დოგმად გადაექციათ მისი მოძღვრების სწორედ ყველაზე სუსტი მხარე. ტოლსტოი დიდია, როგორც იმ იდეებისა და იმ სულისკვეთების გამომხატველი, რომლებიც შეიქმნა მილიონობით რუს გლეხობაში რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის დაწყების დროისათვის. ტოლსტოი ორიგინალურია, ვინაიდან მთლიანად აღებულ მის შეხედულებათა ერთობლიობა გამოხატავს სწორედ ჩვენი რევოლუციის, როგორც გ ლ ე ხ უ რ ი ბურჟუაზიული რევოლუციის თავისებურებას. ტოლსტოის შეხედულებათა წინააღმდეგურობა, ამ თვალსაზრისით, — ნამდვილი სარკეა იმ წინააღმდეგური პირობებისა, რომლებშიც ჩაყენებული იყო გლეხობის ისტორიული მოქმედება ჩვენს რევოლუციაში. ერთი მხრივ, ბატონყმური ჩაგვრის საუკუნეებმა და რეფორმის შემდგომდროინდელი დაჩქარებული გაჩანაგების ათეულმა წლებმა უდიდესი სიძულვილი, გულისწყრომა, და თავგანწირული გაბედულება დააგროვეს. მისწრაფება, რომ ძირიანფესვიანად აღგავონ ოფიციალური ეკლესიაც, მემამულეებიც, მემამულური მთავრობაც, მოსპონ მიწათმფლობელობის ყველა ძველი ფორმა და წესი, გაწმინდონ ნიადაგი, შექმნან პოლიციურ-კლასობრივი სახელმწიფოს ნაცვლად. თავისუფალ და თანასწორუფლებიან წვრილ გლეხთა თანაცხოვრება, — ეს მისწრაფება წითელ ზოლად გასდევს გლეხთა ყოველ ისტორიულ ნაბიჯს ჩვენს რევოლუციაში, და, უეჭველია, ტოლსტოის ნაწერების იდეური შინაარსი გაცილებით უფრო შეესაბამება ამ გლეხურ მისწრაფებას, ვიდრე განყენებულ „ქრისტიანულ ანარქიზმს", როგორც ზოგჯერ უწოდებენ მის შეხედულებათა „სისტემას".

მეორე მხრივ, გლეხობა, რომელიც მიისწრაფვის თანაცხოვრების

ახალი ფორმებისაკენ, ძალიან შეუგნებლად, პატრიარქალურად, სალოსურად ეკიდებოდა იმას, თუ როგორი უნდა იყოს ეს თანაცხოვრება, როგორი ბრძოლით უნდა მოიპოვოს მან თავისუფლება, როგორი ხელმძღვანელები შეიძლება ჰყავდეს მას ამ ბრძოლაში, როგორ ეპყრობა გლეხური რევოლუციის ინტერესებს ბურჟუაზია და ბურჟუაზიული ინტელიგენცია, რატომ არის აუცილებელი მეფის ხელისუფლების ძალით დამხობა მემამულური მიწათმფლობელობის მოსასპობად. გლეხობის მთელმა წარსულმა ცხოვრებამ ასწავლა მას ბატონისა და მოხელის სიძულვილი, მაგრამ ვერ ასწავლა და ვერც ასწავლიდა, სად ეძებნა ყველა ამ კითხვის პასუხი. ჩვენს რევოლუციაში გლეხობის მცირე ნაწილი მართლაც იბრძოდა და ამ მიზნისათვის რამდენადმე კიდეც ირაზმებოდა, და სულ მცირე ნაწილი იარაღს ჰკიდებდა ხელს თავისი მტრების გასაჟლეტად, მეფის მსახურთა და მემამულეების დამცველთა მოსასპობად. გლეხობის უმეტესი ნაწილი ტიროდა და ლოცულობდა, რეზონიორობდა და ოცნებობდა, თხოვნებს წერდა და „შუაკაცებს“ გზავნიდა, — სწორედ ლევ ნიკოლოზის-ძე ტოლსტოის სულისკვეთებისამებრ! და, როგორც ყოველთვის ხდება ხოლმე ასეთ შემთხვევებში, ტოლსტოისებური თავშეკავება პოლიტიკისაგან, ტოლსტოისებური უარყოფა პოლიტიკისა, ამ პოლიტიკისადმი ინტერესის უქონლობა და მისი გაუგებლობა აკეთებდნენ იმას, რომ შეგნებულ და რევოლუციურ პროლეტარიატს მიჰყვებოდა უმცირესობა, უმრავლესობა კი ხელში უვარდებოდა იმ უპრინციპო, მლიქვნელ, ბურჟუაზიულ ინტელიგენტებს, რომლებიც კადეტების სახელწოდებით გარბოდნენ ტრუდოვიკების კრებიდან სტოლიპინის დერეფანში, ეღიჭინებოდნენ, ევაჭრებოდნენ, მორიგებას ცდილობდნენ, შერიგებას ჰპირდებოდნენ, — ვიდრე ისინი ჯარისკაცის ჩექმით არ გამოაპანღურეს. ტოლსტოის იდეები ჩვენი გლეხური აჯანყების სისუსტისა და ნაკლოვანებათა სარკეა, პატრიარქალური სოფლის უნიათობისა და „მეურნე გლეხის“ ბეჩავი ლაჩრობის ასახულება.

ვ. ი. ლენინი. „ლ. ტოლსტოი როგორც რუსეთის რევოლუციის სარკე“. თხს., ტ. 15. გვ. 236—243.

მაგრამ მხურვალე პროტესტანტმა, მგზნებარე მამხილებელმა, დიდმა კრიტიკოსმა თავის ნაწარმოებებში ამასთან ერთად გამოამჟღავნა რუსეთზე მოწოლილი კრიზისის მიზეზთა და კრიზისიდან გამოსვლის საშუალებათა ისეთი გაუგებლობა, რომელიც ახასიათებს მხოლოდ პატრიარქალურ, გულუბრყვილო გლეხს და არა ევროპულად განათლებულ მწერალს. ბატონყმურ და პოლიციურ სახელმწიფოსთან, მონარქიასთან ბრძოლა მის მოღვაწეობაში იქცეოდა პოლიტიკის უარყოფად, მას მიყავდა ის მოძღვრებამდე „ბოროტებისადმი წინააღუდგომლობის“ შე-

სახებ. მან გამოიწვია მისი სრული ჩამოშორება მასების 1905—1907 წლების რევოლუციური ბრძოლისაგან. კაზიონურ ეკლესიასთან ბრძოლა შეთავსებული იყო ახალი, გაწმენდილი რელიგიის ქადაგებასთან, ე. ი. ახალ, გაწმენდილ, საშინელ საწამლავთან ჩაგრული მასებისათვის. მიწის კერძო საკუთრების უარყოფა იწვევდა არა მთელი ბრძოლის წარმართვას ნამდვილი მტრის წინააღმდეგ, მემამულური მიწათმფლობელობისა და მისი ძალაუფლების პოლიტიკური იარაღის, ე. ი. მონარქიის წინააღმდეგ. არამედ მეოცნებურ. ბუნდოვან. ულონო ამოხვნეშას. კაპიტალიზმისა და იმ უბედურებათა მხილება, რასაც ის მასებს აყენებს, შეთავსებული იყო სავსებით აპათიურ დამოკიდებულებასთან იმ მსოფლიო განმანთავისუფლებელი ბრძოლისადმი, რომელსაც საერთაშორისო სოციალისტური პროლეტარიატი ეწევა.

ვ. ი. ლენინი. „ლ. ნ. ტოლსტოი". თხზ., ტ. 16. გვ. 403—404.

XI ᲗᲐᲕᲘ

ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲠᲔᲚᲘ�გᲘᲐ

1. ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲘ ᲐᲠ ᲢᲝᲕᲔᲑᲡ ᲐᲓᲒᲘᲚᲡ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ღმერთს ისე ცუდად არავინ ეპყრობა, როგორც ღვთისმორწმუნე ბუნებისმკვლევარნი[39]. მატერიალისტები უბრალოდ ხსნიან ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲐᲡ და ამგვარ ფრაზეოლოგიას არ გამოეკიდებიან; ისინი მას მხოლოდ მაშინ მიმართავენ, როდესაც აბეზარ მორწმუნეებს სურთ თავს მოახვიონ მათ ღმერთი, და მაშინ ისინი მოკლედ უპასუხებენ, როგორც ლაპლასმა უპასუხა „Sire, je n'avais etc!". ანუ ფრო უხეშად ჰოლანდიელი ვაჭრების ყაიდაზე, რომელნიც თავიდან იშორებენ ხოლმე კომი-ვოიაჟორებს, როდესაც ეს უკანასკნელნი ცდილობენ თავს მოახვიონ მათ თავიანთი უვარგისი ფაბრიკატები: ik kan die zaken niet gebruiken[41],—და საქმეც ამით თავდება. მაგრამ რაღა არ მოითმინა ღმერთმა თავისი დამცველებისაგან! თანამედროვე ბუნებისმეცნიერებაში ღმერთს ისევე ეპყრობიან მისი დამცველები, როგორც ფრიდრიხ-ვილჰელმ III-ეს მოექცნენ იენას კამპანიაში მისი გენერლები და მოხელეები. არმიის ნაწილები ერთიმეორეზე ჰყრიან იარაღს, სიმაგრეები ერთიმეორის მიყოლებით ნებდებიან მეცნიერების იერიშს, სანამ საბოლოოდ ბუნების მთელ დაუსრულებელ სფეროს დაიპყრობდეს იგი და მასში აღარავითარ ადგილს არ დაუტოვებს შემოქმედს. ნიუტონმა მას ჯერ კიდევ დაუტოვა „პირველი ბიძგი", მაგრამ აკრძალა ყოველგვარი შემდგომი ჩარევა თავის მზის სისტემაში. პატრი სეკი თუმცა ყოველგვარ კანონიკურ პატივს მიაგებს შემოქმედს, მაგრამ მიუხედავად ამისა არა ნაკლები კატეგორიულობით აძევებს მას მთლიანად მზის სისტემიდან და მას შემოქმედებითი აქტის უფლებას მხოლოდ თავდაპირველი ნისლოვანების მიმართ აძლევს. ასეთივეა საქმის ვითარება ღმერთის მიმართ ყველა სხვა სფეროშიაც. ბიოლოგიაში მას მისი უკანასკნელი დიდი დონ-კიხოტი, აგასიზი, თვით პოზიტურ უაზრობასაც კი მიაწერს: ღმერთმა უნდა შექმნას არა მარტო ნამდვილი ცხოველები, არამედ აგრეთვე აბსტრაქტული ცხოველებიც, თევზი როგორც ასეთი! ბოლოს, ტინდალი სრულიად უკრძალავს ღმერთს ყოველგვარ

მისასვლელს ბუნებასთან და მას ემოციის სამყაროსაკენ უთითებს. იგი ღმერთს მხოლოდ იმიტომ დაუშვებს, რომ ხომ უნდა არსებობდეს ვიღაც, ვინც ყოველივე ამის (ბუნების) შესახებ უფრო მეტი იცის, ვიდრე ჯონ ტინდალმა[2]. რა დიდი მანძილია ძველი ღმერთიდან—ცისა და დედამიწის შემოქმედიდან, ყველა საგანთა მფარველიდან, ურომლისოდაც არც ერთი თმა არ შეიძლება თავიდან ჩამოვარდეს!

ფრ. ენგელსი. „ბუნების დიალექტიკა". გვ. 206—207.

ბუნების ძალთა მხოლოდ ნამდვილი შემეცნება განდევნის ღმერთებს ან ღმერთს ყველა პოზიციიდან ერთიმეორეზე მიყოლებით (სეკკი და მისი მზის სისტემა). ამჟამად ამ პროცესმა იმდენად შორს წაიწია წინ, რომ თეორიულად იგი დამთავრებულად შეიძლება იქნეს მიჩნეული.

ფრ. ენგელსი. „ანტი-დიურინგის" მოსამზადებელი სამუშაოებიდან. გვ. 414.

მეცნიერებისა და რელიგიის ბრძოლის ისტორიიდან

ბუნების თანამედროვე კვლევა, ერთადერთი კვლევა, რომელმაც მეცნიერულ, სისტემატურ, ყოველმხრივ განვითარებას მიაღწია, წინაადმდეგ ანტიკურ მოაზროვნეთა გენიალური ნატურფილოსოფიური ინტუიციებისა და არაბების უაღრესად მნიშვნელოვანი, მაგრამ სპორადული და მეტნაწილად უშედეგოდ გამქრალი აღმოჩენებისა, — ბუნების თანამედროვე კვლევა, ისე როგორც მთელი ახალი ისტორია, იმ მძლავრი ეპოქიდან თარიღდება, რომელსაც ჩვენ, გერმანელები, იმ დროს ჩვენს თავს დამტყდარი ნაციონალური უბედურების გამო, რეფორმაციას ვუწოდებთ, ფრანგები — რენესანსს, ხოლო იტალიელები ჩინკვეჩენტოს[2] უწოდებენ, და რომელსაც ვერც ერთი ეს სახელწოდება ამომწურავად ვერ გამოხატავს. ეს ის ეპოქაა, რომელიც მე-15 საუკუნის მეორე ნახევრით იწყება. მეფის ხელისუფლებამ, მოქალაქეებზე დაყრდნობით, ფეოდალური თავადაზნაურობის ძლიერება გასტეხა და დიდი, არსებითად ეროვნებაზე დაფუძნებული მონარქიები დაამკვიდრა, რომლებშიაც ევროპის თანამედროვე ერები და თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოება განვითარდა; და მაშინ როდესაც მოქალაქენი და თავად-აზნაურნი ჯერ კიდევ ერთმანეთს ეჩხუბებოდნენ, გერმანიის გლეხთა ომმა[3] წინასწარმეტყველურად მიუთითა მომავალ კლასობრივ ბრძოლებზე, ვინაიდან ამ ომმა სცენაზე გამოიყვანა არა მარტო აჯანყებული გლეხები, —ეს ახალი ამბავი აღარ იყო, — არამედ მათ უკან გამოჩნდნენ თანამედროვე პროლეტარიატის წინამორბედნი,

რომელთაც ხელში წითელი დროშა ეჭირათ და პირზე ქონების ერთიბის მოთხოვნა ეკერათ. ბიზანტიის დაცემისას გადარჩენილი ხელნაწერებიდან, რომის ნანგრევებიდან ამოთხრილი ანტიკური ქანდაკებებიდან გაკვირვებული დასავლეთის წინაშე წარმოდგა ახალი ქვეყანა, ბერძნული ანტიკურობა; მისი ნათელი სახეების წინაშე გაჰქრნენ შუა საუკუნეების მოჩვენებანი; იტალიაში ხელოვნებამ ჯერარნახულ აყვავებას მიაღწია, რომელიც მოგვეელინა როგორც კლასიკური ანტიკურობის ანარეკლი და რომლისთვისაც შემდეგში არასოდეს აღარ მიუღწევია. იტალიაში, საფრანგეთში, გერმანიაში წარმოიშვა ახალი, პირველი თანამედროვე ლიტერატურა; ამის შემდეგ მალე ინგლისმა და ესპანეთმა განიცადეს თავინთი ლიტერატურის კლასიკური ეპოქა. ძველი „Orbis terrarum"[4]-ის ზღუდეები გაირღვა; მხოლოდ ახლა იქნა დედამიწა ნამდვილად აღმოჩენილი; საფუძველი იქნა ჩაყრილი შემდგომი მსოფლიო ვაჭრობისათვის და ხელოსნობის მანუფაქტურაში გადასასვლელად, რაც თავის მხრივ თანამედროვე მსხვილი ინდუსტრიის გამოსავალ წერტილს წარმოადგენდა. ეკლესიის სულიერი დიქტატურა დაიმსხვრა; გერმანელ ხალხთა უმრავლესობამ პირდაპირ უკუაგდო იგი და პროტესტანტიზმი მიიღო, მაშინ როდესაც რომანულ ხალხებში უფრო და უფრო ფესვს იდგამდა არაბებისაგან გადმოღებული და ახლად აღმოჩენილი ბერძნული ფილოსოფიის მიერ ნასაზრდოები ნათელი, თავისუფალი აზროვნება, რომელიც მე-18 საუკუნის მატერიალიზმს ამზადებდა.

ეს იყო უდიდესი პროგრესული გადატრიალება, როგორიც კი მანამდე კაცობრიობას განუცდია, ეს იყო დრო, რომელსაც ბუმბერაზები ესაჭიროებოდა და რომელმაც ბუმბერაზები წარმოშვა, ბუმბერაზები აზრის სიძლიერით, გზნებითა და ხასიათით, მრავალმხრივობითა და განსწავლულობით. ადამიანები, რომლებიც ბურჟუაზიის თანამედროვე ბატონობას ამყარებდნენ, ყველაფერი იყვნენ, მაგრამ ბურჟუაზიულად შეზღუდულნი არ ყოფილან. პირიქით, მათ მეტნაკლებად აჩნდათ თავიანთი დროის ავანტიურისტული ხასიათი. იმ დროს არ ცხოვრობდა თითქმის არც ერთი ღირსშესანიშნავი ადამიანი, რომელიც შორეულ მოგზაურობაში არ ყოფილიყოს, რომელსაც ოთხ-ხუთ ენაზე ლაპარაკი არ შეძლებოდეს, რომელიც რამდენიმე სპეციალობაში ბრწყინვალედ არ გამოჩენილიყოს. ლეონარდო და ვინჩი მარტო დიდი მხატვარი რომ იყო, იგი ამასთან ერთად დიდი მათემატიკოსი, მექანიკოსი და ინჟინერიც იყო, რომლის წყალობით ფიზიკას სხვადასხვა ნაწილში მნიშვნელოვანი აღმოჩენები აქვს მოპოვებული; ალბრეხტ დიურერი იყო მხატვარი, გრავიორი, მოქანდაკე, ხუროთმოძღვარი და, გარდა ამისა, მან გამოიგონა ფორტიფიკაციის სისტემა, რომელიც უკვე შეიცავდა

ზოგ ისეთ იდეებს, რომლებსაც გაცილებით უფრო გვიან ხელახლა წამოაყენა მონტალამბერმა და უახლესმა გერმანულმა საფორტიფიკაციო მოძღვრებამ. მაკიაველი იყო სახელმწიფო მოღვაწე, ისტორიკოსი, პოეტი და ამასთანავე ახალი დროის პირველი, მოხსენების ღირსი, სამსედრო მწერალი. ლუთერმა გასწმინდა არა მარტო ეკლესიის ავგიას საჯინიბე, არამედ გერმანული ენისაც, მან შეჰქმნა თანამედროვე გერმანული პროზა და იმ გამარჯვების რწმენით სავსე ქორალის ტექსტი და მელოდია შეთხზა, რომელიც მე-16 საუკუნის მარსელიეზად იქცა. იმდროინდელი გმირები ჯერ კიდევ არ ჰყავდა დამონებული შრომის დანაწილებას, რომლის შემზღუდავ, გამაცალმხრივებელ ზეგავლენას ჩვენ ასე ხშირად ვამჩნევთ მათს შთამომავლობას. მაგრამ განსაკუთრებით დამახასიათებელი მათთვის მაინც ის არის, რომ ისინი თითქმის ყველანი მათი დროინდელი მოძრაობის შუაგულში ღრიალებენ, პრაქტიკულ ბრძოლაში არიან ჩაბმულნი, ამა თუ იმ პარტიის მხარეზე დგანან და მასთან ერთად იბრძვიან, ვინ სიტყვითა და ვინ კალმით, ვინ ხმლითა და ვინ კიდევ ორივეთი ერთად. აქედან წარმოდგება ხასიათის ის სისრულე და ძალა, რომელიც მათ მთლიანად ადამიანებად ხდის. კაბინეტის სწავლულნი გამონაკლისს შეადგენდნენ: ასეთნი იყვნენ ან მეორე და მესამე რანგის ადამიანები ანდა ფრთხილი ფილისტერები, რომელთაც თითების დაწვა არ სურთ.

ბუნების კვლევაც მაშინ საყოველთაო რევოლუციის ვითარებაში მიმდინარეობდა და თვითონაც თავიდან ბოლომდე რევოლუციური იყო: მას ჯერ კიდევ ბრძოლით უნდა მოეპოვებინა არსებობის უფლება. ხელიხელჩაკიდებული დიდ იტალიელებთან, რომლებითაც თარიღდება ახალი ფილოსოფიის დასაწყისი, იგი თავის წამებულთ იძლევა ინკვიზიციის კოცონებისა და საპყრობილეებისათვის. და დამახასიათებელია, რომ პროტესტანტებმა დაასწრეს კათოლიკებს ბუნების თავისუფალი კვლევის დევნაში. კალვინმა დასწვა სერვეტი, როდესაც ამ უკანასკნელს ის იყო უნდა აღმოეჩინა სისხლის მიმოქცევის პროცესი; ამასთან იგი ორი საათის განმავლობაში ცოცხლად იწვოდა კალვინის ბრძანებით. ინკვიზიცია ყოველ შემთხვევაში იმით დაკმაყოფილდა, რომ ჯორდანო ბრუნო უბრალოდ დასწვა.

რევოლუციური აქტი, რომლითაც ბუნების კვლევამ თავისი დამოუკიდებლობა გამოაცხადა და, თითქოს, ლუთერის მიერ პაპის ბულის დაწვა გაიმეორა, იმ უკვდავი ნაწარმოების გამოცემა იყო, რომლითაც კოპერნიკმა, თუმცა მოკრძალებით და, ასე ვთქვათ, მხოლოდ სიკვდილის სარეცელზე, საბრძოლველად გამოიწვია ეკლესიის ავტორიტეტი ბუნების საკითხებში. აქედან იწყება ბუნების კვლევის თეოლოგიისაგან განთავისუფლების თარიღი, თუმცა მათი ცალკეული საურთიერთო პრეტენზიების გარკვევამ ჩვენს დრომდეც კი მოაღწია და ზოგიერთის

თავში იგი დღესაც არ დამთავრებულა. მაგრამ ამავე დროიდან გიგანტური ნაბიჯებით წავიდა წინ აგრეთვე მეცნიერებათა განვითარებაც, რომელიც ძლიერდებოდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი გამოსავალი წერტილიდან (დროული) დაშორების კვადრატული პროპორციის შესაბამისად. თითქოს ქვეყნისათვის უნდა დაემტკიცებინათ, რომ ამიერიდან ორგანული მატერიის უმაღლესი პროდუქტისათვის, ადამიანის გონებისათვის ძალა აქვს მოძრაობის ისეთ კანონს, რომელიც არაორგანული ნივთიერების მოძრაობის შებრუნებულ კანონს წარმოადგენსო.

ბუნებისმეცნიერების ახლად დაწყებულ პირველ პერიოდში მთავარი სამუშაო ხელთარსებული მასალის დაუფლება იყო. ძალიან ბევრ სფეროში საქმე სრულიად დაუმუშავებელი ნედლი მასალით უნდა დაწყებულიყო. ანტიკურობამ ევკლიდე და პტოლომეს მზის სისტემა დაგვიტოვა, არაბებმა — ათწილადი აღნიშვნა, ალგებრის საწყისები, თანამედროვე რიცხვები და ალქიმია; ქრისტიანულ შუა საუკუნეებს კი სულ არაფერი დაუტოვებია. ამ ვითარებაში უელემენტარეს ბუნებისმეცნიერებას, მიწიერ და ციურ სხეულთა მექანიკას, აუცილებლად პირველი ადგილი უნდა დაეჭირა. ხოლო მის გვერდით და მის სამსახურში მათემატიკური მეთოდების აღმოჩენას და გაუმჯობესებას. აქ დიდი საქმეები შესრულდა. ამ პერიოდის დასასრულს, რომელიც ნიუტონისა და ლინეის სახელებითაა აღნიშნული, ჩვენ ვხედავთ, რომ მეცნიერების ეს დარგები გარკვეულ დასრულებამდეა მიყვანილი. ყველაზე არსებითი მათემატიკური მეთოდები ძირითად ხაზებში უკვე დადგენილია: ანალიზური გეომეტრია — უმთავრესად დეკარტეს მიერ, ლოგარითმები — ნეპერის მიერ, დიფერენციალური და ინტეგრალური აღრიცხვა — ლაიბნიცის მიერ და შეიძლება ნიუტონის მიერ. იგივე ითქმის მყარ სხეულთა მექანიკაზეც, რომლის მთავარი კანონები ერთხელ და სამუდამოდ გაშუქებული იყო. დასასრულ, მზის სისტემის ასტრონომიაში კეპლერმა აღმოაჩინა პლანეტათა მოძრაობის კანონები, და ნიუტონმა ეს კანონები ჩამოაყალიბა მატერიის მოძრაობის ზოგადი კანონების თვალსაზრისით. ბუნებისმეცნიერების სხვა დარგები ჯერ კიდევ ძალიან შორს იყვნენ ასეთი წინასწარი დასრულებულობისაგანაც კი. თხევადი და აირისებური სხეულების მექანიკა უფრო ამ პერიოდის დასასრულისათვის იქნა დამუშავებული*. საკუთრივ ფიზიკა ჯერ კიდევ ვერ გასცდა პირველ საწყისებს, ოპტიკის გამოკლებით, რომლის განსაკუთრებული მიღწევები ასტრონომიის პრაქტიკული საჭიროებით იყო გამოწვეული. ქიმია ის იყო განთავისუფლდა ალქიმიისაგან ფილოგისტონის თეორიის წყალობით. გეოლოგია ჯერ კიდევ არ გაშორებოდა მინერალოგიის ემბრიონულ საფეხურს; მაშასადამე, პალეონტოლოგია ჯერ არც შეიძლებოდა არსებულიყო. დასასრულ, ბიოლოგიის სფეროში ჯერ კიდევ არსებითად უზარმაზარი, რო-

გორც ბოტანიკური და ზოოლოგიური, ისე ანატომიური და საკუთრივ ფიზიოლოგიური, მასალის დაგროვებასა და პირველ სისტემატიზაციას ეწეოდნენ. ჯერ კიდევ თითქმის ლაპარაკიც არ შეიძლებოდა სიცოცხლის ფორმების ერთმანეთთან შედარებაზე, მათი გეოგრაფიული გავრცელების, მათი კლიმატოლოგიური და სხვა სასიცოცხლო პირობების გამოკვლევაზე. აქ მხოლოდ ბოტანიკამ და ზოოლოგიამ მიაღწია დაახლოებით დასრულებულობას ლინეის წყალობით.

ფრ. ენგელსი. „ბუნების დიალექტიკა". გვ. 7-11.

მაგრამ ის, რაც ამ პერიოდს განსაკუთრებით ახასიათებს, თავისებური საერთო მსოფლმხედველობის გამომუშავებაა, რომლის ცენტრს წარმოადგენს შეხედულება ბუნების აბსოლუტურ უცვლელობაზე. ამ შეხედულების თანახმად, რა გზითაც უნდა წარმოშობილიყო თვით ბუნება: იგი, ერთხელ მოცემული. თავისი არსებობის მანძილზე ისეთივე დარჩა, როგორიც იყო. პლანეტები და მათი თანამგზავრნი, იდუმალი „პირველი ბიძგით" ერთხელ მოძრაობაში მოყვანილნი, განაგრძობდნენ ბრუნვას მათთვის მიკუთვნილ ელიპსებზე მარადისობიდან მარადისობამდე, ანდა, ყოველ შემთხვევაში, ყველა ნივთთა დასასრულამდე. ვარსკვლავები სამუდამოდ მტკიცედ და უძრავად განისვენებდნენ თავიანთ ადგილებზე და ერთმანეთს ამ მდგომარეობაში „საყოველთაო მიზიდულობით" აჩერებდნენ. დედამიწა იმთავითვე თუ თავისი შექმნის დღიდან (თვალსაზრისის მიხედვით) უცვლელად ერთი და იგივე დარჩა. ქვეყნის ახლანდელი „ხუთი ნაწილი" ყოველთვის არსებობდა, ყოველთვის არსებობდნენ იგივე მთები, ველები და მდინარეები, იგივე ჰავა, იგივე ფლორა და ფაუნა, თუ არაფერს ვიტყვით იმაზე, რაც ადამიანის ხელს შეუცვლია ან გადაუნერგავს. მცენარეთა და ცხოველთა სახეები მათი წარმოშობისთანავე ერთხელ და სამუდამოდ იყო დადგენილი, თანაბარი მუდამ თანაბარს წარმოშობდა, და ისიც კი უკვე დიდი საქმე იყო, როდესაც ლინეი აღიარებდა, რომ აქა თუ იქ შეჯვარების გზით შეძლებისდაგვარად ახალი სახეები შეიძლება წარმოშობილიყვნენო. წინააღმდეგ კაცობრიობის ისტორიისა, რომელიც დროში ვითარდება, ბუნების ისტორიას მხოლოდ სივრცეში გაშლას მიაწერდნენ. უარყოფდნენ ყოველგვარ ცვლილებას, ყოველგვარ განვითარებას ბუნებაში. დასაწყისში ესოდენ რევოლუციური ბუნებისმეცნიერება უეცრივ თავიდან ბოლომდე კონსერვატული ბუნების წინაშე აღმოჩნდა, სადაც ყველაფერი დღესაც ისეა, როგორც თავიდან იყო და სადაც ყველაფერი სამყაროს დასასრულამდე თუ მარადისობამდე ისე უნდა დარჩენილიყო, როგორც დასაბამიდან იყო.

რამდენადაც მე-18 საუკუნის პირველი ნახევრის ბუნებისმეცნიერება ბერძნულ ანტიკურობაზე მაღლა იდგა ცოდნის მხრივ და თვით მასალის სისტემატიზაციის მხრივაც კი, ამდენადვე მასზე ბევრად დაბლა იდგა იგი ამ მასალების იდეური დაუფლების, ბუნების ზოგადი განვითარების თვალსაზრისით. ბერძენი ფილოსოფოსებისათვის სამყარო არსებითად ქაოსიდან წარმომდგარი რაღაც იყო, რაღაც განვითარებული, რაღაც ქმნილი. იმ პერიოდის ბუნების მკვლევართათვის კი, რომელსაც ჩვენ განვიხილავთ, სამყარო იყო რაღაც გაქვავებული, რაღაც უცვლელი, ხოლო უმეტესობისათვის ერთი დაკვრით გაკეთებული რაღაც. მეცნიერება ჯერ კიდევ ღრმად იყო ჩაფლული თეოლოგიაში. იგი ყველგან ეძებს და კიდევაც ჰპოვებს ბიძგს გარედან როგორც უკანასკნელ მიზეზს, რომელიც თვითონ ბუნებიდან ვერ აიხსნება. თუ ნიუტონის მიერ ზარზეიმით საყოველთაო გრავიტაციის სახელწოდებით მონათლული მიზიდულობა გაგებული იქნება როგორც მატერიის არსებითი თვისება, მაშინ საიდან მოდის აუხსნელი ტანგენციალური ძალა, რომელიც პირველად ანხორციელებს პლანეტების მოძრაობას ორბიტებზე? როგორ წარმოიშვნენ მცენარეთა და ცხოველთა უთვალავი სახეობანი? და განსაკუთრებით როგორ წარმოიშვა თვითონ ადამიანი, რომლის მიმართ მაინც მტკიცედ იყო დადგენილი, რომ იგი მარადისობიდან არ არსებობდა? ყველა ამგვარ კითხვებს ბუნებისმეცნიერება ხშირად მხოლოდ იმით პასუხობდა, რომ ყველა ამაებისთვის პასუხისმგებლად ყველა ნივთთა შემოქმედს აცხადებდა. ამ პერიოდის დასაწყისში კოპერნიკმა თეოლოგიას გამოსათხოვარი ბარათი მიართვა; ნიუტონი ამ პერიოდს ღვთაებრივი პირველი ბიძგის პოსტულატით ამთავრებს. უმაღლესი ზოგადი აზრი, სადამდისაც ამ ბუნებისმეცნიერებამ მიაღწია, იყო აზრი ბუნების დანაწესის მიზანშეწონილებისა, უშნო ვოლფიანური ტელეოლოგია, რომლის თანახმად კატები იმისათვის იქნა გაჩენილი, რომ თაგვები შეეჭამათ, თაგვები კი იმისათვის, რომ კატებს შეეჭამათ, ხოლო მთელი ბუნება იმისთვისაა შექმნილი, რომ შემოქმედის სიბრძნე დაემტკიცებინა. იმდროინდელი ფილოსოფიის უდიდეს დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ მან თავისი დროის ბუნებისმეცნიერული ცოდნის შეზღუდულ მდგომარეობას თავი შეცდომაში არ შეაყვანინა და სპინოზადან დაწყებული დიდ ფრანგ მატერიალისტამდე დაჟინებით ცდილობდა, რომ საყარო თვით მისგანვე აეხსნა, ხოლო ამის დეტალურ გამართლებას მომავლის ბუნებისმეცნიერებას უტოვებდა.

მეთვრამეტე საუკუნის მატერიალისტებსაც მე ჯერ კიდევ ამ პერიოდს მივაკუთვნებ, რადგან მათ განკარგულებაში არავითარი სხვა საბუნებისმეტყველო მასალა არ მოიპოვებოდა, გარდა ზემოთ აღწერილისა. კანტის ეპოქის შემქმნელი თხზულება მათთვის საიდუმლოებად დარჩა, ლაპლა-

სი კი მათ შემდეგ მოვიდა დაგვიანებით. ნუ დავივიწყებთ, რომ თუმცა მეცნიერების წინსვლამ ყველა კუთხესა და გზაჯვარედინზე სრულიად შეარყია ეს მოძველებული შეხედულება ბუნებაზე, მაგრამ იგი მაინც მეცხრამეტე საუკუნის მთელს პირველ ნახევარზე ბატონობდა და არსებითად ახლაც ისწავლება ყველა სკოლაში.[1]

ეს გაქვავებული შეხედულება ბუნებაზე პირველად გაარღვია არა ბუნების მკვლევარმა, არამედ ფილოსოფოსმა. 1755 წელს გამოქვეყნდა კ ა ნ ტ ი ს „ცის ზოგადი ბუნებრივი ისტორია და თეორია". პირველი ბიძგის საკითხი უკუგდებულ იქნა; დედამიწა და მთელი მზის სისტემა მოგვევლინა როგორც დროის მიმდინარეობაში შ ე ქ მ ნ ი ლ ი რ ა ს. ბუნებისმკვლევართა დიდი უმრავლესობა რომ ნაკლებად ყოფილიყო ზიზღით გამსჭვალული აზროვნების მიმართ, რაც ნიუტონმა გამოთქვა გაფრთხილებით: ფიზიკავ, ერიდე მეტაფიზიკასო! — მაშინ მათ კანტის მარტო ამ ერთი გენიალური აღმოჩენიდან ისეთი დასკვნები უნდა გამოეყვანათ, რომლებიც მათ დაუსრულებელ მრუდ გზებზე ხეტიალისაგან გაანთავისუფლებდა და მცდარი მიმართულებით დახარჯულ უამრავ დროსა და შრომას დააზოგვინებდა. ვინაიდან კანტის აღმოჩენაში მართლაც მოიპოვებოდა გამოსავალი წერტილი მთელი შემდგომი წინსვლისათვის. თუ დედამიწა შექმნილი რამ იყო, მაშინ მისი აწმყო გეოლოგიური, გეოგრაფიული, კლიმატური მდგომარეობაც, მისი მცენარეები და ცხოველებიც აგრეთვე შექმნილი რამ უნდა ყოფილიყვნენ, მას ისტო-

---

[1] თუ როგორ შეურყეველად შეეძლო ჯერ კვიდევ 1861 წელს ეს შეხედულება გაეზიარებინა ისეთ ადამიანს, რომლის მეცნიერული მიღწევები უაღრესად მნიშვნელოვან მასალას იძლეოდნენ ამ შეხედულების დასაძლევად, ამას გვიჩვენებს შემდეგი კლასიკური სიტყვები:

„ჩვენი მზის სისტემის მთელი აგებულება, რამდენადაც მისი განვრცტა შეგვიძლია, მიმართულია არსებულის დაცვისაკენ და მისი უცვლელი გახანგრძლივებისაკენ. ისე როგორც დედამიწაზე არც ერთი ცხოველი, არც ერთი მცენარე უძველესი დროიდან დღემდე არ გამხდარა უფრო სრულქმნილი, ანდა საერთოდ არ გამხდარა სხვა რამ, ისე როგორც ყველა ორგანიზმში საფეხურებრივ თანმიმდევრობას მხოლოდ ერთი მეორის გ ვ ე რ დ ი თ ვხედებით და არა ერთი მეორის შ ე მ დ ე გ, ისე როგორც ჩვენი საკუთარი მოდგმა სხეულებრივი მიმართებით სულ ერთი და იგივე დარჩა, — სწორედ ასევე სამყაროს თანაარსებული სხეულების თვით უდიდესი მრავალსახიანობა უფლებას არ გვაძლევს ვაღიაროთ, რომ ეს ფორმები მხოლოდ განვითარებას სხვადასხვა საფეხურები არიან, პირიქით, ყოველივე შექმნილი ე რ თ ნ ა ი რ ა დ სრულქმნილია თავის თავში" (მ ე დ ლ ე რ ი. „პოპულარული ასტრონომია", ბერლინი, 1861, გამოც. 5, გვ. 316) [ე ნ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა].

ამ გვერდის არეზე იქვე ფანქრით მიწერილია: „ბუნებაზე ძველი შეხედულების ურყევობა ნიადაგს იძლეოდა მთელი ბუნებისმეცნიერების ერთი მთლიანობის სახით ზოგადი და შემაჯამებელი განხილვისათვის: ფრანგი ენციკლოპედისტები ჯერ კიდევ წმინდა მექანიკურად ერთი მეორის გვერდით; — შემდეგ ერთსა და იმავე დროს სენ-სიმონი და გერმანული ნატურფილოსოფია, ჰეგელის მიერ დამთავრებული". — რ ედ

რია უნდა ჰქონებოდა, არა მარტო სივრცეში ერთი მეორის გვერდიო, არამედ დროშიაც ერთი მეორის შემდეგ. ამ მიმართულებით მაშინვე გაბედულად რომ ეწარმოებინათ კვლევა-ძიებანი, ბუნებისმეცნიერება დღეს მნიშვნელოვნად წინ იქნებოდა წასული. ვიდრე არის. მაგრამ აბა რა სიკეთე შეიძლებოდა ფილოსოფიიდან წარმომდგარიყო? კანტის თხზულება ისე დარჩა, რომ უშუალო შედეგი არ მოჰყოლია იქამდე, ვიდრე ხანგრძლივი წლების შემდეგ ლაპლასი და ჰერშელი მის შინაარსს განავითარებდნენ და უფრო ზედმიწევნით დაასაბუთებდნენ და ამით „ნისლოვანების ჰიპოთეზს" თანდათან პატივისცემასა და აღიარებას მოუპოვებდნენ. შემდეგმა აღმოჩენებმა ამ ჰიპოთეზს საბოლოოდ გამარჯვება მიანიჭა. მათ შორის უმნიშვნელოვანესი იყო. უძრავ ვარსკვლავთა საკუთარი მოძრაობის დადგენა, სამყაროს სივრცეში წინამღობი გარემოს არსებობის დამტკიცება, სპექტალური ანალიზით დადგენილი ქიმიური იგივეობა მსოფლიო მატერიისა და ისეთი გავარვარებული ნისლოვანი მასების არსებობა, როგორც მათ კანტი გულისხმობდა[2].

მაგრამ შეიძლება დავეჭვდეთ იმაში, რომ ბუნების მკვლევართა უმრავლესობას ასე მალე შეეგნო ეს წინააღმდეგობა ცვალებად დედამიწასა და მასზე არსებულ ვითომდა უცვლელ ორგანიზმებს შორის, უკეთუ სხვა მხრიდან არ მიეღო დახმარება შეგნების გზაზე დამდგარ იმ შეხედულებას, რომ ბუნება არა მარტო ა რ ს ე ბ ო ბ ს, არამედ ქ მ ნ ა დ ო ბ ი ს ა დ ა წ ა რ მ ა ვ ლ ო ბ ი ს პროცესშია. წარმოიშვა გეოლოგია და მან აღმოაჩინა არა მარტო ერთი მეორის შემდეგ შექმნილი და ერთი მეორეზე დალაგებული ფენები მიწისა, არამედ მანვე აღმოაჩინა ამ ფენებში დაცული ნიჟარები და ჩონჩხები უკვე ამომწყდარ ცხოველთა, ღეროები, ფოთლები და ნაყოფები ისეთ მცენარეთა, რომლებიც დღეს აღარ გვხვდებიან. უნდა გაებედათ და ეღიარებინათ, რომ არა მარტო საერთოდ და მთლიანად აღებულ დედამიწას ჰქონოდა დროში გაშლილი ისტორია, არამედ მის ახლანდელ ზედაპირსაც და მასზე მცხოვრებ მცენარეებსა და ცხოველებსაც. თავიდან ამის აღიარება საკმაოდ უხალისოდ ხდებოდა. კიუვიეს თეორია დედამიწის რევოლუციების შესახებ რევოლუციური იყო ფრაზით, საქმით კი რეაქციული. ერთი ღვთაებრივი შემოქმედების ადგილას ეს თეორია განმეორებითი შემოქმედების აქტების მთელ რიგს აყენებდა და სასწაულს ბუნების არსებით ბერკეტად ხდიდა. პირველად მხოლოდ ლიაიელმა შეიტანა საღი გაგება გეოლოგიაში იმით, რომ უეცარი, შემოქმედის ჟინით გამო-

---

[2] გვერდზე მიწერილია ფანქრით: „ასევე კანტის მიერ აღმოჩენილი მიმოქცევის ტალღის დამამუხრუჭებელი მოქმედება დედამიწის ბრუნვაზე მხოლოდ ახლაა შეგნებულ-შეთვისებული". — რ ე დ.

წვეული რევოლუციები შესცვალა დედამიწის ნელი გარდაქმნის თანდათანობითი მოქმედებით[3].

დიაიელის თეორია კიდევ უფრო შეუთავსებელი იყო მუდმივი ორგანული სახეების აღიარებასთან, ვიდრე ყველა მისი წინამორბედი თეორიები. დედამიწის ზედაპირისა და ყველა სასიცოცხლო პირობების თანდათანობითი გარდაქმნის აზრს პირდაპირ მიჰყავდა ადამიანი ორგანიზმების თანდათანობითი გარდაქმნისა და მათი ცვალებად გარემოსთან შეგუების, სახეთა ცვალებადობის მოძღვრებამდე. მაგრამ ტრადიცია ძალას წარმოადგენს არა მარტო კათოლიკურ ეკლესიაში, არამედ ბუნებისმეცნიერებაშიც. თვითონ ლიაიელი მრავალი წლის მანძილზე ვერ ამჩნევდა ამ წინააღმდეგობას, ხოლო მისი მოწაფეები კიდევ უფრო ნაკლებ ხედავდნენ მას. ეს აიხსნება მხოლოდ იმ ხანებში ბუნებისმეცნიერებაში გაბატონებული შრომის დანაწილებით, რომელიც თვითეულ მკვლევარს მეტ-ნაკლებად მისი სპეციალური დარგით ზღუდავდა და მხოლოდ მცირეოდენს-ღა შერჩენოდა ზოგადისა და მთლიანის მიმოხილვის უნარი.

ამასობაში ფიზიკა ძალიან წინ წავიდა, რომლის შედეგებიც სამეა სხვადასხვა ადამიანმა თითქმის ერთდროულად შეაჯამა ბუნების კვლევის ამ დარგისათვის ეპოქის შემქმნელ 1842 წელს. მაიერმა ჰაილბრონნში და ჯოულმა მანჩესტერში დაამტკიცეს სითბოს გარდაქმნა მექანიკურ ძალად და მექანიკური ძალის სითბოდ გარდაქმნა. სითბოს მექანიკური ეკვივალენტის დადგენამ ეს შედეგი ყოველ ეჭვს გარეშე დააყენა. იმავე დროს გროვმა, პროფესიით არა ბუნების მკვლევარმა არამედ ინგლისელმა ადვოკატმა, ფიზიკის მიერ უკვე მიღწეული ცალკეული შედეგების უბრალო გადამუშავებით დაამტკიცა ის ფაქტი, რომ ყველა ეგრეთწოდებული ფიზიკური ძალა, მექანიკური ძალა, სითბო, სინათლე, ელექტრობა, მაგნეტიზმი და თვით ეგრეთწოდებული ქიმიური ძალაც კი განსაზღვრულ პირობებში ერთი მეორეში გადადიან, და ეს ისე ხდება, რომ ძალის არავითარ დაკარგვას ადგილი არა აქვს; ამრიგად, მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა დამატებით ფიზიკური მეთოდების გზით დეკარტეს დებულება, რომ სამყაროში არსებულ მოძრაობათა რაოდენობა უცვლელია. ამით განსაკუთრებული ფიზიკური ძალები, ფიზიკის, ასე ვთქვათ, უცვლელი „სახეები", მატერიის სხვადასხვაგვარად დიფერენცირებულ, გარკვეული კანონებით ერთმანეთში გარ-

---

[3]ლიაიელის შეხედულების ნაკლი — ყოველ შემთხვევაში მისი პირველი ფორმით მაინც — იმაში მდგომარეობდა, რომ დედამიწაზე მოქმედი ძალები მას გაგებული ჰქონდა როგორც მუდმივი, — მუდმივი როგორც თვისებრიობის, ისე რაოდენობის მიხედვით. დედამიწის გაცივება მისთვის არ არსებობს, დედამიწა არ ვითარდება გარკვეული მიმართულებით, იგი იცვლება მხოლოდ ყაშირმოკლებული, შემთხვევითი წესით [ენგელსის შენიშვნა].

დამავალ მოძრაობის ფორმებად იქცნენ. ამდენი და ამდენი ფიზიკური ძალების არსებობის შემთხვევითობა მეცნიერებიდან იმით იქნა განდევნილი, რომ დამტკიცებული იქნა მათი ურთიერთკავშირი და გადასვლები. ფიზიკა, ისევე როგორც უფრო ადრე ასტრონომია, იმ შედეგამდე მივიდა, რომელიც აუცილებლობით მიუთითებდა მოძრავი მატერიის მარად წრებრუნვაზე, როგორც მეცნიერების უკანასკნელ დასკვნაზე.

ქიმიის განსაცვიფრებლად სწრაფმა განვითარებამ ლავუაზიეს და განსაკუთრებით დალტონის შემდეგ ბუნების ძველ წარმოდგენებს სხვა მხრიდან შეუტია. არაორგანული გზით ისეთი ქიმიური ნაერთების მიღებამ, რომლებიც აქამდე მხოლოდ ცოცხალ ორგანიზმში წარმოიშობოდნენ, დაამტკიცა, რომ ქიმიის კანონებს ორგანული სხეულებისათვის იგივე ძალა აქვთ, რაც არაორგანული სხეულებისათვის და ამით ამოავსო არაორგანულ და ორგანულ ბუნებას შორის არსებული იმ უფსკრულის დიდი ნაწილი, რომელიც ჯერ კიდევ კანტიდან მოკიდებული მარად გარდუვალ უფსკრულად იყო აღიარებული.

დასასრულ, აგრეთვე ბიოლოგიური კვლევა-ძიების სფეროში სისტემატურად მოწყობილმა სამეცნიერო მოგზაურობებმა და ექსპედიციებმა, სახელდობრ, გასული საუკუნის [ე. ი. XVIII] შუა წლებიდან მსოფლიოს ყველა ნაწილში ევროპის კოლონიების უფრო ზუსტმა შესწავლამ იქ მცხოვრები სპეციალისტების მხრივ, შემდეგ, პალეონტოლოგიის მიღწევებმა, საერთოდ ანატომიისა და ფიზიოლოგიის მიღწევებმა, განსაკუთრებით მიკროსკოპის სისტემატური გამოყენებისა და უჯრედის აღმოჩენის შემდეგ, იმდენი მასალა დააგროვა, რომ შედარებითი მეთოდის გამოყენება შესაძლებელი და ამავე დროს აუცილებელი გახდა[4] ერთი მხრივ, შედარებითი ფიზიკური გეოგრაფიის მიერ დადგენილ იქნა სხვადასხვა ფლორებისა და ფაუნების სიცოცხლის პირობები, მეორე მხრივ, სხვადასხვა ორგანიზმები მათი ჰომოლოგიური ორგანოების მიხედვით ერთმანეთთან იქნენ შედარებული და სახელდობრ არა მარტო სიმწიფის ასაკში, არამედ მათი განვითარების ყველა საფეხურზე. რაც უფრო ღრმად და ზუსტად ტარდებოდა ეს გამოკვლევა, მათ უფრო ხელში უქრებოდათ მათ უცვლელად ფიქსირებული ორგანული ბუნების ის გაქვავებული სისტემა. არათუ მცენარეთა და ცხოველთა ცალკეული სახეები სულ უფრო და უფრო ერთმანეთში გადადიოდნენ, არამედ ისეთი ცხოველებიც ამოტივტივდნენ, როგორც მაგალითად ამფიოქსი და ლეპიდოსირენი[5], რომლებიც ყველა მანამდე არსებულ კლასიფიკაციას[5] სასაცილო მდგომარეობაში აყენებდნენ; ბოლოს, ისეთ ორგანიზმებს წააწყდნენ, რომლებზეც იმის თქმაც კი აღარ

---

[4]ხელნაწერის არეზე ამ სტრიქონის გასწვრივ ფანქრით მიწერილია: „ემბრიოლოგია“. რ ე დ.

შეიძლებოდა, მცენარეთა სამეფოს ეკუთვნოდნენ, თუ ცხოველთა სამეფოს. პალეონტოლოგიური არქივის ხარვეზები უფრო და უფრო ამოიკვსო და ამან უკიდურესი მოწინააღმდეგენიც კი აიძულა ეცნოთ დამაჯერებელი პარალელიზმი, რომელიც საერთოდ და მთლიანად ორგანული სამყაროს განვითარების ისტორიასა და ცალკეული ორგანიზმის განვითარების ისტორიას შორის არსებობს, ე. ი. ეცნოთ არიადნას ძაფი იმ ლაბირინტიდან რომ გამოიყვანდა, რომელშიაც, როგორც ჩანდა, სულ უფრო მეტად და მეტად აბნეოდა გზა ბოტანიკასა და ზოოლოგიას. დამახასიათებელია, რომ მზის სისტემის მარადისობის მოძღვრებაზე კანტის თავდასხმის თითქმის ერთდროულად კ. ფ. ვოლფმა 1759 წელს პირველი თავდასხმა მოახდინა სახეების მუდმივობის თეორიაზე და სახეთა წარმოშობის მოძღვრება გამოაცხადა. მაგრამ ის, რაც მასთან ჯერ კიდევ გენიალური წინასწარმეტყველება იყო, მან ოკენის, ლამარკის, ბერის შემოქმედებაში გარკვეული მტკიცე ფორმა მიიღო და სწორედ ასი წლის შემდეგ, 1859 წელს, იგი დარვინმა ძლევამოსილად განახორციელა. თითქმის ერთდროულად დადასტურდა, რომ პროტოპლაზმა და უჯრედი, რომლებიც ადრე ყველა ორგანიზმის ფორმათა უკანასკნელ შემადგენელ ნაწილებად იყო აღიარებული, გვხვდებიან აგრეთვე როგორც დამოუკიდებლად მცხოვრები უდაბლესი ორგანული ფორმები. ამით უფსკრული არაორგანულ და ორგანულ ბუნებას შორის მინიმუმამდე იქნა დაყვანილი, აგრეთვე თავიდან იქნა აცილებული ერთი ყველაზე არსებითი სიძნელე, რომელიც აქამდე ორგანიზმთა წარმოშობის თეორიას წინ ეღობებოდა. ახალი ბუნებისმეცნიერული შეხედულება მის ძირითად ხაზებში მზად იყო: ყოველი გაყინული დენადი გახდა, ყოველი უძრავი აქროლვადი, ყოველი სამარადისოდ მიჩნეული კერძოობა წარმავალი აღმოჩნდა, დამტკიცდა, რომ მთელი ბუნება მარად მდინარებასა და წრებრუნვაში მოძრაობს.

— —

და, ამრიგად, ჩვენ კვლავ დავუბრუნდით ბერძნული ფილოსოფიის დიდ ფუძემდებელთა თვალსაზრისს, რომ მთელი ბუნება, უმცირესი ნაწილებიდან დაწყებული უდიდესამდე. პაწია კენჭიდან მზემდე, პროტისტიდან ადამიანამდე, მაგრამ წარმოშობასა და წარმავალობაში, შეუწყვეტელ მდინარებაში, დაუდგრომელ მოძრაობასა და ცვალებადობაში იმყოფება. მხოლოდ იმ არსებითი განსხვავებით, რომ ის, რაც ბერძნებში გენიალური ინტუიცია იყო, ჩვენში მკაცრი მეცნიერული, ცდაზე დამყარებული კვლევის შედეგი არის, და ამიტომაც ბევრად უფრო გარკვეული და ნათელი ფორმით გამოდის. მართალია, ამ წრიული ბრუნვის ემპირიული დასაბუთება ჯერ კიდევ მთლიანად ვერ არის ხარვეზე-

---

[5] არეზე ამ სტრიქონის გასწვრივ ფანქრით მიწერილია: „ცერატოდესი. იგივე არქეოპტერიქსი და ა. შ.“ — რ ე დ.

ბისაგან თავისუფალი, მაგრამ ეს ხარვეზები უმნიშვნელონია იმასთან შედარებით. რაც უკვე მტკიცედ არის დადგენილი და ამასთან ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო ხდება მათი შევსება. და როგორ შეიძლებოდა ეს დასაბუთება დეტალებში ხარვეზებისაგან თავისუფალი ყოფილიყო, თუ დავუფიქრდებით, რომ მეცნიერების უარსებითესი დარგები — ტრანსპლანეტარული ასტრონომია, ქიმია გეოლოგია — მეცნიერული არსებობის ერთ საუკუნესაც ძლივს ითვლიან, შედარებითი მეთოდები ფიზიოლოგიაში კი — ძლივს ორმოცდაათ წელს, ხოლო სიცოცხლის თითქმის ყოველგვარი განვითარების ძირითადი ფორმა, უჯრედი, ორმოცი წელიწადიც არაა, რაც აღმოჩენილია![11].

ფრ. ენგელსი. „ბუნების დიალექტიკა. გვ. 11—19.

3. ათეიზმის ბუნებისმეცნიერული დასაბუთება

ადამიანიც დიფერენცირების გზით წარმოიშობა და არა მარტო ინდივიდუალურად, — ვითარდება რა ერთადერთი კვერცხოვანი უჯრედიდან დიფერენცირების გზით იმ ურთულეს ორგანიზმამდე, რომელსაც ბუნება წარმოშობს, — არამედ ისტორიულადაც. როდესაც ათასწლოვანი ჭიდილის შემდეგ საბოლოოდ მოხდა ხელის დიფერენცირება ფეხისაგან და ამართული სვლა დამკვიდრდა, მაშინ ადამიანი მაიმუნს გამოეყო და დანაწევრებულ მეტყველებასა და ტვინის მძლავრ განვითარებას საფუძველი ჩაეყარა, რამაც მას შემდეგ უფსკრული ადამიანსა და მაიმუნს შორის გაუვალი გახადა. ხელის სპეციალიზაცია იარაღის გაჩენას ნიშნავს, იარაღი კი ნიშნავს სპეციფიკურ ადამიანურ მოქმედებას, ე. ი. ადამიანის გარდამქმნელ უკუმოქმედებას ბუნებაზე, — წარმოებას. იარაღები, სიტყვის ვიწრო გაგებით, ცხოველებსაც აქვთ, მაგრამ როგორც მხოლოდ საკუთარი სხეულის ასოები: ჭიანჭველებს, ფუტკრებს, წავებს; ცხოველებიც აწარმოებენ, მაგრამ მათი მწარმოებლური ზემოქმედება გარემო ბუნებაზე ამ უკანასკნელთან შედარებით ნულს უდრის. მხოლოდ ადამიანმა შეძლო ბუნებისათვის თავისი დაღი დაესვა, ამასთან მან არა მარტო მცენარეებსა და ცხოველებს შეუცვალა ადგილი, არამედ მან შეცვალა აგრეთვე თავისი საცხოვრებელი ადგილის გარეგანი სახე და ჰავა, თვით მცენარეები და ცხოველებიც კი ისე შეცვალა, რომ მისი მოღვაწეობის შედეგები მხოლოდ დედამიწის საყოველთაო სიკვდილთან ერთად შეიძლება გაჰქრეს. ეს მან შეძლო და სისრულეში მოიყვანა უპირველეს ყოვლისა და არსებითად ხელის საშუალებით. თვით ორთქლის მანქანაც კი, რომელიც დღემდე მისი უძლიერესი იარაღია ბუნების გარდასაქმნელად, საბოლოო ანგარიშით, როგორც იარაღი, დამყარებულია ხელის მოქმედებაზე. მაგრამ ხე-

ლის განვითარების კვალდაკვალ თავიც ვითარდებოდა, წარმოიშვა პირველად ცალკეული პრაქტიკულად სასარგებლო ეფექტების პირობების შეგნება და შემდეგ კი, ამის საფუძველზე, უფრო ხელსაყრელ პირობებში მყოფ ხალხებში განვითარდა ბუნების იმ კანონების გაგება, რომლებიც ამ პრაქტიკულ სასარგებლო ეფექტებს განაპირობებენ. ხოლო ბუნების კანონების სწრაფად მზარდ ცოდნასთან ერთად იზრდებოდა ბუნებაზე უკუზემოქმედების საშუალებანიც; მარტო ხელი ორთქლის მანქანას ვერასოდეს ვერ შეჰქმნიდა, თუ ხელთან ერთად, მის გვერდით და ნაწილობრივ მისი მეოხებით შესაფერად არ განვითარდებოდა ადამიანის ტვინიც.

ფრ. ენგელსი. „ბუნების დიალექტიკა". გვ. 21—22.

ცხოველთა ნორმალური არსებობა მოცემულია იმ მათთვის ერთდროულ პირობებში, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ და რომლებსაც ისინი ეგუებიან; ადამიანის არსებობის პირობები, როგორც კი იგი ცხოველს გამოეყო, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, არასოდეს არ არსებულა მზამზარეული სახით; ეს პირობები პირველად მხოლოდ მომავალი ისტორიული განვითარებით უნდა გამომუშავებულიყო. ადამიანი ერთადერთი ცხოველია, რომელსაც შრომის წყალობით შეუძლია წმინდა ცხოველურ მდგომარეობას გამოეყოს — მისი ნორმალური მდგომარეობაა ის, რაც მის ცნობიერებას შეესაბამება და თვით მან უნდა შექმნას.

ფრ. ენგელსი. „ბუნების დიალექტიკა". გვ. 201.

სიცოცხლე და სიკვდილი[2]. ახლაც უკვე მეცნიერულად არ შიაჩნიათ ის ფიზიოლოგია, რომელიც სიკვდილს არ განიხილავს როგორც სიცოცხლის არსებით მომენტს (შენიშვნა: ჰეგელი, „ენციკლოპედია", I, გვ. 152-153)[3], რომელსაც არ ესმის, რომ სიცოცხლის უარყოფა არსებითად თვითონ სიცოცხლეშია, ასე რომ სიცოცხლე ყოველთვის გაიაზრება იმ თავის აუცილებელ შედეგთან, სიკვდილთან მიმართებაში, რომელიც მასში მუდამ არის ჩანასახის სახით. სიცოცხლის დიალექტიკური გაგება სწორედ ეს არის და სხვა არაფერი. მაგრამ ვინც ეს ერთხელაც არის უკვე გაიგო, მისთვის ყოველგვარი ლაპარაკი სულის უკვდავებაზე თავიდან აცილებულია. სიკვდილი ან ორგანული სხეულის დაშლაა, თავის შემდეგ რომ აღარაფერს ტოვებს, გარდა იმ ქიმიური შემადგენელი ნაწილებისა, რომლებიც მის სუბსტანციას შეადგენენ, ანდა თავის შემდეგ ის ტოვებს სიცოცხლის რაღაც პრინციპს, მეტ-ნაკლებად სულის იდენტურ რაღაცას, რაც ყველა ცოცხალ ორგანიზმს მოიჭამს და არა მარტო ადამიანს. მაშასადამე, აქ საკმარისია

უბრალო გარკვევა დიალექტიკის საშუალებით სიცოცხლისა და სიკვდილის ბუნების შესახებ, რათა ძველთა ძველი ცრუმორწმუნეობა გაიფანტოს. სიცოცხლე ნიშნავს სიკვდილსაც.

ფრ. ენგელსი. „ბუნების დიალექტიკა". გვ. 312—313.

4. რელიგიური წინასწარმეტყველება და მეცნიერული წინასწარხედვა

არსებობს ხალხის ცნობიერებაში გადასული დიალექტიკის ძველი დებულება, რომ უკიდურესობანი ერთმანეთს თანხვდებიანო. ამიტომ ძნელად თუ შევცდებით, თუ უკიდურეს ფანტაზიორობას, მალემრწმენობასა და ცრუმორწმუნეობას მოვძებნით არა იმ ბუნებისმეცნიერულ მიმართულებაში, რომელიც, გერმანული ბუნებისფილოსოფიის მსგავსად, ცდილობდა ობიექტური ქვეყანა თავისი სუბიექტური აზროვნების ჩარჩოებში ჩაეტევა, არამედ, პირიქით, იმ მოპირისპირე მიმართულებაში, რომელიც მარტო ცდით ყოყოჩობს, აზროვნებას უაღრესი ათვალწუნებით ეპყრობა და რომელმაც უაზრობაში მართლაც ყველაზე შორს შესტოპა. ეს სკოლა ინგლისში ბატონობს. ჯერ კიდევ ამ სკოლის მამამთავარი, დიდად სახელგანთქმული ფრენსის ბეკონი მოითხოვდა, რომ მისი ახალი ემპირიული, ინდუქტიური მეთოდი გამოყენებული ყოფილიყო, უპირველეს ყოვლისა, შემდეგ მიზანთა მისაღწევად: სიცოცხლის გასახანგრძლივებლად, გასაახალგაზრდავებლად გარკვეული ხარისხით, ტანის, აგებულებისა და სახის ნაკვთების შესაცვლელად, სხეულთა სხვა სხეულებად გარდასაქმნელად, ახალი სახეების შესაქმნელად, ჰაერზე მბრძანებლობისა და უამინდობის გამოსაწვევად; ის ჩივის იმის გამო, რომ ამგვარი კვლევა-ძიებანი მიატოვეს, და თავის ბუნების ისტორიაში ფორმალურ რეცეპტებს იძლევა ოქროს გასაკეთებლად და სხვადასხვა სასწაულის მოსახდენად. ასევე ისააკ ნიუტონიც თავისი მოხუცებულობის წლებში ბევრს მუშაობდა „იოანეს გამოცხადების განმარტებაზე. ამრიგად, გასაკვირი არაა, თუ უკანასკნელ წლებში ინგლისური ემპირიზმი, ზოგიერთი თავისი წარმომადგენლის — და არც თუ ისე ცუდი წარმომადგენლის — სახით ამერიკიდან გადმოტანილი სულთა გამოძახებისა და სულთამხილაობის თითქოსდა უიმედო მსხვერპლი გამხდარა.

ამათ შორის პირველი ბუნებისმკვლევარი გახლავთ ფრიად დამსახურებული ზოოლოგი და ბოტანიკოსი ალფრედ რესელ უოლესი, სწორედ იგი, ვინც დარვინთან ერთდროულად წამოაყენა ბუნებრივი შერჩევის გზით სახეთა შეცვლის თეორია. თავის წიგნაკში: "On Miracles and Modern Spiritualism", London, Burns², 1875.

ის მოგვითხრობს, რომ მისი პირველი ცდები ბუნებისმცოდნეობის ამ დარგში 1884 წლიდან იწყება, როდესაც ის ესწრებოდა ბატონ სპენსერ ჰოლის ლექციებს მესმერიზმის შესახებ და ამის შედეგად მანაც თავის მოწაფეებზე ჩაატარა ანალოგიური ექსპერიმენტები. „მე უალრესად დაინტერესებული ვიყავი ამ საგნით და დიდი გულმოდგინებითაც (ardour) მივყავი ხელი“ [გვ. 119]. ის ასოთაგაშეშებისა და ადგილობრივი შეუგრძნობელობის მოვლენებთან ერთად იწვევდა არა მარტო მაგნეტურ ძილს, არამედ მან დაამტკიცა აგრეთვე გალის თავისქალას რუკის სისწორე, რადგან გალის ყოველი ორგანოს შეხებისას მაგნეტიზებულ პაციენტებში შესაფერ მოქმედებას აღძრავდა, რაც გამოიხატებოდა გაცხოველებული და სათანადო ჟესტიკულაციით. შემდეგ, მან დაადგინა, რომ მისი პაციენტი ოპერატორის ყველა შეგრძნებებს განიცდიდა უბრალო შეხებისთანავე: ერთი ჭიქა წყლით დაათრო. როგორც კი უთხრა, რომ ეს კონიაკიაო. ერთი თავისი შეგირდი მან ფხიზელ მდგომარეობაშიც კი იმდენად გამოაყეყეჩა, რომ თავისი სახელიც აღარ იცოდა, რასაც სხვა მასწავლებლები უმესმერიზმოდაც აკეთებენ. და ასე შემდეგ.

და აი ისე მოხდა, რომ მეც ვნახე ეს ბატონი სპენსერ ჰოლი 1843—44 წლის ზამთარს მანჩესტერში. იგი სრულიად ჩვეულებრივი შარლატანი გახლდათ, რომელიც ზოგიერთი ხუცესის მფარველობით მთელს ქვეყანაში დაძრწოდა და ერთ ახალგაზრდა ქალიშვილზე მაგნეტურ-ფრენოლოგიურ საჩვენებელ ცდებს ატარებდა იმისათვის, რომ ამ გზით დაემტკიცებინა ღმერთის არსებობა, სულის უკვდავება და არარაობა მატერიალიზმისა, რომელსაც მაშინ ჰქადაგებდნენ ოუენისტები ყველა დიდ ქალაქში. ეს ქალი მაგნეტური ძილის მდგომარეობაში მოჰყავდა და როგორც კი ოპერატორი მისი თავის ქალას რომელიმე გალის ორგანოს შეეხებოდა ქალი საზოგადოებას უმასპინძლდებოდა თეატრალურ-დემონსტრაციული ჟესტითა და პოზით, რომელიც სათანადო ორგანოს მოქმედებას გამოხატავდა; მაგალითად, როდესაც იგი ბავშვისადმი სიყვარულის ორგანოს (philoprogenitiveness) ეხებოდა, ქალი წარმოსახულ ბავშვს ეალერსებოდა და ჰკოცნიდა და ა. შ. ამასთანავე მარჯვე ჰოლმა გალის თავისქალას გეოგრაფია ახალი კუნძულით — ბარატარიათი[3]—გაამდიდრა: სახელდობრ, სულ ზემოთ საქოჩრეზე მან აღმოაჩინა ლოცვის ორგანო, რომლის შეხების დროს მისი ჰიპნოტიზებული ქალიშვილი მუხლთ მოიდრეკდა, გულ-ხელს დაიკრეფდა და იქ შეკრეფილ გაკვირვებულ ფილისტერებს მხურვალე ლოცვით აღტაცებულ ანგელოზს წარმოუდგენდა. ეს იყო წარმოდგენის დასკვნა და უმაღლესი ბრწყინვალე წერტილი. ღმერთის არსებობაც დამტკიცებული იყო.

მეცა და ჩემს ერთ ნაცნობსაც იგივე ამბავი დაგვემართა, რაც ბატონ უოლესს: ჩვენც დაგვაინტერესა ამ მოვლენებმა და ვცადეთ, თუ რამდენად შევძლებდით მის განმეორებას. (ცდის) სუბიექტად ავირჩიეთ ერთი თორმეტი წლის მკვირცხლი ბიჭი. სულ მცირე ჩაშტერებით ან ოდნავი ხელისგადასმით ძნელი არ იყო მისი ჰიპნოტიზებულ მდგომარეობაში გადაყვანა. მაგრამ, ვინაიდან ჩვენ საქმეს უფრო ნაკლები რწმენითა და გულმხურვალებით შევუდექით, ვიდრე ბატონი უოლესი, ამიტომ სრულიად სხვა შედეგებამდისაც მივედით. გარდა ადვილად გამოწვეული კუნთთა გაშეშებისა და შეგრძნებათა დაკარგვისა, ჩვენ აღმოვაჩინეთ აგრეთვე ნებისყოფის სრული მოდუნება, რასაც თან ახლდა შეგრძნებათა განსაკუთრებით უაღრესად დაძაბული აღგზნებადობა. როდესაც პაციენტი რაიმე გარეგანი გაღიზიანებით ლეთარგიის მდგომარეობიდან გამოგვყავდა, მაშინ ის კიდევ უფრო მეტ სიმკვირცხლეს იჩენდა, ვიდრე ფხიზელ მდგომარეობაში. არავითარი კვალი ოპერატორთან იდუმალი კავშირისა არ ჩანდა. ყოველ სხვა ადამიანსაც ასევე ადვილად შეეძლო მოქმედებაში მოეყვანა ეს მთვლემარე სუბიექტი. ჩვენთვის სრულიად ადვილი და უბრალო რამ იყო გალის თავისქალას ორგანოები აგვემოქმედებინა; ჩვენ კიდევ უფრო შორს წავედით: ჩვენ შევძელით არა მარტო მათი ერთი მეორით შეცვლა და მთელ სხეულზე გადატანა, არამედ ვაწარმოეთ უამრავი რაგინდარა სხვა ორგანოები: სიმღერისა, სტვენისა, ბუკის კვრისა, ცეკვისა, კრივისა, კერვისა, ხარაზობისა, თამბაქოს მოწევისა და ა. შ. და გადაგვქონდა ისინი იქ, სადაც გვსურდა. თუ უოლესი თავის პაციენტს წყლით ათრობდა, ჩვენ ფეხის დიდ თითზე აღმოვაჩინეთ თრობის ორგანო, და საჭირო იყო მხოლოდ შევხებოდით მას, რომ დათრობის მშვენიერი კომედია მიგვეღო. მაგრამ თავის თავად გასაგებია, რომ არც ერთი ორგანო მოქმედების არავითარ ნიშანს არ აჩვენებდა მანამდე, ვიდრე პაციენტს არ გავაგებინებდით, თუ რას მოვითხოვდით და რას მოველოდით მისგან; მალე პრაქტიკით ჩვენი ბიჭუნა ისე გაიწაფა, რომ სულ მცირე მინიშნებაც კმაროდა. ამრიგად შექმნილი ორგანოები თავიანთ ძალას ერთხელ და სამუდამოდ ინარჩუნებდნენ შემდეგი დაძინებებისათვისაც, ვიდრე იმავე გზით არ შეეცვლიდით. ერთი სიტყვით, პაციენტს ორმაგი მეხსიერება ჰქონდა, ერთი ფხიზელი მდგომარეობისათვის, ხოლო მეორე, სრულიად განსაკუთრებული, ჰიპნოზური მდგომარეობისათვის. რაც შეეხება ნებისყოფის პასივობას, მის აბსოლუტურ დამორჩილებას მესამე პირის ნებისყოფისადმი, იგი ჰკარგავს ყოველგვარი სასწაულებრიობის ხასიათს, თუ არ დავივიწყებთ, რომ მთელი მდგომარეობა დაიწყო პაციენტის ნებისყოფის ოპერატორის ნებისყოფისადმი დამორჩილებით და უამისოდ ის ვერც შესრულდება. მთელს ქვეყანაზე ყველაზე უძლიერესი ჯადოქარი მაგნეტიზიორიც უძლური

აღმოჩნდება, როგორც კი პაციენტი მის პირისპირ სიცილს მოჰყვება.

ამრიგად, მაშინ როდესაც ჩვენ ჩვენი მოურიდებელი სკეპსისით მაგნეტურ-ფრენოლოგიური შარლატანობის საფუძველში აღმოვაჩინეთ მთელი რიგი იმისთანა მოვლენები, რომლებიც ფიზიზელი მდგომარეობის მოვლენათაგან უმეტესად მხოლოდ ხარისხით განსხვავდებიან და არავითარ მისტიკურ ინტერპრეტაციას არ საჭიროებენ, ბატონი უოლესი მისმა გულმოდგინებამ (ardour) მიიყვანა მთელ რიგ ისეთ თვითცდუნებამდე, რომელთა ძალითა და მეოხებით მან გალის თავისქალას რუკა მთელი მისი დეტალებით დაადასტურა და ოპერატორსა და პაციენტს შორის იდუმალი კავშირი დაადგინა[6]. ბატონ უოლესის გულუბყვილო მოთხრობაში ყველგან ჩანს, რომ მას უფრო აინტერესებდა არა სპირიტისტული შარლატანობის ფაქტიური სარჩულის გამოკვლევა, არამედ ის, რომ რადაც უნდა დამჯდარიყო ყველა მოვლენა ხელახლა გამოეწვია. საკმარისია მხოლოდ ამგვარი სულიერი განწყობილება იმისათვის, რომ მოკლე ვადაში ადამიანი, რომელიც თავიდან მკვლევრად მოგვეევლინა უბრალო და იოლი თვითცდუნების საშუალებით ადეპტად გადაიქცეს. ბატონმა უოლესმა მაგნეტურ-ფრენოლოგიური სასწაულის რწმენით დაამთავრა, და ერთი ფეხით უკვე სულთა ქვეყანაში აღმოჩნდა.

1865 წელს მან მეორე ფეხიც გადადგა მასში. ცხელ ქვეყნებში თორმეტწლიანი მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ მაგიდის ტრიალის ექსპერიმენტებმა იგი სხვადასხვა „მედიუმების“ საზოგადოებაში შეიყვანა. ზემოთ დასახელებული წიგნაკი მოწმობს იმას, თუ რა სწრაფი იყო აქ მისი წარმატებები, თუ რა სრულყოფილად დაეუფლა იგი ამ საგანს. ის ჩვენგან მოითხოვს, რომ ხალას ჭეშმარიტებად მივიღოთ არა მარტო ყველა მოჩვენებითი სასწაულებანი ჰომებისა, ძმების დევენპორტებისა და სხვა „მედიუმებისა“, რომლებიც მეტად თუ ნაკლებად ფულისათვის გამოდიან და მეტწილად ხშირად უმხილებიათ როგორც მატყუარები, არამედ უფრო ადრინდელი ეპოქის მთელი რიგი ვითომდა სარწმუნო ისტორიებიც სულთა შესახებ. ბერძნული მისნის წინაასწარმეტყველნი, შუა საუკუნეების კუდიანი გრძნეულნი „მედიუმები“ ყოფილან. და უკვე იმბლიხის „De divinatione“ („წინასწარმეტყველებისათვის“) თურმე სრულიად ზუსტად აღწერს „თანამედროვე სპირიტუალიზმის განსაცვიფრებელ მოვლენებს“ (გვ. 299).

---

[6] როგორც უკვე ვთქვით, პაციენტები ვარჯიშით იწაფებიან. მაშასადამე, სრულიად ადვილი შესაძლებელია, რომ, როდესაც ნებისყოფის დამორჩილება ჩვეულებრივი ხდება, მონაწილეთა ურთიერთობა იმდენად ინტიმურ ხასიათს იღებს, რომ ცალკეული მოვლენები ძლიერდება და თვით ფიზიზელ მდგომარეობაშიც სუსტად აისახება. (ენგელსის შენიშვნა).

მოვიყვანოთ მხოლოდ ერთი მაგალითი იმისა, თუ რა იოლად ეპყრობა ბატონი უოლესი ამ სასწაულთა მეცნიერულ დადგენასა და დამოწმებას. უთუოდ ძალიან უმართებულოა მოგვთხოვონ დავიჯეროთ, რომ ბატონი სულები თავიანთი ფოტოგრაფირების ნებას იძლევიან; ჩვენ, რა თქმა უნდა, უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ სულთა ამგვარი ფოტოგრაფირებანი, ვიდრე მათს სინამდვილეს ვაღიარებდეთ, ეპვმიუტანელი წესით დაგვიმოწმონ. და აი ბატონი უოლესი 187 გვ. გვიამბობს, რომ 1872 წ. მარტს ქ-ბ-ნმა გუპიმ, დაბადებით ნიკოლსმა, მთავარმა მედიუმმა, თავის ქმართან და თავის პატარა ვაჟიშვილთან ერთად სურათი გადაიღო ბატონ ჰუდსონთან ნოტინგ-ჰილში და ორ სხვადასხვა სურათში მის უკან ჩანდა მლოცავის პოზით ქალის მაღალი ფიგურა, რამდენადმე აღმოსავლური სახისა, მხატვრულად (finely) შემოსილი გაზის თეთრი კაბით. „აქ, მაშასადამე, ორში ერთი ა რ ი ა ნ აბსოლუტურად უდავო[7]. ან აქ ჩვენს წინაშე ცოცხალი, გონიერი, მაგრამ უხილავი არსება იყო, ანდა ბატონმა და ქალბატონმა გუპიმ, ფოტოგრაფმა და ვიღაც მეოთხე პიროვნებამ სამარცხვინო (wicked) ტყუილი წამოიწყეს და მას შემდეგ მუდმივად იცავენ. მაგრამ მე ბატონ და ქალბატონ გუპის ძალიან კარგად ვიცნობ და ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ დ ა რ წ მ უ ნ ე ბ უ ლ ი ვარ, რომ მათ ისევე არ შესწევთ ამგვარი სიცრუის უნარი, როგორც ჰეშმარიტების რომელიმე სერიოზულ მკვლევარს ბუნებისმეცნიერების დაარგში“ (გვ. 188).

მაშასადამე, ან ტყუილი, ან სულთა ფოტოგრაფია. კეთილი, თანახმა ვართ. მაგრამ ტყუილის შემთხვევაში ან სული იყო წინასწარ ფირფიტაზე გამოსახული, ანდა ამ საქმის მოწყობაში ოთხი პიროვნება მონაწილეობდა, დავუშვათ, თუნდაც სამი, თუ მოხუცს ბატონ გუპის, რომელიც 1875 წლის იანვარს 84 წლის გარდაიცვალა, როგორც შეურაცხადს ან მოტყუებულს, განზე დავტოვებთ (საკმარისი იყო მისი მხოლოდ სილრმეში შირმის უკან გაგზავნა). ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია ერთი სიტყვის დაკარგვაც კი იმის შესახებ, რომ ფოტოგრაფს` ყოველგვარი სიძნელის გარეშე შეეძლო სულის „მოდელის“ შოვნა. მაგრამ ამის შემდეგ მალე ფოტოგრაფ ჰუდსონს საქვეყნოდ ბრალი დასდეს სულთა ფოტოგრაფიების სისტემატურ გაყალბებაში, რის გამოც ბატონი უოლესი მაინც დასამშვიდებლად ამბობს: „ერთი რამ მაინც ნათელია, რომ, თუ სადმე ადგილი ჰქონდა მოტყუებას, ამას მაშინვე თვითონ სპირიტუალისტები აღმოაჩენდნენ ხოლმე“ (გვ. 189). მაშასადამე, ფოტოგ-

---

[7]Here, then, one of two things are absolutely certain“. სულთა ქვეყანა გრამატიკაზე მაღლა დგას. ერთმა ოხუნჯმა ერთხელ გრამატიკოს ლინდლეი მერის სული გამოაძახებინა. კითხვაზე, არის თუ არა იგი აქ, სულმა უპასუხა "I are" (ამერიკულად, — ნაცვლად "I am")[5]. მედიუმი ამერიკელი იყო. (ე ნ გ ე ლ ს ი ს შ ე ნ ი შ ვ ნ ა),

რაფებზე დიდი იმედის დამყარება მაინცა და მაინც აღარ შეიძლება. დარჩა ქალბატონი გუპი, რომლის სასარგებლოდაც მხოლოდ მისი მეგობარი უოლესი „აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ" ლაპარაკობს და მეტი არაფერი. — მეტი არაფერი? არავითარ შემთხვევაში. ქალბატონ გუპის აბსოლუტურ უტყუარობაზე ლაპარაკობს მისი მტკიცება, რომ ერთ საღამოს, 1871 წ. ივნისის დამდეგს იგი თავის სახლიდან, რომელიც Highbury Hill Park-ში მდებარეობს, უგონო მდგომარეობაში გადაყვანილი იქნა ჰაერში პირდაპირი ხაზით სამ ინგლისურ მილზე Lambs Conduit Street 69 სახლში და დასახელებულ № 69 სახლში სპირიტისტული სეანსის დროს მაგიდაზე იქნა დადებული. ოთახის კარები დაკეტილი იყო და მიუხედავად იმისა, რომ ქალბატონი გუპი ლონდონში ერთ-ერთი ყველაზე უფრო სრული და ახოვანი ტანის მანდილოსანი გახლავთ, რაც უსათუოდ რაღაცას ხომ უნდა ნიშნავდეს, მის უეცარ შეპრას ოთახში მაინც არ დაუტოვებია სულ მცირე ხვრელიც კი არც კარებში და არც ჭერში (მოთხრობილია ლონდონის „Echo"-ში 1871 წ. 8 ივნისს), ვინც ახლაც არ დაიჯერებს სულთა ფოტოგრაფიის სინამდვილეს, მას არაფერი ეშველება.

[სპირიტიზმის,] მეორე სახელოვანი ადეპტი ინგლისელ ბუნებისმკვლევართა შორის ბატონი უილიამ კრუკსია, ქიმიური ელემენტის კალიუმისა და რადიომეტრის (გერმანიაში Lichtmühle-საც უწოდებენ[6]) აღმომჩენი. ბატონმა კრუკსმა სპირიტისტულ გამოვლინებათა კვლევა დაახლ. 1871 წ. დაიწყო და ამასთან მთელი რიგი ფიზიკური და მექანიკური აპარატები გამოიყენა: ზამბარიანი სასწორი, ელექტრული ბატარეები და ა. შ.. მაგრამ ჩვენ ახლავე დავინახავთ, მას თან ახლდა თუ არა, ან ბოლომდე შრომისუნარიან მდგომარეობაში შეინარჩუნა თუ არა მთავარი აპარატი, სკეპტიკურ-კრიტიკული თავი. ყოველ შემთხვევაში ბატონი კრუკსიც სულ მოკლე ხანში ისევე აღმოჩნდა სპირიტიზმის სრულ ტყვეობაში როგორც ბატონი უოლესი. აი უკვე რამდენიმე წელიწადია, — მოგვითხრობს იგი, — ერთმა ახალგაზრდა მანდილოსანმა, „მის ფლორენს კუკმა ღირსშესანიშნავი მედიუმის თვისება გამოამჟღავნა: უკანასკნელ ხანს მის ფლორენს კუკმა თავის უმაღლეს წერტილს მიაღწია იმით, რომ აწარმოებს ქალის სრულ ფიგურას, რომელიც, მისი მტკიცებით, სულიერი წარმოშობისა არის და ფეხშიშველი, თეთრ მოფრიალე ტანსაცმელში გვეელინება; ამ დროს თვითონ მედიუმი კი, თალხ ტანსაცმელში, ხელფეხშეკრული წევს და ღრმად ძინავს ფარდაჩამოფარებულ კაბინეტში (cabinet) ან მეზობელ ოთახში"[7]. ამ სულს, რომელიც თავის თავს კეტის უწოდებდა და განსაცვიფრებლად ჰგავდა მის კუკს, ერთ საღამოს უცბად წელზე ხელი მოჰხვია ქალბატონ გუპის ახლანდელმა მეუღლემ, ბატონმა ფოლკმანმა და მაგრად დაიჭირა, რათა დარწმუნებულიყო, ხომ არ იყო ეს სული მის კუკის მეორე გამოცემა.

სული ისე იქცეოდა, როგორც სრულიად მკლავღონიერი ქალი და ენერგიულად იცავდა თავს, მაყურებელნი ერთმანეთში აირივნენ, გაზი ჩაქრა, და როდესაც ცოტაოდენი ბრძოლა-ჭიდილის შემდეგ კვლავ სიწყნარე დამყარდა, ოთახი განათდა, სული გამქრალიყო, ხოლო მის კუკი ხელფეხშეკრული და უგონო თავის კუთხეში იწვა. მაგრამ ამბობენ, ვითომც ბატონი ფოლკმანი დღესაც ამტკიცებდეს, რომ მან სწორედ მის კუკი შეიპყრო და არა სხვა ვინმე. ეს რომ მეცნიერულად დაედგინა, ერთმა განთქმულმა, ელექტრიკმა, ბატონმა ვარლიმ ერთი ახალი ცდის დროს ბატარეიის დენი ისე გაატარა მედიუმში — მის კუკში, რომ ეს უკანასკნელი სულს ვერ წარმოადგენდა ისე, თუ დენს არ შეწყვეტდა. მაგრამ სული მაინც გამოჩნდა. ამრიგად, იგი მართლაც ნამდვილად მის კუკისგან განსხვავებული არსება იყო. ბატონმა კრუკსმა ამოცანად დაისახა, ეს კიდევ უფრო მეტად დაესაბუთებინა. მისი პირველი ნაბიჯი იყო ამ მანდილოსან-სულის ნ დ ო ბ ა მოეპოვებინა. ეს ნდობა, — ასე ამბობს ის თვითონ „Spiritualist"-ში 1874 წ. 5 ივნისს, — „თანდათან იმდენად გაიზარდა, რომ ის უარს ამბობდა ხოლმე სეანსზე, თუ მთელ მ ო წ ყ ო ბ ი ლ ო ბ ა ს მ ე ა რ ვ ხ ე ლ მ ძ ღ ვ ა ნ ე ლ ო ბ დ ი. მან გამოთქვა სურვილი, რომ მე მასთან მუდამ ახლოს ვყოფილიყავი. ახლოს ვყოფილიყავი კაბინეტთან; მე ვნახე, რომ მას შემდეგ, რაც ეს ნდობა დამყარდა და ის დარწმუნდა, რომ მ ე ა რ ც ე რ თ მ ი ს თ ვ ი ს მ ი ც ე მ უ ლ პ ი რ ო ბ ა ს ა რ დ ა ვ ა რ ღ ვ ე ვ დ ი, მოვლენათა სიძლიერე მნიშვნელოვნად გაიზარდა, და მე ნებაყოფლობით მივიღე ისეთი დამამტკიცებელი საშუალებები, რომელთაც სხვა გზით ვერ მივაღწევდი. ის ხშირად თ ა თ ბ ი რ ო ბ დ ა ჩემთან სეანსებზე დამსწრე პირთა შესახებ და მათთვის მიჩენილ ადგილთა გამო, რადგან ამ უკანასკნელ ხანებში ძალიან შიშობდა, ნერვიულობდა (nervous) გარკვეულ არაკეთილგონიერ ნიშანთა გამო, ვითომც სხვა, კვლევის უფრო ღრმა მეცნიერულ მეთოდებთან ერთად ძ ა ლ ა ც უნდა იქნეს გამოყენებული"[8].

ამ ქალიშვილმა-სულმა ეგ, იმდენადვე თავაზიანი, რამდენადაც მეცნიერული, ნდობა სრული ზომით დააჯილდოვა. ის ბატონ კრუკსის სახლშიც გამოჩნდა—რაც ახლა აღარ უნდა გვაკვირვებდეს, მის ბავშვებთან თამაშობდა და მათ „ანეკდოტებს" უამბობდა „თავის თავგადასავალზე ინდოეთში"[9], ბატონ კრუკსსაც გაუზიარა „თავისი წარსული ცხოვრების ზოგიერთი მწარე გამოცდილება"[9], ნებას აძლევდა მას ხელში აეყვანა რათა ქალის ხელშესახებ მატერიალობაში დარწმუნებულიყო, დაათვლევინა თავისი მაჯისცემა და სუნთქვა ერთ წუთში და ბოლოს ბატონ კრუკსის გვერდით ფოტოსურათის გადაღების ნებაც დართო. „ეს ფიგურა, — ამბობს ბატონი უოლესი,—მას შემდეგ, რაც იგი თვალით დაინახეს, ხელით შეეხნენ, ფოტოსურათი გადაუღეს

და კიდევაც ისაუბრეს მასთან, ა ბ ს ო ლ უ ტ უ რ ა დ გ ა ქ რ ა ერთი პატარა ოთახიდან, რომელსაც სხვა გასავალი არ ჰქონდა, გარდა მაყურებლებით სავსე მეზობელი ოთახისა" (გვ. 183), რაც არც ძალიან დიდი ხელოვნებაა, თუ წინასწარ მხედველობაში მივიღებთ, რომ მაყურებლები საკმაოდ ზრდილობიანი იყვნენ და ბატონი კრუკსის მიმართ, რომლის სახლშიც ეს ხდებოდა, იმაზე ნაკლებ ნდობას არ იჩენდნენ, რასაც ბატონი კრუკსი სულის მიმართ.

სამწუხაროდ, „ეს სრულიად დამაჯერებელი მოვლენები" თვითონ სპირიტუალისტებისათვისაც მთლად დამაჯერებელი როდი გახლავთ. ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ მეტად სპირიტუალისტურად განწყობილმა ბატონმა ფოლკმანმა მეტისმეტი მატერიალური შეხების ნება მისცა თავის თავს. შემდეგ. ერთი სასულიერო პირი და ამასთან „ბრიტანეთის სპირიტუალისტების ნაციონალური ასოციაციის" კომიტეტის წევრიც ესწრებოდა მის კუკის სეანსს და მან ყოველგვარი სიძნელის გარეშე დაადგინა, რომ იმ ოთახს, რომლის კარებიდანაც სული შემოდიოდა და შემდეგ სადღაც ჰქრებოდა, თურმე მ ე ო რ ე კ ა რ ე ბ ი ც აკავშირებდა გარე ქვეყანასთან. იქვე მყოფ ბატონ კრუკსის ქცევამ „საბოლოო სასიკვდილო ლახვარი ჩასცა ჩემს რწმენას, რომ ამ გამოვლინებებში რაიმე სერიოზული შეიძლება ყოფილიყო ("Mystic London", by the Reyd. C. Maurice Davies, London, Tinsley Brothers)[10]. დასასრულ, ამას ყველაფერს ისიც დაერთო, რომ ამერიკაში გამოარკვიეს და დღის სინათლეზე გამოიტანეს, თუ ყველა ეს „კეტიები" როგორ „მატერიალურდებიან". ვიღაც ცოლ-ქმარი, გვარად ჰოლმსი, ფილადელფიაში წარმოდგენებს მართავდნენ; ამ წარმოდგენებზეც ასევე ვიღაც „კეტი" გამოდიოდა და ვიღაც მორწმუნენი მას უხვად ასაჩუქრებდნენ. მაგრამ ერთმა სკეპტიკოსმა ვერ მოისვენა მანამდე, სანამ დასახელებული კეტის კვალს არ მიაგნო. ამ კეტის, სხვათა შორის, ერთხელ უკვე არასაკმარისი გასამრჯელოს გამო გაფიცვაც კი მოუწყვია. სკეპტიკოსმა ეს კეტი აღმოაჩინა ერთ boarding-house-ში (კერძო სასტუმროში) და დარწმუნდა, რომ ის ბრძანდებოდა ერთ-ერთი ახალგაზრდა მანდილოსანი, უდავოდ სისხლისა და ხორცისაგან შემდგარი, და სულისადმი მიძღვნილი ყველა საჩუქარიც თან ჰქონდა.

ამასობაში კონტინენტსაც გამოუჩნდნენ თავისი მეცნიერული სულთამხილველნი. პეტერბურგის ერთმა მეცნიერულმა კორპორაციამ — კარგად არ ვიცი, უნივერსიტეტმა თუ აკადემიამაც კი — დელეგატებად გაგზავნა ბატონები — სახელმწიფო მრჩეველი აქსაკოვი და ქიმიკოსი ბუტლეროვი, რათა სპირიტისტული მოვლენები გამოეკვლიათ. საიდანაც როგორც ჩანს, ბევრი არაფერი გამოვიდა. სამაგიეროდ, თუ სპირიტისტების ხმამაღალ განცხადებებს დავუჯერებთ, ახლა გერმანიამაც წა-

მოაყენა თავისი სულთამხილავი ლაიპციგელი პროფესორის ბატონ ცოლნერის სახით.

როგორც ცნობილია, ბატონი ცოლნერი კარგა ხანია სივრცის „მეოთხე განზომილების“ საკითხზე ინტენსიურად მუშაობს, და აღმოაჩინა, რომ მრავალი საგანი, რომელიც სამ განზომილებიან სივრცეში შეუძლებელია, ოთხ განზომილებიან სივრცეში სრულიად გასაგებია თავის თავად. ასე, მაგალითად, ამ უკანასკნელ სივრცეში ლითონის ყოველმხრივ დახურული სფერო შეიძლება ხელთათმანივით გადმოვაბრუნოთ ისე, რომ მასში ნახვრეტი არ გავაკეთოთ; ასევე შეიძლება გამოვსკვნათ კვანძი ორივე მხრივ დაუბოლოებელი ანდა ორივე ბოლოს დამაგრებული ძაფისაგან; აგრეთვე შეიძლება ორი ერთმანეთს დაშორებული, შეკრული რკალი ერთმანეთს გადავაჯაჭვოთ ისე, რომ არც ერთი მათგანი არ გავხსნათ და სხვა მრავალი ამგვარი ოინბაზობანი. ახლა, თანახმად ახალი, ზარზეიმით გამოცხადებული ცნობებისა სულთა ქვეყნიდან, ბატონმა პროფესორმა ცოლნერმა ერთსა თუ რამდენიმე მედიუმს მიმართა, რათა მათი დახმარებით შემდგომი დაწერილებითი ამბები დაედგინა მეოთხე განზომილების ადგილმდებარეობის შესახებ. წარმატება განსაცვიფრებელი ყოფილა. სკამის ზურგი, რომელსაც ის მკლავით იყო დაყრდნობილი, ხოლო ხელის მტევანი ამ დროს მაგიდას არ შორდებოდა, სეანსის შემდეგ მკლავთან იყო ჩახლართული; ორივე ბოლოთი მაგიდაზე მიბეჭდილ ძაფზე ოთხი კვანძი გაჩნდა და ა. შ.. მოკლედ, მეოთხე განზომილების ყველა სასწაულს სულები ადვილად აკეთებდნენ. დროზე უნდა შევნიშნოთ: relata refero[12]. („გიამბობთ ნაამბობს“), მე პასუხს ვერ ვაგებ ამ სულთა ბიულეტენების სისწორეზე, და თუ ისინი არა სწორ რამეს შეიცავენ, მაშინ ბატონი ცოლნერი ჩემი მადლობელი უნდა იყოს, რომ მე მას გასწორების საბაბს ვაძლევ. ხოლო თუ ისინი ბატონ ცოლნერის ცდებს გაუყალბებლად გადმოსცემენ, მაშინ ისინი როგორც სულთა მეცნიერებაში, ასევე მათემატიკაში აშკარად ახალ ერას აღნიშნავენ. სულები მეოთხე განზომილების არსებობას ამტკიცებენ, ისე როგორც მეოთხე განზომილება სულთა არსებობის თავმდებია. ხოლო რაკიღა ეს დადგენილია, მაშინ მეცნიერება სრულიად ახალ, განუზომელ სამოქმედო ასპარეზს გადაგვიშლის თვალწინ. მთელი წინანდელი მათემატიკა და ბუნებისმცოდნეობა მხოლოდ წინასწარი სკოლა იქნება მეოთხე და კიდევ მეტი განზომილების მათემატიკისათვის და ამ უმაღლეს განზომილებებში მყოფ სულთა მექანიკის, ფიზიკის, ქიმიისა და ფიზიოლოგიისათვის. ბატონმა კრუკსმა ხომ მეცნიერულად დაადგინა, თუ რამდენ წონის დაკარგვას განიცდიან მაგიდები და სხვა ავეჯეულობა მეოთხე განზომილებაში — ჩვენ ახლა შეგვიძლია ასე ვთქვათ—გადასვლის დროს, ხოლო ბატონი უოლესი დამტკიცებულად აცხადებს, რომ იქ ცეცხლი ადამიანის სხე-

ულს არ ვნებსო. მაგრამ მაშინ რაღა ვთქვათ ამ სხეულით დაჯილდოებულ სულთა ფიზიოლოგიის შესახებ! ისინი სუნთქავენ, მათ აქვთ მაჯისცემა, მაშასადამე, მათ აქვთ ფილტვები, გული და ცირკულაციის აპარატი და ამის თანახმად სხეულის სხვა ორგანოების მიმართ ისინი უდავოდ ისევე ჩინებულად არიან დაჯილდოებული, როგორც ყოველი ჩვენთაგანი. სუნთქვისათვის ხომ საჭიროა ნახშირწყლები, რომლებიც ფილტვებში იწყება, ხოლო ისინი მხოლოდ გარედან მიიღება. მაშასადამე, სულებს აქვთ კუჭი, ნაწლავები და ყველაფერი, რაც მათ ეკუთვნის; რაკიღა ყველაფერი ეს დადასტურებულია, დანარჩენიც ადვილად გამოიყვანება. მაგრამ ამისთანა ორგანოების არსებობა დაავადების შესაძლებლობას გულისხმობს და ამრიგად ბატონ ვირხოვს შეიძლება მოუხდეს სულთა ქვეყნის ცელულარული პათოლოგიის შეთხზვა, ხოლო რადგანაც ამ სულთა უმეტესობა საოცრად მშვენიერი ახალგაზრდა ქალები არიან, რომლებიც არაფრით, სრულიად არაფრით არ განსხვავდებიან ამქვეყნიური ქალებისაგან, გარდა თავიანთი ზემიწიერი მშვენიერებისა, დიდხანს თუ მოუხდებათ ლოდინი, ვიდრე წარსდგებიან „ქმრების წინაშე, რომლებიც სიყვარულს გრძნობენ“[21]; და თუ მათ მკერდ ქვეშ ბატონ კრუკსის მიერ მაჯისცემით დადასტურებული „ქალური გულიც“ სცემს, მაშინ ბუნებრივი შერჩევისათვისაც ასევე მეოთხე განზომილება გადაიშლება, სადაც მას აღარ მოელის საშიშროება, რომ მავნე სოციალ-დემოკრატიაში[2] აურევენ.

კმარა. აქ ხელშესახებად ჩანს, თუ რომელია საიმედო გზა ბუნებისმეცნიერებიდან მისტიციზმისაკენ. არა ბუნებისფილოსოფიის მეტისმეტად გადაჭარბებული თეორეტიკოსობა, არამედ ყველაზე გაცვეთილი, ყოველგვარი თეორიის მოძულე, ყოველგვარი აზროვნებისადმი უნდობი ემპირიზმი. სულთა არსებობა მტკიცდება არა აპრიორული აუცილებლობით, არამედ ბატონ უოლესის, კრუკსისა და კომპ. ემპირიული დაკვირვებით. თუ ჩვენ კრუკსის სპექტრულ-ანალიზური დაკვირვებები გვჯერა, რომლებმაც იგი ლითონ ტალიუმის აღმოჩენამდე მიიყვანეს, ანუ, თუ გვჯერა უოლესის მდიდარი ზოოლოგიური აღმოჩენები მალაის არხიპელაგზე, ასეთსავე რწმენას მოითხოვენ ჩვენგან ამ ორივე მკვლევარის სპირიტისტული ცდებისა და აღმოჩენების საკითხშიაც. ხოლო თუ ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ პატარა განსხვავებას მაინც აქვს ადგილი, სახელდობრ, ჩვენ შეგვიძლია პირველის შემოწმება, მეორისა კი არა, სულთამხილავნი მაშინვე შემოგვედავებიან, რომ ეს ასე არაა და მზად არიან მოგვცენ შესაძლებლობა სულთა მოელენებიც შევამოწმოთ.

მართლაც, დიალექტიკის სიძულვილი დაუსჯელი არ რჩება, რამდენი შეუფასებლობაც უნდა გამოიჩინონ ყოველგვარი თეორიული აზროვნებისადმი, თეორიული აზროვნების გარეშე მაინც შეუძლებელია ბუნების ორი ფაქტის ერთმანეთთან დაკავშირება ანდა მათ შორის არსე-

ბული კავშირის დანახვა. საკითხი მხოლოდ იმას ეხება, სწორად აზროვნებენ თუ არა, და თეორიის შეუფასებლობა, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ნატურალისტურად და, მაშასადამე, ყალბად აზროვნების უდავო გზას. მაგრამ სრული თანმიმდევრობით გატარებული ყალბი, არასწორი აზროვნება, ძველთაგან ცნობილი დიალექტიკური კანონის თანახმად, ისეთ შედეგამდე მიდის, რომელიც მისი გამოსავალი წერტილის საწინააღმდეგოს წარმოადგენს. აი სწორედ ასე ისჯება დიალექტიკის ემპირიული სიძულვილი იმით, რომ ცალკეული ყველაზე უფრო ფხიზელი ემპირიკოსები ყველაზე ველური ცრუმორწმუნეობის — თანამედროვე სპირიტიზმის მსხვერპლი ხდებიან.

ასეთივეა ვითარება მათემატიკაშიაც. ჩვეულებრივი მეტაფიზიკური მათემატიკოსები მეტისმეტად ამაყად ყოყლოჩინობენ ხოლმე თავიანთი მეცნიერების შედეგების აბსოლუტური უცილობლობის შესახებ. მაგრამ ამ შედეგებს ეკუთვნის აგრეთვე წარმოსახვითი სიდიდეები, რომელთაც ამასთანავე გარკვეული რეალობაც ახასიათებს. მაგრამ თუ კი მივეჩვევით და $\sqrt{-1}$ ან მეოთხე განზომილებას რაიმე რეალობას მივაწერთ ჩვენი თავის გარეშე, მაშინ უკვე აღარა აქვს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა იმას, გადავდგამთ თუ არა კიდევ ერთ ნაბიჯს და მედიუმთა სულების ქვეყანასაც ვაღიარებთ. ეს იმას ჰგავს, კეტელერმა რომ თქვა დოლინგერზე: „ეს კაცი თავის სიცოცხლეში იმდენ უაზრობას იცავდა, რომ მას მართლაც შეეძლო შეუცდომლობის დოგმასაც შერიგებოდა!.

მართლაც, შიშველ ემპირიას უნარი არა აქვს ბოლო მოუღოს სპირიტისტებს. ჯერ ერთი, „უმაღლეს“ მოვლენებს ყოველთვის მაშინ აჩვენებენ, როდესაც სათანადო „მკვლევარი“ უკვე იმდენად შებოჭილია, რომ მხოლოდ ის დაინახოს, რაც მან უნდა დაინახოს, ან რაც სურს, რომ დაინახოს, — როგორც ამას თვით კრუკსი აღწერს მიუბაძველი გულუბრყვილობით. მეორეც, სპირიტისტები სულაც არაფრად აგდებენ იმას, როდესაც აღმოჩნდება, რომ ასობით ვითომდა ფაქტები თვალისახვევა ყოფილა, ხოლო ათობით მოჩვენებითი მედიუმები ჩვეულებრივ ოინბაზებად უმხილებიათ. ვიდრე თ ვ ი თ ე უ ლ ი ცალკე ვითომდა სასწაული გამოაშკარავებული არ იქნება და ვიდრე მათ ამ გზით ბოლო არ მოეღება, მანამდე სპირიტებს საკმაო ასპარეზი რჩებათ, როგორც ამას გარკვევით ამბობს აგრეთვე უოლესიც, სულთა გაყალბებული ფოტოგრაფიების გამო. გაყალბებულთა არსებობა ნამდვილთა სინამდვილეს ამტკიცებსო.

და აი ემპირია ხედავს, რომ იძულებულია სულთამხილველთა აბეზარობა თავიდან მოიშოროს არა ემპირიული ექსპერიმენტებით, არამედ თეორიული მოსაზრებებით და ჰექსლისთან ერთად თქვას: „ერთადერთი კარგი რამ, რაც შეიძლებოდა, ჩემი აზრით, მიღებულიყო სპირიტუა-

ლიზმის ჰეშმარიტების მტკიცების დროს, ეს იქნებოდა თვითმკვლელობის წინააღმდეგ ახალი არგუმენტი. უკეთესია ადამიანი ქუჩის დამგველად ცოცხლობდეს, ვიდრე გამოყეყეჩებული მიცვალებულის სახით სისულელეს როშავდეს რომელიმე მედიუმის პირით, რომელიც თავს აქირავებს იმისათვის, რომ სეანსში ერთი გინეა მიიღოს"[16].

ფრ. ენგელსი, „ბუნების დიალექტიკა". გვ. 39—51.

სასწაულები ახლა, მადლობა ღმერთს, არა სწამთ. სასწაულებრივი წინასწარმეტყველება ზღაპარია. მაგრამ მეცნიერული წინასწარმეტყველება ფაქტია. და ჩვენს დღეებში, როცა ირგვლივ არაიშვიათად შეიძლება შეხვდეთ სამარცხვინო ჰმუნვარებას ან სასოწარკვეთილებასაც კი, სასარგებლოა გავიხსენოთ ერთი გამართლებული მეცნიერული წინასწარმეტყველება.

ფრიდრიხ ენგელსს 1887 წელს შემთხვევა მიეცა მომავალი მსოფლიო ომის შესახებ დაეწერა წინასიტყვაობაში სიგიზმუნდ ბორკჰეიმის ბროშურისა: „სახსოვრად 1806 — 1807 წლების გერმანელ მჭავე პატრიოტებს" („**Zur Erinnerung für die deutschen Mordspatrioten 1806—1807**"). (ეს ბროშურა XXIV ნაკეთია „სოც.-დემ. ბიბლიოთეკისა", რომელიც 1883 წელს გამოდიოდა გოტინგენ-ციურიხში).

აი როგორ მსჯელობდა, ოცდაათ წელზე მეტი ხნის წინათ, ფრიდრიხ ენგელსი მომავალი მსოფლიო ომის შესახებ:

...„პრუსიისთვის — გერმანიისთვის ახლა უკვე შეუძლებელია რაიმე სხვანაირი ომი, გარდა მსოფლიო ომისა. და ეს იქნებოდა წინათ არნახული მასშტაბის, არნახული ძალის მსოფლიო ომი. რვიდან ათ მილიონამდე ჯარისკაცი გამოვა ერთმანეთის დასახრჩობად და თანაც იმდენად პირწმინდად გააჩანაგებს მთელ ევროპას, როგორც ჯერ კიდევ არასოდეს არ გაუჩანაგებიათ კალიების გროვებს. ოცდაათწლიანი ომით გამოწვეული გაპარტახება, — სამი-ოთხი წლის მანძილზე თავმოყრილი და მთელ კონტინენტზე გავრცელებული, შიმშილი, ეპიდემიები, როგორც ჯარების, ისე ხალხთა მასების საყოველთაო გაველურება, გამოწვეული მწვავე გაჭირვებით, ჩვენი ხელოვნური მექანიზმის უიმედო დომხალი ვაჭრობაში, მრეწველობასა და კრედიტში; ყოველივე ეს მთავრდება საყოველთაო გაკოტრებით; ძველი სახელმწიფოებისა და მათი რუტინული სახელმწიფოებრივი სიბრძნის კრახი, — ისეთი კრახი, რომ გვირგვინები დუქინობით ყრია ქვაფენილებზე და არავინ არის, რომ ეს გვირგვინები აიღოს; აბსოლუტური შეუძლებლობა იმის გათვალისწინებისა, თუ როგორ გათავდება ყველაფერი ეს და ვინ გამოვა ბრძოლიდან გამარჯვებული, მხოლოდ ერთი შედეგი აბსოლუტურად

უეჭველია: საყოველთაო გამოფიტვა და პირობების შექმნა მუშათა კლასის საბოლოო გამარჯვებისათვის.

ასეთია პერსპექტივა, თუ სამხედრო შეიარაღებაში უკიდურესობამდე მიყვანილი ურთიერთ კონკურენციის სისტემა, ბოლოს და ბოლოს, თავის გარდუვალ ნაყოფს გამოიღებს. აი სად მიიყვანა, ბატონო მეფეებო და სახელმწიფო კაცებო, თქვენმა სიბრძნემ ძველი ევროპა. და თუ თქვენ აღარაფერი გრჩებათ, გარდა იმისა, რომ დაიწყოთ უკანასკნელი დიდი სამხედრო ცეკვა, — ჩვენ არ ავტირდებით (uns kann es recht sein). დაე ომმა, შესაძლოა, დროებით თუნდაც უკან გადაგვისროლოს, დაე წაგვართვას ზოგიერთი უკვე დაპყრობილი პოზიცია. მაგრამ თუ თქვენ ლაგამს ახსნით იმ ძალებს, რომელთაც შემდეგ უკვე ვეღარ შეძლებთ გაუმკლავდეთ, მაშინ, როგორადაც უნდა წარიმართოს საქმეები, ტრაგედიის დასასრულს თქვენ იქნებით ნანგრევი, და პროლეტარიატის გამარჯვება ან უკვე მოპოვებული იქნება, ანდა მაინც (doch) გარდუვალი იქნება.

ლონდონი. 1887 წ. 15 დეკემბერი.

ფ რ ი დ რ ი ხ ე ნ გ ე ლ ს ი.

რა გენიალური წინასწარმეტყველებაა! და რა უსასრულოდ მდიდარია აზრებით ამ ზუსტი, მკაფიო, მოკლე მეცნიერული კლასობრივი ანალიზის თვითეული ფრაზა! რამდენ რამეს შეითვისებდნენ აქედან ისინი, ვინც ახლა სამარცხვინო მცირედმორწმუნეობას, ჭმუნვარებას, სასოწარკვეთილებას შეუპყრია, რომ... იმ ადამიანებს, რომლებიც ბურჟუაზიის წინაშე ლაქიობას დაჩვეულან ან მისთვის თავი დაუშინებინებიათ, შეეძლოთ აზროვნება, უნარი შესწევდეთ იაზროვნონ!

3. ლ ე ნ ი ნ ი, „წინასწარმეტყველური სიტყვები“. თხზ., ტ. 27. გვ. 607—609.

XII ნაწილი

მორალი და რელიგია

1. მარქსიზმი რელიგიური მორალის კლასობრივი არსების შესახებ

თუ ჩვენ ჭეშმარიტებითა და ცდომილებით შორს ვერ წავედით, მით უმეტეს სიკეთითა და ბოროტებით ვერ წავალთ შორს. ეს დაპირისპირება მოძრაობს მხოლოდ და მხოლოდ მორალურ, მაშასადამე, ისეთ სფეროში, რომელიც კაცობრიობის ისტორიას ეკუთვნის, და სწორედ აქ განსაკუთრებით იშვიათად გვხვდება უკანასკნელი ინსტანციის საბოლოო ჭეშმარიტებანი. ხალხიდან ხალხში, ეპოქიდან ეპოქაში სიკეთისა და ბოროტების წარმოდგენანი ისე იცვლებოდნენ, რომ ისინი ხშირად ერთმანეთს პირდაპირ ეწინააღმდეგებოდნენ. — მაგრამ, შეიძლება ვინმემ გვითხრას, სიკეთე ხომ მაინც ბოროტება არ არის, ხოლო ბოროტება სიკეთე; სიკეთე და ბოროტება რომ ერთმანეთში ავურიოთ, ყოველივე ზნეობა მოისპობა, და ყველას შეუძლია მოიქცეს ისე, როგორც მას ნებავს. — ასეთია სწორედ ბატონ დიურინგის აზრი, თუ მისნისებური მეტყველების მანერისაგან განვძარცვავთ. მაგრამ საკითხი ასე უბრალოდ მაინც ვერ გადაწყდება. საქმე რომ ასე უბრალოდ ყოფილიყო, მაშინ არავითარი კამათი არ იქნებოდა სიკეთისა და ბოროტების შესახებ, და ყველას ეცოდინებოდა, თუ რა არის კეთილი და რა არის ბოროტი როგორიღაა საქმის ვითარება დღეს? რა მორალს გვიქადაგებენ ამჟამად? აქ, უწინარეს ყოვლისა, გვხვდება ქრისტიანულ-ფეოდალური მორალი, რომელიც ადრინდელი რელიგიური ეპოქებიდან არის ნაანდერძევი და არსებითად, თავის მხრივ, კათოლიკურად და პროტესტანტულად ნაწილდება; ამ უკანასკნელთ თავიანთი მხრივ არ აკლიათ ქვეგანყოფილებანი იეზუიტურ-კათოლიკურიდან და ორთოდოქსურ-პროტესტანტულიდან დაწყებული და მერყევი განმანათლებლური მორალით გათავებული. მათ გვერდით გვეელინება თანამედროვე ბურჟუაზიული მორალი და ამ უკანასკნელის გვერდით კიდევ პროლეტარული მომავლის მორალი, ისე რომ მარტო ყველაზე დაწინაურებულ ევროპულ ქვეყნებში წარსული, აწმყო და მომავალი ერთდროულად და

ერთი-მეორის გვერდით სამი დიდი მორალური თეორიის ჯგუფითაა წარმოდგენილი. რომელი მათგანია სწორი? არც ერთი, აბსოლუტური სრულყოფილობის თვალსაზრისით; მაგრამ, უეჭველია, ყველაზე მეტი და დიდხანს გამძლე ელემენტები იმ მორალს ექნება, რომელიც აწმყოში თანამედროვე წყობილების დამხობას მოითხოვს და მომავალს იცავს, მაშასადამე, — პროლეტარულ მორალს.

მაგრამ, თუ ჩვენ ვხედავთ, რომ თანამედროვე საზოგადოების სამი კლასიდან თვითეულს, ფეოდალურ არისტოკრატიას, ბურჟუაზიას და პროლეტარიატს, თავისი ცანსაკუთრებული მორალი აქვს, აქედან მხოლოდ ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ ადამიანებს, შეგნებულად თუ შეუგნებლად, თავიანთი ზნეობრივი შეხედულებანი საბოლოო ინსტანციაში გამოჰყავთ პრაქტიკული ურთიერთობიდან, რომელზედაც მათი კლასობრივი მდგომარეობაა დაფუძნებული, ე. ი. ეკონომიური ურთიერთობებიდან, რომელშიც ხდება წარმოება და გაცვლა.

მაგრამ ზემოაღნიშნულ სამ მორალურ თეორიაში არის სამივესთვის რაღაც საერთოც; შეიძლება სწორედ ეს წარმოადგენდეს ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი მორალის გარკვეულ ნაწილს? აღნიშნული მორალური თეორიები გამოხატავენ ერთი და იმავე ისტორიული განვითარების სამ სხვადასხვა საფეხურს, მაშასადამე, მათ საერთო ისტორიული ნიადაგი გააჩნიათ და უკვე ამიტომ აუცილებელად ბევრი რამ აქვთ საერთო. კიდევ მეტს ვიტყვით. ეკონომიური განვითარების თანაბარ ან დაახლოებით თანაბარ საფეხურზე მორალური თეორიებიც ცოტად თუ ბევრად აუცილებლად ერთიმეორეს უნდა ეთანხმებოდეს. იმ მომენტიდან, რაც მოძრავი ნივთების კერძო საკუთრება ცანვითარდა, ყველა საზოგადოებას, სადაც ეს კერძო საკუთრება ბატონობდა, საერთო მორალური მცნება უნდა ჰქონოდა „არ მოიპარო". მაგრამ განა ამით ეს მცნება სამარადისო მორალურ მცნებად იქცა? სრულიადაც არა. განა საზოგადოებაში, სადაც ქურდობის მოტივები მოსპობილია, სადაც, მაშასადამე, დრო გავა და უკიდურეს შემთხვევაში სულით ავადმყოფები თუ იქურდებენ, რა სასაცილოდ აიგდებდნენ მორალის იმ მქადაგებელს, რომელიც მოისურვებდა ზეიმით გამოეცხადებინა სამარადისო ჭეშმარიტება: არ მოიპარო!

ამიტომ ჩვენ უკუვაგდებთ ყოველივე ცდას თავს მოგვახვიონ რომელიმე მორალური დოგმატიკა როგორც სამარადისო, საბოლოო, ამიერიდან უცვლელი ზნეობრივი კანონი, იმ საბაბით, რომ მორალურ სამყაროსაც აქვს თავისი წარუვალი პრინციპები, რომლებიც მაღლა დგანან ისტორიასა და ხალხთა განსხვავებებზეო. ჩვენ, პირიქით, ვამტკიცებთ, რომ ყველა დღემდე არსებული მორალური თეო-

რია საბოლოო ინსტანციაში საზოგადოების სათანადო ეკონომიური მდგომარეობის ნაყოფს წარმოადგენს. და რადგან საზოგადოება დღემდე კლასობრივი დაპირისპირებებით ვითარდებოდა, მორალიც ყოველთვის კლასობრივი მორალი იყო; იგი ან გაბატონებული კლასის ბატონობასა და ინტერესებს ამართლებდა, ან. როცა დაჩაგრული კლასი საკმაოდ ძლიერდებოდა, წარმოადგენდა მის აღშფოთებას ამ ბატონის წინააღმდეგ და აგრეთვე ჩაგრულთა მომავლის ინტერესებს. შეუძლებელია ეჭვის შეტანა იმაში, რომ საერთოდ და მთლიანად მორალის დარგში, ისევე როგორც ადამიანური შემეცნების ყველა სხვა დარგში პროგრესი ხდება. მაგრამ კლასობრივი მორალი ჯერჯერობით არაა გადალახული. კლასობრივ წინააღმდეგობებსა და მის ყოველგვარ მოგონებაზე მაღლა მდგომი, მართლაც ადამიანური მორალი შესაძლებელი გახდება მხოლოდ საზოგადოებრივი განვითარების ისეთ საფეხურზე, რომელზეც კლასობრივი წინააღმდეგობა არა მარტო გადალახული, არამედ ცხოვრების პრაქტიკაშიც დაეწყებული იქნება.

ფრ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი". გვ. 110—112.

2. ბურჟუაზიული მორალი და რელიგია

ადამიანების დანაწილებას ორ მკაცრად გაყოფილ ჯგუფად, ადამიანურ ადამიანებად და მხეც-ადამიანებად, კეთილებად და ბოროტებად, ცხვრებად და თხებად სინამდვილის ფილოსოფიის გარდა იცნობს კიდევ მხოლოდ ქრისტიანობა, რომელსაც სრულიად თანმიმდევრულად ჰყავს აგრეთვე თავისი მსოფლიო მსაჯული და იგი ახდენს ამ გათიშვას. მაგრამ ვინ უნდა იყოს მსოფლიო მსაჯული სინამდვილის ფილოსოფიაში? აქ, ალბათ, იგივე მოხდება, რაც ქრისტიანობის პრაქტიკაში მოხდა, სადაც ღვთისმოსავმა კრავებმა თვით იკისრეს მსოფლიო მსაჯულის როლი თავიანთი მოყვასი საერო თხების მიმართ და, როგორც ცნობილია, წარმატებასაც მიაღწიეს. სინამდვილის ფილოსოფოსების სექტა, თუ ოდესმე იგი წარმოიშობა, ამ მხრივ არ ჩამორჩება წყნარ ღვთისმოსავებს.

ფრ. ენგელსი, „ანტი-დიურინგი". გვ. 119.

ეს სოციალ-პაციფისტები, ე. ი. სოციალისტები სიტყვით, ბურჟუაზიულ-პაციფისტური თვალთმაქცობის გამტარებელნი საქმით, ამჟამად სავსებით ისეთსავე როლს ასრულებენ, როგორსაც საუკუნეთა განმავლობაში ასრულებდნენ ქრისტიანი ხუცები, რომელნიც ფრაზებით მოყვასის სიყვარულისა და ქრისტეს მცნებათა შესახებ

ალამაზებდნენ მჩაგვრელი კლასების, მონათმფლობელების, ფეოდალების, კაპიტალისტების პოლიტიკას და ცდილობდნენ ჩაგრული კლასების შ ე რ ი გ ე ბ ა ს მათს ბატონობასთან.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „შავად მონახაზი პროექტი", თხზ., ტ. 23. გვ. 272.

„სოციალისტი", რომელიც საქმის ამგვარი მდგომარეობის დროს ხალხებსა და მთავრობებს ელაპარაკება კეთილი ზავის შესახებ, სავსებით ემსგავსება იმ ხუცესს, რომელიც თავის წინ ეკლესიაში პირველ ადგილებზე ხედავს საროსკიპო სახლის პატრონ დედაკაცს და უბნის ბოქაულს, ერთმანეთთან შეთანხმებულნი რომ არიან, და „უქადაგებს" იმათ და ხალხს მოყვასის სიყვარულსა და ქრისტიანული მცნებების დაცვას.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „სეპარატიული ზავის შესახებ". თხზ., ტ. 23. გვ. 161.

დიახ, ჩინელებს მართლაც სძულთ ევროპელები, მაგრამ რომელი ევროპელები სძულთ მათ, და რატომ სძულთ? ევროპის ხალხები კი არა სძულთ ჩინელებს, — მათთან შეტაკებები არ ჰქონიათ, — მათ სძულთ ევროპელი კაპიტალისტები და კაპიტალისტების მორჩილი ევროპის მთავრობები. განა შეეძლოთ ჩინელებს არ შეეძულებინათ ის ადამიანები, რომლებიც ჩინეთში მოდიოდნენ მხოლოდ გამდიდრების გულისთვის, რომლებიც თავიანთი ნაქები ცივილიზაციით სარგებლობდნენ მხოლოდ მოტყუების, ძარცვა-გლეჯისა და ძალმომრეობისათვის, რომლებიც ჩინეთთან ომებს აწარმოებდნენ მხოლოდ იმისთვის, რომ მიეღოთ ხალხის გამაბრუებელი ოპიუმით ვაჭრობის უფლება (ინგლისისა და საფრანგეთის ომი ჩინეთთან 1856 წ.), რომლებიც ფარისევლურად ფარავდნენ ძარცვა-გლეჯის პოლიტიკას ქრისტიანობის გავრცელების მომიზეზებით? ძარცვა-გლეჯის ამ პოლიტიკას დიდი ხანია აწარმოებენ ჩინეთის მიმართ ევროპის ბურჟუაზიული მთავრობები, ხოლო ამჟამად ასეთ პოლიტიკას შეუერთდა რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობაც. ძარცვა-გლეჯის ამ პოლიტიკას კოლონიურ პოლიტიკას უწოდებენ. ყოველი ქვეყანა, სადაც სწრაფად ვითარდება კაპიტალისტური მრეწველობა, ძალიან ჩქარა იწყებს კოლონიების ძებნას, ე. ი. ისეთი ქვეყნების ძებნას, სადაც მრეწველობა სუსტადაა განვითარებული, ისეთი ქვეყნებისა, რომლებიც განსხვავდებიან ცოტად თუ ბევრად პატრიარქალური ყოფაცხოვრებით, სადაც შეიძლება გაასაღო მრეწველობის პროდუქტები და ამ საქმეში კარგა ბლომად მოიგო ფული. და ერთი მუჭა კაპი-

ტალისტების გამდიდრებისთვის ბურჟუაზიული მთავრობები აწარმოებდნენ დაუსრულებელ ომებს, ჯარისკაცთა პოლკებს ყლეტდნენ ჯანმრთელობისთვის მავნებელ ტროპიკულ ქვეყნებში, ანიავებდნენ ხალხისაგან აკრებილ მილიონებს, იწვევდნენ მოსახლეობის სასოწარკვეთილ აჯანყებებს და შიმშილით სიკვდილს უმზადებდნენ მას. მოიგონეთ ინდოელ ადგილობრივ მკვიდრთა აჯანყება ინგლისის წინააღმდეგ და შიმშილი ინდოეთში, ან ინგლისელების ახლანდელი ომი ბურებთან.

და აი ახლა ევროპის კაპიტალისტები ხარბი თათებით წაეპოტინენ ჩინეთს. წაეპოტინა თითქმის ყველაზე უწინ რუსეთის მთავრობაც, რომელიც ახლა ასე თავგამოდებით გაჰყვირის თავის „უანგარობაზე“. მან „უანგაროდ“ წააგლიჯა ჩინეთს პორტ-არტური და დაიწყო რკინიგზის გაყვანა მანჯურიაში რუსეთის ჯარების მფარველობით. ევროპის მთავრობები ერთიმეორის მიყოლებით ისეთი გულმოდგინებით შეუდგნენ ჩინეთის მიწაწყლის ძარცვას, ესე-იგი „იჯარით აღებას“, რომ ტყუილად კი არ გავრცელდა ხმები ჩინეთის დაყოფის შესახებ. და თუ საგნებს მათს ნამდვილ სახელს ვუწოდებთ, უნდა ითქვას, რომ ევროპის (და მათ შორის თითქმის ყველაზე ადრე რუსეთის) მთავრობები უკვე შეუდგნენ ჩინეთის დაყოფას. მაგრამ მათ დაყოფა დაიწყეს არა აშკარად, არამედ მალულად, როგორც ქურდებმა. მათ დაუწყეს გაქურდვა ჩინეთს, როგორც ჰქურდავენ ხოლმე მიცვალებულს, ხოლო როცა ამ ვითომ მიცვალებულმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა, — ისინი წაესიენ მას, როგორც გარეული მხეცები, ბუგავდნენ მთელ სოფლებს, ამურში ახრჩობდნენ, ხვრეტდნენ და ხიშტებზე აგებდნენ უიარაღო მცხოვრებთ, მათ ცოლებსა და შვილებს. და ყველა ამ ქრისტიანულ გმირობას თან აყოლებენ განგაშს ველური ჩინელების წინააღმდეგ, რომლებიც ბედავენ ხელის აღმართვას განათლებულ ევროპელებზე.

ვ. ლ ე ნ ი ნ ი, „ჩინეთის ომი“. თხზ., ტ. 4. გვ. 458—460.

ამ ცოტა ხნის წინათ ლონდონში დამთავრდა „ქალიშვილებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის მ ე ხ უ თ ე საერთაშორისო ყრილობა“.

სიტყვების კორიანტელი დააყენეს ჰერცოგებისა და გრაფების ცოლებმა და ასულებმა, ეპისკოპოსებმა, პასტორებმა, რაბინებმა, პოლიციის მოხელეებმა და ყოველი ჯურის ბურჟუაზიულმა ფილანთროპებმა! რამდენი საზეიმო სადილი და ბრწყინვალე ოფიციალური წვეულება მოეწყო! რამდენი საზეიმო სიტყვა წარმოთქვა პროსტიტუციის მავნებლობისა და უმსგავსობის შესახებ!

მერე ბრძოლის რა საშუალებებს მოითხოვდნენ ყრილობის ეს კოპწია ბურჟუაზიული დელეგატები? უმთავრესად ორ საშუალებას: რელიგიასა და პოლიციას. ყველაზე უტყუარსა და საიმედო საშუალებასო პროსტიტუციის წინააღმდეგ. როგორც ლაიფციგის „სახალხო გაზეთის“ ლონდონელი კორესპონდენტი იტყობინება, ერთი ინგლისელი დელეგატი იკვეხნიდა თურმე, პარლამენტს გ ა შ ო ლ ტ ვ ა მივაღებინე მაჭანკლობისთვისაო. აი როგორია თანამედროვე „ცივილიზებული“ გმირი პროსტიტუციის წინააღმდეგ ბრძოლისა!

ერთი კანადელი ბანოვანი აღტაცებული იყო პოლიციით და „ზნედაცემული“ ქალების მიმართ პოლიციელ ქალთა მეთვალყურეობით, ხელფასის გადიდების შესახებ კი ამ ბანოვანმა აღნიშნა, მუშაქალები უკეთესი ხელფასის ღირსნი არ არიანო.

ერთი გერმანელი პასტორი აცამტვერებდა თანამედროვე მატერიალიზმს, რომელიც სულ უფრო და უფრო ვრცელდება ხალხში და ხელს უწყობს თავისუფალი სიყვარულის გავრცელებასო.

როდესაც ავსტრიელმა დელეგატმა გერტნერმა სცადა აღეძრა საკითხი პროსტიტუციის სოციალური მიზეზების, მუშათა ოჯახების გაჭირვებისა და სიღატაკის, ბავშვთა შრომის ექსპლოატაციის, აუტანელი საბინაო პირობებისა და სხვ. შესახებ, — ორატორი ჩააჩუმეს მტრული წამოძახილებით!

სამაგიეროდ დიდკაცებზე ლაპარაკობდნენ — დელეგატთა ჯგუფებში — საგულისხმო და დიდ ამბებს. მაგალითად, როდესაც გერმანიის დედოფალი ეწვევა ხოლმე ბერლინის რომელიმე სამშობიაროსახლს, „უკანონო“ ბავშვთა დედებს თ ი თ ე ბ ზ ე ბ ე ჭ დ ე ბ ს ა ც მ ე ვ ე ნ, — რომ ჯვარდაუწერელი დედების ხილვით არ შებღალონ გვირგვინოსნის გრძნობა!!

ამის მიხედვით შეიძლება განვსაჯოთ, რა საზიზღარი ბურჟუაზიული ფარისევლობა უნდა იყოს გამეფებული ამ არისტოკრატიულ ბურჟუაზიულ კონგრესებზე. ქველმოქმედების აკრობატები და გაჭირვებისა და სიღატაკის აბუჩად აგდების პოლიციელი დამცველები იკრიბებიან „პროსტიტუციასთან საბრძოლველად“, პროსტიტუციასთან, რომელსაც ხელს უწყობენ სწორედ არისტოკრატია და ბურჟუაზია...

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „პროსტიტუციასთან ბრძოლის მეხუთე საერთაშორისო ყრილობა“. თხზ. ტ. 19. გვ. 302—303.

როდესაც ხალხი შიმშილობს, როდესაც უმუშევრობა სულ უფრო და უფრო მრისხანედ მძვინვარებს, — თვითეული, ვინც ზედმეტ ფუთ პურს მალავს, თვითეული, ვინც ხახელმწიფოს ერთ ფუთ სათბობ მასალას აკლებს, უდიდეს დამნაშავეს წარმოადგენს.

ასეთ დროს — ხოლო ჭეშმარიტად კომუნისტური საზოგადოებისათვის ეს ყოველთვის სწორია — ყოველი ფუთი პური და სათბობი არის ნამდვილი წმინდათა წმინდა, იმ წმინდათა წმინდაზე უფრო მეტი, რითაც აბრიყვებენ რეგვენებს ხუცები, რომელნიც ზეციერ სასუფეველს აღუთქვამენ მიწიერი მონობის ჯილდოდ. ხოლო იმისათვის, რომ ხუცური „წმიდათაწმიდობის" ყოველკვარი ნაშთი ჩამოვაშოროთ ამ ნამდვილ წმიდათა წმიდას, საჭიროა პრაქტიკულად დავეუფლოთ მას, უნდა საქმით მივაღწიოთ მის სწორ განაწილებას, მთელი ზედმეტი პური უკლებლივ, ბოლომდე მთლიანად უნდა შევაგროვოთ საერთო-სახელმწიფოებრივ მარაგად, უნდა გავწმინდოთ მთელი ქვეყანა გადამალული ან შეუკრებელი ზედმეტი პურისაგან, საჭიროა მუშის მტკიცე ხელით მივაღწიოთ ძალთა უკიდურესად დაძაბვას სათბობი მასალის მოპოვების გადიდებისა და მისი უდიდესი მომჭირნეობისათვის, უდიდესი წესრიგისათვის მის მოზიდვასა და მოხმარებაში.

3. ლენინი, „შიმშილობის შესახებ". თხზ. ტ. 27. გვ. 480.

მუშა ძველი საზოგადოებისაგან არასოდეს არ ყოფილა ჩინური კედლით გამოყოფილი. მასაც ბლომად აქვს შერჩენილი კაპიტალისტური საზოგადოების ტრადიციული ფსიქოლოგია. მუშები ახალ საზოგადოებას აშენებენ, ხოლო თვითონ არ გადაქცეულან ახალ ადამიანებად, არ გასუფთავებულან ძველი სამყაროს ჭუჭყისაგან. არამედ მუხლებამდე ჯერ კიდევ ამ ჭუჭყში არიან ჩაფლულნი. ჩვენი ოცნებაა მხოლოდ, რომ ეს ჭუჭყი ჩამოვიცილოთ. უდიდესი უტოპია იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ეს შეიძლება დაუყოვნებლივ გაკეთდეს. ეს ისეთი უტოპია იქნებოდა, რომელიც პრაქტიკულად მხოლოდ უაღრესად დაგვაშორებდა სოციალიზმის სამეფოს.

არა, სოციალიზმის აშენებას ჩვენ ასე არ ვუდგებით. ჩვენ მას ვუდგებით ისე, რომ კაპიტალისტური საზოგადოების ნიადაგზე ვდგავართ, ვიბრძვით ყველა იმ სუსტი მხარისა და ნაკლის წინააღმდეგ, რაც მშრომელებსაც აქვთ და რაც პროლეტარიატს დაბლა ეწევა. ამ ბრძოლაში ბევრია სეპარატისტული, ძველი წვრილმესაკუთრული ჩვეულებანი და მიდრეკილებანი, ჯერ კიდევ ძალა აქვს ძველ ლოზუნგს: „თვითეული თავისთვის, მარტო ღმერთია ყველასათვისო". ეს საკმაოზე მეტი იყო თვითეულ პროფესიულ კავშირში, თვითეულ ფაბრიკაში, რომელიც ძალიან ხშირად მხოლოდ თავის თავზე ფიქრობდა, დანარჩენზე კი უფალმა ღმერთმა და უფროსებმა იზრუნონო. ეს ჩვენ ვნახეთ, ეს ჩვენ საკუთარ ზურგზე გამოვცადეთ, ეს ჩვენ იმდენ შეცდომად, იმდენ მძიმე შეცდომად დაგვიჯდა, რომ ამ გამოცდილებას

ჩვენ ახლა ვითვალისწინებთ და ვეუბნებით ამხანაგებს: უაღრესად გადაჭრით გაფრთხილებთ — არ ჩაიდინოთ არავითარი თვითნებური მოქმედება ამ დარგში-თქო. და ჩვენ ვამბობთ: ეს სოციალიზმის მშენებლობა კი არ იქნება, ეს იქნება ის, რომ ჩვენ ყველანი კაპიტალიზმის სუსტ მხარეებს დავემორჩილებით.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „მოხსენება პროფესიულ კავშირთა სრულიად რუსეთის II ყრილობაზე". თხზ. ტ. 28, გვ. 535—536.

XIII ნაწილი

კომუნისტური პარტიის რელიგიის, ეკლესიისა და მორწმუნეებისადმი დამოკიდებულების მარქსისტულ-ლენინური პრინციპები

1. კომუნისტური პარტიის ბრძოლა სინდისის თავისუფლებისათვის ოქტომბრის რევოლუციამდე

ჯერ ერთი, ჩვენ მოვითხოვთ, რომ კანონით დაუყოვნებლივ და უსათუოდ აღიარებული იყოს კრებების თავისუფლება, პრესის თავისუფლება და ყველა „პოლიტიკოსის“ და ყველა სექტანტის ამნისტია. ვიდრე ეს გაკეთებული არ არის, ყოველგვარი სიტყვები შემწყნარებლობაზე. სარწმუნოების თავისუფლებაზე დარჩება უბადრუკ თამაშად და ულირს სიცრუედ. ვიდრე გამოცხადებული არ არის კრებების, სიტყვისა და პრესის თავისუფლება, — მანამდე არ მოისპობა სამარცხვინო რუსული ინკვიზიცია, რომელიც სდევნის არასახაზინო სარწმუნოების, არასახაზინო აზრების, არასახაზინო მოძღვრებათა აღიარებას. ძირს ცენზურა! ძირს პოლიციური და ჟანდარმული დაკვა „გაბატონებული“ ეკლესიისა! ამ მოთხოვნებისთვის რუსეთის შეგნებული პროლეტარიატი იბრძოლებს სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

ვ. ი. ლენინი. „თვითმპყრობელობა ირყევა“. თხზ., ტ. 6. გვ. 428—429.

ახლა სოფლად გაცილებით ნაკლებია სკოლა, ვიდრე ქალაქად, ამასთანავე ყველგან მხოლოდ მდიდარ კლასებს, მხოლოდ ბურჟუაზიას აქვს საშუალება მისცეს თავის ბავშვებს კარგი განათლება. მხოლოდ ყველა ბავშვის უფასო და სავალდებულო სწავლება იხსნის ხალხს, ნაწილობრივ მაინც, დღევანდელი სიბნელისაგან. ხოლო ამ სიბნელისაგან განსაკუთრებით იტანჯება სოფლის ღარიბი გლეხობა, და მას განსაკუთრებით ესაჭიროება განათლება. მაგრამ, რასაკვირველია, ჩვენ გვინდა ნამდვილი, თავისუფალი განათლება და არა ისეთი, როგორიც სურთ მოხელეებსა და ხუცებს.

შემდეგ, სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ, რომ ყველას ჰქონდეს სრული უფლება აღიაროს სრულიად თავისუფლად ის სარწმუნოება, რომელიც მას სურს. ევროპის სახელმწიფოებიდან მხოლოდ რუსეთსა და თურქეთში დარჩა სამარცხვინო კანონები იმათ წინააღმდეგ, ვინც სხვა, არა მართლმადიდებელ სარწმუნოებას აღიარებს, კანონები მწვალებლების, სექტანტების, ებრაელების წინააღმდეგ. ეს კანონები ან პირდაპირ კრძალავენ რომელიმე სარწმუნოებას, ან კრძალავენ მის გავრცელებას. ან კიდევ უსპობენ ზოგიერთ უფლებას გარკვეული სარწმუნოების მიმდევრებს. ყველა ეს კანონი ყველაზე უსამართლო, ყველაზე ძალმომრეობითი, ყველაზე სამარცხვინოა. ყველას უნდა ჰქონდეს სრული თავისუფლება არა მარტო აღიაროს რომელიც უნდა სარწმუნოება, არამედ გაავრცელოს კიდეც რომელი სარწმუნოებაც სურს და გამოიცვალოს სარწმუნოება. არც ერთ მოხელეს არ უნდა ჰქონდეს იმისი უფლებაც კი, რომ ჰკითხოს, ვინც უნდა იყოს, სარწმუნოების შესახებ: ეს სინდისის საქმეა, და მასში ჩარევას არავინ არ უნდა ბედავდეს. არავითარი „გაბატონებული" სარწმუნოება ან ეკლესია არ უნდა იყოს. ყველა სარწმუნოება, ყველა ეკლესია კანონის წინაშე თანასწორი უნდა იყოს. სხვადასხვა სარწმუნოების მღვდლები უნდა შეინახონ იმათ, ვინც ამ სარწმუნოებას ეკუთვნის, ხოლო ხაზინის ფულით სახელმწიფო არც ერთს სარწმუნოებას არ უნდა ეხმარებოდეს, არ უნდა ინახავდეს არც ერთი სარწმუნოების მღვდლებს, არც მართლმადიდებელთ, არც მწვალებლების, არც სექტანტების ან სხვა რომელიმე სარწმუნოების მღვდლებს. აი რისთვის იბრძვიან სოციალ-დემოკრატები, და ვიდრე ეს ღონისძიებანი არ იქნება გატარებული ისე, რომ არავითარი მომიზეზება არ იყოს და არავითარი გასაძრომ-გამოსაძრომი არ დარჩეს, მანამდე ხალხი ვერ განთავისუფლდებ სამარცხვინო პოლიციური დევნისაგან სარწმუნოებისათვის და არანაკლებ სამარცხვინო პოლიციური მოწყალებისაგან ერთი რომელიმე სარწმუნოების სასარგებლოდ.

3. ლენინი. „სოფლის ღარიბებს". თხზ., ტ. 6. გვ. 500—501.

ასეთი განხილვის მიზნით ჩემ თავს ნებას მივცემ შევჩერდე მღვდელ ტიხვინსკის სიტყვაზე. ბატონებო! სოციალ-დემოკრატები არ იზიარებენ ქრისტიანული რელიგიის შეხედულებებს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქრისტიანობის ნამდვილ საზოგადოებრივ, კულტურულ და პოლიტიკურ მნიშვნელობასა და შინაარსს უფრო სწორედ გამოხატავენ ისეთი სასულიერო პირთა შეხედულებანი და მისწრაფებანი, როგორიც არის ეპისკოპოზი ევლოგი, ვიდრე ისეთი პირებისა, როგორიც არის მღვდელი ტიხვინსკი. აი ამიტომაა, რომ

როგორც ჩვენი მეცნიერული, მატერიალისტური მსოფლმხედველობის გამო, რომლისთვისაც ყოველგვარი ცრურწმენა უცხოა. ისე ყველა მშრომელთა თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის ბრძოლის საერთო ამოცანების გამოც ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, უარყოფით ვუყურებთ ქრისტიანულ მოძღვრებას. მაგრამ, ამ განცხადებასთან ერთად, ჩემს მოვალეობად ვთვლი აქვე, პირდაპირ და აშკარად ვთქვა, რომ სოციალ-დემოკრატია იბრძვის სინდისის სრული თავისუფლებისათვის და სრული პატივისცემით ეპყრობა ყოველგვარ გულწრფელ რწმენას სარწმუნოების საქმეებში, თუ კი ეს რწმენა ძალადობის ან მოტყუების გზით არ ხორციელდება. მით უმეტეს მოვალედ ვთვლი ჩემ თავს ხაზგასმით აღვნიშნო ეს იმიტომ, რომ განზრახული მაქვს ვილაპარაკო ჩემს უთანხმოებებზე ᲛᲦᲕᲓᲔᲚ ტიხვინსკისთან, — გლეხთა დეპუტატთან, რომელიც ყოველგვარი პატივისცემის ღირსია, რადგან ის გულწრფელად ერთგულია გლეხობის ინტერესებისა, ხალხის ინტერესებისა, რასაც იგი უშიშრად და გაბედულად იცავს.

3. ᲚᲔᲜᲘᲜᲘ, „აგრარულ საკითხზე“ თხზ. ტ. 12 გვ. 355—356.

2. ნაციონალური საკითხი და რელიგია

თათბირი ეყრდნობა რსდმ პარტიის პროგრამას და — ნაციონალურ საკითხში სოციალ-დემოკრატიული აგიტაციის სწორად დაყენების გულისთვის — აყენებს შემდეგ დებულებებს:

1. რამდენადაც ექსპლოატაციაზე, მოგებასა და კონკლობაზე დამყარებულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში შესაძლებელია ნაციონალური მშვიდობა, იმდენად ეს მისაღწევია მხოლოდ სახელმწიფოს თანამიმდევარი, ბოლომდე დემოკრატიული, რესპუბლიკური წყობილების პირობებში, რაც უზრუნველყოფს ყველა ერისა და ენის სრულ თანასწორუფლებიანობას, სავალდებულო სახელმწიფო ენის არარსებობას, ისე რომ მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყოს სკოლებით, სადაც სწავლება იქნება ყველა ადგილობრივ ენაზე, ხოლო კონსტიტუციაში შეტანილი იქნება ძირითადი კანონი, რომელიც გააუქმებს ერთ-ერთი ერის ყოველგვარ პრივილეგიებს და ეროვნული უმცირესობის უფლებათა ყოველგვარ დარღვევას. ამასთან განსაკუთრებით საჭიროა ფართო საოლქო ავტონომია და სავსებით დემოკრატიული ადგილობრივი თვითმმართველობა, ხოლო თვითმმართველი და ავტონომიური ოლქების საზღვართა განსაზღვრა მოხდეს სამეურნეო და საყოფაცხოვრებო პირობების, მოსახლეობის ეროვნული შემადგენლობისა და სხვათა გათვალისწინებით თვით ადგილობრივი მოსახლეობის მიერ.

2. სასკოლო საქმის ეროვნებათა მიხედვით დაყოფა ერთი სახელმწიფოს ფარგლებში უსათუოდ საზიანოა საერთოდ დემოკრატიისა და განსაკუთრებით პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების თვალსაზრისით. სწორედ ასეთ დაყოფას წარმოადგენს რუსეთში ებრაელობის ყველა ბურჟუაზიული პარტიისა და სხვადასხვა ერის მეშჩანური, ოპორტუნისტული ელემენტების მიერ მიღებული გეგმა ეგრეთწოდებული „კულტურულ-ნაციონალური“ ავტონომიისა ან ისეთ „დაწესებულებათა შექმნისა, რომელნიც უზრუნველყოფენ ნაციონალური განვითარების თავისუფლებას“.

3. მუშათა კლასის ინტერესები მოითხოვს ამა თუ იმ სახელმწიფოს ყველა ეროვნების მუშათა შეერთებას ერთიან პროლეტარულ ორგანიზაციებად — პოლიტიკურ, პროფესიულ, კოოპერაციულ-საგანმანათლებლო და სხვ. ორგანიზაციებად. სხვადასხვა ეროვნების მუშათა მხოლოდ ასეთი შეერთება ერთიან ორგანიზაციებად შესაძლებლობას აძლევს პროლეტარიატს ძლევამოსილი ბრძოლა აწარმოოს საერთაშორისო კაპიტალისა და რეაქციის წინააღმდეგ, აგრეთვე ყველა ეროვნების იმ შემამულეების, ხუცებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების ქადაგებისა და მისწრაფების წინააღმდეგ, რომლებიც ჩვეულებრივ თავიანთ ანტიპროლეტარულ მისწრაფებას ატარებენ „ნაციონალური კულტურის“ დროშით. მსოფლიო მუშათა მოძრაობა ქმნის და დღითიდღე სულ უფრო ავითარებს პროლეტარიატის ინტერნაციონალურ (საერთაშორისო) კულტურას.

4. რაც შეეხება მეფის მონარქიის მიერ დაჩაგრულ ერთა თვითგამორკვევის უფლებას, ე. ი. გამოყოფისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლებას, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ უცილობლად უნდა დაიცვას ეს უფლება. ამას მოითხოვს როგორც საერთოდ საერთაშორისო დემოკრატიის ძირითადი პრინციპები, ისე განსაკუთრებით რუსეთის მოსახლეობის უმრავლესობის გაუგონარი ნაციონალური ჩაგვრა მეფის მონარქიის მიერ, რომელიც წარმოადგენს ყველაზე რეაქციულ და ბარბაროსულ სახელმწიფო წყობილებას ევროპისა და აზიის მეზობელ სახელმწიფოებთან შედარებით. ამას მოითხოვს, შემდეგ, თავისუფლების საქმე თვით ველიკორუსი მოსახლეობისა, რომელსაც უნარი არ შესწევს შექმნას დემოკრატიული სახელმწიფო, თუ აღმოფხვრილი არ იქნება შავრაზმული ველიკორუსული ნაციონალიზმი, რომელსაც ზურგს უმაგრებს ნაციონალურ მოძრაობათა სისხლის ღვრით ჩახშობის ტრადიცია და რომელსაც სისტემატურად აძლიერებს არა მარტო მეფის მონარქია და ყველა რეაქციული პარტია, არამედ მონარქიის წინაშე მლიქვნელი ველიკორუსული ბურჟუაზიული ლიბერალიზმი, მეტადრე კონტრრევოლუციის ეპოქაში.

5. შეუწყნარებელია ერთმანეთში ავურიოთ ერთა თვითგამორკვევის უფლების საკითხი (ე. ი. გამოყოფის საკითხის გადაწყვეტის სრულიად თავისუფალი და დემოკრატიული წესის უზრუნველყოფა სახელმწიფოს კონსტიტუციით) და ამა თუ იმ ერის გამოყოფის მიზანშეწონილობის საკითხი. ეს უკანასკნელი საკითხი სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ თვითოეულ ცალკე შემთხვევაში სრულიად დამოუკიდებლად უნდა გადაწყვიტოს მთელი საზოგადოებრივი განვითარების ინტერესებისა და სოციალიზმისათვის პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ინტერესების თვალსაზრისით.

ამასთან სოციალ-დემოკრატიას მხედველობაში უნდა ჰქონდეს, რომ დაჩაგრულ ერთა მემამულეები, ხუცები და ბურჟუაზია ხშირად ნაციონალისტური ლოზუნგებით ფარავენ მუშების დაყოფისა და მათი გაბრიყვების მისწრაფებებს, მათ ზურგს უკან სდებენ რა გარიგებას გაბატონებული ერის მემამულეებთან და ბურჟუაზიასთან ყველა ერის მშრომელი მასების საზიანოდ.

ე. ი. ლენინი, „რსდმპ ც-კ-ის 1913 წლის ზაფხულის თათბირის რეზოლუციები". თხზ. ტ. 19. გვ. 505—508.

რელიგია და ნაციონალური ჩაგვრა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში

მთავრობის პოლიტიკა მთლიანად გაჟღენთილია ნაციონალიზმის სულით. ცდილობენ ყოველგვარი პრივილეგიები მიანიჭონ „გაბატონებულ", ე. ი. ველიკორუსულ ეროვნებას, — თუმცა რუსეთში ველიკორუსები მოსახლეობის უმცირესობას შეადგენს, სახელდობრ, მხოლოდ 43%-ს.

ცდილობენ სულ უფრო და უფრო შეკვეცონ რუსეთში მოსახლე ყველა დანარჩენი ეროვნების უფლებები, გააცალკეონ ერთიმეორისაგან და გააღვივონ მტრობა მათ შორის.

თანამედროვე ნაციონალიზმის უკიდურესი გამოხატულება — ეს არის ებრაული სკოლის ნაციონალიზაციის პროექტი. ეს პროექტი დაებადა ოდესის სასწავლო ოლქის მზრუნველს, და სახალხო „განათლების" სამინისტროც თანაგრძნობით შეხვდა მას. რაში მდგომარეობს ეს ნაციონალიზაცია?

იმაში, რომ სურთ ებრაელები გამოჰყონ ებრაელთა განსაკუთრებულ (საშუალო) სასწავლებლებში. ყველა დანარჩენი, როგორც კერძო, ისე მთავრობის, სასწავლებლის კარი კი სურთ დაუკეტონ ებრაელებს. ამ „გენიალური" გეგმის დასაგვირგვინებლად განზრახულია ებრაულ გიმნაზიებში მოსწავლეთა რიცხვის შეზღუდვა განთქმული „პროცენტული ნორმით"!

ყველა ევროპულ ქვეყანაში ებრაელთა წინააღმდეგ ასეთი ზო-

მები და კანონები არსებობდა მხოლოდ შუა საუკუნეების, ინკვიზიციის, ერეტიკოსთა დაწვისა და სხვა მშვენიერებათა შავბნელ ეპოქაში. ევროპაში ებრაელებს დიდი ხანია სრული თანასწორუფლებიანობა მიენიჭათ და ისინი სულ უფრო და უფრო ითქვიფებიან იმ ხალხში, რომლის შორისაც ცხოვრობენ.

საერთოდ ჩვენს პოლიტიკაში, განსაკუთრებით კი აღნიშნულ პროექტში, ებრაელთა შევიწროებისა და ჩაგვრის გარდა ყველაზე მავნებელია მისწრაფება ნაციონალიზმის გაღვივებისა, სახელმწიფოში ერთ-ერთი ეროვნების მეორისაგან განცალკევებისა, მათი განმარტოების გაძლიერებისა, მათი სკოლების გამოყოფისა.

მუშათა კლასის ინტერესები — როგორც საერთოდ პოლიტიკური თავისუფლების ინტერესები, — პირიქით, მოითხოვს ამა თუ იმ სახელმწიფოს გამოუკლებლივ ყველა ეროვნების უაღრესად სრულ თანასწორუფლებიანობას და ერთა შორის ყოველგვარი ზღუდის მოშლას, ყოველგვარ ერთა ბავშვების შეერთებას ერთიან სკოლებში და სხვ.. მუშათა კლასს მხოლოდ მაშინ შეუძლია ძალას წარმოადგენდეს, გაუმკლავდეს კაპიტალს და სერიოზულად გაიუმჯობესოს ცხოვრება, თუ უკუაგდებს ყველა ველურ და უგუნურ ნაციონალურ ცრურწმენას და გააერთიანებს ყველა ერის მუშებს ერთ კავშირად.

შეხედეთ კაპიტალისტებს: ისინი ცდილობენ გააღვივონ ნაციონალური მტრობა „უბრალო ხალხში", თვითონ კი ჩინებულად აპაჰრაკებენ თავიანთ საქმეებს: ერთ და იმავე საქციო საზოგადოებაში რუსებიც არიან, უკრაინელებიც, პოლონელებიც, ებრაელებიც და გერმანელებიც. მუშების წინააღმდეგ გაერთიანებული არიან ყველა ერისა და სარწმუნოების კაპიტალისტები, ამავე დროს კი ცდილობენ მუშები დაანაწილონ და დაასუსტონ ნაციონალური მტრობით!

ებრაული სკოლის ნაციონალიზაციის უაღრესად მავნე პროექტი, სხვათა შორის, ცხადყოფს, რა მცდარია ეგრეთწოდებული „კულტურულ-ნაციონალური ავტონომიის" გეგმა, ე. ი. სასკოლო საქმის სახელმწიფოსათვის ჩამორთმევისა და თვითეული ცალკეული ერის ხელში გადაცემის გეგმა. ჩვენ უნდა ვესწრაფოდეთ სრულიადაც არა ამას. არამედ ყველა ერის მუშათა შეერთებას ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „ებრაული სკოლის ნაციონალიზაცია". თხ. ტ. 19, გვ. 360—362.

„კიევსკაია მისლი" იტყობინება, რომ ეპისკოპოსმა ნიკონმა, სახელმწიფო სათათბიროს წევრმა, მემარჯვენემ, პირველმა მოაწერა

ხელი სახელმწიფო სათათბიროში შესატან კანონპროექტს უკრაინული სკოლისა და საზოგადოებათა შესახებო.

კანონპროექტის შინაარსი: 'დაწყებითს სკოლებში ნებადართულ იქნეს სწავლება უკრაინულ ენაზე; მასწავლებლებად დაინიშნონ უკრაინელები; შემოღებულ იქნეს უკრაინული ენისა და უკრაინის ისტორიის სწავლება; შეწყდეს უკრაინულ საზოგადოებათა დევნა და მათი დახურვა „ადმინისტრაციული მიხედულებით, ხშირად შიშველი თვითნებობით".

ამრიგად, პურიშკევიჩის პარტიულ ამხანაგს — ეპისკოპოს ნიკონს — ზ ო გ ი ე რ თ შემთხვევაში თ ვ ი თ ნ ებ ო ბ ა არ მოსწონს.

ეპისკოპოსი ნიკონი, სამართლიანად ფიქრობს, რომ მის მიერ აღძრული „საკითხი მეტისმეტად დიდმნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც ეხება 37-მილიონიანი უკრაინელი ხალხის დასახიჩრებას"; — რომ „მდიდარ, ლამაზ, ნიჭიერ, აყვავებულ და პოეტურ უკრაინას მოელის გადაშენება, თანდათანობითი გამოყეყეჩება და ნელი კვდომა".

პროტესტი ველიკოროსების მიერ უკრაინელების ჩაგვრის წინააღმდეგ სრულიად სამართლიანია. მაგრამ დახეთ, რა საბუთებით იცავს უკრაინელთა მოთხოვნებს ეპისკოპოსი ნიკონი:

„უკრაინელი ხალხი არ ეძებს რაღაც ყბადაღებულ ავტონომიას, ზაპოროჟიეს სეჩის აღდგენას; უკრაინელები სეპარატისტები როდი არიან... უკრაინელები უცხო ტომისანი როდი არიან, ისინი ჩვენიანები, ჩვენი ღვიძლი ძმები არიან; ამიტომაც ისინი არ უნდა შეიზღუდონ ენისა და ნაციონალური კულტურული განვითარების მხრივ; თორემ გამოდის, რომ მათ, ჩვენს ძმებს, ჩვენ თვითონ ვუთანაბრებთ ებრაელებს, პოლონელებს, ქართველებსა და სხვ., ნაკდვილ უცხო ტომისანებს".

ამრიგად, ისე გამოდის, რომ უკრაინელი ეპისკოპოსი ნიკონი და მისი თანამოაზრენი ველიკოროს მემამულეებს სთხოვენ პ რ ი ვ ი ლ ე გ ი ებ ს უკრაინელებისთვის იმ საბუთით, რომ ისინი ძმები არიან, ებრაელები კი — უცხო ტომისანი! უფრო პირდაპირ და მარტივად რომ ვთქვათ: თანახმანი ვართ ებრაელი და სხვ. გავსრისოთ, როგორც უცხო ტომისანი, თუ ჩვენ დაგვითმობენო.

ნაცნობი სურათია „ნაციონალური კულტურის" დაცვისა, უ ვ ე ლ ა ბურჟუაზიული ნაციონალისტის მიერ, შავრაზმელი ნაციონალისტით დაწყებული ლიბერალურ და თვით ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ ნაციონალისტებამდე!

ეპისკოპოს ნიკონს გაგონებაც კი არა სურს იმისა, რომ უკრაინელებს ვერ დაიცავ ჩაგვრისაგან, თუ ყოველგვარი ჩაგვრისაგან არ დაიცავი გამოუკლებლივ ყველა ხალხი, — თუ სახელმწიფოებრივი

ცხოვრებიდან აბსოლუტურად არ განდევნე ცნება „ეცხო ტომისანი", — თუ არ დაიცავი ყველა ეროვნების სრული თანასწორუფლებიანობა. ნაციონალური ჩაგვრისაგან ვერავის დაიცავ, თუ თანაბიმდევრად არ გაატარე უაღრესად ფართო ადგილობრივი და საოლქო ავტონომია და ყ ვ ე ლ ა სახელმწიფოებრივი საკითხის მოსახლეობის უმრავლესობის ნების მიხედვით გადაწყვეტის პრინციპი (ე. ი. თანამიმდევარი დემოკრატიზმის პრინციპი).

ეპისკოპოს ნიკონისთვის უკრაინელების „ნაციონალური კულტურის" ლოზუნგი სინამდვილეში ნიშნავს შავრაზმულობის უკრაინულ ენაზე პროპაგანდის ლოზუნგს, უკრაინულ-კლერიკალური კულტურის ლოზუნგს.

შეგნებულმა მუშებმა გაიგეს, რომ „ნაციონალური კულტურის" ლოზუნგი კლერიკალური ან ბურჟუაზიული თვალთმაქცობაა — სულ ერთია, ლაპარაკია ველიკორუსულ, უკრაინულ, ებრაულ, პოლონურ, ქართულ თუ სხვა რომელიმე კულტურაზე, 125 წლის წინათ, როდესაც ერი ჯერ კიდევ არ იყო გათიშული ბურჟუაზიად და პროლეტარიატად, ნაციონალური კულტურის ლოზუნგი შეიძლებოდა ყოფილიყო ერთიანი და მთლიანი მოწოდება ბრძოლისადმი ფეოდალიზმისა და კლერიკალიზმის წინააღმდეგ, მაგრამ მას შემდეგ ყველგან გაჩაღდა კლასობრივი ბრძოლა ბურჟუაზიასა და პროლეტარიატს შორის. „ერთიანი" ერის გათიშვა ექსპლოატატორებად და ექსპლოატირებულებად მომხდარი ფაქტი გახდა.

საერთოდ ნაციონალურ კულტურაზე ლაპარაკი შეუძლიათ მხოლოდ კლერიკალებს ან ბურჟუებს. მშრომელ მასებს შეუძლიათ ილაპარაკონ მხოლოდ მსოფლიო მუშათა მოძრაობის ინტერნაციონალურ (საერთაშორისო) კულტურაზე. მხოლოდ ასეთი კულტურა ნიშნავს ერთა სრულ, ნამდვილ, გულწრფელ თანასწორუფლებიანობას, ნაციონალური ჩაგვრის არარსებობას, დემოკრატიის განხორციელებას. „ნაციონალური საკითხის გადაჭრისაკენ" მივყავართ მხოლოდ ყ ვ ე ლ ა მუშათა ორგანიზაციაში ყველა ერის მუშების ერთიანობასა და შეერთებას კაპიტალის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „როგორ იცავს უკრაინელებს ეპისკოპოსი ნიკონი?" თხზ. ტ. 19. გვ. 448—450.

ანტისემიტიზმი ეწოდება ებრაელებისადმი მტრობის გავრცელებას. როცა წყეული მეფის მონარქია თავის უკანასკნელ დღეებს ითვლიდა, იგი ცდილობდა ბნელი მუშებისა და გლეხების წასისინებას ებრაელებზე. მეფის პოლიცია მემამულეებთან და კაპიტალისტებთან კავშირში აწყობდა ებრაელთა დარბევებს. მემამულეები და კაპიტა-

ლისტები ცდილობდნენ გაჭირვებით განაწამები მუშებისა და გლეხების სიძულვილი ებრაელებზე წარემართათ. სხვა ქვეყნებშიც ხშირად ვხედავთ, რომ კაპიტალისტები აღვივებენ მტრობას ებრაელებისადმი, რათა თვალი დაუბნელონ მუშებს, რათა მათი ყურადღება აარიდონ მშრომელთა ნამდვილ მტერს — კაპიტალს. ებრაელებისადმი მტრობას მხოლოდ იქა აქვს მტკიცედ გადგმული ფესვები, სადაც მემამულეებისა და კაპიტალისტების კაბალამ მუშებისა და გლეხების უკუნეთი სიბნელე შექმნა. ებრაელების წინააღმდეგ გავრცელებული სიცრუისა და ცილისწამების დაჯერება მხოლოდ სავსებით ბნელ, სავსებით დაბეჩავებულ ადამიანებს შეუძლიათ. ეს არის ძველი ბატონყმური დროის ნაშთები, როცა ხუცები აიძულებდნენ კოცონზე დაეწვათ ერეტიკოსები, როცა არსებობდა გლეხების მონობა, როცა ხალხი უღელქვეშ გმინავდა და უტყვი იყო. ამ ძველ ბატონყმურ სიბნელეს ბოლო ეღება. ხალხს თვალი ეხილება.

ებრაელები კი არ არიან მშრომელთა მტრები. მუშების მტრები ყველა ქვეყნის კაპიტალისტები არიან. ებრაელებს შორის არიან მუშები, მშრომელები, — ისინი უმრავლესობას შეადგენენ. ისინი ჩვენი ძმები არიან კაპიტალის მიერ ერთად ჩაგვრაში, ჩვენი ამხანაგები არიან სოციალიზმისთვის ბრძოლაში. ებრაელებში არიან კულაკები, ექსპლოატატორები, კაპიტალისტები; ისევე როგორც რუსებში, ისევე როგორც ყველა ერში. კაპიტალისტები ცდილობენ გაავრცელონ და გააღვივონ მტრობა სხვადასხვა სარწმუნოების, სხვადასხვა ერის, სხვადასხვა რასის მუშებს შორის. არამუშა ხალხის დასაყრდნობია ძალა და კაპიტალის ბატონობა. მდიდარი ებრაელები, ისევე როგორც მდიდარი რუსები, ისევე როგორც ყველა ქვეყნის მდიდრები, ერთმანეთთან კავშირში არიან და ახშობენ, ჩაგრავენ, ძარცვავენ, თიშავენ მუშებს.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „ებრაელთა დარბევითი ხასიათის დევნის შესახებ“. ტ. 29. გვ. 287—288.

რაკი ებრაელი მუშები ეკატერინოსლავში ორგანიზებული არ არიან ცალკე კომიტეტში, მაშასადამე, მათ მოძრაობას (ამ ადგილის მთელ მუშათა მოძრაობასთან განუყრელად) მთლიანად უძღვება ეკატერინოსლავის კომიტეტი; ეს უკანასკნელი უ შ უ ა ლ ო დ უმორჩილებს მათ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, რომელიც უ ნ დ ა მ ო უ წ ო დ ე ბ დ ე ს მათ სამუშაოდ მ თ ე ლ ი პ ა რ ტ ი ი ს თ ვ ი ს და არა მისი ცალკეული ნაწილებისათვის. ცხადია, ასეთ პირობებში ეკატერინოსლავის კომიტეტი არა თუ არ იყო ვალდებული მოეხსენებინა ბუნდი, არამედ, პირიქით, მას რომ აზრად მოსვლოდა ექადაგნა „ებრაელი პროლეტარიატის ძალთა ცალკე

ორგანიზაციის“ (რაც ბუნდელებს სურთ) „აუცილებლობა“ (ეს იქნებოდა, უფრო სწორედ და უფრო დანამდვილებით რომ ვთქვათ, უძლურების[1] ორგანიზაცია), მაშინ ეკატერინოსლავის კომიტეტის მხრივ ეს უდიდესი შეცდომა და პირდაპირი დარღვევა იქნებოდა არა მარტო პარტიის წესდებისა, არამედ აგრეთვე პროლეტარული კლასობრივი ბრძოლის ერთიანობის ინტერესებისაც.

შემდეგ, ეკატერინოსლავის კომიტეტს იმაში სდებენ ბრალს, რომ თითქოს მას ანტისემიტიზმის საკითხში „ორიენტირება“ აკლია. ბუნდის საზღვარგარეთული კომიტეტი ჭეშმარიტად ბავშვურ შეხედულებებს ამჟღავნებს დიდ სოციალურ მოძრაობათა შესახებ. ეკატერინოსლავის კომიტეტი ლაპარაკობს უკანასკნელი ათეული წლების საერთაშორისო ანტისემიტურ მოძრაობაზე და შენიშნავს, რომ „ეს მოძრაობა გერმანიიდან მოედო სხვა ქვეყნებს და ყველგან ჰპოვა მომხრეები მოსახლეობის სწორედ ბურჟუაზიულ და არა მუშათა ფენებში“. — „ეს არანაკლებ მავნე ზღაპარიაო“ (ვიდრე სიონისტური ზღაპრები), — წამოაყრანტალებს ბუნდის მთლად გაბრაზებული საზღვარგარეთული კომიტეტი. ანტისემიტიზმმა „ფესვები გაიდგა მუშათა მასაშიო“, რის დასამტკიცებლადაც „ორიენტირებულ“ ბუნდს მოჰყავს ორი ფაქტი: 1) მუშების მონაწილეობა ჩენსტოხოვის დარბევაში და 2) იმ 12 (თორმეტი!) მუშა-ქრისტიანის საქციელი ჟიტომირში, რომელთაც დაიკავეს გაფიცულთა ადგილები და რომელნიც „ყველა ურიას ამოჟლეტას“ ემუქრებოდნენ. — საბუთები მართლაც რომ საფუძვლიანია, განსაუქონლობას ჰფარავს მკვახე სიტყვა — „უბადრუკი დასკვნა“, — პრეტენციოზული ფრაზის ახალ ნიმუშს გვაძლევს. ჯერ ერთი, პლეხანოვის რეზოლუცია ლაპარაკობს „ბურჟუაზიის განმათავისუფლებელი მოძრაობის შეზღუდულობისა და უკმარისობის მხილებაზე პროლეტარიატის წინაშე ყველგან, სადაც არ უნდა იჩინოს თავი ამ შეზღუდულობამ და უკმარისობამ“. ამიტომ სრულიად არაფერს შეიცავს ამხ. მარტოვის მტკიცება (ლიგის ყრილობაზე, ოქმების 88 გვ.). — „მთელი ყურადღება უნდა მიექცეს მხოლოდ სტრუვეს, ერთ ლიბერალსო“.

---

[1] „უძლურების ორგანიზაციის“ სწორედ ამნაირ საქმეს ემსახურება ბუნდი, როდესაც ხმარობს, მაგალითად, გამოთქმას: ჩვენი ამხანაგები „ქრისტიანი მუშების ორგანიზაციებიდანო“. ეს ისეთივე უცნაურობაა, როგორიც არის მთელი გალაშქრება ეკატერინოსლავის კომიტეტის წინააღმდეგ. ჩვენ არავითარი „ქრისტიან“ მუშათა ორგანიზაცია არ ვიცით. ორგანიზაციები, რომლებიც ეკუთვნიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას, არასოდეს არ განასხვავებდნენ თავიანთ წევრებს მათი სარწმუნოების მიხედვით, არასოდეს არ ეკითხებოდნენ მათ სარწმუნოებაზე და არც არასოდეს ჩაიდენენ ამას, — არ ჩაიდენენ მაშინაც კი, როდესაც ბუნდი ნამდვილად „ჩამოყალიბდება დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიად“.

მეორეც, „ბუზთან“ ბატონ სტრუვეს შედარება, როცა ლაპარაკია დროებით შეთანხმებათა შესაძლებლობაზე რუს ლიბერალებთან, — ეს იმას ნიშნავს, რომ მკვახე სიტყვას მსხვერპლად შესწირო ელემენტარული პოლიტიკური სინამდვილე. არა, ბ-ნი სტრუვე ბუზი კი არა, პოლიტიკური ფიგურაა, და ის ასეთია არა იმიტომ, რომ ის პირადად ძალიან დიდი ფიგურა იყოს. პოლიტიკური ფიგურის მნიშვნელობას მას აძლევს მისი პოზიცია, რუსული ლიბერალიზმის, რაოდენადმე მაინც ქმედუნარიანი და ორგანიზებული ლიბერალიზმის ერთადერთი წარმომადგენლის პოზიცია, არალეგალურ სფეროში. ამიტომ რუს ლიბერალებზე და მათდამი ჩვენი პარტიის დამოკიდებულებაზე ლაპარაკი ისე, რომ მხედველობაში არ გვყავდეს სწორედ ბ-ნი სტრუვე, სწორედ „ოსვობოჟდენიე“, — ეს იმას ნიშნავს, რომ ილაპარაკო, რათა არაფერი სთქვა. ან, იქნებ, ამბ. მარტოვი შეეცდება დაგვისახელოს თუნდაც ერთადერთი „ლიბერალური თუ ლიბერალურ-დემოკრატიული მიმდინარეობა“ რუსეთში, რომლის შორეულად შედარება მაინც შეიძლებოდეს ამჟამად „ოსვობოჟდენიელთა“ მიმდინარეობასთან? საინტერესო იქნებოდა გვენახა ასეთი ცდა!*

ვ. ი. ლენინი. „ესაჭიროება თუ არა დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტია ებრაელ პროლეტარიატს“. თხზ. ტ. 6. გვ. 408—410.

3. რელიგიის და ეკლესიისადმი სოციალისტური სახელმწიფოს და კომუნისტური პარტიის დამოკიდებულება

სახელმწიფოს არავითარი საქმე არ უნდა ჰქონდეს რელიგიასთან, რელიგიური საზოგადოებანი არ უნდა იყვნენ დაკავშირებული სახელმწიფო ხელისუფლებასთან. ყველა სრულიად თავისუფალი უნდა იყოს იწამოს რომელი რელიგიაც უნდა ან არავითარი რელიგია არ იწამოს, ე. ი. იყოს ათეისტი, როგორიც ჩვეულებრივ არის ხოლმე ყოველი სოციალისტი. სრულიად დაუშვებელია მოქალაქეთა რაიმე უფლებრივი განსხვავება მათი სხვადასხვა რელიგიური რწმენის გამო. ოფიციალურ დოკუმენტებში ყოველგვარი ხსენებაც კი მოქალაქეთა ამა თუ იმ სარწმუნოების აღიარების შესახებ აუცილებლად უნდა მოისპოს. არავითარი სახელმწიფო თანხა არ უნდა ეძლეოდეს ეკლესიას, არავითარი სახელმწიფო თანხა არ უნდა ეძლეოდეს საეკლესიო და რელიგიურ საზოგადოებებს, რომელნიც უნდა გახდნენ თავისუფალ, ხელისუფლებისაგან სავსებით დამოუკიდებელ მოქალაქე-თანამოაზრეთა კავშირებად. მხოლოდ ამ მოთხოვნათა ბოლომდე განხორციელებით შეიძლება ბოლო მოეღოს იმ სამარცხვინო და წყეულ წარსულს, როდესაც ეკლესია სახელმწიფოს ყმა იყო, ხოლო

რუსეთის მოქალაქენი სახელმწიფო ეკლესიის ყმები იყვნენ, როდესაც არსებობდა და მოქმედებდა შუასაუკუნებრივი, ინკვიზიტორული კანონები (ეს კანონები აქამდე დარჩენილია ჩვენს სისხლის სამართლის დებულებებსა და წესდებებში), რომლებიც სდევნიდნენ რწმენისა ან ურწმუნოებისათვის, ძალას ატანდნენ ადამიანის სინდისს, სახაზინო სამსახურს და სახაზინო შემოსავალს უკავშირებდნენ ამა თუ იმ სახელმწიფოებრივ-საეკლესიო ბანგის ჩამორიგებას. სახელმწიფოსაგან ეკლესიის სავსებით გამოყოფა — აი ის მოთხოვნა, რომელსაც სოციალისტური პროლეტარიატი თანამედროვე სახელმწიფოსა და თანამედროვე ეკლესიას უდგენს.

რუსეთის რევოლუციამ უნდა განახორციელოს ეს მოთხოვნა, როგორც პოლიტიკური თავისუფლების აუცილებელი შემადგენელი ნაწილი. ამ მხრივ რუსეთის რევოლუცია განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში იმყოფება, რადგან პოლიციურ-ბატონყმური თვითმპყრობელობის საზიზღარმა ბიუროკრატიზმმა სამღვდელოებაშიც კი უკმაყოფილება, მღელვარება და აღშფოთება გამოიწვია. თუმცა ძალიან დაბეჩავებული. ძალიან უმეცარი იყო რუსეთის მართლმადიდებელი სამღვდელოება, მაგრამ ახლა ისიც კი გამოაღვიძა რუსეთის ძველი, შუასაუკუნებრივი წესწყობილების დამხობის ჰექა-ქუხილმა. ისიც კი მხარს უჭერს თავისუფლების მოთხოვნას, პროტესტს აცხადებს ბიუროკრატიზმისა და მოხელეთა თვითნებობის წინააღმდეგ, პოლიციური მაძიებრობის წინააღმდეგ, რაც „ღვთის მსახურთ" თავს მოახვიეს. ჩვენ, სოციალისტებმა, მხარი უნდა დავუჭიროთ ამ მოძრაობას, ბოლომდე უნდა მივიყვანოთ პატიოსან და გულწრფელ სასულიერო პირთა მოთხოვნები, თავისუფლებაზე ლაპარაკში ჩავიჭიროთ ხოლმე ისინი და მოვთხოვოთ, რომ მათ გადაჭრით გასწყვიტონ ყოველგვარი კავშირი რელიგიასა და პოლიციას შორის. ან თქვენ გულწრფელნი ხართ, და მაშინ მხარი უნდა დაუჭიროთ სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის სრულ გამოყოფას, მხარი უნდა დაუჭიროთ სარწმუნოების სავსებით და უსათუოდ კერძო საქმედ გამოცხადებას. ანდა თქვენ არ იზიარებთ თავისუფლების ამ თანამიმდევარ მოთხოვნებს, — და მაშინ თქვენ, ცხადია, ჯერ კიდევ ტყვე ხართ ინკვიზიციის ტრადიციებისა; მაშინ, ცხადია, თქვენ ჯერ კიდევ ეტმასნებით სახაზინო ადგილებსა და სახაზინო შემოსავალს; მაშინ, ცხადია, თქვენ არა გწამთ თქვენივე იარაღის სულიერი ძალა, განაგრძობთ სახელმწიფო ხელისუფლებისაგან ქრთამის მიღებას, — მაშინ მთელი რუსეთის შეგნებული მუშები დაუნდობელ ბრძოლას გიცხადებენ.

ვ. ი. ლენინი. „სოციალიზმი და რელიგია". თხზ., ტ. 10. გვ. 84—86.

სოციალისტური პროლეტარიატის პარტიის მიმართ რელიგია კერძო საქმე არ არის. ჩვენი პარტია მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის შეგნებულ, მოწინავე მებრძოლთა კავშირია. ასეთი კავშირი არ შეიძლება გულგრილად უყურებდეს და არც უნდა უყურებდეს გულგრილად შეუგნებლობას, უმეცრებას ან ბნელეთის მოციქულობას რელიგიურ რწმენათა სახით. ჩვენ მოვითხოვთ სახელმწიფოსაგან ეკლესიის სრულ გამოყოფას, რათა რელიგიურ ბურუსს წმინდა იდეური და მხოლოდ იდეური იარაღით, ჩვენი პრესით, ჩვენი სიტყვით ვებრძოლოთ. მაგრამ ჩვენი კავშირი, რსდმპ. სხვათა შორის; ჩვენ დავაარსეთ სწორედ მუშების ყოველგვარი სარწმუნოებრივი გაბრიყვების წინააღმდეგ ამგვარი ბრძოლისათვის. ჩვენთვის იდეური ბრძოლა კერძო საქმე კი არა, საერთო პარტიული. საერთო პროლეტარული საქმეა.

თუ ასეა, რატომ არ ვამბობთ ჩვენს პროგრამაში, რომ ათეისტები ვართ? რატომ არ ვუკრძალავთ ქრისტიანებსა და ღვთის მორწმუნეთ ჩვენს პარტიაში შემოსვლას?

ამ კითხვის პასუხი უნდა განმარტავდეს იმ დიდმნიშვნელოვან განსხვავებას, რომელიც რელიგიის საკითხის ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ და სოციალ-დემოკრატიულ დაყენებას შორის არსებობს.

მთელი ჩვენი პროგრამა აგებულია მეცნიერულ და, ამასთანავე. სწორედ მატერიალისტურ მსოფლმხედველობაზე. ამიტომ ჩვენი პროგრამის განმარტება აუცილებლად სარწმუნოებრივი ბურუსის ჭეშმარიტი ისტორიული და ეკონომიკური ფესვების განმარტებასაც შეიცავს. ჩვენი პროპაგანდა აუცილებლად ათეიზმის პროპაგანდასაც შეიცავს; სათანადო მეცნიერული ლიტერატურის გამოცემა, რომელსაც აქამდე სასტიკად კრძალავდა და სდევნიდა თვითმპყრობელურ-ბატონყმური სახელმწიფო ხელისუფლება, ახლა ჩვენი პარტიული მუშაობის ერთ-ერთ დარგს უნდა შეადგენდეს. ჩვენ, ალბათ, ახლა მოგვიხდება გავყვეთ იმ რჩევას, რაც ენგელსმა ერთხელ გერმანელ სოციალისტებს მისცა: გადმოთარგმნეთ და მასობრივად გაავრცელეთ XVIII საუკუნის ფრანგული საგანმანათლებლო და ათეისტური ლიტერატურაო[1].

მაგრამ ამასთანავე ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ავყვეთ სარწმუნოებრივი საკითხის აბსტრაქტულ, იდეალისტურ, „წმინდა გონებრივ“, კლასთა ბრძოლის გარეშე დაყენებას, როგორც ამას ხშირად სჩადიან ბურჟუაზიული რადიკალ-დემოკრატები. სისულელე იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს მუშათა მასების უსაზღვრო ჩაგვრასა და გაუხეშებაზე დამყარებულ საზოგადოებაში შეიძლებოდეს რელიგიურ ცრურწმენათა გაფანტვა ცარიელი ქადაგებით. ბურჟუაზიული შეზღუდულობა იქნებოდა იმის დავიწყება, რომ რელიგიის მიერ კა-

ცობრიობის ჩაგვრა მხოლოდ პროდუქტი და ანარეკლია საზოგადოების შიგნით არსებული ეკონომიკური ჩაგვრისა, ვერავითარი წიგნებით და ვერავითარი ქადაგებით ვერ გავანათლებთ პროლეტარიატს, თუ იგი კაპიტალიზმის ბნელი ძალების წინააღმდეგ მისსავე საკუთარმა ბრძოლამ არ გაანათლა. ამ ქვეყნად სამოთხის დასამყარებლად ჩაგრული კლასის ამ ნამდვილი რევოლუციური ბრძოლის ერთიანობას ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პროლეტარების აზრთა ერთიანობას ზეციური სამოთხის შესახებ.

აი რატომ არ ვაცხადებთ და არც უნდა ვაცხადებდეთ ჩვენს პროგრამაში ჩვენს ათეიზმს; აი რატომ არ ვუკრძალავთ და არც უნდა ვუკრძალავდეთ პროლეტარებს, რომელთაც ძველ ცრურწმენათა ესა თუ ის ნაშთი შერჩენიათ, ჩვენს პარტიასთან დაახლოებას. მეცნიერულ მსოფლმხედველობას ჩვენ ყოველთვის ვიქადაგებთ; რომელიმე „ქრისტიანთა“ არათანამიმდევრობასთან ბრძოლა ჩვენთვის აუცილებელია, მაგრამ ეს სრულიადაც იმას არ ნიშნავს, თითქოს საჭირო იყოს რელიგიის საკითხი დავაყენოთ პირველ ადგილას, რომელიც მას სრულიადაც არ ეკუთვნის, საჭირო იყოს ნამდვილად რევოლუციური, ეკონომიკური და პოლიტიკური ბრძოლის ძალთა დაქსაქსვა რაღაც მესამეხარისხოვან აზრთა თუ ბოდვათა გულისთვის, რომელთაც ყოველგვარ პოლიტიკურ მნიშვნელობას სწრაფად უკარგავს, სწრაფად გადაისვრის ხოლმე ხარახურის საკუჭნაოში თვით ეკონომიური განვითარების მსვლელობა.

რეაქციული ბურჟუაზია ყველგან ზრუნავდა და ახლა ჩვენშიც იწყებს ზრუნვას, რათა გააღვივოს რელიგიური შუღლი, რათა მასების ყურადღება მიმართოს ამ მხრივ და ააშოროს იმ ნამდვილად მნიშვნელოვან და ძირითად ეკონომიკურ და პოლიტიკურ საკითხებს, რომელთაც ახლა პრაქტიკულად სწყვეტს თავის რევოლუციურ ბრძოლაში გაერთიანებული სრულიად რუსეთის პროლეტარიატი. პროლეტარულ ძალთა დაქსაქსვის ამ რეაქციულმა პოლიტიკამ, რომელიც დღეს თავს იჩენს, უმთავრესად, შავრაზმული დარბევებით, შეიძლება ხვალ რაიმე უფრო მოქნილი რეფორმები მოიგონოს. ყოველ შემთხვევაში ჩვენ მას დავუპირისპირებთ პროლეტარული სოლიდარობისა და მეცნიერული მსოფლმხედველობის დინჯად, მტკიცედ და მოთმინებით ქადაგებას, რაც სრულიად თავისუფალია მეორეხარისხოვან უთანხმოებათა გამწვავებისაგან.

რევოლუციური პროლეტარიატი მიაღწევს იმას, რომ რელიგია სახელმწიფოსათვის მართლაც კერძო საქმედ იქცეს. და ამგვარ, შუასაუკუნებრივი ხავსისაგან გაწმენდილ პოლიტიკურ წყობილებაში პროლეტარიატი გააჩაღებს ფართო, აშკარა ბრძოლას ეკონომიკური

მონობის — კაცობრიობის რელიგიური გაბრიყვების ამ ნაძდვილი წყაროს მოსასპობად.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „სოციალიზმი და რელიგია". თხზ., ტ. 10. გვ. 86—89.

დეპუტატ სურკოვის სიტყვამ სახელმწიფო სათათბიროში სინოდის ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს და ამ სიტყვის პროექტის განხილვის დროს სათათბიროს ჩვენს ფრაქციაში გამართულმა კამათმა, რომელსაც ჩვენ ქვემოთ ვბეჭდავთ, უაღრესად ძნიშვნელოვანი და სწორედ ამჟამად საჭირბოროტო საკითხი აღძრეს[2]. რელიგიასთან დაკავშირებული ყველა საკითხის ინტერესმა, უეჭველია, ახლა მოიცვა „საზოგადოების" ფართო წრეები და შეაღწია მუშათა მოძრაობასთან დაახლოებული ინტელიგენციის რიგებში, ავრეთვე მუშათა ფარკვეულ წრეებში. სოციალ-დემოკრატია უსათუოდ ვალდებულია გამოთქვას თავისი დამოკიდებულება რელიგიისადმი.

სოციალ-დემოკრატია მთელ თავის მსოფლმხედველობას აშენებს მეცნიერულ სოციალიზმზე, ე. ი. მარქსიზმზე. მარქსიზმის ფილოსოფიურ საფუძველს, როგორც არა ერთხელ ვანუცხადებიათ მარქსსაც და ენგელსსაც, წარმოადგენს დიალექტიკური მატერიალიზმი, რომელმაც სავსებით შეითვისა საფრანგეთის XVIII საუკუნისა და ფოიერბახის მიერ გერმანიაში ჩამოყალიბებული (XIX საუკუნის 1-ლი ნახევარი) მატერიალიზმის ისტორიული ტრადიციები, — უსათუოდ ათეისტური, ყოველი რელიგიისადმი აშკარად მტრული მატერიალიზმის ისტორიული ტრადიციები. მოგაგონებთ, რომ ენგელსის მთელი „ანტი-დიურინგი", რომელიც მარქსმა ხელნაწერის სახით წაიკითხა, ამბელს მატერიალისტსა და ათეისტ დიურინგს იმაში, რომ მისი მატერიალიზმი ბოლომდე დაცული არ არის, რომ ის ხვრელებს უტოვებს რელიგიასა და რელიგიურ ფილოსოფიას. მოგაგონებთ, რომ თავის თხზულებაში ლუდვიგ ფოიერბახის შესახებ ენგელსი უსაყვედურებს მას, რომ ის რელიგიას ებრძოდა არა მისი მოსპობის გულისათვის, არამედ განახლების, ახალი, „ამაღლებული" რელიგიის შეთხზვის გულისათვის და სხვა. რელიგია ხალხის ბანგია, — მარქსის ეს თქმა ქვაკუთხედია მარქსიზმის მთელი მსოფლმხედველობისა რელიგიის საკითხში. ყველა თანამედროვე რელიგიასა და ეკლესიას, ყველა და ყოველგვარ რელიგიურ ორგანიზაციას მარქსიზმი ყოველთვის განიხილავს, როგორც ბურჟუაზიული რეაქციის ორგანოებს,

რომლებიც ექსპლოატაციის დაცვასა და მუშათა კლასის გაბრუებას ემსახურებიან.

3. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „მუშათა პარტიის დამოკიდებულება რელიგიისადმი". თხზ., ტ. 15. გვ. 492—493.

მაგრამ ამავე დროს ენგელსს არა ერთხელ დაუგმია იმ ადამიანთა ცდები, რომლებსაც სურდათ სოციალ-დემოკრატიაზე უფრო „მემარცხენე" ან „უფრო რევოლუციური" ყოფილიყვნენ, შეეტანათ მუშათა პარტიის პროგრამაში პირდაპირი აღიარება ათეიზმისა რელიგიისათვის ომის გამოცხადების აზრით. 1874 წელს ენგელსი, როდესაც იგი ლაპარაკობს კომუნის ლტოლვილთა, ლონდონში ემიგრანტებად მცხოვრებ ბლანკისტთა ცნობილ მანიფესტზე, სისულელედ თვლის, რომ მათ ღიდი ამბით გამოუცხადეს ომი რელიგიას, და ამბობს, ომის ასეთი გამოცხადება რელიგიისადმი ინტერესის გამოცოცხლებისა და რელიგიის ნამდვილი კვდომის გაძნელების საუკეთესო საშუალება არისო. ენგელსი ბლანკისტებს ბრალად სდებს, რომ მათ უნარი არ შესწევთ გაიგონ, რომ მხოლოდ მუშათა მასების კლასობრივ ბრძოლას, რომელიც ყოველმხრივ აბამს პროლეტარიატის უაღრესად ფართო მასებს შეგნებულ და რევოლუციურ საზოგადოებრივ პ რ ა ქ ტ ი კ ა ში, ძალუძს ნამდვილად გაათავისუფლოს ჩაგრული მასები რელიგიის უღლისაგან, მაშინ როდესაც მუშათა პარტიის პოლიტიკურ ამოცანად რელიგიასთან ომის გამოცხადება ანარქისტული ფრაზა არისო[3]. 1877 წელსაც ენგელსი „ანტიდიურინგში" ულმობლად ამათრახებს დიურინგ-ფილოსოფოსის სულ მცირედი დათმობის გამოჩენასაც კი იდეალიზმისა და რელიგიის წინაშე და ამავე დროს არა ნაკლებ გადაჭრით გმობს დიურინგის ვითომდა რევოლუციურ იდეას სოციალისტურ საზოგადოებაში რელიგიის აკრძალვის შესახებ. რელიგიისათვის ამგვარი ომის გამოცხადება იმას ნიშნავს, — ამბობს ენგელსი, — რომ „გადააქარბო თვით ბისმარკს", ე. ი. გაიმეორო კლერიკალებთან ბისმარკის ბრძოლის სისულელე (ყბადაღებული „ბრძოლა კულტურისათვის", Kulturkampf, ე. ი. ბისმარკის ბრძოლა 1870-იან წლებში გერმანიის კათოლიკეთა პარტიის, „ცენტრის" პარტიის წინააღმდეგ, კათოლიციზმის პოლიციური დევნის გზით). ასეთი ბრძოლით ბისმარკმა მხოლოდ გ ა ნ ა მ ტ კ ი ც ა კათოლიკეთა მებრძოლი კლერიკალიზმი, მხოლოდ ავნო ნამდვილი კულტურის საქმეს, ვინაიდან პირველ ადგილზე წამოსწია რელიგიური დაყოფანი პოლიტიკურ დაყოფათა ნაცვლად, მუშათა კლასისა და დემოკრატიის ზოგიერთი ფენის ყურადღება ჩამოაშორა კლასობრივი და რევოლუციური ბრძოლის საჭირბოროტო ამოცანებს და წარმართა მეტად ზერელე და

ბურჟუაზიული ყალბი ანტიკლერიკალიზმისაკენ. როდესაც ლიურინგს, რომელსაც უნდოდა ულტრა-რევოლუციური ყოფილიყო, ბრალს სდებდა იმაში, რომ მას სურდა სხვა ფორმით განმეორებინა ბისმარკის იგივე სისულელე, ენგელსი მოითხოვდა მუშათა პარტიისაგან გამოეჩინა უნარი — მოთმინებით ემუშავნა პროლეტარიატის ორგანიზაციისა და განათლების საქმეზე, ისეთ საქმეზე, რომელიც იწვევს რელიგიის კვდომას, და არ გადავარდნილიყო რელიგიასთან პოლიტიკური ომის ავანტიურებში. ეს თვალსაზრისი ძალ-რბილში ეაუჯდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიას, რომელმაც მხარი დაუჭირა, მაგალითად, იეზუიტების თავისუფლებას, მათ დაშვებას გერმანიაში, ამა თუ იმ რელიგიასთან პოლიციური ბრძოლის ყოველგვარ ღონისძიებათა მოსპობას[4]. „რელიგიის გამოცხადებამ კერძო საქმედ" — ერფურტის პროგრამის (1891) ამ ცნობილმა პუნქტმა ეანამტკიცა სოციალ-დემოკრატიის ზემოთ აღნიშნული პოლიტიკური ტაქტიკა.

ამ ტაქტიკამ მოასწრო ახლა უკვე რეტინად გამხდარიყო, მოასწრო წარმოეშვა მარქსიზმის ახალი დამახინჯება პირუკუ მიმართულებით, ოპორტუნიზმის მიმართულებით. დაიწყეს ერფურტის პროგრამის დებულების განმარტება იმ აზრით, რომ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, ჩვენი პარტია რელიგიას ვ თ ვ ლ ი თ კერძო საქმედ, რომ ჩვენთვის, როგორც სოციალ-დემოკრატებისათვის, ჩვენთვის, როგორც პარტიისათვის, რელიგია კერძო საქმეაო. ენგელსმა, რომელსაც პირდაპირი პოლემიკა არ გაუმართავს ამ ოპორტუნისტულ შეხედულებასთან, 1890-იან წლებში საჭიროდ მიიჩნია გადაჭრით გამოსულიყო მის წინააღმდეგ არა პოლემიკური, არამედ პოზიტიური ფორმით. სახელდობრ: ენგელსმა ეს მოიმოქმედა საგანგებოდ ხაზგასმული განცხადების ფორმით, რომ სოციალ-დემოკრატია რელიგიას კერძო საქმედ თვლის ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს მ ი მ ა რ თ და სრულიადაც არა თავისთავის მიმართ, არა მარქსიზმის მიმართ, არა მუშათა პარტიის მიმართო[5].

ასეთია რელიგიის საკითხზე მარქსისა და ენგელსის გამოსვლების გარეგნული ისტორია. იმ ადამიანებისათვის, რომლებიც დაუდევრად ეკიდებიან მარქსიზმს, რომლებსაც არ შეუძლიათ ან არ სურთ იფიქრონ, ეს ისტორია არის მარქსიზმის უაზრო წინააღმდეგობათა და ქანაობათა გროვა: ერთმანეთში შეზავებული „თანამიმდევარი" ათეიზმისა და რელიგიის „შეღავათების" რაღაც დომხალიაო, რაღაც „უპრინციპო" ქანაობა არისო, ერთი მხრივ, ღმერთის წინააღმდეგ რ-რ-რევოლუციურ ომსაო და, მეორე მხრივ, მორწმუნე მუშებთან „შეგუების" ლაჩრულ სურვილს შორის, მათი დაფრთხობის შიშს შორისაო და სხვა და სხვა. ანარქისტ ფრაზიორების ლიტერატურაში

საკმაოდ ბევრ ამგვარ გამოლაშქრებას იპოვნით მარქსიზმის წინააღმდეგ.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „მუშათა პარტიის დამოკიდებულება რელიგიისადმი". თხზ. ტ. 15. გვ. 493—495.

კაცმა, რომელიც არ ჩაფიქრებია დიალექტიკური მატერიალიზმის, ე. ი. მარქსისა და ენგელსის ფილოსოფიის საფუძვლებს, შეიძლება ვერ გაიგოს (ან, ყოველ შემთხვევაში, ერთბაშად ვერ გაიგოს) ეს დებულება. როგორ? იდეური პროპაგანდა, გარკვეული იდეების ქადაგება, ბრძოლა კულტურისა და პროგრესის მტერთან, რომელიც ათასეული წლობით სძლებს (ე. ი. რელიგიასთან), — კლასობრივ ბრძოლას დავუქვემდებაროთ, ე. ი. ბრძოლას განსაზღვრული პრაქტიკული მიზნებისათვის ეკონომიკურ და პოლიტიკურ დარგში?

ამგვარი მოსაზრება ეკუთვნის მარქსიზმის საწინააღმდეგოდ გავრცელებულ იმ მოსაზრებათა რიცხვს, რომლებიც მოწმობენ მარქსის დიალექტიკის სრულ გაუგებლობას. წინააღმდეგურობა, რომელიც საგონებელში აგდებს იმათ, ვინც ამგვარად მსჯელობს, არის ცოცხალი ცხოვრების ცოცხალი წინააღმდეგურობა, ე. ი. დიალექტიკური, არა სიტყვიერი, არა გამოგონილი წინააღმდეგურობა. ათეიზმის თეორიული პროპაგანდის, ე. ი. პროლეტარიატის გარკვეულ ფენებში რელიგიურ რწმენათა ნგრევის გამოყოფა აბსოლუტური, გაუვალი მიჯნით ამ ფენების კლასობრივი ბრძოლის წარმატებისა, მსვლელობისა და პირობებისაგან იმას ნიშნავს, რომ იმსჯელო არადიალექტიკურად, გადააქციო აბსოლუტურ მიჯნად ის, რაც არის მოძრავი, შედარებითი მიჯნა,—ნიშნავს ძალდატანებით გაგლიჯო ის, რაც განუყრელად დაკავშირებულია ცოცხალ სინამდვილეში. ავიღოთ მაგალითი. ამა თუ იმ ოლქისა და მრეწველობის ამა თუ იმ დარგის პროლეტარიატი, ვთქვათ, იყოფა, საკმაოდ შეგნებული სოციალ-დემოკრატების მოწინავე ფენად, რომლებიც, იგულისხმება, ათეისტები არიან, და საკმაოდ ჩამორჩენილი, ჯერ კიდევ სოფელთან და ეკლესიასთან დაკავშირებული მუშების ფენად, რომლებსაც სწამთ ღმერთი, რომლებიც დაიარებიან ეკლესიაში ან იმყოფებიან ადგილობრივი მღვდლის პირდაპირი გავლენის ქვეშაც კი, და ეს მღვდელი, ვთქვათ, აარსებს მუშათა ქრისტიანულ კავშირს. შემდეგ, ვთქვათ, რომ ეკონომიკურ ბრძოლას ასეთ ადგილას მოჰყვა გაფიცვა. მარქსისტისათვის სავალდებულოა, რომ საგაფიცვო მოძრაობის წარმატების საკითხი პირველ რიგში დააყენოს, სავალდებულოა გადაჭრით წინააღუდგეს მუშების დაყოფას ამ ბრძოლაში ათეისტებად და ქრისტიანებად, გა-

დაჭრით იბრძოლოს ასეთი დაყოფის წინააღმდეგ. ათეისტური ქადაგება ასეთ პირობებში შეიძლება ზედმეტიც აღმოჩნდეს და მავნებელიც — არა იმ ობივატელურ მოსაზრებათა თვალსაზრისით, ვაი თუ დავაფრთხოთ ჩამორჩენილი ფენები, დავკარგოთ მანდატი არჩევნებშიო და სხვ., არამედ იმ კლასობრივი ბრძოლის ნამდვილი პროგრესის თვალსაზრისით, რომელიც თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების ვითარებაში ასჯერ უკეთ მიიყვანს ქრისტიან მუშებს სოციალ-დემოკრატიასთან და ათეიზმთან, ვიდრე ცარიელი ათეისტური ქადაგება. ათეიზმის მქადაგებელი ასეთ მომენტში და ასეთ ვითარებაში მხოლოდ ხ ე ლ ს შ ე უ წ ყ ო ბ დ ა ხუცესსა და ხუცებს, რომლებსაც ისე არაფერი სურთ, როგორც გაფიცვაში მონაწილეობის მიხედვით მუშების დაყოფის შეცვლა ღვთის რწმენის საფუძველზე დაყოფით. ანარქისტი, რომელიც იქადაგებდა უცილობელ ომს ღმერთთან, ნამდვილად დაეხმარებოდა ხუცებსა და ბურჟუაზიას (როგორც მუდამ ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ეხმარებიან ანარქისტები ბურჟუაზიას), მარქსისტი უნდა იყოს მატერიალისტი, ე. ი. რელიგიის მტერი, მაგრამ მატერიალისტი დიალექტიკური, ე. ი. იგი რელიგიასთან ბრძოლის საქმეს უნდა აყენებდეს არა აბსტრაქტულად, არა განყენებული, წმინდა თეორიული, ყოველთვის ერთფეროვანი ქადაგების ნიადაგზე, არამედ კონკრეტულად, კლასობრივი ბრძოლის ნიადაგზე, რომელიც ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ წარმოებს და ყველაზე მეტად და ყველაზე უკეთ ზრდის მასებს. მარქსისტს უნარი უნდა შესწევდეს გაითვალისწინოს მთელი კონკრეტული ვითარება, ყოველთვის იპოვნოს საზღვარი ანარქიზმსა და ოპორტუნიზმს შორის (ეს საზღვარი შედარებითია, მოძრავია, ცვალებადია, მაგრამ იგი არსებობს), არ გადაეშვას ანარქისტის არც აბსტრაქტულ, სიტყვიერ, ნამდვილად კი ფუჭ „რევოლუციონალიზმში“, არც იმ წვრილი ბურჟუას თუ ლიბერალური ინტელიგენტის ობივატელობასა და ოპორტუნიზმში, რომელსაც აშინებს რელიგიასთან ბრძოლა, ივიწყებს ამ თავის ამოცანას, ურიგდება ღვთის რწმენას, ხელმძღვანელობს არა კლასობრივი ბრძოლის ინტერესებით, არამედ წვრილმანი, საცოდავი ანგარიშით: არ აწყენინოს, არ ჩამოიშოროს, არ დააშინოს, ხელმძღვანელობს ფრიად ბრძნული წესით: „იცხოვრე და სხვებსაც ნუ უშლი ცხოვრებასაო“ და ა. შ. და სხვა.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „მუშათა პარტიის დამოკიდებულება რელიგიისადმი“. თხზ. ტ. 15. გვ. 498—500.

აღნიშნული თვალსაზრისით უნდა გადავწყვიტოთ ყველა კერძო საკითხი, რომელიც კი ეხება სოციალ-დემოკრატიის დამოკიდებუ-

ლებას რელიგიისადმი. მაგალითად, ხშირად აყენებენ კითხვას, შეიძ-ლება თუ არა მღვდელი იყოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრიო, და ამ კითხვას ჩვეულებრივ სრულიად უშენიშვნოდ დადე-ბითად უპასუხებენ, ამასთან ევროპის სოციალ-დემოკრატიული პარ-ტიების გამოცდილებაზე მიგვითითებენ. მაგრამ ეს გამოცდილება წარმოშობილია არა მარტო მარქსიზმის დოქტრინის მიყენებით მუ-შათა მოძრაობისადმი, არამედ დასავლეთის განსაკუთრებული ისტო-რიული პირობებითაც, რომლებიც რუსეთში არ არის (ამ პირობებზე ქვემოთ ვილაპარაკებთ), ასე რომ უთუო დადებითი პასუხი აქ სწორი არ არის. არ შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ და ყველა პირობი-სათვის გამოაცხადო, რომ მღვდლები არ შეიძლება იყვნენ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრებად, მაგრამ არ შეიძლება ერთხელ და სამუდამოდ წამოაყენო ამის საწინააღმდეგო წესიც. თუ მღვდელი ჩვენთან მოდის ერთობლივი პოლიტიკური მუშაობისათვის, კეთილ-სინდისიერად ასრულებს პარტიულ მუშაობას და არ გამოდის პარ-ტიის პროგრამის წინააღმდეგ, ჩვენ შეგვიძლია მივიღოთ ის სოციალ-დემოკრატიის რიგებში, რადგან ჩვენი პროგრამის აზრისა და საფუძ-ვლების წინააღმდეგურობა მღვდლის რელიგიურ რწმენასთან შეიძ-ლებოდა ასეთ პირობებში დარჩენილიყო მხოლოდ ისეთ რამედ, რომელიც მხოლოდ მას ეხება, დარჩენილიყო მის პირად წინააღმდე-გურობად, ხოლო თავისი წევრების გამოცდა იმაში, არის თუ არა წინააღმდეგურობა მათს შეხედულებებსა და პარტიის პროგრამას შო-რის, პოლიტიკურ ორგანიზაციას არ შეუძლია. მაგრამ, ცხადია, ამგვარი შემთხვევა შეიძლებოდა იშვიათი გამონაკლისი ყოფილიყო ევრო-პაშიც კი, ხოლო რუსეთში იგი ძალიან ნაკლებად წარმოსადგენია. და თუ, მაგალითად, მღვდელი შემოვიდოდა სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში და გასწევდა ამ პარტიაში, როგორც თავის მთავარსა და თითქმის ერთადერთ სამუშაოს, რელიგიურ შეხედულებათა აქტიურ ქადაგებას, მაშინ პარტიას უსათუოდ უნდა გაერიცხა ის თავის წრი-დან. ჩვენ არათუ უნდა დავუშვათ, არამედ უაღრესად უნდა მოვიზი-დოთ ყველა მუშა, რომელიც ღვთის რწმენას ინარჩუნებს, სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, ჩვენ უეჭველად წინააღმდეგი ვართ მათი რელიგიური რწმენის სულ მცირედი შეურაცხყოფისა. მაგრამ ჩვენ მათ ვიზიდავთ იმისათვის, რომ აღვზარდოთ ისინი ჩვენი პროგ-რამის სულისკვეთებით, და არა ამ პროგრამასთან აქტიური ბრძოლი-სათვის. ჩვენ პარტიის შ ი გ ნ ი თ ვიწყნარებთ აზრთა თავისუფლე-ბას, მაგრამ გარკვეულ ფარგლებში, რომლებსაც დაჯგუფების თავი-სუფლება განსაზღვრავს: ჩვენ ვალდებულნი არა ვართ ხელიხელჩა-კიდებულნი ვიაროთ ისეთ შეხედულებათა აქტიურ მქადაგებლებთან, რომლებსაც პარტიის უმრავლესობა უარყოფს.

მეორე მაგალითი: შეიძლება თუ არა ყველა პირობებში ერთნაირად გავკიცხოთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრები განცხადებისათვის: „სოციალიზმი არის ჩემი რელიგიაო“ და ამგვარი განცხადების შესაბამის შეხედულებათა ქადაგებისათვის? არა. მარქსიზმისაგან (მაშასადამე, სოციალიზმისაგანაც) გადახვევა აქ უეჭველია, მაგრამ ამ გადახვევის მნიშვნელობა, მისი, ასე ვთქვათ, ხვედრითი წონა შეიძლება სხვადასხვანაირი იყოს სხვადასხვა ვითარებაში. ერთი საქმეა, თუ აგიტატორი ან კაცი, რომელიც გამოდის მუშათა მასის წინაშე, ასე ლაპარაკობს, რათა უფრო გასაგები იყოს, რათა დაიწყოს თავისი აზრის გადმოცემა, რათა უფრო რეალურად გაუსვას ხაზი თავის შეხედულებას განუვითარებელი მასის ყველაზე უფრო ჩვეული ტერმინებით. სხვა საქმეა, თუ მწერალი დაიწყებს „ღვთისმშენებლობის“ თუ ღვთისმშენებლობითი სოციალიზმის ქადაგებას (მაგალითად, ჩვენი ლუნაჩარსკისა და კომპანიისამებრ). რამდენადაც პირველ შემთხვევაში გაკიცხვა შეიძლებოდა ყოფილიყო შარის მოდება ან აგიტატორის თავისუფლების, „პედაგოგიური“ ზემოქმედების თავისუფლების შეუსაბამო შეზღუდვაც კი, იმდენად მეორე შემთხვევაში პარტიული გაკიცხვა აუცილებელი და სავალდებულოა. დებულება: „სოციალიზმი არის რელიგია“ ზოგიერთისათვის არის რელიგიიდან სოციალიზმზე გადასვლის ფორმა, სხვებისათვის, — ს ო ც ი ა ლ ი ზ მ ი დ ა ნ რელიგიაზე გადასვლის ფორმა.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, „მუშათა პარტიის დამოკიდებულება რელიგიისადმი“. „თხზ. ტ. 15. გვ. 500—502.

ბურჟუაზიული ანტიკლერიკალიზმი

გადავიდეთ ახლა იმ პირობებზე, რომლებმაც დასავლეთში წარმოშვეს ოპორტუნისტული განმარტება თეზისისა: „რელიგიის გამოცხადება კერძო საქმედ“. რა თქმა უნდა, არის აქ იმ საერთო მიზეზების გავლენა, რომლებიც წარმოშობენ ოპორტუნიზმს საერთოდ, როგორც წუთიერი სარგებლობისათვის მუშათა მოძრაობის ძირითადი ინტერესების მსხვერპლად მიტანას. პროლეტარიატის პარტია ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს ა გ ა ნ მოითხოვს გამოაცხადოს რელიგია კერძო საქმედ, მაგრამ ამავე დროს სრულიადაც არ თვლის „კერძო საქმედ“ ხალხის ბანგთან, რელიგიურ ცრუმორწმუნეობასთან და სხვა ასეთებთან ბრძოლის საკითხს. ოპორტუნისტები იმგვარად ამახინჯებენ საქმეს, თითქოს ს ო ც ი ა ლ-დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი პარტია კერძო საქმედ თ ვ ლ ი დ ე ს რელიგიას!

მაგრამ გარდა ჩვეულებრივი ოპორტუნისტული დამახინჯებისა

(რაც სრულიად არ არის განმარტებული კამათში, რომელსაც სათათბიროს ჩვენი ფრაქცია აწარმოებდა რელიგიის შესახებ გამოსვლის განხილვისას) არის განსაკუთრებული ისტორიული პირობები, რომლებმაც გამოიწვიეს თანამედროვე, თუ შეიძლება ასე ითქვას, მეტისმეტი გულგრილობა ევროპელი სოციალ-დემოკრატებისა რელიგიის საკითხისადმი. ეს არის ორგვარი პირობები. ჯერ-ერთი, რელიგიასთან ბრძოლის ამოცანა, ისტორიულად არის რევოლუციური ბურჟუაზიის ამოცანა, და დასავლეთში ეს ამოცანა მნიშვნელოვნად შეასრულა ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ (ან ასრულებდა იგი). თ ა ვ ი ს ი რევოლუციების ან ფეოდალიზმსა და შუასაუკუნებრიობაზე თავისი იერიშების ეპოქაში. საფრანგეთშიც და გერმანიაშიც არის ტრადიცია რელიგიასთან ბურჟუაზიული ომისა, რომელიც სოციალიზმამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო (ენციკლოპედისტები, ფოიერბახი). რუსეთში, ჩვენი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირობების შესაბამისად, ეს ამოცანაც თითქმის მთლიანად ეკისრება მუშათა კლასს. წვრილბურჟუაზიულმა (ნაროდნიკულმა) დემოკრატიამ ამ მხრივ ჩვენში არა თუ ბევრი რამ გააკეთა (როგორც ფიქრობენ ახლადმოვლენილი შავრაზმელი კადეტები ანუ კადეტი შავრაზმელები „ვეხი"-ში), არამედ ძ ა ლ ი ა ნ ც ო ტ ა ევროპასთან შედარებით.

მეორე მხრივ, რელიგიასთან ბურჟუაზიული ომის ტრადიციამ მოასწრო შეექმნა ევროპაში ამ ომის სპეციფიკური ბურჟუაზიული დ ა მ ა ხ ი ნ ჯ ე ბ ა ანარქიზმის მიერ, რომელიც დგას, როგორც უკვე დიდი ხანია და მრავალჯერ განმარტეს მარქსისტებმა, ბურჟუაზიული მსოფლმხედველობის ნიადაგზე, მიუხედავად მთელი თავისი „გააფთრებული" ლაშქრობისა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ანარქისტებმა და ბლანკისტებმა რომანულ ქვეყნებში, მოსტმა (რომელიც, სხვათა შორის, დიურინგის მოწაფე იყო) და კომპანიამ გერმანიაში, ანარქისტებმა 80-იან წლებში ავსტრიაში nec plus uitra-*-მდე მიიყვანეს რევოლუციური ფრაზა რელიგიასთან ბრძოლაში. გასაკვირი არ არის, რომ ევროპელი სოციალ-დემოკრატები ახლა გ ა დ ა ღ უ ნ ა ვ ე ნ ხოლმე ანარქისტების მიერ მოღუნულ ჯ ო ხ ს. ეს გასაგებია და, რამდენადმე, კანონიერიცაა, მაგრამ ჩვენ, რუს სოციალ-დემოკრატებს, არ გვმართებს დასავლეთის განსაკუთრებული ისტორიული პირობების დავიწყება.

მეორეც, დასავლეთში ნაციონალური ბურჟუაზიული რევოლუციების დამთავრების შ ე მ დ ე გ, სარწმუნოების მეტნაკლებად სრული თავისუფლების შემოღების შ ე მ დ ე გ, რელიგიასთან დემოკრატიული ბრძოლის საკითხი უკვე იმდენად იყო ისტორიულად მეორე რიგში მოქცეული ბურჟუაზიული დემოკრატიის ბრძოლით სოცია-

ლიზმთან, რომ ბურჟუაზიული მთავრობანი შ ე გ ნ ე ბ უ ლ ა დ ცდილობდნენ მასების ყურადღება სოციალიზმისაგან ჩამოეშორებინათ კლერიკალიზმის წინააღმდეგ quasi**-ლიბერალური „ლაშქრობის" მოწყობით ასეთი ხასიათი ჰქონდა Kulturkampf-საც გერმანიაში და საფრანგეთის ბურჟუაზიული რესპუბლიკელების ბრძოლასაც კლერიკალიზმთან. ბურჟუაზიული ანტიკლერიკალიზმი, როგორც სოციალიზმისაგან მუშათა მასების ყურადღების ჩამოშორების საშუალება, — აი რა უსწრებდა წინ რელიგიასთან ბრძოლისადმი თანამედროვე „გულგრილობის" გავრცელებას დასავლეთის სოციალ-დემოკრატებში. და ეს ისევ და ისევ გასაგები და კანონიერია, ვინაიდან ბურჟუაზიულ და ბისმარკულ ანტიკლერიკალიზმისათვის სოციალ-დემოკრატებს უნდა დაეპირისპირებინათ სწორედ ის, რომ რელიგიასთან ბრძოლა დ ა ქ ვ ე მ დ ე ბ ა რ ე ბ ო დ ა სოციალიზმისათვის ბრძოლას.

რუსეთში სულ სხვა პირობებია. პროლეტარიატი არის ჩვენი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ბელადი. მისი პარტია უნდა იყოს იდეური ბელადი ყოველგვარ შუასაუკუნებრიობასთან, მათ შორის აგრეთვე ძველ, ოფიციალურ რელიგიასთან და მთელ იმ ცდებთან ბრძოლაში, რომელთა მიზანია მისი ,განახლება ან ხელახლა თუ სხვაგვარად დასაბუთება და ა. შ., ამიტომ, თუ ენგელსი შედარებით რბილად ასწორებდა გერმანელი სოციალ-დემოკრატების ოპორტუნიზმს, რომლებიც მუშათა პარტიის იმ მოთხოვნას, რომ ს ა ხ ე ლ მ წ ი ფ ო ს რელიგია კერძო საქმედ გამოეცხადებინა, ცვლიდნენ თვით სოციალ-დემოკრატებისა და სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის რელიგიის კერძო საქმედ გამოცხადებით, — მით უმეტეს გასაგებია, რომ რუსი ოპორტუნისტების მიერ ამ გერმანული დამახინჯების გადმოღება ა ს კ ე ც ა დ უფრო მკაცრ გაკიცხვას დაიმსახურებდა ენგელსის მხრივ.

ჩვენი ფრაქცია, როცა მან სათათბიროს ტრიბუნიდან ,განაცხადა, რელიგია ხალხის ბანგიაო, სავსებით სწორად მოიქცა და, ამრიგად, შექმნა პრეცედენტი, რომელიც საფუძველი უნდა შეიქნეს რუსი სოციალ-დემოკრატების ყველა გამოსვლისა რელიგიის საკითხზე. საჭირო იყო თუ არა უფრო შორს წასვლა და ათეისტური დასკვნების კიდევ უფრო დაწვრილებით განვითარება? ჩვენ ვფიქრობთ, რომ არა. ამას შეეძლო საფრთხე შეექმნა იმისა, რომ რელიგიასთან ბრძოლა ,გაეზვიადებინა პროლეტარიატის პოლიტიკურ პარტიას; ამას შეეძლო გამოეწვია საზღვრის წაშლა რელიგიასთან ბურჟუაზიულ ბრძოლასა და სოციალისტურ ბრძოლას შორის. პირველი რამ, რაც უნდა შეესრულებინა სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციას შავრაზმულ სათათბიროში, ღირსეულად იქნა შესრულებული.

მეორე — სოციალ-დემოკრატებისათვის თითქმის მთავარი — განმარტება ეკლესიისა და სამღვდელოების კლასობრივი როლისა მუშათა კლასთან შეერაზმული მთავრობისა და ბურჟუაზიის ბრძოლის მხარის დაჭერაში — აგრეთვე ღირსეულად იქნა შესრულებული. რასაკვირველია, ამ თემაზე კიდევ ძალიან ბევრი რამ შეიძლება ითქვას, — და სოციალ-დემოკრატები შემდგომ გამოსვლებში მოახერხებენ, თუ რით შეავსონ ამხ. სურკოვის სიტყვა, — მაგრამ მაინც მისი სიტყვა საუცხოო იყო, და მისი გავრცელება ყველა პარტიული ორგანიზაციის მიერ ჩვენი პარტიის პირდაპირი მოვალეობაა.

მესამე — საჭირო იყო უაღრესად დაწვრილებით გაგვემარტა სწორი აზრი გერმანელი ოპორტუნისტების მიერ ესოდენ ხშირად დამახინჯებული დებულებისა: „რელიგიის გამოცხადება კერძო საქმედ". ეს, სამწუხაროდ, ამხ. სურკოვს არ გაუკეთებია. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ფრაქციის წინანდელ მოღვაწეობაში ამ საკითხზე უკვე დაშვებული იყო ამხ. ბელოუსოვის შეცდომა, რაც თავის დროზე აღნიშნა „პროლეტარიმ". ფრაქციაში გამართული კამათი გვიჩვენებს, რომ დავამ ათეიზმის შესახებ დაჩრდილა ფრაქციის წინაშე საკითხი — სწორად ყოფილიყო გადმოცემული ყბადაღებული მოთხოვნა რელიგიის კერძო საქმედ გამოცხადებისა. მთელი ფრაქციის ამ შეცდომისათვის ჩვენ მარტო ამხ. სურკოვს ვერ დავდებთ ბრალს. ეს ცოტაა. პირდაპირ ვაღიარებთ, რომ აქ არის ბრალი მთელი პარტიისა, რომელიც არასაკმაოდ განმარტავდა ამ საკითხს და რომელმაც სოციალ-დემოკრატების შეგნებაში არასაკმაოდ მოამზადა გერმანელი ოპორტუნისტების მისამართით ენგელსის მიერ გამოთქმული შენიშვნის მნიშვნელობის გაგება. ფრაქციაში გამართული კამათი ამტკიცებს, რომ ეს იყო საკითხის სწორედ ბუნდოვანი გაგება, და სრულიადაც არა ის, რომ არ სურდათ ანგარიში გაეწიათ მარქსის მოძღვრებისათვის; ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ შეცდომა გამოსწორებული იქნება ფრაქციის შემდგომ გამოსვლებში.

საერთოდ და მთლიანად, ვიმეორებთ, ამხ. სურკოვის სიტყვა საუცხოოა და უნდა გაავრცელოს იგი ყველა ორგანიზაციამ. ამ სიტყვის განხილვით ფრაქციამ დაამტკიცა თავისი სოციალ-დემოკრატიული მოვალეობის სავსებით კეთილსინდისიერი შესრულება. ის დაგვრჩენია ვისურვოთ, რომ კორესპონდენციები ფრაქციის შიგნით გამართული კამათის შესახებ უფრო ხშირად თავსდებოდეს პარტიულ პრესაში, რათა ფრაქცია დაუახლოვდეს პარტიას, რათა პარტია გაეცნოს ფრაქციის მძიმე შინაგან მუშაობას, რათა დამყარდეს იდეური ერთიანობა პარტიისა და ფრაქციის მოღვაწეობაში.

ვ. ი. ლენინი. „მუშათა პარტიის დამოკიდებულებაზე რელიგიისადმი". თხზ. ტ. 15. გვ. 502—507.

ცნობილია, რომ გერმანიის სოციალ-დემოკრატია, რაც უფრო ლპებოდა, რაც უფრო ოპორტუნისტული ხდებოდა, მით უფრო და უფრო ქვეითდებოდა ცნობილი ფორმულის: „რელიგიის კერძო საქმედ გამოცხადების“ ფილისტერულად მახინჯ განმარტებამდე. სახელდობრ: ამ ფორმულას ისე განმარტავდნენ, თითქოს რევოლუციური პროლეტარიატის პარტიისთვისაც რელიგიის საკითხი კერძო საქმე იყოს!! პროლეტარიატის რევოლუციური პროგრამისადმი სწორედ ამ სრული ღალატის წინააღმდეგ გაილაშქრა ენგელსმა, რომელიც თავის პარტიაში 1891 წელს ოპორტუნიზმის მხოლოდ მეტად სუსტ ჩანასახებს ხედავდა და ამიტომ რაც შეიძლება ფრთხილად გამოთქვამდა თავის აზრს:

„რადგან კომუნაში თითქმის მხოლოდ მუშები ან მუშების მიერ აღიარებული წარმომადგენლები ისხდნენ, ამიტომ მის დადგენილებებსაც ვარკვევით პროლეტარული ხასიათი ჰქონდათ. ეს დადგენილებანი ან ისეთ რეფორმებს ადეკრეტებდნენ, რომლებიც რესპუბლიკურმა ბურჟუაზიამ მხოლოდ საზიზღარი სიმხდალის გამო უარყო და რომლებიც მუშათა კლასის თავისუფალი საქმიანობის აუცილებელ საფუძველს შეადგენენ. ასეთია იმ პრინციპის განხორციელება, რომ სახელმწიფოს მიმართ რელიგია მხოლოდ კერძო საქმეაო. ან კომუნა ისეთ დადგენილებებს გამოსცემდა, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებული იყვნენ მუშათა კლასის ინტერესებთან და რომლებიც რამდენადმე ღრმად იჭრებოდნენ ძველ საზოგადოებრივ წესწყობილებაში“[7].

ენგელსმა განზრახ გაუსვა ხაზი სიტყვებს „სახელმწიფოს მიმართ“, რითაც მახვილი მიმართა პირდაპირ გერმანული ოპორტუნიზმის წინააღმდეგ, რომელიც რელიგიას კერძო საქმედ აცხადებდა პარტიის მიმართ და ამრიგად რევოლუციური პროლეტარიატის პარტიას აქვეითებდა „თავისუფლად მოაზროვნე“ ყოვლად უხამსი ფილისტერობის დონემდე, — იმ ფილისტერობისა, რომელიც მზად იყო დაეშვა საერწმუნოებისგარეშე მდგომარეობა, მაგრამ უარყოფდა ამოცანას — ეწარმოებინა პარტიული ბრძოლა ხალხის გამასულელებელი რელიგიური ბანგის წინააღმდეგ.

ვ. ი. ლენინი, სახელმწიფო და რევოლუცია, თხზ. ტ. 25, გვ. 558—559.

4. მშრომელთა ათეისტური აღზრდის სისტემა

რელიგიის მიმართ რკპ პოლიტიკა იმაში მდგომარეობს, რომ არ დავჯერდეთ სახელმწიფოსაგან ეკლესიის და ეკლესიისაგან სკოლის უკვე დეკრეტირებულ გამოყოფას, ე. ი. იმ ღონისძიებებს, რომლე-

ბსაც ბურჟუაზიული დემოკრატია შეგვიპრდა, მაგრამ არსად ამთელ მსოფლიოში ბოლომდე არ მიუყვანია, რელიგიურ პროპაგანდასთან კაპიტალის მრავალმხრივი ფაქტიური კავშირის გამო.

პარტია მიისწრაფვის სრულიად მოშალოს კავშირი ექსპლოატატორულ კლასებსა და რელიგიური პროპაგანდის ორგანიზაციას შორის, აგრეთვე ფაქტიურად გაათავისუფლოს მშრომელი მასები რელიგიური ცრურწმენისაგან, აწყობს რა ამისთვის უაღრესად ფართო სამეცნიერო-საგანმანათლებლო და ანტირელიგიურ პროპაგანდას. ამასთან საჭიროა მზრუნველობით ვერიდოთ მორწმუნეთა გრძნობების შელახვას, რასაც მოსდევს მხოლოდ რელიგიური ფანატიზმის განმტკიცება.

ვ. ლ ე ნ ი ნ ი. „რკპ(ბ) პროგრამის პროექტი". თხზ. ტ. 29. გვ. 143,

რა შეგვიძლია ჩვენ გავაკეთოთ ისეთი ხალხების მიმართ, როგორიც არიან ყირგიზები, უზბეკები, ტაჯიკები, თურქმენები, რომლებიც აქამდე თავიანთი მოლების გავლენის ქვეშ იმყოფებიან? ჩვენში, რუსეთში, მოსახლეობა, ხუცებთან ხანგრძლივი გამოცდილების შემდეგ, დაგვეხმარა მათ ჩამოგდებაში. მაგრამ თქვენ იცით, ჯერ კიდევ რა ცუდად განხორციელდა დეკრეტი სამოქალაქო ქორწინების შესახებ. შეგვიძლია თუ არა ჩვენ მივიდეთ ამ ხალხებთან და ვუთხრათ: „ჩვენ ჩამოვაგდებთ თქვენს ექსპლოატატორებსო"? ჩვენ არ შეგვიძლია ეს გავაკეთოთ, იმიტომ რომ ისინი მთლიანად თავიანთი მოლების მორჩილებაში არიან. აქ უნდა დავუცადოთ ამა თუ იმ ერის განვითარებას, რაც გარდუვალია, პროლეტარიატის დიფერენციაციას ბურჟუაზიული ელემენტებისაგან.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „რკპ(ბ) VIII ყრილობა". თხზ., ტ. 29. გვ. 189—190.

მეორე, ასეთი ჟურნალი უნდა იყოს მებრძოლი ათეიზმის ორგანო. ჩვენ გვაქვს უწყებები ან, ყოველ შემთხვევაში, სახელმწიფო დაწესებულებები, რომლებიც ამ საქმეს განაგებენ. მაგრამ ეს მუშაობა ფრიად მოდუნებულად, ფრიად არადამაკმაყოფილებლად წარმოებს, განიცდის რა, როგორც ჩანს, ჩვენი ჭეშმარიტად რუსული (თუმცა საბჭოური) ბიუროკრატიზმის საერთო პირობების სიმძიმეს. ამიტომ მეტისმეტად მნიშვნელოვანია, რომ სათანადო სახელმწიფო დაწესებულებათა მუშაობის შესავსებად, მის შესასწორებლად და გამოსაცოცხლებლად, ჟურნალი, რომელიც ამოცანად ისახავს — მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო გახდეს, დაუღალავ ათეისტურ პროპაგანდა-

სა და ბრძოლას ეწეოდეს. იგი გულმოდგინედ უნდა ადევნებდეს თვალყურს მთელ სათანადო ლიტერატურას ყველა ენაზე, თარგმნიდეს ან, ყოველ შემთხვევაში, ყველაფერ იმის შინაარსს გადმოსცემდეს, რაც კი ამ სფეროში საგულისხმო რამ არის.

ენგელსი დიდი ხანია ურჩევდა თანამედროვე პროლეტარიატის ხელმძღვანელებს — ეთარგმნათ და ხალხში მასობრივად გაევრცელებინათ XVIII საუკუნის დამლევის მებრძოლი ათეისტური ლიტერატურა[49]. ჩვენდა სამარცხვინოდ, ეს აქამდე არ გაგვიკეთებია (ერთი მრავალ საბუთთაგანი იმისა, რომ რევოლუციურ ეპოქაში ძალაუფლების მოპოვება გაცილებით უფრო ადვილია, ვიდრე ამ ძალაუფლების სწორად გამოყენება). ხანდახან ამ ჩვენს მოდუნებულობას, უმოქმედობასა და უუნარობას ყოველგვარი „მაღალფარდოვანი“ მოსაზრებებით ამართლებენ: მაგალითად, ამბობენ, XVIII საუკუნის ძველი ათეისტური ლიტერატურა მოძველდა, არამეცნიერულია, გულუბრყვილოაო და სხვ... არა არის რა ამ, ვითომდა-მეცნიერულ, სოფიზმებზე უარესი, რომლებითაც ან პედანტობა იფარება, ანდა მარქსიზმის სრული გაუგებლობა. რა თქმა უნდა, XVIII საუკუნის რევოლუციონერთა ათეისტურ ნაწარმოებებში ბევრი რამ მოიპოვება არამეცნიერულიც და გულუბრყვილოც. მაგრამ ამ თხზულებათა გამომცემლებს არავინ უშლის შეამოკლონ ისინი, დაურთონ მოკლე ბოლოსიტყვაობანი და მიუთითონ, თუ რა პროგრესს მიაღწია კაცობრიობამ რელიგიის მეცნიერული კრიტიკის დარგში XVIII საუკუნის დამლევიდან, მიუთითონ სათანადო უახლესი თხზულებანი და სხვ... მარქსისტისათვის უდიდესი და უცუდესი შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, რომ ხალხის (განსაკუთრებით გლეხთა და ხელოსანთა) მრავალმილიონიან მასებს, რომელთაც მთელმა თანამედროვე საზოგადოებამ ბედად არგუნა სიბნელე, უმეცრება და ცრურწმენა, შეუძლიათ ამ სიბნელიდან თავის დაღწევა მხოლოდ წმინდა მარქსისტული განათლების პირდაპირი ხაზით. ამ მასებს უნდა მივაწოდოთ ათეისტური პროპაგანდის უაღრესად მრავალფეროვანი მასალა, გავაცნოთ მათ ცხოვრების ფრიად სულ სხვადასხვა სფეროს ფაქტები, მივუდგეთ მათ ასეც და ისეც, რათა დავაინტერესოთ, გამოვაღვიძოთ ისინი რელიგიური ბანგისაგან, შევანჯღრიოთ სულ სხვადასხვა მხრივ, სულ სხვადასხვაგვარი საშუალებებით და სხვ.

XVIII საუკუნის ძველი ათეისტების მარჯვე, ცოცხალი, ნიჭიერად დაწერილი და გაბატონებულ ხუცობაზე გონებამახვილად და აშკარად თავდამსხმელი პუბლიცისტიკა ძალიან ხშირად ათასჯერ უფრო მეტად გამოსადეგია იმისათვის, რომ ადამიანები რელიგიური ბანგისაგან გამოვაღვიძოთ, ვიდრე მოსაწყენი, მშრალი, მარჯვედ შერჩეუ-

ლი ფაქტებით თითქმის სრულიად დაუსურათებელი გადმოღეჭვა მარქსიზმისა. რაც ჩვენს ლიტერატურაში სჭარბობს და რითაც ასე ხშირად (აქ დასამალი არაფერია) ამახინჯებენ მარქსიზმს. მარქსისა და ენგელსის ყველა რამდენადმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები ჩვენში უკვე გადმოთარგმნილია. იმის შიში, რომ ძველი ათეიზმი და ძველი მატერიალიზმი ჩვენში შეუვსებელი დარჩება იმ შესწორებებით, რაც მასში მარქსმა და ენგელსმა შეიტანეს, სრულიად უსაფუძვლოა. ყველაზე მნიშვნელოვანი — და ყველაზე ხშირად სწორედ ამას ივიწყებენ ჩვენი ეითომდა მარქსისტი, ნამდვილად კი მარქსიზმის დამამახინჯებელი კომუნისტები — ეს არის შევძლოთ დავაინტერესოთ ჯერ კიდევ სრულიად განუვითარებელი მასები შეგნებულად მიუდგნენ რელიგიის საკითხებს და შეგნებულად გააკრიტიკონ რელიგიები.

მეორე მხრივ, შეხედეთ რელიგიათა თანამედროვე მეცნიერული კრიტიკის წარმომადგენლებს. განათლებული ბურჟუაზიის ეს წარმომადგენლები რელიგიური ცრურწმენის თავიანთივე საკუთარ უარყოფას თითქმის ყოველთვის ისეთს მსჯელობებს „დაურთავენ“ ხოლმე, რაც მყისვე ამჟღავნებს მათ როგორც ბურჟუაზიის იდეურ მონებს, როგორც „ხუცობის დიპლომიან ლაქიებს“.

ორი მაგალითი. 1918 წელს პროფ. რ. ი. ვიპერმა გამოსცა წიგნი: „ქრისტიანობის წარმოშობა“ („ფაროსის“ გამოც.. მოსკოვი). ავტორი გადმოსცემს თანამედროვე მეცნიერების მთავარ მიღწევებს და არათუ არ ებრძვის იმ ცრურწმენას და ტყუილს, რაც ეკლესიის, როგორც პოლიტიკური ორგანიზაციის, იარაღს შეადგენს, არათუ გვერდს უვლის ამ საკითხებს, არამედ პირდაპირ სასაცილო და ფრიად რეაქციულ პრეტენზიასაც კი აცხადებს: ორივე „უკიდურესობის“ — იდეალისტურისა და მატერიალისტურის — მაღლა უნდა დავდგეო. ეს არის ლაქიობა გაბატონებული ბურჟუაზიისა, რომელიც მთელ მსოფლიოში მშრომელთა ექსპლოატაციით გამოწოვილი მოგებიდან ასეულ მილიონ მანეთს ხარჯავს რელიგიის დასახმარებლად.

ცნობილი გერმანელი მეცნიერი, არტურ დრევსი, რომელიც თავის წიგნში: „მითი ქრისტეს შესახებ“ აბათილებს რელიგიურ ცრურწმენას და ზღაპრებს და ამტკიცებს, რომ არავითარი ქრისტე არ იყოო, წიგნის ბოლოში მაინც მხარს უჭერს რელიგიას, მხოლოდ განახლებულს, გაწმენდილს, გაქნილს, ისეთს, რომელსაც უნარი ექნება შეებრძოლოს „დღითი დღე სულ უფრო და უფრო გაძლიერებულ ნატურალისტურ ნიაღვარს“ (იხ. მე-4 გერმანული გამოცემის 238-ე გვ., 1910 წ.). ეს უკვე წმინდა წყლის, შეგნებული რეაქციონერია, რომელიც აშკარად ეხმარება ექსპლოატატორებს ძველი და დამყაყე-

ბული რელიგიური ცრურწმენა ახალი, უფრო მეტად საზიზღარი და საძაგელი ცრურწმენით შესცვალონ.

ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ საჭირო არ იყო დრეესის გადმოთარგმნა. ეს ნიშნავს იმას, რომ კომუნისტებმა და ყველა თანამიმდევარმა მატერიალისტმა, რომლებიც ერთგვარად დაკავშირებული არიან ბურჟუაზიის პროგრესულ ნაწილთან, განუხრელად უნდა ამხილონ ბურჟუაზიის ეს პროგრესული ნაწილი, როცა იგი რეაქციულობაში ვარდება. ეს იმას ნიშნავს, რომ თავი აარიდო კავშირს XVIII საუკუნის, ე. ი. იმ ეპოქის ბურჟუაზიის წარმომადგენლებთან, როცა იგი რევოლუციური იყო, ეს იქნებოდა ღალატი მარქსიზმისა და მატერიალიზმის მიმართ, რადგან დრეესებთან ამა თუ იმ ფორმით, ამა თუ იმ ზომით „კავშირის" დაჭერა გაბატონებული რელიგიური ბნელეთის მოციქულების წინააღმდეგ საბრძოლველად ჩვენთვის სავალდებულოა.

ჟურნალმა „პოდ ზნამენემ მარქსიზმა"-მ, რომელსაც სურს მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო იყოს, დიდი ადგილი უნდა დაუთმოს ათეისტურ პროპაგანდას, სათანადო ლიტერატურის მიმოხილვასა და ამ სფეროში ჩვენი სახელმწიფოებრივი მუშაობის უდიდეს ნაკლოვანებათა გამოსწორებას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ წიგნებისა და ბროშურების გამოყენება, რომელნიც მრავალ ისეთს კონკრეტულ ფაქტსა და დაპირისპირებას შეიცავენ, რაც ცხადყოფს თანამედროვე ბურჟუაზიის კლასობრივი ინტერესებისა და კლასობრივი ორგანიზაციების კავშირს რელიგიურ დაწესებულებათა და რელიგიური პროპაგანდის ორგანიზაციებთან.

მეტისმეტად საყურადღებოა ყველა ის მასალა, რაც ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს შეეხება, სადაც ნაკლებად იჩენს თავს რელიგიისა და კაპიტალის ოფიციალური, კაზიონური, სახელმწიფოებრივი კავშირი, მაგრამ სამაგიეროდ ჩვენთვის უფრო ცხადი ხდება, რომ ეგრეთწოდებული „თანამედროვე დემოკრატია" (რომლის წინაშე ასე უგუნურად შუბლს იხეთქენ მენშევიკები, ესერები, ნაწილობრივ ანარქისტები და სხვ.) წარმოადგენს მხოლოდ იმის ქადაგების თავისუფლებას, რის ქადაგებაც ბურჟუაზიისათვის ხელსაყრელია, ხოლო მისთვის ხელსაყრელია იქადაგოს ყველაზე რეაქციული იდეები, რელიგია, ბნელეთის მოციქულობა, ექსპლოატატორების დაცვა და სხვ.

მინდა იმედი ვიქონიო, რომ ჟურნალი, რომელსაც სურს მებრძოლი მატერიალიზმის ორგანო იყოს, ჩვენს მკითხველ საზოგადოებას მიაწვდის ათეისტური ლიტერატურის მიმოხილვას და დახასიათებას, თუ მკითხველთა რომელი წრისათვის და რა მხრივ არის შესაფერი-

სი ესა თუ ის ნაწარმოები და აღნიშნავს, თუ რა არის გამოცემული (გამოცემულად უნდა ჩაითვალოს მხოლოდ ხეირიანი თარგმანები, ასეთები კი არცთუ იმდენად ბევრია) და რა უნდა გამოიცეს კიდევ.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „მებრძოლი მატერიალიზმის მნიშვნელობის შესახებ". თხზ. ტ. 33. გვ. 264—269.

ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში, ყველაზე მოწინავე ქვეყნებშიც კი, ქალთა მდგომარეობა ისეთია, რომ ტყუილად კი არ უწოდებენ მათ შინაურ მონებს. არც ერთ კაპიტალისტურ სახელმწიფოში, ყველაზე თავისუფალ რესპუბლიკაშიც კი, არ არის ქალთა სრული თანასწორუფლებიანობა.

საბჭოთა რესპუბლიკის ამოცანაა უწინარეს ყოვლისა მოსპოს ქალების უფლებათა ყველა შეზღუდვა. ბურჟუაზიული სიბინძურის, დაჩაგრულობის, დაბეჩავებულობის წყარო — საგანქორწინებო პროცესი — საბჭოთა ხელისუფლებამ მთლიანად მოსპო.

მალე ერთი წელი შესრულდება, რაც არსებობს სრულიად თავისუფალი კანონმდებლობა განქორწინების შესახებ. ჩვენ გამოვეცით დეკრეტი, რომელმაც მოსპო ქორწინებით და ქორწინებისგარეშე დაბადებული ბავშვის მდგომარეობის განსხვავება და მთელი რიგი პოლიტიკური შეზღუდვანი; არსად ასე სრულად არ არის განხორციელებული მშრომელ ქალთა თანასწორობა და თავისუფლება.

ჩვენ ვიცით, რომ ძველებური წესების მთელი სიმძიმე მუშათა კლასის ქალს აწვება ტვირთად.

ჩვენმა კანონმა ისტორიაში პირველად ამოშალა ყოველივე ის, რაც ქალებს უუფლებოს ხდიდა. მაგრამ საქმე კანონი როდია. ჩვენში ქალაქად და საფაბრიკო-საქარხნო ადგილებში ამ კანონს ქორწინების სრული თავისუფლების შესახებ კარგად ითვისებენ, სოფლად კი ეს ხშირად ქაღალდზე რჩება. იქ დღემდე სჭარბობს საეკლესიო ქორწინება. ეს მიეწერება მღვდლების გავლენას, ამ ბოროტებასთან ბრძოლა უფრო ძნელია, ვიდრე ძველ კანონმდებლობასთან.

რელიგიურ ცრურწმენებს უაღრესად ფრთხილად უნდა ვებრძოლოთ; ბევრი ვნება მოაქვთ იმათ, ვისაც ამ ბრძოლაში რელიგიური გრძნობის შეურაცხყოფა შეაქვს. საჭიროა ვიბრძოლოთ პროპაგანდის გზით, განათლების გზით. ბრძოლაში სიმწვავის შეტანით ჩვენ შეგვი-

ძლია გავაბოროტოთ მასა; ასეთი ბრძოლა განამტკიცებს მასების დაყოფას რელიგიის პრინციპის მიხედვით. ჩვენი ძალა კი ერთიანობაა. რელიგიურ ცრურწმენათა ყველაზე ღრმა წყარო არის სიღატაკე და სიბნელე, სწორედ ამ ბოროტებას უნდა ვებრძოლოთ.

ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. „სიტყვა მუშა ქალთა 1918 წლის 19 ნოემბრის სრულიად რუსეთის I ყრილობაზე". თხზ. ტ. 28. გვ. 207—208.

შენიშვნები

ნაწილი I

1. იგულისხმება მაქს შტირნერის ფილოსოფიური გამონათქვამები — 17.

ნაწილი II

1. ძველი ბერძენი ფილოსოფოსის ეპიკურეს შეხედულებით არსებობს უსასრულო რაოდენობის სამყაროები. ისინი წარმოიშობიან და არსებობენ საკუთარი, ბუნებრივი კანონებით. ღმერთები კი თუმცა არსებობენ, მაგრამ იმყოფებიან სამყაროს გარეთ, სამყაროთა შორის სივრცეებში და არავითარ გავლენას არ ახდენენ არც სამყაროს განვითარებაზე და არც ადამიანის ცხოვრებაზე — 36
2. იხ. იესო ნავინი, 5:2—3. — 38.
3. ამის წინ ფ. ენგელსი ამბობს: „...აღიარეს რა სულის არსებობა, საყოველთაო შეზღუდულობის გამო ადამიანებს არაფრით არ შეეძლოთ აეხსნათ, თუ სად მიდის სული სხეულის სიკვდილის შემდეგ — 39.
4. L. H. Morgan. "Ancient Society", London, 1877. p. 115—39.
5. ი რ ო კ ე ზ ე ბ ი — ჩრდილოამერიკული ინდიელების ექვსი ტომის ზოგადი სახელი: სენეკა, კაიიუგა, ონეიდა, ლიუგავკი და ტუსკაროორა. დღეისათვის ცხოვრობენ კანადისა და აშშ-ის რეზერვუარებში. იროკეზების დიდი ნაწილი ქრისტიანებია: შემორჩენილია აგრეთვე უძველესი რწმენები, რომლებიც გამოხატავენ ბუნების სტიქიის და მფარველი — სულების კულტის თაყვანისცემას — 41.
6. ს ა ხ ე მ ი — იროკეზული გვარის მამასახლისი, რომელიც მოსამართლის ფუნქციასთან ერთად ასრულებს ქურუმის მოვალეობას. — 41.
7. იგულისხმება დემოსთენეს სასამართლო სიტყვა ევბულიდეს წინააღმდეგ. ამ სიტყვაში მითითებულია უძველესი წესის შესახებ დაემარხათ საგვარეულო საფლავებში მხოლოდ ამ გვარის წევრები. — 41.
8. კ. მ ა რ ქ ს ი. ლიუის გ. მორგანის წიგნის — „პირველი საზოგადოება". კონსპექტი (იხ. „მარქსისა და ენგელსის არქივი", ტ. IX, გვ. 134) — 42.
9. ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. აქ მიუთითებს ძველი ბერძენი ფილოსოფოსის დიეკარხის თხზულების ნაწყვეტზე, რომელიც ჩვენამდე არ მოვიდა — 42.
10. ჰ ო მ ე რ ო ს ი. ილიადა, მეორე სიმღერა. — 43.
11. ჰიეროდულები — მონები და მონაქალები ძველ საბერძნეთსა და ბერძნულ კოლონიებში, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ ტაძარს. ჰიეროდული — ქალები ბევრგან, განსაკუთრებით წინააზიის ქალაქებსა და კორინთოში ეწეოდნენ სატაძრო პროსტიტუციას. — 43.

ნაწილი III

1. ენგელსი აქ ხმარობს ტერმინს „არიელები“ ინდოევროპული სისტემის ენათა ხალხების აღსანიშნავად. თანამედროვე ბურჟუაზიულ ლიტერატურაში ამ ტერმინით აღნიშნავდნენ ინდოევროპულ ენათა ირანული და ინდური ჯგუფის ხალხებს. — 45.
2. მხედველობაშია ქრისტიანობის წარმოშობა. — 45.
3. ქრისტიანობის მიღება მოხდა 325 წელს ნიკენს საეკლესიო კრებაზე. — 46.
4. იგულისხმება პეტრონიუსის ნაწარმოები „სატირიკონი“, რომელშიც აღწერილია აღვირახსნილი მდიდრის ტერიმალხიონის ღრეობა. — 47
5. ტიბერიუსი — რომის იმპერატორი 14—37 წწ., ნერონი — რომის იმპერატორი 54—68 წწ. — 47.
6. ლანდსკნეხტო — დაქირაველები ჯარისკაცი XIV—XV სს. დასავლეთ ევროპაში. — 47.
7. მონების აჯანყება სპარტაკის ხელმძღვანელობით 73—71 წწ. — 48.
8. სტოიკური ფილოსოფია წარმოიშვა ძველ საბერძნეთში IV ს. ბოლოს ჩვენს ერამდე და იარსება ჩვ. წ. აღრიცხვის VI საუკუნემდე; ამ ფილოსოფიის წარმომადგენლები მერყეობდნენ მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის. რომის იმპერიის ეპოქაში სტოელთა ფილოსოფია გადაიქცა რეაქციულ რელიგიურ-იდეალისტურ მოძღვრებად. სტოიკოსებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მორალურ პრობლემებს მისტიკურ და ფატალისტურ ახსნას. ისინი აღიარებდნენ სულის უკვდავებას, მოითხოვდნენ ბედისადმი ადამიანის მორჩილებას, ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობას, განდგომილებას, ასკეტიზმს და ა. შ. სტოელთა ფილოსოფიამ დიდი გაელენა მოახდინა ქრისტიანულ რელიგიაზე. 48.
9. იხ. მე-9 შენიშვნა, III ნაწ. — 49.
10. ენგელსს მხედველობაში აქვს ჰაინეს სატირული ლექსის „ღმერთი აპოლონი“-ს პერსონაჟი ახალგაზრდა მომღერალი ამბსტარდამის სინაგოგაში, რომელიც განასახიერებდა აპოლონს. — 50.
11. იგულისხმება „იოანეს გამოცხადება“ — ახალი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი.—51.
12. მხედველობაშია ე. წ. „მოციქულთა კრების მიმართვები“ — ახალი აღქმის ერთ-ერთი ნაწილი. — 51.
13. მხედველობაშია სახარების იგავი მდიდარზე და ღარიბ ლაზარეზე. — 52.
14. ტიუბინგენის თეოლოგიური სკოლა — ბიბლიის მკვლევართა და კრიტიკოსთა სკოლა, რომელიც დაარსდა XIX ს. პირველ ნახევარში. ამ სკოლის მიმდევრები აკრიტიკებდნენ ახალი აღქმის წინააღმდეგობებს და ისტორიულ შეუსაბამობებს. ამასთან ერთად ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ ბიბლიის ზოგიერთი დებულება, როგორც ისტორიულად სანდო: თუმცა თავიანთი ნების გარეშე ეს მკვლევარები ძირს უთხრიდნენ ბიბლიის აუტორიტეტს. — 53.
15. ახალი აღთქმის კრიტიკა მოცემულია ბ. ბაუერის შემდეგ შრომებში: „იოანეს სახარებისეული ისტორიის კრიტიკა“, 1840, და „სინოპტიკოსთა სახარებისეული ისტორიის კრიტიკა“, ტ. I—II. ლეიპციგი, 1941. ამ წიგნის მესამე ტომი გამოვიდა 1842 წ. — 53.
16. იხ. წინამდებარე გამოცემის შენიშვნა 3 ნაწ. III—54.
17. მხედველობაშია კომოდიანეს თხზულება „აპოლოგეტიკური სიმღერა თედეველებისა და წარმართების წინააღმდეგ“. — 55.
18. ქაბალა (ძველებრაული სიტყვა, რაც ნიშნავს ტრადიციას, გადმოცემას) — ძველი „წმინდა“ ტექსტების მისტიკური ახსნა ცალკეული სიტყვებისა და რი-

ცხენებისათვის განსაკუთრებული სიმბოლური მნიშვნელობის მიწერის საშუალებით. გავრცელებული იყო იუდაიზმის მიმდევართა შორის, საიდანაც გადავიდა ქრისტიანობასა და ისლამში. — 56.

19. გ ნ ო ს ტ ი კ ო ს ე ბ ი — გნოსტიციზმის, რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების მიმდევრები, რომელიც წარმოიშვა I—II სს-ში. ქრისტიანობის, იუდაიზმის, წარმართველი რელიგიის და ბერძნულ-რომაული იდეალისტური ფილოსოფიის ზოგიერთი ელემენტების გაერთიანების ნიადაგზე. გნოსტიციზმის საფუძველია „გნოსის" შესახებ მისტიკური მოძღვრება, გნოსტიკოსები ხაზს უსვამენ მატერიის ცოდვილიანობას, ქადაგებდნენ ასკეტიზმს, უარყოფდნენ ძველი აღქმის ღვთიურობას და მითიური იესო ქრისტეს ორმაგ — „ღმერთკაცის" ბუნებას. ორთოდოქსალური ქრისტიანობა ებრძოდა გნოსტიციზმს, როგორც ერესს და ანადგურებდა გნოსტიკონების ნაშრომებს. — 56.

20 მხედველობაშია ქრისტიანობის წარმოშობის ეპოქის პაპირუსების კოლექცია, რომლებიც ლეიდენის მუზეუმში ინახება. კოლექციაში შედის პაპირუსები, რომლებიც შეიცავენ სხვადასხვა მაგიურ ფორმულებს. — 56.

21. ტ ა ც ი ტ ი „ანალები", წიგ. 12, თავ. 52 და „ისტორიები", წიგ. 2, თ. 62.—56.

22 ს ი ბ ი ლ ა ს წ ი გ ნ ე ბ ი — წინასწარმეტყველებების კრებული, რომელსაც მიაწერენ ძველი დროის ერთ-ერთ მოხეტიალე „წინასწარმეტყველს"; ამ წიგნებმა დიდი როლი შეასრულეს ძველი რომის რელიგიურ ცხოვრებაში. — 56.

23. ნ ა ბ უ ქ ო დ ო ნ ო ს ო რ ი — ბაბილონის მეფე 604—502 წწ. — 56.

24. ნ ი კ ე ა ს კ რ ე ბ ა — ქრისტიანული ეკლესიის ეპისკოპოსთა პირველი მსოფლიო კრება, რომელიც მოწვეულ იქნა 325 წელს ნიკეაში იმპერატორ კონსტანტინე I-ის მიერ. ნიკეის კრებაზე მიღებულ იქნა ყველა ქრისტიანისათვის სავალდებულო რწმენის სიმბოლო. კრებაზე ქრისტიანობა რომის იმპერიის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა. — 57.

25. იხ. გამოცხადება, 2.14. — 58.

26. იხ. გამოცხადება, 7:4. — 58.

27. ი რ ი ნ ე ი. ხუთი წიგნი ერესების წინააღმდეგ, წიგ. V, თავ. 28—30, — 65.

28. E. R e n a n, „L' Antechrist". Paris, 1873. 67.

29. ზ ე ნ დ-ა ვ ე ს ტ ა — ზოროასტრიზმის წმინდა წიგნის ავესტას არასწორი სახელი, რომელიც დამკვიდრდა XVIII—XIX სს. ზოროასტრიზი გავრცელებული იყო ძველ სპარსეთში, აზერბაიჯანში, შუა აზიაში. მისი საფუძველი არის საშყაროში სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის დუალისტური იდეა. ავესტა შედგებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში IX ს. ჩვ. ერამდე, III — IV სს. ჩვ. ჭ. აღ. — 68.

30. იგულისხმება ძველი ებრაელების „ბაბილონის ტყვეობა" VI ს. ჩვ. ერ. — დიდგვაროვნების, ჩინოვნიკების, ვაჭრების და ხელოსნების იძულებითი გადასახლება ბაბილონში იერუსალიმის აღების შემდეგ 597 წ. ჩვ. ერ. და იუდეის სამეფოს საბოლოო განადგურება ბაბილონის მეფის ნაბუქოდონოსორის მიერ 586 წ. ჩვ. ერ. VI ს. 30-იან წლებში სპარსეთის მეფე კიროსმა, რომელმაც დაიპყრო ბაბილონის სამეფო, ნება დართო დატყვევებულ ებრაელებს დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში. — 68.

31. ე დ ა — სკანდინავიელი ხალხის მითოლოგიური და საგმირო თქმულებისა და სიმღერების კრებული; შემონახულია XIII ს. ხელნაწერების სახით, რომელიც აღმოაჩინა 1643 წ. ისლანდიელმა ეპისკოპოსმა სვეინსონმა. „ედების" სიმღერები წარმართული ღმერთებისა და გმირების შესახებ გამოხატავდა სკანდინავიელი ხალხის გვაროვნული წყობილების რღვევის პერიოდში. — 69.

32. ლაპარაკია ე. წ. უმაღლესი არსების კულტზე, რომელიც დაკანონა რობესპიერმა. — 75.

33. თ ა ბ ო რ ი ტ ე ბ ი ჰუსისტურ ნაციონალურ-განმათავისუფლებელ და რეფორმაციულ მოძრაობაში რევოლუციურ-დემოკრატიული ფრთა ჩეხეთში (XV ს.), რომელიც მიმართული იყო გერმანელი ფეოდალებისა და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ; სახელწოდება მიიღო ქალაქ თაბორიდან, რომელიც მათი პოლიტიკური ცენტრი იყო. თაბორიტები გამოხატავდნენ გლეხთა და ქალაქის მდაბიოთა ინტერესებს და მოითხოვდნენ ფეოდალიზმის ლიკვიდაციას. ჩეხი მემამულე-ბიურგერების ღალატის წყალობით 1437 წ. დამარცხდა თაბორიტების აჯანყება და ჰუსისტური მოძრაობა საერთოდ. — 77.

34 — ენგელსს მხედველობაში აქვს ნუბიელების, არაბების და სუდანის სხვა ხალხის ნაციონალურ-განმათავისუფლებელი აჯანყება მუსულმანი ქადაგის მუჰამედ-აჰმედის მეთაურობით, რომელიც თავის თავს უწოდებდა „მაქდი“-ს ე. ი. „მხსნელს“. აჯანყება დაიწყო 1881 წელს და 1884 წელს ინგლისელი კოლონიზატორების არმიისაგან განთავისუფლდა მთელი ქვეყანა. აჯანყების შედეგად შეიქმნა დამოუკიდებელი, ცენტრალიზებული სახელმწიფო. 1899 წელს სახელმწიფოს დასუსტებისა და სამხედრო უპირატესობის წყალობით ინგლისის არმიამ დაიპყრო სუდანი. — 76

35 ენგელსის მიერ მოტანილი ტექსტის ნაწყვეტია ლუკიანეს სატირის „პერეგრინის სიკვდილი“, რომელიც შეესატყვისება ნაწარმოების ა. პაულის გერმანულ თარგმანს. — 78

36 ენგელსს მხედველობაში აქვს ვილგელმ ვეიტლინგის მიერ დაარსებული გერმანელი მუშებისა და ხელოსნების საიდუმლო ორგანიზაციის თემები XIX ს. 40-იანი წლების დასაწყისში. — 79.

37 „თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი თ ე მ ე ბ ი“ — თემები, რომლებიც გამოეყენენ ოფიციალურ პროტესტანტულ ეკლესიას 1846 წ. და დაუპირისპირდნენ პიეტიზმის გაბატონებულ პროტესტანტულ ეკლესიას, რომელიც გამოირჩეოდა განსაკუთრებული მისტიციზმით. — 81.

38 1685 წელს ლუდოვიკო XIV გააუქმა 1598 წელს გამოცემული ნანტის ედიქტი, რომელიც ჰუგენოტებს რწმენისა და ღვთისმსახურებს თავისუფლებას აძლევდა. ამის შედეგად ათასობით ჰუგენოტი ემიგრირებულ იქნა საფრანგეთში. — 84.

ნ ა წ ი ლ ი IV

1. „მოსკოვის უწყებანი“ — ერთ-ერთი უძველესი რუსული გაზეთი. რომელსაც მოსკოვის უნივერსიტეტი სცემდა 1756 წლიდან. 1863 — 1887 წლებში გაზეთის რედაქტორი იყო უკიდურესი რეაქციონერი და შოვინისტი კატკოვი, რომელმაც გაზეთი მონარქიულ-ნაციონალისტურ ორგანოდ გადააქცია. 1905 წლიდან გაზეთი შავრაზმელების ძირითადი ორგანო გახდა. დაიხურა 1917 წ. ბოლოს. — 86.

2. „მ ი ს ი ო ნ ე რ უ ლ ი მ ი მ ო ხ ი ლ ვ ა“ — ყოველთვიური საღვთისმეტყველო ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა 1896 — 1898 წლებში კიევში, შემდეგ კი პეტერბურგში. ჟურნალი რომლის რედაქტორი იყო ვ. მ. სკვორცოვი, გამოხატავდა სამღვდელოების რეაქციული ნაწილის ინტერესებს. — 89.

3. „რ წ მ ე ნ ა და გ ო ნ ე ბ ა“ — საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური ჟურნალი, რომელიც გამოდიოდა 1884 — 1916 წლებში ხარკოვის სასულიერო სემინარიასთან თვეში ორჯერ. ჟურნალს ეკავა უკიდურესი რეაქციული პოზიცია, გაშ-

მაგებით გამოდიოდა პროგრესული აზრისა და დემოკრატიული მოძრაობის წინააღმდეგ. — 92.

4. „თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ს ი ტ ყ ვ ა“ — გამომცემლობა, რომელიც საზღვარგარეთ ბეჭდავდა ლ. ნ. ტოლსტოის ნაწარმოებებს, რომლებიც აკრძალული იყო მეფის ცენზურის მიერ ხელისუფლების მიერ სექტანტების დევნის კრიტიკის გამო. — 93.

5 მხედველობაშია III სახელმწიფო სათათბირო, რომელიც გამოხატავდა ცარიზმის პოლიტიკას. — 96.

6 იხ. წინა გამოც., შენიშ. 1, ნაწ. IV. — 101.

7. ლაპარაკია ლეგალური მუშათა ორგანიზაციის შექმნის ცდებზე პოლიციის კონტროლის ქვეშ. — 96.

8 წერილები, რომლებზეც ლაპარაკობს ე. ლენინი ეს არის ბოლშევიკ ს. ი. გუსევის კორესპონდენტები პეტერბურგიდან, რომლებიც იბეჭდებოდა გაზეთ „3 პერიოდ“-ში 1905 წელს — 99.

9. ლაპარაკია გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ცენტრალურ ორგანოზე, გაზეთ „Vorwärsl-ზე“ („წინ-), რომელიც მოხსენიებული იყო გაზეთ „3 პერიოდის“ 1905 წ. № 4-ში. — 100.

10 ლენინი ახდენს მენშევიკური გაზეთ „ისკრა“-ს № 85-ის მოწინავე სტატიის ციტირებას. — 102.

11 მხედველობაშია გაზეთ „რეჩის“ № 261-ში მოთავსებული შენიშვნა „არჩევნების პირველი შედეგები“. — 108.

12 ლაპარაკია ე. წ. სამი ივნისის სახელმწიფო გადატრიალებაზე. 1907 წლის 3 ივნისს გამოიცა მეფის მანიფესტი II სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნისა და საარჩევნო კანონში ცვლილებების შესახებ. ახალი კანონი კიდევ უფრო ზრდიდა სათათბიროში მემამულეებისა და ბურჟუათა რაოდენობას და შესაბამისად ამცირებდა გლეხებისა და მუშების რიცხვს. — 110.

13. იხ. კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. თხზ. ტ. 19, გვ. 28, — 111.

ნ ა წ ი ლ ი V

1 „ს ა ყ ო ვ ე ლ თ ა ო ფ ე ნ ი ნ გ ი“ — გადასახადი, რომლის მთელი სიმძიმე გლეხობას აწვა. — 116.

2. ა ნ ა ტ ა — ერთდროული შესატანი რომის კურიის სასარგებლოდ. — 117.

3. ა ლ ბ ი გ ო ე ლ ე ბ ი — XII — XIII ს-ებში სამხრეთ საფრანგეთისა და ჩრდილოეთ იტალიის ქალაქებში ფართოდ გავრცელებული რელიგიური სექტა. მისი ძირითადი კერა იყო სამხრეთ საფრანგეთის ქალაქი ალბი. ალბიგოელები, გამოდიოდნენ რა მდიდრული კათოლიკური წეს-ჩვეულებებისა და საეკლესიო იერარქიის წინააღმდეგ, რელიგიური ფორმით გამოხატავდნენ ქალაქების ვაჭრულ-ხელოსნური მოსახლეობის პროტესტს ფეოდალიზმის წინააღმდეგ. მათ შეუერთდა სამხრეთ საფრანგეთის აზნაურობის ნაწილი, რომელსაც სურდა საეკლესიო მიწების სეკულარიზება. 1209 წელს პაპმა ინოკენტი III ჯვაროსნული ლაშქრობა მოაწყო ალბიგოელების წინააღმდეგ ოცწლიანი ომისა და მძვინვარე რეპრესიების შედეგად მათი მოძრაობა ჩახშობილ იქნა. — 118.

4 ვ ა ლ დ ე ნ ს ე ბ ი — რელიგიური სექტა, წარმოშობილი XII ს. სამხრეთ საფრანგეთის ქალაქების პლებეური დაბალ ფენებში. გადმოცემის თანახმად მისი დამაარსებელი იყო ლიონელი სოვდაგარი პიერ ვალდი, რომელმაც მთელი თავისი ქონება ღატაკებს დაურიგა. ვალდენსები ქადაგებდნენ უარისთქმის საკუთრებაზე. კიცხავდნენ კათოლიკური ეკლესიის მიერ სიმდიდრის დაგროვებას და მოუწო-

დებდნენ ღაბრუნებოდნენ ადრეული ქრისტიანობის ჩვეულებებს. ვალდენსების ერესი განსაკუთრებით გავრცელდა სამხრეთ-დასავლეთი შვეიცარიისა და საოიის მთიანი რაიონების სოფლის მოსახლეობაში, სადაც იგი პირველყოფილი თემური წყობილებისა და პატრიარქალური ურითერთობის დამცველის ხასიათს ატარებდა. — 120.

5. იხ. წინამდ. გამოც., შენიშვნა 4, განყოფილება V. — 120.

6. 1251 წ. საფრანგეთის გლეხთა აჯანყების (ეგრეთ წოდებული „მწყემს გოგონათა" აჯანყების) ერთ-ერთი ბელადი, მქადაგებელი სახელად იაკობი. ქრონიკების მოწმობით იგი უნგრეთიდან ყოფილა გადმოსახლებული. — 120.

7 კალიკსტინელები — ორიდან ერთ-ერთი მიმდინარეობა გუსისტურ ნაციონალურ-გამანთავისუფლებელ და რეფორმისტულ მოძრაობაში ჩეხეთში (XV საუკუნის პირველი ნახევარი). კალიკსტინელები (ან მეთასეები, რომლებიც მოითხოვდნენ ზიარებას არა მხოლოდ პურით, არამედ ღვინითაც თასიდან), ეურდნობოდნენ რა ბიურგობასა და ჩეხური აზნაურობის ნაწილს, თავიანთ მოთხოვნაში იფარგლებოდნენ ჩეხური ნაციონალური ეკლესიის შექმნითა და საეკლესიო მამულების სეკულარიზებით, — 121.

8. იხ. წინამდ. გამოცემა, შენიშ. 42, განყ. III.—133

9 ფლაგელანტები — (ან „გამათრახებულნი") — რელიგიურ-ასკეტური სექტა, გავრცელებული ევროპაში XIII—XV სს. ფლაგელანტები ქადაგებდნენ თვითგვემის გზით ცოდვების მონანიების შესაძლებლობას.

ლოლარდები (სიტყვასიტყვით — „ლოცვის მობუტბუტე") — რელიგიური სექტა ინგლისსა და ევროპის სხვა ქვეყნებში (აღმოცენდა XIV ს.), მტრულად განწყობილი კათოლიკურ ეკლესიისადმი, რომელმაც აითვისა რა ინგლისელი რეფორმატორის უიკლიფის მოძღვრება, გამოიტანა მისგან უფრო რადიკალური დასკვნები და რელიგიურ-მისტიკური ფორმით გამოვიდა ფეოდალური პრივილეგიების წინააღმდეგ. მრავალი ლოლარდი, რომელთა შორისაც ჯარბობდნენ ხალხთა მასებიდან გამოსულები და დაბალი სამღვდელოების წარმომადგენლები, მონაწილეობდა უოტ ტალერის აჯანყებაში 1381 წ. XIV ს. ბოლოდან ლოლარდებმა განიცადეს სასტიკი დევნა. — 123.

10 ჰილიაზმი (ბერძნულიდან „ჰილიას" — ათასი) რელიგიურ-მისტიური მოძღვრება ქრისტეს მეორედ მოსვლისა და სამართლიანობის, საყოველთაო თანასწორობისა და განკითხვის „ათასწლიანი მეუფების" დადგომის შესახებ. ჰილიასტური რწმენები აღმოცენდნენ მონათმფლობელური წყობილების დაშლის პერიოდში მშრომელთა აუტანელი ჩაგვრის ნიადაგზე, რომელნიც გამოსავალს ეძებდნენ ხსნის შესახებ ფანტასტიკურ ოცნებებში. ამ რწმენებიდან ფართო გავრცელება პოვეს ადრეული ქრისტიანობის დროს და შემდგომ აღდგენას განიცდიდნენ ხოლმე შუასუკუნეების სხვადასხვა სექტებში. — 134

11 ენგელსს მხედველობაში აქვს გერმანული სახელმწიფოებრივი წყობის წოდებრივი ხასიათი. — 124.

12 ეს გამოთქმა წარმოადგენს პამფლეტის სახელწოდებას, რომელიც ლუთერმა გამოუშვა 1525 წლის მაისში, სწორედ გლეხთა ომის დროს. — 127.

13. „აუგსბურგული სარწმუნოება" — ლუთერიანობის საფუძვლების გადმოცემა, წარმოდგენილი 1530 წელს იმპერატორ კარლ V-ის წინაშე საიმპერატორო სეიმზე აუგსბერგში, აღმოჩნდა შედეგი „ორფი ეკლესიის" (მდიდრული წეს-ჩვეულებების გაუქმება, საეკლესიო იერარქიის გამარტივება და ა. შ.) ბიურგერული იდეალების შეგუებისა თავადების ინტერესებთან. ეკლესიის მეთაურად პაპის ნაცვლად ცხადდებოდა მფლობელი თავადი. აუგსბურგული სარწმუ-

ნოება უარყოფილ იქნა იმპერატორის მიერ. ომი, მას და თავადებს შორის, რომლებმაც ლუთერანული რეფორმაცია მიიღეს, დამთავრდა 1555 წ. აუგსბერგის რელიგიური ზავით, რომელიც განამტკიცებდა თითოეული თავადის უფლებას თავისი შეხედულებით განესაზღვრა ქვეშევრდომთა რელიგია. „აუგსბურგული სარწმუნოება" შედგენილ იქნა მელანხტონის მიერ მარტინ ლუთერის მეთვალყურეობით. — 130.

14 ეს თარიღი მოყავს ციმერმანს. შემდგომში დაზუსტებული მონაცემებით, თომას მიუნცერი დაიბადა დაახლოებით 1490 წ. — 131.

15 ანაბაპტისტებად, ან გადანათლულებად იწოდებოდნენ ამ სექტის წევრები, რადგანაც ისინი შეგნებულ ასაკში მეორეჯერ ნათლობას მოითხოვდნენ. — 132.

16 მეორესჯულის წიგნის მოცემულ თავში გადმოცემულია მითი იაკვეს მიერ, ქანაანში დასახლებული და მისი (იაკვეს) თავის ღმერთად არ მცნობი ხალხის განადგურების მოთხოვნის შესახებ. — 133.

17 ენგელსს მხედველობაში აქვს გერმანელი იდეალისტი-ფილოსოფოსის შტრაუსისა და სხვა ახალგაზრდა ჰეგელიანელების შეხედულებები, რომლებიც თავიანთ ადრეულ ნაწარმოებებში გამოდიოდნენ როგორც პანტეისტები რელიგიის საკითხებში. — 133.

18. ლაპარაკია გერმანიაში 1848 წ. თებერვლის რევოლუციურ ამბებზე შემდეგ—134.

19 ლაპარაკია 1688 წლის სახელმწიფო გადატრიალებაზე ინგლისში, რომელმაც გაძევებამდე მიიყვანა იაკობ II სტუარტი და 1689 წ. ინგლისის მეფედ გამოცხადდა ჰოლანდიის რესპუბლიკის შტატგალტერი ვილჰელმ III ორანელი; 1689 წლიდან ინგლისში განმტკიცდა კონსტიტუციური მონარქია, დაფუძნებული მემამულე არისტოკრატიასა და მსხვილ ბურჟუაზიას შორის არსებულ კომპრომისზე. — 141.

ნაწილი VI

1 „რასვეტი" — სექტანტებისათვის სოციალ-დემოკრატიული ფურცელი; გამოდიოდა ჟენევაში ვ. დ. ბონჩ-ბრუევიჩის მიერ რსდმპ II ყრილობის გადაწყვეტილების საფუძველზე. პირველი ნომერი გამოვიდა 1904 წ. იანვარში. პარტიის საბჭომ 1904 წლის 5(18) იენისის სხდომაზე გამოთქვა აზრი ამ ფურცლის, როგორც პარტიული ორგანოს გამოსვლის წინააღმდეგ (თუმცა ბონჩ-ბრუევიჩს მისცეს ნება გამოეცა ფურცელი თავისი სახელით). 1904 წ. შემოდგომაზე „რასვეტის" გამოცემა შეწყდა. სულ 9 ნომერი გამოვიდა. — 145.

2 პომპადურები — განზოგადებული სატირული სახე, რომელიც მ. ე. სალტიკოვ-შედრინმა შექმნა ნაწარმოებში „პომპადურები და პომპადურშები", რომელშიც დიდმა რუსმა მწერალმა გამოააშკარავა მეფის უმაღლესი ადმინისტრაცია, მინისტრები და გუბერნატორები. სალტიკოვ-შჩედრინის ზუსტი განსაზღვრება შემოვიდა რუსულ ენაში როგორც ადმინისტრაციული თვითნებობის, ახირებულების გამომხატველი. — 145.

ნაწილი VII

1. ლ.პარაკია: Ch Forster—იხ. წიგნზე The Histcrical Geographi of Arabia: or; The Patriarchal Evidences of Revealed Religion, vol. I—II. London, 1844.

(ე. ფორსტერი არაბეთის ისტორიული გეოგრაფია ან მოწმობა, ეკლესიის მა-

მათა გულახდილობის შესახებ, ტ. I—II, ლონდონი, 1844). — 148.

2. ლაპარაკია არაბეთის ნახევარკუნძულის ტომთა დაპყრობაზე VII—VIII სს. მუსლიმანური საზოგადოების მმართველობის საფეხურეში მდგომნი ხალიფების მეთაურობით, რითაც დამთავრდა დროებით დამყარებული არაბთა ფეოდალიზირებული არისტოკრატიის ბატონობა ახლო და შუა აღმოსავლეთში, შუა აფრიკაში, სამხრეთ-დასავლეთ ევროპაში. — 148.

3. იხ. წინამდ. გამოც. შენიშვნა 36, განყ. III, — 149.

4 სათათრეთს XIX ს-ში ეძახდნენ ცენტრალური აზიის ტერიტორიას და თურქესტანის ნაწილებს, — 152.

5 ფ ე ლ ა ხ ი — (არაბულად) გლეხი, მკვიდრი მიწათმოქმედი. ფელახები წელიწადის დიდ ნაწილს ცხოვრობენ ქალაქებში, მაგრამ ხვნის, თესვისა და მკის პერიოდში გადადიან მინდორში, ფელახების რელიგია — ისლამი. — 153.

ნ ა წ ი ლ ი VIII

1 ი ა ნ ს ე ნ ი ს ტ ე ბ ი — (ჰოლანდიელი თეოლოგის იანსენის სახელიდან) — კათოლიკთა შორის ოპოზიციური მიმდინარეობის წარმომადგენლები საფრანგეთში XVII ს-სა და XVIII ს-ის დასაწყისში, რომელიც იწვევდა ოფიციალური კათოლიციზმის ფეოდალური იდეოლოგიის ფრანგული ბურჟუაზიის ნაწილის უკმაყოფილებას. — 156.

2. ჯ. ლოკი[1]. „გამოკვლევები ადამიანური გონების შესახებ“ 2) „გამოცდილება ადამიანურ გონებაზე“; პირველი გამოცემა გამოვიდა ლონდონში 1690 წელს. — 158.

3. კ ა რ ტ ე ნ ზ ი ნ ე ლ ი ფ ი ლ ო ს ო ფ ი ა — XVII ს-ს ფრანგი ფილოსოფოსის რ. დეკარტის მიმდევართა მოძღვრება (ლათინურად — Carteius), რომლებმაც მისი ფილოსოფიიდან გამოიტანეს მატერიალისტური დასკვნები, — 164.

4 ენგელსს მხედველობაში აქვს 1789 წელს დამფუძნებელი კრების მიერ მიღებული: „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“, რომელშიც გადმოცემული იყო ახალი ბურჟუაზიული წყობის პოლიტიკური პრინციპები. 1791 წელს დეკლარაცია ჩართული იყო საფრანგეთის კონსტიტუციაში, მის საფუძველზე შედგა იაკობინელების „ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაცია“, 1793 წელს, რომელიც წინ უძღოდა საფრანგეთის რესპუბლიკურ კონსტიტუციას, მიღებულს ნაციონალური კონვენტის მიერ 1793 წელს. — 164.

5 (სამოქალაქო კოდექსი) — ერთ-ერთი იმ ხუთი კოდექსიდან, რომლებიც ჩამოყალიბდნენ საფრანგეთში 1804—1810 წლებში ნაპოლეონ I-ის დროს (აქედან შეეიდა სამოქალაქო კოდექსში, როგორც ნაპოლეონის კოდექსისა) და წარმოადგენენ ბურჟუაზიული უფლებების ზოგად სისტემატიზაციას. ენგელსმა, 1804 წელს მიღებულ სამოქალაქო კოდექსს, უწოდა ბურჟუაზიული საზოგადოების კანონთა კლასიკური კრებული (ნახე კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თხზ. ტომი 21; გვ. 311) — 164.

6. „Deutsche Jahrbücher“ — ახალგაზრდა ჰეგელიანელთა ფილოსოფიურ-ლიტერატურული ჟურნალის „Deutsche Jahrbücher für Wissenschaft und Kunst“ — შემოკლებული სახელწოდება („გერმანული წელიწდეული მეცნიერებისა და ხელოვნების შესახებ“); ჟურნალი გამოიცემოდა ყოველდღიური ფურცლების სახით ლეიპციგში. ამ სახელწოდებით ჟურნალი გამოდიოდა 1841 წლის ივლისიდან 1843 წლის იანვრამდე; უფრო ადრე (1838 — 1841) გამოდიოდა სახელწოდებით „Hallische Jahrbücher für Deutsche Wissenschaft und Kunst: („ჰოლანდიური წელიწდეული გერმანული მეცნიერებისა და ხელოვნების საკი-

თხებზე"). 1841 წლის ივლისამდე ჟურნალი გამოდიოდა ა. რუგესა და ტ. ეხტერმეიერის რედაქციით ქ. ჰალეში, ხოლო 1841 წლის ივლისიდან — ა. რუგეს რედაქციით დრეზდენში. რედაქციის ადგილმდებარეობის გადატანა პრუსიულ ქალაქ ჰალედან, საქსონიაში და ჟურნალის სახელწოდების შეცვლა გამოწვეული იყო პრუსიის ფარგლებში „Hallische Jahrbücher"-ის აკრძალვის საფრთხით. თუმცა ახალი სახელწოდებითაც ჟურნალს დიდი ხანი არ უარსებია. 1843 წლის იანვარში ჟურნალი „Deutsche Iahrbücher" დაიხურა საქსონიის მმართველობის მიერ და საკავშირო სეიმის დადგენილებით აიკრძალა გერმანიის მთელ ტერიტორიაზე — 166.

7. Rheinische Zeitung für Politik, Handel und Gewerbe" (რაინის გაზეთი პოლიტიკის, ვაჭრობის და წარმოების საკითხებზე) — ყოველდღიური გაზეთი, გამოდიოდა კიოლნში 1842 წლის 1 იანვრიდან 1843 წლის 31 მარტამდე. გაზეთი დაარსდა რაინის ბურჟუაზიის წარმომადგენლების მიერ, რომლებიც ოპოზიციურად იყვნენ განწყობილნი პრუსიული აბსოლუტიზმის წინააღმდეგ, გაზეთში თანამშრომლებად მოწვეულნი იყვნენ ახალგაზრდა ჰეგელიანელთა ზოგიერთი წევრი. 1842 წლის აპრილიდან კ. მარქსი გახდა „Rheinische Zeitung"-ის თანამშრომელი, ხოლო იმავე წლის ოქტომბრიდან — მისი ერთ-ერთი რედაქტორი.

„Rheinische Zeitung"-ში გამოქვეყნდა ენგელსის რამოდენიმე სტატია. მარქსის რედაქტორობით გაზეთმა მიიღო სულ უფრო გამოკვეთილი რევოლუციურ-დემოკრატიული ხასიათი. მთავრობამ „Rheinische Zeitung"-ისათვის შემოიღო გასაკუთრებულად მკაცრი ცენზურა, შემდგომ კი საერთოდ დაიხურა. — 166

8 იგულისხმება 1688 წლის სახელმწიფოებრივი გადატრიალება, რომლის შედეგადაც ინგლისში დაემხო სტიუარტთა დინასტია და დამყარდა კონსტიტუციური მონარქია. — 178

9. დ ე ი ს ტ ე ბ ი რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრების მომხრეები, რომელნიც აღიარებდნენ ღმერთს, როგორც სამყაროს უპიროვნო გონიერ პირველ მიზეზს, მაგრამ უარყოფენ მის ჩარევას ბუნებისა და საზოგადოების ცხოვრებაში. ფეოდალურ-საეკლესიო მსოფლმხედველობის ბატონობის პირობებში დეიზმი არცთუ ისე იშვიათად გამოდიოდა რაციონალური პოზიციებიდან აკრიტიკებდა რა შუასაუკუნეების ტელეოლოგიურ მსოფლმხედველობას, ამხელდა სამღვდელოების პარაზიტიზმსა და შარლატანობას. თუმცა დეისტები, ამავე დროს, მიდიოდნენ რელიგიასთან კომპრომისზე, გამოდიოდნენ ხალხთა მასებისათვის რელიგიის რაციონალური ფორმის სახით შენარჩუნებისათვის. — 167.

10 „ნ ა რ ო დ ნ ა ია ე ო ლ ი ა" — ხალხისან ტერორისტთა ფარული პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც აღმოცენდა 1879 წ. აგვისტოში, ხალხისნური ორგანიზაციის „ზემლია ი ვოლია"-ს გათიშვის საფუძველზე. — 170.

11 ვ. ი. ლენინს მოაქვს ციტატა ნ. გ. ჩერნიშევსკის რომანიდან „პროლოგი". (იხ. ნ. გ. ჩერნიშევსკი. სრული თხზულებათა კრებული, ტ. XIII, 1949, გვ. 197. რუს. ენ.). — 171.

12 რ ი ტ უ ა ლ ი ზ მ ი — მიმდინარეობა ანგლიკანური ეკლესიის შიგნით, რომელიც XIX ს. 30-იან წლებში წარმოიშვა. მისი მიმდევრები მოუწოდებდნენ კათოლიკურ წეს-ჩვეულებათა და კათოლიციზმის ზოგიერთი დოგმატის აღდგენას ანგლიკანურ ეკლესიაში. — 173.

13 „ხ ს ნ ი ს ა რ მ ი ა" — რეაქციული რელიგიურ-ფილანტროპული ორგანიზაცია, რომელიც 1865 წ. დაარსებულ იქნა მქადაგებელ უ. ბუტსის მიერ ინგლისში და გავრცელებული იქნა სხვა ქვეყნებში (სახელწოდება მიიღო 1880 წ. მისი სამ-

ხედრო სახით ორგანიზაციის შემდეგ). სარგებლობდა რა ბურჟუაზიის მნიშვნელოვანი მხარდაჭერით ამ ორგანიზაციამ გაშალა ფართო რელიგიური პროპაგანდა, შექმნა მთელი ქსელი საქველმოქმედო დაწესებულებებისა, მშრომელი მასების ექსპლოატატორებთან ბრძოლის ჩამოშორების მიზნით. ცალკეული მქადაგებლები ეწოდნენ სოციალურ დემაგოგიას, რომელიც მდიდარია ეგოიზმის მოჩვენებით გაკიცხვაში მდგომარეობდა. — 173.

14 იგულისხმება პირველი მსოფლიო სავაჭრო-სამრეწველო გამოფენა ლონდონში, რომელიც მიმდინარეობდა მაის-ოქტომბერში 1851 წ. — 176.

15 იხ. წინამდებარე გამოცემა, შენიშ. 16, განყოფილება VIII. — 176.

16 1824 წ. მუშათა მასობრივი მოძრაობის დაწოლით ინგლისის პარლამენტი იძულებული იყო მიეღო აქტი, რომლითაც უქმდებოდა მუშათა კავშირების (ტრედ-იუნიონების) აკრძალვა. თუმცა 1825 წ. პარლამენტის მიერ მიღებული იქნა კანონი კავშირების, ანდა კანონი მშრომელთა კოალიციის შესახებ, რომელმაც დაამწყვა ტრედ-იონიონთა აკრძალვის შეცვლა, ამავდროულად უკიდურესად შეზღუდა მათი მოღვაწეობა. ნაწილობრივ, უბრალო აგიტაცია კავშირში მუშათა შესვლისა და მონაწილეობა განიხილებოდა, როგორც „იძულება" და „ძალადატანება" და ისჯებოდა როგორც სისხლის დანაშაული. — 174.

17 სახალხო ქარტია, რომელიც შეიცავდა ჩარტისტების მოთხოვნებს, 1838 წ. 8 მაისს იყო გამოქვეყნებული, როგორც კანონპროექტი, განკუთვნილი პარლამენტში შესატანად; იგი შედგებოდა ექვსი პუნქტისაგან: საყოველთაო ამომრჩევლობითი უფლება (მამაკაცთათვის, რომელთაც შეუსრულდათ 21 წელი) პარლამენტში ყოველწლიური არჩევა, ფარული კენჭისყრა, საარჩევნო ოლქების გათანაბრება, ქონებრივი ცენზის გაუქმება პარლამენტის დეპუტატთა კანდიდატებისათვის, დეპუტატთა დაჯილდოება. ჩარტისტების სამი პეტიცია სახალხო ქარტიის მიღების შესახებ, რომელიც წარდგენილი იყო პარლამენტში უარყოფილ იქნა 1839, 1842 და 1849 წლებში.

ლიგა პურის კანონთა წინააღმდეგ — ინგლისური სამრეწველო ბურჟუაზიის ორგანიზაცია დაარსებული 1838 წ. მანჩესტერელი ფაბრიკანტების კობდენისა და ბრაიტის მიერ. აყენებდა რა ვაჭრობის სრული თავისუფლების მოთხოვნას, ლიგა ცდილობდა პურის კანონთა შეცვლას მუშათა ხელფასის დაკლებისა და მემამულურ არისტოკრატიის ეკონომიკური და პოლიტიკური პოზიციების დასუსტების მიზნით. თავის ბრძოლაში მიწათმფლობელთა წინააღმდეგ ლიგა ცდილობდა მუშათა მასების გამოყენებას. თუმცა ამ დროისათვის ინგლისის მოწინავე მუშები დაადგნენ მუშათა მოძრაობას დამოუკიდებელ პოლიტიკურად გაფორმებულ მოძრაობას (ჩარტიზმს). პურის კანონთა გაუქმების შემდეგ ლიგამ თავისი არსებობა შეწყვიტა. — 174.

18 ძმა ჯონათანი — ირონიული ზედმეტი სახელი ინგლისელების მიერ შერქმეული ჩრდილო ამერიკელებისადმი ინგლისის ჩრდილოამერიკული კოლონიების დამოუკიდებლობისათვის ომის (1775—1783) დროს, — 175.

19 ალისფერი და თეთრი ვარდის ომი (1455 — 1485) — ომი ორ წარმომადგენლებს შორის სამეფო ტახტისათვის ორ ინგლისურ ფეოდალურ გვარს შორის: იორკებისა, რომელთა გერბზეც იყო გამოსახული თეთრი ვარდი და ლანკასტერების, რომელნიც გერბზე ალისფერ ვარდს. ატარებდნენ. იორკების გარშემო ჯგუფდებოდნენ ნაწილი სამხრეთელი ეკონომიკურად შედარებით განვითარებული მსხვილი ფეოდალებისა, რაინდები და ქალაქელები; ლანკასტერებს ემხრობოდა ჩრდილოეთის საგრაფოთა ფეოდალური არისტოკრატია. ომმა თითქმის მთლიანად მოსპობამდე მიიყვანა ძველი ფეოდალური გვარები და

დამთავრდა ტიუდორთა დინასტიის ხელისუფლებაში მოსვლით, რომლებმაც ინგლისში აბსოლუტიზმი დამყარეს. — 176.

20 გამოთქმა ჰობსის წინასიტყვაობიდან, მისი წიგნისა „De Cive" („მოქალაქის შესახებ"), რომელიც 1642 წ. დაწერა პარიზში, თავდაპირველად გავრცელებული ხელნაწერის სახით გამოქვეყნებული ამსტერდამში 1647 წ. — 178.

21 „მოსკოვის ხმა" — ყოველდღიური გაზეთი, ოქტიაბრისტების ორგანო — მსხვილი სამრეწველო ბურჟუაზიისა და მსხვილი მებატონეების კონტრრევოლუციური პარტიისა; გამოდიოდა მოსკოვში 1905 წ-დან 1915 წლამდე. — 179.

ნაწილი IX

1 ენგელსი ჩამოთვლის XIX ს. ევროპის ომების მნიშვნელოვან ბრძოლებს. — 198.

2 იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, ადრინდელი ნაწარმოებებიდან. მ., 1956, გვ. 257—258, — 210.

3 „გერმანულ-ფრანგული ყოველწლიური" — გამოდიოდა პარიზში კ. მარქსის და ა. რუგეს რედაქციით. გამოვიდა მხოლოდ პირველი ორი გამოცემა, რომლებშიც დაიბეჭდა მარქსის, ენგელსის, კარლეილის რამდენიმე ნაწარმოები. ჟურნალის გამოცემა შეწყდა კ. მარქსისა და რუგეს პრინციპული უთანხმოების გამო. — 210.

4 იხ. კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თხზ. ტ. 23, გვ. 21—22.—211.

5 იხ. ვ. ლენინი. თხზ., ტ. 23, გვ. 326. — 214.

6 იხ. დ. პისარევი. უმწიფარი აზრის მარცხი (თხზ., ტ. 3, 1956). — 217.

7 ტერმინი „აგნოსტიციზმი" შემოტანილ იქნა 1869 წელს ინგლისელი ბუნებათმეცნიერის ჰ. ჰექსილის მიერ. — 219.

8 ანალოგიურ აზრებს ანვითარებდა ი. დიცგენი წიგნში „ადამიანის თავის მუშაობის არსება". — 219.

9 ვ. ი. ლენინი ლ. ფოიერბახის მცდარი აზრი იმის შესახებ, რომ „სულიერი მოღვაწეობაც სხეულებრივია" — ადარებს ი. დიცგენის ანალოგიურ აზრს, რომელიც მის ბევრ შრომაშია გატარებული. — 219.

10 იხ. ფ. ენგელსი. ლუდვიგ ფოიერბახი და კლასიკური გერმანული ფილოსოფიის დასასრული (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტ. II). — 223.

11 ვ. ი. ლენინს მხედველობაში აქვს ფოიერბახის შემდეგი სიტყვები: „...ღვთაება შესდგება, ასე ვთქვათ, ორი შემადგენელი ნაწილისაგან, რომელთაგან ერთი მიეკუთვნება ადამიანის ფანტაზიას, მეორე კი — ბუნებას. ილოცე! — ამბობს ერთი ნაწილი, ანუ ღმერთი, ბუნებისაგან განსხვავებული; იშრომე! ამბობს მეორე ნაწილი, ანუ ღმერთი, არაბუნებისაგან განსხვავებული, არამედ მისი არსების გამომხატველი". — 226.

ნაწილი X

1 ეს ციტატა აღებულია ლ. ფოიერბახის შრომიდან — „ფილოსოფიის ძირითადი დებულებები. ცვალებადობის აუცილებლობა". — 240.

2 ლენინს მხედველობაში აქვს თავისი სტატია „მარქსიზმი და რევიზიონიზმი", რომელშიც მან პირველად განაცხადა, რომ უახლეს დროში გამოვა „ნეოუმისტური" და „ნეობერკლიანური" რევიზიონისტების — ბოგდანოვის, ბაზაროვის და სხვათა წინააღმდეგ. — 242.

3 ლენინის წერილი გამოწვეული იყო გაზეთ „რუსკოე სლოვაში" დაბეჭდილი გორკის სტატიის — „კარამზოვშინის შესახებ" — გამო, რომელშიც მ. გორკი

პროტესტს გამოთქვამდა ფ. დოსტოევსკის რეაქციული რომანის „ეშმაკნიის“ ინსცენირების წინააღმდეგ. — 243.

ნაწილი XI

1. „უფალო, მე არ ვსაჭიროებდი ამ ჰიპოთეზას“ — ლაპლასის პასუხი ნაპოლეონის კითხვაზე იმის შესახებ, თუ რატომ არ ახსენებს იგი თავის შრომებში შეფოქმედს. — 254.
2 ენგელსს მხედველობაში აქვს ჯ. ტინდალის შესავალი სიტყვა მეცნიერების პროგრესის დახმარების ბრიტანეთის ასოციაციის 44-ე ყრილობაზე 1874 წ. 19 აგვისტოს. — 255.
3 ენგელსს მხედველობაში აქვს ლუთერის ქორალი — „უფალი ჩვენი ციხემარტი საყრდენია“. ჰაინე ამ სიმღერას რეფორმაციის მარსელიზას უწოდებს. — 257.
4 მხედველობაშია ლუთერის მიერ ბულის საჯაროდ დაწვა, რომელშიც რომის პაპმა ლევ X კათოლიკური ეკლესიიდან განკვეთა ლუთერი. — 257.
5 კოპერნიკმა თავისი წიგნის — „ციური სფეროების მოძრაობის შესახებ“ ეგზემპლარი, რომელშიც სამყაროს ჰელიოცენტრული სისტემა არის გდმოცემული მხოლოდ თავისი სიკვდილის დღეს მიიღო. — 257.
6 XVIII საუკუნეში ქიმიაში გაბატონებული შეხედულების თანახმად წვის პროცესი გაპირობებულია განსაკუთრებული ნივთიერების — ფლოგისტონის სხეულებში არსებობით, რომელსაც აქვს წვის უნარი. ამ თეორიის უსაფუძვლობა დაასაბუთა ცნობილმა ფრანგმა ქიმიკოსმა ა. ლ. ლავუაზიემ, რომელმაც სწორად ახსნა წვის პროცესი, როგორც წვადი საგნისა და ჟანგბადის შეერთების რეაქცია. — 258.
7 კანტის ნისლოვანების თეორია, რომლის თანახმად მზის სისტემა განვითარდა პირვანდელი ნისლისაგან, გადმოცემულია მის ნაშრომში „ცის საყოველთაო ბუნებრივი ისტორია და თეორია“. — 261.
8 მხედველობაშია ი. ნიუტონის გამონათქვამები მსოფლიო მიზიდულობის კანონის შესახებ მის ძირითად ნაშრომში: „ნატურალური ფილოსოფიის მათემატიკური საწყისები“. — 261.
9 ლაპლასია კატასტროფების თეორიის შესახებ, რომელიც ეკუთვნის ცნობილ ფრანგ ბუნებათმეცნიერს ჟ. კიუვიეს. ამ თეორიის თანახმად მიწის ისტორიამ იცის პერიოდული კატასტროფები, რომლის შემდეგ ახალი სახეობები წარმოიშობოდნენ ღმერთის ახალი შემოქმედებითი აქტის წყალობით. ეს რელიგიურ-იდეალისტური თეორია მთლიანად იქნა უარყოფილი ჟ. ლამარკის, ჩ. ლაიელის, ჩ. დარვინის შრომებით. — 262.
10 ჩარლზ გროვი (1811 — 1896) — ინგლისელი ფიზიკოსი და იურისტი. — 263.
11 ლანცეტნიკი (ამფიოქსი) — პატარა თევზისმსგავსი ცხოველი, რომელიც წარმოადგენს გარდამავალ ფორმას უხერხემლოიანებიდან ხერხემლიანებზე.

ჩეშუიჩატნიკი (ლეპიდოსირენი) — თევზების ქვეკლასის წარმომადგენელი, რომელთაც აქვთ ლაყუჩებიც და ფილტვებიც. — 264.
12 არიადნას ძაფი — აქ აღნიშნავს აზრს, რომელიც გვეხმარება გადავწყვეტოთ ესა თუ ის საკითხი. გამოთქმა მოდის ძველი ბერძნული მითიდან არიადნას შესახებ, რომელმაც მისცა ძაფი თეზეს. ამ ძაფით გამოვიდა ლაბირინთიდან იქ მცხოვრებ ურჩხულ მინოტაურზე გამარჯვების შემდეგ. — 365.
13 პროტისტები — ჰეკელის კლასიფიკაციის მიხედვით უმარტივესი ორგანი-

ზმების ფართო ჯგუფი, რომელიც მოიცავს როგორც რთულუჯრედიან ასევე არაუჯრედოვან და მრავალუჯრედიან ორგანიზმებს. — 265.

14 ი. ნიუტონის ყველაზე ცნობილი ნაწარმოები საღეთისმეტყველო თემაზე არის „შენიშვნები წინასწარმეტყველ დანიელის წიგნზე და იოანეს აპოკალიფსი"-ზე. —268.

15 მ ე ს მ ე რ ი ზ მ ი — ანტიმეცნიერული მოძღვრება რაღაც „ცხოველურ მაგნეტიზმზე", ავსტრიელი ექიმის ფ. მასმერის (1734 — 1815) გვარის მიხედვით დარქმეული, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ამ მიმდინარეობას. მასმერიზმი ფართოდ გავრცელდა XVIII ს-ის ბოლოს და წარმოადგენს სპირიტიზმის ერთ-ერთ წინამორბედს. — 269.

16 ფ რ ე ნ ო ლ ო გ ი ი ს თ ა ნ ა ხ მ ა დ — ეულგარულ-მატერიალისტური მოძღვრება, რომელიც შექმნა XIX ს-ის დასაწყისში, ავსტრიელმა ექიმმა ფ. ი. ჰალემ, ადამიანის ყოველ ფსიქიკურ თვისებას გააჩნია თავისი ორგანო. ის ლოკალიზდება თავის ტვინის განსაზღვრულ უბნებში, ამა თუ იმ ფსიქიკური თვისების განვითარება იწვევს მისი ორგანოს ზრდას და თავის ქალის შესაბამის უბანზე ამოზნექილობის წარმოშობას, ე. ი. თავის ქალის კონფიგურაციით შეიძლება ეიმსჯელოთ ადამიანის ფსიქიკის თავისებურებებზე. — 269.

17 ბ ა რ ა ტ ა რ ი ა (ბერძ. სიტ. barato — იაფი) — არარსებული კუნძულის დასახელება, გამოყენებულია სერვანტესის „დონ კიხოტის" (II ნაწ. თავი 45—53) ერთ-ერთ ეპიზოდში, პატარა ქალაქის აღსანიშნავად, რომლის მოჩვენებით გუბერნატორად იყო დანიშნული დონ კიხოტის საჭურველმტვირთველი სანჩო-პანსა. — 269.

18 ნ ო ტ ი ნ გ-ჰ ი ლ ი — ლონდონის ერთ-ერთი რაიონი დასავლეთ ნაწილში. — 272.

19. ტ ა ლ ი — აღმოაჩინა უ. კრუმმა 1861 წ. რადიომეტრი (Lichtmühle — სინათლის პატარა წისქვილი") — ხელსაწყო, რომელიც ზომავს სინათლის სხივის ენერგიას, თხელი დაგრეხილი ძაფის გადახრის კუთხის განსაზღვრის გზით. ძაფზე დამაგრებულია მსუბუქი ფრთები, რომლებიც ბრუნავენ გამოსხივების ზემოქმედების შედეგად. რადიომეტრის კონსტრუქცია კრუქსმა შექმნა 1873—1874 წ.— 273.

20 აქ საუბარია მედიუმის მოვლენის განხილვის კომისიის შესახებ, რომელიც დაწესა პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებულმა ფიზიკურმა საზოგადოებამ 1875 წლის 6 მაისს, რომელმაც თავისი მეცადინეობა დაასრულა 1876 წ. 21 მარტს. კომისიის შემადგენლობაში იყვნენ დ. მენდელეევი და რიგი სხვა გამოჩენილი მეცნიერებისა. კომისიამ მიმართა რუსეთში სპირიტიზმის გამავრცელებელ პირებს, — ა. ნ. აკსაკოვს, ა. მ. ბუტლეროვს და ნ. პ. ვაგნერს — წინადადებით. „სპირიტისტული მოვლენების უეჭველობის მონაცემების წარმოდგენის შესახებ. კომისია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ „სპირიტისტული მოვლენები ხდება არაცნობიერი მოძრაობით და შეგნებული მოტყუებით, ხოლო სპირიტისტული მოძღვრება არის ცრურწმენა და გამოაქვეყნა თავისი დასკვნები გაზეთ „გოლოსში" 1876 წ. 25 მარტის ნომერში. კომისიის მასალები გამოაქვეყნა დ. ი. მენდელეევმა წიგნის სახით: „მასალები სპირიტიზმის შესახებ მსჯელობისათვის". ს.— პეტერბურგი, 1876. — 275

21 პამინასა და პაპაგენოს დუეტის დასაწყისი მოცარტის ოპერა „ჯადოსნურ ფლეიტიდან" (მოქმედება I, სცენა 18) ამ დუეტის სიტყვების გაუმჯობესება სხვა წინადადებაშიც. — 277.

22 ენგელსი გადაკვრით ლაპარაკობს დარვინიზმის წინააღმდეგ რეაქციულ თავდასხმაზე, რომელიც 1871 წ. პარიზის კომუნის შემდეგ გერმანიაში მოხდა. თვით

ისეთი დიდი მეცნიერი, როგორიც ვირხოვია, წინათ დარვინიზმის მომხრე, 1877 წ. ბუნებისმეტყველთა მიუნხენის ყრილობაზე გამოვიდა წინადადებით აკრძალულიყო დარვინიზმის სწავლება, ასაბუთებდა, რომ დარვინიზმი მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალისტურ მოძრაობასთან და ამიტომ საშიშია არსებული საზოგადოებრივი წყობისათვის. — 277.

23 1870 წ-ს რომში გამოცხადდა დოგმატი პაპის „უცოდველობის" შესახებ. გერმანულის კათოლიკურმა თეოლოგმა დიოლონგერმა უარი თქვა ამ დოგმის მიღებაზე. მაინცის ეპისკოპოსი კეტელერიც თავიდან წინააღმდეგი იყო ახალი დოგმატისა, მაგრამ ძალიან მალე შეურიგდა და გახდა თავგამოდებული დამცველი. — 278.

24. იხ. კ. მ ა რ ქ ს ი და ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, თხზ., ტ. 21, გვ. 310—280.

ნ ა წ ი ლ ი XII

1 გამსვლ. 20:15; მეორე სჯ, 5:19. — 313

2 საუბარია ინდოეთის აჯანყებაზე, რომელიც 1857 წელს დაიწყო. აჯანყება ნაციონალურ-განმათავისუფლებელი ხასიათისა იყო; ჩაახშვეს ინგლისელმა ჯარისკაცებმა 1859 წ. — 316

3 ინგლისელ — ბურების ომი (1899 წ. ოქტომბერი — 1902 წ. მაისი) ინგლისის კოლონიური, დამპყრობლური ომი ორი სამხრეთაფრიკული რესპუბლიკის — ტრანსვაალისა და ორანჟის წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც ამ უკანასკნელებმა დაკარგეს დამოუკიდებლობა და დიდი ბრიტანეთის კოლონიებად იქცნენ. — 316

ნ ა წ ი ლ ი XIII

1 იხ. ფ. ენგელსის სტატია „ემიგრანტების ლიტერატურა" (კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, თხზ., ტ. 18). — 301.

2. მხედველობაშია III სახ-ო სათათბიროს დეპუტატის, სოციალ-დემოკრატის პ. ი. რუსკოვის გამოსვლა სათათბიროს 1909 წ. 14(27) აპრილის სინოდის სხდომაზე V არჯთაღრიცხვის საკითხზე. — 203.

3 იხ. ფ. ე ნ გ ე ლ ს ი „ემიგრანტების ლიტერატურა" (კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი, თხზ., ტ. 18). — 304.

4 იხ. ფ. ე ნ გ ე ლ ს ი „ანტი-დიურინგი", 1937, გვ. 299—301.—305.

5. მხედველობაშია ფ. ენგელსის „შესავალი" კ. მარქსის ბროშურაზე „სამოქალაქო ომი საფრანგეთში" (იხ. კ. მარქსი და ფ. ენგელსი, რჩ. ნაწ. ტ. I, 1955, გვ. 439). — 305

6 ვ ე ხ ი — გამოჩენილი კადეტი პუბლიცისტების სტატიათა კრებული, კონტრრევოლუციური ლიბერალური ბურჟუაზიის წარმომადგენლები; ნ. ა. ბერდიაევი, ს. ნ. ბულგაკოვი, მ. ო. გერშენზონი, ა. ს. ახგოეევი, ბ. ა. კისტიაკოვსკი, პ. ბ. სტრუვე და ს. ლ. ფრანკი. გამოვიდა 1909 წ. გაზაფხულზე მოსკოვში. სტატიებში, რომლებიც მიძღვნილია რუსი ინტელიგენციისადმი „ვეხელები" ცდილობდნენ შეებღალათ რუსეთის განმათავისუფლებელი მოძრაობის რევოლუციურ-დემოკრატიული ტრადიციები, ბ. გ. ბელინსკის, ნ. გ. ჩერნიშევსკის, ნ. ა. დობროლიუბოვის, დ. ი. პისარევის, შეხედულებები და მოღვაწეობა. ლანძღავდნენ 1905 წ. რევოლუციურ მოძრაობას. უმადლოდნენ მეფის მთავრობას იმაზე, რომ მან თავისი „ხიშტებითა და ციხეებით" გადაარჩინა ბურჟუაზია „სახალხო მძვინვარებისაგან". ლენინმა კრიტიკული განხილვა და პოლიტიკური შეფასება კადეტების შავრაზმელთა შესახებ მოგვცა სტატიაში „ვეხების" შესახებ" (იხ. თხზ.

სრ. კრებული, ტ. 19, გვ. 167—175). „ვეხების“ კრებულის პროგრამის შედარებისას შავრაზმელთა გაზეთის „მოსკოვსკოე ვედომოსტის“ პროგრამასთან ფილოსოფიაშიც და პუბლისტიკაშიც ლენინი უწოდებდა მას „ლიბერალური რენეგადობის ენციკლოპედიას“, „რეაქციული ნარეცხის უწყვეტი ნაკადი, რომელიც დემოკრატიას გადაასხეს“. მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში ინახება „ვეხის“ კრებულის ეგზემპლარი ლენინის მრავალი ჩანაწერებით. — 307.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შემდგენლისაგან 3
მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების ათეისტური მემკვიდრეობა 5

ნ ა წ ი ლ ი I

რელიგია როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმა

1. რელიგია — ადამიანის გონებაში ბუნებისა და საზოგადოების სტიქიური ძალების ფანტასტიკური ასახვა 15
2. რელიგია — ხალხის ოპიუმი 20
3. რელიგიური გაუცხოვების სოციალური ბუნება 22
4. რელიგიის ფესვები და სოციალური ფუნქცია 23
5. რელიგიის სოციალური ფესვების მოსპობა, მისი დაძლევის პირობა 25

ნ ა წ ი ლ ი II

რელიგიის წარმოშობა და მისი ადრეული ფორმები

1. რელიგიის ისტორიისადმი მეცნიერულ-მატერიალისტური მიდგომა 27
2. რელიგიური ცნობიერება — ისტორიულად განსაზღვრული საზოგადოებრივ ურთიერთობათა პროდუქტი 29
3. რელიგიის ადრეული ფორმები 36

ნ ა წ ი ლ ი III

ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ა

1. ქრისტიანობა — ანტიკური საზოგადოების დაცემის პროდუქტი 45
2. ქრისტიანობის ფილოსოფიური და რელიგიური წყაროები 49
3. ბიბლიის მეცნიერული კრიტიკა 53
4. ადრინდელი ქრისტიანობის დოგმატიკა, ეთიკა და ესხატოლოგია. იოანე ღვთისმეტყველის გამოცხადება 55
5. ქრისტიანობის გადაქცევა მსოფლიო რელიგიად 72
6. ქრისტიანობა და კომუნიზმი 75

ნაწილი IV

მართლმადიდებლობა

1. მართლმადიდებლური ეკლესია მეფის რუსეთში — სინდისის თავისუფლების მტერი . 86
2. მართლმადიდებლური ეკლესია და 1905 წლის რევოლუცია . 92
3. მართლმადიდებლური ეკლესიის მებრძოლი კლერიკალიზმი . 103
4. მართლმადიდებლური სამღვდელოება და იმპერიალისტური ომი 113

ნაწილი V

კათოლიკეები და პროტესტანტები

1. რომაულ-კათოლიკური ეკლესია — როგორც შუასაუკუნეობრივი ფეოდალური სისტემის ცენტრი 115

ნაწილი VI

ქრისტიანული სექტანტობა

ნაწილი VII

აღმოსავლეთის რელიგიები

1. ისლამი და იუდაიზმი 148

ნაწილი VIII

ათეიზმი და თავისუფალი აზროვნების ისტორია

1. ათეიზმი ძველ რომში . . 154
2. ფილოსოფიური მატერიალიზმის ისტორია — თავისუფალ მოაზროვნეთა და ათეიზმის ისტორია . 154
3. ბურჟუაზიის მიერ თავისუფალი აზროვნების და ათეიზმის უარყოფა 172
4. ათეიზმი და მუშათა კლასი . . . 182
5. ათეიზმი და თავისუფალმოაზროვნეობა გლეხთა შორის 192

ნაწილი IX

დიალექტიკური მატერიალიზმი — მარქსისტული ათეიზმის ფილოსოფიური საფუძველი

1. მატერიალიზმი — ჭეშმარიტად მეცნიერული ათეისტური მსოფლმხედველობა . 196
2. შემეცნების დიალექტიკურ-მატერიალისტური თეორია — როგორც რელიგიური რწმენის წინააღმდეგ უნივერსალური იარაღი 205
3. იდეალიზმი და რელიგია 209

ნაწილი X

ახალი რელიგიის შექმნის ცდების მარქსისტული კრიტიკა

1. ლ. ფოიერბახის „სიყვარულის რელიგია“ . . 240
2. „ღვთისმშენებლობის“ და „ღვთისმაძიებლობის“ რეაქციული არსი 242
3. ტოლსტოელობის რეაქციული არსი 249

ნაწილი XI

მეცნიერული პროგრესი და რელიგია

1. მეცნიერული პროგრესი არ ტოვებს ადგილს შემოქმედებისათვის 254
2. მეცნიერებისა და რელიგიის ბრძოლის ისტორიიდან 255
3. ათეიზმის ბუნებისმეცნიერული დასაბუთება . 266
4. რელიგიური წინასწარმეტყველება და მეცნიერული წინასწარხედვა 263

ნაწილი XII

მორალი და რელიგია

1. მარქსიზმი რელიგიური მორალის კლასობრივი არსების შესახებ 281
2. ბურჟუაზიული მორალი და რელიგია 283

ნაწილი XIII

კომუნისტური პარტიის რელიგიისა, ეკლესიისა და მორწმუნეებისადმი დამოკიდებულების მარქსისტულ-ლენინური პრინციპები

1. კომუნისტური პარტიის ბრძოლა ინდოეთის თავისუფლებისათვის ოქტომბრის რევოლუციამდე 289
2. ნაციონალური საკითხი და რელიგია . 291
3. რელიგიის და ეკლესიისადმი სოციალისტური სახელმწიფოს და კომუნისტური პარტიის დამოკიდებულება 299
4. მშრომელთა ათეისტური აღზრდის სისტემა 313

გამომცემლობის რედაქტორი ზ. გ ი ო რ გ ა ძ ე
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩ ი ქ ვ ი ნ ი ძ ე
ტექნიკური რედაქტორი ფ. ბ უ დ ა ღ ა შ ვ ი ლ ი
კორექტორი ნ. ჩ ა ხ ა ი ა

სბ 1332
გადაეცა წარმოებას 19.06.87. ხელმოწერილია დასაბეჭდად 8.07.88.
უე 07903. საბეჭდი ქაღალდი 60×90 1/16. პირობითი ნაბეჭდი
თაბახი 21,25. სააღრ.-საგამომც. თაბახი 19,49

ტირაჟი 2500. შეკვეთის № 931.

ფასი 1 მან. 10 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.

თბილისის უნივერსიტეტის სტამბა,
თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета,
Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.